საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

675
1965/2

675/2

ქართული

1

81

1965

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

მაცნე

საქართველოს სსრ
მეცნიერებათა აკადემიის
საზოგადოებრივ მეცნიერებათა
განყოფილების
ორგანო

*

МАЦНЕ

(ВЕСТНИК)

ОРГАН

ОТДЕЛЕНИЯ ОБЩЕСТВЕННЫХ НАУК
АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

9863

1

22

გამომცემლობა „მეცნიერება"
Издательство „Мецниереба"
თბილისი — 1965 — *Тбилиси*

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარედაქციო კოლეგია

ნ. ბერძენიშვილი, ა. ბოჭორიშვილი (მთავარი რედაქტორი), კ. გუგუშვილი, ი. დოლიძე, გ. ლეონიძე, ვ. ფანჩვიძე, ე. ქვათაძე (პასუხისმგებელი მდივანი), გ. ჩუბინაშვილი, გ. წერეთელი, ს. წერეთელი

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ

Бердзенишвили Н. А., Бочоришвили А. Т. (главный редактор), *Гугушвили П. Б., Долидзе И. С., Кватадзе Э. Г.* (ответственный секретарь), *Леонидзе Г. Н., Панчвидзе В. Н., Чубинашвили Г. Н., Церетели Г. В., Церетели С. Б.,*

6 ბ 5 -
19 ბ/5
ეროვნული
ბიბლიოთეკა

დიალექტიკური ლოგიკის ცნებისათვის[1]

ს. წერეთელი

(წარმოადგინა საქ. სსრ მეცნ. აკად. ფილოსოფიის ინსტიტუტმა)

ჩვენი აზრით, საბჭოთა ლოგიკოსების, პირველ რიგში, დიალექტიკური ლოგიკის მომხრეთა შრომებში ჯერ კიდევ არ არის დადგენილი დიალექტიკური ლოგიკის ცნება; ყურადღებაც კი არ ექცევა დიალექტიკურ ლოგიკაში ძირითადს, რომლის შესახებაც 1) პირდაპირი მითითება გვაქვს ვ. ი. ლენინის ანდერძში ჰეგელის დიალექტიკის „რაციონალური მარცვლის“ შესწავლის შესახებ, და 2) თანამედროვე ბურჟუაზიულ დასავლეთში იწერება სერიოზული გამოკვლევები[2].

მატერიალისტური დიალექტიკის თეორიის შემდგომი განვითარებისათვის აუცილებელია ჰეგელის დიალექტიკის დიალექტიკური დაძლევა. მატერიალისტურ-დიალექტიკური ლოგიკის ცნების დადგენისათვის აუცილებელია ლოგიკურის ცნების ჰეგელიანური გაგების. სახელდობრ, ფორმალურ-ლოგიკურის, უარყოფით-დიალექტიკურის და დადებით-დიალექტიკურის ერთიანობის ჰეგელიანური გაგების გათვალისწინება და დაძლევა. ამ მხრივ, შეიძლება ითქვას, რომ არაფერი არ გაკეთებულა ჩვენს ლოგიკურ ლიტერატურაში. არ არის გაშუქებული დიალექტიკურ-ლოგიკურის ბუნება და, ცხადია, ამიტომ არ არის ზუსტად დადგენილი დიალექტიკური ლოგიკის ცნებაც. ეს იწვევს აზრთა იმ სხვადასხვაობას, რომელსაც ადგილი აქვს საბჭოთა ლოგიკოსების შრომებში დიალექტიკური ლოგიკის შესახებ.

დიალექტიკური ლოგიკისათვის მთავარი დიალექტიკურ-ლოგიკურის ცნების ნიშნებიდან ჩვენ აქ მივუთითებთ ზოგიერთ ძირითად ნიშანს. ჩვენი აზრით, დიალექტიკურ-ლოგიკურის ცნება გულისხმობს შემდეგს.

1. დიალექტიკურ-ლოგიკური არის სინთეზურ ლოგიკური. დიალექტიკური ლოგიკის ერთ ძირითად პრობლემას წარმოადგენს ლოგიკურის სინთეზურობის პრობლემა.

მართალია, ლირიკის შემქმნელი არისტოტელე დასკვნას და დასაბუთებას განსაზღვრავდა როგორც სინთეზურს: 1) სილოგიზმი არის გამოთქმა, რომელშიც რაიმე მტკიცებიდან აუცილებლობით გამომდინარეობს მისგან განსხვა-

---

[1] წაკითხულია მოხსენებად 29/IX 64 წ. ფილოსოფიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე.

[2] R. Heiss: 1)Logik des Widerspruchs 1932 2) Wesen und Formen der Dialektik, 1959. G. Günther, Idee und Grundriss einer nicht-Aristotelischen Logik, I, 1959, და სხვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვებული[3]. 2) დასაბუთება იმას ნიშნავს, რომ თუ არის ერთი რაიმე, მაშინ აუცილებლად უნდა იყოს რაღაც სხვა[4], მაგრამ, მიუხედავად ამისა, სილოგისტური დასკვნები (მასთან და შემდეგაც) განხორციელდა როგორც ანალიზური დასკვნები. ი. კანტს შეუძლებლად მიაჩნდა სინთეზური დასკვნები. მას შეუძლებლად მიაჩნდა იმის განხორციელება, რასაც არისტოტელე დასაბუთებად წარმოადგენდა (იხ. არისტოტელეს ზემოთ მოყვანილი აზრი დასაბუთების შესახებ), როცა ის შეუძლებლად თვლიდა სწორ პასუხს კითხვაზე, თუ როგორ უნდა გავიგოთ ის, რომ როცა რაიმე არის, არის აგრეთვე სხვაც[5]. მიუხედავად ამისა, კანტმა „წმინდა გონების კრიტიკა“ სხვა არაფერია, თუ არა ცდა აუცილებელი სინთეზის პრობლემის გადაწყვეტისა.

ფორმალური ლოგიკაში განხილული დასკვნები ანალიზურ დასკვნებს წარმოადგენენ. ლოგიკური ანალიზურობა უკიდურესობამდეა მიყვანილი „მათემატიკურ ლოგიკაში“. იმპლიკაცია— თუ A, მაშინ B, რომელიც ზუსტად წარმოიდგინება როგორც Ā vB, ანალიზურია; თუ საფუძველ-შედეგის დამოკიდებულება (მათემატიკური ლოგიკის „თუ A, მაშინ B“ არ არის საფუძველ-შედეგის დამოკიდებულება[6]), რომელიც არსებითია ლოგიკისათვის, წარმოდგენილი იქნება როგორც „ან საფუძვლის ჭეშმარიტების უარყოფა ან შედეგის ჭეშმარიტება“, მაშინ, ცხადია, რომ იგი სინთეზურობას გამორიცხავს. მათემატიკურ ლოგიკაში ყველაფერი ტავტოლოგიურია. ამ გარემოებას ბ. რასელი გამოთქვამს ასე: დედუქციური ლოგიკა შედგება ტავტოლოგიებისაგან; ცდისაგან დამოუკიდებლად არაფრის შემცნება არ შეიძლება, გარდა ტავტოლოგიებისა[7], ძნელია გაიგო, თუ რა არის სინთეზური[8]; ცდას ემყარება და სინთეზურია მხოლოდ ინდუქცია, რომელიც იძლევა ახალს[9], მაგრამ ინდუქცია ეყრდნობა ალბათობას და ინდუქციის მეცნიერული თეორია მათემატიკური მეცნიერებაა. ინდუქციური ლოგიკა, როგორც სინთეზურის ლოგიკა, შეუძლებლად არის მიჩნეული. როგორც ცნობილია, არისტოტელეც უარყოფდა ინდუქციურ მეთოდს როგორც ლოგიკურ მეთოდს. ფ. ბეკონიდან დაწყებული ინდუქციის თეორიები დღემდე ვერ შესძლეს ინდუქციურ-ლოგიკურის, როგორც სინთეზურ-ლოგიკურის, ბუნების გარკვევა, და აღმოჩენას—კვლევა-ძიების მეთოდი, როგორც დასაბუთების ლოგიკური მეთოდი, ვერ იქნა გამართლებული.

ჩვენი აზრით, სინთეზურ-ლოგიკურის პრობლემა წყდება მხოლოდ დიალექტიკურ ლოგიკაში. როგორც ითქვა, ლოგიკურის სინთეზურად წარმოდგენას მოითხოვდა არისტოტელე. შეუძლებელიცაა ლოგიკურის გამართლება როგორც მხოლოდ ანალიზურისა. აუცილებელია სინთეზურ-ლოგიკური. ჩვენ აქ მხოლოდ შემდეგის აღნიშვნით დავკმაყოფილდებით.

დასაბუთების თვალსაზრისით, ლოგიკურის ტავტოლოგიურად წარმოდგენა არის ლოგიკური შეცდომა, რამდენადაც დამსაბუთებლის (საფუძვლის) და დასასაბუთებლის (შედეგის) იგივეობა არის: 1) არაფრის დასაბუთება, ლოგიკური არარა და 2) ლოგიკური წრე, როგორც ლოგიკურად გამოუვალი მდგომარეობა. შეუძლებელია წმინდა ანალიზურ-ლოგიკური, რამდენადაც: 1) ანალი-

---

[3] არისტოტელე, პირველი ანალიტიკა, წ. I, თ. 1.

[4] „მეორე ანალიტიკა“, წ. II, თ. 7.

[5] Kant, Versuch...

[6] Гильберт и Аккерман, Основы теорет. логики, გვ. 20.

[7] Б. Рассел, Человеческое познание, გვ. 411.

[8] იქვე, გვ. 530.

[9] იქვე, გვ. 396.

ზურობა მდგომარეობს ერთისა და იგივეს განმეორებაში. თუ მათემატიკურად ერთის განმეორება ორს გულისხმობს, ლოგიკურად არაფერს არ იძლევა. 2) განმეორება დასაბუთებაში კი, როგორც ახლა ითქვა, შეცდომას წარმოადგენს. როგორც აღინიშნა, ანალიზურ-ლოგიკურზეა დამყარებული ფორმალური ლოგიკა და, განსაკუთრებით, მათემატიკური ლოგიკა; ამ ლოგიკების არსებობა და მათი ნაყოფიერება გამართლებულია არა იმით, რომ თითქოს შესაძლებელია ანალიზურ-ლოგიკური, არამედ იმით, რომ ამ ლოგიკებში ანალიზურობა აუცილებლობით გულისხმობს სინთეზურობას. მაგალითად, Barbara არის ანალიზური დასკვნა, მაგრამ ის აუცილებლობით გულისხმობს სამ ცნებას და სამ მსჯელობას, ე. ი. განსხვავებულობას, სინთეზურობას, რომელიც მასში არ არის გაფორმებული. სინთეზურობის გულისხმობის გარეშე ეს დასკვნა შეუძლებელი იქნება. მათემატიკურ ლოგიკაში სინთეზურობის აზრი გადატანილია აქსიომებში და მეტალოგიკურ წესებში, ლოგიკისათვის მეტა-და მეტამეტალოგიკების აუცილებლობაში (რაც ლოგიკის ერთიანობის დარღვევას იწვევს) და სხვ. ამრიგად, აუცილებელია სინთეზურ-ლოგიკური, რომლის შესახებ მეცნიერება არის მხოლოდ დიალექტიკური ლოგიკა.

ფორმალურმა ლოგიკამ (და მით უმეტეს „მათემატიკურმა ლოგიკამ") არ იცის შინაგანი უარყოფის შემცველი ლოგიკური, სინთეზურ-ლოგიკური კისწორედ ასეთი ლოგიკურია. ყოველი სინთეზი, კერძოდ, სინთეზურ-ლოგიკური აუცილებლობით შეიცავს შინაგან განსხვავებას; სინთეზი განსხვავებულთა სინთეზია მხოლოდ. განსხვავებულობაში ერთი არის, რაც არ არის მეორე დაპირიქით; ეს „არ არის" არის ის უარყოფა, რომელიც სინთეზურ-ლოგიკურის შინაგანი მომენტია.

ასეთი უარყოფა არის არა აბსოლუტური უარყოფა (პარმენიდეს „არარსის" ბუნების მქონე უარყოფა, რომელიც დღემდე გაბატონებულია ფორმალურ ლოგიკაში), არამედ—შედარებითი უარყოფა (რომელიც პირველად გამოიკვლია პლატონმა „სოფისტესში" და რაც ვერ გაიგო არისტოტელემ, ვერც შემდგომ ფორმალურმა ლოგიკამ).

მატერიალისტურ დიალექტიკაში ცნობილია, რომ დადებითი და უარყოფითი შეფარდებითი ცნებებია (არსების კატეგორიებია); ამიტომ უნდა ითქვას, რომ სწორად გაგებული უარყოფა შეფარდებითი ხასიათისაა. უარყოფის ცნება ლოგიკურად ე. ი. აუცილებლობით გულისხმობს უარსაყოფელს (უარყოფა ყოველთვის არის რაიმეს უარყოფა) და უარმყოფელს (არა მოაზროვნე სუბიექტს როგორც უარმყოფელს, არამედ ლოგიკურად უარმყოფელს). მაგალითად, კერძო არის ზოგადის უარყოფა და პირიქით. ამრიგად, შეფარდებითი უარყოფა აერთიანებს უარმყოფელს და უარსაყოფელს. უარსაყოფელს და უარმყოფელის ერთიანობა კი დაპირისპირებულთა ერთიანობაა. ეს არის დიალექტიკურ-ლოგიკური. სინთეზურ-ლოგიკური არის დიალექტიკურ-ლოგიკური.

სინთეზურ-ლოგიკური არ გამორიცხავს ანალიზურს, პირიქით, შეიცავს მას, რომ სინთეზურში არ იყოს ანალიზური—იგივებრივი, მაშინ ლოგიკური—აუცილებელი ლოგიკური კავშირი შეუძლებელი იქნება. სინთეზურ-ლოგიკური არის ანალიზ-სინთეზის ერთიანობა (ამიტომ დიალექტიკურ-ლოგიკური მომენტად შეიცავს ფორმალურ-ლოგიკურს როგორც ანალიზურს). ანალიზ-სინთეზის ერთიანობა კი დიალექტიკის ელემენტია[10]. ანალიზ-სინთეზის ერთიანობა დაპირისპირებულთა ერთიანობაა.

---

[10] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 38, IV გამოც., გვ. 220, 221.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაგანი უარყოფის შემცველი აუცილებელი სინთეზურობა ხორციელდება აზროვნების ყოველ ფორმაში—მსჯელობაში, დასკვნაში, ცნებაში და საერთოდ დასაბუთებაში. იგი სისრულით ხორციელდება კატეგორიათა კავშირებში, მაგალითად, მსჯელობაში როგორც კატეგორიების—ერთეულის და ზოგადის—კავშირში. მსჯელობა „ცუგა არის ძაღლი“ სინთეზურია, რადგან „ცუგა“ არის ერთეული, „ძაღლი“ კი ზოგადია. თუ მსჯელობას „ცუგა არის ძაღლი“ წარმოვიდგენთ, როგორც „კერძო არის ზოგადი“, მაშინ ცხადია, რომ სინთეზურობა წარმოდგენილი იქნება სრული სახით, სახელდობრ, დაპირისპირებულთა ერთიანობის სახით (კერძოს და ზოგადის ერთიანობა არის დაპირისპირებულთა ერთიანობა). თუ მსჯელობა გაგებულ იქნა როგორც სინთეზურ-ლოგიკური, მაშინ აუცილებელია დიალექტიკური ლოგიკის აღიარება.

მაშასადამე, ლოგიკური არის სინთეზური, ე. ი. დიალექტიკურ-ლოგიკური. სინთეზურობა აუცილებელია დიალექტიკურ-ლოგიკურისათვის. ეს გარემოება გათვალისწინებულ უნდა იქნეს დიალექტიკური ლოგიკის მიერ, წინააღმდეგ შემთხვევაში დიალექტიკური ლოგიკა შეუძლებელი იქნებოდა.

2. თუ ლოგიკური სინთეზურია, მასში განსხვავებულთა ერთიანობა, როგორც გარკვეული ზოგადობა, მოქმედებს. მართლაც, ზოგადის პრობლემა არსებითია საერთოდ მეცნიერებისათვის, კერძოდ კი ლოგიკისათვის.

ცნობილია, რომ ლოგიკას საქმე აქვს ზოგადობასთან. მაგალითად, მსჯელობა „სოკრატე არის ადამიანი“ ლოგიკაში განხილულია ფორმის, ზოგადობის მხრივ. ლოგიკა არ სწავლობს სოკრატეს, ადამიანს და ა. შ. ასეთ საგნებს სხვა მეცნიერებები შეისწავლიან. ლოგიკას აინტერესებს მსჯელობა „სოკრატე არის ადამიანი“ აზრთა კავშირის ზოგადობის მხრივ, იმ ფორმის მხრივ, რომლითაც უსასრულოდ მრავალი ასეთი მსჯელობა გამოითქმება, და რომელიც ამ მსჯელობებში ერთი და იგივეა. მაგრამ ზოგადობა, რომელთანაც საქმე უნდა ჰქონდეს ლოგიკას, ესმით სხვადასხვანაირად.

როგორც ცნობილია, ნომინალისტურ თვალსაზრისზე დაყრდნობილ ლოგიკებში ზოგადობას უარყოფენ, ზოგადობა დაყავთ ერთეულებზე, ზოგადობის როლს ასრულებინებენ სიმბოლოს. უნდა ითქვას, რომ ზოგადობის უარყოფა შეუძლებელია, რადგან ასეთი უარყოფა თვითონ არის ზოგადობის მნიშვნელობის მქონე. ლოგიკური შეცდომაა უარყო ზოგადი ზოგადად. ამიტომ ზოგადობის უარყოფა თვითონ მოიხმარს აუცილებლობით ზოგადს.

მათემატიკურ ანუ სიმბოლურ ლოგიკაში ზოგადის როლს ასრულებს სიმბოლო ანუ სქემა. თუ, მაგალითად, ადამიანს აღვნიშნავთ სიმბოლო X-ით, მაშინ ეს სიმბოლო არის უბრალო პირობითი ნიშანი და არა „ადამიანობა“ როგორც ზოგადობა. „X არის ადამიანი“ არის პროპოზიციული ფუნქცია, რომელიც არც საგანია და არც აზრი, არამედ—მხოლოდ სქემა, რომელიც როგორც არა-აზრი, არც ჭეშმარიტია და არც მცდარი; X-ის მაგიერ ერთეულის ჩასმა მოგვცემს წინადადებას, რომელიც ან ჭეშმარიტია ან მცდარი. ჩასმა ან ქვანტორების („ყველა“, „არსებობს...“) გამოყენება სწორედ იმას აჩვენებს, რომ ზოგადი ერთეულებზეა დაყვანილი, ზოგადი უარყოფილია, თუმცა ზოგადის როლს შემსრულებლად პირობითი სიმბოლო ან სქემაა გამოყენებული (როგორც ითქვა, ზოგადის სრული უარყოფა შეუძლებელია). ჩასმის ხერხის გამოყენება სასარგებლო და აუცილებელია მათემატიკაში, სადაც ერთნაირია ერთები, ერთეულები. სიმბოლო ან სქემა არის მოჩვენებითი და არა ნამდვილი ზოგადი.

თითქმის მთელი ფილოსოფიის ისტორიის განმავლობაში დღემდე, ნამდვილ ზოგადად, უკეთ, უზოგადესად აღიარებულია კატეგორიები, სახელდობრ, ფი-

ლოსოფიური კატეგორიები. ამიტომ ნამდვილი ლოგიკა, რომელსაც ფილოსოფიური ხასიათი აქვს, უნდა ეყრდნობოდეს კატეგორიებს, ის, პირველ რიგში, კატეგორიების ლოგიკას უნდა წარმოადგენდეს; ეს იმასაც ნიშნავს, რომ ზოგადობა აღებული უნდა იყოს კატეგორიის ზოგადობის აზრით.

როგორც ცნობილია, კატეგორიები განსაკუთრებული უზოგადესი ცნებებია, რომლებიც ერთიმეორესთან გვარეობით—სახეობით დამოკიდებულებაში მყოფი ცნებებისაგან ჯრსებითად განსხვავდებიან; მათი განსაზღვრებისათვის არ მოიხმარება უახლოესი გვარის და სპეციფიკური განსხვავების დადგენის წესი. ერთი სიტყვით, კატეგორიის ზოგადობა არ არის მოცულობითი ხასიათის, ის, ასე ვთქვათ, შინაარსეულ ზოგადობას წარმოადგენს.

ცნობილია, რომ ლოგიკის მოცულობით ზოგადობაზე დაყრდნობა მიდის კლასთა აღრიცხვამდე, მაგრამ შინაარსის თუ მნიშვნელობის გამოყენება, რომელიც აუცილებელი ხდება ლოგიკისათვის, საქმის ვითარებას სცვლის, რადგან თუ კლასები შეიძლება იგივეობრივი იყოს, შეუძლებელია ორი თვისება იყოს ერთიმეორისადმი იგივეობრივი[11]. თვისებათა თუ შინაარსთა აუცილებელი კავშირის ზოგადობა განსხვავდება მოცულობით ზოგადობისაგან, თუმცა უკანასკნელი პირველს ექვემდებარება, რადგან მოცულობითი ზოგადი, როგორც ცნობილია, გარკვეულ ნიშანს ემყარება და განმეორებით მიღებულ რიცხობრიობას წარმოადგენს.

თვისებებში იგივეობრივი, ეს არის თვისებების ერთიანობა. შინაარსეული ზოგადობა არის ერთიანობა; მაგალითად, წარმოება, როგორც ზოგადობა, არის მისი ელემენტების (საკუთრივ წარმოების, განაწილების, გაცვლის და მოხმარების) ერთიანობა[12]. თუ მოცულობითი ზოგადი არის „ყველა“, მოცულობითი კერძო კი—„ზოგიერთი“, შინაარსეული ზოგადი არის ერთიანობა, შინაარსეული კერძო კი—ერთმხრიობა (ცალმხრიობა).

შინაარსეული ზოგადს წარმოადგენს ყოველი მსჯელობა, ყოველი დასკვნა და ყოველი ცნება, როგორც საკუთარი ელემენტების თუ მომენტების ერთიანობანი. შინაარსეული კერძოს და ასეთივე ზოგადის დამოკიდებულების აღმოჩენა აზრის ფორმებში, ამ ფორმების ამგვარად განხილვა გვაძლევს მათ დიალექტიკურ-ლოგიკურ განხილვას. ამრიგად, უნდა ითქვას, რომ დიალექტიკურ-ლოგიკური არის შინაარსეული ზოგადის ბუნების მქონე ლოგიკური. დიალექტიკური-ლოგიკური, უპირველეს ყოვლისა, კატეგორიალურ-ლოგიკურია.

3. დიალექტიკური ლოგიკა, არის, პირველ რიგში კატეგორიების ლოგიკა. მხოლოდ ამის აღნიშვნაც საკმარისია ამ ლოგიკის განსასხვავებლად ფორმალური ლოგიკისაგან. ფორმალური ლოგიკა არ განიხილავს კატეგორიებს; მათემატიკური ლოგიკა კი გამორიცხავს კატეგორიებს, როგორც თითქოს რაღაც მეტაფიზიკურს (თუმცა ეს გამორიცხვა სწორედ უარყოფის კატეგორიის გამოყენებაა).

დიალექტიკური ლოგიკა, როგორც კატეგორიების ლოგიკა, არ უდრის მატერიალისტურ დიალექტიკას. მასში არ განიხილება ყველა ფილოსოფიური კატეგორია. დიალექტიკური ლოგიკა შეისწავლის ლოგიკურის კატეგორიებს, როგორიცაა მაგალითად, იგივეობა, უარყოფა, წინააღმდეგობა და სხვ. ლოგიკურის კატეგორიებია, უპირველეს ყოვლისა, მსჯელობა, ცნება დასკვნა არსე-

---

[11] Р. Карнап, Значение и необходимость, 1959, გვ. 168. და სხვ.

[12] კ. მარქსი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, შესავალი.

ბობს უამრავი ცნება, შესაძლებელია ყველაფრის ცნება, მაგრამ ცნება, როგორც ცნება, არის მხოლოდ ერთი; ცნება, როგორც ასეთი, არის ლოგიკურის კატეგორია; ასე ითქმის მსჯელობის შესახებაც. ლოგიკურის კატეგორიების-ლოგიკური კავშირი ძირითადია დიალექტიკურ ლოგიკაში, რომელიც შეისწავლის ლოგიკურის კატეგორიებს, მათ კავშირებს და ყველაფერს იმას, რაც მათ ექვემდებარება.

ცნობილია, რომ მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსებს მსჯელობა და დასკვნა ესმით, როგორც კატეგორიების კავშირები: 1) „ცუდა არის ძალლი“ არსებითად იგივეა, რაც „კერძო არის ზოგადი“[13]; 2) ერთეულობა, კერძოობა და ზოგადობა საფუძვლად უდევს მსჯელობის სახეებს[14]; 3) დასკვნა არის ერთეულობის, განსაკუთრებულობის და ზოგადობის ერთიანობა[15]. მატერიალისტურმა დიალექტიკურმა ლოგიკამ, თანახმად მარქსიზმის კლასიკოსთა მრავალჯერ მითითებისა, აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს „რაციონალური მარცვალი“ ჰეგელის „ლოგიკისა“, რომელიც კატეგორიათა ლოგიკური სისტემის შეტს არაფერს არ წარმოადგენს.

ლოგიკურის კატეგორიები განსაზღვრავენ აზრის ლოგიკურ კანონებს და ფორმებს. კანონი თვითონ არის ერთ-ერთი კატეგორიათაგანი. იგივეობის კანონი ემყარება იგივეობის კატეგორიას. წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონი წინასწარ გულისხმობს წინააღმდეგობის და შესაძლებლობის კატეგორიებს. აზრის ფორმები, როგორც ითქვა, წარმოადგენს კატეგორიებს და კატეგორიათა კავშირებს. თვითონ კატეგორია არის აზრის გარკვეული ფორმა (კატეგორია ლოგიკაში შემოიტანა და იგი აზრის, სახელდობრ, მსჯელობის ფორმად გაიგო პირველად კანტმა. ეს აზრი განავითარა ფიხტეს და ჰეგელის დიალექტიკამ).

ზემოთ განხილული ლოგიკურის სინთეზურობა სრული სახით წარმოსდგება კატეგორიების კავშირში; მაგალითად, მსჯელობა „ცუდა არის ძალლი“, როგორც სინთეზური—განსხვავებულთა ერთიანობა, სრული სახით წარმოსდგება მსჯელობაში „კერძო არის ზოგადი“, როგორც დაპირისპირებულთა ერთიანობაში. ლოგიკურის სინთეზურობა, როგორც განსხვავებულთა ერთიანობა, აუცილებლობით მიდის დაპირისპირებულთა ერთიანობამდე, როგორც ლოგიკურ ერთიანობამდე.

მაშასადამე, დიალექტიკურ-ლოგიკური არის, უპირველეს ყოვლისა, კატეგორიალურ-ლოგიკური; დიალექტიკური ლოგიკა, პირველ რიგში, კატეგორიების ლოგიკაა.

4. ლოგიკურის კატეგორიის ბუნებიდან უშუალოდ გამომდინარეობს ლოგიკურის რეფლექსურობა, რ ე ფ ლ ე ქ ს უ რ-ლ ო გ ი კ უ რ ი ს აუცილებლობა.

ერთიმეორისაგან განასხვავებენ არსის შესახებ აზრის ლოგიკას, რომელსაც არისტოტელესებურ ლოგიკას ეძახიან და რეფლექსურ ლოგიკას.—არა-არისტოტელესებურ ლოგიკას[16]. დღემდე არსებული ლოგიკა (ტრადიციული ლოგიკა და მათემატიკური ლოგიკა) არარეფლექსურ ლოგიკად მიაჩნიათ და რეფლექსური ლოგიკის, შექმნას გვპირდებიან (გიუნთერი გვპირდება ზემოთ დასახელებული შრომის მეორე ტომში მოგვცეს ასეთი ლოგიკა, როგორც მრავალ-

---

[13] ვ. ი. ლენინი, თხზ.. ტ. 38, გვ. 373.

[14] ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, 1954. გვ. 232—235.

[15] კ. მარქსი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, 1953, გვ. 264, 116.

[16] G. Günther-ის ზემოთ დასახელებული ნაშრომი.

ნიშნა ლოგიკა). გიუნთერი მრავალნიშნა ლოგიკის საფუძვლებს ეძებს რეფლექსიაში, რომელიც ფიხტემ და ჰეგელმა დაახასიათეს იდეალისტური დიალექტიკის ჩამოყალიბების დროს. გიუნთერი სპეციალურად არჩევს რეფლექსიას, როგორც თვითშემეცნებას. და ცდილობს აქედან გამოიყვანოს ახალი მრავალნიშნა ლოგიკა. თუკი მთემატიკური ლოგიკა შეიძლება გამოყვანილ იქნეს ჰეგელის დიალექტიკიდან, როგორც ამას გიუნთერი ცდილობს, მაშინ რატომ დიალექტიკური ლოგიკა არ გამოვა ჰეგელის დიალექტიკური ლოგიკიდან?

ცდილობენ (მაგ., გიუნთერი), რომ პრედიკატთა გაფართოებული ალრიცხვის სიძნელები (პარადოქსები), რომლებიც სწორედ რეფლექსურობასთან არიან დაკავშირებული (მაგ., რასელის პარადოქსი სიმრავლეთა სიმრავლის შესახებ და სხვ.), ახსნან იდეალისტურ დიალექტიკაში გარჩეული რეფლექსის ცნების საფუძველზე. ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ იდეალისტურ დიალექტიკაში არსებული „რაციონალური მარცვალი“ გამოდგება წყაროდ, პირველ რიგში, დიალექტიკური ლოგიკისათვის.

მათემატიკურ ლოგიკაში რეფლექსურია იგივეობა—თავისთავთან მიმართება (xRx)რომელიც სრული სახით წარმოსდგება ისეთ მიმართებაში. რომელიც ერთდროულად არის რეფლექსურიც, სიმეტრიულიც და ტრანზიტულიც[17]. ლოგიკურის რეფლექსურობა უშუალოდ გამომდინარეობს ლოგიკურის კატეგორიის ბუნებიდან. თუ, მაგალითად, ადამიანის ცნება არ არის ადამიანი, ცხენის ცნება არის ცნება. ცნება რეფლექსურია, რადგან არსებობს ცნების ცნება; ეს არის ცნება, როგორც ასეთი, ე. ი. ცნების კატეგორია. მსჯელობაც რეფლექსურია, რადგან მსჯელობის შესახებ მსჯელობაც მსჯელობაა. ლოგიკურის კატეგორიის რეფლექსურობა ბისრულით ვლინდება ამ კატეგორიის უარყოფის დროს. ლოგიკურის კატეგორია სწორედ ის კატეგორიაა, რომლის უარყოფაც შეუძლებელია და რომლის უარყოფის დროს ივივე კატეგორია აუცილებლობით მოიხმარება, როგორც გარკვეული საფუძველ-საშუალება, ამ აზრით მისი უარყოფა მასვე ადგენს. მაგალითად, იგივეობის უარყოფისას იგივეობა აუცილებლობით მოიხმარება, რადგან ასეთი უარყოფა თვითონ არის და უნდა იყოს იგივეობრივი; ე. ი. იგივეობის უარყოფა შეუძლებელია, იგივეობის უარყოფა თვითონ ადგენს იგივეობას როგორც საკუთარ საშუალებას — საფუძველს. შეუძლებელია, რომ უარყოფა უარყო, რადგან ეს უკანასკნელი სწორედ უარყოფაა; მსჯელობის უარყოფა თვითონ არის მსჯელობა, ცნების უარყოფა თვითონ არის ცნება და სხვ. ლოგიკურის კატეგორიების რეფლექსურობა არ არის მხოლოდ იგივეობა თუ ტავტოლოგია, არა, ეს არის თავისთავთან ისეთი დამოკიდებულება, როცა შინაგანი უარყოფა მოქმედებს. ლოგიკურის სინთეზურობა ლოგიკურ რეფლექსიაში სრულად არის წარმოდგენილი.

მაშასადამე, ლოგიკურის კატეგორიების ბუნება რეფლექსურია; ის განსაზღვრავს საერთოდ დიალექტიკურ-ლოგიკურის რეფლექსურობას.

ლოგიკა არ შეიძლება არ იყოს რეფლექსური, რადგან, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ლოგიკა, როგორც მეცნიერება, სწავლობს საერთოდ ცოდნის, კერძოდ, თავისთავის და ყოველი აზრის ფორმებს. ლოგიკის მეთოდი მისი საკუთარი მეთოდია. ის არ ილებს მას გარედან. სხვა მეცნიერებიდან (ლოგიკაში მხოლოდ მათემატიკური მეთოდის გამოყენება ლოგიკას აქცევს მათემატიკად, სხვანაირად შეუძლებელია, რადგან საგანი განსაზღვრავს მეთოდს); ლოგიკის

[17] А. Тарский, Введение в логику., გვ. 136—138.

მეთოდი არის ამავე დროს მისი საგანიც. დედუქციური ლოგიკა სწავლობდა და სწავლობს დედუქციურ მეთოდს, განზოგადებულს გარკვეულ დასკვნებში; ასე ითქმის ინდუქციური ლოგიკის შესახებ და ასე უნდა ითქვას დიალექტიკური ლოგიკის შესახებაც. ლოგიკურს აქვს რეალური საფუძველი—სინამდვილის კანონზომიერება. და ადამიანის რევოლუციურ-გარდამქმნელი მოქმედება—პრაქტიკა, მაგრამ არა სხვა ლოგიკური საფუძველი. შეუძლებელია საერთოდ ლოგიკურს სხვა ლოგიკური საფუძველი ჰქონდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში მივიღებდით რეგრესს უსასრულობაში და ობიექტურ იდეალისტურ თვალსაზრისს (რეალური საფუძველი წარმოდგენილი იქნებოდა ლოგიკურ საფუძვლად). ამიტომ უნდა ითქვას, რომ ლოგიკურს ლოგიკური საფუძველი თავის თავში აქვს.

ეს გარემოება აშკარად ჩანს ზემოთ დახასიათებული ლოგიკურის კატეგორიების ლოგიკურ რეფლექსურობაში. ლოგიკური აზროვნება ხორციელდება კატეგორიების საშუალებით. ლოგიკურ აზროვნებაში ლოგიკურის კატეგორიები უპირველესი საშუალებები— საფუძვლებია. როგორც ვნახეთ, ლოგიკურის კატეგორიის უარყოფა შეუძლებელია, მისი ასეთი უარყოფა მასვე მოიხმარს და ადგენს. ლოგიკურის კატეგორიები, ცხადია, ლოგიკის საგანში შედის.

ფორმალური ლოგიკაში (მათემატიკური ლოგიკის ჩათვლით) შეუძლებლად არის მიჩნეული ისეთი უკუკავშირები, როგორიცაა შედეგიდან საფუძველზე გადასვლა; შედეგი დამოკიდებულია (და „გამოდის“) საფუძველზე და არა პირიქით: მაგალითად, პირობით—კატეგორიულ სილოგიზმში დადებითი რეგრესული მოდუსი („თუ არის შედეგი, არის საფუძველი“) მცდარ მოდუსად ითვლება. ლოგიკური უკუკავშირები, ლოგიკურ კავშირებში შებრუნებადობა ფორმალურ ლოგიკაში შეუძლებლად არის მიჩნეული; დიალექტიკურ ლოგიკაში კი არსებული ლოგიკური რეფლექსები უკუკავშირებსაც ახორციელებს. ეს ყველაზე უკეთ ჩანს კატეგორიების ლოგიკურ კავშირებში; მაგალითად, კერძოს და ზოგადის ერთიანობაში: თუ არსებობს კერძო, მაშინ არსებობს ზოგადი (რადგან ზოგადი სწორედ კერძოს ზოგადია) და პირიქით—თუ არსებობს ზოგადი, მაშინ არის კერძო (რადგან ზოგადი სწორედ იმას ჰქვია, რაც საერთოა ბევრისათვის, ბევრი ელემენტისათვის), საფუძველი სწორედ შედეგის საფუძველს ჰქვია და პირიქით. ამიტომ შეუძლებელია ამ რეფლექსურობაში არ იყოს უკუკავშირი და ურთიერთკავშირი. მატერიალისტური დიალექტიკის ერთი ძირითადი დებულების, სახელდობრ, ურთიერთკავშირის დებულების ლოგიკაში გამართლება მხოლოდ დიალექტიკურ ლოგიკაშია შესაძლებელი.

თუ უკუკავშირების ლოგიკური გამართლება ხორციელდება დიალექტიკურ ლოგიკაში და თუ უკუკავშირი დასაყრდენია კიბერნეტიკისათვის, როგორც ამას გ. კლაუსი აღნიშნავს[18], მაშინ დიალექტიკური ლოგიკა ლოგიკური საფუძველია კიბერნეტიკისაც.

მაშასადამე, შეიძლება დავასკვნათ, რომ დიალექტიკურ-ლოგიკური არის რეფლექსურ-ლოგიკური.

5. რეფლექსურ-ლოგიკური შეიცავს ფორმალური ლოგიკისათვის დაუშვებელ სიძნელეს; ეს არის „ორმნიშვნელოვანობის“ სიძნელე, რომელსაც ბურჟუაზიულ დასავლეთში მიეძღვნა რამდენიმე შრომა[19]. ამ შრომებში

[18] Г. Клаус, Философия и кибернетика, გვ. 310—347.

[19] ჰაისის და გიუნთერის ზემოთ დასახელებული შრომები, აგრეთვე, გიუნთერის წერილი „Zweiwertigkeit, logische Paradoxie und Selbst-referierende Reflexion, Z. f. Phil. Forsch., 1963, Juli-September.

მოყვანილია ლოგიკური „ორმნიშვნელოვანების“ (Zweiwerigkeit, Zweideutigkeit Doppeldeutigkeit), ფაქტები, უმთავრესად, ჰეგელის „ლოგიკიდან“ (აგრეთვე, მარქსიდანაც). ამ ფაქტებიდან ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია ჰეგელის დებულება: „უარყოფითი ამდენადვე დადებითია“, და საერთოდ რეფლექსურობა, რომელზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი. გიუნთერის აზრით, დადებითის და უარყოფითის ერთიანობა, რეფლექსურობა, რომელიც ორმნიშვნელოვანია, უნდა გადაწყდეს მრავალნიშნა ლოგიკაში, რომლის შექმნასაც, როგორც ეს ზემოთაც აღინიშნა, ის მისი შრომის მეორე ტომში გვპირდება. უმთავრესად, იმ გზით, რომ ორმნიშვნელობის ერთიანობა მრავალ მნიშვნელობად დანაწილდება. ჩვენი აზრით, „ორმნიშვნელოვანების“ სიძნელის გადაწყვეტის ასეთი გზა მცდარია, რადგან ერთიანობის დანაწილება მრავალმნიშვნელობად ორმნიშვნელოვანების სიძნელეს კიდევ უფრო გაართულებს და მის გადაწყვეტას შეუძლებელს გახდის, რადგან ორმნიშვნელოვანება უნდა გადაწყდეს მხოლოდ და მხოლოდ ერთი გზით, მისთვის ერთმნიშვნელოვანობის მოძებნით. ეს ნიშნავს არა ორმნიშვნელოვანობის გაუქმებას, არამედ ისეთი ერთმნიშვნელობის მოძებნას, რომელიც ორმნიშვნელოვანების მომენტად შემცველი იქნება. ეს იქნება დაპირისპირებულთა ერთიანობა, რომელიც სრული აუცილებლობის ბუნების იქნება და არ დაიშლება მრავალმნიშვნელობად (როგორც ეს გიუნთერის ნაჩვენები გზით მოხდება).

ფორმალური ლოგიკა (მათემატიკური ლოგიკის ჩათვლით) აღიარებს ცნების მხოლოდ ერთმნიშვნელოვანებას, ორმნიშვნელოვანება შეცდომად მიაჩნია. თუ ცნებას არა ერთი, არამედ ორი და ისიც ერთმეორის საწინააღმდეგო მნიშვნელობა აქვს, ე. ი. თუ ორმნიშვნელოვანება აუქმებს ერთმნიშვნელოვანებას, მაშინ იგი, მართლაც, ყალბ ცნებას წარმოადგენს, ასეთი ცნება შეუძლებელია. სემანტიკისათვის არსებითია სიტყვების ერთმნიშვნელოვანების დადგენა; ორმნიშვნელოვანება ბუნდოვანებად და შეცდომად არის მიჩნეული. ეს, მართლაც, ასეა, მაგრამ არსებობს ისეთი ორმნიშვნელოვანებები, რომელთა უგულებელყოფა შეუძლებელია.

ჯერ კიდევ ანტიკურ დროში სკეპტიკოსი ენეზიდემი აღნიშნავდა მიზეზობრიობის ორმნიშვნელოვანებას, რის საფუძველზედაც იგი მიზეზობრიობის უარყოფას ცდილობდა. მართლაც, მიზეზის ცნება არ შეიძლება იყოს მხოლოდ მიზეზის ცნება იმ აზრით, რომ ის შედეგის (მოქმედების) აზრს სრულიად გამორიცხავდეს და შედეგის ცნებაც არ შეიძლება მიზეზისას არაფერს გულისხმობდეს. მიზეზი სწორედ შედეგის მიზეზს ჰქვია და შედეგი (მოქმედება) სწორედ მიზეზის შედეგს წარმოადგენს. ერთის ცნება მეორეს გულისხმობს და პირიქით. უშედეგოდ მიზეზიც, როგორც მართლაც მიზეზი, არ არსებობს და პირიქით: ენეზიდემის მიერ აღნიშნული სიძნელე მიზეზობრიობის დახასიათებაა და არა მისი გაუქმება. მიზეზობრიობაში არსებობს ორმნიშვნელოვანება, რომელიც სიძნელეს შეიცავს, მაგრამ ეს სიძნელე წყდება სხვა კატეგორიის მოშველიებით. აქ ჩანს ერთი კატეგორიისათვის მეორეს აუცილებლობა, მათი კავშირის აუცილებლობა. მატერიალისტურ დიალექტიკაში ცნობილია, რომ მიზეზობრიობის კატეგორიისათვის აუცილებელია ურთიერთმოქმედების კატეგორია, რომელიც თვითონ ეფუძნება თვითმიზეზობრიობას. მიზეზობრიობისა და ურთიერთმოქმედებისათვის დამახასიათებელი ორმნიშვნელოვანების სიძნელის საბოლოო

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადაწყვეტა ხდება თვითმიზეზობრიობაში. თვითმიზეზობრიობის აზრი ჰხვენებს იმას, რომ იგი არის ერთმნიშვნელოვანი, მაგრამ თვითონ მიზეზობრიობასაც ერთი აზრი აქვს, მიუხედავად იმისა, რომ მიზეზიც ორმნიშვნელოვანია და შედეგიც; ერთი სიტყვით, ერთმნიშვნელოვანი მიზეზობრიობა ორმნიშვნელოვანობას შეიცავს, მას ხსნის და ინახავს (და არ აუქმებს). თვითონ მიზეზიც ერთმნიშვნელოვანია, მიუხედავად იმისა, რომ ის შედეგის ნიშანს შეიცავს. შედეგის მოგულისხმე მიზეზი ერთი გარკვეული აზრის მქონეა.

ასე უნდა ითქვას ლოგიკური საფუძველ-შედეგის დამოკიდებულების შესახებაც. საფუძვლის ცნება შედეგის ნიშანსაც შეიცავს და პირიქით, რადგან საფუძველი სწორედ შედეგის საფუძველია და პირიქით. საფუძველი, რომელიც შედეგს არ გულისხმობს არ არის საფუძველი. ამ ორმნიშვნელოვნების სიძნელე საბოლოოდ წყდება თვითსაფუძველში (რომლის შესახებაც ქვემოთ გვექნება საუბარი), მაგრამ ახლავე შეიძლება იმის თქმა, რომ საფუძვლის ორმნიშვნელოვნება და შედეგის ორმნიშვნელოვნება მოხსნილ-შენახულია საფუძველ-შედეგის დამოკიდებულების ერთმნიშვნელოვნებაში. თვითონ საფუძველიც (შედეგიც) ერთმნიშვნელოვანია, მიუხედავად იმისა, რომ ის შეიცავს შედეგის (საფუძვლის) ნიშანს.

მატერიალისტურ დიალექტიკაში თავისუფლების განსაზღვრება—თავისუფლება არის შეგნებული აუცილებლობა—მიუთითებს იმას, რომ თავისუფლება არ არის მხოლოდ თავისუფლება, ის არის გარკვეული აუცილებლობა. ანდა, როცა ამბობენ, რომ „კერძო არის ზოგადი“ (მაგალითად, „ცუგა არის ძაღლი“), მაშინ მხედველობაში აქვთ ის, რომ კერძო მხოლოდ კერძო კი არაა, არამედ—ზოგადიც, და სხვა. ასეთი ორმნიშვნელოვანების გარეშე არ არსებობს მატერიალისტური დიალექტიკა, რომელიც აღიარებს არა წმინდა ორმნიშვნელოვან ცნებებს და დებულებებს, არამედ—ორმნიშვნელოვანების შემცველ ერთმნიშვნელოვან ცნებებს და დებულებებს. თავისუფლება, რომელიც აუცილებლობის ნიშანს შეიცავს, ერთმნიშვნელოვანია; ზოგადის შემცველი კერძოც ერთმნიშვნელოვანია, თუმცა მასში ნაგულისხმევია ორმნიშვნელოვნება, და სხვ.

ვ. ი. ლენინი ეთანხმება ჰეგელს დებულებაში—„უარყოფითი ამდენადვე დადებითია“ და უმატებს: „უარყოფა არის რაღაც გარკვეული. აქვს გარკვეული შინაარსი...“[20], აგრეთვე: „არა „იშველი უარყოფა, არა ფუჭი უარყოფა, არა სკეპტიკური უარყოფა. მარყეობა, ეჭვი არის დამახასიათებელი და არსებითი დიალექტიკაში, — რომელიც, უეჭველია, შეიცავს უარყოფის ელემენტს და თანაც როგორც თავის უმნიშვნელოვანეს ელემენტს. — არამედ უარყოფა როგორც მომენტი კავშირისა, როგორც მომენტი განვითარებისა, დადებითის შენახვით, ე. ი. ყოველგვარი მერყეობის გარეშე, ყოველგვარი ეკლექტიკის გარეშე“[21]. აქ ნათლად ჩანს ის, რომ „უარყოფა“ ორმნიშვნელოვანია, რადგან იგი დადებითიცაა, მაგრამ ასეთი „კონკრეტული უარყოფა“ ერთმნიშვნელოვანია, რომელიც არ იშლება ორმნიშვნელობად, არამედ მას თავისში შეიცავს. აქ არის დიალექტიკა და არა ეკლექტიკა.

„ორმნიშვნელოვანების“ ცნების ისტორია იწყება პლატონის „სოფისტე“-დან, სადაც მან პარმენიდეს აბსოლუტური არარის ცნების წინააღმდეგ წამოაყენა შედარებითი არარის, როგორც განსხვავების, ცნება. პლატონის აზრით, „არარა არის“, რამდენადაც რაიმე არის ის, რაც არ არის სხვა, უკეთ, რამ-

---

[20] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 38, გვ. 88.

[21] იქვე, გვ. 225—226.

დენადაც რაიმე არის სხვის არარსი. შედარებითი არარსის ცნება ანუ შედარებითი უარყოფის ცნება ნაყოფიერად იქნა გამოყენებული ჰეგელის დიალექტიკაში. დიალექტიკა შეუძლებელია შედარებითი უარყოფის გარეშე. შედარებითი უარყოფა არის კონკრეტული უარყოფა, რომელიც შეიცავს ორმხრივნელოვანებას. დიალექტიკის მოწინააღმდეგენი აიგივებენ შედარებით უარყოფას აბსოლუტურ უარყოფასთან, ესე იგი უშვებენ შეცდომას და ამ შეცდომის საფუძველზე ცდილობენ დიალექტიკის უარყოფას, რაც, ცხადია, მათ სისუსტეს ამჟღავნებს მხოლოდ.

ორმნიშვნელოვანებას შეიცავს რაიმეს უარყოფით სხვისი დადგენა, რადგან აქ უარყოფა არის დადგენაც, დადებითობის როლის შემსრულებელი. მაგალითად, კერძოს უარყოფა არის ზოგადის დადგენა; ზოგადის უარყოფა კერძოს დადგენაა; არა სასრულო არის უსასრულო და პირიქით, არაშედარებითი აბსოლუტურია და პირიქით.

ყოველი სინთეზურ-ლოგიკური ორმნიშვნელოვანებას შეიცავს. სინთეზურ მსჯელობაში სუბიექტი არის მისგან განსხვავებული პრედიკატი („კერძო არის ზოგადი"); წანამძღვრებიდან აუცილებლობით გამომდინარეობს მასში ნაგულისხმევი, მაგრამ მისგან განსხვავებული დასკვნა; დასაბუთება, როგორც არისტოტელე ითყოდა, არის ის, რომ თუ არის ერთი რაიმე, მაშინ აუცილებლობით არის აგრეთვე სხვაც.

თუ ორმნიშვნელოვანება ისეა აღებული, რომ რაიმესთვის, როგორც მისი საწინააღმდეგოსთან შეუთავსებლისათვის, ეს საწინააღმდეგო აუცილებელია, მაშინ სწორედ წინააღმდეგობის ეს აუცილებლობა (და არა ერთიანობა) იწოდება უარყოფით დიალექტიკად (რომლის ცნება პირველად ჰეგელმა გაარკვია). მაგალითად, სასრულისთვის თავიდან მოუცილებელია, ამ აზრით, აუცილებელია უსასრულო და პირიქით, კერძოსათვის აუცილებელია ზოგადი და პირიქით, რადგან ისინი ერთმეორის გარეშე აზრს ჰკარგავენ, და სხვ. მაშველი წინააღმდეგობა აზროვნებაში შეცდომას წარმოადგენს; უარყოფითი დიალექტიკა, აღებული ცალკე, როგორც წინააღმდეგობა, შეცდომაა; ის არის „სკეპტიციზმი", რომელიც ვ. ი. ლენინის აზრით, არის მომენტი დიალექტიკის[22]. უარყოფითი დიალექტიკა მოითხოვს გამართლებას; ის მართლდება დადებით დიალექტიკაში.

მაშასადამე, დიალექტიკურ-ლოგიკური შეიცავს უარყოფით დიალექტიკას, თავისებურ „ორმნიშვნელოვანებას".

6. „ორმნიშვნელოვანების" გამმართლებელი ლოგიკური არის უსასრულო ლოგიკური. არისტოტელეს აზრით, სასრული ანუ გარკვეული არის „ეს და არა სხვა". ეს აზრი ბატონობს ახალ დროშიც (ლაიბნიცი, ბოლცანო, ჰუსერლი და მთელი ფორმალური ლოგიკა), რადგან სასრულობად და გარკვეულობად მიაჩნიათ „მშვენიერად და არა სხვაგვარად ყოფნა". აქგანად გაგებული სასრულის კატეგორია საფუძვლად უძევს მთელ ფორმალურ ლოგიკას (მათმატიკური ლოგიკის ჩათვლით), რადგან „ეს არის ეს და არა სხვა" მსჯელობის (დადებითი და უარყოფითი მსჯელობების) საფუძველს და შინაარსს წარმოადგენს; ასეთი მსჯელობები შეადგენენ დასკვნებს და დასაბუთებას. როცა „სხვა" არის საწინააღმდეგო, მაშინ „ეს და არა სხვა" უშუალოდ გამოთქმულია წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონით (და ფორმალური ლოგიკის სხვა კანონებით: „ეს არის ეს" იგივეობის კანონია, „ეს ან საწინააღმდეგო" გამორიცხულო

---

[22] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 38, გვ. 225—226 და თხზ., ტ. 14, გვ. 165.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მესამის კანონს წარმოადგენს). ფორმალური ლოგიკისათვის არსებობს მხოლოდ სასრული ლოგიკური, უსასრულო ლოგიკური კი შეუძლებელია.

უსასრულო ლოგიკურის შესაძლებლობაზე მიუთითებს ზემოთ განხილული „ორმნიშვნელოვანების“ პრობლემის არსებობა, მისი კანონიერება. თუ „უარყოფითი ამდენადვე დადებითიცაა“, მაშინ საქმე გვაქვს არა მხოლოდ სასრულთან, რადგან სწორად მივვაჩინა არა მხოლოდ ის, რომ „უარყოფითი არის უარყოფითი და არა სხვა (დადებითი)“, არამედ ისიც, რომ „უარყოფითი დადებითიცაა“. უსასრულო ლოგიკურის პრობლემა დგას მაშინაც, როცა მსჯელობენ „თვითუარმყოფელი დებულებების“ შესახებ[23] და მაშინაც, როცა ლოგიკის საყრდენს ეძებენ იმაში, რაც თავის თავს აფუძნებს[24], თუმცა ეს პრობლემა ამ შემთხვევებში უარყოფითად წყდება: 1) ვუდი და ვერკმანტერი უარყოფენ „თვითუარმყოფელ დებულებებში“ არსებული წინააღმდეგობის ლოგიკურობას, 2) დინგლერი კი ლოგიკის საფუძველს თავისუფალ ნებისყოფაში ხედავს. ამ შეხედულებათა მცდარობა არ აუქმებს პრობლემას უსასრულო ლოგიკურის შესახებ.

უსასრულო ლოგიკურის პრობლემა დგას მაშინაც, როცა მსჯელობენ ლოგიკური თუ სიმრავლეთა თეორიის პარადოქსების შესახებ. თუ პრედიკატთა გაფართოებული აღრიცხვა მიდის პარადოქსებამდე, რომელსაც აწვევს პრედიკატის მიწერა თავისთავისადმი როგორც არგუმენტისადმი[25], კერძოდ—„არაპრედიკაბელურის“ პარადოქსამდე, მაშინ, ცხადია, პრობლემა უსასრული ლოგიკურს ეხება და უნდა ეხებოდეს. ლოგიკური რეფლექსურობის პრობლემა ლოგიკური უსასრულობის პრობლემაა.

ლოგიკური რეფლექსურობის და „ორმნიშვნელოვანების“ პრობლემა წყდება ლოგიკური უსასრულობის პრობლემის გადაწყვეტაში.

„ორმნიშვნელოვანების“ პრობლემის გადაწყვეტის პირველ საფეხურს წარმოადგენს უარყოფითი დიალექტიკა, საწინააღმდეგოს აუცილებლობა. მაგალითად, ზოგადისათვის თავიდან მოუცილებელია, ამ აზრით, აუცილებელია კერძო, რადგან კერძოსგან გამოცალკევებული ზოგადი თვითონ არის კერძო; უსასრულო, წარმოდგენილი სასრულის მიღმა, თვითონ არის სასრული და სხვ. ამიტომ რაიმესთვის მისი საწინააღმდეგოს აუცილებლობა უკვე მიუთითებს „ორმნიშვნელოვანების“ აუცილებლობაზე და მას წარმოადგენს. უარყოფითი დიალექტიკა, როგორც წინააღმდეგობის აუცილებლობა (რომელიც პირველად ჯანტმა აჩვენა თავის „ანტინომებში“), გამართლებას საჭიროებს. უარყოფითი დიალექტიკის გამართლება შესაძლებელია დადებით დიალექტიკაში, სახელდობრ, წინააღმდეგობის ერთიანობაში. წინააღმდეგობა შესაძლებელია და მართლება ერთიანობის საფუძველზე, ერთიანობაში (ჰეგელის „სპეკულატურში“ და მატერიალისტურ დიალექტიკაში, როგორც დადებით დიალექტიკაში). თუ „ორმნიშვნელოვანება“ საბოლოოდ გადაწყდება წინააღმდეგობის ერთიანობაში, მაშინ წინააღმდეგობის ერთიანობა იქნება არა „ორმნიშვნელოვანება“, არამედ „სამმნიშვნელოვანება“, მაგრამ — ისეთი „სამმნიშვნელოვანება“, სადაც

---

[23] იხ. L. Wood, The Analysis of Knowledge, 1940, p. 195. W. H. Werkmeister, The Basis and Structure of Knowledge, 1948, p. 243—244.

[24] H. Dingler, Philosophie der Logik und Arithmetik, 1931, S. 22; მისივე— Der Zusammenbruch der Wissenschlaft, 1926,S. 74.

[25] Д. Гильберт, и В. Аккерман, Основы теоретической логики, გვ. 183 და შემდეგ.

„მესამე“ იქნება არა სასრული, არამედ უსასრული, რადგან წინააღმდეგობას ჰხოლოდ ორი მხარე—ორი სრული სასრული მხარე აქვს, მათი ერთიანობა კი არ შეიძლება იქნეს ისეთი, როგორც არის წინააღმდეგობის ერთი მხარე. თუ სასრული არის „ეს და არა სხვა“ ან „ეს და არასაწინააღმდეგო“, მაშინ უსასრულო იქნება „ეს და საწინააღმდეგო“. უკეთ—წინააღმდეგობის ერთიანობა. მაგრამ როგორ არის შესაძლებელი ასეთი ლოგიკური? ლოგიკურის რა ფორმით შეიძლება არსებობდეს წინააღმდეგობის ერთიანობა?

სასრული ლოგიკური იგივეა, რაც პირობით-ლოგიკური, რომელიც გამოითქმება დებულებით „თუ არის A, მაშინ არის B“ (როგორც საფუძველშედეგის დამოკიდებულება), რაც ფორმალურ ლოგიკაში განხილული დასკვნების პრინციპს წარმოადგენს. თუ სასრული ლოგიკური არის პირობით-ლოგიკური, მაშინ უსასრულო ლოგიკური იქნება უპირობო ლოგიკური. სასრული და სასრული ლოგიკური შეიძლება განმარტოს ასეც: სასრული არის ის, რაც დგინდება და უარიყოფა სხვით; ასეთია ყოველი სავანი, რომელიც არსებობს გარკვეული პირობების ძალით და რომელიც ისპობა გარკვეული პირობების გამო. სასრული ლოგიკური არის ის, რომელიც საბუთდება—დგინდება, ან უარიყოფა სხვით. ასეთია ყოველი დანასკვი, რომელიც ემყარება გარკვეულ წანამძღვრებს და ყოველი დებულება, რომელიც შეიძლება უარყოფილ იქნეს სხვა დებულებით.

თუ სასრული ლოგიკური არის ის, რაც სხვით დგინდება და უარიყოფა, მაშინ უსასრულო ლოგიკური იქნება თვითდადგენა. შესაძლებელია კი ასეთი ლოგიკური? თუ შესაძლებელია თვითდადგენა, მაშინ ასეთი ლოგიკური იგივე იქნება, რაც წინააღმდეგობის ერთიანობა, თუ კი შესაძლებელია თვითდადგენა შინაგანი უარყოფის საშუალებით განხორციელდეს. ასეთი (უსასრულო) ლოგიკური არათუ შესაძლებელია, არამედ ის არსებობს ფაქტიურად; მას დღეი ჰქონდა ფილოსოფიის ისტორიაში და ყოველთვის მოქმედებს ფორმალურ-ლოგიკურის საფუძველში.

ზემოთ განხილული რეფლექსურობა, რომელიც ლოგიკურის კატეგორიებთან არის დაკავშირებული, უშუალოდ აჩვენებს უსასრულო ლოგიკურის არსებობას. როგორც ითქვა, იგივეობის უარყოფა იგივეობასვე მოიხმარს და ადგენს როგორც საკუთარ საშუალება-საფუძველს; უარყოფის უარყოფა უარყოფასვე ადგენს; მსჯელობის ლოგიკური უარყოფა ისევ მსჯელობაა; აზრის ლოგიკური უარყოფა თვითონ არის აზრი (ასე უნდა გავიგოთ დეკარტის **cogito**-ს ლოგიკური ბუნება); ჭეშმარიტების უარყოფა შეუძლებელია, რადგან ასეთი უარყოფის დროს თვითონ ეს უარყოფა უნდა იქნეს მიჩნეული როგორც ჭეშმარიტი (ასეთი აზრი ჰქონდა სოკრატეს ბრძოლას სოფისტების წინააღმდეგ ჭეშმარიტების საკითხში); კერძოს უარყოფით მიღებული ზოგადი თვითონ არის კერძო და ზოგადის უარყოფით მიღებული კერძო აღებული უნდა იქნეს როგორც ზოგადი და თვითონ ასეთი უარყოფაც ზოგადის ხასიათისაა, ამიტომ ზოგადის და კერძოს უარყოფები მათ აუცილებლობას, კიდევ მეტი, მათი ერთიანობის აუცილებლობას ადგენს.

ამრიგად, რაიმეს უარყოფით მისივე დადგენა არის უსასრულო ლოგიკური. თუ დასკვნას გავიგებთ აზრთა შუალობით ერთიანობის აზრით, მაშინ უსასრულო ლოგიკური იქნება უსასრულო დასკვნა.

როგორც ირკვევა, უსასრულო დასკვნა, როგორც გარკვეული შუალობითი კავშირი, არის: 1) წინააღმდეგობის ერთიანობა, რადგან იგი დადგენა-უარყოფის ერთიანობაა; 2) სრული რეფლექსურ-ლოგიკური, რადგან რაიმეს უარყოფით

იგივე რაიმე დგინდება; ეს არის უარყოფის საშუალებით თვითდადგენა; 3) სრული სინთეზურობა, რადგან წარმოადგენს დაპირისპირებულთა ერთიანობას; 4) „ორმხიშვნელოვანების“ დამძლევი და შემხვეული, რამდენადაც რაიმეს უარყოფით მისივე დადგენა არის დადგენა-უარყოფის ერთიანობა, სადაც უარყოფას დადებითი მნიშვნელობაც აქვს: უარყოფა მხოლოდ კი არ უარყოფს, არამედ ადგენს კიდეც.

უსასრულო ლოგიკური, როგორც წინააღმდეგობის ერთიანობა, მოქმედებ ყოველგვარ სინთეზურში, რადგან ეს უკანასკნელი თავის თავში შეიცავს შინაგან უარყოფას, შინაგანი უარყოფით არის განსაზღვრული. ყოველი განსაზღრულობა შეიცავს შინაგან უარყოფას; „ყოველი განსაზღვრება არის უარყოფა (omnis determinatio est negatio).

თუ უსასრულო დასკვნა არის ლოგიკური დაპირისპირებულთა ერთიანობა, მაშინ ცხადია, რომ დიალექტიკური ლოგიკის, როგორც უსასრულო ლოგიკურ ლოგიკის, ძირითადი კანონი იქნება დაპირისპირებულთა ერთიანობის კანონი, რომელიც ლოგიკაში თვითდადგენის კანონის სახით არსებობს და მოქმედებს ყველა სხვა კანონი მასზე იქნება დაქვემდებარებული. მაგალითად, იგივეობის კანონი მისი ერთი მხარის გამომხატველი იქნება, რამდენადაც რაიმეს უარყოფით იგივეს დადგენა იგივეობას აუცილებლობით შეიცავს; რაიმეს უარყოფით მისივე დადგენა წინააღმდეგობის ერთიანობაა, მაგრამ ის კრძალავს დადგენის და უარყოფის გაიგივებას: დადგენა, როგორც დადებითი, გამორიცხავს უარყოფას და პირიქით; საწინააღმდეგოთა (თუ დაპირისპირებულთა) ურთიერთგამორიცხვა და ურთიერთშეუთვისებლობა მომენტად შეიცავს წინააღმდეგობის შეუძლებლობას: შეუძლებელია დადგენა იყოს უარყოფა და პირიქით; ასევე, რომ წინააღმდეგობის შეუძლებლობა არის მომენტი წინააღმდეგობის ერთიანობისა, რამდენადაც მასში არის წინააღმდეგობა (ურთიერთგამორიცხვა). რამდენადაც დადგენა და უარყოფა ერთიმეორეს უარყოფენ, ამდენად თვითეულ მათგანი არის მისი უარყოფის უარყოფა. აქედან ჩანს, რომ უარყოფის უარყოფის დიალექტიკური კანონი ლოგიკის კანონსაც წარმოადგენს. რამდენადაც ლოგიკური არის სინთეზური, ამდენად მასში ხორციელდება ახლის მიღება. დიალექტიკის კანონი როდენობის თვისობრიობაში გადასვლისა ლოგიკაში ახლის მიღების აუცილებელი სინთეზის თუ აუცილებელი მეორის კანონის სახით იღებს.

მაშასადამე, დიალექტიკურ-ლოგიკური არის უსასრულო ლოგიკური, რომელიც სასრულ-ლოგიკურს მომენტად შეიცავს. ამდენად დიალექტიკური ლოგიკა არის ფორმალური ლოგიკის მომხსნელ-შემნახველი; ის არის ლოგიკის განვითარების უმაღლესი საფეხური, „უმაღლესი ლოგიკა“.

7. დიალექტიკური ლოგიკა მხოლოდ მაშინ იქნება ლოგიკა, თუ დიალექტიკური მეთოდი ხორციელდება ახრის ფორმებში; ე. ი. თუ ეს მეთოდი დასაბუთების მეთოდსაც წარმოადგენს. ისე როგორც დედუქციური ლოგიკა ემყარება დედუქციურ მეთოდს, რომელიც გარკვეულ დასკვნებში ხორციელდება და ინდუქციური ლოგიკა—ინდუქციურ მეთოდს, რაც უნდა ხორციელდებოდეს ინდუქციურ დასკვნებში, ასევე დიალექტიკური ლოგიკა ემყარება დიალექტიკურ მეთოდს, რომელიც ხორციელდება ახრის ფორმებში, განსაკუთრებით, თავისებურ დასკვნებში. ასეთი დასკვნები, როგორც ვნახეთ, უსასრულო დასკვნებია; უსასრულო დასკვნა ლოგიკურ დაპირისპირებულთა ერთიანო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბას წარმოადგენს; იგი, როგორც უსასრულო დასკვნა, როგორც ვნახეთ, სასრულ ლოგიკურს შეიცავს და იქვემდებარებს. ლოგიკური მთლიანად ექვემდებარება დიალექტიკურ მეთოდს, რომლის არსებაც დაპირისპირებულთა ერთიანობაში მდგომარეობს. დაპირისპირებულთა ერთიანობა არის დიალექტიკის „ბირთვი“ (ვ. ი. ლენინი).

მატერიალისტურ დიალექტიკაში დასაბუთებულია, რომ დაპირისპირებულთა ერთიანობა განვითარების წყაროს წარმოადგენს. ამიტომ დიალექტიკური მეთოდი ლოგიკურში, ეს უნდა იყოს აზრის ლოგიკურ ფორმათა განვითარების მეთოდი, წესი. ლოგიკაში დიალექტიკური მეთოდი არის „ლოგიკური განვითარების“ (ფ. ენგელსი) მეთოდი.

დიალექტიკურ ლოგიკაში აზრის ფორმების დალაგება არ შეიძლება არ ემყარებოდეს ლოგიკურ განვითარებას. ფ. ენგელსი პირდაპირ მიუთითებს, რომ: „დიალექტიკური ლოგიკა, წინააღმდეგ ძველი, წმინდა ფორმალური ლოგიკისა, არ კმაყოფილდება ამ უკანასკნელის მსგავსად იმით, რომ ჩამოთვალოს და ყოველგვარი კავშირის გარეშე ერთი მეორის გვერდით დააწყოს აზროვნების ფორმები. მას, პირიქით, ეს ფორმები ერთი მეორიდან გამოჰყავს, იგი მათ შორის ნაცვალად კოორდინაციისა სუბორდინაციის დამოკიდებულებას ამყარებს და დაბალი ფორმებიდან უფრო მაღალ ფორმებს ანვითარებს“[20]. აზროვნების ფორმათა განვითარება შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ ლოგიკის მთელ სისტემაში; რამდენიმე ფრაზით მისი წარმოდგენა თითქმის შეუძლებელია. მიუხედავად ამისა, ჩვენ აქ შევეცდებით სრულიად მოკლედ მივუთითოთ იმაზე, თუ როგორია ეს განვითარება.

უპირველ უნდა ითქვას, რომ თუ ლოგიკური არის სინთეზური, მაშინ ის არ შეიძლება განვითარებას არ წარმოადგენდეს, რადგან სინთეზურობა არის ახლის „მიმატება“, რაც სხვა არაფერია, თუ არა განვითარება. თუ მსჯელობა სინთეზურია, მაშინ ცხადია, რომ სუბიექტს „ემატება“ მისგან განსხვავებული პრედიკატი, ე. ი. მთელი მსჯელობა არის განვითარება. თუ დასკვნა სინთეზურია, ე. ი. დანასკვი წანამძღვრებთან შედარებით ახალია, მაშინ მთელი დასკვნა განვითარებას წარმოადგენს. თუ დასაბუთება იმას ნიშნავს, რომ „თუ რაიმე არის, მაშინ არის სხვაც“, მაშინ დასაბუთების ეს სინთეზირება განვითარებაა. როგორც ცნობილია, მსჯელობა მართლდება დასკვნაში, დასკვნა კი დასაბუთებაში, რომელიც ამოდენტური ბუნებისაა; ის სწორედ ეს გამართლება მსჯელობისა დასკვნაში და დასკვნისა დასაბუთებაში თვითონ არის დასაბუთება (ლოგიკური განვითარება არის დასაბუთება), რომელსაც განვითარების ხასიათი აქვს.

ლოგიკური განვითარება ლოგიკურ სინთეზურობაში მდგომარეობს, მაგრამ თანახმად მატერიალისტური დიალექტიკისა, განვითარება ხორციელდება შინაგანი წინააღმდეგობის გაშლა-გადაწყვეტის გზით. ასეთი უნდა იყოს ლოგიკური განვითარებაც, სახელდობრ, აზრის ფორმათა განვითარება, მათი დიალექტიკური გადასვლები, რაც მოკლედ, შეიძლება წარმოდგენილ იქნეს შემდეგნაირად.

რადგან ცნებას აქვს ნიშნები (შინაარსი), რაიმეზე ნიშნის მიწერა კი არის მსჯელობა, ამიტომ მსჯელობის საფუძველზე იქმნება ცნება, ე. ი. მსჯელობა

[20] ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 232.

არის პირველი ცნების და, ცხადია, დასკვნის მიმართ. აზრის უმარტივესი ფორმა არის მსჯელობა, რომელიც ლოგიკის სისტემის დასაწყისს წარმოადგენს.

არისტოტელემ სწორად მიუთითა მსჯელობის ნიშნებზე, როცა მან იგი განსაზღვრა, როგორც მტკიცება და უარყოფა (არის მიმართაც მეორადია ჰეშმარიტება-მცდარობის ნიშნები), თუმცა ეს განსაზღვრება არის არა რეალური, არამედ ნომინალურია, რამდენადაც მსჯელობის განსაზღვრება შესრულებულია მისი სახეების (დადებითი და უარყოფითი მსჯელობების) დასახელებით. ჩვენი აზრით, მსჯელობის არისტოტელური განსაზღვრება უნდა განვითარდეს ისე, რომ მტკიცება-უარყოფის ნიშნები თვითონ მსჯელობის ნიშნებად თუ მომენტებად გამოცხადდეს, ე. ი. მსჯელობა უნდა განისაზღვროს ასე: მსჯელობა არის მტკიცება-უარყოფითი აზრი; მსჯელობას აზრი აქვს მტკიცება-უარყოფით. მაგრამ მტკიცება-უარყოფის სრული ერთიანობა, ლოგიკურად გამართული ერთიანობა, როგორც ეს ზემოთ გავარკვიეთ, არის არა მსჯელობა, არამედ უსასრულო დასკვნა, როგორც რაიმეს უარყოფით მისივე დადგენა (სადაც ლოგიკური აუცილებლობა სისრულით არის წარმოდგენილი). ეს გაურკვევლობა იხსნება, თუ ავღნიშნავთ, რომ მსჯელობა არის აზრის ფორმათა განვითარებითი სისტემის დასაწყისი, უსასრულო დასკვნა კი ბოლოს, დასასრულს წარმოადგენს; მთელი ლოგიკური განვითარება მათ შორის არის მოთავსებული.

მსჯელობა არის მტკიცება-უარყოფა, უკეთ, მსჯელობა უნდა იყოს მტკიცება-უარყოფა, მაგრამ მსჯელობა ნამდვილად არის მტკიცება-უარყოფის ერთიანობის ერთი მხარე, რომელიც მეორეს აუცილებლობით გულისხმობს. მსჯელობა, როგორც მტკიცება (დადებითი მსჯელობა), აუცილებლობით გულისხმობს უარყოფის მომენტს, რადგან იგი სინთეზურია (როგორც ეს ზემოთ გაირკვა); უარყოფითი მსჯელობაც აუცილებლობით გულისხმობს დადებითობის მომენტს (პრედიკატის სუბიექტზე უარყოფითი მიწერა ამ უკანასკნელს გულისხმობს), წინააღმდეგ შემთხვევაში, ის მსჯელობა არ იქნებოდა, რომ მსჯელობა არის მტკიცება-უარყოფა და მსჯელობა არ არის მტკიცება-უარყოფა (რადგან ის მხოლოდ მისი ერთმხრიობაა), ეს არის მსჯელობის ანტინომიურობა.

მსჯელობა თავის ბუნებით ანტინომიურია, რაც ნათლად ჩანს მაშინ, თუ მსჯელობა გაგებული იქნა, როგორც „კერძო არის ზოგადი“: „კერძო არის ზოგადი“ (მაგ., „ცუგა არის ძაღლი“), მაგრამ „კერძო არ არის ზოგადი“, რადგან „კერძო“ და „ზოგადი“ ერთმეორის საპირისპირო ცნებებია.

რომ მსჯელობის წინააღმდეგობა—ანტინომიურობა მსჯელობის სფეროშივე წყდებოდეს, მაშინ საჭირო აღარ იქნებოდა აზრის სხვა ლოგიკური ფორმები; ლოგიკა ამთავრებდა მსჯელობით, რადგან მსჯელობა, როგორც მტკიცება-უარყოფის ერთიანობა, იგივე იქნებოდა, რაც უსასრულო დასკვნა, რომელში განხორციელებულ ლოგიკურ აუცილებლობაზე უფრო სრული აუცილებლობა შეუძლებელია; ლოგიკა კი სწორედ ამ აუცილებლობის სისრულით წარმოდგენის მეტს არაფერს არ უნდა წარმოადგენდეს.

ახლახან თქმული იმაზე მიუთითებს, რომ მსჯელობის ანტინომიურობა თანდათანობით გადაწყდება აზრის სხვადასხვა ფორმაში, ბოლოს კი სისრულით გადაწყდება, ე. ი. მსჯელობის აზრი სისრულით გამართლდება უსასრულო დასკვნაში, რომელიც დაასრულებს ლოგიკურ სისტემას.

მსჯელობის ანტინომიურობის გადაწყვეტის პირველ ნაბიჯს წარმოადგენს „უშუალო“ დასკვნა, როგორც ერთი მსჯელობის მეორეში და კატეგორიების

ერთმეორეში გადასვლა, ანუ: დადებითის უარყოფითში და პირიქით და კერძოს ზოგადში და პირიქით გადასვლები, როგორც სპარისპირისპირში თუ საწინააღმდეგოში გადასვლები (რაც არ ხორციელდება ფორმალურ ლოგიკაში, სადაც უშუალო დასკვნას მხოლოდ ანალიზური ხასიათი აქვს); მაგრამ ამგვარად გაგებული უშუალო დასკვნები წარმოადგენენ წინააღმდეგობის აუცილებლობას; ეს კი უარყოფითი დიალექტიკაა, რომელიც თვითონ მოითხოვს გამართლებას (რის გარეშე იგი შეცდომას წარმოადგენს). რაც შესაძლებელია შუალობით დასკვნაში, სახელდობრ, სასრულ შუალობით დასკვნებში (არა უსასრულო შუალობით ლოგიკურ კავშირებში).

სასრულ შუალობით დასკვნებში მართლდება უშუალო დასკვნები, რამდენადაც რაიმე სხვაში ან მის საწინააღმდეგოში გადადის „მესამეს“ საშუალებით, დაკავშირება ხდება „მესამის“ საშუალებით. ასეთია, მაგალითად, კატეგორიული სილოგიზმი (და სხვა ფორმალურ-ლოგიკური შუალობითი დასკვნები) და კატეგორიების, სახელდობრ, ერთეულის, განსაკუთრებულის და ზოგადის კავშირები (მაგალითად, ჰეგელის „ლოგიკაში“ განხილული დასკვნები). (მათემატიკური ლოგიკაში კი შუალობითი დასკვნა დაყვანილია პირობით წინადადებაზე. თუ ცნებას ენაში შეესატყვისება სიტყვა, მსჯელობას—წინადადება, დასკვნას არ აქვს ენობრივი შესატყვისი; ამიტომ ვისაც ლოგიკა გრამატიკაზე დაყავს, ის იძულებულია შუალობითი დასკვნა დაიყვანოს წინადადებაზე; მაგრამ ეს გარემოება შუალობითი ლოგიკური კავშირის უგულებელყოფაა).

აქ აღსანიშნავია ორი რამ: 1) სასრული შუალობითი დასკვნები ადგენს ზოგად ერთიანობას, სახელდობრ, კერძოს და ზოგადის ერთიანობას, რომელსაც ცნება წარმოადგენს (ცნების განსაზღვრების ფორმალურ-ლოგიკური წესიც —უახლესი გვარის და სპეციფიკური ნიშნის დადგენის წესიც სწორედ ამ გარემოებაზე მიუთითებს). ეს იმას ნიშნავს, რომ სასრული დასკვნა გადადის ცნებაში და დგინდება ცნება, როგორც კერძოს და ზოგადის ერთიანობა; 2) ერთეულის და ზოგადის ერთიანობა განსაკუთრებულის საშუალებით არის მხოლოდ ერთი სახე დასკვნისა, მაგრამ არ არის სრული შუალობითი კავშირი, რასაც თვითონ იგი საჭიროებს; ეს გარემოება იმაში ჩანს, რომ განსაკუთრებული, როგორც საშუალო, საბოლოო ანგარიშში, ჩქმალავს ერთეულის და ზოგადის დაპირისპირებას და ჰქმნის გამოუვალ წინააღმდეგობას[37], მაშინ როცა ეს დაპირისპირება დასკვნაში სისრულით უნდა იყოს წარმოდგენილი (რაც ხორციელდება უსასრულო დასკვნაში). ამრიგად, აუცილებელია კიდევ უფრო სრული სახის ლოგიკური ფორმა.

მაშასადამე, სასრული შუალობითი დასკვნა არის ერთეულის და ზოგადის შუალობითი ერთიანობა, კერძოს და ზოგადის ერთიანობა, რაც ცნებას წარმოადგენს, მაგრამ ის ცნებას კი არ უნდა წარმოადგენდეს, არამედ სწორედ დასკვნას — აზრთა შუალობით ლოგიკურ კავშირს. აქაც ანტინომიაა — წინააღმდეგობაა: კერძოს და ზოგადის ერთიანობა უნდა იყოს ცნება და არც უნდა იყოს. ეს ანტინომია მოითხოვს გადაწყვეტას; მისი გადაწყვეტის გარეშე აზრი დაკარგება ცნებასაც და სასრულ შუალობით დასკვნასაც (უშუალო დასკვნასაც და მსჯელობასაც); გადაწყვეტის შემთხვევაში კი აზრის ყველა ფორმა გამართლდება.

---

[37] К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., I, 1955, გვ. 316.

ამ ანტინომიის გადაწყვეტა ივიეთა, რაც კ. მარქსის მოთხოვნის განხორციელება, რომ საშუალო არ უნდა ჩქმალავდეს ლოგიკურ კავშირში არსებულ დაპირისპირებას, და რომ დაპირისპირებულთა ერთიანობა სისრულით წარმოსდგეს ლოგიკურში. ასეთი ლოგიკური, როგორც ვიცით, არის უსასრულო დასკვნა, როგორც რაიმეს უარყოფით მისივე დადგენა, რაც ლოგიკური წინააღმდეგობის ერთიანობას წარმოადგენს. ეს არის სრული აუცილებელი სინთეზი. რაიმეს უარყოფით მისსავე დადგენაში სისრულით მართლდება მსჯელობის აზრი—მტკიცება-უარყოფა, უშუალო დასკვნა, სასრული შუალობითი დასკვნა და ცნება. როგორც მასზე გარდამავალი საფეხურები. მსჯელობა არის მისი (უსასრულო დასკვნის) ერთმხრიობა; ერთმხრიობათა ურთიერთში გადასვლები გვაძლევენ უშუალო და სასრულ შუალობით დასკვნებს. ცნება კი არის უსასრულო დასკვნის ზოგადი აზრი. უსასრულო დასკვნა არის ერთცნებიანი დასკვნა (რომლის მსგავსი არ იცის ფორმალურმა ლოგიკამ). ივიეთის უარყოფით ივიეთის დადგენა, როგორც შუალობითი კავშირი — შინაგანი უარყოფით შესრულებული ერთიანობა, მხოლოდ ივიეთის ცნების შეიცავს. ასე ითქმის სხვა უსასრულო დასკვნების შესახებ (იხ. ზემოთ მოყვანილი მაგალითები). დასკვნა არის აზრთა შუალობითი კავშირი (რომლის ერთ მხრესაც უშუალობა წარმოადგენს). სრული შუალობითი კავშირი კი არის უსასრულო დასკვნა—რაიმეს უარყოფით მისივე დადგენა, სადაც მთელი სისრულით ხორციელდება ლოგიკური აუცილებლობა.

რადგან უსასრულო დასკვნაში შინაგანი უარყოფით დგინდება ერთიანობა (დადგენა-უარყოფისა), ამიტომ ამ დასკვნას არა აქვს გარეგანი წანამძღვრები. საფუძველი და შედეგი თვითონ დასკვნის შინაგანი ელემენტებია. ასეთი დასკვნა არის შინაგანი უარყოფით თვითდადგენა (მაშინ როცა ფორმალური ლოგიკური დასკვნები და დასაბუთება მხოლოდ გარეგანი საფუძვლის გამოყენებას ემყარება).

ამრიგად, უნდა ითქვას, რომ სრული სახით დიალექტიკურ-ლოგიკური არის უსასრულო დასკვნა; დიალექტიკური ლოგიკა არის მეცნიერება უსასრულო ლოგიკურის შესახებ.

ზემოთ განხილულ ლოგიკურ განვითარებას აქვს დასაწყისიც და ბოლოც, დასაწყისი არის დადებითი სინთეზური მსჯელობა, ბოლო კი უსასრულო დასკვნაა. დასაწყისი არის აბტრაქტული, ბოლო კი კონკრეტულია, რამდენადაც კონკრეტული არის მრავალმხრიობის ერთიანობა (კ. მარქსი). ამიტომ მთელი ეს განვითარება არის სვლა აბსტრაქტულიდან კონკრეტულისაკენ.

ზემოთ განხილული ლოგიკური განვითარების დასაწყისი შეიძლება დახასიათდეს როგორც ზოგადი, რამდენადაც მსჯელობა, ასე ვთქვათ, სვამს ლოგიკურის პრობლემას; მსჯელობა უნდა იყოს მტკიცება-უარყოფა, მაგრამ ასეთი რამ მთელი თავისი სისრულით არის უსასრულო დასკვნა, რომელიც ერთი გარკვეული დასკვნის სახით წარმოადგენს იმას, რაც ზოგადად მსჯელობის ბუნებაში იყო დასმული. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ დიალექტიკურ ლოგიკაში განხორციელებული ლოგიკური განვითარება არის ზოგადიდან ერთეულისაკენ სვლა, რაც თავისებურ დედუქციას წარმოადგენს.

რამდენადაც მსჯელობიდან უსასრულო დასკვნისაკენ სვლა არის მსჯელობიდან იქამდე მისვლა, რაც მას სისრულით ამართლებს, ამდენადაც აქ ადგილი აქვს შედეგიდან საფუძვლისკენ სვლას, შედეგის საფუძველზე მოყვანას, რასაც თავისებურად გაგებული რედუქცია შეიძლება ეწოდოს.

რამდენადაც ლოგიკური განვითარების დასაწყისი არის მსჯელობა, რომელიც სრული ლოგიკურის ერთმხრივობას წარმოადგენს, ბოლო კი არის სრული ლოგიკური ერთიანობა, რომელიც უსასრულო დასკვნაშია განხორციელებული, ამდენად ზემოთ დახასიათებული ლოგიკური განვითარება წარმოადგენს ერთმხრიობიდან ანუ შინაარსეულ კერძოდან ერთიანობისაკენ, როგორც შინაარსეული ზოგადისაკენ, სცლას. ამდენად, აქ ხორციელდება თავისებური ინდუქცია.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ აზრის ფორმათა ლოგიკური განვითარება არ არის არც მხოლოდ დედუქცია, არც მხოლოდ რედუქცია და არც მხოლოდ ინდუქცია, არამ ის არის ამ მეთოდების გამაერთიანებელი (მათი მომენტებად შემნახველი) ერთი გარკვეული მეთოდი, რომელსაც დიალექტიკურ-ლოგიკური მეთოდი უნდა ეწოდოს. ეს არის დასაბუთების ისეთი მეთოდი, რომელიც არ იცის ფორმალურმა ლოგიკამ, თუმცა დასაბუთების ფორმალურ-ლოგიკური მეთოდები მხოლოდ მის საფუძველზე შეიძლება აიხსნას. დიალექტიკური მეთოდი არის არა მხოლოდ შემეცნების უნივერსალური მეთოდი, არამედ ის ლოგიკურ მეთოდსაც. სახელდობრ, დასაბუთების დიალექტიკურ-ლოგიკურ მეთოდსაც წარმოადგენს. აზრის ფორმათა ლოგიკური განვითარებაში ყოველი წინა მართლდება ე. ი. საბუთდება შემდეგში; ამიტომ ეს განვითარება არის დასაბუთება; ლოგიკის სისტემა დასაბუთების სისტემას წარმოადგენს.

დიალექტიკური ლოგიკა არის მეცნიერება დასაბუთების დიალექტიკური მეთოდის შესახებ, მეთოდისა, რომელიც აზრის ლოგიკურ ფორმებშია განხორციელებული.

როგორც აღინიშნა, უსასრულო დასკვნა არის უწინამძღვარო (ლოგიკური წინამძღვარის არმქონე, მაგრამ რეალური საფუძველის მქონე) სრული შეუღლებითი კავშირი; ისიც ითქვა, რომ უსასრულო დასკვნა არის ყველა ლოგიკური ფორმის ამხსნელი და გამმართლებელი; ამიტომ უნდა ითქვას, რომ უსასრულო დასკვნა არის დასაბუთების საწყისი—არსება, რომელსაც სხვა ლოგიკური საწყისი არ შეიძლება ჰქონდეს (მის რეალურ საწყისს კი სინამდვილე. მისი კანონზომიერება წარმოადგენს).

ამრიგად, თუ უსასრულო დასკვნა არის დასაბუთების საწყისი, მაშინ, ცხადია, რომ დასაბუთების საწყისი არის დასკვნის—ლოგიკური ბუნების და არა არალოგიკური რამ, მაგალითად, ინტუიცია.

დასაბუთების საწყისი განსხვავდება დასაბუთების დასაწყისისაგან. დასაბუთების, სახელდობრ, ლოგიკური ფორმების, დალაგების, როგორც დასაბუთების, დასაწყისი, როგორც ვნახეთ, არის მსჯელობა, რომელიც ცხადია, ლოგიკური ბუნებისაა. ამრიგად, დასაბუთების დასაწყისიც არ არის არალოგიკური, ინტუიტური.

როგორც ეს ჩვენ ზემოთ ვაჩვენეთ, ლოგიკური განვითარების ყოველი წინა საფეხური მართლდება—საბუთდება შემდეგ საფეხურში, ასეა, დასაწყისიც—მსჯელობაც, რომელიც შემდგომ საფეხურებში მართლდება. ასე რომ დასაბუთების დასაწყისი არ რჩება დაუსაბუთებელი და მას გარეგანი, მის წინწასწრებული ლოგიკური საფუძველი არ სჭირდება; ამდენად იხსნება დასაბუთებაში უსასრულო რეგრესის საშიშროება (რომელიც არისტოტელედან დღემდე ლოგიკის მეცნიერებას აწვალებს). რამდენადაც შემდეგი წინას ასაბუთებს, ე. ი. რამდენადაც ხორციელდება უკუკავშირები, შებრუნებითი კავშირები, ამდენად

დასაბუთების დასაწყისად (თუ საწყისად) დაუსაბუთებლის მიღება ზედმეტია და შეუძლებელიც.

თუ რაიმეს დასაბუთება გაგებულ იქნება, როგორც მისი ადგილის მონახვა სისტემაში, მაშინ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ პირველი ადგილის მონახვაც (დასაბუთების დასაწყისისათვის) უკვე მის დასაბუთებას ნიშნავს. ამას ისიც უნდა დავმატოთ, რომ ლოგიკური ჰქვია შუალობით კავშირს, შუალობა კი უშუალობის და გაშუალების ერთიანობაა (როგორც ამას მატერიალისტური დიალექტიკა გვასწავლის), რომლის დარღვევა ლოგიკურს დაშლის. ამიტომ შეუძლებელია დასაბუთების დასაწყისად (თუ საწყისად) ავიღოთ მხოლოდ უშუალო, შემდეგ კი მხოლოდ შუალობითი გვქონდეს. ლოგიკური, როგორც უშუალობის და შუალობის აუცილებელი ერთიანობა (დაპირისპირებულთა ერთიანობა). ხსნის დასაბუთების დასაწყისის (და საწყისის) უშუალობას. სხვანაირად შეუძლებელიცაა, რადგან ლოგიკურ განვითარებაში წინა შემდეგში საბუთდება.

მაშასადამე, შეიძლება და უნდა ითქვას, რომ დასაბუთების დასაწყისი (და საწყისი) არ შეიძლება იყოს არალოგიკური, მაგალითად, ინტუიცია, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ გვექნება არალოგიკურის (დასაწყისის) და ლოგიკურის (დასაბუთების) წინააღმდეგობა, რომლის დაძლევა შეუძლებელი იქნება. ამრიგად, შეუძლებელია ლოგიკის სათავეში მოვათავსოთ ინტუიტური დებულებები, დაუსაბუთებელი დებულებები—აქსიომებიც; ლოგიკის, როგორც ფილოსოფიური მეცნიერების. აქსიომატიზაცია შეუძლებელია. აქსიომატური მეთოდი ძალიან ნაყოფიერია სპეციალურ მეცნიერებაში, მაგალითად, გეომეტრიაში, რადგან სპეციალური მეცნიერება ეყრდნობა მასში დაუსაბუთებელ ფილოსოფიურ კატეგორიებს. მაშინ როცა ფილოსოფიაში. კერძოდ, ფილოსოფიურ ლოგიკაში დაუსაბუთებელზე დაყრდნობა შეცდომის მომასწავებელი იქნება. მცდარია ლოგიკურის არალოგიკურზე ლოგიკური დაფუძნება, რასაც ადგილი აქვს აქსიომატურ მეთოდში, და რაც, ჰილბერტის აზრით, წარმოადგენს კანტის ფილოსოფიურ წანამძღვარს აქსიომატური მეთოდისათვის[28]. მათემატიკურ ლოგიკაში სწორედ არალოგიკურზე ლოგიკურის დაფუძნების ცდა იწვევს მეტა და მეტამეტალოგიკების საჭიროებას და შესატყვის სიძნელეს, რაც ერთიანი ლოგიკის დარღვევაში მდგომარეობს.

ამრიგად, დასაბუთების ერთადერთი სრული მეთოდი არის დიალექტიკური მეთოდი.

8. ის, რაც ზემოთ ითქვა დიალექტიკურ-ლოგიკურის ცნებისა და დიალექტიკური ლოგიკის, როგორც მეცნიერების, შესახებ, საფუძველს გვაძლევს ვთქვათ, რომ დიალექტიკა, ლოგიკა და შემეცნების თეორია ერთი და იგივეა. ამ გარემოების დასამტკიცებლად ჩვენ აქ დამატებით მოვიყვანთ მხოლოდ რამოდენიმე არგუმენტს. (პრობლემას წარმოადგენს აქ აღნიშნული სამი მეცნიერების იგივეობა და არა ერთიანობა; ფილოსოფიურ მეცნიერებათა ერთიანობა ყველა ფილოსოფოსისათვის უდავო რამ არის).

ა) ლოგიკური, რომელიც ლოგიკის მეცნიერების საგანს წარმოადგენს, არ შეიძლება იყოს სუბიექტური. წინააღმდეგ შემთხვევაში ლოგიკას ვერ გამოვყოფდით ფსიქოლოგიისაგან. ლოგიკური არ არსებობს მატერიალურ საგნებში, ის

[28] იხ. Гильберт, Основание геометрии. 1948, გვ. 351, 353, 360, 366, 373, 377

არსებობს მხოლოდ აზრში, რომელიც მხოლოდ ადამიანის აზრი შეიძლება იყოს. ლოგიკური არის ობიექტური აზრში, საგნის მიერ განსაზღვრული აზრი. ეს იმას ნიშნავს, რომ ლოგიკურის ობიექტურობა ჰეშმარიტების ობიექტურობაა, ცოდნის ობიექტურობა, ამიტომ, სწორედ ამ ასპექტში, ლოგიკა და ცოდნის თუ შემეცნების თეორია ერთი და იგივე უნდა იყოს. ლოგიკა სწავლობს აზრის გზას (კანონებს, წესებს) ჰეშმარიტებისაკენ. ამიტომ ჰეშმარიტება განსაზღვრავს ამ გზის მიმართულებას და ბუნებას. დასაბუთების აობიექტურობა სწორედ ჰეშმარიტების ობიექტურობას ემყარება. ლოგიკა არის დიალექტიკაც, თუ კი ლოგიკური დიალექტიკურია. ეს კი ასეა, როგორც ეს ზემოთ იქნა გარკვეული.

ბ) ლოგიკა, როგორც მეცნიერება, ცხადია, თვითონ არის ცოდნა აზრის ფორმებზე; ის არის ცოდნა თვითონ ცოდნის ფორმებზე. ამიტომ ის არის შემეცნების თეორიაც, ის არის დიალექტიკაც. თუ კი აზრის ფორმები არის დიალექტიკური. ეს კი ასეა, როგორც ეს ზემოთ იქნა განხილული.

გ) ლოგიკა, როგორც ახლა აღინიშნა, არის ცოდნის ლოგიკა. ცოდნის ფორმების ცოდნის ლოგიკა; ის არ შეიძლება ასეთი არ იყოს, რადგან, როგორც ეს ზემოთ გავარკვიეთ, ლოგიკური სინთეზური ბუნებისაა. სინთეზურობა კი შინაარსეულობაა. ლოგიკური ფორმების შინაარსეულობის გამო ხდება შესაძლებელი ამ ფორმების ერთიმეორეში გადასვლა—ლოგიკური განვითარება. სინთეზურობა კი არის დიალექტიკური, შინაგანი უარყოფის შემცველი აუცილებელი ერთიანობა. ასე რომ ამ ასპექტში დიალექტიკა, ლოგიკა და შემეცნების თეორია ერთი და იგივეა.

დ) დასაბუთება, როგორც ლოგიკური გამართლება, ამავე დროს, არის ახსნაც. მაგალითად, როგორც ეს ზემოთ ვიჩვენეთ, მსჯელობის გამართლება მისი ახსნაცაა. ლოგიკური გამართლება და ახსნა ერთიმეორეს ემთხვევა დასაბუთების, როგორც ლოგიკის საგნის, ასპექტში. ამ აზრით დიალექტიკა, ლოგიკა და შემეცნების თეორია ერთი და იგივეა, თუ კი, ცხადია, დასაბუთება არის დიალექტიკური ბუნების მქონე.

ე) შემეცნების და აზრის პირველი საშუალებები არიან ლოგიკურის კატეგორიები (იგივეობა, განსხვავება, უარყოფა, წინააღმდეგობა, ერთიანობა, ყოფძე, ზოგადი, სასრული, უსასრულო და სხვ.), რომლებიც ერთი და იგივეა როგორც ლოგიკისათვის, ისე შემეცნების თეორიისათვის. თუ ამ კატეგორიების კავშირები დიალექტიკური ბუნებისაა, მაშინ კატეგორიების ლოგიკა, დიალექტიკა და შემეცნების თეორია ერთი და იგივე იქნება. კატეგორიების ლოგიკა, როგორც დიალექტიკური ლოგიკა, არ შეიძლება არ იყოს, ამავე დროს, შემეცნების თუ ცოდნის თეორიაც. ლოგიკურის კატეგორიების ასპექტში ეს სამი მეცნიერება არის ერთი და არა სამი.

ვ) აზრის ლოგიკური ფორმები და ცოდნის ფორმები ერთსა და იმავე ფორმებს წარმოადგენენ. არ არის სადავო ის, რომ მსჯელობა არის აზრის ლოგიკური ფორმაც და ცოდნის ფორმაც. ცნების და დასკვნის ბუნების ზემოთ წარმოდგენილ გაგებას თუ დავემყარებით, მაშინ ისინიც ცოდნის ფორმებად უნდა ჩავთვალოთ. თვითონ დასაბუთების სისტემა სხვა არაფერია, თუ არა ცოდნის სისტემა. როგორც გაირკვა, აზრის ფორმები დიალექტიკურია. ამიტომ აზრის ფორმათა ასპექტში დიალექტიკა, ლოგიკა და შემეცნების თეორია ერთი და იგივეა.

ზ) აზრის ლოგიკური კანონები და ცოდნა-შემეცნების კანონები ერთი და იგივეა. მაგალითად, იგივეობის კანონის დარღვევა ლოგიკური შეცდომაცაა და

ცოდნაში დაშვებული შეცდომაც. ეს კანონი ორივესათვის ერთი და იგივე კანონია. თუ წინააღმდეგობა ლოგიკური შეცდომაა, მაშინ ის შეცდომაა ცოდნის თვალსაზრისითაც. თუ წინააღმდეგობის ერთიანობის კანონი არის ლოგიკის კანონი, ის ცოდნის კანონიც იქნება, და სხვ. ერთი სიტყვით, თუ ლოგიკური კანონები დიალექტიკური ბუნებისაა (ეს კი ასეა, როგორც ზემოთ ვაჩვენეთ), მაშინ ამ კანონების ასპექტში დიალექტიკა, ლოგიკა და შემეცნების თეორია ერთი და იგივე მეცნიერებაა.

ბ) როგორც ცნობილია, ინდუქცია ითვლება შემეცნების, კვლევა-ძიების მეთოდად. თუ ინდუქცია გამართლდა როგორც ლოგიკური დასაბუთების მეთოდი, მაშინ ინდუქციის ასპექტში ლოგიკა და შემეცნების თეორია, დასაბუთების მეთოდი და აღმოჩენის მეთოდი ერთიმეორეს დაემთხვევა. ზემოთ გაირკვა, რომ დიალექტიკური ლოგიკის შინაარსს, ლოგიკის სისტემას, როგორც აზრის ფორმათა სისტემას, ლოგიკური განვითარების ხასიათი აქვს; ეს განვითარება კი თავისებურ ინდუქციას წარმოადგენს, რადგან იგი არის შინაარსეული კერძოდან ასეთივე ზოგადისაკენ სვლა; ამიტომ, ამ აზრით და ამ ასპექტში, დიალექტიკა, ლოგიკა და შემეცნების თეორია ერთი და იგივეა.

როგორც ეს ზემოთ თქმულიდან ჩანს, ამ სამი მეცნიერების იგივეობისათვის მთავარია დიალექტიკურობა. თუ ლოგიკა არის დიალექტიკური, მაშინ ის არის შემეცნების თეორიაც. დიალექტიკას, ლოგიკას და შემეცნების თეორიას აიგივებს ლოგიკურის დიალექტიკურობა.

ზემოთ მოყვანილი არგუმენტების ასპექტში დიალექტიკა, ლოგიკა და შემეცნების თეორია ერთი და იგივეა. ერთი სიტყვით, არსებობს ისეთი ასპექტი, ისეთი სფერო, სადაც ეს სამი ფილოსოფიური მეცნიერება არის ერთი და იგივე. ეს არის ახალი მეცნიერება, რომლის აუცილებლობაზეც ვ. ი. ლენინმა მიუთითა[29], მაშინ როცა ის ადგილს წინათ არსებობდა სამი მეცნიერება. ერთი მეორეს უიგივდება არა წინათ არსებული მეცნიერებანი, არამედ იქმნება ახალი მეცნიერება, რომელშიც დიალექტიკა, ლოგიკა და შემეცნების თეორია ერთი და იგივეა.

„თუ ყოველი მეცნიერება არის გამოყენებითი ლოგიკა“[30], მაშინ ასეთი ლოგიკა არ შეიძლება არ იყოს შემეცნების თეორიაც. ამავე დროს, ასეთი ლოგიკა არ შეიძლება არ იყოს ფილოსოფიური მეცნიერება. მეცნიერება აზრის და ცოდნის პირველი ობიექტური საშუალებების, ფორმების და კანონების შესახებ შეუძლებელია არ იყოს ფილოსოფიური მეცნიერება. ასეთია მატერიალისტური დიალექტიკური ლოგიკა, რომელიც ეყრდნობა რეალურ საფუძველს—, სინამდვილეს, მის კანონზომიერებას, მაგრამ რომელსაც არ შეიძლება ჰქონდეს სხვა ლოგიკური წანამძღვარი, წინააღმდეგ შემთხვევაში საჭირო გახდებოდა კიდევ სხვა ლოგიკა, ლოგიკის ერთიანობა დაირღვეოდა. რადგან ლოგიკას არ შეიძლება ჰქონდეს სხვა ლოგიკური წანამძღვარი, ამიტომ ლოგიკის აქსიომატიზაცია შეუძლებელია. ის „ლოგიკა“ კი, რომლის აქსიომატიზაცია შესაძლებელია, არის არა ფილოსოფიური ლოგიკა, არამედ სპეციალური მეცნიერება. ასეთია „მათემატიკური ლოგიკა“, რომელიც წარმოადგენს სპეციალურ მათემატიკურ მეცნიერებას, რომელიც მათემატიკისთვის დამახასიათებელ წესებს თუ ხერხებს შეისწავლის, ეყრდნობა მათემატიკურ ცნებებს (მაგალითად, ფუნქ-

---

[29] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 38, გვ. 326.

[30] იქვე, გვ. 199.

ᲒᲘᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ციონალურ დამოკიდებულებას). ტრადიციული ფორმალური ლოგიკა კი დიალექტიკურ-ლოგიკურის მხოლოდ ერთ მხარეს სწავლობდა და სწავლობს; ის არ განიხილავს აზრის ლოგიკური ფორმების განვითარებას, ე. ი. მათ არსებით ლოგიკურ კავშირს, აბსტრაქტულად წარმოადგენს იგივეობას, მსჯელობას, დასკვნას; ეყრდნობა აზრის მხოლოდ ანალიზურობას, ვერ არკვევს აუცილებელი სინთეზის ბუნებას და სხვ. მხოლოდ დიალექტიკური ლოგიკა არის მეცნიერება ლოგიკურის კატეგორიების შესახებ, კატეგორიებისა, რომლებიც საფუძველია ყველაფრისა, რასაც ოდესმე ლოგიკა სწავლობდა და ამიერიდან შეისწავლის. დიალექტიკური ლოგიკა, რომელიც მოიცავს მთელ ლოგიკურ პრობლემატიკას, არის ლოგიკის განვითარების უმაღლესი საფეხური, „უმაღლესი ლოგიკა“.

რადგან „ყოველი მეცნიერება არის გამოყენებითი ლოგიკა“, ამიტომ ლოგიკის გამოყენება ყოველგვარი ცოდნის მეთოდოლოგიის სახით ხორციელდება. რამდენადაც დიალექტიკური ლოგიკა არის თავისებური ინდუქციური ლოგიკა (როგორც ეს ზემოთ იქნა ნაჩვენები), ამდენად მისი გამოყენება კვლევა-ძიების და მეცნიერული აღმოჩენის ლოგიკური საფუძველიც არის. ასეთია დიალექტიკური ლოგიკის პრაქტიკული მნიშვნელობა (ტექნიკური გამოყენება მხოლოდ სპეციალურ მეცნიერებას აქვს. პრაქტიკულის დაყვანა ტექნიკურზე შეცდომაა).

ზემოთ თქმულის საფუძველზე შეიძლება განსაზღვრულ იქნეს დიალექტიკური ლოგიკის ცნება: ლოგიკა არის მეცნიერება აზრის მოძრაობა-განვითარების ობიექტურ ფორმათა შესახებ.

ყველაფერი ზემოთ თქმულის სისრულით წარმოდგენა, ეს იქნება დიალექტიკური ლოგიკის სისტემის შექმნა.

К ПОНЯТИЮ ДИАЛЕКТИЧЕСКОЙ ЛОГИКИ

С. Б. ЦЕРЕТЕЛИ

Резюме

В работе доказывается, что диалектическая логика определяется диалектичностью логического. Логическое диалектично, так как оно: 1) синтетично, содержит в себе внутреннее (относительное) отрицание, 2) является содержательно-общим, определенным единством, 3) — рефлексивно-логическим, содержащим в себе „двузначность,“ 4) представляет из себя бесконечное логическое—логическое единство противоположностей. Диалектическая логика, является прежде всего, логикой определенных категорий. Связь форм мысли осуществляется в виде логического развития, поэтому диалектический метод является и методом доказательства. В аспекте форм и законов мысли диалектика, логика и гносеология одно и тоже. Диалектическая логика есть наука об объективных формах развития мысли.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიზეზობრიობისა და ალბათობის ურთიერთობისათვის ფიზიკაში

ვ. მეიუარიანი

(წარმოადგინა საქ. სსრ მეცნ. აკად. ფილოსოფიის ინსტიტუტმა)

§1 ალბათობისა და მიზეზობრიობის ურთიერთობა კლასიკურ ფიზიკაში

მას შემდეგ, რაც გალილეიმ ექსპერიმენტი საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა საფუძვლად გამოაცხადა, ხოლო მათემატიკური აღწერა კი ბუნებისმეტყველური შემეცნების შედეგების ფორმირების, გადმოცემის უზუსტეს საშუალებად. ამ მეცნიერებებმა არნახული გაქანება პოვეს. ამ საფუძველზე მკაცრი ლოგიკური სისტემის სახით ჩამოყალიბდა კლასიკური მექანიკა, რომელშიც თავისი ასახვა პოვა კლასიკური ფიზიკის ყველა მეთოდმა და საშუალებამ. ერთი შეხედვით, კლასიკური ფიზიკა წარმოადგენდა მეცნიერული შემეცნების იდეალის განხორციელებას, რადგანაც 1) იგი თითქოს მთლიანად ცდაზე იყო დაფუძნებული, 2) მიღწეული შედეგები მათემატიკის ენით ფორმირდებოდა, 3) მასში ფიზიკური სინამდვილის ობიექტური კანონზომიერება გვეძლეოდა. კლასიკური ფიზიკის თეორიაში განხორციელებული იყო ანტიკური მატერიალისტური შემეცნების თეორიის მოთხოვნა—წარმოადგენდა რა იგი ფიზიკური სინამდვილის საგანთა მოძრაობა-ცვალებადობის ერთნაშნა აუცილებლობით აღწერას. რადგანაც ანტიკური მატერიალისტური შემეცნების თეორიის მიხედვით, მოძრავი საგნის შემეცნება მის მიზეზობრივ აღწერას გულისხმობს, ამიტომაც კლასიკურ ფიზიკაში მოძრავი საგნის მიზეზობრივი აღწერა ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნაა. მიზეზობრიობის და აუცილებლობის პრინციპები კლასიკური ფიზიკის საფუძველმდებელ პრინციპებს წარმოადგენენ, რაც სავსებით ამართლებს 1) მიზეზობრიობის და აუცილებლობის სუბსტანციონალურ, უნივერსალურ ხასიათს, 2) მატერიალურ სინამდვილეში ამაუხალური სფეროს არსებობის უარყოფას.

კლასიკური ფიზიკა მექანისტურ-მეტაფიზიკურ მატერიალიზმს ემყარებოდა. ამ მსოფლმხედველობის მიხედვით, სინამდვილე საგნებისა და მოვლენების მექანიკური, თვისობრივად უცვლელი ჯამია. სინამდვილე მკაცრი ერთნაშნა აუცილებლობითაა შეკრული ერთ მთელად; საგნის ყოველი განსაზღვრულობა მკაცრად დეტერმინირებულია. ეს დეტერმინაცია მიზეზობრივი ხასიათისაა. ყოველი მოვლენა, საგნის ყველა მდგომარეობა სხვა მოვლენით, საგნის წინა მდგომარეობებითაა მკაცრად განსაზღვრული. ამიტომაც ყველა მოვლენა აუცილებელია; შემთხვევითობა ობიექტურად არ არსებობს. კლასიკურ ფიზიკაში პრინციპად მიღებული იყო ფიზიკური სინამდვილის ნებისმიერი მოვლენის მიზეზობრივი აღწერის შესაძლებლობა. კლასიკურმა ფიზიკამ კონკრეტულად ჩამოაყა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიბა კიდეც მიზეზობრივი აღწერის პრინციპი—თუ დროის რაიმე მომენტისათვის მოძრავი სხეულის საწყისი მდგომარეობა (იმპულსი და კოორდინატები) ზუსტად განსაზღვრულია, მაშინ მოძრაობის განტოლებების საშუალებით შესაძლებელია მოძრავი სხეულის მდგომარეობის (იმპულსის და კოორდინატების) ზუსტი განსაზღვრა დროის ნებისმიერი მომენტისათვის. მიზეზობრივი აღწერის ეს პრინციპი ემყარება და გამოთქვამს მიზეზობრიობის ცნების ნიშნებს—მიზეზობრივი პროცესი 1) დროშია გაშლილი, 2) მას საქმე აქვს წარმოშობასთან 3) კონკრეტულ მიზეზს ყოველთვის კონკრეტული, ერთნიშნა შედეგი შეესაბამება (სათანადო პირობების იგივეობრივად დაცვის საფუძველზე).

მართლაც, კლასიკური ფიზიკა სავსებით ახერხებდა მაკროსხეულთა მოძრაობა-ცვალებადობის მიზეზობრივ აღწერას. მაგრამ, შემდეგ შეინიშნა, რომ ზოგიერთი ფიზიკური პროცესის მიზეზობრივი აღწერა ტექნიკურად შეუძლებელია. მიზეზობრივი აღწერა ხორციელდება მაშინ, თუ 1) პარამეტრთა რიცხვი სასრულოა, ანუ მოვლენის განმსაზღვრელი მიზეზების რიცხვი სასრულოა და 2) ამ მიზეზთა ცვალებადობა დროში გარკვეული ინტერვალის მქონეა ან სხვანაირად, მათი მოქმედება დროში ძალიან ცვალებადი არ არის. ცხადია, ეს მოთხოვნები ლოგიკურად მკაცრად ფორმულირებული არ იყო, რადგანაც კლასიკური ფიზიკა მოძრავ სხეულთა მიზეზობრივი აღწერისას გარკვეულ უმნიშვნელო გადახრებიდან აბსტრაგირებას ახდენდა, გარკვეულ ფლუქტუაციებს უგულებელჰყოფდა.

მოკლედ, კლასიკური ფიზიკა ისეთ ფიზიკურ მოვლენათა მიზეზობრივ აღწერას აწარმოებდა, რომელთა ერთნიშნა განხორციელების პირობების შესწავლის შესაძლებლობას უშვებდა. ხოლო თუ მოვლენას მრავალნიშნა განხორციელების უნარი გააჩნდა და ყველა ეს უნარი ტოლშესაძლებელი იყო, მაშინ, ამ შემთხვევაში, კლასიკური ფიზიკის მეთოდები მისი მიზეზობრივი აღწერის პრაქტიკულ განხორციელებაზე უარს ამბობდა. ასეთ მოვლენებს, რომელთაც მრავალნაირი განხორციელების უნარი გააჩნიათ, კლასიკური ფიზიკა შემთხვევით მოვლენებად თვლიდა. ასეთი მოვლენების და აზარტული თამაშების კანონზომიერების შესწავლამ მიიყვანა ძეცნიერული აზროვნება ალბათობის ცნების და შემთხვევით მოვლენათა ალბათური აღწერის მეთოდის შემოტანასთან. ამის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია კამათელზე გარკვეული რიცხვის გამოსვლის პროცესის ანალიზი. თუ კამათელი განხილულია როგორც ერთგვაროვანი, მაშინ (1, 2, 3, 4, 5, 6) სიმრავლიდან ყველა შესაძლებელი რიცხვის გამოსვლა ტოლშესაძლებლადაა მიჩნეული. კლასიკურ ფიზიკაში აღიარებულია, რომ კამათლის მოძრაობა მიზეზობრივადაა განსაზღვრული, რადგანაც სავსებით შესაძლებელია კამათლის ნებისმიერი საწყისი მდგომარეობის ზუსტი ფიქსირება, მისი ნებისმიერი ორი (და საერთოდ სასრულო რიცხვის) მახასიათებლის, პარამეტრის ერთდროული ზუსტი გამოთვლა. ამის გამო, მისი ყოველი რიცხვის გამოსვლა თავისთავად მკაცრი ობიექტური მიზეზობრიობითაა განსაზღვრული, მაგრამ სიძნელე იმაშია, რომ თვითონ საწყისი პირობები და გდების პროცესი დიდი რიცხვის (და შესაძლებელია უსასრულო რიცხვის) პარამეტრითაა განსაზღვრული, რომელთა ფიქსირება ტექნიკურად შეუძლებელია. უფრო მეტიც, საწყისი მდგომარეობის ყოველი ნიუანსი დიდად მოქმედებს შედეგზე (თუმც კი ესეც მკაცრი, ერთნიშნა მიზეზობრიობითაა განსაზღვრული) და რადგანაც ეს ნიუანსები დროში ძალიან სწრაფად იცვლება, ამიტომ შედეგებზე მათი გავლენის გამოსათვლელად უამრავი დიფერენციალური განტოლების შედგენა და ამოხსნა

დაგვჭირდებოდა, რაც თავისთავად ტექნიკურად ძნელად განსახორციელებელი ამოცანაა. ამის გამო უფრო ეკონომიურია მოვლენის ალბათობის, ანუ გამოსვლის შანსის დადგენა. ამიტომაც კლასიკურ ფიზიკაში მოვლენათა ალბათური აღწერა პრინციპულად არ უპირისპირდება მათ მიზეზობრივ აღწერას, ან სხვანაირად, კლასიკურ ფიზიკაში მოვლენათა ალბათური და მიზეზობრივი აღწერა ოსვსებადია. ერთი მეორეს არ უარყოფს; პირიქით, აქ მოვლენათა ალბათური აღწერა მათ მიზეზობრივ განსაზღვრულობას ეფუძნება. ალბათური აღწერის შეღწევა ტექნიკური და არა პრინციპული გარემოებებითაა განსაზღვრული.

ბოლქმანი და საერთოდ კლასიკური სტატისტიკური მეთოდის გამოშუენებელი მეცნიერები ყოველთვის ხაზს უსვამდნენ ალბათობის ცნების გამოყენების აუცილებლობისა და საჭიროების ამ პრინციპულ მხარეს. კერძოდ, მაგ. გაზის **ან წყლის მოლეკულის** მოძრაობის მიზეზობრივი აღწერის ტექნიკურ სიძნელეებს. ეს გარემოება კი ემყარებოდა შემდეგ პირობებს: 1) ყოველი მატერიალური სხეული და მატერიალური წერტილი (მაგ. წყლის ან გაზის მოლეკულა) დროში და სივრცეში მკვეთრად ფიქსირებულია, 2) ამ დროულ-ვრცეულ ინტერვალში მისი სიჩქარე განსაზღვრული და გაზომვადია, 3) მისი ნებისმიერი ორი პარამეტრის ერთდროული ზუსტი ფიქსირება შესაძლებელია. ეს გარემოება კი მათი მიზეზობრივი აღწერის შესაძლებლობის პირობებს ქმნის. მაკროსხეულთა (კლასიკური ფიზიკის შესწავლის ობიექტთა) ალბათური აღწერის შესაძლებლობა და კანონზომიერება სწორედ ამ გარემოებას ემყარება და ალბათობის კონკრეტული რიცხვი გვიჩვენებს შემთხვევითი მოვლენის განმსაზღვრელ მიზეზთა და პირობათა კომპლექსის სიმრავლიდან სასურველ მიზეზთა და პირობათა კომპლექსის გამოსვლის შანსს. არსებითია ის გარემოება, რომ კლასიკურ ფიზიკაში მოვლენის განხორციელების მრავალსახეობა სწორედ იმ მიზეზთა მოქმედების მრავალსახეობას ემყარება. ალბათობის სიდიდე კი სწორედ ამ მრავალსახეობის გამომწვევ მიზეზთა და პირობათა რაოდენობრივ შეფასებად განიხილება. მართალია, კლასიკურ ფიზიკაში ძალებული იყო, რომ მოვლენათა ალბათური აღწერა არაა მიზეზობრივი და ერთნაშნა აუცილებლობის მქონე, მაგრამ ამის გამო კლასიკური ფიზიკის არც ერთ წარმომადგენელს მიზეზობრივი და ალბათური აღწერა ერთმანეთისთვის პრინციპულად არ დაუპირისპირებია; არავის არ უარყუფია მიზეზობრიობის უნივერსალური, სუბსტანციონალური ხასიათი.

მაშასადამე, კლასიკური ფიზიკის მეთოდები და მათ შორის ალბათური აღწერის მეთოდი, საკმაოდ ამართლებდა მიზეზობრიობის პრინციპის ამ მეცნიერების ლოგიკური სტრუქტურის აუცილებელ ელემენტად ჩათვლას; ალბათობის ცნება კი არ განიხილებოდა, როგორც მისი ლოგიკური სტრუქტურის აუცილებელი ელემენტი; ალბათობის ცნება ამ მეცნიერებისათვის მოვლენათა აღწერის ერთ-ერთ დამატებით (და არა ძირითად და პრინციპულ) საშუალებას, ინსტრუმენტს წარმოადგენდა. თვითონ ამ ინსტრუმენტის მოსახერხების შესაძლებლობა მიზეზობრიობას ემყარებოდა. მაშასადამე, კლასიკური ფიზიკის მიხედვით გამოდის, რომ ალბათობის ცნება, როგორც რეალურად ისე ლოგიკურად, ასევე ღირებულების თვალსაზრისით მიზეზობრიობის ცნებას ემყარება. რეალურად იმიტომ, რომ ამ ცნების შესწავლის ობიექტს—შემთხვევით მოვლენებს—მიზეზობრივად განსაზღვრულად თვლიდა; ლოგიკურად იმიტომ, რომ ამ ცნების მოახრება არ შეიძლებოდა მიზეზობრიობის ცნების ჯარეშე; ღირებულების თვალსაზრისით კი, ის ალბათური აღწერაა უფრო ახლო მიზეზობრივ

აღწერასთან. სადაც ალბათობის მიჩენებელი ახლოა ერთთან და თუ ერთის ტოლია ასეთი ალბათური აღწერა. მიზეზობრივი აღწერის ტოლფასია.

მაშასადამე, კლასიკურ ფიზიკაში მიზეზობრიობის და ალბათობის ცნებები სავსებით თავსებადნი არიან; ალბათობის ცნება მიზეზობრიობის ცნებაზეა დაფუძნებული. რაც მიზეზობრიობის ცნების უნივერსალურ და სუბსტანციონალურ ხასიათზე მიუთითებს.

§ 2 ალბათობისა და მიზეზობრიობის ურთიერთობისათვის ქვანტურ ფიზიკაში

კლასიკური ფიზიკის ობიექტს მაკროსინამდვილე წარმოადგენს, სადაც ყოველი მაკროსხეული განხილება როგორც დროსა და სივრცეში ლოკალიზებული, რის გამოც მისი საწყისი მდგომარეობის ზუსტი ფიქსირება შეიძლება. ეს გარემოება კი პრინციპში ყველა მაკროსხეულის მოძრაობის მიზეზობრივი აღწერის საფუძველს წარმოადგენს.

სავსებით თავისებურად დაისვა საკითხი მიკროსინამდვილის შესწავლისას. აღმოჩნდა, რომ მიკროსინამდვილის—ელემენტარული ნაწილაკების—კანონზომიერება დიდად განსხვავდება მაკროსხეულთა კანონზომიერებისაგან. ამ განსხვავების ძირია ის გარემოება, რომ თუ მაკროსინამდვილეში შესაძლებელი იყო სხეულის საწყისი მდგომარეობის ზუსტი განსაზღვრა, აღმოჩნდა, რომ ასეთი ოპერაციის ჩატარება მიკროსინამდვილის მიმართ პრინციპულად შეუძლებელია. საწყისი მდგომარეობის ცნებაში კლასიკურ ფიზიკაში იგულისხმებოდა სხეულის კოორდინატების და იმპულსის ერთდროული ზუსტი დადგენა. ასეთი ოპერაციის ჩატარება კი მისი მიზეზობრივი აღწერის შესაძლებლობის მაჩვენებელია. ეს გარემოება კლასიკურ ფიზიკაში პრინციპული იყო. სწორედ პრინციპულად ამის საწინააღმდეგოს აქვს ადგილი ქვანტურ ფიზიკაში. ჰაიზენბერგმა 1927 წელს აღმოაჩინა ე. წ. განუზღვრელობათა თანაფარდობის კანონი, რომლის მიხედვითაც მიკროელემენტების მიმართ პრინციპულად შეუძლებელია კოორდინატებისა და იმპულსის ერთდროული ნებისმიერი სიზუსტით გამოთვლა. რამდენადაც ზუსტია ერთი მახასიათებელი (ვთქვათ იმპულსი), იმდენად არაზუსტია მეორე მახასიათებელი (კოორდინატი) და პირიქით. ამ ოპერაციის ჩატარების შესაძლებლობა შემოსაზღვრულია პლანკის მუდმივა h-ით. განუზღვრელობათა თანაფარდობა მათემატიკურად ასე ყალიბდება $\Delta p \cdot \Delta x \geq h$. ასეთია ქვანტური ფიზიკის ერთ-ერთი ფუნდამენტალური კანონი, რომელიც დაცულია ნებელ თეორიაში. ეს არის ფაქტი, რომელიც ახსნას საჭიროებს და რომელიც პრინციპულად უარყოფს იმ სახის მიზეზობრიობის არსებობას ქვანტურ მექანიკაში, რომელსაც ადგილი აქვს კლასიკურ ფიზიკაში.

კლასიკურ ფიზიკაში აუცილებლობის ცნება წარმოადგენს მის საფუძველმდებელს. მისი დებულებები აუცილებლობის მიმართებებს გამოხატავენ; ამ დებულებათა შორის არიან, აგრეთვე, მიზეზობრივი კავშირის გამომთქმელნიც და ისინიც აუცილებლობას გამოხატავენ ე. ი. კლასიკური ფიზიკის მიზეზობრიობა მიზეზსა და შედეგს შორის ერთნაშნა აუცილებელ კავშირების აღიარებას ემყარება.

საწინააღმდეგო მდგომარეობა გვაქვს ქვანტურ მექანიკაში. აღმოჩნდა, რომ ელემენტარული ნაწილაკის მოძრაობის აღწერა ერთნაშნა აუცილებლობის ცნებით არ შეიძლება და ეს შეუძლებლობა პრინციპულია, რომელიც ლოგიკურად განუზღვრელობათა თანაფარდობის კანონიდან გამოდის. აუცილებლობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნება, როგორც მეცნიერული შემეცნების ინსტრუმენტი ქვანტური მოვლენების შესწავლის მიმართ არ გამოდგება. მ. ბორნმა აღმოაჩინა, რომ მიკრომოვლენების მდგომარეობათა აღწერის ინსტრუმენტად ქვანტურ მექანიკაში გამოდგება მხოლოდ ალბათობის ცნება. ალბათობის ცნება წარმოადგენს ქვანტური მექანიკის ლოგიკური სტრუქტურის საფუძველმდებელ ცნებას. ამ მეცნიერების დებულებებში მხოლოდ ალბათური, სტატისტიკური (და არა ერთნიშნა აუცილებელი) მიმართებებია მოცემული. ალბათობის ცნება კი აუცილებლობის ცნების საპირისპიროა; ალბათურია ის, რომელიც ან მოხდება ან არა. ალბათობა მრავალნიშნა განხორციელებადობის შესაძლებლობის შემცველია, ხოლო აუცილებლობა კი მხოლოდ ერთნიშნა განხორციელებადობის შემცველი. რადგანაც სხეულის მოძრაობის მიზეზობრივი აღწერა მის ცალკეულ მდგომარეობათა შორის ერთნიშნა აუცილებელი კავშირების დადგენას წარმოადგენს და სასებით გამორიცხულია მრავალნიშნა, ან ალბათური კავშირები, ამიტომაც ქვანტური მექანიკის ლოგიკური სტრუქტურის ანალიზიდან გამოდის, რომ იქ არ შეიძლება გვქონდეს კლასიკური ფიზიკისაიარად გაგებული მიზეზობრივი კავშირის გამომთქმელი დებულებები. აქედან დასკვნა: ქვანტური მექანიკა მიზეზობრიობის გამომთქმელ მსჯელობებს, ან სხვანაირად, მიზეზობრიობის მსჯელობებს არ შეიცავენ.

მოკლედ, ქვანტურმა მექანიკამ დაამტკიცა, რომ 1) მიკროელემენტის საწყისი მდგომარეობის ზუსტი ფიქსირება შეუძლებელია; 2) მისი მოძრაობა აღწერება ალბათობის ცნების, რაც ნიშნავს, რომ ერთნიშნა (დინამიკური) აუცილებლობის ცნება გამოუყენებელია, 3) ქვანტური ფიზიკის თეორიაში მიზეზობრიობის (კლასიკური ფიზიკის მიხედვით გაგებული) მსჯელობები არა გვაქვს.

ამ გარემოებიდან კი ლოგიკურად გამომდინარეობს— მიზეზობრიობის კლასიკური ცნება მიკროსინამდვილეში არ გამოდგება. მიკროსინამდვილე, გარკვეული აზრით, აკაუზალურის სფეროა, ან როგორც იორდანი ამბობდა: „ქვანტური ფიზიკა ცნებათა ისეთი სისტემაა, რომელიც მიზეზობრიობას გამორიცხავს“[1].

3. ჰაიზენბერგი კი მიზეზობრიობის უარყოფას ქვანტური მექანიკის ერთერთ მნიშვნელოვან შედეგად აცხადებს. იგი წერს: „თანამედროვე ატომური ფიზიკა მიზეზისა და შედეგის კანონს, ხსნის ან ყოველ შემთხვევაში მას ნაწილობრივ აცლის ძალას იმდენად, რომ ბუნების კანონზომიერების შესახებ პირდაპირ ლაპარაკი აღარ შეიძლება“[2].

ზემოაღნიშნული მდგომარეობა დღის წესრიგში ვსმს შემდეგ საკითხს: 1) ან მიზეზობრიობის ცნება არ არის უნივერსალური, სუბსტანციონალური კატეგორიაა, ან საჭიროა მიზეზობრიობის ისეთი ახალი ცნების ჩამოყალიბება, მიზეზობრივი კავშირის ისეთი ფორმის განსაზღვრა, რომელიც გავრცელდება მიკროსამყაროში შენიშნულ სიტუაციებზე. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ალბათური კავშირი უნდა იქნეს გაგებული მიზეზობრივი კავშირის გარკვეულ ფორმად, სახედ, სადაც შესრულდება მიზეზობრიობის ცნების მოთხოვნები; 2) ან მიზეზობრიობის ცნება მხოლოდ მაკროსამყაროში ფუნქციონებს და იგი ერთადერთი მეცნიერული ცნებაა (როგორც იგი კლასიკურ ფიზიკაშია გაგებული) და მას სხვა ისეთი ფორმა არ გააჩნია, რომელიც გავრცელდება მიკროსამყაროს

[1] „Naturwissennschaften„ 1928, Hft 41, გვ. 770.

[2] W. Heisenberg, Atomforschung und Kausalgestz, „Universitas„ 1954, Hpt. 3, გვ. 225.

ლტუაციებზე. მაშინ მიკროსინამდვილე გადაიქცევა აკუზალურის სფეროდ. ცალკეულად ფიზიკური სინამდვილის ერთიანობა. „ნების თავისუფლების“ პრინციპი მიკროსინამდვილის კანონი იქნება. აქედან კი გამოდის, რომ მიზეზობრიობა და აღბათობა, მიზეზობრივი აღწერა და აღბათური აღწერა ერთმანეთთან უთავსებანი არიან; ისინი პრინციპულად გამორიცხავენ ერთმანეთს და მათის ერთმანეთით ახსნა. ერთმანეთზე დაყვანა არ შეიძლება; 3) რადგანაც მაკროსხეულები მიკროსხეულების კომბინაციებს წარმოადგენენ, მაკროსხეულები ელემენტარულ ნაწილაკებად იშლებიან, ხოლო ამ ელემენტარული ნაწილაკების მიმართ კი მიზეზობრიობის კანონი არ სრულდება, მაშინ ლოგიკურად გაუმართლებელია, რომ აკუზალური ნაწილაკთა ერთიანობა კაუზალური აღწერის შესაძლებლობას იძლეოდეს. გამოვიდოდა, რომ აღბათურთა მთლიანობა, რაღაც ერთიანობა აუცილებლობას გვაძლევს და ეს აუცილებლობა პრინციპულად განსხვავებული იქნება აღბათურისაგან. თუ ამ პირობებში, ამის მიღების შემდეგ, ჩვენ გვინდა მიზეზობრიობის კანონი ძალაში დავტოვოთ მაკროსინამდვილის მიმართ, საჭიროა ვაღიაროთ, რომ მიზეზობრივი აღწერა აღბათური აღწერის გარკვეული სახეა, როცა აღბათობის რაციონალური მნიშვნელობა ან ტოლია, ან ძალიან ახლოა ერთთან. ასეთი აღბათური შეიძლება იწოდოს მიზეზობრივად. ამ შემთხვევაში გამოდის, რომ მიზეზობრიობა და აღბათობა ეკვივალენტები არიან, კერძოდ მიზეზობრივი აღბათურით აიხსნება; მიზეზობრივი რეალურად აღბათურს ეყრდნობა; მაშინ, აღბათობა იქნება უნივერსალური პრინციპი, ხოლო მიზეზობრიობა კი მისი გარკვეული ფორმა. თუ აღბათურს გავიგებთ, როგორც არაუცილებელს, შემთხვევითს, ამ შეხედულების მიხედვით გამოვა, რომ სინამდვილის კანონზომიერება აუცილებლობა კი არ არის, აუცილებლობა კი არ კრავს ერთ მთელად სინამდვილეს, არამედ სინამდვილე შემთხვევათა გარკვეული მთლიანობაა, ხოლო მთლიანობის საფუძველი კი აღბათობის პრინციპი.

ასეთია სამი თვალსაზრისი, რომელიც აღმოცენდა ქვანტურ ფიზიკაში ამჟამად შექმნილი მდგომარეობიდან. ყველა ამ თვალსაზრისთა ცენტრში დგას მიზეზობრიობის და აღბათობის ცნებათა ურთიერთობის პრობლემა და ეს თვალსაზრისები თავიანთ თავში ამ პრობლემის გარკვეულ გადაწყვეტას მოიცავენ და ემყარებიან.

დავიწყოთ იმ თვალსაზრისით, რომელიც ამტკიცებს, რომ მიზეზობრიობის და აღბათობის ცნებები ურთიერთუთავსებენ არიან. ამ თვალსაზრისს იზიარებენ ე. წ. ქვანტური მექანიკის კოპენჰაგენური ინტერპრეტაციის ავტორები და და მომხრეები: ბორი[3], ჰაიზენბერგი[4], იორდანი[5], მარხი[6] და სხვები. ამ ავტორებისათვის პრინციპულად აღიარებულია, რომ არსებობს მიზეზობრიობის ერთადერთი ცნება და ესაა კლასიკური მიზეზობრიობა, რომელიც მაკროსხეულთა სწორი მდგომარეობის (იმპულსის და კოორდინატების) ზუსტი განსაზღვრის საფუძველზე მისი მომრაობის მიზეზობრივ აღწერას შესაძლებლად თვლის. ჰაიზენბერგი პირდაპირ მიუთითებს, რომ კლასიკურ ფიზიკაში დასაშვებია ნებისმიერი ორი მახასიათებლის ერთდროული ზუსტი განსაზღვრა. ქვანტურ მექანიკაში კი მიკროელემენტის ზოგიერთი მახასიათებლის მიმართ პრინციპულად

---

[3] M. Bohr, On the Notions of Causality and Complementarity, „Dialectica“, 1948, V 2, № 34 (7—8).

[4] W. Heisenberg, Physics and Philosophy, New York, 1958.

[5] P. Jordan, Physics of 20-th Century, New York, 1944.

[6] A. March, Das neue Denken der modernen Physik, Hamburg, 1957.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეუძლებელია ამ ოპერაციის ჩატარება და ეს შეუძლებლობა განსაზღვრულია ქვანტურ-მექანიკური შემეცნების არსით. ბორი, ჰაიზენბერგი და სხვები იზიარებენ იმ აზრს, რომ მოვლენათა ალბათური აღწერა ცოდნის ნაკლოვანებითაა განსაზღვრული. ალბათური ცოდნა ნაკლოვანი, არასრული ცოდნაა. ცოდნის ნაკლოვანება კი შეიძლება განპირობებული იყოს ან ტექნიკური ან პრინციპული გარემოებებით. კლასიკურ ფიზიკაში ეს ნაკლოვანება გაპირობებულია ტექნიკური გარემოებებით—მოძრავი საგნის განმსაზღვრელ პარამეტრთა ძალიან დიდი რიცხვით და ამ პარამეტრთა დროში სწრაფი ცვალებადობით, ხოლო ქვანტურ მექანიკაში ცოდნის ნაკლოვანება პრინციპულია. ამ აზრს ჰაიზენბერგი ასე ასაბუთებს: ქვანტური მექანიკა ემპირიული მეცნიერებაა, იგი ცდების მონაცემების ლოგიკური დამუშავებაა. ცდა ამ მეცნიერებაში კი თავისებური სპეციფიკის მქონეა; თუ მას კლასიკურ ფიზიკაში ობიექტური მნიშვნელობა მიეწერებოდა, ქვანტურ მექანიკაში მას ასეთი ნიშანი არ მიეწერება. იმიტომ, რომ ქვანტურ მექანიკაში მოქმედებს ე. წ. უკონტროლობის პრინციპი, რომლის მიხედვით, მიკროელემენტის გაზომვის პროცესში საზომი ხელსაწყოს მიერ გასაზომ ობიექტში შეტანილი შეშფოთება პრინციპულად უკონტროლოა; ვერავითარი საშუალებით ამ შეშფოთებას ვერ გამოვთვლით. ამიტომაც, ქვანტურ მექანიკაში საზომი ხელსაწყოს ჩვენებები ობიექტური არ არის[7]. განუზღვრელობათა თანაფარდობის ძალით შეუძლებელია მიკროელემენტის საწყისი მდგომარეობის აღწერა აუცილებლობის ცნების, ან სხვანაირად მიკროელემენტის დროულ-ვრცელი და დინამიკურ განსაზღვრულობათა აუცილებელი კავშირის დადგენა არ შეიძლება. თუ ვიცით დროის გარკვეულ მომენტში მაგ. ელექტრონი სივრცის რომელ წერტილშია, მაშინ არ ვიცით მისი სიჩქარე სივრცის ამ წერტილში და პირიქით. გაზომვის პროცესი შეუძლებელს ხდის ასეთი ოპერაციის ჩატარებას, რადგანაც თუ საზომი ხელსაწყოთი, ვთქვათ, რაიმე წერტილში დავაფიქსირეთ ელექტრონის კოორდინატები, ეს საზომი ხელსაწყო (მოკლეტალღიანი სხივები), მოქმედებენ რა ელექტრონზე, ცვლიან მის სიჩქარეს და, ამიტომაც, ელექტრონს ექნება არა ობიექტური სიჩქარე ამ წერტილში, არამედ „დაკვირვებადი“, საზომი ხელსაწყოს მოქმედების შედეგად შეცვლილი. თუ ჩვენ გვინდა ელექტრონის სიჩქარის ზუსტი გაგება, ეს შესაძლებელია, მაგრამ მაშინ ჩვენ არ ვიცით ზუსტად, თუ სად არის იგი. ე. ი. ურთიერთერთნიშნა დამოკიდებულების დამყარება ელექტრონის ამ ორ (იმპულსის და კოორდინატების) განსაზღვრულობათა შორის არ შეიძლება. ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ მათი ალბათური შეფასება. მაგალითად, როდესაც სიჩქარე დავაფიქსიროთ ზუსტად, ჩვენ ალბათურად გამოვთვლით, თუ რამდენია შანსი იმისა, რომ ელექტრონი იყოს სივრცის ამ წერტილში. კოორდინატების გამოთვლის შემთხვევაში კი ალბათურია მისი სიჩქარე. ბორმა ხაზი გაუსვა იმ გარემოს, რომ მიზეზობრიობის კლასიკურ ცნებაში მიზეზობრივი და დროულ-ვრცეული აღწერანი თავსებადნია; მიზეზობრივი კავშირი მოვლენის დროსა და სივრცეში ცვალებადობის გამოთქმულია; ქვანტური მოვლენის მიმართ კი დროულ-ვრცეული და მიზეზობრივი აღწერანი უთავსადია; ეს ორი აღწერანი ურთიერთდამატებითნი არიან[8]. ცხადია, აქ ტერმინი მიზეზობრივი აღწერა ზუსტად არ გამოსახავს იმ სიტუაციას, რაზეც ბორი მსჯელობს, რადგანაც არადროულ-ვრცელი მიზეზობრიობა არც არის მიზეზობრიობა, იგი მხოლოდ გარკვეული ლოგიკური თანამიმდევრობაა.

[7] Heisenberg, Physics and Philosophy, გვ. 50—51.

[8] Н. Бор. Квантовый постулат и новое развитие атомистики УФН, 1928, т. VIII, вып. 3, გვ. 308.

როგორია ამ თვალსაზრისის მიხედვით ალბათობის ცნება, ასახავს იგი ობიექტურ სიტუაციას, თუ იგი სუბიექტის დარწმუნებულობის ხარისხის მაჩვენებელია? კოპენჰაგენური ინტერპრეტაციიდან გამომდის, რომ იგი სუბიექტური ცნებაა, სუბიექტური დარწმუნებულობის ხარისხია. მართლაც, მაგ., ჰაიზენბერგის აზრით, „ალბათობა ორი რიამეს ნარევია ნაწილობრივ ფაქტისა და ნაწილობრივ ფაქტის ჩვენი ცოდნისა"[9]. ზოგადად ეს სწორია; ალბათური ცოდნა ფაქტს ემყარება და რაღაც სხვაზეც მიუთითებს, რომელიც ერთნიშნად არ გამომდის ფაქტობრივი ცოდნიდან. მაგრამ აქ მეორე გარემოებაა საყურადღებო. ალბათობის ცნების დადგენაში რომელს ენიჭება პრიმატი, ცოდნას თუ უცოდინარობას? ის, ვინც ცოდნას ანიჭებს პრიმატს, მისთვის ალბათობის ცნება ობიექტურია, ხოლო ვინც უცოდინარობას ანიჭებს პრიმატს, მისთვის ალბათობის ცნება სუბიექტურია.

თუ ფაქტების ცოდნას ენიჭება პრიმატი, ან საერთოდ თუ ცოდნას ენიჭება პრიმატი, მაშინ ალბათობის ცნება იმიტომ გამოდის ობიექტური, რომ იგი გარკვეული ზოგადი კანონზომიერების კონკრეტული, თუმც კი არასრული დახასიათებაა. მაგ. საგანთა და მოვლენათა მოძრაობის საყოველთაო მიზეზობრივი განსაზღვრულობიდან გამოდის, რომ ყველა შემთხვევითის გამოსვლა, ყოველი მრავალშესაძლებლობიდან კონკრეტულის განხორციელება მიზეზობრივადაა განპირობებული და ალბათობის კონკრეტული მნიშვნელობა ამ მიზეზთა და პირობათა კომპლექსის შესაძლო მოქმედების რაოდენობრიობის მაჩვენებელია. ეს კი ალბათობის ობიექტურ ღირებულებაზე მიუთითებს. ხოლო თუ ფაქტები გაგებულია, როგორც ემპირიული მასალა და არა ზოგადი კანონზომიერების გამოვლენის ფორმა, მაშინ მოვლენის მოხდენის ალბათობა მხოლოდ უცოდინარობაზე ან დარწმუნებაზე, ჩვევაზეა დამყარებული და ამიტომაც, იგი მოლოდინის ხარისხად, დარწმუნებულობის ხარისხად გვევლინება. ამ შემთხვევაში ალბათობის კონკრეტულ შინაარსს შემმეცნებელ სუბიექტში აქვს საფუძველი და არა სინამდვილის ზოგად კანონზომიერებაში, რის გამოც იგი (ალბათობა) სუბიექტურ ცნებად წარმოგვიდგება. რადგანაც ხაზი ესმება, პრიმატი ენიჭება სწორედ უცოდინარობას და არა ბუნების ზოგადი კანონზომიერების ცოდნას, რომელიც ალბათური დასკვნის ობიექტურობის დადასტურების შესაძლებლობას იძლევა.

როგორია ამ თვალსაზრისით კოპენჰაგენური ინტერპრეტაციის მომხრეთა შეხედულება? ბორის და ჰაიზენბერგის მიხედვით, ქვანტური ფიზიკა ემპირიულ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებაა. მას საქმე აქვს ემპირიულ ფაქტებთან. როგორია ფაქტი თავისთავად? იგი კანონზომიერების ნაწილია, მომენტია თუ არა? არის იგი ობიექტური რეალობის ნაწილი? ჯერ საჭიროა დადგინდეს თვით ფაქტის ცნება. კოპენჰაგენური ინტერპრეტაციის მიხედვით, ფაქტები ექსპერიმენტების მონაცემებია. ექსპერიმენტები კი ობიექტური სინამდვილის აღწერას არ წარმოადგენენ ე. ი. მათ არა აქვთ ობიექტური მნიშვნელობა. მაშასადამე, ეს ფაქტები, როგორც ექსპერიმენტთა მონაცემები, არ გვეუბნებიან იმას, რომ ისინი კანონზომიერების ნაწილები არიან, ან სხვანაირად, რომ ისინი გარკვეული ზოგადი კანონზომიერების კონკრეტული სახეები არიან. ფაქტი მოხდა, მისი ანალიზი გარკვეულ ზოგად პრინციპს უნდა ემყარებოდეს, ხოლო ეს ზოგადი პრინციპი კი ფილოსოფიით დგინდება. მაგალითად, ელექტრონის მოხვედრა სიბრტყის რაიმე წერტილზე მიზეზობრივად უნდა აიხსნას, და რომ აიხსნას სა-

[9] W. Heisenberg, Physics and Philosophy, გვ. 45.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირობა გამოყენებულ იქნეს მიზეზობრიობის კანონი, რომელიც ფილოსოფიის შეწყალის ობიექტია. როდესაც დადგენილია ამ კანონის სუბსტანციონალური და უნივერსალური ხასიათი, მაშინ ყოველი ემპირიული ფაქტი მიზეზობრივ ახსნას პოულობს (რადგანაც სინამდვილეში არ არსებობს ემპირიული ფაქტი, რომელიც ამ კანონს არ ემორჩილებოდეს). ასეთი ახსნის შესაძლებლობის დაშვება კი ყოველ ემპირიულ ფაქტს რაღაც ობიექტური კანონზომიერების ნაწილად აქცევს. კოპენჰაგენურ ინტერპრეტაციაში უარყოფილია სამყაროს ზოგადი კანონზომიერების არსებობა, რის გამოც ფაქტის, როგორც ზოგადი კანონზომიერების გამოვლენის შესაძლებლობა, უარყოფილია.

. მაშასადამე, როცა ჰაიზენბერგი ამბობს, რომ ალბათური ფუნქცია ორი რაიმეს—ფაქტის და ფაქტის ცოდნის ნარევია, აქ ფაქტის ქვეშ მას ესმის არა ობიექტური ცოდნა, ობიექტური კანონზომიერება, არამედ მისი ემპირიული არსებობა. ასეთ შემთხვევაში ფაქტის როლი შემეცნების პროცესში დაიყვანება მის ემპირიულ შინაარსზე; რომ იგი მოხდა, სუბიექტს ცდაში მიეცა და მეტი არაფერი. ხოლო საკითხი იმის შესახებ, თუ შემდგომში იგივე ფაქტი განმეორდება თუ არა, ან როგორ და რა პირობებში განმეორდება—მოხსნილია, რადგანაც ეს ფაქტი მიზეზობრივ ახსნას არ ემორჩილება და გარდა იმისა, იგი არ არის განხილული როგორც გარკვეული ზოგადი კანონზომიერების ნაწილი; ცხადია, მისი მოხდენის მოლოდინი მხოლოდ სუბიექტურ ფაქტორად რჩება, რომელსაც სუბიექტური ჩვევა, წარსული გამოცდილება უდგეს საფუძვლად და არა ობიექტური კანონზომიერება. ასეთ პირობებში, რადგანაც ფაქტის მიზეზობრივი ახსნა მოხსნილია, რჩება მეორე გამოსავალი, მისი ალბათური აღწერა, როგორც სუბიექტური მოლოდინის გამოთვლა. ჰაიზენბერგი სწორედ ასე განიხილავს ალბათობის ცნებას და საერთოდ ქვანტური მექანიკის ალბათურ მსჯელობებს. მისი აზრით, ეს ცნება და მსჯელობები, საერთოდ, ქვანტური მექანიკის კანონები გვიჩვენებენ არა ობიექტური კანონზომიერების რაიმე მხარეს, არამედ, ისინი გვიჩვენებენ ჩვენი ცოდნის ხარისხს მიკროელემენტების ქცევათა შესახებ.

ჩვენი ცოდნის ხარისხი იმას კი არ ეხება, თუ როგორია მიკროელემენტების კანონზომიერება, არამედ იმას, თუ როგორია ჩვენი დარწმუნებულობა მათი მოძრაობისა და ქცევების შესახებ, როგორია ამ ელემენტთა მოძრაობის ჩვენი მოლოდინი.

მაშასადამე საყოველთაო მიზეზობრიობის პრინციპის უნივერსალობის უარყოფამ, კოპენჰაგენურ ინტერპრეტაციის მიერ, გამოიწვია ალბათობის ცნების შინაარსის გასუბიექტურობა; მათ ეს ცნება საბუნებისმეტყველო, ობიექტური ცნებიდან სუბიექტური დარწმუნებულობის ხარისხად გადაქცია. რადგანაც ალბათობის ცნება საფუძველმდებელია ქვანტური მექანიკისათვის, გამოდის რომ, მიკროსინამდვილის შემსწავლელი მეცნიერების ლოგიკური სტრუქტურის საფუძველი და ძირი სუბიექტური ყოფილა. ცხადია, სუბიექტურ ფენომენზე ფიზიკური სინამდვილის შემსწავლელი მეცნიერების აგება არ შეიძლება. იგი მეცნიერების ცნების განსაზღვრების მოთხოვას ეწინააღმდეგება. ეს გარემოება კი აუცილებლობით მოითხოვს ალბათობის ცხეაის ისეთ განსაზღვრას, სადაც მისი ობიექტური ღირებულება, საყოველთაობა და ზოგადობა დაცული იქნება. ეს ოპერაცია კი შესაძლებელია მხოლოდ მიზეზობრიობის უნივერსალობის და სუბსტანციონალობის დაშვებით, რის შედეგადაც ალბათობის ცნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

სავსებით თავსებადი გახდება მიზეზობრიობის ცნებასთან და ალბათური კავშირი კი თავის ობიექტურ ახსნა-გაგებას იპოვის.

ცხადია, რომ მიზეზობრიობის კლასიკური ცნება მიკროსფეროში არ გამოდგება. რადგანაც აქ ერთნაშნა აუცილებელი კავშირები არა გვაქვს. მაგრამ აქედან არ გამოდის, რომ არ შეიძლება არსებობდეს მიზეზობრიობის ისეთი ფორმა, რომელიც მიზეზობრიობის ცნების ნაშნებს დააკმაყოფილებს და გამოდგება მიკროსფეროს მიმართაც. ცხადია, ამ ცნების საფუძველზე ფორმირებული მიზეზობრიობის კანონი თავისებური სპეციფიკის იქნება. იქ სხვანაირად იქნება გაგებული საწყისი პირობების ცნება, ერთში გამოწვევა-განსაზღვრის ცნება და სხვა. სწორედ მიზეზობრიობის ასეთი ცნების ბაზაზეა შესაძლებელი ქვანტური ალბათობის ცნების ობიექტური შინაარსის დადგენა. ასეთ შემთხვევაში, ქვანტურ მექანიკაში მიზეზობრიობა და ალბათობა სავსებით თავსებადი აღმოჩნდება.

ამ აზრს ბორიც იზიარებს გარკვეული შენიშვნებით, როცა იგი წერს[10], რომ ქვანტური მექანიკის წინსვლა არ იქნება, არავითარ შემთხვევაში, მისი მიზეზისა და შედეგის თვალსაზრისი ცნებებით აღწერა, თუმცა კი დამატებითობის პრინციპი მიზეზობრიობის იდეალზე ხელს არ იღებს. მაგრამ ბორთან არ ჩანს, თუ როგორ ახორციელებს დამატებითობის პრინციპი მიზეზობრიობის იდეალისაკენ სწრაფვას.

ახალი ფიზიკის მიღწევებთან დაკავშირებით თავისებურად აყენებს ალბათობის და მიზეზობრიობის ურთიერთობის საკითხს ის თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც ალბათობის და მიზეზობრიობის ცნებები თავსებადნი არიან, მაგრამ პრომატოზ ალბათობის ცნებას ეკუთვნის, ხოლო მიზეზობრივი კავშირი კი ალბათური კავშირის განსაკუთრებულ, კერძო შემთხვევას წარმოადგენს. ასეთი თვალსაზრისის ერთ-ერთი ავტორია ჰ. რაიხენბახი. იგი თავის მოღვაწეობის პირველ პერიოდში კანტიანურ პოზიციაზე იდგა. ალბათობის ცნების ფართო გამოყენებამ მეცნიერებებში და მისმა განსაკუთრებულმა როლმა ქვანტურ მექანიკაში რაიხენბახი მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ კანტის კატეგორიათა სიმრავლე (განსჯის 12 კატეგორია) არ არის სრული თანამედროვე მეცნიერების თვალსაზრისით და საჭიროა მას დაემატოს მეცამეტე კატეგორია ალბათობის სახით. აქედან გამოდის, რომ ალბათობის და მიზეზობრიობის კატეგორიები განსხვავებული ბუნებისანი არიან და ისინი ერთმანეთზე არ დაიყვანებიან; არც მიზეზობრიობა აიხსნება ალბათობით და არც ალბათობა მიზეზობრიობით. გამოდის, რომ ისინი ურთიერთუთავსადნი არიან. შემდეგ რაიხენბახმა უარყო თავისი კანტიანური პოზიცია და პოზიტივისტური შეხედულებები გაიზიარა, რის შედეგადაც შეიცვალა მისი თვალსაზრისი ალბათობის და მიზეზობრიობის ურთიერთობის შესახებ. ალბათობას და მიზეზობრიობის ურთიერთობის საკითხი რაიხენბახს განხილული აქვს წიგნში „თანამედროვე ატურფილოსოფიის ზღვარი და მიზნები". მსჯელობის საგანია არა ალბათობის ობიექტური ცნების და მიზეზობრიობის ცნების ურთიერთობა, არამედ ალბათობის სუბიექტური ცნებისა და მიზეზობრიობის ცნების ურთიერთობა. რაიხენბახის აზრით, თუ დავდებით პოზიტივისტური შემეცნების თეორიის პოზიციაზე და დღევანდელი „ფიზიკური შემეცნების" პროცესს გავაანალიზებთ, აღმოჩნდება, რომ ფიზიკაში და საერთოდ, ემპირიულ მეცნიერებებში ფუნქციონირებს მხოლოდ ალბა-

[10] Н. Бор. Атомная физика и человеческое познание, Москва, 1962, გვ. 146.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თობის სუბიექტური ცნება. იგი ალბათობის თეორიას (როგორც ემპირიულს და არა ლოგიკურს) თვლის სუბიექტურ თეორიად. რაიხენბახი ფიქრობს, რომ ალბათობის სუბიექტურმა თეორიამ საბოლოოდ შეარყია კაუზალური კანონზომიერების ცნება, იმ თვალსაზრისით, რომ მასში შეტანილი იქნა ალბათობის ცნება[11]. აღმოჩნდა, რომ ალბათობის ცნება არ შეიძლება განხილული იქნეს, როგორც ფიზიკის მკაცრი კანონი იმ აზრით, რომ იგი ფიზიკურ სინამდვილეს შეესაბამებოდეს. ცნობილია, რომ პირობები, რომლის გათვალისწინებითაც ფიზიკური მოვლენის მოძრაობას (მიმდინარეობას) გამოვთვლით, სინამდვილეში ზუსტად არასდროს არ სრულდება. ყოველთვის ჩვენ ფიზიკური სხეულზე მოქმედი ყველა ფაქტორის ზუსტი გამოთვლა არ გვაქვს, და ამიტომაც, როცა ჩვენ სხეულის მომავალ ქცევებზე ვმსჯელობთ, ჩვენ ვიყენებთ ალბათობის ცნებას. ჩვენ ვუშვებთ შეცდომებს ყოველთვის გამოთვლაში და ალბათობა იმისა, რომ სხეული შემდგომში საწყის სიტუაციებს გაიმეორებს, არ არის ერთის ტოლი, თუმცა კი შეიძლება იგი ერთთან ახლოს იყოს. კაუზალობის კანონი კი სწორედ იმას ამტკიცებს, რომ სიტუაციები და შედეგები მომავალშიც განმეორდება. რა უფლებით ავრცელებს იგი მომავალზე ამ მტკიცებას?—კითხულობს რაიხენბახი. პასუხია—მას ავრცელებს იგი მხოლოდ ალბათობის ცნების გამოყენების ნიადაგზე. მისი აზრით, მიზეზის მიერ შემდგომშიც იგივური შედეგის გამოწვევა აუცილებელი კი არაა, არამედ ალბათური, რადგანაც, შეიძლებოდა ისეთი სიტუაციების მოძებნა, რომ ეს გამოწვევა არ მოხდეს. რაიხენბახი ასკვნის: „რეალური საგნების შესახებ ეგრეთწოდებული კაუზალური კანონის გამოთქმა.... მხოლოდ ალბათური გამოთქმაა"[12].

საერთოდ, რაიხენბახის აზრით, კაუზალური კანონზომიერება სტატისტიკურ კანონზომიერებაზე დაიყვანება, ან სხვანაირად, ის, რაც ჩვენ მიზეზობრივი განპირობებულობის ხასიათის გვეგონა, ნამდვილად სტატისტიკური, ალბათური ხასიათისაა. ეს კარგად დამტკიცდა. ამბობს რაიხენბახი, ქვანტური მექანიკის მიღწევებით, კერძოდ, ჰაიზენბერგის განუზღვრელობათა თანაფარდობის პრინციპით.

რაიხენბახის დასკვნა ასეთია: მეცნიერების სინამდვილის კანონზომიერების ძირითადი პრინციპი, ძირითადი ცნებაა არა მიზეზობრიობა, არამედ ალბათობა და, ამიტომაც, მთელი ჩვენი მეცნიერული ცოდნა ალბათური ხასიათისაა, რადგანაც „ყოველი მიზეზობრივი წინადადება გამოყენებული ბუნებაში მოვლენის წინასწარ განსაზღვრისათვის ალბათური წინასწარ განსაზღვრის ფორმას იღებს"[13]. მაშასადამე, ალბათობის და მიზეზობრიობის ცნებების ურთიერთობაში, რაიხენბახმა, ალბათობის ცნებას მისცა პრიმატი; მიზეზობრიობა ალბათობაზე დაიფუძნა და მასზე დაიყვანა.

რაიხენბახის ეს დასკვნა მის მიერ მიზეზობრიობის ცნების ემპირისტული მეთოდით კვლევის შედეგია. მისთვის ფიზიკური მეცნიერების ყოველი კანონი ემპირიულია. ასეთივეა მიზეზობრიობის კანონიც. მიზეზობრიობის ტრადიციულ ცნებას ზოგადობის და საყოველთაობის ნიშანი აქვს, რადგანაც იგი მიზეზის და შედეგის აუცილებელი კავშირის საყოველთაობას და ზოგადობას ამტკიცებს, რომელიც თავისი რაოდენობრივი მნიშვნელობით იმას ნიშნავს, რომ

---

[11] H. Reichenbach, Ziele und Wege der heutigen Naturphilosophie, Leipzig, 1931.

[12] იქვე, გვ. 38.

[13] ციტატი მოყვანილია წიგნიდან: М. Бунге, Причинность, Москва, 1962, გვ. 350.

ალბათობა იმისა, რომ A-ს ყოველთვის მოყვება B ტოლია ერთის. ემპირიზმის ნიადაგზე კი ასეთი დასკვნის გაკეთება არ შეიძლება, რადგანაც: 1) მოცემული სიტუაციები ცდის ობიექტი ვერ გახდება, 2) უსასრულობაზე დასკვნა სასრულო სფეროში მიღებული შედეგების სისწორის შესახებ, გარკვეულ ხახტომს წარმოადგენს, რომელსაც ემპირიაში არაფერი შეესაბამება. ეს ხახტომი დამყარებულია მათემატიკური ინდუქციის წესზე, რომელიც თვითონ ალბათობას გამოთქვამს. რადგანაც საყოველთაო მიზეზობრიობის კანონის გნოსეოლოგიურ ფორმირებაში გარკვეულად ალბათობის ცნება მონაწილეობს, რაიხენბახს აქედან გამოყავს დასკვნა, რომ მიზეზობრივი კანონი ნამდვილად ალბათური კანონია. რაიხენბახი აქ ჩერდება და არ აყენებს საკითხს იმის შესახებ, თუ რა როლს ასრულებს მიზეზობრიობის ცნება ალბათობის ცნების ფორმირებაში. ამ საკითხის განხილვისას აღმოჩნდება, რომ ალბათობის ცნება მიზეზობრიობის ცნებაზეა დაფუძნებული როგორც რეალურად, ისე ლოგიკურად, ასევე ღირებულების თვალსაზრისით.

მაშასადამე, მცდარია რაიხენბახის თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ მიზეზობრიობა ალბათობის ნაწილს, გარკვეულ სახეს წარმოადგენს, რადგანაც, პირიქით, სწორედ მიზეზობრიობის უნივერსალურ და სუბსტანციალურ ხასიათზეა დაფუძნებული ალბათობის ცნების შინაარსი და ბუნების მოკლენების კვლევაში მისი გამოყენების კანონიერება.

თვალსაზრისი, რომელიც მიზეზობრიობის და ალბათობის ურთიერთთავსებადობას ამტკიცებს (მიზეზობრიობის პრიმატობის დაცვით) ეყრდნობა მიზეზობრიობის პრინციპის სუბსტანციონალური და საყოველთაო ხასიათის აღიარებას. ამ თვალსაზრისს იცავენ ლუი დე ბროილი, ბომი, ვიჟი, და საბჭოთა ფიზიკოსები: ფოკი, ალექსანდროვი, ბლოხინცევი და სხვები, ამ თვალსაზრისის მომხრეებს შორის შეინიშნება ორი ბანაკი. პირველ ბანაკს ეკუთვნიან ლუი დე ბროილი და დ. ბომი. მათი აზრით, ქვანტური მექანიკის გამოუსადეგარობა მაკროობიექტების მოძრაობა-ცვალებადობის მიზეზობრივი, ერთნიშნა აუცილებელი აღწერისათვის, მიუთითებს იმაზე, რომ ეს თეორია (ქვანტური მექანიკა) არასრული, ნაკლოვანი თეორიაა და, ამიტომ, იგი მეცნიერების იდეალის განხორციელებას არ წარმოადგენს, წინააღმდეგ ბორის, ჰაიზენბერგის და ქვანტური მექანიკის კოპენჰაგენური ინტერპრეტაციის ყველა მომხრეებისა, ეს მოაზროვნეები (ლუი დე ბროილი და ბომი) ამტკიცებენ, რომ შესაძლებელია ქვანტური მექანიკის ისეთი ახლებური დაფუძნება, რომ მასში სრულდებოდეს მიზეზობრიობის და აუცილებლობის პრინციპები.

ცნობილია, რომ კოპენჰაგენური ინტერპრეტაციის ერთ-ერთ დასაყრდენს წარმოადგენს ნეიმანის თეორია მიკროელემენტების მიზეზობრივ და ერთნიშნა აუცილებლობით მოძრაობის განმსაზღვრელი „ფარული პარამეტრების“ რეალურად არ არსებობის შესახებ. ნეიმანის წინააღმდეგ, ბომი[14] ამტკიცებს, რომ ეს „ფარული პარამეტრები“ რეალურად არსებობენ და ისინი აზროვნების ფიქციებს არ წარმოადგენენ. ბომის თეზისი იმაში მდგომარეობს, რომ მისი აზრით, მიკროელემენტს და მაკროსხეულს შორის პრინციპული განსხვავება არა გვაქვს. ამიტომ სავსებით შესაძლებელია მიკროელემენტის საწყისი მდგომარეობის (იმპულსის და კოორდინატე-

[14] იხ. Бом. О возможности интерпретации квантовой теории на основе представления о „скрытых параметрах“. Сб. Вопросы причинности в квантовой механике, Москва, 1955.

ბის) ნებისმიერი სიზუსტით გამოთვლა დროის რაიმე მომენტისათვის; მხოლოდ ეს გამოთვლა ახალ თავისებურ საშუალებას შექმნას და მოხმარებას საჭიროებს. მისი აზრით, ყოველი მიკროელემენტი შეიძლება განხილულ იქნეს როგორც კლასიკური ფიზიკის მატერიალური წერტილი და მაშინ ჩვენ ვნახავთ, რომ მათ მიმართ გვექნება იგივე სიტუაციები, როგორსაც ადგილი აქვს კლასიკურ სტატისტიკურ მექანიკაში, მაგალითად, ბოლცმანის თეორიაში; ოღონდ ამ ახალ სტატისტიკურ თეორიაში მიკროელემენტის ზოგიერთ მახასიათებელს თავისებური ფორმა ექნება, მაგალითად, ამ თეორიაში ბოლცმანის მუდმივას როლს პლანკის მუდმივა შეასრულებს. ეს აზრი ბომს რთული მათემატიკური აპარატით აქვს დაფუძნებული (რომელსაც ჩვენ აქ არ მოვიყვანთ). ასეთ შემთხვევაში, მიკროელემენტი ბომთან გამოდის არა როგორც ტალღურ-კორპუსკულარულ თვისებათა მთლიანობა, არამედ მათი ჯამი; თითქოს მიკროელემენტში ეს თვისებები ერთმანეთის გვერდით არსებობენ. მაგალითად, ელექტრონის წარმოდგენა შეიძლება, როგორც კორპუსკულისა, რომელიც გარკვეული ტალღით მოძრაობს.

ბომის ამ აზრიდან ლოგიკურად გამოდის, რომ სამყარო, ყოველ შემთხვევაში, ფიზიკური სინამდვილე, ერთი მთელია, რომლის ძირითად პრინციპს მიზეზობრიობა წარმოადგენს. მიზეზობრივადაა საჭიროა ერთ მთელად შეკრული; არ არსებობენ სინამდვილეში უმიზეზო მოვლენები და, მაშასადამე, არც აბსოლუტური შემთხვევითობა არსებობს. მოვლენა შემთხვევითია ჩვენთვის, რადგანაც მისი განმსაზღვრელი ყველა პარამეტრი არ ვიცით. ამიტომაც ალბათობის ცნება „თავისთავად" შემთხვევით მოვლენებს კი არ აღწერს, არამედ ჩვენთვის შემთხვევით მოვლენებს და ამ აღწერის შესაძლებლობა მიზეზობრივი განპირობებულობის უნივერსალობაზეა დაფუძნებული. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი (ალბათობა) საბუნებისმეტყველო, ობიექტური ცნება არ იქნებოდა და ქვანტური ფიზიკა კი მიკროსინამდვილის ობიექტური კანონზომიერების მომცემი თეორია. მართალია, ბომი აღიარებს ქვანტური მექანიკის არასრულ, ხარვეზიანობას, მაგრამ იგი არ უარყოფს მის ობიექტურ ღირებულებას; იგი ნაკლოვანია იმიტომ, რომ მისი დებულებები ალბათური და არა მიზეზობრივი. აუცილებელ განჭვრის გამომთქმელნი არიან. ალბათური კავშირის გამომთქმელი დებულებები კი, ცოდნის ღირებულების თვალსაზრისით, დაბალი ხარისხის მქონენია, ვიდრე მიზეზობრიობის, აუცილებლობის გამომთქმელი დებულებები.

მაშასადამე, ბომის მიხედვით, ალბათობის ცნება მიზეზობრიობას ექვემდებარება; მისი მოაზრება მიზეზობრიობის ცნების გარეშე არ შეიძლება. ალბათობის და მიზეზობრიობის ცნებების ურთიერთობაში ძირითადი და განმსაზღვრელია მიზეზობრიობა. მოვლენის მოძრაობა-ცვალებადობის ალბათური შეფასების უკან ყოველთვის მიზეზობრიობა იმალება. ამიტომაც საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ძირითადი ინსტრუმენტია, ძირითადი პრინციპია სწორედ მიზეზობრიობა და არა ალბათობა. ეს გარემოება კი მიზეზობრიობის სუბსტანციონალობასა და უნივერსალურ ხასიათზე მიუთითებს.

მეორე ბანაკის წარმომადგენლები არიან საბჭოთა ფიზიკოსები: ვ. ა. ფოკი, ე. დ. ალექსანდროვი, დ. ი. ბლოხინცევი და სხვები. ისინი არ იზიარებენ იმ აზრს, რომ ქვანტური მექანიკა ნაკლოვანი, არასრული თეორიაა. მათი აზრით, წინააღმდეგ ბომისა, ქვანტურ მექანიკაში კი არ უნდა ვეძებოთ კლასიკური ფიზიკის მსგავსი სიტუაციები და მისი შესაბამისი მიზეზობრიობის მექანიკური ფორმის

არსებობა, არამედ ქვანტური მექანიკა და მისი შესწავლის ობიექტი—მიკროსამყარო—თვისობრივად განსხვავდება კლასიკური ფიზიკისა და მისი შესწავლის საგნის—მაკროსამყაროსაგან. ფიზიკური სინამდვილის ორივე ამ სფეროს აქვთ თავიანთი სპეციფიკა, რომელიც თავის ასახვას პოულობს არა მარტო კანონზომიერებათა ტიპებში, არამედ მიზეზობრივი კავშირის ფორმებშიც. მათი აზრით, ქვანტურ მექანიკაში ადგილი აქვს მიზეზობრიობის სპეციფიკურ ფორმას, რომელიც განსხვავდება მიზეზობრიობის მექანიკური ფორმისაგან. მიზეზობრიობის ფორმებში აისახება კანონზომიერების ტიპების სპეციფიკა. ამიტომაც მცდარია, ვეძებოთ მიზეზობრიობის მექანიკური ფორმა მიკროსამყაროში.

ბლოხინცევს, ალექსანდროვსა და ფოკს შორისაც გარკვეული განსხვავებაა. ბლოხინცევის აზრით[15], ქვანტურ მექანიკას მიკროელემენტების სიმრავლესთან, ანსამბლებთან აქვს საქმე. ტალღური ფუნქცია ამ ანსამბლების და არა ერთეული მიკროელემენტების მახასიათებელს წარმოადგენს. მისი აზრით, ქვანტური ანსამბლის აღწერა წინასწარ გარკვეულ მაკროსკოპულ დანადგარს გულისხმობს. ამიტომაც ტალღური ფუნქცია „თავისთავად" მიკროელემენტის აღმწერი კი არ არის, არამედ იგი მიკროელემენტს ამა თუ იმ ანსამბლს მიაკუთვნებს.

ბლოხინცევს მიაჩნია, რომ ქვანტური ანსამბლისათვის ძალაში რჩება მიზეზობრიობის მარტივი ფორმა—ნიუტონის დეტერმინიზმი. ეს იმის შედეგია, რომ მთლიანად ქვანტური ანსამბლი (მიკროსისტემა+მაკროდანადგარი) შეიძლება სამყაროს დანარჩენი სხეულებისაგან მიახლოებით იქნეს იზოლირებული. მაგრამ ნიუტონის დეტერმინიზმი ინდივიდუალური ერთეული მიკრომოვლენების მიმართ არ გამოდგება, რადგანაც მისი იზოლაცია მაკროდანადგარისაგან არ შეიძლება. ამიტომაც ინდივიდუალური მიკრომოვლენები სტატისტიკურ კანონზომიერებას ემორჩილება. ქვანტური მექანიკის სტატისტიკური ხასიათი ინდივიდუალურთა თავისებური კანონზომიერების შედეგია და, ამიტომაც, ქვანტური მექანიკა ინდივიდუალურ მიკროელემენტის თვისებებს სწავლობს ასეთი მოვლენების ანსამბლების კანონზომიერების შესწავლის გზით.

ბლოხინცევის ეს თეორია მრავალ რამეში მოისუსტებს. კერძოდ, იგი არ პასუხობს კითხვას—მიზეზობრიობის პრინციპს ემორჩილება თუ არა ინდივიდუალური მიკროელემენტი, სადაც გარკვეულად გადაწყდებოდა ალბათობის და მიზეზობრიობის ურთიერთობის საკითხიც. ანსამბლების თეორიის სხვა მომხრეების, მაგ. მ. ე. ომელიანოვსკის აზრით, მიკროსინამდვილეშიც მოქმედებს მიზეზობრიობის კანონი თავისებური ფორმით და, მაშასადამე, ქვანტური მექანიკის სტატისტიკურ ხასიათს სპეციფიკური მიზეზობრივი კავშირები უდევს საფუძვლად; მაგრამ კონკრეტულად არაა განხილული საკითხი, თუ როგორია ეს თავისებური მიზეზობრიობა და რა ურთიერთობაშია იგი ალბათობის ცნებასთან.

ფოკი უარყოფს ანსამბლების თეორიას. მისი აზრით, ქვანტური მექანიკა სწავლობს არა მიკროელემენტების ანსამბლებს, არამედ ინდივიდუალურ მიკრომოვლენებს. ტალღური ფუნქცია ინდივიდუალური მიკროელემენტების დახასია-

---

[15] იხ. Д. И. Блохинцев, Критика философских воззрений так называемой, „Копенгагенской школы" в физике. Сб. философские вопросы современной физики Москва, 1952.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ობას იძლევა. მისი აზრით, მიკროსამყაროს მიმართ ნიუტონის დეტერმინიზმი არ გამოდგება. სინამდვილის ამ სფეროში ახალი ფორმის მიზეზობრიობას აქვს ადგილი, რომელიც „უშუალოდ ალბათობებს ეხება, ე. ი. ეხება პოტენციალურად შესაძლებელ და არა ნამდვილად განხორციელებულ მოვლენებს“[16]. ფოკი ამტკიცებს, რომ მიზეზობრიობის პრინციპი თავისი ზოგადი მნიშვნელობით უნდა გავიგოთ, როგორც ბუნების ზოგადი კანონი. იგი აღიარებს მიზეზობრიობის სპეციფიკური ფორმის არსებობას მიკროსამყაროში, თუმც კი მის სპეციფიკაზე არსად არ მიუთითებს. ერთი კი ცხადია, რომ, მისი აზრით, ქვანტური თეორია სრულ თეორიაა, მასში მიკრომოვლენების ობიექტური კანონზომიერება გვეძლევა. ეს კანონზომიერება მიზეზობრივ გაპირობებულებასაც შეიცავს თავისთავში. ეს მიზეზობრიობა ალბათობის ენით მოიცემა, იგი ალბათობებს ეხება, რომლებიც ინდივიდუალურთა შესაძლებელი ქცევის დახასიათებას გვაძლევს. აქედან კი ასეთი დასკვნა შეიძლება გავაკეთოთ, რომ ფოკის მსჯელობა სავსებით თავსებადია ასეთ დებულებასთან—მიკრომოვლენათა ქცევების ალბათური შეფასება მათ მიზეზობრივ განპირობებულობას ეყრდნობა და ალბათობის რაოდენობრივი მაჩვენებელი გამოხატავს მიკრომოვლენაზე შესაძლებლად მოქმედ მიზეზთა და პირობათა მთელი სიმრავლიდან იმ კომპლექსის გამოსვლის შანსს, რომელსაც სასურველი შედეგი მოყვება. მაშასადამე, როცა ლაპარაკია ალბათობის საშუალებით მიზეზობრიობის დახასიათებაზე, ნაშინ გამოდის, რომ (როგორც ფოკი ფიქრობს) ეს დახასიათება შეეხება არა მიკროელემენტთა აქტუალურ მდგომარეობას, არამედ მათ შესაძლებელ მდგომარეობებს.

დასკვნა

სამყაროს ერთიანობის დაშვებიდან გამოდის, რომ იგი გარკვეული კავშირების მთლიანობაა. თუ სამყარო კანონზომიერი ერთიანია, მაშინ იგი აუცილებლობის ცნებითაა შეკრული. რადგანაც, დიალექტიკური მატერიალიზმის მიხედვით, სინამდვილე მუდმივ განვითარებასა და მოძრაობაშია და ამავე დროს ერთიანია, ცხადია, მისი განვითარების, მოძრაობის ცალკეულ მდგომარეობებს შორის აუცილებელი კავშირი უნდა იყოს. რადგანაც ეს განვითარება დროში მიმდინარე პროცესია, ამიტომაც ეს აუცილებლობა დროში მიმდინარე პროცესების დამაკავშირებელია და იგი მოვლენათა შორის მიზეზობრივი კავშირის აღმნიშველია. აქედან ლოგიკურად გამოდის, რომ სინამდვილის დროში მარადიულ მოძრაობას და განვითარებას მიზეზობრიობის პრინციპის საყოველთაობისა და ზოგადობის აღიარებისაკენ მივყავართ.

მატერიალური სინამდვილე სპეციფიკურ სფეროთა ერთიანობაა და ეს სპეციფიკური სფეროები თვითეულნი მოძრაობის გარკვეულ და მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ ფორმას ემორჩილებიან, რომელიც კავშირების გარკვეული მთლიანობის სახით გამოიხატებიან; ამ კავშირებში ჩართულია აგრეთვე მიზეზობრიობის მიმართებებიც, რომლებსაც მოძრაობის იმ ფორმის სპეციფიკა გააჩნიათ, რომელსაც ისინი გამოხატავენ. აქედან კი ლოგიკურად გამოდის, რომ მიზეზობრივი კავშირის სახე იმდენია, რამდენიც მატერიალური სინამდვილის

[16] Б. А. Фок, Об интерпретации квантовой механики, сб. Философские вопросы современной физики, Москва. 1959, გვ. 174.

მოძრაობის ფორმა. თუ სწორეა მთელი სინამდვილის კანონზომიერების ორ—დინამიკურ და სტატისტიკურ ტიპად დაყოფა, ცხადია, მაშინ უნდა არსებობდეს ორი ტიპის მიზეზობრიობაც—დინამიკური და სტატისტიკური, რომელიც მიზეზობრიობის ერთი ცნების ქვეშ უნდა ერთიანდებოდეს, ე. ი. მათ უნდა ჰქონდეს ამ ცნების საერთო ნიშნები (მიზეზობრიობის ცნების განსაზღვრების მოთხოვნის თანახმად). ამ ნიშნების კონკრეტული შინაარსი განსაზღვრული იქნება მოძრაობის იმ ფორმის სპეციფიკით, რომელსაც ისინი გამოსახავენ.

თუ დინამიკური კანონზომიერების გამომსახველი მიზეზობრიობა ინდივიდის მოძრაობა-ცვალებადობის აღწერას გვაძლევს ე. ი. შესწავლის ობიექტი ინდივიდია და აღწერს რა მას მიზეზობრივად, იგი მის ცალკეულ აქტუალურ მდგომარეობათა შორის აუცილებელ კავშირებს ამყარებს, ამის საპირისპიროდ, სტატისტიკური კანონზომიერების გამომხატველი მიზეზობრიობა აღწერს მიკროელემენტების სიმრავლის მოძრაობა-ცვალებადობას და იგი ამ სიმრავლეთა პოტენციალურ მდგომარეობათა შორის ალბათურ კავშირებს ამყარებს.

დინამიკურ და სტატისტიკურ მიზეზობრიობათა შორის განსხვავება ის უნდა იყოს, რომ დინამიკური მიზეზობრიობა თავისთავში ინდივიდუალურ სხეულთა შესაძლებელ მდგომარეობათა ერთნიშნად განხორციელების აუცილებლობას უნდა მოიცავდეს, ხოლო სტატისტიკური კი ასეთს არ უნდა მოიცავდეს, რადგანაც იგი ინდივიდის მიმართ შესაძლებლობათა მრავალ განხორციელებადობას ემყარება, ხოლო კოლექტივის მიმართ კი ერთნიშნა აუცილებლობით განხორციელებადობა დაცული გარკვეული ფლუქტუაციებით.

ჩვენ ამით იმის თქმა გვინდა, რომ მიზეზობრივი კავშირის ცნების ერთერთი ნიშანი—მიზეზისა და შედეგის აუცილებელი კავშირი სტატისტიკური აუცილებლობის სახით—ძალაში უნდა იყოს სტატისტიკურ მიზეზობრიობაშიც. მიზეზობრიობის ცნების სხვა ნიშნებიც: დროში მიმდინარეობა, მიზეზის მიერ შედეგის წარმოშობა და სხვა თავისებური ფორმით უნდა ვლინდებოდნენ სტატისტიკურ მიზეზობრიობაში და ეს თავისებურება მიკროსინამდვილის კანონზომიერების სპეციფიკით უნდა იყოს განსაზღვრული.

მაშასადამე, თვითონ სტატისტიკური კანონზომიერებაც გარკვეული ფორმის. სტატისტიკური ფორმის მიზეზობრიობას უნდა მოიცავდეს თავის თავში. ასეთი მიზეზობრივი კავშირების გამომთქმელი დებულებები უნდა არსებობდნენ ქვანტურ მექანიკაშიც. აქედან გამოდის, რომ ქვანტური ალბათობა კი არ ეწინააღმდეგება, არამედ ეთანხმება, ეფუძნება მიზეზობრიობას, ქვანტური ალბათობა და მიზეზობრიობა თავსებადნი არიან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კროჩეს ესთეტიკის კრიტიკისათვის

ე. თოფურიძე

(წარმოადგინა საჭ. სსრ მეცნ. აკად. ფილოსოფიის ინსტიტუტმა)

თანამედროვე იტალიური აზროვნების ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი იტალიური ნეოჰეგელიანობის ფუძემდებელს ბენედეტო კროჩეს (1866—1952) უკავია. კროჩე ბურჟუაზიული ლიბერალიზმის ლიდერი იყო. მან საფუძველი ჩაუყარა მოძრაობას იტალიის ზნეობრივი და სულიერი გარდაქმნისათვის, რამაც განაპირობა მისი უდიდესი გავლენა ამ მოძრაობაში მონაწილე პროგრესულ ინტელიგენციაზე. კროჩეს ნაზრევის გავლენა გასცდა იტალიის სახღვრებს და გარკვეული როლი დასავლეთ-ევროპის აზროვნების ისტორიაშიც ითამაშა. კროჩეს მსოფლმხედველობა, ისევე როგორც მისი საზოგადოებრივი მოღვაწეობა, უაღრესად წინააღმდეგობრივია. ერთი მხრივ, ის ებრძოდა მეტაფიზიკას და ირაციონალიზმს, კათოლიკურ რეაქციას და ფაშიზმს, მეორე მხრივ, ის გამოდიოდა, როგორც მარქსიზმის მოწინააღმდეგე, და რევიზიონიზმის აქტიური მონაწილე და 20-იანი წლების დასაწყისში ნდობას უცხადებდა მუსოლინის. კროჩეს თეორიული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის რეაქციული მხარე და მისი გავლენა იტალიის ფილოსოფიური აზრის განვითარებაზე ხსნის იმ მნიშვნელობას, რომელსაც ანიჭებდა იტალიური კომპარტიის ფუძემდებელი ა. გრამში მისი მსოფლმხედველობის მარქსისტულ კრიტიკას. ეს კრიტიკა უნდა შეესებოდა კროჩეს მოღვაწეობის რამდენიმე ძირითად ასპექტს და კერძოდ, მის ესთეტიკას და ლიტერატურულ კრიტიკას. წინამდებარე შრომის მიზანია იმ რეაქციული დასკვნების და წინააღმდეგობათა კრიტიკა, რომლებიც დამახასიათებელია კროჩეს ესთეტიკის ძირითადი პრობლემის—ხელოვნების, როგორც შეგნების ინტუიტურ-გამოსახვითი ფორმის—გადაწყვეტისათვის.

კროჩეს ფილოსოფიურ სისტემაში ესთეტიკას, ისევე როგორც ისტორიას, განსაკუთრებული ადგილი უკავია. შეიძლება ითქვას, რომ ეს ორი მეცნიერება მისი ფილოსოფიური კვლევის ძირითადი სფეროა. აზროვნების ისტორიაში კროჩე, უმთავრესად, როგორც ესთეტიკისა და ისტორიის თავისებური თეორიის შემქმნელი შევიდა. ესთეტიკა კროჩეს სისტემის პირველი ნაწილია. ამიტომ მისი პრობლემის გაგება შეუძლებელია სისტემის ძირითად თავისებურებათა გაუთვალისწინებლად. ჰეშმარიტ ფილოსოფიად კროჩეს მიაჩნია აბსოლუტური სპირიტუალიზმი, რომელიც ხსნის აზრისა და ყოფიერების დუალიზმს მათი გაგივებით. ერთადერთი რეალობა, რომელსაც სცნობს კროჩე, არის სპირიტუალური რეალობა ანუ აზრი. როგორც ჰეგელთან ეს უნივერსალური გონი შემმეცნებელია და შემეცნება გონის თვითშემეცნება არის. გონის განვითარების ფორმები შემეცნების ფორმებია, რომლებიც ამავე დროს ადგენ მთელ არსებულ სი-

ნამდვილეს. გონს ორი სახის აქტივობა ახასიათებს — თეორიული და პრაქტიკული. თითოეული მათგანი შეიცავს ორ ფორმას: თეორიული—ინტუიტურს ანუ ესთეტიკურს და კონცეპტუალურს, პრაქტიკული—ეკონომიურს და ეთიკურს. ინტუიცია იმეცნებს სინამდვილეს მის გრძნობად კონკრეტულობაში და განუმეორებელ ინდივიდუალობაში. ის ფენომენთა შემეცნება არის. ცნება კი უნივერსალების, ნოუმენთა შემეცნების გვაძლევს. შემეცნების პირველი ფორმა ქმნის სახეებს და მას ესთეტიკა შეისწავლის, მეორე ფორმა—ცნებებს და მას ლოგიკა სწავლობს. გონის ოთხი ფორმის დამოკიდებულება ისეთია, რომ ცნებას არ შეუძლია იარსებოს ინტუიციის გარეშე, ეკონომიურს ამ ორი ფორმის გარეშე, ხოლო ზნეობრიობა წარმოუდგენელია პირველი სამი საფეხურის გარეშე. მხოლოდ ესთეტიკურ მომენტს გონის სისტემის შექმნის პირველ პერიოდში ახასიათებდა დამოუკიდებლობა სხვა ფორმების მიმართ, რომელსაც შემდგომში ისიც დაკარგავს.

გონის ფორმების ურთიერთობის საფუძველი კროჩესთან განსხვავებულთა ერთიანობის პრინციპი არის. ამ პრინციპის შემოტანას დიალექტიკურ მოძღვრებაში იგი თავის დამსახურებად აცხადებს და ჰეგელის დიალექტიკის თავისებურ „რეფორმად" თვლის. ჰეგელის სისტემაში განვითარების თითოეული მომენტი მუდამ შინაგანი წინააღმდეგობის შემცველი აქტია, რომელიც არასოდეს არაა ერთი თავისთავში და ამდენად, კროჩეს აზრით, შეუძლებლად ხდის თავისთავში დასრულებულ სინთეზს, რომელიც ალარ შეიცავს წინააღმდეგობას და წარმოადგენს პოზიტიურობას, ჭეშმარიტებას, სიცოცხლეს და ა. შ. გონის ფორმათა განვითარება, წარმოდგენილი როგორც დაპირისპირებულთა ბრძოლა, განსაზღვრავს დაბალი საფეხურების მოხსნას მომდევნო საფეხურების მიერ. ამიტომ სრულყოფილ შემეცნებას გონი აღწევს მხოლოდ განვითარების უკანასკნელ საფეხურზე—ფილოსოფიაში. ამის გამო გონის ფორმები არაა ტოლფასიანი და თითოეული მათგანი იღებს თავის „ჭეშმარიტებას" და ღირებულებას იმ ადგილიდან, რომელიც მას განვითარების პროცესში უკავია. ამდენად დაპირისპირების პრინციპის გავრცელება გონის ფორმების ურთიერთობაზე უარყოფს მათ ავტონომიასა და ტოლფასობას. განსხვავებულთა ერთიანობის პრინციპი კი, კროჩეს აზრით, უარყოფს ფორმების ურთიერთმოხსნას და მათ თავისებურ კავშირს ამტკიცებს. კროჩესთან ფორმების განვითარება წარმოდგენილია არა როგორც ასვლა დაბალი საფეხურიდან მაღალზე, არამედ როგორც ერთი ფორმიდან მეორეზე გადასვლა (trapasso). ეს გადასვლა არაა განპირობებული ბრძოლით, ან ფორმის არასრულყოფილებით. ის გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ თითოეული ფორმა თავისში მეორე ფორმას შეიცავს. განსხვავებულთა ერთიანობის პრინციპი, კროჩეს აზრით, ანიჭებს გონის ფორმებს დამოუკიდებლობას და ტოლფასობას. რაც მათ ჰეგელმა წაართვა. „ესთეტიკაში", სადაც კროჩემ პირველად მისცა თავის ფილოსოფიას სისტემის სახე, გონის განვითარება იწყებოდა ინტუიციით და მთავრდებოდა ეთიკურით. შემდეგში კროჩემ შემოიტანა წრის ცნება, რომელმაც გონის ფორმები განვითარების ციკლიური სტრუქტურის მოშენტებად აქცია. ფორმათა შორის არსებული კავშირი წარმოდგენილი იქნა წრედ, სადაც თითოეული ფორმა არის, ერთი მხრივ, სინთეზი წინამავალ ფორმასთან, მეორე მხრივ კი, აწვდის „მატერიას" მის მომდევნო ფორმას და ე. ი. ახალ სინთეზს. ციკლის თეორიამ განდევნა კროჩეს სისტემიდან შეგრძნება, რომელიც მისი მოღვაწეობის პირველ პერიოდში ინტუიციის მატერიას წარმოადგენდა და ინტუიციის მატერიად პრაქტიკული აქტივობა—გრძნობა აქცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტუიცია ანუ ესთეტიკური აჭრივობა

კროჩეს ესთეტიკის ძირითადი ამოცანაა ესთეტიკური აქტივობის რაობის კვლევა, მისთვის სათანადო ადგილის მიჩნევა გონის სისტემაში და გონის სხვა ფორმებთან ურთიერთობის გამორკვევა. კროჩეს მიზანია დაამტკიცოს, რომ ესთეტიკური აქტივობა არის სპეციფიკური ბუნების, გონის სხვა ფორმებისაგან არსებითად განსხვავებული, აბსოლუტურად ავტონომიური და ამავე დროს მათი ტოლფასიანი ფორმა. ესთეტიკური აქტივობა კროჩესთან გონის ინტუიტური უნარია, რომელიც აგებს რეალობას მის განუმეორებელ ინდივიდუალობაში და კონკრეტულობაში და გონის განვითარების სისტემაში პირველი ადგილი უკავია. შემეცნება ინტუიციით იწყება და ის ლოგიკური აქტივობის აუცილებელი საფუძველია. მხოლოდ, როგორც გონის პირველი ფორმა, შეიძლება ჩავთვალოთ ესთეტიკური ცოდნის ყველაზე დაბალ საფეხურად. ღირებულების თვალსაზრისით ის სხვა ფორმების ტოლფასიანი ფორმაა. ამ მხრივ კროჩე უპირისპირებს თავის თეორიას როგორც კანტის შეხედულებას, რომლის მიხედვით ესთეტიკური უმაღლესი ცოდნა არის, ისე ჰეგელს, რომელიც მას გონის უმდაბლეს საფეხურად ანუ ცოდნად აღიარებს, არა მარტო მისი ადგილის, არამედ მნიშვნელობის აზრითაც.

ინტუიციის კვლევას კროჩე ინტუიციის ცნების დეფინიციით იწყებს. ინტუიცია არც ცნებაა, არც აღქმა, არც შეგრძნება და არც ასოციაცია. მას არაფერი აქვს საერთო არც კანტისეულ და არც ინტელექტუალურ ინტუიციასთან. ინტუიციის ფუნქციაში არ შედის შეგრძნებათა გაფორმება და მოწესრიგება დროში და სივრცეში. კანტის სისტემაში, კროჩეს აზრით, დროისა და სივრცის კატეგორიებმა უკანონოდ დაიკავეს ესთეტიკური აქტივობის ადგილი, ხოლო ეს უკანასკნელი გონისთვის ფაქტებს შორის აღმოჩნდა. კანტმა ვერ მოუნახა ფანტაზიას ადგილი გონის სხვა უნართა შორის, რასაც მოწმობს მის მიერ „მსჯელობის უნარის კრიტიკაში“ მოცემული სქემა. ინტუიციაში ინტუიტირდება არა დრო და სივრცე, არამედ ხასიათი და ინდივიდუალური ფიზიონომია. მისი ერთადერთი ფუნქციაა საგანთა ინდივიდუალური ხასიათის შეცნობა. ამ თვისების გამო, კროჩეს აზრით, ინტუიციას ხშირად აღქმად მიიჩნევენ, რაც არ შეესაბამება ზეშმარიტებას, რადგანაც აღქმა დისკურსიული აქტია, რომელიც არსებობის დადგენას გულისხმობს და ინტუიციის მომდევნო მომენტია. აღქმა რეალურის ცოდნაა და, როგორც ასეთი, ის ეყრდნობა რეალურისა და ირეალურის განსხვავებას, რომელსაც შემეცნების პირველ მომენტში—ინტუიციაში ადგილი არ აქვს. როგორც კონკრეტული საგნის ჭვრეტას, აღქმასაც, კროჩეს აზრით, შეიძლება ინტუიცია ეწოდოს. მაგრამ აღქმა ისეთი ინტუიციაა, რომელსაც უცბად თანხდევს რეფლექსია იმაზე—რეალურია თუ ირეალურია საგანი. ის ინტუიტურ ფაქტს ექზისტენციალობის პრედიკატს აწერს და ამიტომ ყოველთვის ისტორიული ფაქტი არის. ინტუიციას ანუ ესთეტიკურს, და ამაშია მისი არსებითი განსხვავება დისკურსიული აქტებისაგან, ფიზიკური, რეალური არსებობა არ გააჩნია, მისი სინამდვილე სახეა, რომელიც არასოდეს არ მოდის კონტაქტში რეალურ საგანთა რიგთან. ინტუიციაზე ვერ ვიტყვით, როგორც რეალურზე, რომ ის ყალიბია ან ჭეშმარიტია, ცუდია ან კარგია, სასარგებლოა ან მავნებელია. თუ აღქმაში ადამიანი უპირისპირდება გარე რეალობას, რომელსაც იგი ითვისებს, ინტუიციაში ამ დაპირისპირებას ადგილი არ აქვს, მასში ადამიანი უშუალოდ ახდენს თავის შთაბეჭდილებათა ობიექტივაციას მათი ხასიათის განურჩევლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტუიციაში რეალურის აღქმა არ არის განსხვავებული შესაძლებლის აღქმისაგან, იგი რეალურისა და შესაძლებლის, მუდამ შესაძლებლის ასპექტით წარმოდგენა არის, რაც ყოველივეს ირეალურად აქცევს. ინტუიციის არსებითი თვისება სწორედ რეალურისა და ირეალურის საზღვრის არაზუსტი გათიშვა არის. ამ თვისების გამო ხელოვნებას კროჩე ოცნებას უწოდებს. ხელოვნება თავისებური სამყაროა, რომელშიც აღარ მოქმედებენ რეალობის კანონები. რადგანაც ესთეტიკურის სინამდვილე მხოლოდ სახეა, ამიტომ ესთეტიკურის პრობლემა მხოლოდ ხელოვნების პრობლემა არის. ინტუიცია ანუ სახე, განსხვავებით ცნებისაგან, არასოდეს არაა ჭეშმარიტი ან ყალბი, რადგანაც ჭეშმარიტების დადგენა და მისი შეცდომისაგან გამიჯვნა, რაც კონცეპტუალური ცოდნის მიზანს შეადგენს, ნიშნავს რეალობის დადგენას და მასზე მსჯელობას. ხელოვნების შინაგანი ღირსება იდეალურობა არის, იგი განასხვავებს ინტუიციას ფილოსოფიისაგან და ისტორიისაგან, ზოგადობის მტკიცებისაგან და იმის თხრობისაგან, რაც მოხდა.

კროჩეს ესთეტიკა წმინდა ინტუიციის ესთეტიკაა და ამდენად ის მკაცრად განასხვავებს ინტუიციას გონის სხვა ფორმებისაგან. როგორც შემეცნების პირველი ფორმა, ის თავისუფალია ინტელექტუალური და პრაქტიკული ელემენტებისაგან. ხელოვნებას ალოგიური ხასიათი აქვს. მართალია სახის ინდივიდუალურობას არ შეუძლია იარსებოს ზოგადთან მიმართების გარეშე, რომლის ინდივიდუალიზაციასაც ის წარმოადგენს (კროჩეს აზრით, ზოგადობა, როგორც ღვთიური სული, ასულიერებს ყოველივე არსებულს), მაგრამ ეს ზოგადობა მასში არ მოიაზრება და არ არის ლოგიკურად ნათელი. თავისებურად კროჩე მაინც სტოვებს ხელოვნებაში ცნებებს, მაგრამ აქ ისინი, მისი აზრით, ინტუიციის ელემენტს შეადგენენ. მაგ. ნაწარმოების გმირის მსჯელობაში ნახმარი ცნებები აღარ წარმოადგენენ ცნებებს, არამედ სახის დახასიათების მნიშვნელობას იღებენ. როდესაც სგანარელი (მოლიერის „დონ-ჟუანი“) გაიძახის „ჩემი ჯამაგირიო“, ეს აღარაა ეკონომიური ცნება, არამედ ინტუიცია, რომელიც გვაძლევს გმირის ხასიათის, მისი ინდივიდუალობის ცოდნას. ასევე სურათში წითელი ფერი მაგ. აღარაა წითელი ფერის ცნება, არამედ მოცემული ფიგურის დამახასიათებელი ელემენტია.

ინტუიცია განსხვავებულია პრაქტიკული აქტივობისაგანაც, ის არც უტილიტარული და არც მორალური აქტია. ხელოვნება ასრულებს მხოლოდ მხატვრულ ფუნქციას და ამიტომ ის არ შეიძლება იყოს განსჯილი მორალის პრინციპებით. სახეები ემსგავსებიან მუსიკალურ ბგერებს, რომელთა მიმართ მორალურ მსჯელობას არ აქვს ძალა. ინტუიციას, განსხვავებულს გონის სხვა ფორმებისაგან, ამავე დროს მათთან იგივეობრივი ბუნება აქვს. ის, კროჩეს მიხედვით, არ წარმოადგენს რაიმე განსაკუთრებულ მისტიკურ უნარს. სტრუქტურულად ყველა ინტუიცია იგივეობრივია, ის ერთნაირია გენიოსში და ჩვეულებრივ ადამიანში. ინტუიციებს შორის არსებობს მხოლოდ რაოდენობრივი და არა თვისობრივი განსხვავება და ამიტომ ფილოსოფიისათვის ამ განსხვავებას მნიშვნელობა არ აქვს.

ინტუიცია როგორც გამოსახვა

კროჩეს ესთეტიკის ძირითადი პრინციპი ინტუიციისა და გამოსახვის იგივეობაში მდგომარეობს. ინტუიტური ანუ მხატვრული შემეცნება ამავე დროს გა-

მოსახვეთი შემეცნება არის. ინტუირება—წვდომილის გამოსახვას გულისხმობს. გონი ინტუირებს მხოლოდ მაშინ, როდესაც ის აფორმებს, გამოსახავს. ის, რაც ვერ ჰპოვებს ობიექტივაციას გამოსახვაში, არცაა ინტუიცია. ინტუიცია ყოველთვის გამოსახული სახეა. არაგამოსახული სახე, რომელიც არაა სიტყვა, ნახატი, სკულპტურა, ბგერა და ა. შ., არ არსებობს. არ არსებობენ, ერთი მხრივ, ადამიანების, ჰეიზაქების, ცხოველების და ა. შ. სახეები და, მეორე მხრივ, ფერები, ხაზები, ტონები, ბგერები. ინტუიციაში ისინი ერთად იბადებიან და განუყოფელ მთლიანობას ქმნიან. ამიტომ შეუძლებელია განასხვავო ხელოვნებაში მისი შინაგანი მხარე გარეგანი მხარისაგან, დაარქვა ერთს საყურივ ხელოვნება, მეორეს ტექნიკა. ესთეტიკური გამოსახვა მხოლოდ ცნობიერებაში არსებული ფენომენია. ვრცულ-ფიზიკური არსებობა მას არ გააჩნია. ის ცნობიერებაში დაწყებული და დასრულებული პროცესია, რომელიც არ საჭიროებს აუცილებლობით ფიზიკური საშუალებით გამოსახვას. ფერწერა არ გულისხმობს აუცილებლობით ფერების ტილოზე გადატანას, მუსიკა შესრულებას და ა. შ. კროჩე უარყოფს ესთეტიკურის ობიექტურ-საგნობრივ მხარეს, როგორც ე. წ პარალელიზმს ჰოაზროვნე და განფენილ სუბსტანციას შორის. ხელოვნებას არ სჭირდება შეუძლებელი შეერთების წარმოება, რადგანაც მისი ინტუიტური აქტი სრულყოფილია თავის თავში და იგივე ფაქტია, რომელსაც შემდეგში ინტელექტი კონსტრუირებს, როგორც განფენილს. ე. ი. ის, რაც არსებობს ფიზიკურად, როგორც შესრულებული ბგერა, წარმოთქმული სიტყვა, ტილოზე გადატანილი ფერები, ქვაში გამოძერწილი ფიგურა და ა. შ., არაა საკუთრივ ესთეტიკური ფაქტი. ის ინტელექტის კონსტრუქციაა. მხატვრული ნაწარმოები ფიზიკური ობიექტია მხოლოდ იმდენად, რამდენად იგი ფიქსირებულია და აბსტრაჰირებულია ინტელექტის მიერ. მხატვრული ნაწარმოების ფიზიკური კონსტრუირება ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ადამიანი ამ ნაწარმოებით გამოწვეული გრძნობებისაგან აბსტრაჰირების შედეგად მიმართავს თავის ყურადღებას ქვაზე, სიტყვაზე და იწყებს მათ გაზომვას და თვლას. საკითხი—არის თუ არა ხელოვნება ფიზიკური ფაქტი—კროჩესთან იქცევა საკითხად—შესაძლებელია თუ არა ხელოვნების დაკონსტრუირება, რა ფუნქციას ასრულებს იგი და რა მოთხოვნილება წარმოშობს მას. კროჩეს აზრით, ასეთი დაკონსტრუირება ანუ ფიქსაცია შესაძლებელია და მის შექმნას განსაზღვრავს ადამიანის შინაგანი მოთხოვნილება, შეინარჩუნოს თავისთვის და სხვისთვის სულიერი მუშაობის ნაყოფი. ამიტომ ადამიანი ეფექსირებს თავის სახეებს ფიზიკური ნიშნების საშუალებით. ეს ფიქსაცია პრაქტიკული აქტის შედეგია და ამდენად მას არაფერი საერთო აქვს ესთეტიკურთან, როგორც თეორიულ ფენომენთან. ის გარეგნულია ინტუიციისათვის და ამიტომ ფიზიკურ ობიექტად იწოდება. გრძნობს რა ინტუიციის და მისი ე. წ. ფიქსაციის ურთიერთმოწყვეტის ხელოვნურობას, კროჩე აღნიშნავს, რომ სინამდვილეში სახეზეა მათ შორის ძნელად მისაწვდომია. მთავარია მისი იდეის არსის გაგება—ხელოვნების ღირებულების და მისი ტექნიკის—განსხვავების წვდომა: იმის გაგება, რომ ნივთების ღირებულება არ გამოიყვანება მათი ფიზიკური თვისებებიდან. ინტუიციისა და ტექნიკის თავისებური დაკავშირება ხდება არა ხელოვნების, არამედ უფრო ფართო სფეროში, რომელიც არის გონი მის მთლიანობაში ანუ ტოტალობაში.

რამდენადაც ინტუიცია და გამოსახვა იგივეობრივი ფაქტებია. ადამიანს, რომელიც რაიმეს ინტუირებს, უნდა აუცილებლად გამოსახვის უნარიც გააჩნდეს. მაშინ როგორ გავარჩიოთ მხატვარი არამხატვრისაგან, თუ ყველა ინტუი-

რებს და ინტუირება კი გამოსახვა არის? კროჩე მიყვება თავისი დებულების შინაგან ლოგიკას და ინტუიცია-გამოსახვის იგივეობიდან გამოყავს შემოქმედებითი და შეფასებით-მსჯელობითი აქტის იგივეობა. შექსპირის, როგორც „ოტელოს“ შემქმნელის განსხვავება იმ ადამიანისაგან, რომელიც კით±ულობს მის ტრაგედიას, ემპირიული აზრით, დიდია, მაგრამ ფილოსოფიური აზრით, კროჩეს მიხედვით, განსხვავებას აქ ადგილი არ აქვს, რადგანაც ფილოსოფიას საქმე აქვს თვისობრიობასთან და არა რაოდენობასთან. აქედან ლოგიკური დასკვნა, რომ მხატვრული ნაწარმოების აღქმისას, მის ინტუირებასთან ერთად, აღმქმელს უნდა გააჩნდეს თავისი ინტუიციის გამოსახვის უნარიც და ე. ი. მოცემული ნაწარმოების ზუსტი რეპროდუცირების უნარი. ცხადია, ამ უცნაურმა დასკვნამ კროჩე მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა და ის იძულებულია მოიშველიოს მცირე და დიდი ინტუიციების ცნება. გამოსახვა იბადება მცირე ინტუიციებიდან დიდზე გადასვლის შედეგად. ეს გადასვლა ხდება ინტუიტური აქტის თავისებური გაგრძელების ანუ მასზე შეჩერების უნარის გამო, რასაც ყოველდღიურ ცხოვრებაში ადგილი არ აქვს, რადგანაც ინტუიციას ელვისებური სისწრაფით თანხდევენ რეფლექსიები და ნების გამოვლინებანი. მხატვარი არის ის, ვისაც გააჩნია ძალა, გააგრძელოს ინტუიციის მომენტი უფრო დიდხანს, ვიდრე ამას ახერხებენ სხვები.

კროჩეს სისტემაში ენაც გამოსახვა არის. როგორც გამოსახვითი უნარი, ის იგივეობრივია ესთეტიკურ ინტუიციასთან, ისიც ესთეტიკური ფაქტია. ყოველი აზრი, იქნება ეს ფილოსოფიური თუ ისტორიული მსჯელობა, გამოსახება სიტყვებით. ენობრივი გამოსახვა კი აქცევს მეცნიერებასაც ესთეტიკურ ფაქტად. დისკურსიული შემეცნება ამგვარად, ერთსა და იმავე დროს, შეიცავს ორ მომენტს—ლოგიკურს და ესთეტიკურს და ამ უკანასკნელს თავისი სპეციფიკურობა შენარჩუნებული აქვს წმინდა სახით, რადგანაც ყოველი მეცნიერული აზრი ამავე დროს გამოსახვაა, ხოლო გამოსახვა ესთეტიკური ფაქტია. ამიტომ „ყოველი მეცნიერული წიგნი, წერს კროჩე, ამავე დროს ხელოვნების ნაწარმოები არის“[1]. ამდენად კროჩე მიდის იმ საზღვრამდე, სადაც შეუძლებელი ხდება ხელოვნებისა და მეცნიერების განსხვავება. საქმე ის არის, რომ პირველ „ესთეტიკაში“ კროჩე იკვლევდა ინტუიციის ფორმალურ მხარეს, მის სტრუქტურას და ე. ი. ის უკანასკნელის სტრუქტურულ განსხვავებას გონის სხვა ფორმებისაგან. მაგრამ ასეთნაირად წარმართულმა კვლევამ განუსაზღვრელი დასტოვა ხელოვნების ანუ ესთეტიკურის თვისობრივი სპეციფიკურობა, რომელიც მას ესთეტიკურად აქცევს და განასხვავებს მეცნიერებისაგან. ამიტომ შემდეგში კროჩემ მთავარი ყურადღება ინტუიციის ფორმალური ხასიათიდან მის ემოციურ მომენტზე გადაიტანა და კვლევის ობიექტად მისი შინაარსი გახადა. სხვანაირად არც შეიძლება მოიხდარიყო, რადგანაც, როდესაც ესთეტიკურ ფორმას განსაზღვრავენ როგორც გამოსახვას, დგება საკითხი, თუ „რის გამოსახვას.“ წარმოადგენს იგი და ფორმის პრობლემის ადგილს იკავებს მისი შინაარსის პრობლემა. სწორედ შინაარსის პრობლემამ განსაზღვრა კროჩესეული ესთეტიკის თავისებური ევოლუცია.

[1] B. Croce, Problemi di estetica..., Bari, 1923, p. 476.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრძნობა, როგორც ხელოვნების შინაარსი და ლირიული ინტუიცია

ხელოვნება კროჩეს ესთეტიკაში წმინდა ფორმას წარმოადგენს. მაგრამ ასეთი დეფინიცია, კროჩეს სიტყვებით, პირობითია. მხატვრული ნაწარმოები ორის: ცოცხალი ერთიანობა, სადაც შინაარსი იგივე ფორმაა, ხოლო ფორმა შინაარსია. კროჩე პრინციპულად უარყოფს ესთეტიკაში შინაარსის ცნებას; ინტუიტური შემეცნება ხომ ამავე დროს საგნის ქმნა არის და ე. ი. შინაარსი იქმნება მხოლოდ მისი გაფორმების პროცესში.

ფაქტიურად ხელოვნების შინაარსისა და ფორმის პრობლემას ორი ასპექტი აქვს. ერთი—შინაარსისა და ფორმის ურთიერთობა თვით მხატვრულ ნაწარმოებში, მეორე—ხელოვნების და მისი საგნის ანუ მატერიის ურთიერთობას გულისხმობს. თუ შესაძლებელი გახდა პირველის მოხსნა შინაარსისა და ფორმის გაიგივებით, მეორე ასპექტი მისი კვლევის ცენტრალურ პრობლემად იქცა. უნდა აღვნიშნოთ, რომ მატერიის ცნებაში ჩვ იგულისხმება არა ის, რის მეშვეობით იქმნება მხატვრული სახე, მაგ. სიტყვა, ფერი, ბგერა და ა. შ., არამედ ხელოვნების საგანი ანუ ობიექტი, რომელსაც იგი იმეცნებს და აქცევს თავის შინაარსად. ამიტომ ყველგან მატერია—საგანი—ობიექტი იდენტური ცნებებია, რომლებიც გამოხატავენ თეორიული სუბიექტის გარეთ არსებულ მოცემულობას, რომელიც განსაზღვრავს ესთეტიკურ აქტს და რომელზედაც ეს უკანასკნელი იგება.

პირველ პერიოდში ხელოვნების შინაარსს კროჩეს ესთეტიკაში შეგრძნება ანუ „ფსიქიკური მატერია“ წარმოადგენდა. გონისათვის ის ჰეტეროგენული მომენტი იყო და ეწინააღმდეგებოდა ახსოლუტური იმანენტიზმის პრინციპს. ამიტომ კროჩემ ამოიღო ესთეტიკიდან შეგრძნების ცნება და ინტუიციის მატერიად გამოაცხადა გრძნობა, როგორც გონის პრაქტიკული აქტივობის ფორმა. ამგვარად ერთი სპირიტუალური მომენტი—პრაქტიკული აქტივობა. მეორე სპირიტუალური მომენტის—თეორიული აქტივობის შინაარსად იქცა. გრძნობა კროჩესთან ერთადერთი რეალობაა, რომელსაც ინტუიტრებს გონი. საქმე ისაა, რომ ხელოვნება, როგორც შემეცნების პირველი ფორმა, არის ცნებისაგან თავისუფალი შემეცნება და გაცილებით მარტივი, ვიდრე რეალურის აღქმა. რეალურს ხელოვნება წარმოსახავს მის უშუალობაში მანამ, სანამ მას მოიაზრებს და განმარტავს ცნება. ამიტომაა იგი წმინდა ინტუიცია და როგორც ასეთი ვერ გახდის თავის შინაარსად აბსტრაქტულ ცნებას, ისტორიულ წარმოდგენას და ა .შ. ერთადერთი რეალობა, რომელიც მას რჩება, არის გრძნობა—გონის პრაქტიკული ფორმა, ანუ ნება. კროჩეს ღირსაღსანიშნავად მიაჩნია შოპენჰაუერის აზრი, რომ მუსიკა ნებისყოფის ობიექტივაციას წარმოდგენს. მისი აზრით, იგივე შეიძლება ითქვას ხელოვნების ყველა ფორმაზე, რადგანაც ამაშია ხელოვნების ანუ წმინდა ინტუიციის არსი.

ესთეტიკაში გრძნობის ცნების შემოტანასთან ერთად შეიცვალა კროჩეს კვლევის მიმართულებაც. მისი ყურადღების ძირითად ობიექტად ინტუიციის ემოციური და პერსონალური ხასიათი იქცა. ხელოვნების მთავარ ღირებულებად აღიარებულ იქნა მისი ლირიულობა, რომელსაც მას გრძნობა და მხატვრის პერსონალობა ანიჭებს. ხელოვნებამ კროჩესთან ლირიული ინტუიციის სახელი მიიღო. მისი ექვივალენტური ცნებებია—წმინდა ინტუიცია, რეალობის ნაიეური წარმოდგენა, გრძნობის წარმოდგენა, პერსონალური ინტუიცია, რადგანაც ყველა ისინი, კროჩეს სიტყვებით, ესთეტიკური აქტივობისა და ხელოვნების

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეფინიციებს წარმოადგენენ, ხელოვნების შინაარსად გრძნობის მიჩნევამ მოხსნა გონის გარეთ არსებული მოცემულობა, მაგრამ ესთეტიკიდან მოცემულობის ცნება საერთოდ ვერ განდევნა. ახლა ინტუიციას, როგორც ფორმას დაუპირისპირდა გრძნობა, როგორც შინაარსი, რომელიც სხვა ხასიათის კატეგორიას წარმოადგენს. ამ გნოსეოლოგიური დუალიზმის მოხსნა კროჩემ სცადა ინტუიციის ლირიული ხასიათის—თვით მისი არსებიდან დედუცირებით. ლირიულობა, ამტკიცებს კროჩე, აუცილებლობით გამომდინარეობს ინტუიციის ინტიმური ბუნებიდან, რადგანაც ინტუირდება მხოლოდ და მხოლოდ სულიერი მდგომარეობა (stato d'animo). ფიზიკური ობიექტის წმინდა ინტუიცია, მისი აზრით, შეიძლება გვქონოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბუნებას ვაღიარებდით მეტაფიზიკურ რეალობად და არა ინტელექტუალურ კონსტრუქციად ან აბსტრაქციად. რომ არსებულიყო მეტაფიზიკური რეალობა, აღნიშნავს კროჩე, ადამიანი პირველ თეორიულ მომენტში ერთნაირად ინტუირებდა როგორც თავის თავს, ისე ბუნებას (ე. ი. სპირიტუალობას და „ფიზისს"). ამ შემთხვევაში იარსებებდა ფიზიკური ობიექტის წმინდა ინტუიცია, რომლის არსებიდან ვერ გამოვიყვანდით ლირიულობას, რადგანაც ის არ იქნებოდა სულიერი მდგომარეობის ინტუიცია.

ესთეტიკური გრძნობა, კროჩეს აზრით, არ წარმოადგენს ჩვეულებრივ, ემპირიულ გრძნობას, რომელთანაც ჩვენ საქმე გვაქვს პრაქტიკული აქტივობის სფეროში. ხელოვნებაში გრძნობა არსებობს მხოლოდ როგორც ესთეტიკური სინთეზი **a priori,** როგორც გრძნობისა და სახის სინთეზი ინტუიციაში. ესთეტიკური სინთეზის გარეთ გრძნობა მხოლოდ პრაქტიკული ასპექტია გონისა, რომელსაც უყვარს, სძულს, სურს და ა. შ. ესთეტიკურ გრძნობას კროჩე ჭვრეტაში მოცემულ ანუ ჭვრეტად გრძნობას უწოდებს, რომელიც ლირიული ინტუიციაა. ეს არის თავისებური, კროჩეს სიტყვებით, უნიფიცირებული გრძნობა, რომელმაც დაკარგა ჩვეულებრივი ემოციის ხასიათი და ადამიანის სულიერი მდგომარეობის ერთიან განწყობად იქცა. უშუალო გრძნობის, როგორც ფსიქოფიზიკური ფენომენის, შემოტანას ხელოვნებაში კროჩე უარყოფს. ხელოვნება გამოსახავს რა გრძნობას, აძლევს მას თეორიულ ფორმას. მაგრამ თეორიული გრძნობა, კროჩეს აზრით, არ უარყოფს გრძნობების გამოსახვას მათ უშუალობაშიც, მათ ემპირიულ კონკრეტულობაში. საქმე ისაა, რომ ხელოვნებაში ისინი არაარსებით მომენტს წარმოადგენენ. მხოლოდ სპირიტუალური ანუ ესთეტიკური გამოსახვა აძლევს გრძნობას თეორიულ ფორმას და აქცევს მას სიტყვად, სიმღერად, ფიგურად.

უშუალო, ემპირიული გრძნობის ხელოვნებაში შემოყვანის შეუძლებლობას, კროჩეს აზრით, უკვე ანტიურობის წარმომადგენლები გრძნობდნენ. ეს აზრი ბუნდოვან ფორმაში გამოთქმული იყო არისტოტელეს მიერ კათარზისის თეორიაში. კანტისეული დაუინტერესებლობა, ფიქრობს კროჩე, გულისხმობს უშუალო გრძნობის უარყოფას ხელოვნებაში და არა შინაარსის მნიშვნელობის უარყოფას და მის თამაშზე დაყვანას. საერთოდ, მისი აზრით, პრაქტიკული ინტერესისაგან ხელოვნების განთავისუფლება არ ნიშნავს ამ ინტერესის მოსპობას. დაუინტერესებლობა გულისხმობს ინტერესისათვის ღირებულების მინიჭებას წარმოდგენაში, მის თეორიულ ღირებულებად ქცევას. გრძნობის ჭვრეტადი ხასიათით კროჩე ხსნის ხელოვნების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს თავისე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბურებას, რომელიც ადამიანის აფექტებისაგან განთავისუფლებაში მდგომარეობს და კათარზისის სახელს ატარებს.

ჰეგელისთვის გრძნობის მნიშვნელოვანი ხასიათი მის „უსასრულობაში“ (infinità) მდგომარეობს. ეს უსასრულობა უპირისპირდება უშუალო გრძნობის „სასრულობას“ (finità) და ფაქტიურად განსაზღვრავს მხატვრული ინდივიდუალობის თავისებურებას. „უსასრულობის“ ცნებით კროჩე მიუთითებს ესთეტიკური გრძნობის იმ თავისებურებაზე, რომ იგი ერთსა და იმავე დროს განსაზღვრული და განუსაზღვრელიც არის. ის გარკვეული, კონკრეტული შინაარსის გრძნობაა, მაგრამ მას ამავე დროს აქვს უსასრულო სიმრავლე, თუ შეიძლება ასე ითქვას. უხილავი და განუსაზღვრელი ნიუანსებისა. ეს ნიუანსები მის სიღრმეშია და სწორედ ისინი განსაზღვრავენ მთელი ნაწარმოების განწყობილებას და ანიჭებენ მას განუმეორებელ ინდივიდუალობას. ესთეტიკურ გრძნობას ამ ნიუანსების თვალსაზრისით ვერ ამოწურავ, ვერ მისცემ ზუსტ განსაზღვრას, რადგანაც ის „უსასრულოა“. და უნივერსალური. მას აქვს, კროჩეს სიტყვებით, გადამუშავებული ფესვები გონის მთელ სამფლობელოში, რომელსაც იგი ეუფლება მის მთლიანობაში. მისთვის დამახასიათებელი დაუსრულებელი ყოფანობით—იქნება ეს სიხარული თუ წუხილი, სიამოვნება თუ ტკივილი და ა. შ. ესთეტიკურ გრძნობაში ყველა ეს ნიუანსი ერთმანეთს უკავშირდება. ამიტომ არის, წერს კროჩე, რომ ხელოვნებაში გრძნობა, ინარჩუნებს რა თავის საკუთარ ფიზიონომიას და თავის ორგანულურ და დომინანტურ მოტივს, არ ამოიწურება საკუთარი შინაარსით. ასე კომიკური სახე, თუ ის პოეტურად კომიკურია, ატარებს თავისში რაღაცას, რაც არაა კომიკური, როგორც ამას ვხედავთ დონ-ჯიხოტის და ფალსტაფის მაგალითზე. ამგვარად, ესთეტიკური ანუ ჰეგელისეული გრძნობა არის ის უსასრულო შინაარსი, რომელიც მიუწვდომელია აღქმისათვის, ის რაც დაწერილის, ნახატის თუ ბგერის იქითაა, რაც ვლინდება მის სიღრმეში შეჭრის შედეგად და რის წვდომა თუ გამოსახვა შეუძლია მხოლოდ წმინდა ინტუიტურ აქტს.

ესთეტიკური გრძნობა ანუ ლირიული ინტუიცია აღრმავებს და ხსნის ინდივიდუალურის ცნებას კროჩეს ესთეტიკაში. პირველ პერიოდში ამ ცნებას, იმის გამო, რომ კროჩე იკვლევდა ძირითადად ინტუიციის ფორმალურ მხარეს, არ ჰქონდა მკვეთრად გამოხატული განსაზღვრულობა: იგი ერთეულის, კერძოობითის ელფერს ატარებდა. ინდივიდუალურ-გრძნობადი იყო არა მარტო მხატვრული ნაწარმოები, არამედ ისტორიული და მეცნიერული ფაქტიც. ფორმალურად მეორე პერიოდში კროჩეს არ უარუყვია ისტორიული და მეცნიერული ფაქტების ესთეტიკური მხარე, მაგრამ ფაქტიურად ესთეტიკური გრძნობის თავისებურების დადგენით მან შეუძლებლად გახადა ესთეტიკური და ენობრივი გამოსახვის გაიგივება და ე. ი. ერთეულის, კერძოობითის და ინდივიდუალურის გაიგივება. ერთეული ცნება არ გვაძლევს მოვლენის შინაგანი ბუნების უსასრულო მრავალფეროვნების წვდომას. ის, რის ცოდნასაც გვაძლევს ერთეული ცნება, რეალურად არსებულს ეხება, ე. ი. რაც მასში ყოველთვის მოცემულია ან აღქმისათვის, ან რეფლექსიისათვის. ამიტომ კროჩესთან აღქმაც და ცნებაც, რომლებიც იგებიან ინტუიციის საფუძველზე, ინდივიდუალურ-გრძნობადის მატარებლები არიან. მაგრამ ადარ წარმოადგენენ საკუთრივ ინდივიდუალურს. ერთეული, როგორც ცნება, იქნება ის, რაც გამოხატავს რეალურად არსებულ მოცემულობას და ასეთი არაა ინდივიდუალური, რომელიც რეალური-ირეალურის მიღმა დგას. ინდივიდუალური კროჩეს ესმის, როგორც მოვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლენის განუმეორებელი, ერთადერთი, მეტიც, სხვადასხვა მომენტში სხვადასხვა შინაარსის მქონე, შინაგანი უსასრულო მრავალფეროვნება. ინდივიდუალობის საფუძველი არის გრძნობა, რომლის უსასრულობა და განუსაზღვრელობა განაპირობებს ინდივიდუალურის აღნიშნულ თავისებურებას.

გამოსახვის ტოტალური ხასიათი

კროჩემ ფაქტიურად ვერ შეძლო ლირიულობის გამოყვანა თვით ინტუიციის ანუ თეორიული აქტის შინაგანი ბუნებიდან. ინტუიცია ფორმის და იმ შინაარსის სინთეზად დარჩა, რომელსაც მას სხვა სპირიტუალური აქტი აწვდიდა. მხატვრული სინთეზის პრობლემა კროჩეს ესთეტიკაში ერთი ფორმის მეორეში გადასვლის პრობლემად წარმოგვიდგება. ე. ი. თუ მხატვრული ნაწარმოები არის დასრულებული სინთეზი, რომელშიც გრძნობა გაფორმებულია ინტუიციის მიერ და ქცეულია ჭვრეტად გრძნობად, ასახსნელი რჩება, თუ როგორ შემოდის ინტუიციაში, თეორიული ხასიათის აქტში, პრაქტიკული ფორმა. გარდა ამისა ინტუიციის ალოგიური, წმინდა ხასიათის აღიარების მიუხედავად, კროჩემ მიაწერა მას ყველაფრის გამოსახვის უნარი და სცნო, რომ ეკონომიური, ლოგიკური თუ ეთიკური მომენტები თავისებურად (ჭვრეტად ქცეულნი) მაინც გამოისახებიან ხელოვნებაში. სხვანაირად ეს უკანასკნელი ვერ გახდებოდა ყველაფრის ანუ კოსმოსის შემცველი კატეგორია.

გონის აქტივობის სხვადასხვა ფორმების ურთიერთკავშირის და მათი ერთმანეთში გადასვლის შესაძლებლობის დასამტკიცებლად კროჩეს შემოაქვს ესთეტიკაში გონის ტოტალობის პრინციპი. გონის ციკლიური განვითარება უმაღლეს ერთიანობას გულისხმობს. გონის ყველა სინთეზი (ესთეტიკური, ლოგიკური, პრაქტიკული) უმაღლეს სინთეზში ერთიანდება, რადგანაც გონი არ ჩერდება არცერთ მათგანზე კერძოდ. ამიტომ ყველა სინთეზში რეალურია მხოლოდ სინთეზთა სინთეზი, აქტივობათა აქტივობა ანუ გონი, რომელიც ჭეშმარიტი აბსოლუტი ანუ „წმინდა აქტი“ (l'actus purus) არის. გონის განვითარების ციკლიური პროცესი ყველ ამისი ძალის ერთობლივ, ტოტალურ მოქმედებას გულისხმობს და ამ პროცესში ვერც ერთ აქტივობას ვერ გამოვყოფთ ცალკე. აქტიურია მუდამ მთელი ცნობიერება, რომელიც აწარმოებს ყველა სინთეზის სინთეზს და ამით თითოეულ კონკრეტულ სინთეზში შეჰყავს მისგან განსხვავებული სინთეზების მომენტები. მხატვრული შემოქმედების შემთხვევაში ამიტომ აქტიურია არა მარტო ესთეტიკური უნარი, არამედ მთელი გონი, რამდენადაც ისიც ღებულობს მონაწილეობას ლირიული ინტუიციების შექმნაში, აწვდის რა ესთეტიკურს თავის შინაარსს მის განუყოფელ მთლიანობაში. გონის აქტიურობა ვლინდება სულის აღელვებულ მდგომარეობაში, რომელსაც ჰქვია გრძნობა და ურომლისოდ ესთეტიკურ სინთეზს ადგილი არ ექნებოდა. გრძნობა, წერს კროჩე, არის გონის მთლიანი (ტოტალური) მდგომარეობა, რომელიც ფიქრობდა, მოქმედებდა, ხარობდა, იტანჯებოდა და ა. შ. პოეზია მზის მსგავსად ანათებს ამ წყვდიადს და სინათლეზე ამოაქვს „საგანთა დაფარული სახეები“[2]. გონის ტოტალური ხასიათი ესთეტიკურ ინტუიციას ტოტალურს ანუ ყველაფერის შემცველს ხდის. მხატვრული გამოსახვის ტოტალური ხასიათით

---

[2] B. Croce, Ultimi saggi, Bari, 1935, p. 10.

აიხსნება კროჩესთან ხელოვნების მიერ რეალობის სრულყოფილი და სრული გამოსახვის უნარი.

ტოტალობის თეორიამ, კროჩის აზრით, დაამტკიცა, ერთი მხრივ, ესთეტიკური ფორმის ავტონომია და სიწმინდე და, მეორე მხრივ, ახსნა მასში სხვა გონითი ფორმების მომენტების არსებობა. მაგრამ დარჩა პრაქტიკული გრძნობის დაპირისპირება ინტუიციისადმი, რაც შემეცნების პროცესს აქცევდა ასახვად, ე. ი. პასიურ აღქმით (ricettiva) უნარად. ასახვის თეორია კი შეუძლებელს ხდიდა შემეცნებას როგორც საგნის ქმნას. კროჩე ცდილობს თავი დააღწიოს ამ წინააღმდეგობას და მიზნად ისახავს დაამტკიცოს, რომ ხელოვნების ერთადერთი ობიექტი—მის მიერ შექმნილი ობიექტია. ამ ობიექტს კროჩე ფანტაზმს უწოდებს. „ხელოვნებას,—წერს იგი,—გაგებულს, როგორც საკუთარი ობიექტის კონსტრუირება, რომელიც არის ფანტაზმი, აზრს, გაგებულს როგორც საკუთარი ობიექტის კონსტრუირება, რომელიც არის მსჯელობა, შეიძლება ვუწოდოთ გონის ქმნა (un fare). ე. ი. ჯვრეტა და გაგება. ეს აქტი არ წარმოადგენს ობიექტის ინერტულ ათვისებას, არამედ არის ქმნა და მოქმედება და ობიექტად საკუთარი თავი აქვს“[3]. ხელოვნება არ ასახავს რაიმე არსებულს, არამედ მუდამ ახალ გონის სიტუაციებს ქმნის და ამიტომ არის შემოქმედება (creazione) და არა იმიტაცია. კროჩის აზრით, ინტუიტურ-გამოსახვითი აქტის სპირიტუალური სფეროში მოქცევა მთლიანად უარყოფს გარე მოცემულობას (l' esternità) და ხელოვნების ასახვით ხასიათს. მიუხედავად ამისა, კროჩე იძულებულია, ნაწილობრივ მაინც, სცნოს თავისი წამოწყების, ე. ი. წმინდა ფორმის ესთეტიკის აგების ცდის, მარცხი. ის აღნიშნავს, რომ მისი თეორიაც არ არის მთლიანად თავისუფალი ამთვისებლობის და იმიტაციის მომენტისაგან, რადგანაც გრძნობა, რომელსაც წარმოსახავს ფანტაზია, ამ უკანასკნელის გარეთ რჩება. მაგრამ ეს გარეთყოფნა კროჩეს აზრით, უფრო ახლოა ხელოვნებასთან, ვიდრე გონის გარეთ არსებული მოცემულობა. თავის კონცეფციას ამიტომ იგი უფრო მოქნილ კონცეფციად თვლის, რამდენადაც გარე მოცემულობის ტრანსცენდენტობა მასში შეცვლილია ერთი ფორმის ტრანსცენდენტობით მეორე ფორმის მიმართ.

წინააღმდეგობანი ხელოვნების კროჩესულ გაგებაში

კროჩეს ცდა, აეგო წმინდა ფორმის ესთეტიკა და დაეყვანა ხელოვნება შემეცნებით აქტზე, რომელიც ერთსა და იმავე დროს ქმნის და გამოსახავს თავის სპგანს და ე. ი. უარყოფს აქტის გარეთ არსებულ ობიექტს, მარცხით დამთავრდა. ზედმეტია იმის თქმა, რომ ხელოვნების როგორც ინტუიტური შემეცნების თეორია მართლდება მხოლოდ კროჩეს სისტემის ძირითადი წანამძღვრის — გონის ერთადერთ რეალობად ცნობის შემთხვევაში. ლირიულობა, როგორც ხელოვნების არსებითი ნიშანი დედუცირდება მხოლოდ სპირიტუალური რეალობის ინტუირებისას. საქმე ის არის, რომ კროჩეს თეორიას უსაფუძვლოს და გაუმართლებელს ხდის მისი ფილოსოფიური სისტემის და კერძოდ ესთეტიკის შინაგანი წინააღმდეგობები. ეს წინააღმდეგობები ნათლად ადასტურებენ ესთეტიკურის არსების სერიოზული კვლევის შეუძლებლობას მხოლოდ

[3] B. Croce, Nuovi saggi di estetica. Bari, 1926, p. 153.

ესთეტიკური სუბიექტის, სუბიექტური აქტის ანალიზის საფუძველზე. ესთეტიკური ობიექტის, როგორც სუბიექტისაგან დამოუკიდებელი მოცემულობის უარყოფა თავიდანვე განაპირობებს ასეთი კვლევის წარუმატებლობას.

მართლაც, ობიექტის როგორც ესთეტიკური აქტისაგან დამოუკიდებელი მოცემულობის უარყოფამ დააყენა კროჩე გადაუწყვეტელი სიძნელეების წინაშე. ამიტომ მან ვერც შეძლო ბოლომდე გაეტარებინა თავისი პრინციპი და ესთეტიკური აქტის საგანი დაეყვანა მის მიერვე შექმნილ ობიექტზე. შეგრძნებების არსებობის უარყოფამ მოხსნა გონის და მეტაფიზიკური რეალობის დაპირისპირება. მაგრამ გონის ფორმების ცალკური განვითარების ძალით ესთეტიკურ სინთეზს მატერიად დარჩა გრძნობა, როგორც პრაქტიკული აქტი, რომელიც თეორიული აქტის გარეთაა, არაა წარმოებული ინტუიციის მიერ და რომელსაც გააჩნია არსებობის საკუთარი წესი. ესთეტიკური აქტივობა კროჩესთან წარმოადგენს სინთეზს **a priori**. . მაგრამ კროჩეს ერთ-ერთი კომენტატორის—ანტონის[1] სამართლიანი შენიშვნით, კანტისეული სინთეზის გამოყენებისას, კროჩემ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ კანტთან სინთეზი ფორმის და მის გარეთ არსებული შინაარსის სინთეზს გულისხმობს. კროჩე, ერთი მხრივ, ესთეტიკურ აქტს უპირისპირებს გრძნობას, რომელიც მის მატერიად უნდა იქცეს, და ამდენად უარყოფს თავისივე პრინციპს, რომ ესთეტიკური აქტი ამავე დროს საგნის ქმნა არის. მეორე მხრივ, ის ამტკიცებს, რომ ესთეტიკურ სინთეზში ფორმა თვითონ ქმნის თავის საგანს და ეს საგანი არის ჭვრეტაში მოცემული გრძნობა, რომელსაც არაფერი საერთო არა აქვს პრაქტიკულ გრძნობასთან. ამგვარად, კროჩეს ესთეტიკაში გრძნობა, როგორც გარე მოცემულობა ერთსა და იმავე დროს მნიშვნელობს და არ მნიშვნელობს. მის გარეშე წარმოუდგენელია ცალკური განვითარება და ესთეტიკური აქტივობა როგორც ასეთი; გრძნობა, როგორც ხელოვნების შინაარსი, "ლის საზღვარს რეალურსა და ირეალურს შორის და ე. ი. განსაზღვრავს მის ერთ-ერთ ძირითად თვისებას, გრძნობა აკავშირებს ხელოვნებას რეალობასთან და აქცევს მას სინამდვილის შემეცნებად. მაგრამ ამავე დროს ის არავითარ როლს არ თამაშობს თვით ესთეტიკურ სინთეზში. რომ გაართვას თავი სიძნელეს, კროჩე მიმართების და სინთეზთა სინთეზის ცნებებს იშველიებს; ეს მიმართება და სხვადასხვა ფორმის სინთეზი, როგორც სინთეზთა სინთეზი, ხორციელდება გონის უფრო მაღალ სფეროში, რომელიც არის გონი მის ტოტალობაში. მაგრამ მიმართება საგანზე მიმართება არის და აღარაა საგნის შემოქმედება. სინთეზთა სინთეზი კი. როგორც ყველა კონკრეტულ სინთეზზე მაღლა მდგომი, უცნაური აქტია, რომელიც არ წარმოადგენს საკუთარივე ესთეტიკურ სინთეზს. ტოტალობის თეორია გულისხმობს გონითი ფორმების გამოყოფას მხოლოდ აბსტრაქციაში, მაგრამ ფაქტიურად მათ შორის არსებული განსხვავება კროჩესთან რეალური განსხვავება არის. თუ გონის ტოტალობის თეორიაში არის რაციონალური მომენტი, რამდენადაც ის მიუთითებს ცნობიერების აქტივობის შინაგან მთლიანობაზე და მის უნართა ურთიერთმოწყვეტის შეუძლებლობაზე. ის ვერაფერს ამბობს იმაზე, თუ როგორ ხორციელდება სინთეზი თითოეული კონკრეტული ფორმის შიგნით, რომელიც ანიჭებს ამ უკანასკნელს განსხვავებულ განსაზღვრულობას და დამოუკიდებლობას. რადგანაც ფაქტიურად არაფერია თქმული, თუ როგორ შედის, ან რა როლს თამაშობს ინტუიციაში მისი

[1] C. Antoni. Commento a Croce, Venezia, 1955, p. 165.

შინაარსი—გრძნობა, ესთეტიკური სინთეზი, თუ შეიძლება ითქვას, ცალმხრივი სინთეზია, რომელშიც ყოველივე მხოლოდ ჰარეტაში მოცემულად და მის მიერადვე შექმნილად გვევლინება. სულ სხვანაირია ურთიერთობა ლოგიკური სინთეზის ორ მომენტს შორის. ფაქტიურად ახალი სინთეზის შედეგად ინტუიცია უნდა მოიხსნას და ახალ თვისობრიობად იქცეს, მაგრამ ის ინტუიციადვე რჩება, მიუხედავად იმისა, რომ კროჩე უარყოფს ინტუიტური მომენტის თვისებრიობის შენარჩუნებას გონის დისკურსიულ ფორმაში.

ამგვარად, სინთეზთა სინთეზი ფაქტიურად ვერ ხსნის გონის ფორმების ურთიერთში გადასვლას, მათ სინთეზს და მეტიც, უარყოფს გონის განვითარებას საერთოდ. ჰეგრეტაში მოცემული გრძნობა მოწყვეტილია პრაქტიკული გრძნობისაგან, რის გამო ინტუიცია თავისთავში ჩაკეტილ მონადად წარმოგვიდგება და მას ეკარგება რეალობის შემეცნების უნარი. მიუხედავად იმისა, რომ კროჩემ ვერ მოუხსნა ადგილი თავის ესთეტიკურ სისტემაში ობიექტს, როგორც აქტისთვის მოცემულს და არც იყოლია მისი ესთეტიკური ღირებულება. სწორედ ეს საგანი (ჯერ შეგრძნებები, შემდეგ გრძნობა) მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც, განსაზღვრავს ხელოვნების სპეციფიკურობას. ამიტომ კროჩეს ესთეტიკის ერთ-ერთი წინააღმდეგობა განპირობებულია იმ ფაქტით, რომ მან ვერ გაატარა თანმიმდევრულად თავისი პრინციპი—ესთეტიკურის აქტზე დაყვანა და დაუშვა ობიექტი, რომელიც არაა წარმოებული აქტის მიერ.

მეორე ხასიათის სიძნელეს თუ წინააღმდეგობას ბადებს ის გარემოება, რომ კროჩე ცდილობს დაადგინოს ხელოვნების თავისებურება ინტუიციის სტრუქტურის, მისი ფორმალური მხარის ანალიზის საფუძველზე. ამის შედეგად შეუძლებელი ხდება ესთეტიკური ინტუიტურ-გამოსახვითი აქტივობის განსხვავება სხვა ინტუიტური აქტებისაგან, შემოქმედებითი და აღქმითი უნარის ურთიერთგარჩევა, ხელოვნების და მეცნიერების განცალკევება და ხელოვნების ავტონომიის და ღირებულების დაცვა. ჰეგელის ესთეტიკის ნაკლოვანების კროჩე ხედავდა იმ ფაქტში, რომ მან დაუკარგა ხელოვნებას ღირებულება, გამოაცხადა რა იგი იმავე ობიექტის შემეცნების უფრო დაბალ საფეხურად, რომელსაც რელიგია და ფილოსოფია იმეცნებენ. ამ წანამძღვრამ, კროჩეს აზრით, ლოგიკურად მიიყვანა იგი ხელოვნების სიკვდილის იდეამდე. მაგრამ ინტუიციის ფორმალური ანალიზის გამო კროჩეს ესთეტიკაშიც ხშირად ძნელდება ხელოვნების და მეცნიერების ობიექტის განსხვავება. სტოუტურულად ყოველნაირი გრძნობად-ინდივიდუალური ხედვა კროჩესთან ინტუიცია არის და ამდენად ესთეტიკურ გამოსახვას წარმოაოგენს. ამდენად, ინდივიდუალური, როგორც ესთეტიკური კატეგორია ფორმალურად ერთეულის ცნებასთანაა გაიგივებული, თუმცა ფაქტიურად, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კროჩეს ესთეტიკაში იდეიდუალური არსებითად განსხვავებულია ერთეულისაგან.

ინტუიციის ფორმალური ანალიზიდან გამომდინარეობს ხელოვნების მეცნიერებასთან გაიგივება. თუ ყველა ესთეტიკური თვისება გამომდინარეობს ფორმიდან და ეს ფორმა მეცნიერებასაც გააჩნია, ხელოვნებას, როგორც სულიერი მდგომარეობის ცოდნას, არ ექნება მეცნიერებისაგან განსხვავებული ობიექტი და ფილოსოფიასთან შედარებით იგი აღმოჩნდება უფრო დაბალ საფეხურად, რადგანაც პირველს შემეცნების თვალსაზრისით ემატება სხვა შინაარსიც. მაგრამ რა აზრი აქვს ხელოვნების დამოუკიდებელ არსებობას, თუ

შემდეგი ფორმა ინარჩუნებს ყოველივეს, რასაც იძლეოდა პირველი და თანაც ამდიდრებს მას ახალი შინაარსით? ბუნებრივია, ხელოვნებას ეკარგება მნიშვნელობა და ღირებულება, იგი უარიყოფა და კროჩე ლოგიკურად უნდა მივიდეს იმ დასკვნამდე, რომელიც მას მიუღებლად მიაჩნდა ჰეგელის ესთეტიკაში.

ესთეტიკური გამოსახვის სპეციფიკის დადგენას ვერ შველის ინტუიციების დაყოფა მცირე და დიდ ინტუიციებად. რადგანაც, კროჩეს მიხედვით, აქ საქმე გვაქვს მხოლოდ რაოდენობრივ განსხვავებასთან, ამ განსხვავებას არ შეუძლია მოგვცეს ახალი თვისობრიობა. კროჩე ადარებს მცირე ინტუიციას ღარიბ ცნებასთან. როგორც ცნება ბუნდამ ცნებაა—ღარიბია იგი თუ მდიდარი, ისე ინტუიცია, მცირეა იგი თუ დიდი, ინტუიცია არის. მაგრამ საქმე ისაა, რომ ღარიბი ცნება. მართლაც, ცნებად რჩება. ინტუიცია კი, რომელიც არაა გამოსახვა, და ასეთია მცირე ინტუიცია, კროჩეს დებულებითვე ადარაა ინტუიცია. თუ ყოველსაირი ინტუიცია არ გვაძლევს გამოსახვას და გამოსახვა გვაქვს მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში. მაშინ საკუთრივ შემოქმედებით უნარს ანუ ფანტაზიას ადარ რჩება ადგილი გონის სქემაში (რასაც კროჩე კანტს უსაყვედურებდა) და იგი იქცევა განსაკუთრებულ აქტად. რის უარყოფიდან ამოდის კროჩესეული ინტუიტივიზმი.

ვინაიდან ყველა ინტუიციის ესთეტიკურ ფაქტად აღიარებიდან კროჩეს გამოყავს შემოქმედებითი და აღქმით-მსჯელობითი უნარის გაიგივება. ის ვერ ახერხებს თეორიული სუბიექტის სფეროში შემოქმედებითი უნარის სპეციფიკის დადგენას და იძულებულია ეძიოს იგი ემპირიულ სფეროში. შემოქმედებითი უნარი აღმოჩნდება განპირობებული ადამიანის ფსიქიკის თავისებურებით (ინტუიციის გაგრძელების უნარი). რაც წმინდა ინტუიციის ესთეტიკაში ფსიქოლოგისტური მომენტის შემოტანის საშიშროებას ქმნის.

ინტუიცია—გამოსახვის მთლიანად სპირიტუალურ აქტზე დაყვანა უარყოფს ხელოვნების გრძნობად—საგნობრივ არსებობას და შეუძლებელს ხდის მის მიერ რაიმეს შემეცნებას. რადგანაც, კროჩეს მიხედვით, მხატვრული ნაწარმოების ე. წ. საგნობრივი მხარე—ტექნიკური კონსტრუქციაა, ხელოვნება იღებს ორი ფენომენის მექანიკური ნარევის სახეს, მათი შეერთება ერთ აქტში შეუძლებელია, იმისათვის, რომ დააკავშიროს ინტუიცია და მისი ნიშანი, კროჩე იშველიებს სასწაულთმოქმედ მომართებას და გადააქვს მათი კავშირი გონის მაღალ სფეროში, სადაც ხორციელდება სინთეზთა სინთეზი. მაგრამ მიმართება და სინთეზთა სინთეზი საქმეს ვერ შველის. ინტუიტური და დისკურსული აქტი არ წარმოადგენენ ორ პროცესს, რომლებიც ერთსა და იმავე დროს ერთმანეთის პარალელურად მიმდინარეობენ, პარალელიზმს გონით მოქმედებაში კროჩე უარყოფს. ამიტომ თუ ინტუიციას ემატება და ე. ი. თანსდევს ფიზიკური დაკონსტრუირება (ფიზიკური ბგერა, სიტყვა, ფერი და ა. შ. ის. რაც მას ფიზიკურ არსებობას აძლევს), ჩვენ საქმე გვაქვს მომდევნო პროცესთან ანუ მომდევნო სინთეზთან, რომელიც აწერს ინტუიციას ექზისტენციალობის პრედიკატს და აქცევს მას აღქმად. ფაქტიურად ფიზიკური დაკონსტრუირება ანუ საგანში ობიექტივაცია, თუ ის არაა ესთეტიკური აქტივობის ორგანული მომენტი, და ასეთი კროჩეს მიხედვით, ის არც შეიძლება იყოს, სპობს ინტუიციას. მხოლოდ ინტუიციის და ფიზიკური დაკონსტრუირების ერთმანეთისაგან სრული მოწყვეტით შესაძლებელია შეუნარჩუნო ინტუიციას მისი არსებობის წესი. მაგრამ ამ შემთხვევაში ნიშანი იქცევა გონის ნებისმიერ წარმოქმნად, რომელიც ვერ შეასრულებს შუამავალი ტერმინის როლს და მის საფუძველზე

ადამიანი ვერც „გაიხსენებს“ და ვერც წვდება საკუთრივ ესთეტიკურს. ფიზიკურ კონსტრუქციას ექნებოდა შუამავლის ფუნქცია მხოლოდ იმ შემთხვევაში, რომ ისიც ესთეტიკურის ორგანული და აუცილებელი მომენტი ყოფილიყო, როგორც ეს არის მაგ. ფენომენოლოგიურ ესთეტიკაში, რომელიც აღიარებს რა, რომ ესთეტიკური ძირითადად მიუწვდომელია აღქმისათვის, თვლის მაინც ფიზიკურს, საგნობრივს ესთეტიკურისათვის ორგანულ მომენტად (ამ უკანასკნელს კი, როგორც მყარს და ერთნაირს ყველასათვის, შეუძლია, ამდენად, შეასრულოს აღმქმელის ინტუიციისათვის მიმართულების თუ გეზის მომცემის როლი).

ინტუიციის მოწყვეტას ხელოვნების საგნობრივი არსებობისაგან მივყავართ უკიდურეს სუბიექტივიზმამდე. დავუშვათ, რომ განსაკუთრებული გონითი აქტივობის შედეგად მხატვრის ცნობიერებაში დაიბადა ინტუიცია-გამოსხვა. მაგრამ როგორ წვდება მას სხვა ადამიანი, თუ იგი მხოლოდ შემქმნელის ცნობიერებაშია? ფიზიკური კონსტრუქციის საფუძველზე, თუ მისი ინტუირება საერთოდ შესაძლებელია, შეიქმნება სრულიად ახალი ინტუიცია და არა ერთი, არამედ მრავალი, იმდენი, რამდენი აღმქმელიც ეყოლება ამ ნიშანს. ვერავინ იგივეობრივი, თუ არა თითოეული მათგანი მხატვრის ინტუიციასთან, ვერც იმას გავიგებთ, თუ ვის როგორი ინტუიცია ექნება. ამდენად, მხატვრული ნაწარმოები იცოცხლებს მხოლოდ მისი აღმქმელის წყალობით და მხოლოდ იმ სიცოცხლით, რომელსაც მას მისცემს თითოეული მათგანი—სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვას, სხვადასხვას თითოეულში. ე. ი. ის იცოცხლებს არა ერთი, არამედ მრავალი განსხვავებული სიცოცხლით და განსხვავებული ჭეშმარიტებით. შეიძლება ითქვას, რომ კროჩეს წმინდა ინტუიციის ტრაგედია ანალოგიურია ლუიჯი პირანდელოს ერთ-ერთი დრამის („სიცოცხლე, რომელსაც მე შენ გაძლევ“) გმირის ტრაგედიისა. დონა ანას ვაჟი უკვდება. მაგრამ დედა თავისებურად თავს იმშვიდებს. სინამდვილეში, ამბობს იგი, შვილი განაგრძობს სიცოცხლეს იმ სიცოცხლით, რომლითაც იგი ცოცხლობს მის ხსოვნაში; დედა კი მკვდარია, ოადგანაც ოარ ცოცხლობს შვილის ცნობიერებაში და არაფერი იცის იმ სიცოცხლის შესახებ, რომელსაც იგი მას აძლევდა. კროჩეს მხატვრული ინტუიციაც ცოცხლობს მხოლოდ მის აღმქმელში, იმ თავისებური სიცოცხლით, რომელსაც მას აღმქმელი აძლევს. მაგრამ თუ რა სიცოცხლე ჰქონდა მას პოეტის ფანტაზიაში, ამის შესახებ ჩვენ ვერაფერს გავიგებთ. თუ ხელოვნება შემეცნება არის, იგი უნდა იძლეოდეს გარკვეულ ჭეშმარიტებას (როგორც არ უნდა გავიგოთ ეს ჭეშმარიტება), რომელსაც საყოველთაო ხასიათი აქვს. რადგანაც კროჩეს ინტუიციას ასეთი საყოველთაობა არ შეიძლება გააჩნდეს, იგი ვერც რაიმეს შემეცნებად გამოდგება.

კროჩეს წმინდა ინტუიციის ესთეტიკა მისტიციზმის უარყოფიდან ამოდის. მისი ძირითადი მიზანია დაამტკიცოს, რომ ინტუიცია ჩვეულებრივი გონითი უნარია, ცნობიერების ერთ-ერთი ფორმაა; რადგანაც არსებობს მხოლოდ ოთხი ფორმა. გონის სისტემაში ინტელექტუალურ ინტუიციას ადგილი არ რჩება, მის არსებობას კროჩე კატეგორიულად უარყოფს. კროჩესეული ინტუიტივიზმი განსხვავდება, როგორც შელინგის, ისე ბერგსონის ინტუიტივიზმისაგან. კროჩესთვის აბსოლუტურად მიუღებელია კონცეპტუალური ცოდნის უარყოფა და ინტუიციის მიჩნევა ჭეშმარიტების ერთადერთ წყაროდ და უმაღლეს თეორიულ ფუნქციად. ინტუიცია რომ აზრზე მაღლა მდგარიყო, აღნიშნავს იგი, გაუგებარი იქნებოდა, როგორ აქცევს ფილოსოფია თავის ობიექტად ხელოვნე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბას, ან რა ფუნქციას ასრულებს მას შემდეგ, რაც გონმა თავისი განვითარების წრე გაიარა, ე. ი. ააგო წარმოდგენის, ისტორიის და აზრის სამყარო. კროჩესთვის თეორიული სამყაროს უმაღლესი ინსტანცია ფილოსოფიაა. კონცეპტუალური შემეცნება მასთან სრულფასოვანი და მეცნიერული ჭეშმარიტების ერთადერთი წყაროა. კროჩეს ინტუიტივიზმი ამიტომ განსხვავდება ბერგსონის ინტუიტივიზმისაგან, როგორც საკითხის დაყენებით, ისე კვლევის მიმართულებით. მაგრამ მისტიციზმისაგან კატეგორიული გამიჯვნის მიუხედავად, კროჩეს დებულების ლოგიკურ ბოლომდე განვითარებისას, ინტუიტური შემეცნება მისტიკურ ხასიათს იღებს.

რომ ინტუიცია სცილდება გონის ფარგლებს და შესაძლებლობებს, განსაკუთრებულად ნათელი ხდება კროჩეს მოღვაწეობის უკანასკნელ პერიოდში, როდესაც ლირიული ინტუიცია კოსმიურ ინტუიციად იქცევა და კროჩე მას კოსმოსის რიტმის, უნივერსუმის უკანასკნელი არსების წვდომის უნარს მიაწერს. რა არის კოსმოსის რიტმი, თუ არა ნოუმენთა სამყაროს ულრმესი არსება, რომელსაც გონის ჩვეულებრივი უნარი ვერ მიწვდება. ხელოვნება, როგორც სინამდვილის გრძნობად-ინდივიდუალური შემეცნება, კარგავს აზრს, რადგანაც მთავარი ხდება არა რეალობის გრძნობად-ინდივიდუალური სახის შეცნობა, არამედ იმისა, რაც მის იქითაა და რასაც არ შეიძლება ჰქონდეს არც გრძნობად-ინდივიდუალური სახე და არც რაიმე განსაზღვრულობა.

ამგვარად, გრძნობამ, რომელიც კოსმოსის პულსაციის მატარებელი გახდა, დაკარგა ხელოვნების საგნის მნიშვნელობა და წარმოგვიდგა, როგორც კოსმიური რიტმის წვდომისათვის აუცილებელი, მაგრამ მხოლოდ გამაშუალებელი ტერმინი. ასე, ესთეტიკური აქტის ობიექტად კოსმიური რიტმის მიჩნევამ, ინტუიცია ჩვეულებრივ გონით უნარიდან განსაკუთრებულ, მისტიკურ უნარად აქცია, რაც ეწინააღმდეგება და უარყოფს კროჩეს სისტემის წანამძღვრებს[5].

---

[5] კროჩეს ძირითადი ესთეტიკური შრომები: „ისტორია განხილული ხელოვნების ზოგადი ცნების თვალსაზრისით“ 1893. („La storia ridotta sotto il concetto generale dell'arte), „ესთეტიკა როგორც მეცნიერება გამოსახვაზე და ზოგადი ლინგვისტიკა“ 1902. Estetica come scienza dell'espressione elinguistica generalle), არის რუსული თარგმანი; „წმინდა ინტუიცია და ხელოვნების ლირიული ხასიათი“ 1908 (L'intuizione puraca-e il caratterl lirico dell'arte), „ესთეტიკის კანონთა კრებული“ 1913 (Breviario di Esteti- „მხატვრული გამოსახვის ტოტალური ხასიათი“ 1918. (I carattere di totalità della espressione artistica), „ხელოვნება როგორც შემოქმედება, როგორ ქმნა“ 1919 (Z'arte come creazione e eacreazione come fare), „ესთეტიკის არსება,“ 1929 (Estefica in nuce), „პოეზია 1935 (Lt Poesia), გარდა, ამისა ესთეტიკის პრობლემები განხილულია ისეთ შრომებში როგორიცაა „ლოგიკა“, „პრაქტიკის ფილოსოფია“ და სხ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძოლა სახალხო მეურნეობის ელექტროფიკაციისათვის საბჭოთა საქართველოში (1921—1941 წწ.)

ს. მიქელოვი

(წარმოადგინა საქ. სსრ მეცნ. აკად. ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტმა)

სკკპ ახალ პროგრამაში განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი ენერგეტიკის შემდგომ განვითარებას, კერძოდ, ქვეყნის მთლიანი ელექტროფიკაციის საკითხებს. პროგრამაში ელექტროფიკაცია წარმოდგენილია, როგორც კომუნისტური საზოგადოების ეკონომიკის მშენებლობის ღერძი, რომელიც „წამყვან როლს ასრულებს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განვითარებაში, მთელი თანამედროვე ტექნიკური პროგრესის განსორციელებაში“[1].

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ელექტროფიკაციის დარგში დასახული ღონისძიებების წარმატებით განხორციელება, რასაც შვიდწლიანი გეგმა ითვალისწინებს, მნიშვნელოვანი წვლილი იქნება ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისა და ხალხის ცხოვრების დონის მკვეთრად ამაღლების საქმეში.

ჩვენი რესპუბლიკის ელექტროენერგეტიკის განვითარების საკითხები ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან იპყრობდა მრავალი სპეციალისტის ყურადღებას. საქართველოს დედაქალაქში ელექტრონათების მოწყობის საკითხი პირველად ცნობილმა საზოგადოებრივმა მოღვაწემ და ეკონომისტმა ნიკო ნიკოლაძემ დააყენა[2].

გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან საქართველოსა და ამიერკავკასიის სახალხო მეურნეობის დარგებში, შეიძლება ითქვას, არ ყოფილა თითქმის არც ერთი მნიშვნელოვანი ახალი წარმოება, რაშიც ნ. ნიკოლაძეს არ შეეტანა თავისი წვლილი. მისი პროექტები ხშირად რუსეთისა და უცხოეთის სხვადასხვა დარგის გამოჩენილ სპეციალისტთა მაღალ შეფასებას იმსახურებდა. იგი ყოველთვის იმ ადამიანთა მოწინავე რიგებში იდგა, რომლებიც იბრძოდნენ მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევათა წარმოებაში დანერგვისათვის. ამ მხრივ საკმარისია იმის აღნიშვნა, რომ იგი ქვეყნის ელექტროფიკაციის იდეითაც იყო გატაცებული ჯერ კიდევ 1884 წლამდე, როდესაც პარიზში დაესწრო პირადად მ. დეპრეს აღმოჩენას—ელექტრონის შორმაძინილზე გადაცემის საცდელ დემონსტრაციას[3].

დასავლეთ ევროპაში ყოფნის დროს ნ. ნიკოლაძე დაუახლოვდა ცნობილ რევოლუციონერებს, პირადი კონტაქტი დაამყარა მეცნიერებისა და ტექნიკის

---

[1] სკკპ პროგრამა, თბ., 1961, გვ. 76.

[2] იხ. კ. ჩარკვიანი, ი. ჯავახიშვილი და ნ. ნიკოლაძე ქართული ელექტროენერგეტიკის სათავეებთან. ჟურნ. „მნათობი“. 1963, № 8, გვ. 134.

[3] პ. გუგუშვილი, ნ. ნიკოლაძე, ჟურნ. „საქართველოს ეკონომისტი“, 1963, № 9, გვ. 74—83.

მოღვაწეებთან, მათ შორის მარსელ დეპრესთან, პირადად დაესწრო ელექტროენერგიის შორ მანძილზე გადაცემის იმ ცდებს, რომლებიც იმ უკანასკნელმა ჩაწყო და რომელთაც კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა ღრმა მეცნიერული დახასიათება, კლასიკური შეფასება მისცეს[4].

საქართველოში დაბრუნების შემდეგ ნ. ნიკოლაძემ გაზეთ „ნოვოე ობოზრენიე"-ში გამოაქვეყნა სტატია სათაურით „ოცნებათა სამყაროში", სადაც ივარაუდებდა რა მ. დეპრეს აღმოჩენას,—ელექტრონის შორ მანძილზე გადაცემის საცდელ დემონსტრაციას,—წერდა: „მახსენდება მკრთალი დატანჯული სახე მარსელ დეპრესი, რომელმაც მოიაზრა და დააფუძნა „ელვისოს" (ელექტრონის) გადაცემა. შარშან დავესწარ იმის ცდას, რომელიც მოხდა საფრანგეთის მეცნიერებათა აკადემიის თანდასწრებით. კრებილის ჩანჩქერი, რომელიც 47 ვერტით დაშორებულია პარიზზე, ამ უკანასკნელ ქალაქში ტელეგრაფის ზედა მავთულით აუარებელი ძალისა და სიდიდის მანქანებს ამოძრავებს. დღეს ამ ამბავს სტამბაც და მეცნიერებაც ავრცელებს. „ელვისოს"—როგორც მოძრავი ძალის შორს გადაცემაზე, თვით ფიზიკის სახელმძღვანელოშიც იწერება ხოლმე"[5].

ეხებოდა რა ჰიდროენერგიის გამოყენების პერსპექტივებს და იმ იარაღ-მანქანებს, რომლებსაც მოძრაობაში მოიყვანდნენ ელექტროსადგურები, ნ. ნიკოლაძე აღნიშნავდა: „აი მაშინ გაუთენდება აღდგომა ჩვენს მთებს! რამდენი მთიული მდინარე, რამდენი ჩანჩქერი, რამდენი ძალა გვაბადია! ეს ყველაფერი გამოიყენება". აღნიშნულ წერილში ნ. ნიკოლაძე აღნიშნავდა ელექტროენერგიის გამოყენების დიდ ეკონომიურ უპირატესობას ორთქლის ენერგიასთან შედარებით, იქვე მოჰყავდა შედარებითი მონაცემები პროდუქციის (ჩითი, მაუდი) წარმოებაზე ენერგიის დანახარჯების შესახებ და ამ მონაცემების საფუძველზე გვიჩვენებდა ელექტროენერგიის უდიდეს სახალხო მეურნეობრივ მნიშვნელობას მომავალში.

ქალაქის სათათბიროს 1884 წლის 20 ნოემბრის სხდომაზე, რომელიც ქალაქის ქუჩების განათების საკითხს ეხებოდა, ნ. ნიკოლაძე მიუთითებდა ჰიდროენერგეტიკის დიდ მნიშვნელობაზე: „მართალია ევროპას ყველა დიდ ქალაქში, როგორც მაგალითად პარიზში, ბერლინში და ბევრან ელექტრონის ძალით განათება ერთიორად ძვირი ჯდება გაზით განათებაზე, რადგან ის მაშინები, რომლებიც საჭირონი არიან ელექტრონული ძალის შეკრებისათვის და რომელიც ორთქლით მოდიან მოქმედებაში ძალიან ძვირი ჯდებიან. მაგრამ ჩვენს ქალაქში ამგვარი განათება ძვირი არ დაჯდება, აქ ორთქლის ძალის მაგიერებას მდინარე მტკვარი გაგვიწევს"[6].

ჩვენს დედაქალაქში ელექტროგანათების შემოღება დიდი ქართველი მწერლისა და სახოგადოებრივი მოღვაწის ილია ჭავჭავაძის თაოსნობით მოხდა. ეს დაკავშირებული იყო თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის, ჭარვასლისა და თეატრის რეკონსტრუქციასთან. პროექტის თანახმად, თეატრის

---

[4] იხ. ი. ქ ო დ უ ა, ნ. ნიკოლაძე, ელექტროფიკაციის იდეის მქადაგებელი, გაზ. „თბილისი", 1962 წ. № 47.

[5] გაზ. „ნოვოე ობოზრენიე", 1887 წ. 25/X (№ 1328) ციტირებულია ი. კოდუას დასახ. სტატიიდან.

[6] გაზ. „ცრონება", 1884, № 256.

რკონსტრუირებული შენობა გაზით უნდა განათებულიყო, მაგრამ ბანკის გამგეობამ ეს აზრი შემდეგ ილიას ზეგავლენით შეცვალა[7].

ელექტრონის შუქით თეატრის განთბებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციამ სპეციალური განცხადებით მიმართა მაყურებელს. ეს განცხადება დაბეჭდილია გაზ. „ივერიის“ 1887 წლის № 257 ნომერში. „თეატრის ადმინისტრაცია,—ადნიშნულია განცხადებაში,— უმორჩილესად აუწყებს თბილისის პატივცემულ საზოგადოებას, რომლის უმთავრეს ნაწილს არა ჰქონია შემთხვევა ელექტრონის სინათლის ნახვისა, რომ ელექტრონის სინათლე შესაძლოა უცებ ჩაქრეს, მცირე ხნობით და რამდენიმე წუთის შემდეგ ისევ გაცოცხლდეს. ამას გარდა თეატრის ადმინისტრაცია თავს ვალდებულად რაცხს დაუმატოს ელექტრონით განათების გამო თეატრში არასგზით ცეცხლი არ გაჩნდება, რომ ზემოხსენებულ შემთხვევაში სრული სიბნელე არ ჩამოვარდეს, ამისათვის თეატრში სანთლიანი ფარნებიც ენთება“[8].

1902 წლიდან თბილისში უკვე ჩნდება ელექტროენერგიის გაყიდვის მიზნით აგებული კერძომფლობელური ელექტროსადგურები. 1908 წლისათვის ქალაქში 3 ასეთი სადგური იყო, 1912 წლისათვის კი უკვე 22. მათი საერთო სიმძლავრე 1380 კვტ უდრიდა. ამავე დროს მთელ რიგ მსხვილ სახლებთან საკუთარი საჭიროებისათვის მოქმედებდნენ ბლოკ-სადგურები[9]. 1904-1905 წლებში ქალაქის ყოფილი თვითმმართველობის მიერ მოწვეულმა ინჟინერმა მეტცმა, რომელსაც დავალებული ჰქონდა ქალაქში ტრამვაის გაყვანის საკითხის გამოკვლევა, შეადგინა მდ. მტკვარზე 1600 ცხენისძალიანი ჰიდროელექტროსადგურის აგების პროექტი, ხოლო 1907 წელს კი ინჟინრებმა ნ. ანდრეევმა და ნ. ზვორიკინმა წარმოადგინეს პროექტი მდ. არაგვზე 10 000 ცხენისძალიანი ჰიდროელექტროსადგურის აგებისათვის[10].

იმ უცხოურ ფირმათა შორის, რომელნიც 1910-დან 1912 წლამდე ცდილობდნენ ადეოთ საკონცენსიოდ თბილისისათვის ელექტროენერგიის მიწოდების საქმე, იყვნენ: ბელგიის ფირმა „ჟირო“ და „ლიუშერი“, ინჟინერი ტარისი, ბელგიის ანონიმური საზოგადოება „გენერალური სინდიკატი“ და ინგლისელი ბიზნესმენი ჩარლზ სტიუარტი, რომელსაც იმ დროისათვის მეფის რუსეთის მთავრობისაგან მიღებული ჰქონდა კონცესია მდ. თერგისა და გოქჩის ტბის ჰიდრავლიკური ენერგიის გამოსაყენებლად[11].

რევოლუციის წინა 10-12 წლის მანძილზე მუშავდებოდა საქართველოს მდინარეებზე ჰიდროელექტროსადგურების აგების მრავალი პროექტი. მაგალითად, 1905 წელს ინჟ. მეტცი, ხოლო 1910 წელს პროფესორი არტემიევი ამუშავებდნენ თბილისში, კარლ მარქსის სახელობის ახლანდელი ხიდის მიდამოებში, მტკვარზე ჰიდროელექტროსადგურის აგების პროექტს. მდინარე არაგვზე რამდენიმე ჰიდროელექტროსადგურის აშენებას ითვალისწინებდა ტრანსკავკასიური ელექტროფიცირებული რკინიგზის პროექტი, რომელიც ინჟინერმა კუჩინსკი შეადგინა. ინჟინრებმა ზავალიშინმა, ნ. ანდრეევმა, ვ. კოკევნიკოვმა შეიმუშავეს

---

[7] გაზ. „ივერია“, 1887 წ. 15/VIII.

[8] გაზ. „ივერია“, 1887 წ. № 257.

[9] Газ. „Вечерный Тбилиси“, 1964, 160.

[10] см. „Проэкт Гидравлической станции на р. Арагвы“, Тиф., 1908.

[11] см. „Материалы к вопросу о концессии на снабжение г. Тифлиса“, Тб., 1915; აგრეთვე, „თბილისის საბჭოს მოამბე“, 1926, №1, გვ. 12.

მდინარე ხრამის ქვემო დინებაზე სოფელ არახლოსთან ჰიდროელექტროსადგურის აგების ესკიზური პროექტი[12].

რევოლუციამდელ საქართველოში ზემოთ ჩამოთვლილი მრავალრიცხოვანი პროექტებიდან ზოგიერთის განსახორციელებლად ნაბიჯი უმთავრესად საკონცესიო საწყისებზე გადაიდგა, მაგრამ ასეთ ცდებს პრაქტიკული შედეგები არ მოჰყოლია[13].

რაკი თბილისის ყოფილმა თვითმმართველობამ ვერ შესძლო კონცესიის საქმის მოგვარება, იგი დაკმაყოფილდა 900 ცხ. ძალიანი დიზელის ელექტროსადგურის აგებით, რომელიც ქალაქის მოთხოვნილებას 1/10-საც კი ვერ აკმაყოფილებდა. პირველმა იმპერიალისტურმა ომმა სრულიად შეაფერხა ელექტრომშენებლობის საქმე საქართველოში.

მენშევიკების ბატონობის პერიოდში, კერძოდ 1920 წელს, საქართველოს ქალაქთა კავშირმა აღძრა საკითხი ქ. თბილისის ელექტროენერგიით მომარაგების შესახებ. განზრახული იყო ჰიდროენერგოსადგურის აგება მდ. ხრამზე, მაგრამ ეს განზრახვა განუხორციელებელი დარჩა.

სწორად შენიშნავდა გამოჩენილი ქართველი ინჟინერ-ენერგეტიკოსი ბესარიონ ჯიჯინაძე: „მენშევიკების პერიოდში გაცემული კონცესიები ჰიდროენერგო ძალის გამოყენების მიზნით ალპანის კონცესია, მდ. რიონზე (ა. ხოშტარია), ტყიბულის კონცესია ე. წ. წყალდასავლთან (ფრანგი ინჟინრის გიზის), ბზიფის რაიონის სატყეო კონცესია, არ გასცილებია წინასწარ გამოკვლევების სტადიას; აშკარა იყო,—დასძენს ბ. ჯიჯინაძე,—რომ კონცესიონერები გაგებე აგრძელებდნენ წინასწარი სამუშაოების დროს და უცდიდნენ „მდგომარეობის გამორკვევას“, რომ არ ჩაედვათ საქმეში მნიშვნელოვანი თანხები“[14].

გარდა ქ. თბილისისა რევოლუციამდელი საქართველოს კიდევ 12 ქალაქში არსებობდა ელექტროსადგურები, მათ შორის იყო აგრეთვე ჰიდროელექტროსადგურები.

რევოლუციამდელ საქართველოში არსებული ჰიდროელექტროსადგურებიდან პირველ რიგში დასახელებულ უნდა იქნეს ბორჯომის ჰიდროელექტროსადგური, რომელიც ერთ-ერთ პირველთაგანი იყო არა მარტო საქართველოსა და ამიერკავკასიაში, არამედ მთელი რუსეთის იმპერიაში[15].

---

[12] იხ. ჟურნ. „თბილისის საბჭოს მოამბე“, 1926, № 10.

[13] მთელ რიგ იმდროინდელ წერილობით ძეგლებში, როგორიცაა მაგ. ლენინის სახ. ზემოავჭალის ჰიდროელექტროსადგურის ზაჰესის ტექსტი აღსრულებითი ნახაზებისა, თბ., 1930, გვ. 5, აგრეთვე ჟურნალი „ტფილისის საბჭოს მოამბე“ (იხ. 1926 წ. № 10, გვ. 12) და სხვა კომპენტენტურ წყაროებში,—მითითებულია რომ თითქოს კონცესია რევოლუციამდელ საქართველოში არ განხორციელდა, ამას წინააღმდეგობას უწევდნენ ქალაქის წვრილი თბოსადგურების პატრონები, რომელთაც ქალაქის თვითმმართველობაში გავლენიანი მფარველები ჰყავდათ. რა თქმა უნდა, ასეთი პრიმიტიული მსჯელობა ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. სინამდვილეში კონცესია იმიტომ ვერ განხორციელდა, რომ კაპიტალისტური წყობილების, კერძოსაკუთრების პირობებში ისეთი მძლავრი ჰიდროელექტროსადგურის აგება, როგორც მდ. ზაჰესი, მოითხოვდა უდიდეს კაპიტალურ დაბანდებებს, რაც, როგორც ცნობილია, განუხორციელებელი ოცნება იყო რევოლუციამდელ საქართველოსათვის. სხვათა შორის, ზემო აღნიშნული მცდარი მოსაზრება გატარებულია ისეთ კომპენტენტურ ჟურნალებში, როგორიცაა: „Экономический Вестник Закавказья,“ 1926, № 2,5,6 და „Экономическая жизнь Кавказа,“ 1922, № 1—6.

[14] იხ. ბ. ჯიჯინაძის წერილი ჟურნ. „საქართველოს ეკონომისტი“, 1927 წ. №10, გვ. 33.

[15] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი 1, თბ., 1961, გვ. 266.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბორჯომის ჰიდროელექტროსადგურის აგება ბორჯომის მამულების მფლობელის მ. ნ. რომანოვის კომერციულ მიზნებს ემყარებოდა. მისი მშენებლობა 1897 წელს დაევალა გერმანელ სპეციალისტს ფ. ფ. მოლდენგაუერს. მშენებლობა დაიწყო მდინარე ბორჯომელას ხეობაში მინერალური წყლების ტერიტორიაზე, მდინარის მარჯვენა მხარეს, ერთდროულად გაიშალა სამუშაოები, როგორც ძირითადი სადგურის, ისევე მდინარეზე ტრანსისა და სათავის მშენებლობისათვის. მდინარე თორის წყალზე საკმაოვაში მოეწყო სათავე, საიდანაც სათავე გადმოყვანილ იქნა ახალ არხში. ლიბანის, სოფ. ტბისა და სადგერის პლატოს გამოვლით წყალი ჩაეშვა სადგურის მილებში. ამავე დროს, ამ მდინარის ელექტროსადგურთან ახლოს ბორჯომელას ხეობაში წარმოიშვა ხელოვნური ჩანჩქერი, რომელმაც კიდევ უფრო დაამშვენა ისედაც ლამაზი ხეობა.

ჰიდროელექტროსადგურის აგება (წყალსადენი, ელექტროგანათება და ელექტროსადგურის შენობის აგება) დაახლოებით 164 000 მანეთი დაჯდა[16].

რადგან ბორჯომში მოწყობილი წყალსადენი იძლეოდა დიდი რაოდენობით ჰიდროენერგიით სარგებლობის საშუალებას (1000 ცხ. ძალამდე), იმ პერიოდში კი საჭირო იყო 140 ცხენის ძალა, ცენტრალური ჰიდროელექტროსადგურის გეგმის შედგნისას მხედველობაში მიიღეს მომავალში ჰიდროელექტროენერგიის გამოყენების ზრდა.

ამიტომ ელექტროსადგურის შენობის ზომები დადგენილი იყო იმ ვარაუდით, რომ მომავალში აუცილებლობის შემთხვევაში გადიდებულიყო ელექტრომანქანების და წყლის ძრავების შემადგენლობა და შესაძლებელი ყოფილიყო იმავე შენობაში მათი მოთავსება.

თავდაპირველი სიმძლავრე ბორჯომის ჰიდროელექტროსადგურისა 450 ცხ. ძალას უდრიდა.

გარდა ბორჯომისა რევოლუციამდელ საქართველოში არსებობდა შემდეგი ჰიდროელექტროსადგურები: სოხუმში—600 ცხ. ძ., გაგრაში—400, გორში—100, ახალციხეში—90, ახალქალაქში—75, სულ საბჭოთამდელ საქართველოს ჰიდროელექტროსადგურების სიმძლავრე 1 715 ცხ. ძალას უდრიდა, გარდა ამისა, როგორც ზემოთ აღინიშნა, იმდროინდელ საქართველოში არსებობდა, აგრეთვე, თბოელექტროსადგურები 9 330 ცხ. ძალის საერთო სიმძლავრით; აქედან თბილისში თავმოყრილი იყო დაახლოებით 40 ბატარა სადგური—6500 ცხ. ძალის სიმძლავრით, ქუთაისში—650, ბათუმში—950, ფოთში—550, ჭიათურაში—500, ტყიბულში—180.

საერთოდ, რევოლუციამდელი საქართველოს სითბური და საქარხნო-საფაბრიკო ელექტროსადგურების სიმძლავრე უდრიდა 12 000 ცხ. ძალას, ხოლო გამომუშავება—20 მლნ კვტ საათს, აქედან ჰიდროელექტროსადგურებზე მოდიოდა 14%[17].

ცნობილია, რომ მრეწველობა მეფის რუსეთში, მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებთან შედარებით, ჩამორჩენილი იყო, საქართველო კი, ცხადია, ამ მხრივ თვით რუსეთსაც მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა. 1913 წელს მოსახლეობის ერთ სულზე მოდიოდა: მრეწველობის მთლიანი პროდუქციის ღირებულებიდან რუსეთში—78 მანეთი, ხოლო საქართველოში—19 მანეთი (ოთხჯერ ნაკ-

---

[16] **Ф. Ф. Мольденгауер, Электричество в Боржоми, Тб., 1899, გვ. 5,6.**

[17] იხ. კ. ნ. ჩარკვიანი, საქართველოს სსრ ჰიდროელექტროენერგეტიკის განვითარების საკითხები, ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის ფ. № 488, გვ. 50.

ლები")[18]. გამოძუშავებული ელექტროენერგია რუსეთში—209 კგტ, საქართველოში—289 კგტ, ხოლო მექანიკური ძრავების სიძლიერე რუსეთში ათჯერ მეტი იყო, ვიდრე საქართველოში[19].

პირველმა მსოფლიო ომმა მოშალა როგორც რუსეთის, ისე, განსაკუთრებით, საქართველოს სუსტად განვითარებული მეურნეობრივი ორგანიზმი. საქართველოს სახალხო მეურნეობა და განსაკუთრებით მრეწველობა კიდევ უფრო გაჩახადა მეწვეიკების ბატონობის წლებში. აღნიშნულ ხანაში არც ერთი ელექტროსადგური არ აგებულა და არსებული ელექტროსადგურების სიმძლავრე რამდენადმე კიდეც შემცირდა.

საქართველოს სახალხო მეურნეობის ჩამორჩენილობის აღმოფხვრა და მძლავრი ელექტროენერგეტიკული ბაზის შექმნის შედეგად მისი ერთ-ერთ მოწინავე ინდუსტრიულ-აგრარულ რესპუბლიკად გადაქცევა, მხოლოდ სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ გახდა შესაძლებელი. განხორციელდა მრეწველობის, ტრანსპორტის, კრედიტის ნაციონალიზაცია, რაც დარღვეული სახალხო მეურნეობის განვითარების ერთადერთ გზას წარმოადგენდა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდანვე ლენინი უდიდეს ყურადღებას აქცევდა მისი ეკონომიკური დაწინაურების საქმეს. საქართველოს კომუნისტებისაგან ის მოითხოვდა ადგილობრივი პირობების შესაბამის და მოფიქრებულ ღონისძიებათა გატარებას სამეურნეო ცხოვრებაში, ფართო მასშტაბის ელექტროფიკაციის, ირიგაციის და სხვა მშენებლობათა განხორციელებას.

აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის, დაღესტნის და მთიელთა რესპუბლიკის კომუნისტებს ვ. ი. ლენინი 1921 წ. 14 აპრილის ისტორიულ წერილში სწერდა: „მთელი ძალით განვითარეთ მდიდარი მხარის საწარმოო ძალები, თეთრი ნახშირი... ერთბაშად ეცადეთ გააუჯობესოთ გლეხთა მდგომარეობა და დაიწყოთ ელექტროფიკაციის, მორწყვის დიდი სამუშაოები"[20].

როგორც სამართლიანად მიუთითებს პროფ. ვ. გუგუშვილი, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საუკუნეებრივი ჩამორჩენილობის აღმოფხვრა და მისი ერთ-ერთ მოწინავე ინდუსტრიულ-აგრარულ რესპუბლიკად გადაქცევა თვით ოქტომბრის რევოლუციის ბუნებიდან გამომდინარეობდა[21].

ცნობილია, რომ გოელროს გეგმის შედგენის პერიოდში, 1920 წელს, საბჭოთა ხელისუფლება ამოერკვაკასიის ყველა რესპუბლიკაში არ იყო დამყარებული; ამიტომ გეგმის ავტორებმა შეადგინეს კავკასიის ელექტროფიკაციის საერთო მონახაზი, კერძოდ, გათვალისწინებული იყო ჰიდროენერგორესურსების მაქსიმალურად გამოყენება.

გოელროს გეგმაში მოცემული იყო საქართველოს სს რესპუბლიკის ბუნებრივი რესურსების (ქვანახშირის, მარგანეცის, ჰიდროენერგეტიკული რესურსების და სხვა) და სხვა სამთამადნო სიმდიდრის ყოველმხრივი მეცნიერული ანალიზი. ამ გეგმაში არა მარტო გამოკვლეულია რესპუბლიკის ბუნებრივი სიმდიდრენი და მოცემულია მათი ბრწყინვალე მეცნიერული ანალიზი, არამედ

---

[18] ვ. გუგუშვილი, საქართველოს სსრ მძიმე მრეწველობა 1921-1946 წწ., ჟურნ. „ბოლშევიკი", 1946, № 1, გვ. 19.

[19] იქვე.

[20] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 32, გვ. 398—399.

[21] ვ. გუგუშვილი, საქართველოს სსრ მძიმე მრეწველობა 1921-46 წწ., ჟურნ. „ბოლშევიკი", 1946, № 1, გვ. 21.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასახულია, აგრეთვე, მათი გამოყენების კონკრეტული გზები. საქართველოში გოელროს სახელმწიფო პერსპექტიული გეგმით გათვალისწინებული იყო მძლავრი ჰიდროელექტროსადგურების აშენება მდ. რიონზე 48,7 ათასი კვტ სიმძლავრით (ამჟამად რიონჰესის სიმძლავრე 48,0 ათას კვტ შეადგენს). ამასთან, გოელრო ითვალისწინებდა რიონის ჰიდროელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის გამოყენების კონკრეტულ გზებსა და პერსპექტივებს.

რიონის ჰიდროელექტრული ძალური დანადგარი[22].

	სიმძლავრე ათას კვტ-ობით	ენერგიის ხარჯვა მლნ კვტ-საათობით
ა) სარკინიგზო დატვირთვისათვის	5,0	18,0
ბ) დასახლებული ცენტრისათვის	14.2	28,0
გ) საფქვავი წისქვილისათვის	1,5	4,5
დ) ფერომარგანეცისათვის	18,0	225,0
	48,7	275,9

რიონის ჰიდროელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიისა და ჭიათურის მარგანეცის ბაზაზე გათვალისწინებული იყო ფერომარგანეცის წარმოების ორგანიზაცია. ნაწილი ელექტროენერგიისა უნდა მოხმარებოდა ამიერკავკასიის რკინიგზის გარკვეული უბნის—პირველ რიგში სურამის უღელტეხილის (შორაპან-ხაშურის უბნის) ელექტროფიკაციის და მრეწველობის სხვა დარგებს. ამრიგად, გოელროს გეგმით გათვალისწინებული იყო როგორც ზაჰესის, ისე რიონჰესის აგება[23].

საქართველოსა და ამიერკავკასიის სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციის საკითხების განხილვისას გოელროს კომისიის მოხსენებაში ნათქვამია: „ამჟამად და ამ მოხსენებაში, ადგილზე დაწვრილებით გამოკვლევათა ჩაუტარებლად, შეუძლებელია თუნდაც მიახლოებით განისაზღვროს ის დატვირთვა, რომელიც შეიძლება წილად ხვდეს გეგმით დასახულ პირველი რიგის ძალოვან დანადგარებს მორწყვისათვის, წყლის აწევის ან წყლისაგან ახალი ფართობის წართმევის სამუშაოებთან დაკავშირებით“[24].

გოელრომ განსაზღვრა კავკასიის, კერძოდ საქართველოს, ელექტროფიკაციის მიმართულებანი და გეგმური დავალებანი, ყოველივე ეს კი დამატებითი შესწავლის, დაზუსტების, შევსების შემდეგ საფუძვლად დაედო ელექტროფიკაციის პრაქტიკული ამოცანების გადაჭრის ღონისძიებებს.

1921 წელს ჩვენს ქვეყანაში შემოღებულ იქნა ახალი ეკონომიური პოლიტიკა, რომლის მიზანსაც საბჭოთა კავშირში სოციალისტური საზოგადოების აშენება შეადგენდა. საქართველოს მშრომელები კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ახალი ეკონომიური პოლიტიკის საფუძველზე შეუდგნენ სახალხო მეურნეობის, კერძოდ მრეწველობის, აღდგენას.

როგორც აღვნიშნე, 1913 წელს საქართველოში მოქმედი ყველა ელსადგურის სიმძლავრე 8 ათას კვტ შეადგენდა, ხოლო ენერგიის გამომუშავება და-

---

[22] См. „План Гоэлро“, М., 1955, გვ. 589.

[23] ზოგიერთი ავტორი (მაგ. პროფ. ნ. ტყემალაძილი) ფიქრობს, გოელროს გეგმით გათვალისწინებული იყო რიონჰესის აგება და არა ზაჰესისა (იხ. მისი ბროშურა „ვ. ი. ლენინი საქართველოს ეკონომიური განვითარების შესახებ“, 1962 წ. თბ., გვ. 11). ნ. ტყემალაძილის ეს მოსაზრება სინამდვილეს არ შეეფერება.

[24] „План Гоэлро“, გვ. 587.

ხლოებით 20 მილიონ კგტ საათს. საქართველოს ტერიტორიაზე არსებული 70 წვრილი ელექტროსადგურიდან თბილისში თავმოყრილი იყო 45-მდე თბოელექტროსადგური, რომელთა აგრეგატების საერთო სიმძლავრე 6600 კგტ. ანუ ყველა ელექტროსადგურის სიმძლავრის 4/5-ს შეადგენდა. მათ შორის ყველაზე უმძლავრესად ითვლებოდა ტრამვაის თბოელექტროსადგური 2900 ცხ. ძალის სიმძლავრით[25]. ამ თბოელექტროსადგურებს ცალკეულ მრეწველურ საწარმოთა მესვეურნი სრულიად უგებმოდ აშენებდნენ. მათ ერთადერთ მიზანს შეადგენდა, რაც შეიძლება მეტი სარგებლობა ენახათ ელექტროენერგიაზე მაღალი ტარიფის გამო.

აღნიშნულ სადგურების გარდა მთელი რიგი მრეწველური დანიშნულების საწარმოებში დადგმული იყო 5 840 ცხენის ძალამდე საერთო სიმძლავრის ძრავები. ამათგან თბილისის თბოელექტროსადგურებიდან ენერგიას იღებდნენ 2 235 ცხ. ძალის (საერთო სიმძლავრის) ელექტროძრავები, ხოლო დანარჩენებს ჰქონდათ დამოუკიდებელი ძრავები. ნავთმტორები—1 774 ცხ. ძალის და 1 831 ცხ. ძალის ორთქლის მანქანები. ამათგან 1922-23 წლებში, მათი გაცვეთისა და ტექნიკური მოუწესრიგებლობის გამო მუშაობდა მხოლოდ 10—15%[26]. თბილისია თბოელექტროსადგურებში გამომუშავებულ 1 კგტ საათ ელექტროენერგიაზე საშუალოდ 2-2,5 კილოგრამი ძეირფასი საბობი იხარჯებოდა[27].

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველ ხანებში ქ. თბილისის ელექტროენერგიით მომარაგება კვლავ სავალალო მდგომარეობაში იყო.

ჩვენს დედაქალაქში 1921 წლისათვის, როგორც ქალაქის სტატისტიკური განყოფილების ცნობებიდან ჩანს, ირიცხებოდა სულ 37 ელექტროსადგური, რომელიც არსებობის ხანგრძლიობის მხრივ ასე ნაწილდებოდა:

1-დან 2 წლამდე 2 სადგური[28]
5-დან 10 „ 10 „
10-დან და მეტი 25 „

ამ ცნობებით, ელექტროსადგურების 72,9% 10 წელზე მეტი ხნის არსებობას ითვლიდა. ამასთან მხედველობაში მისაღებია ის გარემოება, რომ ელექტროენერგიაზე მოთხოვნილების მნიშვნელოვანი ზრდის გამო ყველა თბოელექტროსადგური ზომაზე მეტად იყო დატვირთული და ამიტომ მათი ექსპლოატაცია არანორმალურ პირობებში მიმდინარეობდა. თბილისის ელექტროსადგურთა მუშაობის დინამიკა 1916-1920 წწ. ჩანს შემდეგი ცხრილიდან. (ცხრილი 1).

ელექტროსადგურთა მუშაობის ეფექტი თანდათან ეცემა, ხშირი იყო ელექტროსადგურების მუშაობის შეფერხება, უმეტეს შემთხვევებში კი მთლიანად შეჩერება. შეკეთება ხშირ შემთხვევაში შეუძლებელი იყო საჭირო მანქანების უქონლობის გამო.

1921 წელს ელექტროსადგურთა ნაციონალიზაციის შემდეგ თბილისში არსებული ელექტროსადგურები გადაეცა თბილისის საბჭოს აღმასკომს და იმავე წლის აპრილში დაარსდა ელექტრონის სადგურების სამმართველო. სამმარ-

---

[25] Энергетический институт Ан Груз. ССР, схема развития энергосистемы Груз. ССР. გვ. 27. ავრეთვე. ჟურნ. „Экономич. Вестник Закавказья,“ 1927, № 22. გვ. 85.

[26] მარჯანიშვილის ინსტიტუტის საქ. ფილიალის არქივი, ფ. 14, აღ. I, საქმე 609, ფ. 148.

[27] ი. კოდუა, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის ელექტროენერგეტიკული ბაზის განვითარება, თსუ შრომები, ტ. 66, 1957, გვ. 395.

[28] ჟურნ. „ჩვენი აღმშენებლობა“, № 1, 1925, გვ. 63.

თველოს ხელში 17 ელექტროსადგური გადავიდა[29]. ჩაბარებისთანავე ელექტროსადგურების უდიდესი ნაწილის მუშაობა შეჩერებულ იქნა, რადგან მოსალოდნელი იყო კატასტროფა. მუშაობდა მხოლოდ რამდენიმე საიმედო სადგური, ნახევარი წლის განმავლობაში წარმოებდა სადგურების შეკეთება და 1922 წლის 1 იანვრისათვის ქალაქის ელექტროსადგურთა სიმძლავრე 1 320 ცხ. ძალიდან გადიდებულ იქნა 1 707 ცხ. ძალამდე. მაგრამ, მიუხედავად საქართველოს კომპარ-

ცხრილი 1

თბილისის ელექტროსადგურთა მუშაობის დინამიკა 1916—1920 წწ.

წლები[30]	თბოელექტროსადგურ. რიცხვი	გამომუშ. ელენერგ. კვტ საათ.	ელექტროსადგურთა საშუალო თვიური პროდუქცია
1916	24	11.028.667	459.527.7
1917	23	11.507.324	500.318.4
1918	24	10.418.296	434.095 7
1919	25	10.399.818	415.992.7
1920	26	8.731.942	335.943.9

ტიის ცენტრალური კომიტეტისა და მთავრობის ღონისძიებებისა, მდგომარეობა აქ მხრივ მაინც არასახარბიელო იყო; ამიტომაც საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს ჰიდრომშენი კვლავ განაგრძობდა მუშაობას ქ. თბილისათვის მძლავრი ელექტროსადგურის აგების პროექტების შესამუშავებლად. ჰიდრომშენმა დაამუშავა ინჟინერ ოვანეს მელიქ-ფაშაევის მიერ წარმოდგენილი პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის აგებას[31].

საკითხის საბოლოოდ გამოსარკვევად თბილისის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა დანიშნა ამ საქმის სპეციალისტთა განსაკუთრებული კომისია (1922 6/VI).

კომისიამ წარმოდგენილი პროექტების დეტალურად შესწავლის შემდეგ აირჩია სმეს ჰიდრომშენის მიერ შედგენილი ზაჰესის სქემა, რომლის უპირატესობას შეადგენდა: ხელსაყრელი ჰიდროგრაფიული, ტოპოგრაფიული და გეოგრაფიული პირობები, დედაქალაქთან სიახლოვე, მდებარეობა სარკინიგზო მაგისტრალთან ახლოს, რაც, რა თქმა უნდა, აადვილებდა და აიაფებდა გაწყობილობითა და საავმშენებლო მასალით მომარაგებას. კომისიამ საკითხის ეკონომიურად შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ „ტფილისის, როგორც მოსახლეობის კომუნალური მომსახურეობის საქმეში, ისე მრეწველობის საწარმოთა ელექტროენერგიით უზრუნველყოფის ერთადერთი სწორი გზა—ეს არის ჰიდროელექტროსადგურის აგება“[32].

აღნიშნული კომისიის დადგენილება თბილისის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა მოისმინა სხდომაზე 1922 წლის 27 მაისს. უფრო ადრე, სახელდობრ, იმავე წლის 23 მაისს თბილისის საბჭომ მიიღო დადგენილება: „დაწყებულ იქნას ზემოავჭალის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა 12 000

[29] იქვე.

[30] იხ. ჟურნ. „ჩვენი აღმშენებლობა“ 1925, № 1, გვ. 65-66.

[31] О. Мелик—Пашаев, Вопрос Электрификации Тифлиса, Экон. журн. „Жизнь Кавказа,“ 1922, №-2-3.

[32] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქ. ფილიალის არქივი, ფ. 14, აღწ. № 1, საქმე 609, ფ. 147.

ცხ. ძალის სიმძლავრის,—ქალაქ თბილისის ელექტროფიკაციისათვის სმუს ჰიდროშენების პროექტის მიხედვით[33].

1922 წელს რუსეთის საბჭოთა ფედერაციის მთავრობამ ვ. ი. ლენინის განკარგულებით საქართველოს გამოუყო 750 000 ოქროს მანეთი ზემოავჭალის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობისათვის, იმავე 1922 წლის 10 სექტემბერს ვრანდიოზული შაბათობით, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ქ. თბილისსა და საქართველოს სხვა რაიონის 4500-მდე მცხოვრებმა, საფუძველი ჩაეყარა ჩვენი რესპუბლიკის ინდუსტრიის პირმშოს ზემოავჭალის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას.

ვ. ი. ლენინი უდიდეს პირად დაინტერესებას იჩენდა ზაჰესის მშენებლობისადმი. ამის შესახებ მას მიმოწერა ჰქონდა საქართველოს სსრ ხელმძღვანელებთან[34].

სააღმშენებლო სამუშაოების სამმართველოს უფროსად დაინიშნა ინჟინერი ა. ფირალიშვილი, ხოლო 1923 წლიდან ცნობილი ქართველი ინჟინერ-ენერგეტიკოსი ბესარიონ ჯიქიანძე, რომლის უშუალო ხელმძღვანელობით განხორციელდა მთელი მშენებლობა. ზაჰესის ცენტრალური სადგურისა და ზოგიერთ სხვა ელექტრონაგებობათა არქიტექტურული გადაწყვეტა ეკუთვნით არქიტექტორებს: ა. კალგინს, მ. მაჭავარიანს და კ. ლეონტიევს, პროექტების განხილვაში თავის დროზე მონაწილეობდნენ: გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსი ივ. ჯავახიშვილი, პროფ. გ. ჩუბინაშვილი, ხუროთმოძღვარი ნ. სევეროვი.

ჰიდროელექტროსადგურის თავდაპირველ სიმძლავრედ გათვალისწინებული იყო 36 000 ცხ. ძალა, მაგრამ პროექტის შემდგომი დამუშავების შემდეგ იგი აყვანილ იქნა 54 000 ცხ. ძალამდე.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ძირითადი სამუშაოები ზაჰესის სამშენებლო ობიექტებზე გაგრძელდა სამ წელიწადნახევარს, 1923 წლის მაისიდან 1926 წლის 1 სექტემბრამდე. მართალია, ზაჰესის ოფიციალური გახსნა მოეწყო 1927 წლის 25 ივნისს, მაგრამ მისი ექსპლოატაცია უფრო ადრე დაიწყო.

საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებით, ზემოავჭალის ჰიდროელექტროსადგურს ეწოდა ვ. ი. ლენინის სახელი.

ზაჰესის ამუშავებასთან დაკავშირებით გაზ. „კომუნისტი“ 1927 წლის 3 იანვარს წერდა:

„...ხალხი დიდი ხნის ნანატრ ზაჰესის შუქს დიდი სიხარულით შეხვდა. იგი დარწმუნდა, რომ გიგანტური ნაბიჯი აღმშენებლობაში უკვე გადადგმულია—ზაჰესის დამთავრებით... ზაჰესის ამუშავებით დაისვენებს ჩვენი ტყეები, დაიზოგება ნავთი, ქვანახშირი. ზაჰესის ენერგია ამუშავებს ფაბრიკებსა და ქარხნებს, გაანათებს ჩვენს ჩამორჩენილ სოფლებს, გააადვილებს და დაიჩქარებს მიმოსვლას... ზაჰესი ჩვენი აღმშენებლობის ბრწყინვალე მიღწევაა. იგი საყურადღებოა იმ მხრივაც, რომ გვაძლევს საშუალებას დაზოგვისას. იაფი ელექტროენერგია გააიაფებს ჩვენს ნაწარმოებს, გარდა ამისა ძლიერი ელექტროდენის საშუალებით უკეთ იშუშავებენ მანქანები, აიწევს შრომის ნაყოფიერება და გაუმჯობესდება ნაწარმოების ხარისხი, ე. ი. ზაჰესი რაციონალიზაციას ნიშნავს“[35].

---

[33] ЦГАОР СССР, ф. 130, оп. 5, д. 385, Л. 122.

[34] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, ლენინი და ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკა, გაზ. „კომუნისტი“, 1924, № 92.

[35] გაზ. „კომუნისტი“, 1927, 3 ივნისი.

ზაჰესის ამუშავებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის ელექტროენერგეტიკული ბაზის შესაქმნელად: იფი ელექტროენერგიის წყაროს შექმნამ კი ხელი შეუწყო ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის თითქმის ყველა დარგის განვითარებას.

ზაჰესის ელექტროენერგიის მთლიანი პროდუქცია მისი ექსპლოატაციის წლებში შეადგენდა:

1927 წ.	პირველ ნახევარში	6.260.000	კვტსაათს.
1928 წელს	„ „	23.430.000	„
1929 წელს	„ „	35.595.000	„
1930 წელს	„ „	51.155.000	„
1931 წელს	„ „	68.305.000	„
1932 წელს	„ „	81.638.000	„

ე. ი. აღნიშნულ პერიოდში ელექტროენერგიის გამომუშავება 248,6 პროცენტით გადიდდა.

ელექტროენერგიის გამომუშავება შესაბამისად წლების მიხედვით შეადგენდა:

1928-29 წ.	„ 28.351.000	კვტსაათს.
1929-30 წ.	„ 43.782.000	„
1931 წ.	„ 64.291.000	„
1932 წ.	„ 72.315.000	„

ზაჰესში დადგმული ოთხი აგრეგატიდან ჰიდროელექტროსადგურს ნორმალური დატვირთვის დროს უნდა ემუშავა სამს, ერთი გათვალისწინებული იყო სარეზერვოდ.

ზაჰესის ჰიდროელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის თვითღირებულება ხასიათდებოდა შემდეგი მაჩვენებლებით: (იხ. ცხრილი 2).

ცხრილი 2

ზაჰესის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის თვითღირებულება წლების მიხედვით

მაჩვენებლები	1928/29	1929/30	1931 წ.	1932 წ.
სადგურის სალტეებიდან გაშვებული ენერგია	4,16	3,15	1,32	1,27
ქვესადგურის სალტეებიდან გაშვებული ენერგია	5,89	4, 2	2,29	1,45

ზაჰესის ამუშავებით დამთავრდა საქართველოს ელექტროფიკაციის პირველი პერიოდი და დაიწყო ახალი ეტაპი რესპუბლიკის ელექტროენერგეტიკის განვითარების გზაზე, ეტაპი სახალხო მეურნეობის დარგთა ისეთი პროგრესული მიმართულების განვითარებისა, როგორიც არის ელექტრომეტალურგია და ელექტროქიმია[36].

[36] იხ. ნ. ჩაფიძე, ელექტროფიკაციის ლენინური გეგმის განხორციელების ისტორიიდან საქართველოში (1921-1927 წწ.). საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, თბ., 1962, ტ. VI, ნაკვეთი II, გვ. 15-34.

ზაჰესის აგება ამასთანავე დაემთხვა სახალხო მეურნეობის აღდგენითი პერიოდის დასასრულს.

საბჭოთა საქართველოსა და საერთოდ სსრ კავშირის მრეწველობის, მთელი სახალხო მეურნეობის პირველი მსოფლიო ომის წინა დროის აღდგენა, რა თქმა უნდა, არ ნიშნავდა საბჭოთამდელი მრეწველობის განვითარებას. საბჭოთამდელი მრეწველობა კაპიტალისტურ ინდუსტრიულ წარმოებას შეადგენდა, საბჭოთა მრეწველობის ძირითადი ბირთვი კი სოციალისტური ინდუსტრიული წარმოება იყო. ამიტომ საბჭოთა ინდუსტრიული წარმოების აღდგენით პროცესი, განსაკუთრებით ცენზიანი მრეწველობის მიმართ არსებითად სოციალისტური მრეწველობის განვითარებას მოასწავებდა. სოციალისტური მსხვილი ინდუსტრია უფრო ინტენსიურად იზრდებოდა და შესაბამისად მისი განმსაზღვრელი როლი მრეწველობასა და მთელს სახალხო მეურნეობაში ძლიერდებოდა*.

1923-24 წწ. სოციალისტური მრეწველობის წილი საქართველოს მსხვილი მრეწველობის მთლიან პროდუქციაში 86,2%-ს შეადგენდა, ხოლო 1924/25 წწ. იგი 90,5%-ს აღწევდა[37].

ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის აღდგენითი პერიოდი ხასიათდებოდა არა მარტო არსებული ინდუსტრიული საწარმოების აღდგენით, არამედ ხორციელდებოდა, აგრეთვე, ახალი სოციალისტური საწარმოების მშენებლობა. 1923/24 წწ. საქართველოს სსრ ცენზიანი მრეწველობის ძირითად ფონდებს დაახლოებით 239 ათასი ჩერვონული მანეთის კაპიტალდაბანდება (ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემებით) მოხმარდა, 1924/25 წწ. კი აღნიშნული თანხა 120[7] ათას მანეთამდე გაიზარდა. ამასთან, კაპიტალურ მშენებლობის საერთო მოცულობაში იზრდებოდა ინდუსტრიული საწარმოთა რეკონსტრუქციასა და ახალ მშენებლობაზე გამოყენებული სახსრების ხვედრითი წონა. საქართველოს სსრ მსხვილი მრეწველობის ძირითადი ფონდებისათვის გაღებულ კაპიტალდაბანდებაში ეს მაჩვენებელი 1923-24 წწ. 70,2%-ს, ხოლო 1924-25 წელს კი 97,2 პროცენტს შეადგენდა[38].

ძირითადი ინდუსტრიის შემდგომ ინტენსიურ მშენებლობას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის განხორციელებაში.

მთელი სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციულ გარდაქმნაში კი გადამწყვეტი მნიშვნელობა ელექტროენერგეტიკული ბაზის, რაც შეიძლება, დაჩქარებით შექმნაში მდგომარეობდა.

აღსანიშნავია, რომ 1923-24 წწ. საქართველოს სსრ ცენზიანი მრეწველობის ელექტროსადგურებმა 4.8 მლნ ელექტროენერგია გამოიმუშავეს, ხოლო 1924-25 წწ. ეს მაჩვენებელი 7.9 მლნ კვტსაათს აღწევდა, წინა წლის მიძართ იგი 164,6% შეადგენდა, მაგრამ 1913 წელთან შედარებით ორ მეხუთედსაც არ აღემატებოდა.

სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკის თანმიმდევრული გატარების საფუძველზე იქნებოდა ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მთელი რიგი ახალი დარგები, როგორიცაა ნავთობის გადამმუშავებელი მრეწვე-

---

* „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა 1921-1961 წწ.“, თბ., 1961, გვ. 146.

[37] „საქ. სსრ სახალხო მეურნეობა 1921-1961 წწ.“. ე. გუგუშვილის რედაქციით, თბ., 1961, გვ. 146-147.

[38] „საბჭოთა საქართველოს 10 წელი“, გვ. 136-137.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობა, ცემენტის მრეწველობა, ვითარდებოდა ქვანახშირისა და მარგანეცის მრეწველობა, დიდ მნიშვნელობას იძენდა სარკინიგზო ტრანსპორტის დაჩქარებით განვითარება.

ზემოთ აღინიშნა, რომ ძირითად, ყველაზე უფრო მნიშვნელოვან მომენტს, რომელიც რესპუბლიკის მრეწველობის იმდროინდელ მდგომარეობასა და პერსპექტივებს განსაზღვრავდნენ ენერგეტიკული ბაზა წარმოადგენდა.

საქართველოს სსრ მსხვილი ცენზიანი მრეწველობის მაშინდელი მდგომარეობა ენერგიის მომარაგების მხრივ არადამაკმაყოფილებელი იყო. 1927-28 წწ. ასეთი სურათი გვქონდა: ძრავების საერთო სიმძლავრე, რომლებსაც მოქმედებაში მოჰყავდათ საქართველოს სსრ მრეწველური დანიშნულების დაზგები და

ცხრილი 3

წარმოების საშუალებათა წარმოების ზრდის დინამიკა და მუშათა რიცხვი[39]

	მრეწველურ საწარმოთა რიცხვი			მუშათა საშუალო წლ. რიცხვი			პროდუქცია ათას ჩერვონულ მან.			პროდუქციის %% წინა წელთან შედ.	
	1925-1926	1926-1927	1927-1928	1925-1926	1926-1927	1927-1928	1925-1926	1926-1927	1927-1928	1926-1927	1927-1928
1. ჯგუფი											
წარმოების საშუალებათა წარმოება	142	153	132	8055	8757	9385	23.174.3	24.513	27.330.9	105.8	1115
მათ შორის											
1. სათბობი	1	1	1	825	1014	1323	765,6	963,8	125.9	125.9	96.0
2. ელექტროენერგია	7	50	39	582	509	409	4163.9	4546,4	109.2	109.2	100.8

(კვტსაათობით) ცხრილი 4

ელექტროენერგიის გამომუშავება იმავე წლებში შემდეგი მონაცემებით ხასიათდებოდა

წლები	1925-26	1926-27	1927-28	1926-1927 შეს. %	1927-28 წწ. შესრ. %%
	16.078.059	20.35 .931	29.948.364	126,5	147,1

ცხრილი 5

საქართველოს სსრ ელექტრომრეწველობაში მუშათა რიცხვის ზრდის დინამიკას აღნიშნულ და შემდეგ წლებში გვიჩვენებს შემდეგი ცხრილი

წლები			%%-ებით			მთელი პროდუქცია ათას ჩერვონულ მან.		
1927 1928	1928 1929	1929 1930	1927 1928	1928 1929	1929 1930	1926 1927	1927 1928	1928 1929
569	454	409	72,7	90,1		2858	2828	4290

[39] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქ. ფილიალის არქივი, ფ. 14, აღწ. I, საქმე 2825, ფურც. 146.

სჭვა მექანიზმები, შეადგენდა 6.200 კვტ, აქედან მექანიკური ძრავებზე და შინაგანი წვის ძრავებზე მოდიოდა 2.920 კვტ, ე. ი. მთელი სიმძლავრის 46,7%, ელექტროძრავებზე კი 3.340 კვტ—53,3%.

ინდუსტრიალიზაციის წლებში, როგორც ზემოთ აღინიშნა, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სახალხო მეურნეობის პროგრესული დარგების, კერძოდ, წარმოების საშუალებათა წარმოების უპირატეს განვითარებას. ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის წარმოების საშუალებათა წარმოების ზრდის დინამიკა ჩანს შემდეგი ცხრილიდან (იხ. ცხრილი 3).

ელექტროენერგიის გამომუშავება იმავე წლებში შემდეგი მონაცემებით ხასიათდებოდა[40]. (იხ. ცხრილი 4).

საქართველოს სსრ ელექტრომრეწველობის მუშათა რიცხვის ზრდის დინამიკას აღნიშნულ და შემდეგ წლებში გვიჩვენებს შემდეგი ცხრილი[41]. (იხ. ცხრილი 5).

როგორც აღინიშნა, მრეწველობის მიერ ენერგიის მოხმარება იმ პერიოდში ყოფილა 8.750 კვტსაათს, აქედან მექანიკური ენერგია—4.030 ათას კვტსაათს, და ელექტროენერგია 4.720 ათას კვტსაათს, ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ენერგიის 7.180 ათასი კვტ საათი, ე. ი. 81%-ს საკუთარი წარმოება იძლეოდა, ხოლო 1.570 ათას კვტ საათს ანუ 17,9%-ს კი გარედან ღებულობდნენ[42].

ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობის მიერ ენერგიის ესოდენ მცირე მოხმარების პირობებში, მექანიკური ენერგიის გამოყენების ასეთი დიდი პროცენტი, ერთი მხრივ და მეორე მხრივ, გარეშე ენერგიის უმნიშვნელო რაოდენობით მოხმარება ნათლად გამოხატავდა ენერგეტიკულ ჩამორჩენილობას.

მრეწველურ საწარმოებში დეცენტრალიზაციაქმნილ დანადგართა არსებობა ძველთაგან გადმოცემულ მემკვიდრეობას წარმოადგენდა და იმ ძირითად ხაზს წუნაადმდეგებოდა, რომელიც გულისხმობდა ენერგოწარმოების მაქსიმალურ ცენტრალიზაციას მძლავრ რაიონულ ცენტრალებში და ამავე რაიონული ცენტრალებიდან მრეწველობისათვის ენერგიის მიწოდებას.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ჯერ კიდევ 1927-28 წწ. მნიშვნელოვანი რაოდენობის საწარმოთა ზაჰესის ენერგიაზე გადასვლით, საქართველოს სსრ მრეწველობის ენერგომომარაგება საგრძნობლად გაუმჯობესდა. მექანიკურ და ელექტროძრავების საერთო სიმძლავრე შეადგენდა 7.730 კვტს, აქედან მექანიკურ ძრავებზე მოდიოდა მხოლოდ 2.820 კვტ. ე. ი. 36,4%, ელექტროძრავებზე კი 4.910 კვტ ე. ი. 63,6%; ხმარებული ელექტროენერგია მთელი ენერგიის, 61,3%-ს შეადგენდა, წინააღმდეგ 56,4%, 1927-28 წწ. ამასთან ხმარებულ ელექტროენერგიაში მნიშვნელოვნად გაიზარდა გარეშე ენერგიის წილი,— 15,9%-დან 1927-28 წწ.—მოხმარებული ენერგიის მიმართ, 1928-29 წწ. კი 36,6% მიაღწია.

1928-29 წწ. რაიონულ ჰიდროცენტრალების (ზაჰესის) სიმძლავრე საერთო სარგებლობის ელექტროსადგურთა და შინამრეწველობის საგენერატორო დანადგართა სიმძლავრესთან შედარებით 62.2%-ს შეადგენდა.

თუ ავიღებთ საერთო სარგებლობის ელექტროსადგურთა მთელ სიმძლავრეს, ყველა სადგურის (შინამრეწველობის, საგენერატორო დანადგართა ჩათ-

[40] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქ. ფილიალის არქივი, ფ. 14, აღწ. I, საქმე, 2825, 9.

[41] იქვე, საქმე, 3248, ფ. 30.

[42] იხ. ჟურნალი „საქართველოს ეკონომისტი“ 1929, № 9, გვ. 2.

ელით) საერთო სიმძლავრესთან შედარებით, ეს კოეფიციენტი 90.2%-მდე გაიზრდება[43].

საქართველოს სსრ ენერგომეურნეობის ცენტრალიზაციის ამ კოეფიციენტის შედარებითი შეფასებისათვის ქვემოთ მოყვანილია სათანადო ცნობები სსრკ და მთავარი კაპიტალისტური ქვეყნების ელექტრომეურნეობის შესახებ.

აქ საყურადღებოა არა იმდენად ენერგომეურნეობის ცენტრალიზაციის შედარებით მაღალი დონე, რამდენადაც ის, რომ ყველა ელექტროსადგურისა და სადენერატორო დანადგარის საერთო სიმძლავრიდან ჰიდროდანადგარებზე მოდიოდა 72%-ზე მეტი, იმ დროს, როცა 1925-26 წწ. ეს კოეფიციენტი 3-5%-ს შეადგენდა[44].

ჰიდროელექტროდანადგართა ასეთი მაღალი კოეფიციენტის წყალობით, სათბობის ხარჯვის წლიური ეკონომია შეადგენდა პირობით 7.000 კალ., სათბობის ანაანგარიშებ 80 ათას ტონას. ეს უდრიდა 1930 წ. მთელ სახალხო მეურნეობაში დახარჯული სათბობის თითქმის 10%-ს[45].

	საქ. სსრ	სსრკ	ა. შ. ა.	გერმანია	ინგლისი
საერთო სარგებლობის სადგურები	90.2	49.6	75.2	56.8	62.2
მრეწველური დანიშნულების სადგურები	9.8	50.4	24.8	43.2	33.7
	100.0	100.0	100.0	100.0	100.0

საქართველოს სსრ მრეწველობის განვითარების ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული იყო მთელი მრეწველობის რეკონსტრუქცია იაფი ელექტროენერგეტიკული ბაზის საფუძველზე. უფრო მეტიც, ელექტროენერგეტიკული ბაზა იმ ძირითად ეკონომიკურ ფაქტორად უნდა გადაქცეულიყო, რომელიც მომავალში განსაზღვრავდა და წარმართავდა სახალხო მეურნეობის მთელი რიგი ახალი დარგების წარმოქმნასა და განვითარებას[46].

მრეწველობაში ენერგიის გამოყენების ზრდა მიმდინარეობდა განსაკუთრებით ელექტროენერგიის ინტენსიური ზრდის ხარჯზე, მექანიკური ენერგიის ჯვედრითი წილი მოხმარებული ენერგიის მიმართ 34%-დან 96%-მდე იზრდებოდა. ამასთან მნიშვნელოვნად დიდდებოდა გარეშე ენერგიის მოხმარება—1927-28 წწ. გარედან მიღებული ენერგია წარმოების მიერ მოხმარებული ენერგიის მიმართ 17,9%-ს შეადგენდა, ხუთწლედის ბოლოსათვის კი იგი 93.2%-ს აღწევდა.

---

43 ა. გველესიანი, საქ. სსრ სათბობი ბალანსი, ჟურნ. „საქართველოს ეკონომისტი", 1931, № 4, გვ. 4-6.

44 იქვე.

45 იქვე.

46 საქართველოს სსრ-ის ელექტროფიკაციის ხუთწლიანი გეგმის შესახებ იხ. „საქ. სსრ 1928-1929-32-33 წწ. ხუთწლიანი გეგმის ძირითადი ელემენტები, „საქ. სსრ საგეგმო კომისია", თბ., 1929, „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მრეწველობის 1928-29-32-33 წწ. ხუთწლიანი გეგმა", თბ., 1929.

ამრიგად, ძირითადი საკითხი მრეწველობის ელექტროენერგიაზე გადაყვანის შესახებ პირველი ხუთწლედის ბოლოს თითქმის სავსებით ხორციელდებოდა.

მრეწველობის მიერ ენერგომომარაგების პროექტით გათვალისწინებული გადიდება იმ ცვლილებებიდან გამომდინარეობდა, რომელიც მექანიკური და სხვა მექანიზმების მოძრაობაში მოსაყვანად იყო საჭირო. ძრავების მწარმოებლურობის ცვლილებებთან და მრეწველობის მექანიკური და ელექტროენერგიით საერთო უზრუნველყოფასთან დაკავშირებით განსაკუთრებით მრეწველობის მუშათა ენერგოალჭურვილობა იზრდებოდა.

საქართველოს სსრ ფაბრიკულ-ქარხნული მრეწველობის შრომის ენერგოალჭურვილობა ნათლად ჩანს ქვემოთ მოყვანილ ცხრილში. (იხ. ცხრილი 6).

ცხრილი 6

წლები	ამბოძრავ. მოტორების სიმძლავრე			თითოეული მუშის (ქვტსაათი) ენერგოალჭურვილობა		
	მექან.	ელექტ.	სულ	მექან.	ელექტ.	სულ
1927—1929 წწ.	0.23	0.26	0.49	314	368	683
1932—1933 წწ.	0.06	0.96	0.96	110	2720	2830

მოტანილი მონაცემები მოწმობენ შრომის ენერგოალჭურვილობის ზრდას მრეწველობაში (ფერომარგანეცისა და აზოტის მრეწველობის გარდა:) 683 კვტსაათიდან 1927-28 წწ. 2.830 კვტსაათამდე 1932-33 წწ., ე. ი. ზრდა გამოიხატება 315%-ით.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმით მრეწველური პროდუქციის გამომუშავება იზრდებოდა 5-ჯერ. მრეწველობის მიერ კი ენერგიის მოხმარება გაიზრდებოდა ყოველ 1000 მან პროდუქციაზე 17ჯ კვტსაათიდან 481 კვტსაათამდე, ე. ი. 70%-ით[47].

როგორც ზემოთ აღინიშნა, ხუთწლედის დასაწყისში ფაბრიკულ-ქარხნული პირველადი ძრავების რიცხვი 30-ს აღწევდა, მათი სიმძლავრე კი 2.550 კვტ უდრიდა, აქედან ორთქლის შინაგანი წვის ძრავების სიმძლავრე 980 კვტ და ჰიდროელექტრული—160 კვტ. ხუთწლედის ბოლოსათვის ნავარაუდევი იყო დანადგართა რიცხვის შემცირება, ხოლო სიმძლავრის ზრდა 4.990 კვტ-მდე, ასევე გათვალისწინებული იყო ორთქლის ძრავების სიმძლავრის გადიდებისას შინაგანი წვის ძრავათა სიმძლავრის შემცირება[48].

ხუთწლედის ბოლოსათვის ფაბრიკულ-ქარხნულ ელექტროგენერატორულ დანადგართა სიმძლავრე გაიზრდებოდა 1927-28 წწ. 2.350 კვტ-დან 4720 კვტ-მდე 1932-33 წელს.

ყველაზე მეტად მუშათა ენერგოალჭურვილობა იზრდებოდა მრეწველობის ჯგუფის საწარმოებში.

საბჭოთა კავშირის მრეწველობის მუშათა ენერგოალჭურვილობა ხუთწლიანი გეგმის მიხედვით წინ უსწრებდა ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობის მუშათა ენერგოალჭურვილობას. 1927-28 წწ. თითოეული მუშის მექანიკური ენერ-

[47] „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის 1928-29-32-33 წწ. ხუთწლიანი გეგმის ძირითადი ელემენტები", თბ., 1929, გვ. 84-89.

[48] იქვე.

გოაღჭურვილობა შეადგენდა 3.200 კვტ საათს, ხუთწლედის დასასრულისათვის იქნებოდა 6000 კვტსაათი.

უდიდესი გარდატეხა ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ენერგოაღჭურვაში გათვალისწინებული იყო 1932-33 წლებისათვის, როდესაც ამუშავდებოდა 72 ათასი კვტ. საერთო სიმძლავრის რაიონული ჰიდროცენტრალები (რიონჰესის ამუშავება, ზაჰესის გაფართოება სრულ სიმძლავრემდე), რაც ორჯერ მეტად დაფარავდა იმჟამად არსებული საერთო სარგებლობის ელექტროსადგურებისა და შინამრეწველობის ელექტროდანადგართა სიმძლავრეს. ეს კოლოსალური გარდატეხა კი გავლენას მოახდენდა 1932 წლის სათბობის ბალანსზე და თეთრი ნახშირის გამოყენების ხარჯზე. სათბობის საერთო ეკონომია, გაიზრდებოდა 70.000 კალ. სათბობის 280 ტონამდე[49].

სახალხო მეურნეობის ტექნიკური შეიარაღებულობის ასეთ ტემპს არ იცნობდა არც ერთი ქვეყანა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ეს მაინც არ იყო საკმარისი; 1927 წლიდან, ე. ი. ზაჰესის ამუშავებიდან ენერგეტიკული ბაზის განვითარების ტემპი როგორც ჩვენს რესპუბლიკაში, ისე მთელ სსრკ-ში ჩამორჩებოდა წარმოების მოცულობის ზრდის ტემპს. ამ თვალსაზრისით საინტერესო ცნობებია მოყვანილი ჟურნ. „საქართველოს ეკონომისტის“ 1931 წ. № 6-ში. იქ ერთმანეთთან შედარებულია საქართველოს სსრ და მთელი საბჭოთა კავშირის მაჩვენებლები, რომელნიც ახასიათებდნენ წარმოების საერთო მოცულობისა და მრეწველობაში ენერგიის მოხმარების ცვლილებებს, მომხდარს ბოლო წლებში. (იხ. ცხრილი 7)[50].

ცხრილი 7

სსრკ და საქ. სსრ წარმოების მოცულობისა და მრეწველობაში ენერგიის მოხმარების ცვლილებები წლების მიხედვით

მაჩვენებლები	საქართველოს სსრ			სსრკ		
	26—27 წწ.	27—28	28—29	26—27 წწ.	27—28	28—29
მრეწველობის საერთო პროდუქცია 26—27 წწ. ფასებით	58	74	113	11.361	14.066	17.473
% % წინა წლის მიმართ	—	127.6	152.7	—	123.8	124.2
მრეწველობის ძრავიანურ და ელექტროენერგიის მოხმარება მლნ კვტ.	9	11	13	5.708	6.391	7.141
% % წინა წელთან	—	121.3	118.1	—	117.0	117.0
მათ შორის						
ელექტროენერგია მლნ კვტსაათი	3	4	7	2.680	3.194	3.856
% % წინა წლის მიმართ	—	133.3	175.0	—	118.5	121.0
ელექტროენერგიის ხვედრითი წილი ენერგიის საერთო მოხმარებაში	33.3	36.4	53.8	47.0	50.0	53.9

აშკარაა—ჩვენი რესპუბლიკის ენერგეტიკული ბაზის განვითარების ჩამორჩენა მდგომარეობდა იმაში, რომ ელექტროენერგიის მოხმარება, როგორც საერთო მოცულობის, ისე მოხმარების ენერგიაში მისი ხვედრითი წონის მიუხედავად,—მრეწველობაში მთელი გამოყენებული მექანიკური და ელექტროენერგიის ზრდის ტემპი ჩამორჩებოდა საერთო პროდუქციის ზრდის ტემპს და 1928-29 წწ. კიდეც კლებულობდა 1927-28 წწ. შედარებით.

[49] იხ. ა. გ გ ე ლ ე ს ი ა ნ ი, საქ. სსრ სათბობი ბალანსი, ჟურნ. „საქართველოს ეკონომისტი“, 1931, №6, გვ. 10.

[50] იქვე.

სათბობი მასალის დეფიციტი საბჭოთა კავშირში, მათ შორის ჩვენს რესპუბლიკაში, ენერგეტიკის საკითხს ერთ-ერთ მტკივნეულ საკითხად ხდიდა. ჟურნალ „საქართველოს ეკონომისტი“-ს 1930 წ. №8-9-ში მოყვანილია, საინტერესო ცნობები ელექტრომეურნეობის ჩამორჩენილობის შესახებ სახალხო მეურნეობის სხვა დარგებთან შედარებით. საბჭოთა კავშირის მასშტაბით ელექტრომშენებლობაზე კაპიტალურ დაბანდებათა ხვედრითი წონა საერთო კაპიტალდაბანდებაში თანდათან მცირდებოდა. თუ 1925-26 წლებში ელექტროფიკაციის კაპიტალური დაბანდებანი საერთო დაბანდებათა ჯამში 32,7% შეადგენდა 1929-30 წელს—14,1% ყოფილა[51]. მრეწველობის პროდუქციის მატება წინ უსწრებდა ელექტროენერგიის ზრდას. ზაჰესის მშენებლობის დროს ლაპარაკი იყო იმის შესახებ, რომ შენდება სადგური, რომელსაც არ ექნება სათანადო დატვირთვა, გაისმოდა ხმები, თითქოს ასეთი მძლავრი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა არ შეეფერებოდა ჩვენი სახალხო მეურნეობის, კერძოდ კი ჩვენი მრეწველობის მდგომარეობას.

საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარების ტემპი სავსებით საწინააღმდეგო სურათს გვიჩვენებდა. ჩვენს რესპუბლიკაში პირველ ხუთწლედის წლებში დაწყებული იყო მძლავრი მრეწველური მშენებლობა (ზესტაფონის ფეროშენადნობის ქარხნის, სურამის უღელტეხილის სარკინიგზო ხაზის ელექტრიფიკაცია, კასპის ცემენტის ქარხანა და სხვა), რომელთა დამთავრებაც წამოაყენებდა ელექტროენერგიის მოთხოვნილებას, რასაც არამცთუ ზაჰესის, არამედ გაფართოებული ზაჰესის და რიონჰესის გაერთიანებული სისტემაც ვერ დააკმაყოფილებდა.

იმ პერიოდში თუ თავის დროზე არ იქნებოდა მიღებული ადგილობრივი და საკავშირო ორგანოების მიერ ენერგიული ზომები ელექტროსადგურების მშენებლობის გასაძლიერებლად, ენერგეტიკული ფაქტორი მრეწველობის განვითარების სერიოზულ მუხრუჭად გადაიქცეოდა. როგორც აღინიშნა, ასეთი მდგომარეობა შეიძლებოდა შექმნილიყო არა უგვიანეს 1932-33 წლებში. 1932-33 წლებში საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიერ ელექტროენერგიის მოხმარება (სადგურის სალტეებზე) შეადგენდა 1000,0 მლნ კვტსაათს, მაშინ როდესაც ზაჰეს-რიონჰეს-ახბესის ჰიდროელექტროსადგურებს შეეძლოთ გამომუშავებინათ საშუალოდ არა უმეტეს 480 მლნ კვტსაათი, ამიტომაც უკვე მეორე ხუთწლედის დასაწყისში ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში მწვავედ ისმებოდა ელექტროენერგიის დეფიციტის საკითხი. საჭირო იყო ახალი ჰიდროცენტრალების აგება, რომელიც საფასებით უზრუნველყოფდა ელექტროენერგიით საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის სულ უფრო და უფრო მზარდ მოთხოვნილებას. 1930-31 წწ. ელექტრომშენებლობაზე გამოყოფილი იყო 44,5 მლნ მანეთი, აქედან რაიონულ ცენტრალურ მშენებლობებზე დაიხარჯებოდა 37,1 მლნ მანეთი. როგორც ხუთწლედის წინა წლებში, ისე 1930-31 წწ. ელექტროფიკაციის საყრმშენებლო პროგრამას, სახალხო მეურნეობის სხვა დარგებთან შედარებით განსაკუთრებით დიდი სახალხომეურნეობრივი მნიშვნელობა ენიჭებოდა.

საქართველოს კომუნისტური პარტია მრეწველობისა და მთელი სახალხო მეურნეობის ელექტროფიკაციის განვითარებას სკკპ ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით წარმართავდა. ჯერ კიდევ სახალხო მეურნეობის აღდგენით

[51] ჟურნ. „საქართველოს ეკონომისტი“, 1930, № 8-9, გვ. 45.

პერიოდის დამლევს საქართველოს კპ(ბ) IV ყრილობამ განიხილა ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობის განვითარების საკითხები და განსაკუთრებით ყურადღება გაამახვილა ახალი ინდუსტრიული მშენებლობის საკითხებზე. ამასთან ხაზი გაესვა მშენებლობის გაიაფებას, მასალებისა და ნედლეულის ეკონომიური ხარჯვის, შრომის მწარმოებლურობის ამაღლების საკითხებს. სკკპ XV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად საქართველოს კომპარტიის თებერვლის პლენუმმა (1928 წ.) განიხილა და მიიღო საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის I ხუთწლიანი გეგმის დირექტივები.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის ელექტროფიკაციის დაჩქარებით განვითარების აუცილებლობაზე გაამახვილა ყურადღება და მიუთითა მუშათა ელექტროკოოპერაციის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე საქართველოს კომპარტიის VI ყრილობამ, რომელიც 1929 წლის ივლისში გაიმართა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1931 წლის 31 ოქტომბრის დადგენილებაში აღნიშნულია ჩვენი რესპუბლიკის ინდუსტრიული განვითარების ნაკლოვანებანი. ხაზგასმულია ამ ნაკლოვანებათა გამოსწორების ღონისძიებანი და ტექნიკური რეკონსტრუქციის გაძლიერების განსაკუთრებული მნიშვნელობა. კერძოდ, სახალხო მეურნეობის ელექტროფიკაციის შესახებ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს „ჰიდროელექტრომშენებლობის“ ფართოდ განვითარებას. ზემოაღნიშნული სახელმძღვანელო დოკუმენტების საფუძველზე საქართველოს კომპარტიის VIII ყრილობამ ელექტროფიკაციის შესახებ თავის რეზოლუციაში ჩაწერა:

„ენერგობალანსის დაჭიმული მდგომარეობის გამო, განსაკუთრებით იმის გამო, რომ... უნდა ამუშავდეს ფერო-მარგანეცის ქარხანა და დამთავრდეს უელტახილის ელექტროფიკაცია. უზრუნველყოფილ იქნას რიონის ჰიდროელექტროსადგურის, ზაჰესის მეორე რიგის და ალაზანჰესის თავის დროზე ამუშავება... ახალ მსხვილ მომხმარებელთა ელექტროენერგიით დაკმაყოფილების მიზნით დაჩქარებულ იქნას აჭარის წყლის ჰიდროსადგურის მშენებლობა... დაჩქარდეს ბგრეთვე ტყვარჩელის თბოსადგურის მშენებლობა“[52].

ამასთან ერთად ყრილობამ დასახა ხრამჰესის, როგორც საქართველოს ჰიდროსადგურების ჯგუფის ერთ-ერთი მარეგულირებელი ჰიდროელექტროსადგურის, მშენებლობა, ბგრეთვე სამგორის ჰიდროელექტროსადგურის მოსამზადებელი სამუშაოების წარმოება.

ელექტროსადგურების მშენებლობა ჩვენს რესპუბლიკაში უმთავრესად ჰიდროელექტროსადგურების მიმართულებით ხორციელდებოდა.

საქართველოს სსრ ელექტროსადგურების მშენებლობის ქრონიკა ომამდელი ხუთწლედების მანძილზე წარმოგვიდგებოდა შემდეგი სახით: როგორც ცნობილია, 1927 წელს ამუშავდა ზაჰესის პირველი აგრეგატი (128 ათასი კვტ) და დაიწყო რიონჰესის მშენებლობა. იმავე წლებში დაიწყო აჭარისწყლის ჰიდროელექტროსადგურის, აბჰესისა და ზოგიერთი სხვა სოფლის მცირეძალიანი ელექტროსადგურების მშენებლობა. 1930 წელს შეუდგნენ ზაჰესის გასაფართოებელ სამუშაოებს და მეორე ხუთწლედის ბოლოს იგი, მთელი პროექტული სიმძლავრით ამუშავდა. 1933 წლის სექტემბერ-ოქტომბერში მწყობრში ჩადგა რიონჰესის პირველი ორი აგრეგატი, ხოლო ორი უკანასკნელი აგრეგატი 1934 წელს ამუშავდა. აჭარის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა დაკონ-

[52] საქართველოს კომპარტიის (ბ) VIII ყრილობის სტენოგრაფიული ანგარიში, გვ. 216.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სეროვებულ იქნა 1926 წელს და იგი განახლდა 1931 წელს, 1937 წელს ამუშავდა აწჰესის პირველი რიგი; 1938 წელს ამუშავდა ზაჰესის უკანასკნელი აგრეგატი და ტყვარჩელის სახელმწიფო რაიონული თბოელექტროსადგურის პირველი აგრეგატი 24 ათასი კვტ სიმძლავრისა, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ჩვენი რესპუბლიკის ჰიდროენერგეტიკული მრეწველობის პროდუქციის რყევადობის რეგულირებისათვის. 1939 წელს ამუშავდა აწჰესის მეორე აგრეგატი და თბილისის თბოელექტროცენტრალის პირველი რიგი, 1940 წელს საექსპლოატაციოდ გადაეცა ამავე თბოელექტროსადგურის მეორე რიგი (საერთო სიმძლავრე 8 ათასი კვტ).

ჰიდრო და თბოელექტროსადგურებთან ერთად მიმდინარეობდა ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობა. აშენდა ზაჰეს-რიონჰესის შემაერთებელი 110 ვოლტის ძაბვისა და 192 კილომეტრის ელექტროგადამცემი ხაზი. მიმდინარეობდა აწჰეს-ბათუმ-სამტრედიის (136 კმ), ტყვარჩელ-სამტრედიის (149 კმ), ზაჰეს-ნავთლუღ-ალსტაფის ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობა.

1928 წელს ამუშავდა აბაშის ჰიდროელექტროსადგური (1,12 ათასი კვტ), თანდათან განვითარდა სოფლის მცირეძალოვანი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა. 1927-28 და 1934 წლების მონაცემებით სოფლის ელექტროსადგურების სიმძლავრე ხუთჯერ გაიზარდა.

მსხვილ ჰიდრო და თბოსადგურებისა და მაღალვოლტიანი ქსელის პარალელურად იქმნებოდა ტრანსფორმატორული ქვესადგურები, რომელთა მეშვეობითაც მძლავრი ელექტროსადგურები გაერთიანდნენ ცენტრალიზებული ელექტრო მომარაგების ერთიან რკალში („საქენერგო“). ამის შესაბამისად პარალელურ მუშაობაზე იყო გადაყვანილი „საქენერგოს“ სისტემის მსხვილი ელექტროსადგურები. „საქენერგოს“ საერთო, ენერგიის გასვლის წესით მუშაობდნენ აგრეთვე მრეწველურ საწარმოთა მსხვილი ელსადგურები; მათ შორის აღსანიშნავია ტყვარჩელის ქვანახშირის ტრესტისა და ჭიათურის მარგანტრესტის თბოელექტროსადგურები; მნიშვნელოვანი სიმძლავრით ხასიათდებოდა, აგრეთვე, ბათუმის ნავთობის გადამამუშავებელი ქარხნის თბოელექტროცენტრალი, რომელიც საქენერგოს სისტემისაგან დამოუკიდებლად მუშაობდა.

მსხვილი რაიონული და მრეწველური ელექტროსადგურების მშენებლობისა და ერთიან ენერგოსისტემაში გაერთიანების პარალელურად მიმდინარეობდა ჰიდრო და თბოელექტროსადგურების ფართო მშენებლობა, განსაკუთრებით იმ რაიონებში, რომლებიც „საქენერგოს“ სისტემის მოქმედების სფეროს გარეშე იმყოფებოდნენ[53].

ელექტროსადგურებისა და გადამცემი ხაზების ასეთი ინტენსიური მშენებლობის შედეგად მკვეთრად იზრდებოდა ელექტროენერგეტიკული მრეწველობის ძირითადი წარმოებრივი საშუალებანი. 1937 წელს საქართველოს სსრ ელექტროსადგურების და გადამცემი ხაზების ძირითად წარმოებრივ ფონდთა ღირებულება თითქმის 10-ჯერ აღემატებოდა 1927-28 წწ. და 5-ჯერ სჭარბობდა 1932 წლის შესაბამის მაჩვენებელს.

1940 წელს „საქენერგოს“ სისტემაში გაერთიანებული იყო ყველა ელსადგურების სიმძლავრეთა 67 პროცენტი, რომლის გამომუშავება უდრიდა მთელი გამომუშავებელი ელენერგიის 88 პროცენტს. აღსანიშნავია, რომ ჰიდროელექ-

---

53 საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, ტ. II, 1947, გვ. 195-196.

ტროსადგურების ხვედრითი წონა ელექტროენერგიის საერთო გამომუშავებაში 75,9 პროცენტს შეადგენდა[54].

ელექტროენერგეტიკული ხაზის განვითარებასთან ერთად ეკუთხრელად იზრდებოდა ელექტროენერგიის წარმოება. ელექტროენერგიის წარმოების ზრდა ხასიათდებოდა შემდეგი მონაცემებით. (იხ. ცხრილი 8).

ცხრილი 8

ელექტროენერგიის გამომუშავების ზრდა წლების მიხედვით

	1913	1927—1928	1933	1937	1940
1. ყველა სადგურის სიმძლავრე (ათას კვტ).	8.0	26,3	59,9	128.5	182,8
2. ყველა სადგურის გამომუშავება (მლნ კვტ საათი)	20.0	39,8	159.7	504.0	740.5
3. რაიონული სადგურების სიმძლავრე (ათას კვტ)	—	12,8	37.0	84.0	124.8
4. რაიონული სადგურების გამომუშავება (მლნ კვტს)	—	20,4	106,6	410,0	638,5
5. ელექტროსადგურების ცენტრალიზაციის კოეფიციენტი					
ა) სიმძლავრის მიხედვით	—	48,7	61.7	65.4	67,7
ბ) გამოშუშავების მიხედვით	—	51,3	66.7	81,2	86,2

ელექტროენერგიის წარმოების უპირატესი ზრდა დადგმულ სიმძლავრესთან შედარებით აიხსნებოდა ერთიანი ენერგეტიკული სისტემის უპირატესობით. მაშინ, როცა 1931 წელს 1 კილოვატ დადგმულ სიმძლავრეზე მოდიოდა ელექტროენერგიის დაახლოებით 2000 კვტსაათი გამომუშავება, 1940 წელს მან შეადგინა 4100 კვტსაათი.

1940 წელს საქართველოს ელექტროსადგურების სიმძლავრე 22.8-ჯერ აღემატებოდა 1913 წლის სათანადო მაჩვენებელს და 7-ჯერ მეტი იყო 1927-28 წწ. არსებული ელექტროსადგურთა სიმძლავრესთან შედარებით, ამასთან 1927-28-40 წლებში რაიონული ელექტროსადგურების საერთო სიმძლავრე დაახლოებით ათჯერ გაიზარდა.

ზემოთ აღინიშნა, რომ ვ. ი. ლენინმა 1921 წ. 14 აპრილს ისტორიულ წერილში ა/კავკასიისა და საქართველოს კომუნისტების ყურადღება გაამახვილა ჰიდროენერგორესურსების რაც შეიძლება ფართო და ეფექტური გამოყენების აუცილებლობის შესახებ. ლენინის ეს მითითება,—გულისხმობდა არა მარტო ჰიდროენერგორესურსების მაქსიმალურ გამოყენებას, არამედ იაფი ჰიდროენერგიის საფუძველზე მხარის მთელი მძიმე ინდუსტრიის შექმნასა და განვითარებას[55].

ვ. ი. ლენინის მითითება კავკასიის და, კერძოდ, საქართველოს ელექტროფიკაციის შესახებ განხორციელდა არა მარტო ელექტროენერგიის დარგში, არამედ სახალხო მეურნეობის ენერგოტევად დარგთა განვითარების თვალსაზრისითაც. თუ პირველი ხუთწლედის დამდეგს მთელი გამომუშავებული ელექტროენერგიის 4/5 მოხმარდა განათებას, 1940 წელს საქართველოს რაიონული ელექტროსადგურებიდან გაშვებული მთელი ელექტროენერგიის 60.8 პროცენტი ჯოხმარდა მრეწველობას და მშენებლობას. ელექტროენერგიის მსხვილ მოხმარებელთა შორის პირველ რიგში დასახელებულ უნდა იქნეს ზესტაფონის

[54] ი. კოდუა, საბჭოთა საქართველო მოწინავე ინდუსტრიული რესპუბლიკა, თბ., 1961, გვ. 179.

[55] ვ. გუგუშვილი, ლენინი ამიერკავკასიის რესპუბლიკების ეკონომიკური განვითარების შესახებ, ჟურნ. „ბოლშევიკი", 1944, № 11, გვ. 12.

ფერომშენდნობთა ქარხანა, რომლის წარმოქმნის წინამძღვარი სწორედ იაფი ჰიდროელექტროენერგია იყო[56].

სსრ კავშირის რკინიგზების ელექტროფიკაციის სამუშაოთა დაჩქარების საქმეში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაციას, რომელიც 1928-1932 წლებში განხორციელდა. 1932 წლის 16 აგვისტოს სსრ კავშირში პირველად ხაშურ-ზესტაფონის უბანი გადავიდა ელექტროწევაზე, 1936 წ. ელექტროწევაზე გადავიდა თბილისი-ხაშურის უბანი, ზესტაფონ-სამტრედიის უბანი, 1940 წელს ხაშურ-ბორჯომის შტო.

ელექტროენერგიის მოხმარება ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობაში 1940 წელს 1930 წელთან შედარებით გადიდდა 2.2-ჯერ, რკინიგზის ტრანსპორტზე—1.4-ჯერ.

ომამდელი ხუთწლედების მანძილზე ელექტროენერგიაზე მოთხოვნილების ზრდა წინ უსწრებდა ელექტროენერგიის წარმოებას, რაც მძლავრ სტიმულად იქცა ფართო ელექტრომშენებლობისათვის ჩვენს რესპუბლიკაში.

საქართველოს ელექტროსადგურებისა და გადამცემი ხაზების მშენებლობის პროგრამის განხორციელება დაკავშირებული იყო დიდ კაპიტალდაბანდებებთან, რაც ომამდელი ხუთწლედების მიხედვით, წარმოდგენილია შემდეგ ციფრებში: (ლიმიტგარეშე დაბანდებისა და კაპიტალური რემონტის ჩათვლით—ფაქტიური ღირებულება მილიონ მანეთობით).

აღდგენითი პერიოდი—29,8, პირველი ხუთწლედი 69,8, მეორე ხუთწლედი 229,9, 1938-1940 წლები—123,5 სულ 1921-1940 წწ. დაბანდებული იყო 453,0 მლნ მანეთი.	

კაპიტალდაბანდებათა მასის მიხედვით, პირველი ადგილი ეკავა ელექტროენერგიის წარმოებისა და სათბობის მოპოვება-დამუშავების მრეწველობას. იგი მოიცავდა 1921-1940 წლებში საქართველოს მრეწველობაში განხორციელებულ კაპიტალდაბანდებათა 40,4 პროცენტს[58].

როგორც აღინიშნა, 1940 წელს ელექტროენერგიის წარმოებამ თითქმის 1,5-ჯერ გადააჭარბა 1937 წლის დონეს, ხოლო 1913 წლის დონეს კი 23-ჯერ.

აღსანიშნავია, რომ 1940 წელს ელექტროენერგიის წარმოება სსრ კავშირში 25,3-ჯერ აღემატებოდა 1913 წლის შესაბამის მაჩვენებელს და მოსახლეობის სულზე საშუალოდ 252 კვტ საათს შეადგენდა.

საბჭოთა საქართველოს ელექტროენერგეტიკული მრეწველობის ასეთივე მაჩვენებელი 207,8 კილოვატსაათს აღწევდა. 1913 და 1940 წლების მონაცემებით ელექტროენერგიის წარმოება მოსახლეობის სულზე სსრ კავშირში 18-ჯერ და საბჭოთა საქართველოში 26,3-ჯერ გაიზარდა.

ელექტროენერგეტიკული ბაზის განვითარებამ გამოიწვია შრომის ელექტროშეიარაღებულობის ზრდა, რაც შემდეგი მაჩვენებლებით ხასიათდებოდა: 1932 წ. (წლიურად) ერთ მუშაზე მოხმარებული ელექტროენერგია უდრიდა 890 კვტ საათს, 1938 წ. 3236-ს, ხოლო 1939 წელს მან 5331 კვტსაათს მიაღწია[57].

ამრიგად, ომამდელი ხუთწლედების მანძილზე შეიქმნა ჩვენი რესპუბლიკის მძლავრი ელექტროენერგეტიკული ბაზა. ეს კი უზრუნველყოფდა სახალხო

---

[56] იხ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის მასალები, ფ. 31; ი. ბაჯაძე, საქართველოს სსრ ინდუსტრიული განვითარების ტემპების შესახებ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, ტ. II, თბ., 1947, გვ. 171.

[57] Грузинская ССР за 20 лет, გვ. 34.

მეურნეობის დარგთა შორის ყველაზე უფრო პროგრესული მიმართულებების დაჩქარებით განვითარებას. მიუხედავად ამისა, საბჭოთა საქართველოს ელექტროენერგეტიკული მრეწველობის განვითარება ბევრად ჩამორჩებოდა მრეწველობის, ტრანსპორტისა და მთელი სახალხო მეურნეობის საერთო ღრმავლობას, რის გამოც მწვავედ იგრძნობოდა ელექტროენერგიის დეფიციტი.

გერმანელ ფაშისტთა თავდასხმამ დროებით შეაფერხა ჩვენი რესპუბლიკის ელექტროფიკაციის დარგში დასახულ ღონისძიებათა სისტემის განხორციელება; ომის დამთავრებამდე განასლდა ხრამჰესის, დაიწყო ჩითახევჰესის და სხვ. მშენებლობა.

ომისშემდგომ ხუთწლედში ამუშავდა ხრამჰესის I, სოხუმჰესის, ჩითახევჰესის და ელექტროენერგეტიკული მრეწველობის ზოგიერთი სხვა ობიექტი. 1946-1950 წწ. საქართველოს სსრ ელექტროსადგურების სიმძლავრე 1,9-ჯერ გაიზარდა; ამასთან, მწყობრში ჩადგა ხრამჰესი, რომელიც თავისი ჰიდროტექნიკური ნაგებობით პირველი იყო სსრ კავშირში და მსოფლიოს ერთ-ერთ უნიკალურ ჰიდროელექტროსადგურს წარმოადგენდა. მას განსაკუთრებული მარეგულირებელი მნიშვნელობა აქვს საქართველოს სსრ ენერგოსისტემისათვის.

კიდევ უფრო წინ წაიწია საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის ელექტროფიკაციის საქმეთაებმა მეხუთე ხუთწლედში. ამ პერიოდში აშენდა და ამუშავდა სამკორის და სხვ. ჰიდროელექტროსადგურები: მწყობრში ჩადგა საქართველოს სსრ და აზერბაიჯანის სსრ ენერგოსისტემების შემაერთებელი ელექტროგადამცემი ხაზი. მიმდინარეობდა გუმათჰესის № 1, ბუეჯჰესის მშენებლობა, ტყვარჩელის თბოელექტროსადგურისა და რუსთავის მეტალურგიული ქარხნის თბოელექტროცენტრალის გაფართოების საქმეებიც. მეხუთე ხუთწლედშივე დაიწყო ხრამჰესის № 2, გუმათჰესის № 2, ლაჯანურჰესის და ტყიბულჰესის მშენებლობა.

ომისშემდგომ პერიოდში ელექტროენერგიის ზრდა ჩვენს რესპუბლიკაში შემდეგი მონაცემებით ხასიათდებოდა: 1945—7400. 1950—1384,9 მლნ კვტ.ს. 1955—2221,5, 1958—2963,0, 1960—3577,0, 1963—4213,0 მლნ კვტ. ს. ელექტროენერგიის გამომუშავება მოსახლეობის ერთ სულზე 8 კვტსაათიდან 1913 წელს, 266 კვტსაათამდე გაიზარდა, 1940 წელს და 556 კვტსაათამდე 1955 წელს. 1958 წელს რესპუბლიკაში ელექტროენერგიის სულადობრივმა წარმოებამ 740 კვტსაათი შეადგინა, ხოლო 1963 წელს გამომუშავებულ იქნა 4.213 მლნ. კვტსაათი ელექტროენერგია—210-ჯერ მეტი, ვიდრე 1913 წელს. 1964 წელს ჩვენი რესპუბლიკის ელექტროსადგურებმა გამოიმუშავეს 5398 მლნ კვტს ელექტროენერგია, რაც თითქმის 270-ჯერ სჭარბობს 1913 წლის შესადარს ბაჭვენებელს.

საქართველოს სსრ ენერგეტიკული სისტემის მიერ საღეებიდან გამვებული ელექტროენერგიის მოხმარებაში მრეწველობის ხვედრითი წონა შეადგენდა 1930 წ. 25,2%. 1940 წ—60,8-ს და 1957 წ. 56%-ს. კომუნალური მეურნეობისა და ყოფაცხოვრებაში ელექტროენერგიის ხარჯვის აბსოლუტური ოდენობის რამდენჯერმე გადიდების პირობებში ამ მოხმარების ხვედრიწონა შემცირდა 67,2%-დან 1930 წ. 17,6%-მდე 1957 წელს[58]. 1959 წელს მრეწველობის პროდუქცია 1940 წელთან შედარებით 3.7 ჯერ გადიდდა, ხოლო ელექტროენერგიის წარმოება—4.3-ჯერ.

[58] იხ. И. С. Микеладзе. Специализация и комплексное развитие народного хозяйства Грузинской ССР, 1953, გვ. 308.

ელექტროფიკაციის საფუძველზე განხორციელდა შრომის ენერგოშეიარაღება. თუ 1932 წელს ერთ მუშაზე მოხმარებული ელექტროენერგიის რაოდენობა უდრიდა 890 კვტს, 1939 წელს მან მიაღწია 5331 კვტს, ე. ი. გაიზარდა 6-ჯერ. 1958 წელს მთელ მრეწველობაში შრომის ელექტროალჭურვილობის ტემპი 1955 წელთან შედარებით 139,4%-ით გაიზარდა. საქართველოს მრეწველობაში ტექნიკური პროგრესის ერთ-ერთ მაჩვენებელს წარმოადგენს საწარმოთა ენერგოშეიარაღების განუხრელი ზრდა. მაგალითად, 1961 წლისათვის ენერგოშეიარაღების დონე 1957 წელთან შედარებით გადიდდა შავ მეტალურგიაში 20%, მსუბუქ მრეწველობაში—20%, ხოლო კვების მრეწველობაში—15%-ით.

ელექტროსიმძლავრეთა და ენერგიის გამომუშავების ზრდის უარესად მაღალი ტემპების მიუხედავად, ელექტროენერგიის წარმოებასა და მასზე მოთხოვნილებას შორის არსებობს გარკვეული დისპროპორცია და მასთან დაკავშირებული ელექტროენერგიის დეფიციტი. განსაკუთრებით შემოდგომით—წყალუკმარისობის პერიოდში.

საქართველოს სსრ შვიდწლიანი გეგმა ითვალისწინებდა ელექტროენერგეტიკის განვითარების ტემპებს, რასაც უნდა უზრუნველეყო ელექტროენერგიის არა მარტო დეფიციტის აღმოფხვრა, არამედ გარკვეული რეზერვების შექმნა.

შვიდწლედის ძირეული პრობლემის—კაპიტალიზმთან მშვიდობიან ეკონომიურ შეჯიბრებაში დროის მაქსიმალური მოგების პრობლემის—შესაბამისად ამჟამად უდიდესი ეკონომიური ეფექტურობის ფაქტორი დროის ფაქტორია. ამიტომაც ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობასთან ერთად ფართოდ უნდა გაშლილიყო თბოელექტროსადგურების მშენებლობაც.

ჩვენი რესპუბლიკის ელექტროენერგეტიკული ბაზის დამახასიათებელი თავისებურებაა, ჰიდროენერგიის მაღალი ხვედრი წონა ელექტროენერგიის მთელ გამომუშავებაში.

ცნობილია, რომ ამა თუ იმ ეკონომიური რაიონის ენერგეტიკის განვითარების მიმართულებას ძირითადად განსაზღვრავენ ამ რაიონის ენერგეტიკული რესურსები. იმ რაიონებში, რომელთაც თბოენერგომარაგება აქვთ (ნახშირი, გაზი, ტორფი და სხვა) და ჰიდროენერგორესურსები არ გააჩნია, ენერგეტიკული სისტემა თბოელექტროსადგურების მშენებლობაზე უნდა იყოს დაფუძნებული. იმ რაიონებში, კი, რომელთაც მდიდარი ჰიდროენერგორესურსები აქვთ, როგორც მაგ. საქართველოსა, ენერგოსისტემა ძირითადად ჰიდროელექტრო სადგურების მშენებლობას უნდა ეყრდნობოდეს. იმ შემთხვევაში კი, როცა ამა თუ იმ ეკონომიურ რაიონს გააჩნია ენერგეტიკის განვითარების ორივე წყარო, მაშინ ენერგეტიკული სისტემა უნდა ვითარდებოდეს ორივე სახეობის ელექტროსადგურების მშენებლობის კანონზომიერი შეთავსებით და მიზანშეწონილი პროპორციით.

ამ მოსაზრებათა სისწორეზე მიგვითითებს რიგი კაპიტალისტური ქვეყნების ენერგეტიკული სისტემების მდგომარეობისა და განვითარების ანალიზიც. ისეთ ქვეყნებს, რომელთაც არა აქვთ სათანადო თბომარაგები, იქ ჰიდროენერგია მაქსიმალურადაა გამოყენებული. მაგალითად, ჰიდროელექტროსადგურების მიერ გამომუშავებული ხვედრითი წონა შეადგენს შვეიცარიაში მთელი გამომუშავების 87%-ს, ნორვეგიაში—99%-ს, შვეიცარიაში—99,5%-ს და იტალიაში—81%-ს. უფრო მეტიც, ზოგიერთ სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებშიც, მიუხედავად დიდი თბომარაგების არსებობისა, ენერგეტიკული სისტემების ელექტროენერგიის გამომუშავების დიდ ნაწილს მაინც ჰიდროელექტროენერგია შეადგენს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასეთი მდგომარეობაა მაგ. კანადაში, სადაც ნახშირის დიდი მარაგი აქვთ, მაგრამ ჰიდრავლიკური ენერგია მთელი სისტემის 95% აღწევს. იაპონიასა და საფრანგეთშიც, მიუხედავად ნახშირის საგრძნობი მარაგისა, ჰიდროენერგია შეადგენს: პირველში—მთელი სისტემის გამომუშავების 74,5%-ს, ხოლო მეორეში—51%[59].

როგორც აღინიშნა, მიუხედავად ელექტროენერგეტიკული ბაზის განუხრელი ზრდისა, ელექტროენერგიის წარმოებასა და მასზე მოთხოვნილებას შორის არსებობს გარკვეული დისპროპორცია და მასთან დაკავშირებული ელექტროენერგიის დეფიციტი, რომლის ლიკვიდაცია ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სახალხომეურნეობრივ პრობლემად რჩება. ამ პრობლემის გადასაჭრელად უაღრესად მნიშვნელოვანია გადასვლა მცირე და საშუალო სიმძლავრის სეზონური ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობიდან 150-200 ათას კვტ და მეტი მარეგულირებელი და რეგულირებული ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობაზე. ამგვარი მობრუნების აუცილებლობა ახლა საყოველთაოდ აღიარებულია და უკვე ხორციელდება[60].

ჩვენს რესპუბლიკაში ჰიდროენერგეტიკული რესურსების სწრაფი ათვისების აუცილებლობა შემდეგი ძირითადი მოსაზრებებით უნდა აიხსნას. პირველ ყოვლისა, საბჭოთა კავშირის ევროპული ნაწილისათვის 20 წლიანი პერსპექტიული გეგმის პერიოდში მოსალოდნელია სათბობენერგეტიკული ბალანსის მნიშვნელოვანი დეფიციტი, რომლის თავიდან ასაცილებლად მობილიზებული უნდა იქნეს მთელი რესურსები, რომლებიც სხრკ აღნიშნულ რაიონებში მოიპოვება.

მეორე, საქართველოს ჰიდროენერგორესურსების დიდი მასშტაბით გამოყენების აუცილებლობას გვიკარნახებს ამიერკავკასიის გაერთიანებული ენერგოსისტემის ინტერესები.

ცნობილია, რომ ამიერკავკასიის მთელი ჰიდროენერგორესურსების 70%-ზე მეტი თავმოყრილია საქართველოში და ამ რესურსების აზერბაიჯანის თბოენერგორესურსებთან ერთად გამოყენება ამიერკავკასიის ენერგოსისტემის შემდგომი განვითარების ძირითად წყაროს წარმოადგენს.

საქართველოს ჰიდროენერგორესურსების გამოყენების მაღალი ტემპები იმითაც არის გამართლებული, რომ მომავალში ამიერკავკასიის ენერგეტიკული სისტემა შეუერთდება ჩვენი ქვეყნის ევროპული ნაწილის ერთიან ენერგეტიკულ სისტემას, სადაც ჰიდროენერგეტიკის ხვედრითი წონა ძალზე მცირე იქნება. აღსანიშნავია, რომ საქართველოს მდინარეთა ენერგიის როლის შეფასების დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მეზობელი რესპუბლიკების აზერბაიჯანისა და სომხეთის ჰიდროენერგიის გამოყენების შედარებით მცირე შესაძლებლობანი.

ამავე დროს მათი ჰიდროელექტროსადგურების სიმძლავრე საშუალოდ 100-200 ათას კვტ არ აღემატება (გარდა შამქორის ჰესისა, რომლის სიმძლავრე უდრის 400 ათას კვტ) მაშინ, როდესაც საქართველოს მთელი რიგი ჰიდროელექ-

---

59 თ. გ ე გ ე ლ ი ა, მაღალწნევიანი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის პერსპექტივები, ჟურნ. „საქ. ეკონომისტი“, 1962, № 1, გვ. 27-28.

60 იხ. ი. კ ო დ უ ა, საბჭოთა საქართველო მოწინავე ინდუსტრიული რესპუბლიკა, გვ. 184-185.

ტროსადგურების სიმძლავრე ერთ მლნ კვტ და უფრო მეტსაც აღწევს. ასეთი იქნება მაგ. ენგურჰესი, ტობაარჰესი და სხვ.

თუ ამიერკავკასიის გაერთიანებულ ენერგეტიკულ სისტემაში, რომელიც უკვე მძლავრ ენერგეტიკულ სისტემას წარმოადგენს, არ გვექნება წყალსაცავიანი ჰიდროელექტროსადგურები, იგი ვერ დააკმაყოფილებს ელექტროენერგიაზე დღედამურ მოთხოვნილებას და ვერ შესძლებს იმუშაოს საჭირო რეჟიმის დაცვით; წყალსაცავიანი ჰიდროენერგოსადგურები, გარდა იმისა, რომ მდინარის წლიური ჩამონადენის რეგულირებას ახდენს, ამავე დროს საუკეთესო რეგულატორს წარმოადგენს ენერგეტიკული სისტემისათვის, მაშინ როდესაც თბოელექტროსადგურებს აღნიშნული ფუნქციის შესრულება არ შეუძლიათ მუშაობის თავისებური რეჟიმის გამო. ეს გარემოება ჩვენ პლანზე აყენებს საქართველოში მძლავრი წყალსაცავიანი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის მიზანშეწონილობას, როგორც ამიერკავკასიის გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემისათვის აუცილებლად საჭირო პირობას.

ზემოთ მოყვანილ მოსაზრებათა გამო საქართველოს სსრ ჰიდროენერგეტიკული რესურსების მნიშვნელობა ამიერკავკასიის ერთიანი ენერგეტიკული სისტემისათვის მეტად დიდია[61].

ჰიდროენერგეტიკული მშენებლობის მთელ ფრონტით გაშლა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, როდესაც გამოიახება მშენებლობის გაიაფებისა და შემცირების გზები. იმისათვის, რომ მივაღწიოთ ელექტროსადგურების მშენებლობის მაღალ ეკონომიკურ ეფექტურობას, საჭირო იქნება ფართოდ იქნეს გამოყენებული ადგილობრივი საშენი მასალები და ამით შემცირდეს დეფიციტური საშენი მასალების გამოყენება. მშენებლობის ვადების შემცირების თვალსაზრისით დიდ ეკონომიკურ მნიშვნელობას იძენს, აგრეთვე, ჰიდროტექნიკურ მშენებლობაში ამკრეფი რკინაბეტონის კონსტრუქციების ფართოდ დანერგვა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კაპიტალიზმთან მშვიდობიანი შეჯიბრების ძირეული პრობლემების გადაჭრისას უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება დროის მაქსიმალურად მოგებას. ამიტომ ეკონომიკური ეფექტურობის დიდმნიშვნელოვანი ფაქტორი ამჟამად დროის ფაქტორია. ამ თვალსაზრისით პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება ისეთი ობიექტების მშენებლობას, რომლებიც დროის მოკლე მონაკვეთში მაქსიმალურ ეკონომიკურ ეფექტს მოგვცემენ.

ამ მოსაზრებათა გამო საქართველოს სსრ ჰიდროენერგორესურსების გამოყენების მაღალი ტემპები სრულიადაც არ გამორიცხავს თბოელექტროსადგუ-

---

[61] იხ. თ. გ ე გ ე ლ ი ა, საქართველოს სსრ ჰიდროენერგეტიკული მრეწველობის პერსპექტივები, გვ. 45; პ. შ ე ნ გ ე ლ ი ა, ჰიდროენერგეტიკის განვითარების პერსპექტივები საქართველოში, ჟურნ. „მეცნიერება და ტექნიკა", 1962, № 2, გვ. 1-5; გ. ჯ ი მ შ ე ლ ე შ ვ ი ლ ი, ენერგეტიკული მშენებლობის გაიაფება და მისი გზები, ჟურნ. „მეცნიერება და ტექნიკა", 1961, № 5, გვ. 35-37; პ. ს. ნ ე პ ო რ ი ე ნ ტ ნ ი მოხსენება „საქართველოში მაღალწნევიანი ჰესების მშენებლობის განვითარების პერსპექტივები და მათი ღირებულების შემცირების გზები". მოხსენება წაკითხულ იქნა ნაგებობათა და ჰიდროენერგეტიკის თბილისის მეცნიერულ-კვლევით ინსტიტუტში, საბჭოთა საქართველოსი და კომუნისტური პარტიის 40 წლისთავთან დაკავშირებულ სიუხვილეთ სამეცნიერო სესიაზე. მოხსენება ინახება აღნიშნული ინსტიტუტის ფონდში.

რების მშენებლობას. პირიქით, როგორც ეკონომიკური, ისე ენერგეტიკული მოსაზრებანი მოითხოვენ, რომ ელექტროსადგურებთან ერთად აგებულ იქნეს თბოელექტროსადგურებიც. ამიტომაც ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების პერსპექტივაში გათვალისწინებულია როგორც არსებულ თბოელექტროსადგურთა სიმძლავრეთა გაფართოება, ისე სრულიად ძლავრი თბოელექტროსადგურების მშენებლობა.

შეიდწლედის განვლილ წლებში საქართველოში დაძლეული იქნა ელექტროენერგიის მწვავე დეფიციტი და მოიხსნა მისი მოხმარების შეზღუდვა. ამჟამად ჩვენი რესპუბლიკის ენერგოსისტემა ძირითადად უზრუნველყოფს ელექტროენერგიით საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობას.

ჩვენი რესპუბლიკის ელექტროენერგეტიკული ბაზის განმტკიცებისას, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამიერკავკასიის რესპუბლიკების ენერგეტიკული სისტემების გაერთიანებას. აზერბაიჯანის სსრ მინგეჩაურის კვანძის ჰიდროელადგურების ჯგუფისათვის საქართველოს ენერგეტიკული სისტემის შეერთებამ დიდი რილი შეასრულა შემდგომა-ზამთრის წყალნაკლებობის პერიოდში საქართველოს ელექტროენერგიის ნაკლებობის თავიდან აცილებაში და უზრუნველყო ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ელექტრონერგიის შეუფერხებელი მომარაგება.

მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩვენი რესპუბლიკის სასალხო მეურნეობა მაინც ელექტროენერგიის ნაკლებობას განიცდის. ამიტომ არის, რომ საქართველოს სსრ-ში მიმდინარეობს ახალი ძლავრი ელექტროსადგურების მშენებლობა. შენდება უნიკალური ჰიდროელექტროსადგური მდ. ენგურზე, რომლის სიმძლავრეც 1, 6 მლნ კვტ-ზე მეტი იქნება. ორჯერ მეტი, ვიდრე ამჟამად მოქმედი ყველა ელექტროსადგურისა. თბილისის მახლობლად შენდება 600 ათასი კილოვატი სიმძლავრის თბოელექტროსადგური, რომელიც იმუშავებს ბუნებრივ გაზზე.

ენგურჰესი ყველაზე ძლავრი ჰიდროელექტროსადგური იქნება არა მარტო მოქმედ, არამედ ყველა დღემდე გამოვლინებულ ჰიდროენერგოსადგურთა შორისაც მთელს ამიერკავკასიაში. მისი სიმძლავრე, როგორც აღინიშნა,—ორჯერ, ხოლო წლიური გამომუშავება 1,5-ჯერ მეტი იქნება, ვიდრე ჩვენს რესპუბლიკაში მოქმედი ყველა ჰიდრო და თბოელექტროსადგურისა ერთად აღებული. ენგურჰესის სიმძლავრე 15-ჯერ, ხოლო ელექტროენერგიის გამომუშავება 25-ჯერ გადააჭარბებს ხრამჰესისას. ენგურჰესის მხოლოდ ერთი აგრეგატი ორჯერ უფრო ძლავრი იქნება, ვიდრე ხრამჰესის ყველა აგრეგატი ერთად აღებული.

ენგურჰესის თაღოვანი კაშხალის სიმაღლე 300 მეტრს მიაღწევს და ყველაზე მაღალი კაშხალი იქნება მსოფლიოში, ასევითე უნიკალურ ჰიდროტექნიკურ ნაგებობას წარმოადგენს ენგურჰესის 160 მეტრიანი წნევიანი გვირაბი, რომლის დიამეტრი 10 მეტრს, ხოლო საერთო სიგრძე 17 კმ აღემატება.

ტექნიკის უკანასკნელ მიღწევათა სრული გათვალისწინებით ახალ ეკონომიკურ და მაღალეფექტურ გადაწყვეტილებათა ფართო გამოყენებით მიღწეული იქნება მეტად ხელსაყრელი ეკონომიკური მაჩვენებლები; ენგურჰესის ერთი კვტ დანადგარის სიმძლავრის ღირებულება დაყვანილი იქნება 130 მანეთამდე, კაპიტალური დაბანდებანი გამომუშავებულ 1 კვტ საათ ელენერგიაზე 4 კაპიკამდე, ხოლო ერთი კვტსაათი ელექტროენერგიის თვითღირებულება—0.07

კაპიკამდე. ეს გარემოება მას საბჭოთა კავშირში ერთ-ერთ ყველაზე ეკონომიკურ ჰიდროელსადგურად ხდის[62].

ენგურჰესის მშენებლობის პროცესში მიღებული დაგეგმარებისა და თვითმშენებლობის მდიდარი პრაქტიკა საწინდარი იქნება მომავალში საქართველოში მრავალი ახალი მაღალმწარმოებლური ჰიდროელექტროსადგურის გამოსავლინებლად, უფრო მეტიც, ენგურჰესის მშენებლობაზე მიღებული მდიდარი გამოცდილება ხელს შეუწყობს საერთოდ სსრ კავშირში მაღალწნევიანი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის საქმეს[63].

ამიერკავკასიის რესპუბლიკების ენერგეტიკული სისტემის შეერთების განსაკუთრებით მაღალი სახალხო მეურნეობრივი მნიშვნელობა კიდევ იმაში მდგომარეობს, რომ ელექტროსადგურების გაერთიანება უზრუნველყოფს ელექტროენერგიით რესპუბლიკების მრეწველობისა და ტრანსპორტის შეუფერხებელ მომარაგებას ისე, რომ არ ავაშენოთ ახალი სპეციალური ჰიდროელსადგური წელიწადის ცალკეულ პერიოდში ელექტროენერგიის დეფიციტის ასანაზღაურებლად.

მიმდინარე შვიდწლედის ბოლოსათვის ნავარაუდევია ჩვენი რესპუბლიკის ელექტროსადგურებმა გამოიმუშაონ ელექტროენერგია იმ ოდენობით, რომელიც 2-ჯერ გადააჭარბებს 1958 წლის ფაქტიურ გამომუშავებას და რამდენადმე მეტი იქნება შვიდწლიანი გეგმის საკონტროლო ციფრების დავალებასთან შედარებით. უკანასკნელ პერიოდში მწყობრში ჩადგა ხრამჰესი—2, თბილისის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის პირველი ბლოკი 150 ათასი კვტ სიმძლავრის, რუსთავის თბოელექტროცენტრალის მეოთხე რიგი.

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებამდე, ყველა ელექტროსადგურის სიმძლავრე რვაათას კილოვატს არ აღემატებოდა, ხოლო 1913 წელს გამომუშავებული იყო სულ 20 მლ კვტსაათი ელექტროენერგია. ახლა, მარტო ერთი ზემოავჭალის ჰიდროელექტროსადგურის სიმძლავრე თითქმის ხუთჯერ მეტია, ვიდრე 1913 წელს მოქმედი ყველა ელექტროსადგურის სიმძლავრე, ხოლო საქართველოში მოქმედი ყველა ელექტროსადგურისა 120-ჯერ და უფრო მეტად[64].

სახალხო მეურნეობის განვითარების მთავარი მიმართულების შესაბამისად, რომელიც პარტიის XXII ყრილობამ და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმებმა დაადგინეს, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1964-1970 წლების პერსპექტიული გეგმა შედგენილია მეზობელი მოკავშირე რესპუბლიკების გეგმების კოორდინაციისა და ურთიერთ დაკავშირების საფუძველზე. გეგმაში დიდი ყურადღება ეთმობა ერთიანი ტექნიკური პოლიტიკის უზრუნველყოფას დარგების განვითარებაში და მეცნიერულ-ტექნიკურ მიღწევათა დანერგვას.

ამიერკვაკასიის ენერგეტიკული სისტემის ჯერ ჩრდილოეთ კავკასიის, ხოლო შემდეგ სსრკ მთელი ევროპული ნაწილის ენერგეტიკულ სიმძლავრეებთან შეერთებით მკვეთრად ამაღლდება ელექტროსადგურთა სიმძლავრეთა გამოყენების კოეფიციენტი.

საქართველოს სსრ საგეგმო კომისიის წინასწარი გაანგარიშების მიხედვით ელექტრომოხმარების დონე მომავალში ჩვენს რესპუბლიკაში რამდენიმე

---

62 იხ. თ. გ ე გ ე ლ ი ა, მაღალწნევიანი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის პერსპექტივები, ჟურნალი „საქართველოს ეკონომისტი“, 1962, № 1, გვ. 28.

63 იქვე, გვ. 27.

64 გაზ. „კომუნისტი“, 1964, 25 თებერვალი.

ათეულ მილიარდ კვტსაათს შეადგენს. ელექტროენერგიის მოხმარების აღნიშნული გაანგარიშება ემყარება ადგილობრივი პირობების სათბობენერგეტიკული რესურსების მეცნიერულ შესწავლას. ამავე დროს იგი უპასუხებს მოძმე აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის კომპლექსურ განვითარებას, უხამებს მას სსრ კავშირის ინტერესებს და მაშასადამე უპასუხებს სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი პროპორციული კანონის მოთხოვნებს.

ისე როგორც მთელს საბჭოთა კავშირში, ჩვენს რესპუბლიკაშიც ელექტროფიკაციის მაღალი ტემპი აიხსნება შემდეგი მიზეზებით:

ჯერ ერთი, მრეწველობის განვითარების მაღალი ტემპით, ენერგოტევადი წარმოების ორგანიზაციით და კომპლექსური მექანიზაციისა და წარმოების ავტომატიზაციის ზრდით.

მეორე—ჯერ კიდევ დაბალია ელექტროენერგიის გამომუშავების საერთო დონე და ამის შედეგად არასაკმარისია სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტისა და ყოფაცხოვრების ელექტროფიკაცია.

მესამე—გაფართოებული სოციალისტური აღწარმოების პროცესში უზრუნველყოფილი უნდა იქნეს წარმოების საშუალებათა უპირატესი ზრდა და პირველ რიგში ელექტროენერგიის გამომუშავება.

გავიდა შვიდწლედის 6 წელი. შვიდწლედის განვლილი წლების მრეწველობის მუშაობიდან ძირითადი დასკვნა ის არის, რომ წარმატებით ხორციელდება კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის გრანდიოზული ამოცანა, რომელიც პარტიის ახალმა პროგრამამ დასახა.

ელექტროფიკაციის დარგში პარტიის XXII ყრილობის მიერ დასახული სამუშაოთა პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფს ელექტროენერგიით სახალხო მეურნეობის სულ უფრო მზარდი მოთხოვნილების მაქსიმალურად დაკმაყოფილებას და ამით კიდევ უფრო დაიჩქარებს ჩვენი ქვეყნის მწარმოებლურ ძალთა მძლავრ აღმავლობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობა სოციალიზმის ეკონომიკის მშენებლობის პერიოდში

ა. ჩანგლაძე

(წარმოადგინა საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის და სამართლის ინსტიტუტმა)

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე კომუნალური მეურნეობა, როგორც სახალხო მეურნეობის სპეციალური დარგი, არ არსებობდა. არსებობდა მხოლოდ ცალკეული ზოგიერთი კომუნალური საწარმო, რომელთა უმრავლესობა კერძო მფლობელებს ეკუთვნოდა. ისინი ვერ აკმაყოფილებდნენ მოსახლეობის მინიმალურ მოთხოვნილებას. აღსანიშნავია, რომ 26 დასახლებული ადგილიდან, რომლებიც მაშინ ითვლებოდა ქალაქად. 13-ს სრულიად არ ჰქონდა ელექტროგანთება.

კერძო მცირეძალიანი ელადგურები, რომლებიც არარეგულარულად მოქმედებდნენ, ძირითადად ემსახურებოდა ქალაქის ვაჭრებს, მრეწველებსა და მსხვილ მოხელეებს.

წყალსადენი იყო მხოლოდ თბილისში, ბათუმში, სოხუმსა და ფოთში (ფოთში იგი ემსახურებოდა მარტო ნავსადგურს).

კანალიზაცია არ იყო არცერთ ქალაქში, თუ არ ჩავთვლით ქალაქ თბილისს, სადაც იყო არხების პრიმიტიული ქსელი, რომლებიც უშუალოდ მტკვართან იყო შეერთებული.

მხოლოდ 14 ქალაქში იყო არაკეთილმოწყობილი და მცირე გამტარიანი ბანო, რომლებიც ეკუთვნოდა კერძო პირებს—ორბელიანებს, მირზოევებსა და სხვებს.

რაც შეეხება ქალაქების კეთილმოწყობას (ქუჩების, მოედნების, ტროტუარების, გზონების და სხვ.), მის შესახებ ლაპარაკიც კი არ შეიძლებოდა.

აღნიშნულის გამო საბჭოთამდელ საქართველოში კომუნალური მომსახურება მოსახლეობის ერთ სულზე ძლიერ დაბალი იყო. მაგალითად, ერთ სულზე წყლის მოხმარება დღე-ღამეში მერყეობდა 20-დან 40 ლიტრამდე. ელექტროენერგია ერთ სულზე მოდიოდა 5,9 კვტ. საათი წელიწადში. ბანობებით სარგებლობა მოსახლეობას შეეძლო მხოლოდ არაუმეტეს წელიწადში ორჯერ. ხოლო ტრამვაით მგზავრობა ერთ მცხოვრებზე მოდიოდა 27-ჯერ წელიწადში[1].

ასეთ სავალალო მდგომარეობას კომუნალური მომსახურების დარგში ბოლო მოეღო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. ქალაქების საბჭოებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით უდიდესი

[1] АМКХ ГССР, св. 342, л. 45.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამუშაოები ჩაატარეს დანგრეული ქალაქური მეურნეობის აღდგენისა და კომუნალური მომსახურების ყველა დარგის შემდგომი განვითარების საქმეში.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღეებიდანვე განსაკუთრებული ყურადღება მიექცა მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, რისთვისაც კომუნალური მეურნეობის, როგორც სახალხო მეურნეობის სპეციალური დარგის შექმნის, ჩამოყალიბებისა და განვითარების ხელმძღვანელობისათვის დაარსდა სათანადო ორგანოები ცენტრსა და ადგილებზე.

კომუნალური მეურნეობის პირველი სპეციალური ორგანო იყო ცენტრალური კომუნალური მეურნეობის მთავარი სამმართველო, რომელიც შეიქმნა 1921 წელს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან, ადგილობრივ აღმასკომებთან დაარსდა ჯერ მუნიციპალური, შემდეგ ეკონომიკური და მეურნეობრივი განყოფილებების სახელწოდებებით და ბოლოს კომუნალური მეურნეობის განყოფილებების სახით.

კომუნალური განყოფილებების სახელწოდების შეცვლას თან მოჰყვა მათი საქმიანობის შინაარსის შეცვლა და ფუნქციების გადაჯგუფება სათანადო განყოფილებებს შორის.

ისეთი სახელმწიფოებრივი ღონისძიებანი, როგორიც იყო განათლება, ჯანმრთელობის დაცვა, სოციალური უზრუნველყოფა, სასურსათო საქმე და სასურსათო პოლიტიკა, რომელსაც არ ჰქონდა ორგანული კავშირი კომუნალურ მეურნეობასთან, გამოეყო მას და გადაეცა შესაბამისი განყოფილებების გამგებლობაში. ხოლო მთელი რიგი ღონისძიებანი, კერძოდ, მეურნეობრივი და ეკონომიკური ხასიათისა, რომელსაც განაგებდა ერობა და ქალაქის თვითმმართველობა, გადავიდა კომუნალური მეურნეობის ხელმძღვანელობის სფეროში.

ამრიგად, ადგილობრივ თვითმმართველობათა და ყოფილ შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული მეურნეობის განყოფილებების საერთო ნანგრევებზე წარმოიშვა რესპუბლიკის კომუნალური მეურნეობის ხელმძღვანელობის მთავარი სამმართველო და განყოფილებანი ადგილებზე.

1921 წელს კომუნალური მეურნეობის მთავარი სამმართველო აწარმოებდა ძირითადად ორგანიზაციული და შემთხვევითი ხასიათის სამუშაოებს, რადგან საქართველოში კომუნალური მეურნეობა წარმოადგენდა ახალ დარგს.

1922 წლის განმავლობაში კომუნალური მეურნეობის მუშაობა შედარებით სრულყოფილი გახდა. გარკვეული იქნა მისი ფუნქციები და დანიშნულება.

კომუნალური მეურნეობის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას შეადგენდა ძველი, კერძო ბურჟუაზიული მესაკუთრული მეურნეობის გარდაქმნა კოლექტიურ მეურნეობად.

1922 წლის განმავლობაში კომუნალური მეურნეობის საქმიანობის ძირითად მომენტებს შეადგენდა: 1. კომუნალურ მომსახურებაზე ტარიფის დაწესება. 2. მეურნეობის გადაყვანა ადგილობრივ საშუალებებზე. 3. კომუნალური მეურნეობის ფონდების შეგროვება და 4. ადგილობრივი გადასახადების მოწესრიგება[2].

კომუნალური მეურნეობის გადაყვანას ადგილობრივ საშუალებებზე წინ უსწრებდა კომუნალურ მომსახურებაზე ტარიფის დაწესება. უნდა შექმნილიყო ადგილობრივი შეჰოსაელის წყაროები და პირველყოვლისა აღდგენილიყო

[2] ცსგაორსს, Гр. ССР, ф. 285, д. 705, лл. 6—9.

კომუნალური მეურნეობის შემოსავალი, რისთვისაც სახალხო კომისართა საბჭოს 1922 წლის 7 ივნისის დადგენილების საფუძველზე შემოღებულ იქნა კომუნალური მომსახურების ტარიფიკაცია, რომლის მიზანს შეადგენდა მეურნეობრივ ანგარიშიანობაზე გადასვლისათვის საფუძვლის მომზადება, მოქნებიანობის პრინციპის დანერგვა.

1922 წელს კომუნალური მეურნეობის ჩამორჩენილობის გამო განყოფილებებმა ზოგიერთი კომუნალური საწარმო გასცა იჯარით. ამასთან იყო, აგრეთვე, დაკავშირებული ნაციონალიზაცია და მუნიციპალიზაციქმნილი სახლების საკითხი, რადგან ამ უკანასკნელმა არ გამოიღო სასურველი შედეგი, რის გამოც საბინაო საქმე კიდევ უფრო გაუარესდა. აღნიშნულის გამო კომუნალურმა განყოფილებამ შეიმუშავა დადგენილება ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტების მიერ ნაციონალიზაცია და მუნიციპალიზაციქმნილი სახლების სის გადასინჯვის შესახებ, რის შედეგადაც ბევრი სახლები დაუბრუნდა თავის ყოფილ მეპატრონეებს სრულ გამგებლობაში. ამ საკითხს დაუკავშირდა, აგრეთვე, საცხოვრებელი ბინის ქირის ტარიფიკაცია ქალაქებსა და საკურორტო ადგილებში.

ამ კანონმდებლობითი ღონისძიებების გატარებას სათანადო შედეგიც მოყვა—გამოცოცხლდა საბინაო საქმე, დაიწყო ბინების რემონტი, ახლის მშენებლობა, ბინების გაქირავება და სხვა. მოიჯარადრეები აწარმოებდნენ საწარმოების რემონტს და ახალი საწარმოების ამუშავებას.

ამრიგად, ახალმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ თავისი გამოხატულება პოვა კომუნალურ-ბინათმეურნეობის აღდგენასა და განვითარებაშიც.

ხუთწლედამდელ პერიოდში სახოგადოებრივი სარგებლობის წყალსადენი, რომლებიც ქალაქის მოსახლეობას წყალს აწვდიდა, არსებობდა მხოლოდ სამ ქალაქში: თბილისს, ბათუმსა და სოხუმში.

თბილის წყალს მხოლოდ ავჭალის წყალსადენი აწვდიდა, რომელმაც 1921 წელს მიაწოდა 5 897 804 კუბ. მ წყალი. აქეთან აღრიცხვაში მოხვდა მხოლოდ 2 840 169 კუბ. მ, ხოლო აღურიცხავი წყლის რაოდენობამ შეადგინა 3 057 635 კუბ. მ, რაც შეადგენდა მოწოდებული წყლის 51,9%-ს. 1927 წელს თბილისმა მიიღო 5 201 083 კუბ. მ წყალი, აქედან აღრიცხული წყლის რაოდენობამ შეადგინა 4 528 596 კუბ. მ, ხოლო აღურიცხავი წყლის რაოდენობა იყო 672 488 კუბ. მ, რაც შეადგენდა მოწოდებული წყლის 12,9%, ე. ი. 1927 წელს 1921 წელთან შედარებით აღურიცხავი წყლის რაოდენობა შემცირდა 38,9%[3].

ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ 1921-1927 წლებში მოწოდებული წყლის რაოდენობა არ გაზრდილა, მაინც გაუჯობესდა მოსახლეობის წყლით მომარაგება წყლის აღრიცხვის გაუმჯობესებისა და ქსელში დანაკარგების მნიშვნელოვანი შემცირებით.

1927-28 წელს მოხმარებული წყლის გადიდების მიუხედავად, ავჭალის წყალსადენი ქალაქის მოსახლეობის მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებდა, რაც გამოწვეული იყო ქალაქის ტერიტორიისა და მოსახლეობის ზრდით. ამ პერიოდში გაიზარდა წყალსადენის ქსელის სიგრძე. მაგალითად, თუ 1921 წელს წყალსადენის ქსელის სიგრძე შეადგენდა 142,1 კმ, 1927 წელს ის 178,2 კმ-მდე გაიზარდა[4].

[3] ა. ჩანტლაძე, ქალაქ თბილისის ბიუჯეტი და საქალაქო მეურნეობის განვითარების ზოგიერთი საკითხი, თბ., 1957, გვ. 22.

[4] სტატისტიკურ-ეკონომიური ცნობარი 1925—1930 წწ., თბ., 1931, გვ. 70—71.

წყალსადენის ქსელთან ერთად იზრდებოდა აბონენტთა რაოდენობა. თუ 1925-26 წ. აბონენტთა რაოდენობა შეადგენდა 6363, იგი 1927-28 წელს 8023-მდე, ე. ი. 26,1% გაიზარდა.

ბათუმში პირველი წყალსადენი აგებულ იქნა XIX ს. დასაწყისში. წყალმომარაგების წყაროდ გამოყენებულ იქნა მდ. სოუკ-სუ. წყალსადენის მწარმოებლურობა შეადგენდა 70 000 ვედროს დღე-ღამეში. მოსახლეობის ზრდამ, რომელმაც 1887 წელს მიაღწია 28 500 მცხოვრებს, აგრეთვე, ნავსადგურის გაზრდილმა მოთხოვნილებამ გამოიწვია წყლის მწვავე ნაკლებობა. აუცილებელი იყო წყალსადენის სიმძლავრის აყვანა 200 000 ვედრომდე დღე-ღამეში.

წყალმომარაგების წყაროდ მიღებული იყო მდ. ღეჩა. წყალსადენის მწარმოებლურობა დაპროექტებულ იქნა 600 000 ვედროს რაოდენობით დღე-ღამეში, რომლის ღირებულება პროფ. ვერნის პროექტით შეადგენდა 843 000 მანეთს. სახსრების უქონლობის გამო მშენებლობა დაიწყო 1906 წელს, ხოლო წყალსადენი ექსპლოატაციაში შევიდა 1912 წელს.

მოსახლეობის ზრდასთან დაკავშირებით 1923 წლიდან ქალაქი ბათუმი ისევ განიცდიდა წყლის მწვავე ნაკლებობას.

1926 წელს აჭარის ეკონომიკურმა საბჭომ დაკმაყოფილა ქალაქის საბჭოს შუამდგომლობა წყალმომარაგების გადიდების შესახებ და ამავე წლიდან 1929 წლებში განხორციელდა წყალსადენის გაფართოება; მდ. ყორონის წყლის ბაზაზე აგებულ იქნა წყალმიმღები. ჭუჩის ქსელის სიგრძე 1914 წელს შეადგენდა 28 კმ., 1921 წელს 28,5 კმ, ხოლო 1925 წელს იგი გაიზარდა 32 კმ-მდე. 1921 წელს წყალსადენი შეერთებული იყო 1200 სახლთან, ხოლო 1930 წელს იგი 1500-მდე ე. ი. 25%-ით გაიზარდა. თუ 1921 წელს მოსახლეობის ერთ სულზე წყლის მოხმარება მოდიოდა 25,9 ლიტრი დღე-ღამეში, 1926 წელს მან მიაღწია 39.0 ლიტრს[5].

სოხუმში წყლის მიწოდების აღრიცხვა არ წარმოებდა, რადგან არ იყო წყლის მზომავი ხელსაწყოები. წყალსადენის ქსელის სიგრძე არ აღემატებოდა 1 კმ[6].

საბჭოთამდელ საქართველოში წყლის განმანაწილებელი ქსელი ჭუჭებში შეადგენდა 148,6 კმ., ხოლო 1928 წელს მან მიაღწია 243,7 კმ. შესაბამისად გაიზარდა წყლის მოწოდება ქსელში 4 541,9 ათ. კუბ. მ-დან 5 988,1 ათ. კუბ. მ-მდე[7].

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე კანალიზაციის მშენებლობა ძლიერ ნელი ტემპით მიმდინარეობდა. კანალიზაცია იყო მხოლოდ თბილისის ცენტრალურ ნაწილში, სადაც 1921 წლამდე ქსელის სიგრძემ მიაღწია 115 კმ[8], ხოლო 1928 წელს იგი გადიდა 141,3 კმ-მდე[9]. 1927 წელს კანალიზირებული სახლების რაოდენობა შეადგენდა 8152, ხოლო 1928 წელს 8254 სახლს.

საქართველოს ქალაქებს შორის ტრამვაი არსებობდა მხოლოდ თბილისსა და ფოთში. თბილისის ტრამვაის მეურნეობა 1904 წლიდან 1920 წლამდე, ე. ი. მთელი 16 წლის განმავლობაში კაპიტალურად ერთხელაც არ შეკეთებულა, იგი

---

[5] АМКХ Гр.ССР, д. 350. л. 20—31.

[6] ЦГАОРСС Гр. ССР. ф. 303. д. 1565. лл. 207—217.

[7] საქართველოს 20 წელი, გვ. 97.

[8] ПАГФ ИМЭЛ. ф. 17. д. 11. доп. опись 4 л. 8.

[9] საქართველოს 20 წელი, გვ. 97.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანდათან ინგრეოდა და კატასტროფულ მდგომარეობამდე იყო მისული. განსაკუთრებით დაეცა ტრამვაის მეურნეობა იმპერიალისტური ომისა და მეწმევიკების ბატონობის წლებში.

საბჭოთა ხელისუფლებამ მემკვიდრეობით მიიღო მხოლოდ 18 ვაგონი (როგორც მოტორიანი ისე უმოტორო). საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ იწყება თბილისის ტრამვაის აღდგენისა და განვითარების პერიოდი. გადაკეთებულ შენა სახელოსნო, დაიწყო იმ ნაწილების დამზადება, რომლებიც წინათ საზღვარგარეთიდან შემოჭონდათ, და სხვა.

ტრამვაის მეურნეობის განვითარების მაჩვენებელია რკინიგზის ლიანდაგის გადიდება, მასზე მომუშავე ვაგონების რაოდენობა, მათ მიერ გავლილი მანძილი, ვაგონების ბრუნვა და მისი შრომის მწარმოებლურობის მაჩვენებელი — გადაყვანილ მგზავრთა რაოდენობა წლის განმავლობაში. 1921 წელს ხაზზე მუშაობდა 33 ვაგონი, რომელთა რაოდენობა ყოველ წელს იზრდებოდა და რომელიც 1927 წელს 123 ვაგონამდე მიაღწია. მოქმედი ტრამვაის ვაგონების გადიდება ბუნებრივია იწვევდა გადაყვანილ მგზავრთა რაოდენობის ზრდას. თუ 1921 წელს გადაყვანილ იქნა 5 643 193 მგზავრი, 1927 წელს მათი რაოდენობა გაიზარდა 56 812 964-მდე, ე. ი. 10-ჯერ. გაიზარდა, აგრეთვე, ტრამვაის ცალმავი ხაზის სიგრძე. თუ 1920 წელს იგი შეადგენდა 39 კმ, 1927 წელს მან მიაღწია 54 კმ. ახალი ტრამვაის ხაზი გაყვანილ იქნა უმთავრესად მუშათა უბნებში— ლენინისა და 26 კომისრის სახელობის რაიონებში. 1927-28 წლიდან იწყება ტრამვაის გადაყვანა აჭალის ჰიდროელექტროსადგურის დენზე, რამაც განსაკუთრებული როლი ითამაშა თბილისის ტრამვაის განვითარების საქმეში.

ფოთის ტრამვაიმ „კონკამ" 1928 წლამდე უმნიშვნელო ცვლილება განიცადა. გაყეთდა სამი ხაზობრივი დახურული ვაგონი და კაპიტალურად შეკეთებულ იქნა 5 ვაგონი. მდ. რიონის ჩრდილოეთ ტოტზე რკინაბეტონის ხიდის მშენებლობის დამთავრების შემდეგ ამ ხიდზე გაყვანილ იქნა ტრამვაის რკინიგზა და უკანასკნელი შეკეთდა ნავსადგურამდე, რითაც 1925 წლის 19 ივნისიდან სავსებით აღდგენილ იქნა 1913 წელს შეწყვეტილი „კონკის" მიძოსვლა ქალაქიდან ნავსადგურამდე. გარდა ამისა, გაყვანილ იქნა ახალი ტრამვაის რკინიგზა რუსთაველისა და ნიკოლაძის ქუჩების კუთხიდან რუსთაველისა და გურიის ქუჩების ნახუტარამდე სულ ორი ვერსის მანძილზე, რომელზეც მიმოსვლა დაიწყო 1925 წლის 16 ოქტომბრიდან.

„კონკის" რკინიგზის სიგრძე შეადგენდა 4 ვერსს და მასზე მუდმივად მუშაობდა 6 ვაგონი[10]. ფოთის ტრამვაის მეურნეობა იყო ქალაქის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემოსავლიანი საწარმო, რის შესახებაც ნათელ წარმოდგენას გვაძლევს შემდეგი მონაცემები: 1925 წელს ტრამვაიდან შემოვიდა 23 180 მან., ხოლო ხარჯებმა შეადგინა 12 149 მან. ამრიგად, მარტო 1925 წელს ქალაქმა მიიღო წმინდა შემოსავალი 11 031 მანეთი.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ დღეებიდანვე იწყება ელექტრომეურნეობის განვითარება. 1921 წლისათვის კომუნალური მეურნეობის სხვა საწარმოთა შორის ელექტროსადგურები ყველაზე სუსტ საწარმოებს წარმოადგენდნენ. ქ. თბილისს გადაეცა სულ რამდენიმე, ნახევრად დანგრეული ელექტროსადგური, რომელიც დაქსაქსული იყო ქალაქის სხვადასხვა უბნებში. მათ არ გააჩნდათ არც ერთი ახალი და დაუზიანებელი დინამო-

---

[10] ЦГАОРСС Гр. ССР, ф. 285, д. 1771, лл. 182—185.

მანქანა, არსად არ იყო დაცული ტექნიკური პირობები მუშების სიცოცხლის დაცვის უზრუნველსაყოფად, ხოლო სისუფთავეზე ლაპარაკი ზედმეტი იყო.

1921 წლიდან ყოველწლიურად იზრდებოდა ელექტროსადგურების სიმძლავრე და მათ მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია. 1921 წელს თბილისში ელექტროენერგიას იძლეოდა 14 ელექტროსადგური, ხოლო მათი სიმძლავრე შეადგენდა 1226 კვტ საათს. 1926 წელს სადგურების რაოდენობა გაიზარდა 16-მდე და მათი სიმძლავრე შეადგენდა 3252 კვტ საათს, ე. ი. 165,3%-ით გაიზარდა. ელექტროსადგურების სიმძლავრესთან ერთად იზრდებოდა დახარჯული ელექტროენერგიის რაოდენობა. 1922 წელს გაცემულ იქნა 1 383 692 კვტსაათი ელექტროენერგია[11], ხოლო 1927 წელს—5560093 კვტსაათი[12].

ამრიგად, 1927 წელს, 1922 წელთან შედარებით, ელექტროენერგიის მიწოდება გაიზარდა 4176401 კვტ საათით, ე. ი. 301,8%. იზრდებოდა, აგრეთვე, აბონენტთა საერთო რიცხვი: თუ 1922 წელს ელექტროსადგურის სამმართველოს ჰყავდა 5 356 აბონენტი, 1927 წელს მათი რიცხვი გაიზარდა 12393-მდე ე. ი. 131,4%-ით.

გამომუშავებული ელექტროენერგიისა და აბონენტთა რიცხვის ასეთი ზრდა 1927 წლისთვის გამოწვეული იყო იმ ისტორიული ფაქტით, რომ 1927 წელს 26 ივნისს საზეიმო ვითარებაში ამოქმედდა ვ. ი. ლენინის სახელობის ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგური (ზაჰესი)—პირველი მძლავრი ჰიდროცენტრალი საქართველოს რესპუბლიკაში.

აქარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ რევკომის მიერ ეატარებული ღონისძიებების შედეგად გაიზარდა ელექტროსადგურების სიმძლავრე და მათ მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია. თუ 1921 წლამდე ელენერგიის გამომუშავება არ აღემატებოდა წელიწადში 785 000 კვტსაათს. მას შემდეგ იგი გაიზარდა 1 200 000 კვტსაათამდე წელიწადში, ხოლო 1927 წლისათვის მიაღწია 1 400 000 კვტსაათს.

აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე მოქმედებდა ორი ელექტროსადგური, ერთი ქ. სოხუმში, რომელიც აგებულ იქნა 1909 წელს. 200 კვტსაათი სიმძლავრით, ხოლო მეორე ჰიდროსადგური ახალ გაგრაში 300 კვტსაათის სიმძლავრით.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, 1928 წელს აფხაზეთში ექსპლოატაციაში შევიდა სამი ელექტროსადგური: ქ. სოხუმში, რომლის სიმძლავრე შეადგენდა 430 კვტსაათს, გუდაუთში—50 კვტსაათს და ოჩამჩირეში—42 კვტსაათს.

ქუთაისში 1921 წლამდე მუშაობდა ორი კერძო ელექტროსადგური, რომელიც ენერგიას აწვდიდა წვრილ კუსტარულ საწარმოებს, ქალაქის ბაღსა და ბინებს ქალაქის ცენტრალურ ნაწილში. აღნიშნული დროიდან ქალაქის ელექტროსადგურების მუშაობის გაუმჯობესების, გაფართოებისა და ტექნიკურად მოწყობის საქმე მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. სადგურებში მოქმედებდნენ 6 ავთომრავი, მათი სიმძლავრე უდრიდა 485 ცხენის ძალას. აბონენტების რაოდენობა შეადგენდა 1800. 1925 წლისათვის ელექტროენერგიის გამომუშავება

[11] თბილისის აღმასკომის და მისი ორგანოების 1925 წლის მოქმედების მიმოხილვა, თბ., 1926.

[12] სტატისტიკური-ეკონომიური ცნობარი 1925—1930 წწ., თბ., 1931.

გადიდდა 20%-ით. გაფართოვდა ელექტროქსელი. განათება გაყვანილ იქნა ქალაქის განაპირა ქუჩებში სულ 6 ვერსის მანძილზე და სხვა.

გაუმჯობესდა რესპუბლიკის ქალაქების მუშათა სახინაო პირობები, სახინაო ფონდის სოციალური გადანაწილებისა და ახლის მშენებლობის გზით. გარეუბნებიდან მოხდა მოსახლეობის გადმოსახლება ქალაქის ცენტრში, შედარებით კეთილმოწყობილ ბინებში, დაიწყო ბინათმშენებლობა მუშათა რაიონებში, გაყვანილ იქნა ახალი ქუჩები, გაიზარდა წყალსადენისა და კანალიზაციის ქსელი, გადიდდა ტრამვაის ელექტროგადამცემი ხაზები და სხვა.

მიუხედავად ამისა, კომუნალური მეურნეობა საერთოდ და კერძოდ მუშათა რაიონებში ჩამორჩებოდა მშენებლობის საერთო ტემპებს. ეს იმით იყო გამოწვეული, რომ სოციალისტური მშენებლობის პირველ წლებში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა სახალხო მეურნეობის ძირითადი დარგების, კერძოდ, მრეწველობის განვითარებას. ამიტომ კომუნალური მეურნეობის განვითარებაზე შედარებით მცირე სახსრები იხარჯებოდა. ეს ჩანს შემდეგი მონაცემებიდან[13] (იხ. ცხრილი 1).

ცხრილი 1

კაპიტალური დაბანდებანი (ათ. მანეთობით)

წლები	მრეწველობაში	ზრდა %% 1926 წელთან შედარებით	კომუნალურ მეურნეობაში	ზრდა %% 1926 წელთან შედარებით
1926/27	864,2	100,0	5878,2	100,0
1927/28	155130	79,5	5720,6	—2,7
1928/29	20559,0	207,3	5476,8	—6,8
1929/30	55309,7	551,6	6852,4	16,5
1930/31	70189,3	712,2	15077,4	156,5

კაპიტალური დაბანდების ასეთმა სწრაფმა ზრდამ დააჩქარა მრეწველობის აღდგენა, რის შემდეგაც დაიწყო მრეწველობის სოციალისტური რეკონსტრუქციის პროცესი. ამ დროს კომუნალური ბინათმეურნეობის განვითარება დიდად ჩამორჩებოდა მრეწველობის განვითარებას. განსაკუთრებით ეს შეიმჩნეოდა მრეწველურ რაიონებში და მუშათა დაბებში, სადაც მნიშვნელოვნად დაბალი იყო კომუნალური მომსახურების დონე.

ამრიგად, კაპიტალური დაბანდების სიმცირემ სათანადო შემაფერხებელი გავლენა მოახდინა კომუნალური მეურნეობის განვითარებაზე. სწორედ ეს იყო ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი იმისა, რომ მოცემულ პერიოდში კომუნალური მეურნეობის განვითარების ტემპი მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა მრეწველობის განვითარების ტემპებს, რამაც გამოიწვია დისპროპორცია ამ დარგებს შორის.

მრეწველობის განვითარებამ გამოიწვია რესპუბლიკის ქალაქების მოსახლეობის ზრდა, რაც კიდევ უფრო აძლიერებდა მოთხოვნილებას კომუნალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურებაზე.

კომუნალური მეურნეობის განვითარებაზე სათანადო გავლენა მოახდინა, აგრეთვე, კაპიტალური დაბანდების არათანაბარმა განაწილებამ საქართველოს სსრ ქალაქებს შორის, რის გამოც ქ. თბილისის რეკონსტრუქციის დაწყებისას დანარჩენ ქალაქებში აღდგენითი პროცესიც კი არ იყო დამთავრებული.

[13] ПАГФ ИМЭЛ. ф. 14, д. 415, л. 24.

საქართველოს ქალაქებს შორის კაპიტალური დაბანდების არათანაბარი განაწილების ნათელ სურათს იძლევა შემდეგი მონაცემები[14] (იხ. ცხრილი 2).

ცხრილი 2

კაპიტალური დაბანდების განაწილება ქალაქებს შორის (ათ. მანეთობით)

1926/27 წ.		1927/28		1928/29	
თბილისი	დანარჩენი ქალაქები	თბილისი	დანარჩენი ქალაქები	თბილისი	დანარჩენი ქალაქები
4906,7	971,6	3903,0	1807,6	3650,4	1826,4

ამრიგად, მოცემული წლების განმავლობაში კაპიტალურმა დაბანდებამ საქართველოს კომუნალურ მეურნეობაში სულ შეადგინა 17 065,7 ათ. მანეთი. მათ შორის—თბილისში 12 460.1 ათ. მან., რაც შეადგენს მთელი დაბანდების 73,0 პროცენტს, ხოლო დანარჩენ ქალაქებში—4 605,6 ათ. მან. ე. ი. 27,0 პროცენტს. როგორც ჩანს, თბილისში თითქმის სამჯერ მეტი მოცულობით წარმოებდა მშენებლობა, ვიდრე რესპუბლიკის ყველა სხვა დანარჩენ ქალაქებში ერთად, თუმცა თბილისში მოსახლეობის რაოდენობა ნაკლები იყო, ვიდრე საქართველოს დანარჩენ ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში.

ამ მხრივ უფრო უარეს სურათს მივიღებთ, თუ ასეთ შედარებას მოვახდენთ საქართველოს ქალაქებს შორის მარტო ახალ მშენებლობაზე დაბანდებულ თანხებს შორის. ამ საკითხზე ნათელ წარმოდგენას იძლევა შემდეგი მონაცემები[15] (იხ. ცხრილი 3).

ცხრილი 3

ახალ მშენებლობაზე დაბანდების თანხა (მანეთობით)

	1926/27 წ.	1927/28 წ.	1928/29 წ.
თბილისი	4211656	3347633	3112996
დანარჩენი ქალაქები	459761	1189488	1395966
სულ	4671417	4537121	4508962

ამრიგად, მოცემული წლების განმავლობაში კაპიტალურმა დაბანდებამ საქართველოს ქალაქებში შეადგინა 13 717 500 მან., მათ შორის—თბილისში 10 672 285 მანეთი, ხოლო დანარჩენ ქალაქებში კი 3 045 215 მანეთი ე. ი. შესაბამისად 77,8% და 22,2%.

ვაგრამ, რა თქმა უნდა, აქედან არ შეიძლება იმ დასკვნის გამოტანა, თითქოს ქ. თბილისის კომუნალური მეურნეობა უკვე აკმაყოფილებდა ქალაქის მოსახლეობის საჭირო მოთხოვნილებებს. სრულიადაც არა! თბილისის კომუნალური მეურნეობა საჭიროებდა და შემდგომ პერიოდშიც მოითხოვდა გაცილებით მეტ კაპიტალურ დაბანდებას იმისათვის, რომ მოსახლეობას ჰქონოდა, შეიძლება ითქვას, ელემენტალური კომუნალური მომსახურება.

[14] ЦГАОРСС Гр. ССР. ф. 303, д. 1565, л. 207.
[15] იქვე, გვ. 208.

მაგრამ კაპიტალური დაბანდების მხრივ ასეთი დიდი განსხვავების პირობებში ადგილი წარმოსადგენია კომუნალური მომსახურების მდგომარეობა საქართველოს იმ ქალაქებში, სადაც მშენებლობა გაცილებით ნაკლები მოცულობით წარმოებდა, ვიდრე თბილისში.

კომუნალური მშენებლობის დაბალი ტემპი იწვევდა მოსახლეობის კომუნალური მომსახურების ჩამორჩენას სოციალისტური მშენებლობის ტემპისაგან, რაც თავის მხრივ უარყოფით გავლენას ახდენდა მატერიალურ წარმოებასა და მშრომელთა კეთილდღეობაზე.

პარტიისა და მთავრობის მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენდა კომუნალური მშენებლობის ტემპის დაჩქარება, სახალხო მეურნეობის სხვა დარგების განვითარების შესაბამისად.

სკკპ მეთექვსმეტე ყრილობის რეზოლუციაში ნათქვამია: „...ხუთწლედში და ახალი მშენებლობის ყველა გეგმაში აუცილებლად გათვალისწინებული უნდა იყოს საცხოვრებელი ბინების, კულტურული და სოციალურ-საყოფაცხოვრებო დანიშნულებების მშენებლობა. ...და გამოყენებული იქნას ამისთვის, გეგმით წესით ასიგნებული თანხების გარდა, მუშათა ყოფაცხოვრების გაუმჯობესების ფონდი, რომელმაც 1929-30 წელს 220 მილიონი მანეთს მიაღწია (1928-29 წლის 110 მილიონი მანეთის ნაცვლად)“[16].

Это массовое движение зародилось в Волгограде. Первую такую бригаду в середине 1943 г. создала работница детского сада Александра Черкасова. Ее поддержало почти все население города. Количество черкасовских бригад увеличивалось с каждым днем. Уже 20 июня на помощь строителям вышло 6 тыс. человек, а к концу месяца на стройках работало более 10 тыс. человек — почти шестая часть городского населения[49]. О масштабах, которые приняло это движение, можно судить по следующим данным. В Курске в 1944 г. работало 1540 добровольческих бригад в составе 27 тыс. человек. Они отработали в неурочное время 2,5 млн человеко-часов и выполнили работу стоимостью в 3,5 млн рублей. За этот же период население Киева отработало на восстановлении города 359 тыс. человеко-дней, а Харькова — 324 тыс.[50].

Благодаря самоотверженному труду рабочих, колхозников и советской интеллигенции народное хозяйство пострадавших от фашистской оккупации областей быстро восстанавливалось. Еще не утихли орудийные залпы на фронте, а в строй действующих предприятий уже вступали разрушенные гитлеровцами заводы, фабрики. К концу 1944 г. было восстановлено более тысячи шахт, 14 доменных печей, 36 прокатных станов, несколько коксовых батарей и свыше 43 тыс. км железнодорожных путей, что составляет около 40% всей довоенной длины железных дорог СССР[51]. К началу 1943 г. удалось ввести в строй действующих более 6 тыс. предприятий[52], а к лету того же года наладить работу 2/3 всех промышленных предприятий освобожденных районов.

Преодолевая огромные трудности, возрождалось здесь и сельское хозяйство. На территории Украины к концу 1944 г. было восстановлено 26 433 колхоза, 1225 МТС, 443 совхоза[53]. В Белоруссии к этому времени

---

[47] «Труд», 14.X 1943.

[48] ЦПА ИМЛ, ф. 17, оп. 1, ед. хр. 2278, л. 59.

[49] «Партийное строительство», 1944, № 1, стр. 18.

[50] «Правда Украины», 13.VI 1945.

[51] Н. Вознесенский. Военная экономика СССР в период Отечественной войны, стр. 61.

[52] ЦГАОР, ф. 687/с, оп. 48, ед. хр. 3550, л. 178.

[53] Там же, л. 172.

работали 9608 колхозов и 316 МТС. В посевную кампанию 1944 г. в освобожденных районах СССР было засеяно 16,9 млн га[54].

Трудовые и политические успехи, достигнутые в освобожденных районах, играли немаловажную роль в укреплении советского тыла. Они содействовали росту военно-экономического потенциала страны. Усилия вызволенного из фашистской неволи населения вливались в общий труд советского народа, самоотверженно готовившего условия для окончательного разгрома гитлеровской Германии.

---

[54] Н. Вознесенский. Указ. соч., стр. 62.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჭიათურის მუშათა რევოლუციური მოძრაობის ისტორიიდან (1901—1921 წწ.)*

მ. ჯიჯეიშვილი

(წარმოადგინა საქ. სსრ მეცნ. აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტმა)

ჭიათურას დიდი რევოლუციური ტრადიციები აქვს. ჭიათურელი მუშების ბრძოლა მჭიდროდ იყო დაკავშირებული საქართველოსა და მთელი რუსეთის პროლეტარიატის რევოლუციურ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან. 900-იანი წლებიდან მოყოლებული რუსეთის მუშათა მოძრაობის ისტორიაში არ ყოფილა არც ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელსაც ჭიათურის პროლეტარიატი არ გამოხმაურებოდა. ამიტომ ჭიათურის მუშათა მასების რევოლუციური ბრძოლების შესწავლას აქვს უდიდესი მნიშვნელობა.

1. ჭიათურის მანგანუმის მრეწველობა და მუშათა მასების სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობა

XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან ჭიათურა საქართველოსა და ამიერკავკასიის სამთამადნო მრეწველობის ერთ-ერთი მსხვილი ცენტრი გახდა. ჭიათურის მანგანუმი ჯერ კიდევ 40-იან წლებში იყო ცნობილი, მაგრამ მისი უშუალო მოპოვება და დამუშავება პირველად განახორციელა ცნობილმა ქართველმა მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ აკაკი წერეთელმა. მიუხედავად თანამემამულეთა გულისწყრომისა, ჩვენმა სასიქადულო მწერალმა დიდი შრომა გასწია, რათა ბუნების წიაღში ჩაწოლილი ეს სიმდიდრე ხალხის კეთილდღეობის სამსახურში ჩაეყენებინა. 1879 წელს მან პირველმა დაიწყო მანგანუმის საბადოს სამრეწველო ექსპლოატაცია[1]. იმავე წელს მისი სახელით გავიდა აგრეთვე მანგანუმის პირველი პარტია მსოფლიო ბაზარზე და სულ რაღაც 10 წლის განმავლობაში მტკიცედ დაიპყრო იგი. ამ წარმატებას ხელს უწყობდა მისი მდიდარი ხარისხი, დიდი მარაგი, დამუშავების სიადვილე და საბადოს ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა.

ჭიათურის მანგანუმის მრეწველობის რევოლუციამდელი ისტორია ძირითადად 3 პერიოდად იყოფა. პირველ პერიოდში (1879—1895 წწ.) ჭიათურის საბადოებში ამოღებულ იქნა 1 232 ათასი ტონა მანგანუმის მადანი. მისი მთა-

---

* მოხსენდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო სხდომის გამსვლელ სესიას ჭიათურაში 1960 წლის 14 ივნისს.

[1] ა. ქ ო ჭ ლ ა ვ ა შ ვ ი ლ ი, აკაკი წერეთელი და ჭიათურის მარგანეცი, თბილისი, 1958.

ვარი მომხმარებლები იყვნენ ინგლისი, საფრანგეთი, ჰოლანდია, ბელგია, გერმანია. ამ ეტაპზე ჭიათურა იძლეოდა მანგანუმის მსოფლიო მოპოვების 25—42 პროცენტს და მასზე მოდიოდა ევროპაში მოხმარებული მთელი მანგანუმის ერთი მესამედი[2].

მაღნის მოპოვება და დამუშავება მამაპაპური შრომის იარაღებით წარმოებდა. შრომის პირობების დაცვას ყურადღება არ ექცეოდა. ამას თან ერთოდა მანგანუმის გადაზიდვის პრიმიტიული საშუალებანი (ურმები. სახალვადრო ცხენები) და მეტისმეტად ცუდი გზები, რაც ხშირ შემთხვევაში მარცხს იწვევდა. ჭიათურის სამადნო არარაციონალური დამუშავება, მისი მეტაცებლური ექსპლოატაცია სამადნო გამოფიტვის პროცესს აჩქარებდა. ფრანგი პროფესორი ევრარი, რომელმაც გასული საუკუნის ბოლოს დაათვალიერა ჭიათურის მანგანუმის წარმოება, წერდა: „თითქმის მთელი მსოფლიოს მარგანეცის სამადნოები შემომიელია, მაგრამ ისეთი მდიდარი სამადო, როგორიცაა ჭიათურა. მარგანეცის მოხერხებული და ადვილად დასამუშავებელი განლაგებით, არსად მინახავს, მაგრამ მადნის ამოღების არც ასეთი მტაცებლური წესები მინახავს“[3].

მანგანუმის დიდი რაოდენობით მოპოვებისათვის ჯერ კიდევ არ იყო შექმნილი საჭირო ტექნიკური და ეკონომიური პირობები. წვრილ მრეწველებს, რომელთაც უმთავრესად ეკუთვნოდათ საწარმოები, არ ჰქონდათ საჭირო კაპიტალი და წარმოების არსებითი გაუმჯობესების შესაძლებლობა.

1895 წელს ჭიათურა-შორაპანს შორის გაყვანილ იქნა ვიწრო ლიანდაგიანი რკინიგზა, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მანგანუმის მრეწველობის განვითარებას. ჭიათურაში შეიქმნა უცხოური გაერთიანებანი—„დარკვეთი“. „ლუი პანასიე“, „კარეტ“, „გელზენკირხენი“ და სხვ. გაუმჯობესდა მადნის მოპოვებისა და დამუშავების ტექნოლოგია, საგრძნობლად გაიაფდა მისი ტრანსპორტირება ზესტაფონამდე. საქართველოს მანგანუმის მრეწველობის ისტორიაში დაიწყო მეორე ეტაპი, რომელიც გრძელდებოდა 1914 წლამდე. მისი დამახასიათებელია, უპირველეს ყოვლისა, მადნის მოპოვების ზრდა. ასე მაგალითად, თუ 1895 წელს მოპოვებულ იქნა 160 ათასი ტონა მადანი, 1913 წელს ეს მაჩვენებელი 965,8 ათას ტონამდე გაიზარდა. ამ პერიოდში ჭიათურის მანგანუმის ხვედრითი წილი ყოველწლიურ მსოფლიო ექსპორტში 40 პროცენტს შეადგენდა და კვლავ პირველ ადგილს ინარჩუნებდა[4].

ჭიათურის მანგანუმის მრეწველობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული მსოფლიოს მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებში მეტალურგიული მრეწველობის მდგომარეობასთან და უშუალოდ განიცდიდა იმ ცვლილებებს, რასაც ადგილი ჰქონდა მსოფლიო კაპიტალისტური მეურნეობის სისტემაში. ამიტომ არაა გასაკვირი, როცა მაგალითად, 1900—1903, ან 1907—1908 წლებში მსოფლიოს მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებში (ინგლისი, ამერიკის შეერთებული შტატები, გერმანია, საფრანგეთი...) მძვინვარებდა ჭარბი წარმოების

---

[2] იხ. „Труды Имп. Кав. Общества сельского хозяйства.“ Тифлис, 1892, № 7—8, გვ. 416—435.

[3] ა. გ ა გ ა შ ვ ი ლ ი, ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის ისტორიიდან, თბილისი, 1957, გვ. 10.

[4] ვ. ჯ ო ღ ო შ ვ ი ლ ი, ჭიათურა, ეკონომიურ-გეოგრაფიული ნარკვევი, თბილისი, 1939, გვ. 30—33.

ეკონომიური კრიზისი და ამის გამო ეცემოდა თუჯისა და ფოლადის წარმოება[5], ჭიათურის მანგანუმის მოპოვება, ექსპორტი და მუშათა რაოდენობა მკვეთრად შემცირდა. ეს ნათლად ჩანს ქვემოთ მოყვანილ ცხრილში.

ჭიათურის მანგანუმის მადნის მოპოვება, ექსპორტი და მუშათა რაოდენობა 1901-1920 წლებში[6].

წლები	მანგანუმის ამოღება ათას ფუთობით	მანგანუმის ექსპორტი ათას ფუთობით	მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობა
1900	40363,4	28698,3	3702
1903	22974,6	29952,6	2004
1906	50170,0	30895,9	5082
1909	36506,0	35088,6	3123
1913	59188,0	65826,0	3580
1915	15737.0	540,0	1407
1917	12488,0	6256,0	1238
1920	7358,0	10735,0	462

1913 წლამდე მანგანუმის მადანი ყველაზე დიდი რაოდენობით ამოღებულ იქნა 1900 წელს (40363,5 ათასი ფუთი), მაგრამ როცა 900-იან წლებში დაიწყო მსოფლიო ეკონომიური კრიზისი, მანგანუმის მადნის მოპოვება ჭიათურაში მნიშვნელოვნად შემცირდა, 1903 წელს იგი, 1900 წელთან შედარებით, 43,1 პროცენტით დაეცა, ხოლო მუშათა რაოდენობა თითქმის განახევრდა.

1904—1905 წლებში კაპიტალისტური ქვეყნების მრეწველობა ეკონომიური კრიზისიდან გამოვიდა, დაიწყო მეტალურგიული მრეწველობის აღმავლობა, მსოფლიო ბაზარზე გაიზარდა მანგანუმის მოთხოვნილება. ამის გამო გაძლიერდა მადნის მოპოვება ჭიათურაშიც. 1906 წელს, 1904 წელთან შედარებით, მისი მოპოვება 150 პროცენტით გაიზარდა, ხოლო მუშათა რიცხვი 40 პროცენტით გადიდდა[7].

1907—1908 წლებში მსოფლიოს მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებში კვლავ მიმდინარეობდა ჭარბი წარმოების ეკონომიური კრიზისი, რამაც თითქმის დაცემამდე მიიყვანა საქართველოს მანგანუმის მრეწველობა. საკმარისია ითქვას, რომ 1908 წელს ჭიათურის „შავი ოქროს“ ხვედრითი წონა მანგანუმის მსოფლიო მოპოვებაში (რუსეთის გარდა) 7.6 პროცენტამდე დაეცა. 1909 წელს ჭარბი წარმოების მსოფლიო ეკონომიური კრიზისი დამთავრდა. კაპიტალისტური ქვეყნების ძალთა განლაგებაში სერიოზული ცვლილებანი მოხდა. იმპერიალისტურმა ქვეყნებმა დაიწყეს მზადება მსოფლიოს ხელახალი გადანაწილებისათვის. ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიურობდა გერმანია, რომელმაც საომარი საჭურველის დასამზადებლად ძალზე განავითარა მეტალურგიული მრეწველობა. მსოფლიო ბაზარზე გაიზარდა მანგანუმის მოთხოვნილება. გერმანელი კაპიტალისტები ცდილობდნენ, რაც შეიძლება მეტი ოდენობით შეეს-ყიდათ ჭიათურის მანგანუმის საბადოს ნაკვეთები და მაქსიმალურად გაეღრმავებინათ მადნის ამოღება. ამის გამო მანგანუმის მადნის მოპოვება 1913 წელს

---

[5] იხ. „Мировые экономические кризисы 1848—1935 г“., Москва, 1937, ტ. I, გვ. 245—305.

[6] ცხრილი შედგენილია ჩვენს მიერ შემდეგი წყაროების საფუძველზე: საქართველოს სსრ ცსია, ფ. 264, ს. 5328, ფურც. 118; „სტატისტიკური კრებული 1909—1921 წწ.“, გვ. 49, 50, 53; „შავი ქვის სტატისტიკა 1918—1923 წწ.“, გვ. 98, 103, 121, 165; ქ ს. კ ვ ა ნ ტ რ ე, საქართველოს სამთამადნო მუშაობა მოძრაობის ისტორია, გვ. 104, 154, 158; **„Закавказье,“ статистико-экономический сборник, Тифлис, 1925, გვ. 113, 367.**

[7] ს. ტ უ ლ ა შ ვ ი ლ ი, ნარკვევები საქართველოს მრეწველობის ისტორიიდან, თბილისი, 1958, გვ. 71.

1908 წლის მაჩვენებლებთან შედარებით, თითქმის 9-ჯერ გადიდდა, ხოლო მისი ხვედრითი წილი მანგანუმის მადნის მსოფლიო მოპოვებაში 7,62 პროცენტიდან გაიზარდა 42,71 პროცენტამდე[8].

1914 წლიდან ჭიათურის მანგანუმის მრეწველობაში დაიწყო მესამე პერიოდი, რომელიც გრძელდებოდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებამდე. ამ ეტაპზე მანგანუმის მრეწველობის მდგომარეობა მეტად მძიმე იყო. ომის გამო დარდანელის სრუტე ჩაიკეტა და ჭიათურის მანგანუმი მისი ძირითადი მომხმარებლის—დასავლეთ ევროპის ქვეყნებისაგან წლების მანძილზე იზოლირებული აღმოჩნდა. მართალია, ჩვენი მანგანუმის ერთ-ერთი მომხმარებელი იყო რუსეთიც, მაგრამ 1907 წლიდან იგი თავის მოთხოვნილებას ძირითადად ადგილობრივი მადნით იკმაყოფილებდა და საქართველოს მანგანუმი რუსეთის მეტალურგიულ მრეწველობაში მხოლოდ დამხმარე როლს ასრულებდა. 1915 წელს ჭიათურიდან რუსეთში გატანილ იქნა 1 345 ათასი ფუთი მანგანუმი, 1917 წელს—2 919 ათასი ფუთი[9].

ყოველივე ამის გამო ჭიათურის მანგანუმზე მოთხოვნილება ძალზე დაეცა, მანგანუმის მრეწველობა დაქვეითების გზას დაადგა, მრეწველთა ფინანსური მდგომარეობა ერთობ გაუარესდა. ჭიათურის მანგანუმის მრეწველთა საბჭო ჯერ კიდევ 1917 წლის თებერვლის რევოლუციამდე შეეცადა გაეტარებინა ღონისძიებანი სამრეწველო კრიზისიდან თავის დასაღწევად, მაგრამ ვითარება ამით არ შეცვლილა. კრიზისი მეტად მწვავე იყო, მდგომარეობა თითქმის უიმედო ჩანდა. მიუხედავად ამისა, ქართველ მრეწველთა ერთი ნაწილი იმედს არ კარგავდა, მანგანუმის მადნის მოპოვებას განაგრძობდა და ცდილობდა ხელი შეეწყო მრეწველობის გაეროვნულებისათვის, შეესყიდა მეფის მთავრობის გადაწყვეტილებით რუსეთის ტერიტორიაზე, მათ შორის ჭიათურის რაიონში, გაუქმებული გერმანული ფირმების ქონება.

მაგრამ მსოფლიო ომის ვითარებაში, როცა მანგანუმის მადანს ბაზარი თითქმის არ გააჩნდა, გერმანული ფირმების შესყიდვის სურვილი და სახსრები ბევრ მრეწველს არ აღმოაჩნდა, ამიტომ ქართველმა საზოგადო მოღვაწეებმა, რომლებიც უცხოური ფირმების საწარმოთა შეძენას მჭიდროდ უკავშირებდნენ ეროვნული მრეწველობის განვითარებას, ურჩიეს ჭიათურის მანგანმრეწველთა ყრილობის საბჭოს მიეღო ზომები სალიკვიდაციო გერმანული ფირმების საწარმოთა შესაძენად. მაგრამ 1916 წლის ოქტომბერში მანგანმრეწველთა ყრილობაზე გამოირკვა, რომ მრეწველთა საბჭოს ფინანსური მდგომარეობა უმწეო იყო და ამ პატრიოტული ღონისძიების გატარება დამატებითი სახსრების გარეშე მას არ შეეძლო. ამას თან დაერთო თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია, რის გამოც საქართველოშიც შეწყდა გერმანული ფირმების სალიკვიდაციო სამუშაოები, ფირმები ისევ ძველ მეპატრონეთა ხელში დარჩა.

ხანგრძლივი იმპერიალისტური ომის გამო ჭიათურის მანგანუმის მრეწველობა კვლავ მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა. წარმოების განვითარებას მთავრობის გახსაკუთრებული ყურადღება და დახმარება ესაჭიროებოდა, მაგრამ იგი ამას არ აკეთებდა და მთელ იმედებს მრეწველთა პირად ინიციატივაზე ამყარებდა. მაგრამ ცალკეულ მრეწველებს საამისო თანხა არ გააჩნდათ, მრეწ-

[8] იხ. „Чиатурская Марганцевая промышленность," Тбилиси, 1929, გვ. 3.

[9] იხ. „მაკი ჭვის სტატისტიკა 1918—1923 წწ.", თბილისი, 1924, გვ. 2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველთა საბჭო კი ვალებში იყო ჩავარდნილი და მათთვის ფინანსური დახმარება არ შეეძლო. ქართველ მრეწველებს ძალზე უჭირდათ მანგანუმის ექსპორტირება მსოფლიო ბაზარზე. ამიტომ 1918 წლის სექტემბერში შეიქმნა ქართველ მრეწველთა გაერთიანება—„ჭიათურის მანგანუმის მრეწველთა საქმეო საზოგადოება“, რომლის შემადგენლობაში გაერთიანდა მანგანუმის დამუშავების, ყიდვის, გაყიდვისა და მსოფლიო ბაზარზე გატანის უფლების მქონე ყველა პირი და მესაკუთრე[10].

საქმეო საზოგადოების გამგეობის პირველი თავმჯდომარე იყო ნ. ნიკოლაძე. გამგეობა ხელმძღვანელობდა მანგანუმის მოპოვება-დამუშავებისა და ექსპორტის ყველა ძირითად საკითხს. მისი ადგილსამყოფელი იყო ქ. თბილისი. ახალი წევრების მიღება წარმოებდა საზოგადების საერთო კრებაზე. ახალი წევრი ვალდებული იყო საზოგადების განკარგულებაში შეეტანა თავისი საწარმო. სამადოს ადგილი ან სათანადო კაპიტალი.

„ჭიათურის მანგანუმის მრეწველთა საქმეო საზოგადოება“ არსებობდა 1925 წლამდე. ამ ხნის განმავლობაში მასში გაერთიანებული იყო 220-მდე წვრილი და საშუალო მრეწველი. მენშევიკური ხელისუფლების წლებში საზოგადოებას მეტად ძნიმე პირობებში უხდებოდა მუშაობა. ფულის სყიდვითი უნარიანობა ყოველდღიურად ეცემოდა. საკმარისია აღინიშნოს, რომ 500 მანეთიანი აქცია მხოლოდ ხახვარი ფუთი სიმინდის ფასი იყო. ასეთ ვითარებაში საზოგადების გამგეობის ცდა, უცხოეთის სახელმწიფოებში ეშოვნა გრძელვადიანი სესხი და ამით რამდენადმე გამოესწორებინა მანგანუმის მოპოვებისა და ექსპორტის საქმე, მნიშვნელოვან შედეგებს არ იძლეოდა. მანგანუმის მრეწველობა კვლავ სავალალო მდგომარეობაში იმყოფებოდა. ეს ერთხელ კიდევ აღინიშნა საქმეო საზოგადოების კრებაზე (1920 წლის მარტი), რომელმაც აირჩია საზოგადების გამგეობის ახალი შემადგენლობა და განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა „ჭიათურის მანგანუმის საექსპორტო საზოგადოებაში“ („ჩემო“) მონაწილეობასა და მოწინავე პოზიციების დაკავებას. საქმეო საზოგადოება თავის საქმიანობას მხოლოდ „ჩემოს“ საშუალებით ახორციელებდა და „ჩემოს“ ლიკვიდაციასთან ერთად დასრულა თავისი არსებობა[11].

1919 წლის ბოლოს გამოცხლდა ჭიათურის მანგანუმის მრეწველობა, რაც ძირითადად „ჩემოს“ მოღვაწეობით იყო გამოწვეული. 29 ოქტომბერს ჭიათურის 12 მრეწველმა შეადგინა საექსპორტო საზოგადოება, რომელიც მიზნად ისახავდა უცხოეთში მანგანუმის გატანას. 12 ნოემბერს საზოგადოების წევრებმა მთავრობასთან დადეს წინასწარი ხელშეკრულება, რომლითაც ვალდებულება იკისრეს 1 წლის განმავლობაში შეედგინათ ამხანაგობა „ჭიათურის შავი ქვის საექსპორტო საზოგადოების“ სახელწოდებით. ხელშეკრულებაში შეტანილი იყო მთავრობისა და „ჩემოს“ ძირითადი ვალდებულებანი.

ამ ხელშეკრულებით მენშევიკურმა მთავრობამ დაარღვია საქართველოს დამფუძნებელი კრების 1919 წლის 2 აგვისტოს კანონი საზღვარგარეთის ქვეყნებთან ვაჭრობაში, მათ შორის მანგანუმის გაზიდვაზე სახელმწიფო მონოპოლიის დაწესების შესახებ. მონოპოლიური უფლების დათმობისათვის „ჩემოს“

---

[10] იხ. „Устав Акционерного общества Чиатурских Марганпромышленников“. Тифлис, 1918. გვ. 1.

[11] ვ. ლ. ჭანიშვილი, მანგანუმის მადნის მრეწველობის განვითარება საქართველოში, თბილისი, 1960, გვ. 354.

მთავრობის სალაროში უნდა შეეტანა მანგანუმის ექსპორტში აღებული მთელი საზღვარგარეთული ვალუტა, გარდა იმ ნაწილისა, რაც საჭირო იყო გაზიდვის ხარჯებისა და მრეწველობისათვის გამოსადეგი საგნების შესაძენად. უცხოური ვალუტის მაგიერ მენშევიკური მთავრობა „ჩემოს“ აძლევდა ქართული ფულის ნიშნებს არსებული კურსის მიხედვით სტერლინგებზე. საექსპორტო საზოგადოება მთავრობას უხდიდა ადგილზე მანგანუმის ექსპორტიდან მიღებული წმინდა მოგების 25 პროცენტს. 12 ნოემბრის წინასწარი ხელშეკრულებით საექსპორტო საზოგადოების დროებითი კომიტეტი მუშაობდა 1920 წლის ივნისამდე, მთავრობის მიერ საექსპორტო საზოგადოების წესდების დამტკიცებამდე[12].

საექსპორტო საზოგადოების დროებითმა კომიტეტმა შეადგინა საზოგადოების წესდების პროექტი, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად განიხილა მანგანმრეწველთა 23-ე ყრილობამ 1920 წლის ივნისის დასაწყისში. ყრილობამ მთავრობაში გაგზავნა დელეგაცია, რომელმაც იშუამდგომლა ხელისუფალთა წინაშე, რათა დაეჩქარებინა საექსპორტო საზოგადოების წესდების დამტკიცება, წესდებაში გაეთვალისწინებინა საზოგადოების ხელმძღვანელ ორგანოში მრეწველთა ყრილობის 2 ან მეტი წარმომადგენლის მონაწილეობა.

მთავრობამ დააკმაყოფილა მრეწველთა ყრილობის დელეგაციის შუამდგომლობა. 18 ივნისს საქართველოს ფინანსთა, ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრმა დაამტკიცა საექსპორტო საზოგადოების წესდება, რომელშიც შეტანილი იყო 12 ნოემბრის წინასწარი ხელშეკრულების ყველა ძირითადი მუხლი. ახალი შეთანხმების საფუძველზე „ჩემოს“ 20 წლით მიენიჭა საქართველოს საზღვრებიდან მანგანუმის გატანის უფლება. თავის მხრივ, „ჩემო“ ვალდებული იყო სახელმწიფოსათვის მიეცა წმინდა მოგების 35 პროცენტი. „ჩემოს“ უფლება ჰქონდა საზღვარგარეთ გაეტანა საზოგადოების არაწევრთა მანგანუმის ზედმეტი, მაგრამ აქ მოგების ნახევარი რჩებოდა საზოგადოებას, ნახევარი—მთავრობას.

1920 წლის ივნისისთვის „ჩემოში“ გაერთიანებული იყო 20 მსხვილი ფირმა და საზოგადოება. მათ შორის: „ჭიათურის მანგანუმის მრეწველთა სააქციო საზოგადოება“, „კავკასიის მაღაროების ამხანაგობა“, „გელზენკირხენის სამთომომპოვებელი საზოგადოება“, სააქციო საზოგადოება „კავკასიის მარგანეცი“, „ძმ. ჩილიხგაროვების სავაჭრო სახლი“, ლონდონის ფირმა „დიუპრე და კომპანია“, მარგანეცის მრეწველი მ. მანულიანისა და სხვ.[13]. „ჩემოში“ გაერთიანებულ ორგანიზაციათა შორის ყველაზე მსხვილი იყო „ჭიათურის მანგანუმის მრეწველთა სააქციო საზოგადოება“, რომლის ხვედრითი წილი „ჩემოს“ სამეურნეო ოპერაციების საერთო მოცულობაში 1920 წლის ივნისში შეადგენდა 38.15 პროცენტს. 1921 წლის თებერვალში ეს მაჩვენებელი 51.44 პროცენტამდე გაიზარდა[14].

„ჭიათურის მანგანუმის საექსპორტო საზოგადოებამ“ 5 წელი იარსება. 1919-1921 წლების მარტო 15 თვის განმავლობაში საზღვარგარეთის ქვეყნებში მან გაიტანა 190.077 ტონა მანგანუმი. აქედან ჩვეულებრივი მადანი შეადგენ-

[12] იხ. „შავი ქვის სტატისტიკა 1918—1923 წწ.“, გვ. VII—VIII.

[13] იხ. „Устав Чиатурского Экспортного Марганцевого Общества.“ Тифлис, 1920, გვ. 20—22.

[14] საქართველოს სსრ ორსმცსა, ფ. 360, ს. 41, ფურც. 48.

და 111 314,4 ტონას, გარეცხილი მადანი—6819,5 ტონას, პიროქსიდი—10567.6 ტონას[15]. საექსპორტო საზოგადოებამ ბევრი მნიშვნელოვანი და სასარგებლო საქმე გააკეთა საქართველოს მანგანუმის მრეწველობის განვითარებისათვის. ამიტომ მისთვის საბჭოთა ხელისუფლებას ხელი არ უხლია და იგი მუშაობას განაგრძობდა ჰიათურის მანგანუმის საბადოს ჰარმანის კომპანიისათვის გადაცემამდე.

* *
*

ჰიათურის სამრეწველო განვითარებამ გამოიწვია ქალაქის მოსახლეობის სწრაფი ზრდა, მუშათა დიდი ნაკადის მოზღვავება. მუშათა კონტინგენტის შევსების ძირითადი წყარო იყო იმერეთის, სამეგრელოსა და გურიის გლეხობა. საქართველოს სოფლის მეურნეობაში კაპიტალიზმის განვითარების შედეგად მიმდინარეობდა გლეხობის დიფერენციაციის პროცესი. „სოფელი გლეხობის ძნიშნელოვანი ნაწილისათვის დედინაცვლად იქცა. მუდმივი გაჭირვება, უმუშევრობა, შიმშილი გლეხს აიძულებდა გამოთხოვებოდა სოფელს და ახალი პროლეტარული ცხოვრება დაეწყო“[16]. მართლაც, ნახევრად გაპროლეტარებული ელემენტები გაჩანაგებულ სამეურნეო კერას სტოვებდნენ და ეწყობოდნენ ქალაქის საწარმოებში, სადაც ჯერ კიდევ იყო მოთხოვნილება მუშა ხელზე. სოფლად სოციალური წინააღმდეგობანი იზრდებოდა, იგი მკაფიო ანტაგონისტურ ხასიათს იღებდა.

ჰიათურის მუშათა მასები სოციალური მდგომარეობით ორი ჯგუფისაგან შედგებოდა. მუშების ერთ ჯგუფს დიდიხნის გაწყვეტილი ჰქონდა კავშირი სოფლის მეურნეობასთან, გააჩნდა საქართველოსა და ამიერკავკასიის სხვა სამრეწველო საწარმოებში მუშაობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ პოლიტიკური ბრძოლის გამოცდილება და წარმოადგენდა ჰიათურის პროლეტარული არმიის ავანგარდს; ხოლო მუშების მეორე ჯგუფს ჯერ კიდევ არ ჰქონდა გაწყვეტილი კავშირი სოფლის მეურნეობასთან, მაგრამ მიწის მეტისმეტი სიმცირე და მძიმე ეკონომიური მდგომარეობა აიძულებდა წასულიყო სამუშაოდ ქალაქში და შეექმნა არსებობის დამატებითი წყარო. მუშათა ეს ნაწილი, ეკონომიური კრიზისებისა და სხვა მიზეზების გამო ფაბრიკა-ქარხნების დახურვისას ბრუნდებოდა სოფელში და განაგრძობდა მუშაობას საკარმიდამო ნაკვეთზე. ჰიათურის მაღაროებში მუშაობდნენ აგრეთვე რუსი, სომეხი, ბერძენი და სხვა ეროვნების მუშები.

მძიმე იყო ჰიათურის მუშათა მასების შრომის პირობები. ადგილი ჰქონდა ქალებისა და მცირეწლოვანთა შრომის მასობრივ გამოყენებას. სამუშაო დღე 12—14 საათს გრძელდებოდა. მაღაროს დახშული ჰაერი და ჭრაქის ბოლი მუშის ორგანიზმს სწამლავდა. იგი განსაკუთრებით გამანადგურებლად მოქმედებდა ქალთა და მოზარდთა ჯანმრთელობაზე. მართალია, ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იან წლებში გამოიცა კანონი, რომლითაც აიკრძალა ასეთ მძიმე სამუშაოზე ქალთა და მცირეწლოვანთა გამოყენება, მაგრამ ეს კანონი სათანადო კონტროლის არარსებობის გამო მხოლოდ ქაღალდზე დარჩა. მაღაროებში კვლავ იყენებდნენ ქალთა და მცირეწლოვანთა სამუშაო ძალას, რომელიც კაპიტალისტს იაფი უჯდებოდა და უზრუნველყოფდა დიდ მოგებას. 1910

15 გაზ. „კომუნისტი“, 1923, № 257.

16 ა. წ უ ლ უ კ ი ძ ე, თხზულებანი, თბილისი, 1943, გვ. 73—74.

წელს, ინჟ. ა. ცეიტლინის ცნობით, ჰიათურის მანგანუმის მრეწველობაში მუშაობდა 3 213 მუშა, აქედან 360-მდე არასრულწლოვანი იყო[17].

მუშებს არ გააჩნდათ შრომის მტკიცე კანონმდებლობა. მეფის მთავრობის ისედაც კუდმოკვეცილი კანონები ცხოვრებაში არ ტარდებოდა. მდგომარეობა არც მეწმევიკური ხელისუფლების წლებში შეცვლილა. 1920 წლის აგვისტოში საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ მიიღო „შრომის ხელშეკრულების კანონი“, რომელშიც განხილულია მუშა-მოსამსახურეთა დაქირავებისა და დათხოვნის, კოლექტიური და პირადი შრომის ხელშეკრულების დადების, მეწარმისა და მუშის უფლებებისა და შრომის ხელფასის საკითხები. კანონში არ იყო განხილული სამუშაო დროის, დასვენების, ქალთა და მოზარდთა შრომის, პროფკავშირების, შრომის დაცვის, სოციალური დაზღვევისა და მუშათა კანონმდებლობის სხვა ძირითადი საკითხები. ამასთან მეწმევიკური შრომის კანონი არ ვრცელდებოდა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმოება-დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეებზე[18].

შრომის კანონი მუშათა კლასის წინააღმდეგ იყო მიმართული. კანონის 73-ე და 75-ე მუხლების საფუძველზე მეწარმეს უფლება ჰქონდა მუშა დაეთხოვა „დამქირავებლის ნდობის ბოროტად გამოყენების“ ან „დამქირავებლისათვის ძალმომრეობის, დამუქრების“ მოტივით. კომენტარი ზედმეტია! ორივე მუხლი აშკარად იყო მიმართული მუშათა კლასის პოლიტიკური მოძრაობის წინააღმდეგ, მუშას ართმევდა რევოლუციურ ორგანიზაციაში გაერთიანების უფლებას, იცავდა ბურჟუაზიულ წყობილებას.

მანგანუმის მრეწველობაში ყურადღება არ ექცეოდა უსაფრთხოების ტექნიკის დაცვას. ამის გამო ძალზე ხშირი იყო უბედური შემთხვევები. მარტო 1907-1914 წლებში ჰიათურაში ადგილი ჰქონდა 1662 უბედურ შემთხვევას, რომლის დროსაც დაშავდა და გარდაიცვალა 1902 კაცი[19].

ჰიათურის მუშათა მდგომარეობას უფრო აუარესებდა მძიმე საბინაო პირობები. საცხოვრებელი სახლები კერძო მეპატრონეთა ხელში იყო. მაღალი საბინაო ქირის გამო მუშებს ამ სახლებში ცხოვრება არ შეეძლოთ. მუშის ოჯახი ცხოვრობდა ბნელ, ნესტიან და მიწურ ქოხმახებში[20], სადაც გამეფებული იყო ანტისანიტარია. „არა მგონია,—წერდა გაზ. „კვალი“,—სადმე ასეთ არასასურველ მდგომარეობაში იძყოფებოდეს შრომის წარმომადგენელი, როგორც ჰიათურაში... მუშების მეტი ნაწილი ზაფხულში გარეთ, ცის ქვეშ აფენებენ, ხოლო ზამთრობით—შიგ მაღაროებში, რაც კანონით სასტიკად აკრძალულია და დიდდაც მავნებელია მათი ჯანმრთელობისათვის“[21]. ხშირი იყო ისეთი შემთხვევა, როცა „ერთ ოთახში რამდენიმე ოჯახი ცხოვრობდა“[22] და 20 კაცზე მხოლოდ 9 კუბური საჟენი ჰაერი მოდიოდა[23].

---

17 საქართველოს სსრ ცსია, 264, ს. 4580, ფურც. 92.

18 იხ. „კანონთა და მთავრობის განკარგულებათა კრებული“, თბილისი, 1920, № 23.

19 ქ ს. კ ვ ა ნ ტ რ ე, საქართველოს სამთამადნო მუშათა მოძრაობის ისტორია, თბილისი, 1926, გვ. 120.

20 ფ. მ ა ხ ა რ ა ძ ე, თხზულებათა კრებული, თბილისი, 1925, ტ. II, გვ. 5.

21 გაზ. „კვალი“, 1902, № 42.

22 იხ. „საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები“, თბილისი, 1957, გვ. 223.

23 გაზ. „კვალი“, 1903, № 6.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამგვარად, საბინაო საკითხი ჭიათურაში, ისე როგორც ყველა ბურჟუაზიულ ქალაქში, იყო არა მარტო მუშათა ექსპლოატაციის, არამედ მწვავე და გადაუჭრელი სოციალური ურთიერთობის საკითხიც. „სანამ წარმოების კაპიტალისტური წესი არსებობს,— წერდა ფ. ენგელსი,— მანამდე სისულელეა შევეცადოთ გადავწყვიტოთ ბინის საკითხი ან რაიმე სხვა საზოგადოებრივი საკითხი, რომელიც მუშის ბედიღბალს ეხება“[24].

მეტად მცირე იყო ჭიათურის მუშათა ხელფასი, რომელიც კატეგორიების მიხედვით ნაწილდებოდა. მაგალითად, 1905 წლის იანვარში მაღაროს მბრეველი მუშა დღეში იღებდა 1 მან., გადამზიდველი მუშა—80 კაპ., დამხარისხებელ-გადამჭრელი მუშა—60—70 კაპ. მომდევნო კატეგორიის (მტვირთავი, ჩალავადარი) მუშები უფრო ნაკლებ ხელფასს იღებდნენ. ცხოვრების საერთო დონის გაუარესების პირობებში ასე მცირე ხელფასით ოჯახის შენახვა შეუძლებელი იყო[25]. მსოფლიო ომისა და მენშევიკების ბატონობის წლებში კიდევ უფრო გაუარესდა მუშათა მასების ფინანსური მდგომარეობა, ზღაპრულად გაიზარდა პირველი მოხმარების საგნების საბაზრო ფასები, ხელფასისა და საბაზრო ფასებს შორის „შეფარდება დაირღვა... მან კატასტროფული ხასიათი მიიღო“. 1919 წლის სექტემბერში ომამდელთან შედარებით საქართველოს მთ შორის ჭიათურის მუშათა ხელფასი 21,6-ჯერ გაიზარდა, ხოლო პირველი მოხმარების საგნების ფასები 75,4-ჯერ გადიდდა[26]. 1918 წელს მუშა ბევრად უფრო ნაკლებ საკვებს იღებდა, ვიდრე ომამდე[27]. ასეთი მდგომარეობა უარყოფით გავლენას ახდენდა მუშათა ჯანმრთელობაზე და იწვევდა შრომის ნაყოფიერების დაცემას.

მუშათა მასების ეკონომიურ მდგომარეობას უფრო აუარესებდა ის გარემოებაც, რომ შრომის იარაღები ხელფასის ანგარიშიდან ეძლეოდა. მასე აკლდებოდა მანგანუმის მადნის მონგრეველზე დანარჩენი ასაფეთქებელი ნივთიერების ღირებულება. მუშის ხელფასის გარკვეულ ნაწილს ითვლვდა ავრეთვე ჯარიმა, რომელიც წარმოადგენდა მუშათა ეკონომიური ჩაგვრისა და პოლიტიკური დათრგუნვის საშუალებას. „ჯარიმების დანიშნულებაა,— წერდა ვ. ი. ლენინი,— არა ზარალის ანაზღაურება, არამედ დისციპლინის შექმნა... მეპატრონისადმი მუშების დამორჩილება“[28].

ჯარიმების გარდა მუშათა ბიუჯეტს მძიმე ტვირთად აწვებოდა უამრავი ქრთამი, რომელსაც ართმევდნენ ყოველი უმნიშვნელო შემთხვევის დროს, განსაკუთრებით სამუშაოზე მიღებისას. მუშას ყველფდა საწარმოს მეპატრონე, აღმრიცხველი, ზედამხედველი... ისინი სარგებლობდნენ იმითაც, რომ მუშათა დიდმა ნაწილმა არ იცოდა წერა-კითხვა და ატყუებდნენ ნამუშევრის შეფასებაში. „რამდენადაც მწრნელი მეტად გაჰკრავს-გამოჰკრავს,— წერდა გახ. „კვალი“,— ერთი ხელის დაკვრით სასწორის თავს დაბლა დახრის, იმდენად სარგებ-

---

[24] კ. მარქსი და ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, თბილისი, 1950, გვ. 708.

[25] იხ. А. И. Робакидзе, Некоторые стороны быта рабочих Чиатурской Марганцевой промышленности, Тбилиси, 1953.

[26] საქართველოს სსრ ორსმცსა, ფ .24, ს. 69, ფურც. 2—7.

[27] იხ. „Сборник биржа труда,“ Тифлис, 1919, გვ. 53.

[28] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 2, გვ. 24.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობაა თავისი პატრონისა და ამისათვის პატრონიც გულწრფელად და უხვად აჯილდოვებს თავის ერთგულ მოსამსახურეს ასეთი შრომისათვის“[29].

მუშათა მასების მძიმე ფინანსურ-ეკონომიური მდგომარეობის მოწესრიგება მენშევიკებმა მიანდვეს ე. წ. სატარიფო პალატას, რომელიც საქართველოს შრომის სამინისტროსთან შეიქმნა პარიტეტულ საფუძველზე 1919 წლის აპრილში. მასში შედიოდნენ პროფკავშირების, მეწარმეთა და შრომის სამინისტროს წარმომადგენლები. სატარიფო პალატას უნდა მოეწესრიგებინა შრომის ხელფასი, „დაეწესებინა საცხოვრებელი მინიმუმი, გამოერკვია თუ რამდენი პროცენტით გაძვირდა ცხოვრება, დაეწესებინა სავალდებულო ტარიფები წარმოების ყველა დარგში“[30].

1919 წლის მაის-ივლისში სატარიფო პალატამ შეისწავლა 42 პროფესიის მუშათა ხელფასი, რომელთაგან შეარჩია საქართველოსათვის დამახასიათებელი 15 პროფესიის მუშათა განაკვეთი, გამოიანგარიშა მათი საშუალო თვიური მაჩვენებელი და იგი საფუძვლად დაუდო მუშათა ხელფასის შემდგომ ცვლილებას საქართველოში.

1 აგვისტოდან სატარიფო პალატამ 5-ჯერ გაადიდა მუშათა ხელფასის სატარიფო განაკვეთი[31], მაგრამ ამას შედეგად არ მოჰყოლია ხელფასის მოწესრიგება, მუშათა მძიმე ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება. პალატის მიერ მუშათა ხელფასის მომატებას თან ერთოდა პირველი მოხმარების საგნების საბაზრო ფასების ერთი-ორად გადიდება. მარტო 1919 წლის აგვისტოდან 1921 წლის თებერვლამდე მუშათა ხელფასი გაიზარდა 1260,4 პროცენტით, ხოლო პირველი მოხმარების საგნების საბაზრო ფასები—3314 პროცენტით[32].

არც სატარიფო პალატის განაკვეთები ვრცელდებოდა დროულად საქართველოს ყველა სამრეწველო რაიონში. მაგალითად, 1920 წლის 17 იანვარს ჭიათურის პროფესიული კავშირების საბჭოს სხდომაზე აღინიშნა, რომ პალატის მიერ 1919 წლის ნოემბერში დაწესებული ტარიფი მანგანუმის მრეწველობის ყველა მუშაზე არ გავრცელებულა, ამასთან სამთამადნო მუშების შრომის ხელფასის მომატებისას გათვალისწინებული არ ყოფილა ადგილობრივი მოთხოვნილების საგნების საბაზრო ფასები[33].

ამგვარად, სატარიფო პალატის საფინანსო პოლიტიკამ საბაზრო ფასებზე მხოლოდ უარყოფითი გავლენა მოახდინა. იგი აწესებდა საცხოვრებელ მინიმუმზე გაცილებით დაბალ „განაკვეთებს და ამით იწვევდა კვალიფიციურ მუშათა განთესვას“[34]. ამიტომ მუშათა მასების დიდი უმრავლესობა სატარიფო პალატას თავიდანვე ეჭვის თვალით უყურებდა, კაპიტალისტების ორგანოდ მიიჩნევდა და მასში წარმომადგენლებს არ გზავნიდა. „შრომის სამინისტროს ცოტა შრომის დახარჯვა როდი დასჭირდა, რათა დაერწმუნებია მუშათა მასა და

---

[29] გაზ. „კვალი“, 1901, № 36.

[30] გ. პ ი ა ს ე ც კ ი, პროფესიონალური მოძრაობა საბჭოთა საქართველოში, თბილისი, 1924, გვ. 12.

[31] იხ. „Материалы по статистике труда,“ вып. I, Тифлис, 1921, გვ. 17—18.

[32] ს. გ ო დ ა ბ რ ე ლ ი ძ ე, მუშათა საკითხი მენშევიკების და საბჭოთა ხელისუფლების დროს, თბილისი, 1924, გვ. 21.

[33] ჟურნ. „მუშათა ცხოვრება“, 1920, № 4, გვ. 11.

[34] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტიული არქივი, ფ. 8. აღწ. 3, ს. 263, ფურც. 33.

მისი ცალკეული ჯგუფები ამ დაწესებულების მიზანშეწონილობასა და სარგებლობაში მუშათა კლასის ინტერესებისათვის"—აღიარებდა შრომის სამინისტრო მენშევიკური მთავრობისადმი 1919 წლის ოქტომბერში წარდგენილ მოხსენებაში[35].

2. ჭიათურის მუშათა საგაფიცვო მოძრაობა

ჭიათურის მუშათა მასების გაძლიერებული ექსპლოატაცია და პოლიტიკური უუფლებობა იწვევდა მათ მღელვარებას, რომელსაც პირველ ხანებში არ ჰქონდა ორგანიზებული ხასიათი. 1898 წელს დაახლოებით ორასმა ჩალვადარმა სცადა გაფიცვის მოწყობა, მაგრამ იგი უშედეგოდ დამთავრდა. 1903 წლამდე ჭიათურის მუშათა მღელვარებას აშკარა პოლიტიკური ბრძოლის ხასიათი არ მიუღია.

1901 წლიდან რუსეთში დაიწყო სამრეწველო კრიზისი, რასაც შედეგად მოჰყვა მუშათა მდგომარეობის მკვეთრი გაუარესება, რევოლუციური მოძრაობის მძლავრი აღმავლობა. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ბაქოს პროლეტარიატის 1903 წლის ივლისის გაფიცვას, რომელმაც ამიერკავკასიაში საყოველთაო ხასიათი მიიღო. ჭიათურის მუშები აქტიურად ჩაებნენ საგაფიცვო მოძრაობაში და პირველად აღიმაღლეს ხმა კაპიტალისტების წინააღმდეგ. 17 ივლისს, დილის 6 საათზე მუშაობა შეწყვიტა ჭიათურის 200-მდე მტვირთავმა მუშამ. მათ ჯერ შეუერთდნენ ჰიქოურისა და დარკვეთის მტვირთავი მუშები, ხოლო შემდეგ მადაროს მუშები. გაფიცულთა რიცხვი 3 ათასამდე გაიზარდა[36]. მათ მოითხოვეს 8 საათიანი სამუშაო დღის შემოღება, ბავშვთა შრომის აკრძალვა, ხელფასის მომატება, საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება და სხვ.

გაფიცვამ მეტად სერიოზული ხასიათი მიიღო. 18 ივლისს ჭიათურაში ჯარით ჩამოვიდა ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი გენერალი სმაგინი. მისი ბრძანებით დააპატიმრეს მოწინავე მუშები, მათ შორის სან. ლუტიძე, ალ. ბუაძე, ვას. ფორთლაძე, სილ. ჯიშკარიანი. რეპრესიის მიუხედავად გაფიცება წარმატებით გრძელდებოდა. ფართოდ გავრცელდა პროკლამაცია „ჩავი ქვის მუშათა მოთხოვნილება ჭიათურაში", რომელშიც ნათქვამია: „ჩვენი ძმების გმირულმა და ერთობლივმა მოქმედებამ 17 ივლისს ჩვენც ერთად შეგვყარა, შეგვაერთა, ერთი სული ჩაგვდგა და ჩვენს მძარცველებზე იერიში მიგვატანინა. ცველაზე უფრო გვაღელვებს და ზიზღს გვგვრის მთავრობის ურცხვი ჩარევა ამ საქმეში... არა! გვეყო ამდენ ხანს სიჩუმე, ვერ შეგვაშინებს მხეცი მთავრობა თავისი ხიშტებიანი თოფებით... მუშებმა გადავწყვიტეთ შევუერთდეთ ჩვენს შეგნებულ, დღეს გაფიცულ ამხანაგებს კავკასიაში, რათა საერთო ძალით დავსცეთ თავზარი მძარცველ მთავრობას". პროკლამაცია მთავრდებოდა ლოზუნგებით: „ძირს ჩვენი სისხლის მსმელი კაპიტალისტები!", „ძირს თვითმპყრობელი მეფე!", „გაუმარჯოს სოციალიზმს და მომავალ დემოკრატიულ რესპუბლიკას!"[37].

---

[35] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქ. ფილიალის პარტიული არქივი, ფ. 8, აღწ. 3, ს. 263, ფურც. 16—17.

[36] გაზ. „Искра", 1904, № 65.

[37] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტიული არქივი, ფ. 5, აღწ. 4, ს. 522.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭიათურის მუშათა გაფიცვას ფართოდ გამოეხმაურა ლენინური „ისკრა“. მან რუსეთის პროლეტარიატს აცნობა საქართველოს სამთამადნო მუშების პოლიტიკური გამოფხიზლება და გაბედული გამოსვლა მეფის თვითმპყრობელობისა და კაპიტალისტების წინააღმდეგ.

ჭიათურის მუშების პირველი გაფიცვა 29 ივლისამდე გაგრძელდა. მუშათა ზოგიერთი მოთხოვნა დაკმაყოფილებულ იქნა, მაგრამ ეს იყო დროებითი მოვლენა, არსებითად მუშათა მდგომარეობა ისევ მძიმე და აუტანელი დარჩა.

1903 წლის ივლისის გაფიცვა სერიოზული გაკვეთილი იყო ჭიათურის მუშებისათვის. ისინი გამოცდილებით დარწმუნდნენ, რომ ეკონომიური ხასიათის ბრძოლა კაპიტალისტების წინააღმდეგ განუყოფელია პოლიტიკური ბრძოლისაგან, რომ თვითმპყრობელობა ახშობს მუშათა მოძრაობას და იცავს კერძო საკუთრებას, რომ თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ წარმატებითი ბრძოლისათვის საჭიროა მთელი რუსეთის მუშათა კლასის შეკავშირება, გაერთიანება და დარაზმვა.

1904 წლის იანვარში დაიწყო რუსეთ-იაპონიის ომი, რითაც კიდევ უფრო გამწვავდა ჭიათურის მუშათა მასების მდგომარეობა. ომის გამო მანგანუმის ამოღება მნიშვნელოვნად შემცირდა, უმუშევართა რიცხვი გაიზარდა. რსდმპ კავკასიის კავშირის იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ჭიათურაში სააგიტაციო-პროპაგანდისტული და ორგანიზატორული ხასიათის მუშაობას. ამის გამო გაიზარდა და განმტკიცდა მუშათა სოციალ-დემოკრატიული წრეების რიცხვი, წარმატებით გავრცელდა რევოლუციური პარტიული ლიტერატურა, ჩატარდა მუშათა კრებები, სადაც იხილებოდა მუშათა ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობის გაუმჯობესების საკითხები.

ჭიათურის მუშათა მასები დაუყოვნებლივ გამოეხმაურნენ 1905 წლის 9 იანვრის ცნობილ ამბებს. 26 იანვარს ჭიათურაში დაიწყო მუშათა გაფიცვა, რომელშიც მონაწილეობდა 2000-მდე კაცი. მაღაროს მუშებთან ერთად გაიფიცხენ აგრეთვე სად. შორაპნისა და ფოთის მტვირთავი მუშებიც. ჭიათურის ბოლშევიკური კომიტეტის ხელმძღვანელობით ორი თვის განმავლობაში ხელჩართული ბრძოლები წარმოებდა გაფიცულ მუშებსა და პოლიციელებს შორის. 24 თებერვალს სტრაჟნიკებთან ბრძოლაში მოკლულ იქნა მოწინავე მუშა, ჭიათურის მებრძოლი რაზმის წევრი შ. გიუნაშვილი. მისმა სიკვდილმა აალელვა მაღაროს მუშათა მასები. 25 თებერვალს 500-მდე მუშა თავს დაესხა სტრაჟნიკთა საგუშაგოს, სტრაჟნიკები განაიარაღეს, ხოლო შ. გიუნაშვილის მკვლელი სიცოცხლეს გამოასალმეს.

27 თებერვალს შ. გიუნაშვილის დაკრძალვა პოლიტიკურ დემონსტრაციად გადაიქცა. ცხედარს რევოლუციური სიმღერითა და წითელი დროშებით მიაცილებდა 15 ათასამდე კაცი. ამ დღეს რსდმპ კავკასიის კავშირის იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტმა გამოსცა პროკლამაცია, რომელშიც დაუნდობლად ამხელდა მეფის თვითმპყრობელობის შავრაზმულ პოლიტიკას და მუშათა ფართო მასებს მოუწოდებდა კაპიტალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად[38].

1905 წლის მღელვარე დღეებში ბოლშევიკების ხელმძღვანელობით ჭიათურის მუშათა მასების რევოლუციური მოძრაობა აღმავლობის გზაზე იდგა. აქ წარმატებით ჩატარდა საპირველმაისო დემონსტრაცია; 30 აპრილს საწარ-

---

[38] იხ. „რსდმპ კავკასიის კავშირის პროკლამაციები“, თბილისი, 1955, გვ. 337—338.

ძოო-დაწესებულებებში შეწყდა მუშაობა და გაიმართა მიტინგები. ორატორები ხალხს აცნობდნენ პირველი მაისის ინტერნაციონალურ მნიშვნელობას, ლაპარაკობდნენ შეიარაღებული აჯანყებისა და დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარების შესახებ. ორატორთა სიტყვებს რევოლუციურ მასებში დიდი მხარდაჭერა ჰქონდა, რაც მეწშევიკების უდიდეს შეშფოთებას იწვევდა. მენშევიკები ყოველგვარ საშუალებას ხმარობდნენ მასების მისამხრობად. ფრაქციული ბრძოლა მეტად გამწვავდა. 13 ივნისს ჭიათურაში, ჩამთვიდნენ რსდმპ III ყრილობის დელეგატები ი. სტალინი და მ. ცხაკაია. კეკელიძეების სახლში მათ მოიწვიეს ჭიათურის ბოლშევიკური კომიტეტის სხდომა, სადაც განხილულ იქნა პარტიის III ყრილობასა და პროლეტარიატის კლასობრივ ბრძოლასთან დაკავშირებული საკითხები.

18 ივნისს სოფ. შუქრუთში ჩატარდა ჭიათურის მუშათა კრება, რომელშაც დისკუსიის სახე მიიღო. კრებას დაესწრო 200-მდე მოწრინავე მუშა. რსდმპ III ყრილობის დელეგატებმა ვრცლად გააშუქეს ყრილობის ისტორიული მნიშვნელობა და ამხილეს მენშევიკების გამთიშველი საქმიანობა. კრებამ მხარი დაუჭირა ბოლშევიკების რეზოლუციას და მოიწონა პარტიის III ყრილობის გადაწყვეტილებანი. მენშევიკებმა მარცხი განიცადეს.

ფრაქციული უთანხმოება კიდევ უფრო გამწვავდა. ხშირად ტარდებოდა დისკუსიები, სადაც მ. დავითაშვილი, ს. ინწკირველი, მ. ფილია, ნ. ბუაჩიძე, თ. ჩუბინიძე, დ. სულაშვილი, გ. პაროაძე და სხვა ბოლშევიკები წარმატებით ებრძოდნენ მენშევიკებისა და სხვა ანტიმარქსისტული პარტიების წინააღმდეგ და იცავდნენ კომუნისტური პარტიის იდეოლოგიურ, ორგანიზაციულ და ტაქტიკურ საფუძვლებს.

მეტად მნიშვნელოვანი იყო ორი სადისკუსიო მიტინგი, რომელიც ივლისში შეიდა ქალაქის განაპირა რაიონში ე. წ. ფხალაძეების მინდორზე. პირველად დისკუსიას 1500-მდე კაცი დაესწრო და ბოლშევიკების გამარჯვებით დამთავრდა. დისკუსია მეორე დღესაც გაგრძელდა. ამჯერად მას 2000-მდე მუშა ესწრებოდა და უფრო მწვავე ხასიათი ჰქონდა. ბოლშევიკებმა კიდევ ერთი სასტიკი დამარცხება აგებეს მენშევიკებს, რომლებმაც განიზრახეს ობსტრუქციის მოწყობა, მაგრამ მუშებმა მენშევიკი ორატორები კრებიდან განდევნეს და ჩაშალეს მათი განზრახვა. დისკუსიის დასასრულს კვლავ მოეწყო მუშათა გრანდიოზული დემონსტრაცია. დამარცხებული მენშევიკები, ფედერალისტები და მათი თანამოაზრეები იძულებული გახდნენ დატოვებინათ ჭიათურა[39]. დისკუსიის შემდეგ მუშებმა აღმართეს 3 დროშა და დემონსტრაციულად შემოიარეს მთელი ჭიათურა.

1905 წლის 20 ივნისს თბილისში დაიწყო საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა. მას ხელმძღვანელობდა კავკასიის კავშირის კომიტეტი. გაფიცული მუშები მოითხოვდნენ ქალაქიდან ჯარის გაყვანას, ხალხის შეიარაღებას, პოლიტიკური პატიმრების განთავისუფლებას, შავრაზმული „პატრიოტული ორგანიზაციის“ განიარაღებას, სიტყვისა და პრესის თავისუფლებას, დამფუძნებელი კრების მოწვევას. 28 ივნისამდე თბილისში არ მუშაობდა რკინიგზის სახელოსნოები, ფაბრიკები და ქარხნები, მაღაზიები და ტრანსპორტი. ხშირად ეწყობოდა გაფიცული მუშების შეიარაღებული შეტაკება პოლიციელებსა და კაზაკებ-

[39] ი. ხუციშვილი, 1905—1907 წლების რევოლუცია საქართველოში, თბილისი, 1955, გვ. 209—210.

თან, რომლის დროს მოკლეს და დაჭრეს ათობით კაცი, პოლიციელი და ბოქაული[40].

თბილისის ამბების გავლენით მუშათა გაფიცვები დაიწყო ბათომში, სოხუმში, ჭიათურაში, შორაპანსა და საქართველოს სხვა ადგილებში. ყველგან, სადაც კი გაფიცვას ხელმძღვანელობდნენ ბოლშევიკები, იგი პოლიტიკურ ხასიათს ატარებდა, ხოლო იქ, სადაც გაფიცვის სათავეში იდგნენ მენშევიკები, გაფიცვა ეკონომიურ ხასიათს არ სცილდებოდა. მაგალითად, ივნისის ბოლოს გაფიცვა დაიწყო შორაპანში, სადაც მაშინ მწვავედ იგრძნობოდა ბოლშევიკური ჯგუფების სიმცირე. რსდმპ შორაპნის ადგილობრივ ორგანიზაციაში უმრავლესობას მენშევიკები შეადგენდნენ. მათი ხელმძღვანელობით დაიწყო შორაპნის რკინიგზის მუშათა გაფიცვა. გაფიცულებმა ადმინისტრაციას წაუყენეს ეკონომიური ხასიათის რამდენიმე მოთხოვნა, მაგრამ იგი არ იქნა დაკმაყოფილებული. გაფიცული მუშების ნაცვლად შორაპანში სამუშაოდ ჩამოიყვანეს ყაზანელი თათრები და განახორციელეს რეპრესიები გაფიცვის ჩასაშლელად. ასეთ მძიმე ვითარებაში მენშევიკები სოროებში მიიმალნენ და გაფიცული მუშები ბედის ანაბარა მიატოვეს. საჭირო ხელმძღვანელობას მოკლებულმა მუშებმა გადაწყვიტეს მუშაობის განახლება, მაგრამ ამ დროს შორაპანში ჩამოვიდნენ და გაფიცვას სათავეში ჩაუდგნენ ჭიათურის ბოლშევიკური ორგანიზაციის ხელმძღვანელი მუშაკები. ამავე დროს რსდმპ ჭიათურის ორგანიზაციამ შორაპნის მუშათა შორის გაავრცელა ფურცლები, სადაც მათ მოუწოდებდა განეგრძოთ გაფიცვა და მოეთხოვათ ახლად მიღებული ყველა მუშის დათხოვნა. ერთსულოვნებამ გაიმარჯვა. ადმინისტრაციამ მუშათა ყველა მოთხოვნა დააკმაყოფილა[41].

17 ივლისს ჭიათურის მუშათა გაფიცვა განმეორდა. ამჯერად მუშები მოითხოვდნენ ხელფასის 50 პროცენტით მომატებას, შრომის პირობების გაუმჯობესებას, 8 საათიანი სამუშაო დღის შემოღებას, საბინაო პირობების გაუმჯობესებას და სხვ. გაფიცულ მუშებს შეუერთდნენ დარკვეთის, ჭიქოურისა და ღვინვეის მადნოვრებისა და ფრანგული საქციო ანონიმური საზოგადოების ფაბრიკის მუშები. 18 ივლისს გაიმართა დემონსტრაცია. რომელშიც მონაწილეობა მიიღო 4 ათასამდე კაცმა. პოლიციელებმა და სტრაჟნიკებმა ვერ შეძლეს დემონსტრაციის ჩაშლა. იმავე დღეს ქუთაისის გუბერნატორის განკარგულებით ჭიათურაში გაგზავნა ფეხოსანთა ერთი ბატალიონი. დაიწყო „ექვსტანილთა“ დაპატიმრება. მაგრამ ამანაც ვერ გატეხა მაღაროელ მუშათა ერთსულოვნება, გაფიცვა გრძელდებოდა და სულ უფრო მწვავე ფორმას იღებდა[42].

1905 წლის აგვისტოს დასაწყისში რსდმპ იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტის ჭიათურის ორგანიზაციამ გამოსცა პროკლამაცია „ძირს ბორკილები“, რომლითაც მშრომელთა ფართო მასებს მოუწოდა მეფის თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ შეიარაღებული ბრძოლისაკენ. პროკლამაციაში ნათქვამია: „ჩვენი ვალია... თვალი ავუხილოთ ჩვენს ამხანაგებს, შევიტანოთ შეგნე-

---

40 საქართველოს სსრ ცსია, ფ. 63, ს. 6888, ფურც. 64—65.

41 ი. მ ე ლ ქ ა ძ ე, რსდმპ იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტი და 1905—1907 წლების რევოლუცია დასავლეთ საქართველოში, თბილისი, 1960, გვ. 327—328.

42 Н. А. Чахвашвили, Рабочее движение в Грузии (1879—1904 гг.), Тбилиси, 1958, გვ. 282—285.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა ჩვენს მოძმეებში, დავეწყოთ რაზმებად, რომ როცა რუსეთის აჯანყება დაიგრიალებს, ჩვენც სხვებთან ერთად იარაღით ხელში გადავეშვათ მამაცურ ბრძოლაში, სხვებთან ერთად მოვსპოთ დღევანდელი მთავრობა და გზა გავიწალდოთ სოციალისტური ცხოვრებისაკენ"[43].

ჰიათურის ბოლშევიკური ორგანიზაციის პროკლამაცია გავრცელდა იმ პერიოდში, როცა რუსეთის მუშათა კლასსა და მშრომელ გლეხობას განუწყვეტელი იერიში მიჰქონდათ მეფის თვითმპყრობელობაზე. ეს უკანასკნელი სასტიკ რეპრესიებს მიმართავდა მშრომელი მასების რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ. მაგრამ ამ ღონისძიებით მეფის თვითმპყრობელობა სასურველ შედეგს ვერ აღწევდა. მშრომელთა ფართო მასების მღელვარება და რევოლუციური გამოსვლები სულ უფრო ძლიერდებოდა. მაშინ მეფის მთავრობამ შეცვალა ბრძოლის ტაქტიკა და რევოლუციური მოძრაობისაგან მშრომელი მასების ჩამოცილების მიზნით 1905 წლის 6 აგვისტოს გამოაცხადა სახელმწიფო სათათბიროს მოწვევა,

ბოლშევიკურმა პარტიამ სათათბიროს ბოიკოტი გამოუცხადა. ასეთი ტაქტიკა მეფის თვითმპყრობელობის საშუალებას ართმევდა რევოლუციური მოძრაობა ჭეშმარიტი ბრძოლის გზიდან აეცდინა და მონარქისტული კონსტიტუციის გზაზე გადაეყვანა[44]. ეს იყო არა უბრალო უარის თქმა სათათბიროს არჩევნებში მონაწილეობაზე, არამედ იგი გულისხმობდა მშრომელთა ფართო მასებში სააგიტაციო-პროპაგანდისტული და ორგანიზატორული მუშაობის ჩატარებას სათათბიროს წინააღმდეგ, მისი ჩაშლის მიზნით. მენშევიკებმა სათათბიროს მოწვევას ხმარი დაუჭირეს და მასებს მოუწოდეს აქტიური მონაწილეობა მიეღოთ მის არჩევნებში. ამავე დროს მენშევიკებმა ხელი შეუწყეს პოლიციელებსა და შავრაზმელებს მოეწყოთ თბილისის უიარაღო მშრომელთა ხოცვა-ჟლეტა ქალაქის თვითმმართველობის შენობაში (29 აგვისტო).

თბილისის ამბები ჰიათურაში მეორე დღესვე გახდა ცნობილი. 1 სექტემბერს მაღაროს მუშებმა თბილისელი თანამოძმეებისათვის სოლიდარობის ნიშნად საყოველთაო-პოლიტიკური გაფიცვა გამოაცხადეს. გაფიცვის ხელმძღვანელი იყო სტ. ინჟკირველი. მასში მონაწილეობდნენ აგრეთვე საავჭრო დაწესებულებებისა და სხვა საწარმოების მუშა-მოსამსახურენი. 2 სექტემბერს დემონსტრანტებმა შეუერთდნენ მახლობელი სოფლების გლეხთა რაზმები. დემონსტრანტებმა განაიარაღეს პოლიციელები და რევოლუციური სიმღერებით დაბრუნდნენ უკან[45]. 3 სექტემბერს შეიარაღებული რაზმელები თავს დაესხნენ ჰიათურის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორას და გაიტაცეს 43 ათასი მანეთი. ეს თანხა ბოლშევიკებმა გამოიყენეს საბრძოლო იარაღის შესაძენად.

ბოლშევიკების ავტორიტეტი და გავლენა შორაპნის მაზრის მშრომელ მოსახლეობაში გაიზარდა და განმტკიცდა. ამას ერთხელ კიდევ მოწმობს საერობო თათბირების მასალაც. ცნობილია, რომ მენშევიკებმა ერობის შემოღებას ხმარი დაუჭირეს და მის არჩევნებში მონაწილეობის მიღება მოითხოვეს. ბოლშევიკებმა კი პარტიის III ყრილობის გადაწყვეტილების შესაბამისად საერობო კომპანიას ბოიკოტი გამოუცხადეს. ბოლშევიკების ეს ტაქტიკა წარმატებით გა-

---

43 იხ. „რსდმპ კავკასიის კავშირის პროკლამაციები", გვ. 426.

44 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ, თხზ., ტ. 13, გვ. 6—7.

45 საქართველოს სსრ ცსია, ფ. 83, ს. 14, ფურც. 43.

ტარდა ჭიათურის რაიონშიც. ამასთან დაკავშირებით გაზ. „პროლეტარიატის ბრძოლა" წერდა, რომ 24—27 აგვისტოს კაცხში, ითხვისში, სვერში, დილიკოურისა და ჭიათურის სხვა სოფლებში, სადაც შეკრებილი იყო რგანის, კაცხის, ქოსეთის, პერევისის, ხრეითის, ჩხიროულის, მერევის, ბოსლევისა და საზანოს საზოგადოება, მთავრობას ერობის საკითხში პროტესტი გამოუცხადეს, მიტინგები გამართეს და იმღერეს „მარსელიოზა". მენშევიკები სასტიკად დამარცხდნენ[46]. ახლა ისინი ბოლშევიკების წინააღმდეგ ხულიგნურ საშუალებასაც მიმართავდნენ. ამის მსხვერპლი გახდა რამდენიმე ჭიათურელი მოწინავე მუშა. 28 სექტემბერს ღვიმევში მოწყობილი კრების დროს მენშევიკებმა სცემეს და კლდიდან გადააგდეს ბოლშევიკი გიორგი კეკელიძე, რომელმაც მუშებს განუმარტა რევოლუციის ამოცანები და მოუწოდა საბრძოლველად.

1905 წლის ოქტომბერში რუსეთში დაიწყო საყოველთაო გაფიცვა, რომელსაც ფართოდ გამოეხმაურნენ ჭიათურის მშრომელები. 15 ოქტომბერს გაიფიცნენ მაღაროს მუშები და მტვირთავები; შეწყდა მატარებლის მოძრაობაც. სამი დღის შემდეგ ჭიათურაში მოვიდა ცნობა 17 ოქტომბრის მანიფესტის შესახებ. ბოლშევიკებმა ამხილეს მანიფესტის ნამდვილი ხასიათი და მუშათა მასებს მოუწოდეს აჯანყებისაკენ. „მხოლოდ ბრძოლით მოპოვებულ თავისუფლებას დაერქმის ნამდვილი თავისუფლება...—ნათქვამია ჭიათურის ბოლშევიკური კომიტეტის პროკლამაციაში,—ჩვენ ზიზღი და დაცინვა შევუთვალეთ ნიკოლოზს და მის საჩუქრებს... რაც შეიძლება ჩქარა ჩავებათ გამანთავისუფლებელ ბრძოლაში. იარაღს ხელი და წინ!" პროკლამაცია თავდებოდა მოწოდებებით: „ძირს თვითმპყრობელობა!", „გაუმარჯოს შეიარაღებულ აჯანყებას!", „გაუმარჯოს სოციალიზმს!"[47].

ჭიათურაში დაიწყო მზადება შეიარაღებული აჯანყების მოსაწყობად. შეიქმნა მუშათა და გლეხთა მებრძოლი რაზმები. მათ ჩამოყალიბებას ხელმძღვანელობდა სტ. ინწკირველი, ხოლო რაზმს წვრთნიდა ვ. ყიასაშვილი. იარაღის შეკეთება წარმოებდა ჭიათურის ელექტროსადგურის საზეინკლო სახელოსნოში, იქვე მზადდებოდა ვაზნები, ყუმბარები და ცივი იარაღი. იარაღის შეძენის მიზნით 200-მდე წითელრაზმელმა მ. დავითაშვილისა და სტ. ინწკირველის მეთაურობით განაიარაღა ჩხარის საპოლიციო საგუშაგო და ხელთ იგდო 6 შაშხანა, 56 ხმალი და 200 ვაზნა. რაზმელები თავს დაესხნენ აგრეთვე საპოლიციო სამმართველოს, დახიეს მეფის სურათები და წამოიღეს საბრძოლო იარაღი[48]. 4 ნოემბერს ჭიათურის რკინიგზის ხაზზე განახლდა მატარებლის მოძრაობა. ძალაუფლება ხალხის ხელში იყო გადასული. ადმინისტრაცია არსად ჩანდა, მას ყველა დასცინოდა, ყველას ეზიზღებოდა. „გლეხთა ჯგუფები და ჭიათურის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია მოქმედებდნენ როგორც დროებითი რევოლუციური მთავრობა"[49].

დეკემბრის მღელვარე დღეებში ჭიათურის ბოლშევიკები უშუალოდ ხელმძღვანელობდნენ მუშათა და გლეხთა მასების შეიარაღებულ აჯანყებას. ჭიათურის მებრძოლმა რაზმებმა შორაპნისა და ქუთაისის რაზმებთან ერთად საპყრობილეებიდან გაათავისუფლეს პოლიტიკური პატიმრები, ხარაგაულში, ყვი-

[46] გაზ. „პროლეტარიატის ბრძოლა", 1905, № 11.

[47] იხ. „რსდმპ კავკასიის კავშირის პროკლამაციები, გვ. 500.

[48] ზ. გ ვ ე შ ი ძ ე, 1905 წელი ჭიათურაში, იხ. სტატიების კრებული „1905—1907 წლების რევოლუცია საქართველოში", თბილისი, 1955, გვ. 268.

[49] იქვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რილასა და წიფის სადგურთან განაიარაღეს სტრაჟნიკთა და კაზაკთა რაზმები, წიფის გვირაბში ჩახერგეს ორი ორთქლმავალი, რომლის შედეგად შეწყდა სარკინიგზო მიმოსვლა[50]. ამით ხელი შეუშალეს თბილისიდან დამსჯელი რაზმების გადაყვანას დასავლეთ საქართველოში.

1906 წლის იანვარში ჭიათურაში ცნობილი გახდა მოსკოვის შეიარაღებული აჯანყების დამარცხება, რამაც გადაწყვიტა რევოლუციის ბედი მთელ ქვეყანაში. საქართველოში, კერძოდ ჭიათურაში დაიწყო დამსჯელი ექსპედიციების თარეში. განსაკუთრებულ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მებრძოლთა კარმიდამო, ბრძოლაში მოკლეს, დაახპატიმრეს, აწამეს ან ჩამოახრჩვეს ასობით მოწინავე მუშა და გლეხი, მათ შორის სან. ბოჭორიშვილი, გრ. გორდეზიანი, ის. ჭუმბურიძე, ალ. სვანიძე, აფ. მერკვილაძე, პორ. პაიჭაძე, ტრ. აბაშიძე, კოლ. ლორთქიფანიძე და სხვ.[51].

დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების დამარცხების შემდეგ ჭიათურის მუშათა მასებს ფარხმალი არ დაუყრიათ, ისინი განაგრძობდნენ ბრძოლას თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ. 1906 წლის ივნისში ჭიათურაში ჩატარდა მუშათა საყოველთაო გაფიცვა. 8 ივნისს მაღაროებში შეწყდა მუშაობა. ქალაქში დილიდანვე მიწყნარდა ყველაფერი, დაიკეტა მაღაზიები და სახელოსნოები. „ჭიათურა თითქოს მოკვდა. ასეთი ერთსულოვნება არ ახსოვს ჯერ ჭიათურას. გაფიცულთა 10000 მუშა იღებს მონაწილეობას. გაფიცული არიან ავრეთვე შორაპნისა და ფოთის მუშები“[52]. მუშებმა მოითხოვეს 8 საათიანი სამუშაო დღის შემოღება, სანარდო სისტემის მოსპობა. კვირაობით დასვენება, იაფფასიანი სასადილების მოწყობა, ხელფასის მომატება, მაღაროში ახალი ტექნიკის დანერგვა. გაფიცვა 6 ივლისამდე გაგრძელდა და იგი მუშათა გამარჯვებით დამთავრდა. ივნისის გაფიცვამ ცხადყო ჭიათურის მუშათა მასების შეუპოვრობა, ბრძოლისუნარიანობა და რევოლუციური ტრადიციებისადმი ერთგულება.

რეაქციის მძიმე წლებში ჭიათურის ბოლშევიკებმა, მიუხედავად ცარიზმის რეპრესიებისა, შესძლეს შეენარჩუნებინათ იატაკქვეშეთა ორგანიზაცია. უნარიანად შეეხამებინათ მუშაობის ლეგალური და არალეგალური ფორმები და ეწარმოებინათ შეუნელებელი ბრძოლა ბოლშევიკური ლოზუნგების გარშემო მშრომელი მასების დარაზმვისათვის, მოემზადებინათ ისინი ახალი რევოლუციური ბრძოლისათვის.

1912 წლის მაისში დარკვეთის მანგანუმის გამამდიდრებელი ფაბრიკის მუშებმა მოითხოვეს ხელფასის 20 კაპიკით მომატება, მაგრამ ადმინისტრაციამ ეს მოთხოვნა არ დააკმაყოფილა; მაშინ მუშებმა ადმინისტრაციას მოთხოვეს 8 საათიანი სამუშაო დღის შემოღება, საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება და ხელფასის მომატება. შეიქმნა საგაფიცო ბიურო 7 კაცის შემადგენლობით, რომელმაც 6 ივნისს გამოაცხადა დარკვეთის მანგანუმის საბადოს მუშათა გაფიცვა. მუშათა მოთხოვნებს ხელს აწერდა 126 მუშა. ივლისის დასაწყისში ადმინისტრაცია იძულებული გახდა მუშათა მოთხოვნების ერთი ნაწილი დაეკმაყოფილებინა. გაფიცვა მუშათა გამარჯვებით დამთავრდა.

---

[50] ლ. ე ბ ა ნ ო ი ძ ე, საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები 1905—1907 წლების რევოლუციის პერიოდში, თბილისი, 1958, გვ. 345—347.

[51] თ. ყ ე ნ ტ ი, რევოლუციური მოძრაობა შორაპნის მაზრაში, თბილისი, 1927, გვ. 44, 55.

[52] გაზ. „ლამპარი“, 1906, № 46.

ჭიათურის მუშათა მაის-ივნისის გაფიცება პოლიტიკურ ხასიათს ატარებდა. ამის შესახებ ქუთაისის ჟანდარმთა სამმართველოს ერთ-ერთი მოხელე მეფის ხაცვალს აცნობებდა, რომ გაფიცვა მხოლოდ გარეგნულად ატარებდა ეკონომიკური ხასიათს, სინამდვილეში მას ჰქონდა წმინდა პოლიტიკური შინაარსი[53]. გაფიცვის იდეა წარმოიშვა რსდმპ ჭიათურის ორგანიზაციაში[54].

1913 წლის 5 ივნისს ბოლშევიკების ხელმძღვანელობით დაიწყო ჭიათურის მანგანუმის მრეწველობის მუშათა გაფიცვა, რომელიც ბრწყინვალე ფურცელია საქართველოს მუშათა კლასის საგაფიცვო ბრძოლების ისტორიაში. მაღაროელთა გაფიცვას შეუერთდნენ ზესტაფონის სადგურის მტვირთავი, ფოთისა და ბათუმის ნავსადგურების მუშები.

ვენახის პატრონის მიერ გამოყოფილი საბრუნავი კაპიტალი, რა თქმა უნდა, ყოველთვის ერთი და იგივე რაოდენობით ან ფორმით არ გვეკლინებოდა. ზოგი მეპატრონე თუ შაბიამანს აძლეოდა, ზოგი მხოლოდ ჭიგოთი ამარაგებდა ვენახს, ხოლო სხვები ორივე ამას ან სხვა საგნებს გამოჰყოფდნენ. მაგალითად, სოფ. შაშიანში, ჩვეულების მიხედვით, ვენახის პატრონი ვალდებული იყო საჭიარო ვენახი ჭიგოთი უზრუნველეყო. ამ შემთხვევაშიც მოზიარეები ღვინოს შუაზე იყოფდნენ[12].

სოფ. კისისხევის მემამულე თავადები გენო ქობულაშვილი და სოსო ქობულაშვილი 20-20 დეს. ვენახის მფლობელები იყვნენ. ისინი მთელ ვენახებს მეზვრეებს აძლევდნენ სანახევროდ დასამუშავებლად. მაგალითად, სოსო ქობულაშვილის ერთი 14 დესეტინიანი ზვარი 6 მეზვრეს ჰქონდა გადაცემული. ქობულაშვილებთან მეზვრეებად უფრო იმერლები იყვნენ, რომლებიც უმთავრესად თავისი ძალითა და ხარჯით ამუშავებდნენ ვენახს, ხოლო შემდეგ ღვინოს შუაზე უყოფდნენ მემამულეს. ღვინოს სირაჯებზე ჰყიდიდნენ ხოლმე.

მეზვრეები ღვინის გაყიდვის შემდეგ დროებით ისევ დასაღლეთ საქართველოში მიდიოდნენ, ხოლო შუა ზამთარში, როცა მუშაობა იწყებოდა, კვლავ ბრუნდებოდნენ. მათთვის ზვრებში ფიცრის სახლები იდგა და იქ ცხოვრობდნენ. ზოგი იმერელი მეზვრე კახეთში მუდმივ ადგილსამყოფელადაც რჩებოდა.

სოფ. კონდოლში თუ თავადი სანდრო ლეონიძე თავის ზვრებს (30 დეს.) დაქირავებული მუშახელით ამუშავებდა, სხვები, მაგალითად, აბელ მელიქოვი და ჯორჯაძე თავის ვენახებს უკანასკნელს 15-18 დეს. ვენახი ჰქონდა) მოზიარეჭიზვრეებს აძლევდნენ დასამუშავებლად. მეზვრეები ან ადგილობრივი გლეხები ან იმერლები იყვნენ. ამავე სოფელში თელაველი ვაჭარი იაგორ ოსკანოვი თავის ვენახს (6-7 დეს.) ხან თუ დაქირავებული დღიური მუშებით, ან მოჯამაგირეებით (წლიურად დაქირავებული მუშები) უძღვებოდა, ხან მეზვრეებსაც აძლევდა დასამუშავებლად.

სოფ. რუისპირში მემამულეები ვენახებს ჩვეულებრივად მეზვრეების მეშვეობით ამუშავებდნენ. მეზვრეებად ისინი მოსულებს (იმერლებს) ამჯობინებდნენ: „ერთ კაცს (მოსულს) გავუძლებთ, ადგილობრივი კი (ჩვენი სოფლელი კი) მთელი ოჯახით არის და ვენახში მოყვანილი ყურძენი იმას საჭმელადაც არ ეყოფაო". ამ სოფელში თითოეულ მეზვრეს 0.5-2 დეს. ვენახი ჰქონდა აღებული დასამუშავებლად. ყველა სახის სამუშაოს მეზვრე ასრულებდა (თოხნა, შეწამლვა და ა. შ.). თუ შაბიამანი და ჭიგოც მეზვრისა იყო, მაშინ მოსავლის ნახევარი (ღვინის სახით) მისი იყო, ხოლო თუ ჭიგოსა და შაბიამანს მემამულე მისცემდა, მაშინ მეზვრეს მოსავლის ერთი მესამედი შეხვდებოდა.

---

[12] სჰ. ცსსა, ფონდი 243, ანაწერი 7, საქმე 301, ფრც. 8—9. 1899 წელი.

აღსანიშნავია, რომ 900-იანი წლების დასაწყისში აქაური მემამულეთა ვენახების ნაწილი ვაჭართა ხელში გადავიდა, ხოლო უფრო გვიან თითქმის მთელი მემამულური ვენახები რუისპირში 9-10 ვაჭარმა იგდო ხელთ. ამასთან ისინი თავის ვენახებს უმეტესად, ადრეთვე, მოზიარე-მეზვრეების საშუალებით ამუშავებდნენ.

სოფ. ყვარელში თავადები ვენახებს ძირითადად დაქირავებული მუშებით აკეთებდნენ, ხოლო ვაჭრები ან თვითონ ამუშავებდნენ დაქირავებული მუშახელით ან საზიაროდ გასცემდნენ მეზვრეებზე სანახევროდ, რადგან თვითონ არ ეცალათ.

საზიარო მეურნეობის სისტემა არსებობდა აღმოსავლეთ საქართველოს სხვა რაიონებშიც. ადგილობრივი მევენახეობის ერთი გამომკვლევის ცნობით, შიდა ქართლში: „კლეხურ მეურნეობებში ყველა საქმეშაოს, ჩვეულებრივად, ვენახის პატრონები და მათი ოჯახის წევრები ასრულებენ; მხოლოდ ხანდახან, განსაკუთრებული საჭიროების შემთხვევაში, გლეხები მიმართავენ მეზობლებს დახმარებისათვის. რაც შეეხება მემამულეებს და ვაჭრებს, ისინი თავიანთ ვენახებს ამუშავებენ ან დაქირავებული მუშახელით, ძალზე ჭირად თავისი პირადი მეთვალყურეობით, ან უპირატესად ვენახებს იჯარით მეზობლებზე, უმეტესად იმერლებზე გასცემენ... მოიჯარეს ჩვეულებრივად ეძლევა მოსავლის ნახევარი და ადრეთვე ვენახებში ბოსტნეულის მოყვანისა და მისი მოსავლით სარგებლობის უფლება“[13].

საზიარო მეურნეობის შესახებ შეიძლება დამატებითი ჯეპირი ცნობების მოტანაც.

სოფ. საგურამოში მემამულეები (ჯერ გურამიშვილები, შემდეგ კი სტაროსელსკები) ვენახების დასამუშავებლად უმეტესად ლეჩხუმელებს იყენებდნენ. ეს უკანასკნელი ვენახებს უვლიდნენ, ხოლო მოსავალი (ღვინო) სანახევრო იყო. მემამულისა ვენახის გარდა იყო ჭიგო, შაბიამანი, გოგირდი, შაბიამანის ხსნარის შესასხურებელი და გოგირდის შესაფრქვევი აპარატურა. ღვინის ჭურჭელი. მეზობლისა (მეზვრისა) კი—ბარი, თოხი, შრომა, მუშების დაქირავების მთელი ხარჯი, თავისი და მუშების კვებისათვის საჭირო მთელი ხარჯის ჩათვლით. მეზვრე თვითონაც მუშაობდა ფიზიკურად.

შიდა ქართლში მევენახეობა-მეღვინეობის განვითარებით განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა სოფ. ხიდისთავი, რომელიც ქ. გორთან ახლოს, რკინიგზის პირას მდებარეობს. ეს იყო გორის მაზრის მეღვინეობის მთავარი პუნქტი როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი მაჩვენებლების მიხედვით. ამავე დროს, აქაური მევენახური მეურნეობა, აგრონომ ანდრონიკაშვილის თქმით, იმითაც გამოირჩეოდა, რომ ის ძვირფასი ჯიშის ვაზის კალმებით ამარაგებდა ქართლის ბევრ რაიონს[14].

სოფ. ხიდისთავში ბაღ-ვენახების მნიშვნელოვანი ფართობი, გარდა გლეხებისა, ეკუთვნოდა როგორც მემამულეებს, ისე ადგილობრივ თუ გორელ და თბილისელ ვაჭრებს, რომელთაც ბაღ-ვენახები, ისევე როგორც ადგილობრივ მემამულეებს, გადაცემული ჰქონდათ მებაღეებისთვის, უმეტესად იმერლებისავის, ზემოთ აღნიშნული პირობებით; ე. ი. მებაღე-იმერელი ამუშავებდა ვენახს, ქირაობდა მუშებს და იღებდა შემოსავლის ნახევარს, ხოლო, თუ ბაღის ან ვენა-

[13] Сборник сведен., вып. VIII, 1897, გვ. 67.

[14] Отчет господину министру госуд. имуществ о деятельности Кавк. Филок. комитета в 1891, Тифлис, 1892, გვ. 144—145.

ხის პატრონი მისცემდა სარს, სასუქს, ხან დაუბარავდა კიდეც, მაშინ მებაღეს მოსავლის მხოლოდ მესამედი ერგებოდა. ყველა კარგ ბაღს ამუშავებდნენ ოჯახით მცხოვრები იმერლები, რომლებიც ხიდისთავში იყვნენ 1921 წლამდე. პატარა ბაღ-ვენახებს კი სოფელ ხიდისთავში იჯარით ადგილობრივი გლეხები იღებდნენ სანახევროდ ან შემოსავლის მესამედ ნაწილად. უკანასკნელ შემთხვევაში სარი და სასუქი ბაღ-ვენახის პატრონისა იყო.

წერილობითი წყაროები ადასტურებენ, რომ შიდა ქართლის იჯარით გაცემულ ვენახებში „главные расходы по ремонту строений, плетней и по доставке карталов принимют на себя сами садовладелцы."[15] ამგვარად, **საზიარო მეურნეობა აქაც ფართოდ ყოფილა გავრცელებული.**

საერთოდ კი ვენახის პატრონის მონაწილეობა საზიარო მეურნეობაში, რა თქმა უნდა, სტანდარტული კი არ იყო, არამედ სხვადასხვანაირი, ცალკეული ვენახის მფლობელსა და მოზიარე მებაღეს შორის შეთანხმების მიხედვით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ვაჭართა ერთი ნაწილი (განსაკუთრებით ადგილობრივი ვაჭრები) თავის ბაღ-ვენახებს თვითონვე უძღვებოდნენ დაქირავებული მუშა-ხელით. ასეთი წესით ამუშავებდა თავის 5 დღიურ ბაღ-ვენახს მაგალითად, ვაჭარი ამბრიაშვილი (სოფ. ხიდისთავი).

საერთოდ კი შიდა ქართლში საზიარო მეურნეობის სისტემა მემამულურ და ვაჭართა მევენახურ წარმოებაში სხვა ფორმებთან შედარებით უფრო ფართოდ ჩანს გავრცელებული.

საზიარო მეურნეობის სისტემა ფართოდ ყოფილა გავრცელებული ქვემო ქართლის მევენახეობაშიც. თბილისის ფილოქსერული პარტიის ექსპერტი, აგრონომი ვ. გეევსკი ასეთ ცნობას გვაწვდის 1885 წელს „обыкновенно они (ე. ი. ვენახები, ი. უ.) сдаются из доли урожая (небольшие сады за 1/2; а крупные за 1/3 садовникам)"[16].

აქ მეზვრეები ისეთსავე ურთიერთობაში იყვნენ მემამულესთან, როგორც ეს იყო კახეთსა ან შიდა ქართლში. ამასთან, უკვე 90-იან წლებში ისინი ბევრ შემთხვევაში მოსავლის მხოლოდ $^1/_3$—$^1/_4$ ღებულობდნენ, რადგანაც მემამულეები ალბათ საბრუნავი კაპიტალის სულ უფრო მნიშვნელოვან რაოდენობას აბანდებდნენ. ამ რაიონში მოზიარე მეზვრეებთან ერთად დაქირავებულ მებაღე-მეზვრეებსაც ვხვდებით. კერძოდ, ბორჩალოს მაზრაში:

„მეზვრეების დაქირავების ორი წესი არსებობს; მეზვრე ან ჯამაგირს ღებულობს, ან მას აძლევენ მოსავლის განსაზღვრულ ნაწილს. პირველი ფორმა—ჯამაგირიანი მეზვრე შედარებით იშვიათად გვხვდება და მისი წლიური ხელფასი დაახლოებით 150 მანეთს უდრის. უფრო ხშირად გვხვდება დაქირავების მეორე ფორმა, ე. ი. შრომის ანაზღაურება მოსავლის ერთი წილით წარმოებს. რა თქმა უნდა, სხვადასხვა ზომისაა მოსავლის ეს ნაწილი, რაც თავის მხრივ

[15] Сборник сведен., вып. VIII, 1897, გვ. 68.
[16] Отчеты по борьбе с филоксерою на Кавказе в 1885 г., გვ. 131.

დამოკიდებულია ვენახის ფართობზე, მის მოსავლიანობაზე, მიღებული პროდუქციის ხარისხზე და ა. შ.... მებაღის წილი მთელი მოსავლის მეოთხედზე დაბლა არ ჩამოდის... გარდა ამისა, მეზვრეს ეძლევა 10-დან 20 ფუთამდე ხორბალი, ხოლო მთელ ხარჯებს სარის, ჭიგოს, წნელისა და სხვათა შესაძენად ვენახის პატრონები ეწევიან"[17].

ამგვარად, აქ მეზვრეთა ორი კატეგორიაა წარმოდგენილი: დაქირავებული მეზვრე (მებაღე) და მოჯარე მეზვრე. უკანასკნელი ამ შემთხვევაში (ესე იგი წარსული საუკუნის 90-იანი წლების ქვემო ქართლში), როგორც მოტანილი მასალა მოწმობს, თავისი მდგომარეობით მნიშვნელოვნად უახლოვდება დაქირავებულ მეზვრეს. რადგანაც ის საკვების მნიშვნელოვან რაოდენობას ვენახის პატრონისაგან ღებულობს, რომელიც საბრუნავი კაპიტალის ძირითად ნაწილსაც სდებს. მაგრამ ეს მეზვრე მაინც არ არის დაქირავებული მეზვრე, რამდენადაც ის კაპიტალის ერთი ნაწილის გამღებია.

როგორც ცნობილია, ისე ქართლის მევენახეობა-მეღვინეობის შესწავლისას იმ დროის სპეციალურ ლიტერატურაში საზიარო მეურნეობის სისტემის არსებობა, ანუ როგორც წერილობითი წყაროები მას იხსენიებენ—ვენახების იჯარით გაცემა ცნობილია როგორც მემამულეთა მხრივ საჭირო სახსრების უქონლობით ან ნაკლებობით, ისე იმით, რომ თავადაზნაურობის უმრავლესობას მეწარმისათვის საჭირო უნარი თითქოს არ გააჩნდა. კერძოდ, ცნობის თავადაზნაურობა ვენახებს გასცემდა „იჯარით, რაც შეიძლება აიხსნას, როგორც საბრუნავი კაპიტალის არასაკმარისობით, ისე თავადაზნაურთა შორის სუსტად განვითარებული თაოსნობით"[18].

შადა ქართლის შესახებ ნათქვამია, რომ „მსგავსი საიჯარო სისტემა ძლიერ გავრცელებულია ქართლში, იმის გამო რომ მემამულეებს არ გააჩნიათ სახსრები საქმის დამოუკიდებლად წარმართვისათვის"[19]. გარე კახეთში თავად ჩერქეზიშვილებს დიდი ზვრები ჰქონდათ. ამასთან „თვითონ თავადები, რაც არ უნდა სამწუხარო იყოს ეს, ნაკლებად არიან დაინტერესებული თავიანთი ძვირფასი მამულებით და ისინი უფრო რაიმე სამსახურში შესვლას ამჯობინებენ"[20].

აღვნიშნავთ რა მოზიარე მეზვრეობის ინსტიტუტის არსებობის ფაქტს, როგორც ერთ უმნიშვნელოვანეს სოციალურ-ეკონომიური ხასიათის მოვლენას რეფორმის შემდგომი პერიოდის აღმოსავლეთ საქართველოს მევენახეობაში, როგორც მევენახურ მეურნეობაში ბურჟუაზიული ურთიერთობის განვითარების თავისებურ ფორმას, ცხადია, არ შეიძლება საქმე ისე წარმოვიდგინოთ, თითქოს ყველა მეზვრეს თავის განკარგულებაში საკმარისი კაპიტალი გააჩნდა მეურნეობის სავსებით რაციონალურ საწყისებზე წარმართვისათვის. კერძოდ, ეს გარემოება შეუნიშნავთ 80-იანი წლების ბორჩალოს მაზრაში. აგრონომი

---

[17] Труды импер. Кавказского общества сельского хоз-ва. № 5—7. 1893, გვ. 263.
[18] Сборник сведен., вып. VII, გვ. 66—67.
[19] Сборник сведен., вып. VIII, გვ. 68.
[20] Кавказское сельское хоз-во, № 81. 1895 г.

ვ. გეევსკი წერდა, რომ ბორჩალოს მაზრის მემამულეთა ვენახები საერთოდ სასიამოვნო შთაბეჭდილებას არ ტოვებს. ჩვეულებრივად ისინი გაცემული იყო მოსავლის წილზე (ანტარა ვენახები სანახევროდ, ხოლო დიდები—მესამედზე) მეზარეებზე, რომლებსაც არა ჰქონდათ არც ძალა და არც სახსრები ვენახების წესიერად დამუშავებისათვის[21].

ვენახის დამუშავება მეტად შრომატევადი იყო და ამასთან დიდ ხარჯებსაც მოითხოვდა, რაც, რასაკვირველია, ყველა მოზიარე-მეზარეს არ გააჩნდა საკმარისი რაოდენობით. საერთოდ, ცხადია, მეზარე ცდილობდა წარმოებაში საჭირო ხარჯები მინიმუმამდე დაეყვანა და ისე მიეღო შესაძლებელი შემოსავლის მაქსიმალური რაოდენობა. ამის გამო ნათელი ხდება ზოგი სპეციალისტის ის საჩივარი, რასაც ვხვდებით იმდროინდელ ლიტერატურაში. („Арендная система ведения виноградарства весьма погубно отражается на состоянии виноградников. Арендатор, имея в виду короткий срок аренды, старается выжать все соки из виноградника при возможно малых затравах“).[22] მაგრამ არ შეიძლება მთლიანად დავეთანხმოთ მოტანილი სიტყვების ავტორს, რომელიც ცდილობს მუქი ფერებით დახატოს საზიარო მეურნეობის სისტემა. ჩვენი აზრით, მოიჯარეთა უმრავლესობა მაინც, თუ ყველა არა, რიგიანად ასრულებდა თავის საქმეს; წინააღმდეგ შემთხვევაში ვენახის საზიაროდ აღება აზრს ჰკარგავდა,—მოუვლელი ვენახი რა მოსავალს მოიტანდა? ამ მოსაზრებას გვიმტკიცებს ერთი ცნობაც 1895 წლისა, რომლის თანახმად სოფელ თოხლიაურში „თავადი ჩერქეზიშვილები თავის საკმაოდ დიდ ზერგებს აძლევენ დასამუშავებლად იმერლებს, რომლებიც რიგიანად უვლიან ამ ვენახებსო“[23].

აღსანიშნავია, რომ საზიარო მეურნეობა ვენახის პატრონს ისევე, როგორც მის მოზიარეს, უმნიშვნელო შემოსავალს როდი აძლევდა. ავიღოთ ერთ-ერთი ასეთი მეურნეობის მაგალითი (სოფ. კარდანახი ბ. ყარაბეგოვის მამული).

„ვენახის მფლობელი ბეგლარ ყარაბეგოვი გასცემს თავის ვენახს იჯარით სანახევროდ. 1893 წელს მან თავის წილად მიიღო 8 საპალნე[24] ღვინო 800 მანეთი ღირებულებისა, რაც შეადგენს 266 მანეთს თითო დესეტინაზე; ეს არის სუფთა შემოსავალი ვენახიდან, მისი ღირებულების პროცენტის ჩაუთვლელად“[25].

ამ სახით ყოველ დესეტინაზე წმინდა შემოსავალი თითოეულ მოზიარეზე 266 მან. შეადგენს[26]. ყარაბეგოვის მამულის მსგავსადვე უვლიდნენ სხვა ვენახებსაც და მაშასადამე შემოსავალიც დაახლოებით ამდენივე უნდა ყოფი-

---

[21] Отчеты по борьбе с филоксерою на Кавказе в 1885 г., გვ. 131.

[22] Сборник сведен., вып. VII, გვ. 67.

[23] Кавказское сельское хоз-во, № 81, 1895 г.

[24] ერთი საპალნე 48 ვედროს უდრის.

[25] Сборник сведения, вып. VII, გვ. 75.

[26] ამგვარად, ყოველ დესეტინა ვენახიდან მიღებული სუფთა შემოსავალი აჭ ნაანგარიშევია 532 მანეთის რაოდენობით. ხოლო თუ რას უდრიდა ეს შემოსავალი იქიდანაც ჩანს, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ბარის ზონაში თითო დესეტინა პურის (ხორბალი) ყანიდან მიღებული სუფთა შემოსავალი მხოლოდ 22 მანეთს აღწევდა (ЦГИАЛ, ф. 396, оп. 3, д. 560, л. 128—129. 1904 г.).

ლიყო. ამავე ცნობით, „ამ ვენახის დამუშავება უმნიშვნელოდ თუ განსხვავდება სხვა ვენახების მოვლა-დამუშავებისაგან“[27].

როგორც ვთქვით, გარდა საზიარო წესისა, მემამულეები, ვაჭრები და სასულიერო წოდების ზოგი წარმომადგენელი მთლიანად საკუთარი ხარჯითაც ამუშავებდნენ თავიანთ ვენახებს. ამ შემთხვევაშიც ხშირად ისევ მეზრეებთანა გვაქვს საქმე. მაგრამ აქ მხოლოდ სახელიღაა შემონახული მეზრისა და მსგავსებაც გარეგნულია, არსებითად კი ადგილი აქვს ძირეული ხასიათის განსხვავებას. საზიარო მეურნეობისას თუ ჩვენ წინაშეა მოიჯარე (მოზიარე) მეზრე, მეორე შემთხვევაში, ე. ი. როცა მამულის პატრონი მთლიანად თავის ხარჯზე წარმართავს მეურნეობას,—მეზრე დაქირავებულ პირს წარმოადგენს და მხოლოდ თავის შრომით მონაწილეობს ვენახის დამუშავებაში.

მეზრის ასეთი ტიპი შემდეგნაირადაა წარმოდგენილი მევენახეობის ისეთ რაიონებში, როგორიც კახეთი იყო: „კახეთში საკმარისად მიაჩნიათ ვენახის 3-4 ფესვტინის ფართობის დასამუშავებლად იყოლიონ ერთი, მთელი წლით დაქირავებული მუშა, მეზრე („მეზრე“, „მებაღე“); ყურძნის სიმწიფის დროს მეზრის დასახმარებლად ქირაობენ თვიურ მუშას, რომლის მოვალეობას შეადგენს კენაის დარაჯობა; წლის განმავლობაში კი მეზრის დასახმარებლად დღიური მუშების ამა თუ იმ რაოდენობას ქირაობენ. თვისთავად გასაგებია, რომ იმ შემთხვევაში, როცა ვენახი არაა ზემოდასახელებული სიდიდისა (3-4 ფეს.), მაშინ კმაყოფილდებიან მხოლოდ ერთი წლიური მუშით, ან საჭიროების მიხედვით მის დასახმარებლად დღიურ მუშებსაც ქირაობენ“[28].

დაქირავებული მეზრის მდგომარეობა სახარბიელო არა ყოფილა. „მეზრის საცხოვრებელი სახლი ძალზე ხშირად ისეთ უბადრუკ ნაგებობას წარმოადგენს, რომ მეზრეს შესაძლო უკეთურობათაგან მხოლოდ სოფლის საღი პაერი იცავდა“[29].

XIX საუკ. დამლევს დაქირავებული მეზრის წლიური ხელფასი მერყეობდა 60-დან 100 მანეთამდე. იშვიათ შემთხვევაში, დიდ ზვრებში 120-150 მანეთს აღწევდა. ასეთი დაქირავებული მეზრეები ბევრჯერ ვენახის მეპატრონეთა მაგიერობას ეწეოდნენ და ვენახის დამუშავების საქმეში თავისებურად პასუხისმგებელ პირებს წარმოადგენდნენ. გარდა წლიური ხელფასისა, მეზრე ვენახის პატრონისაგან იღებდა პურს და მარილს. ხოლო ცალკეული „გულშემატკივარი“ მეპატრონეებისაგან დღესასწაულების დროს: ხორცს, ლობიოს და ღვინოსაც. წლის განმავლობაში მეზრეს ეძლეოდა აგრეთვე ქალამნები და ჩოხა ან ნახმარი მაზარა[30].

ვენახის პატრონი საჭირო შემთხვევაში მეზრეს დღიურ მუშებსაც ამზარდა, რომელთა დღიური ხელფასი, XIX საუკ. მიწურულს შეკრებილი ცნობებით, კახეთში შეადგენდა: გაზაფხულობით 30-40 კაპ., შემოდგომობით 40-50 კაპ., ზაფხულობით 50-70 კაპ., ზამთრობით 25-30 კაპ. ქალები უფრო ნაკლებს ღებულობდნენ, სახელდობრ. 20-25 კაპ. დღეში. ამასთან, სამუშაო დღის განმავლობაში მუშებს საკვებით დამქირავებელი უზრუნველყოფდა. თვიურად დაქირავებული მუშა თვეში 8-12 მან. და პურს ღებულობდა[31].

---

[27] Сборник сведения, вып. VII, გვ. 75.
[28] იქვე, გვ. 69—70.
[29] იქვე, გვ. 70.
[30] იქვე, გვ. 69—70.
[31] იქვე.

შიდაქართლშიც მემამულურ-მეენახეურ მეურნეობაში საზიარო სისტემასთან ერთად გვხვდება დაქირავებული მუშის გამოყენების შემთხვევებიც: მოიჯარე-მებაღის ნაცვლად გვხვდება დაქირავებული მებაღე[32].

სოფ. კასპში ნიკო ამილახვარს და მის შვილს გენოს 6-7 დეს. ვენახი ჰქონდათ, რომლის მოსავლელად დაქირავებული ჰყავდათ იმერელი მებაღეები, წლიდან წლამდე 4-5 კაცი. თითოეულს წელიწადში აძლევდა 5-7-10 თუმანს. საჭმელი და ბინა მემამულისა იყო. აგრეთვე, წელიწადში ერთი წყვილი ფეხსაცმელი, ფარაჯა, შარვალი და ფაფახი ქუდი უნდა ეყიდა მებაღისათვის ვენახის პატრონს. წლიურად დაქირავებული მებაღეები ვენახს უვლიდნენ—თოხნიდნენ, რწყავდნენ და ა. შ., ვენახში ბოსტნეულიც მოჰყავდათ, რომლის ნაწილი მათ ეკუთვნოდა. ამასთან, ბაღვის, გასხვლის, ყურძნის კრეფისა და წურვის დროს ვენახის პატრონი ადგილობრივ მცხოვრებთაგან მუშებს დაახმარებდა ხოლმე.

გარდა ამისა, ყურძნის მწიფობის დროს ვენახების სადარაჯოდ ქირაობდნენ მეველეებს. „ყურძნის მწიფობისას ვიდრე რთველის დამთავრებამდე ვენახის პატრონები—ელენები და მემამულეები ქირაობენ მეველეებს, რომლებიც თავისი შრომის საზღაურს, ჩვეულებრივად, ნატურით—ღვინის სახით ღებულობენ«[33].

ანალოგიური წესით ამუშავებდნენ თავიანთ ვენახებს მემამულენი ვანო აბელახვარი (ს. ქვემოჭალა), შალვა ერისთავი (ს. მეჯვრისხევი) და სხვა.

მასალებიდან ჩანს, რომ შიდა ქართლის ვენახებში მომუშავე დღიურ მუშათა ხელფასის ოდენობა იცვლებოდა წელიწადის სხვადასხვა დროის დადგომასთან ერთად. ზამთრობით დღიური ხელფასი უდრიდა 25 კაპ.; შემდეგ ის თანდათან მატულობდა და შუა ზაფხულში მაქსიმუმს —1 მანეთს, აღწევდა. შემოდგომით ხელფასი კვლავ მცირდებოდა და 30 კაპ. ჩამოდიოდა. ვენახებში სამუშაოდ თვიური და წლიური ვადით მუშებს უმეტესად მემამულეები და ვაჭრები ქირაობდნენ. თვიურებს უხდიდნენ 8-12 მან., ხოლო წლიურებს 80-150 მან. წელიწადში. ამასთან, როგორც დღიურად, ისე მთელი თვით თუ მთელი წლით დაქირავებული მუშების საკვებით უზრუნველყოფა დამქირავებლის ვალდებულებას შეადგენდა[34].

დაქირავებული მუშების კონტინგენტს შეადგენდა, როგორც ადგილობრივი გლეხები, ისე მთის მცხოვრებნი, რომლებიც საგანგებოდ ჩამოდიოდნენ და თვის სამუშაო ძალას ჰყიდდნენ ბაღში[35].

1896 წლის ცნობით, მემამულე დავით ბესარიონის ძე ღოღობერიძეს სადახლოში თავისი ვენახის მოსავლელად (2,6 დეს.) დაქირავებული ჰყოლია მეზვრე, რომელსაც წელიწადში 170 მანეთს უხდიდა[36].

მოზიარე მეზვრეებად, ისევე როგორც დაქირავებულ მეზვრეებად, აღმოსავლეთ საქართველოს მევენახეობაში, მნიშვნელოვან ნაწილად დასავლეთ საქართველოდან (უფრო იმერეთიდან) მოსული პირები გვევლინებიან. ზოგჯერ კი თვიური და დღიური მუშებიც იქიდანვე იყვნენ. ამ ფაქტს ერთხმად აღნიშნავენ როგორც ზეპირი, ისე წერილობითი წყაროები.

---

[32] აღსანიშნავია, რომ კახეთში გავრცელებული ტერმინის „მეზვრე“ სინონიმს ქართლში, უმეტესად, ტერმინი „მებაღე“ წარმოადგენდა.

[33] Сборник сведен., вып. VIII, გვ. 68.

[34] იქვე.

[35] იქვე.

[36] საქ. ცსსა, ფონდი 395, საქმე 970, ფრც. 16, 1896 წ.

ბორჩალოს დაბლობი ადგილებიდან ზაფხულობით ადგილობრივი მოსახლეობა თითქმის მთლიანად მთაში მიდიოდა. ხოლო „წლის ამ ციებ-ცხელებიან დროს, დაბლობ ადგილებში რჩებიან მებაღეები თავისი მუშებით (ყველა ესენი უმეტეს წილად ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებლებია)“[37].

აგრონომ ვ. გეევსკის თქმით, თბილისსა და ბორჩალოს მაზრებში „ყველა საუკეთესო ვენახები ქუთაისის გუბერნიიდან მოსული მეზვრეების ხელში იმყოფებოდა“[38].

კახეთში „სიღნაღის მაზრის მემამულეთა ვენახების ნაწილი და თელავის მაზრის მემამულეთა თითქმის ყველა ვენახი იჯარითაა აღებული მეზვრე—იმერლების (ქუთაისის გუბერნიის სხვადასხვა მაზრის მცხოვრებნი) მიერ მეტწილად ხანგრძლივი დროით“[39].

ასევე იყო შიდა ქართლშიც, სადაც მეზვრეთა უმრავლესობას ასევე დასავლეთ საქართველოდან გადმოსული პირები შეადგენდნენ[40].

ზემოთ მოტანილ სხვადასხვა წყაროს ტექსტებშიც ჩართულია ცნობები დასავლეთ საქართველოდან მეზვრეთა გადმოსვლის შესახებ და მათ აქ აღარ გავიმეორებთ. იმერლები მეზვრეებისა თუ დაქირავებული მუშების სახით თვით ქალაქ თბილისის ბაღ-ვენახების დამუშავებელთა შორისაც უმეტესობას შეადგენდნენ. ფილოქსერული კომიტეტის 1896 წლის ანგარიშში აღნიშნულია, რომ „ქალაქ თბილისისა და მისი ახლო-მახლო მდებარე ბაღ-ვენახების მუშებისა და მებაღეების კონტინგენტს თითქმის მხოლოდ და მხოლოდ იმერლები წარმოადგენენ“[41].

ზემოთ მოტანილი მასალიდან გამომდინარეობს შემდეგი.

მემამულეები და ვაჭრები, აგრეთვე სასულიერო წოდების ცალკეული წარმომადგენლები, თავიანთ ვენახებს ან იჯარით გასცემდნენ, რაც ჩვეულებრივად ვენახების საზიარო წესით დამუშავებაში მდგომარეობდა ანდა მთლიანად თავიანთი ხარჯით უშუალოდ თვითონ წარმართავდნენ მეურნეობას. წარმოების ეს ფორმები ზოგჯერ ერთდროულად გვხვდება რომელიმე პირის მეურნეობაში, ან ისინი დროში თანამიმდევრულად სცვლიან ერთმანეთს.

შრომამიგება მემამულურ მეურნეობაში უმნიშვნელო მასშტაბით გვხვდება. წყაროები ადასტურებენ მემამულეთა ვენახების დამუშავების მხოლოდ ორ წესს: 1. დაქირავებული მუშების საშუალებით და 2. იჯარით გაცემის წესით. ამასთან, ვენახების დამუშავებაში ოშვიათად მიმართავდნენ წმინდა სახის იჯარას,—როცა მთელ საქმეს მოიჯარე აწარმოებს მთლიანად თავისი ხარჯით, ხოლო ვენახის პატრონი საქმეში კაპიტალის ერთი ნაწილის დაბანდებით არ ერევა.

---

[37] Отчеты по борьбе с филоксерою на Кавказе в 1885 гг.„; Тифлис, 1886 г., გვ. 124.

[38] Отчет господину управляющему министерством госуд. имущ. о деятельн. Кавк. филоксерн. комит. в 1892 г., Тифлис, 1893, გვ. 231.

[39] Отчеты госп. министру гос. имуществ о деятельности Кавк. Филокс. Комитета в 1890 гг., Тифлис, 1891 г., გვ. 247; აგრეთვე, Отчеты госп. управл. минист. гос. имущест. о деят. Кавк. филокс. комитет. в 1892 г., Тифлис, 1893 г., გვ. 108.

[40] Отчет госп. министр. гос. имущ. о деят. Кавк. филок. комит. в 1890 г., Тифлис ,1891 г., გვ. 185.

[41] Отчет о деят. филокс. комит. в 1896 г., Тифлис, 1897 г., გვ. 41.

ვენახების იჯარით გაცემისას ყველაზე უფრო გავრცელებული იყო საიჯარო ურთიერთობის ის ფორმა, როცა ვენახის პატრონი მეტ-ნაკლები ზომით მონაწილეობდა ვენახის მოვლა-დამუშავებაში, რისთვისაც ის საბრუნავი კაპიტალის ერთ ნაწილს გაიღებდა. ე. ი. ვენახის იჯარა ფაქტიურად სხვა არაფერი იყო, თუ არა საზიარო მეურნეობა მისთვის დამახასიათებელი ყველა ნიშნით.

მხოლოდ ზეპირი წყაროები გვაძლევენ შესაძლებლობას გამოვიტანოთ დასკვნა, რომ მხოლოდ ზოგიერთი მემამულე იყენებდა თავის ვენახებში იმ მუშახელსაც, რომელიც გამოდიოდა უმეტესად სახნავ-სათესი მიწებით სარგებლობის სანაცვლოდ მემამულეთა ვენახების დასამუშავებლად. ამასთან, ეს მუშები თუ ზოგჯერ თავისი ინვენტარით გამოდიოდნენ, ზოგჯერ ეს ინვენტარი ვენახის პატრონისა იყო. რაც შეეხება მევენახეობაში საჭირო რთულ აპარატურა-მოწყობილობას, რაც ჩვენში განსაკუთრებით მე-19 ს. ბოლოდან ფართოდ გავრცელდა მემამულე-ვაჭართა მეურნეობებში, როგორც წესი, ვენახის მფლობელის საკუთრებას შეადგენდა. მაგრამ ეს უკვე შრომამიგება აღარ არის.

თუ ვაჭართა მევენახურ მეურნეობას ცალკე ავიღებთ, აქ ჩვენი აზრით, საზიარო მეურნეობის სისტემას უფრო მეტი ხვედრითი წონა ჰქონდა, ვიდრე წმინდა კაპიტალისტური მეთოდებით მეურნეობის წარმართვას, ხოლო შრომამიგებას აქ თითქმის სრულიად არა ჰქონდა ადგილი.

სტატისტიკური მონაცემების არარსებობის გამო შეუძლებელია განისაზღვროს იმ მემამულეთა (ან მათი ვენახების) რიცხვი, ვინც საერთოდ მეზვრეების საშუალებით ამუშავებდა ვენახს და კერძოდ მოიჯარე-მეზვრეების საშუალებით. წერილობითი წყაროები მოწმობენ საზიარო წესით ვენახების დამუშავების წესის ფართოდ გავრცელებას[42]. რაც შეეხება ზეპირ წყაროებს, მართალია, ისინიც იძის საშუალებას არ იძლევიან, რომ აბსოლუტური ციფრებით განისაზღვროს საზიარო მეურნეობათა ფართობი, მაგრამ მიახლოებით მაინც შესაძლებელი ხდება გამოჩნდეს მისი შეფარდებითი ოდენობა. ვენახების საზიარო წესით დამუშავება, თვით 1917 წლის რევოლუციამდე მნიშვნელოვანი იყო და ამ წესით, ჩვენი ვარაუდით, მემამულეთა და ვაჭართა ვენახების დაახლოებით ნახევარი მუშავდებოდა.

ეს ვარაუდი ემყარება გაანგარიშებას, რაც მევენახეობით ცნობილ ცალკეულ სოფლებში შეკრებილი მასალის ანალიზიდან გამომდინარეობს.

მეზვრეობის ინსტიტუტი, რასაც მემამულურ მეურნეობაში მნიშვნელოვანი მასშტაბით რეფორმის შემდეგ ვხვდებით, ხოლო ვაჭართა მევენახურ მეურნეობაში რეფორმამდეც, უნდა ფართოდ ყოფილიყო გაშლილი 1917 წლის რევოლუციამდე, ზოგან კი 1921 წლამდეც არსებობდა.

ამასთან, სოციალურ-ეკონომიური ტიპის მიხედვით, მეზვრეები ერთგვაროვან მასას არ წარმოადგენდნენ. მათში არსებითად განსხვავებული ორი ტიპი გვხვდებოდა: მოზიარე (მოიჯარე) მეზვრე და დაქირავებული (ჯამაგირიანი) მეზვრე. პირველ შემთხვევაში საქმე გვაქვს კაპიტალისტურ ან თითქმის კაპიტალისტური ტიპის მეურნეობის ინიციატორთან, საქმე გვაქვს სოფლის კაპიტალისტთან; მეორე შემთხვევაში კი ჩვენს წინაშეა მაღალკვალიფიციური დაქირავებული მუშა, რომელიც ერთგვარად სხვა დაქირავებული მუშების ხელმძღვანელიც არის პერიოდულად მაინც.

---

42 Сборник сведен., вып. VIII, გვ. 68; Отчеты госп. министру госуд. имуществ о деятельности кавказского филоксерного комитета в 1890 г., Тифлис, 1891, გვ. 247. და სხვ.

მოზიარე-მეზვრე ჩვეულებრივად სოფლის წვრილ კაპიტალისტს წარმოადგენდა, რადგანაც ის იჯარით აღებულ მეურნეობაში დაქირავებულ მუშებს მნიშვნელოვანი რაოდენობით იყენებდა, ხოლო მიღებული პროდუქცია მთლიანად (ან თითქმის მთლიანად) ბაზარზე გასაყიდად იყო გამიზნული. ასეთი მეზვრის შესაძლებლობანი, როგორც კაპიტალის მფლობელისა, ხშირად განსაზღვრული იყო, რის გამოც მას იჯარით ვენახის დაახლოებით 2-3 დესეტინიანი ნაკვეთის აღება შეეძლო და არა მეტისა, ე. ი. იმ სიდიდის ვენახისა, რომლის დამუშავებასაც ის თავის განკარგულებაში მყოფი კაპიტალის, როგორც ვენახის დასამუშავებლად საჭირო კაპიტალის ერთი ნაწილის, გაღებითა და თავისი შრომის გამოყენებით შესძლებდა.

ის ფაქტი, რომ მოზიარე-მეზვრის მიერ დასამუშავებლად აღებული ვენახის ფართობი ჩვეულებრივად 2-3 დესეტ. არ აღემატებოდა, აიხსნება სხვა მიზეზებითაც, რომელთაგან განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ისეთი ფაქტორი, როგორიცაა შინაგანი ბაზრის შეზღუდულობა.

თუ მოზიარე-მეზვრე საქმეს უპირატესად თავისი შრომითა და სახსრებით წარმართავდა, ჯამაგირიანი მეზვრე უმთავრესად მაღალკვალიფიცირებული მუშა-სპეციალისტი იყო, რომელიც ვენახის დამუშავებაში თავის შრომასა და ცოდნას აქსოვდა, მაგრამ არა სახსრებს. უკანასკნელ შემთხვევაში,—დაქირავებული მეზვრის, აგრეთვე, სხვა დაქირავებული მუშების გამოყენებისას მემამულური მევენახური მეურნეობა სასებით კაპიტალისტური წესით წარმართებოდა, და, მაშასადამე, დიამეტრალურად განსხვავდება შრომამიგებაზე დამყარებული წარმოების წესისაგან, რაც იმავე მემამულური მეურნეობის სხვა დარგში, კერძოდ, მარცვლეულის წარმოებაში საკმაოდ ფართოდ გვხვდება.

ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ მემამულეთა ძირითადი ნაწილი ვენახების დამუშავებას ახდენს საზიარო მეურნეობის სისტემის მიხედვით. ასეთ მეურნეობაში საბრუნავი კაპიტალის ერთ ნაწილს ვენახის პატრონი თვითონ სდებს (შაბიმანი, ჯოგირდი, ჭიგო, მუშების დასაქირავებლად საჭირო თანხის ნაწილი და ა. შ.) იმის მიხედვით, თუ როგორია შეთანხმება. საბრუნავი კაპიტალის მეორე ნაწილს სდებს მოზიარე (მოიჯარე) მეზვრე. მოზიარე-მეზვრე მთელ შრომით პროცესს თვითონ წარმართავდა, რისთვისაც იყენებდა როგორც მის მიერ დაქირავებულ სამუშაო ძალას (ხან კი ნაწილობრივ, ვენახის მესაკუთრის მიერ ნაყიდ სამუშაო ძალას), ისევე თავის საკუთარ სამუშაო ძალასაც. ამგვარად, მეზვრე თვითონაც ეწეოდა ფიზიკურ შრომას. მიღებული მოსავალი უმთავრესად ღვინის, ან ღვინის გაყიდვის შედეგად მიღებული ფულის სახით მოზიარეებს შორის ორ თანასწორ ნაწილად იყოფოდა, ან მოიჯარესი იყო მოსავლის ან მისი ღირებულების $^1/_3$, იშვიათად $^1/_4$. მოსავლის ამ ნაწილების ხვედრითი წონა, რაც მოზიარეებს შორის ნაწილდებოდა, განსხვავებული იყო სხვადასხვა რაიონების მიხედვით და დამოკიდებული იყო მეურნეობის დამუშავებაში მხარეთა მონაწილეობის ოდენობაზე.

მოზიარე მეზვრეებად, ისევე როგორც დაქირავებულ მეზვრეებად უმთავრესად დასავლეთ საქართველოდან, უმეტესად იმერეთიდან, მოსული პირები გვევლინებიან. მოზიარე-მეზვრის მიერ დასამუშავებლად და მოსავლად აღებული ვენახის ფართობი, ჩვეულებრივად, 2-3 დეს. უდრიდა.

წინასწარი პირობით, საზიარო ურთიერთობა უმეტეს შემთხვევაში რამდენიმე წლით (ჩვეულებრივად, არა უმეტეს 4 წლისა) მყარდებოდა. დათქმული დროის გასვლის შემდეგ ამ ურთიერთობის განახლებლობა შეიძლებოდა.

ასეთია ძირითადად მონაცემები საზიარო მეურნეობის შესახებ ჩვენს მეცნიერებაში.

აღსანიშნავია, რომ ჩვენს საისტორიო ლიტერატურაში საზიარო მეურნეობის მნიშვნელობა და მისი ადგილი მეცნიერულ მეურნეობაში, აქ მოტანილ თვალსაზრისთან შედარებით განსხვავებულადაა შეფასებული. კერძოდ, მიჩნეულია, რომ მემამულეთა ვენახების დამუშავება იჯარის წესით წარმოადგენდა სანახევროდ ბატონყმურ სისტემას[43].

ამ სახით, ჩვენი აზრით, ის „მონახევრეობა“, რასაც რუსეთისა თუ საქართველოს მარცვლეულის მეურნეობაში ჰქონდა ადგილი, გაიგივებულია იმ საზიარო მეურნეობასთან, რასაც ეხებიან საქართველოს მევენახეობაში.

„კაპიტალში“ მოცემულია საზიარო მეურნეობის სისტემის განსაზღვრა. კ. მარქსი წერს: „რენტის თავდაპირველ ფორმიდან კაპიტალისტურ რენტაზე გარდამავალ ფორმად შეიძლება ჩაითვალოს **Metairie—System**, ანუ საზიარო მეურნეობის სისტემა, რომლის დროსაც დამმუშავებელი (მოჯარე) გარდა შრომისა (თავისი ან სხვისი შრომის), საბრუნავი კაპიტალის ერთ ნაწილს იძლევა, ხოლო მიწის მესაკუთრე გარდა მიწისა საბრუნავი კაპიტალის მეორე ნაწილს (მაგალითად, პირუტყვს) და პროდუქტიც განსაზღვრული, სხვადასხვა ქვეყნებისათვის სხვადასხვა პროპორციის მიხედვით ნაწილდება მოიჯარესა (Maier) და მიწის მესაკუთრეს შორის“[44].

ამგვარად, მარქსს საზიარო მეურნეობა მეურნეობის ისეთ სახედ მიაჩნია, რომელიც წარმოადგენს რენტის ადრინდელი ფორმიდან კაპიტალისტურ რენტისაკენ გარდამავალ ფორმას, მაშინაც, როცა იჯარით გაიცემა მხოლოდ მიწა, იმ პირობით, თუ მიწის მესაკუთრე საბრუნავი კაპიტალის ერთ ნაწილს მაინც იძლევა, რომლის მეორე ნაწილს მოიჯარე სდებს.

ხოლო რა შეიძლება ითქვას იმ საიჯარო ურთიერთობაზე, როცა იჯარით გაიცემა არა მხოლოდ მიწა, არამედ შემოსავლის მომტანი მთელი მამული ვენახის (ზვრის) სახით ანუ იჯარით გაცემულია მთელი მეურნეობა; როცა ვენახის დამუშავებაში მონაწილეობს მეურნეობის მესაკუთრეც, აგრეთვე საბრუნავი კაპიტალის ერთი ნაწილის გაღებით. ვენახის იჯარით აღებისას მოზიარე-მოჯარე ფაქტიურად სოფლის კაპიტალისტია, რომელიც ვენახის დასამუშავებლად თვითონ ქირაობს მუშებს მთლიანად ან ყოველ შემთხვევაში მათ ძირითად ნაწილს, სდებს მეურნეობის გაძღოლისათვის საჭირო სხვა ხარჯების მეტ-ნაკლებ მნიშვნელოვან რაოდენობას, ხოლო მიღებულ პროდუქციას თითქმის მთლიანად ბაზარზე ჰყიდის. ამდენად, ჩვენ გვეჩვენება, რომ ისეთი მოიჯარე-მეზვრე, რომელიც 2-3 დეს. ფართობის ვენახს ამუშავებს, მეურნეობას კაპიტალისტური წესით წარმართავს. ამ შემთხვევაში შესაძლოა დავუშვათ, რომ ჩვენ საქმე გვაქვს საზიარო მეურნეობასთან, რომელიც კაპიტალისტური წესის მიხედვით წარმართება. არ უნდა გაგვაკვირვოს იმან, რომ მიწის შედარებით მცირე ფართობ-

---

[43] მაგალითად, ვ. მოჩალოვის აზრით, მე-19 ს. დასასრულისათვის „большая часть, помещичьих виноградных хозяйств в Кахетии продолжала держаться на полукрепостнической исполной системе: сады сдавались крестьянам в аренду на короткий срок (не свыше четырех лет) из доли урожая“. В. Д. Мочалов, Крестьянское хозяйство в Закавказье к концу XIX в., М., 1958, გვ. 256.

[44] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. III, ნაწ. II, 1959, გვ. 426.

ზეა მოწყობილი კაპიტალისტური ტიპის მეურნეობა. ეს სავსებით შესაძლებელია, მით უმეტეს სოფლის მეურნეობის ისეთ დარგში, როგორიცაა მევენახეობა, რომელიც, როგორც ცნობილია, დიდ შრომატევადობასთან ერთად, სოფლის მეურნეობის მეტად შემოსავლიანი დარგია. ვ. ი. ლენინი მიუთითებდა რომ „კაპიტალიზმი იზრდება... წარმოების ოდენობით უფრო მსხვილ, უფრო კაპიტალისტურ მეურნეობათა შექმნის გზითაც მიწის უფრო წვრილ ნაკვეთებზე ინტენსიურ რაიონებში“[45].

რაც შეეხება უფრო ნაკლებ ფართობზე მოწყობილ საზიარო მეურნეობებს (ვთქვათ 0,5—1 დეს.), შესაძლოა ყველა მათგანი არ იყო კაპიტალისტური მეურნეობის ყველა ნიშნის მქონე, მაგრამ ასეთი მეურნეობები, როგორც წესი, სავაჭრო (სასაქონლო) ხასიათის მატარებელნი არიან, რითაც მოცემულ პირობებში ძლიერ უახლოვდებიან კაპიტალისტური მეურნეობის ტიპს და სრულიადაც არ წარმოადგენენ სანახევროდ ბატონყმური სისტემის მეურნეობებს, როგორც ამას ზოგი მკვლევარი ვარაუდობს.

მემამულეები და ვაჭრები, როგორც წესი, მეურნეობის საზიაროდ გაცემის დროს მონაწილეობას ღებულობდნენ მეურნეობის წარმართვაში. მათი იყო, გარდა მიწისა, ნარგავები (ვაზები), აგრეთვე ჭიგო, შაბიამანი და ა. შ. ამდენად, მემამულე და ვაჭარი ამ შემთხვევაში გვევლინებიან არა მხოლოდ, როგორც მიწის მესაკუთრეები, რომელთა ძოვალობა მიწის იჯარით გაცემით თავდება, არამედ, როგორც უშუალო მონაწილენი წარმოებისა, რომლის პროდუქციაც (ღვინო) ხშირად მოლიანად ბაზარზე გადის. ამგვარად, მესაკუთრე, ვენახის იჯარით გაცემისას აწყობს საზიარო მეურნეობას, ხოლო ეს უკანასკნელი ფაქტიურად კაპიტალისტურ მეურნეობას წარმოადგენს, ანდა, არსებითად მაინც, კაპიტალისტური ტიპის მეურნეობაა.

მაშასადამე, ჩვენ საქმე გვაქვს შინაარსით კაპიტალისტური, ან თითქმის კაპიტალისტური მეურნეობის ტიპთან, რომელიც საზიარო მეურნეობის ფორმით გვევლინება. საზიარო მეურნეობა, ამ შემთხვევაში, მხოლოდ ფორმაა აღმოსავლეთ საქართველოს მევენახეობაში ფართოდ გავრცელებული კაპიტალისტური წესით მეურნეობრივი საქმიანობისა.

ამასთან დაკავშირებით ჩვენ მიგვაჩნია, რომ მევენახურ მეურნეობაში საზიარო სისტემა მხოლოდ საიჯარო ურთიერთობის ფარგლებში ვერ თავსდება და ეს (საზიარო მეურნეობის სისტემა) წარმოადგენს სოფლის მეურნეობრივი წარმოების თავისებურ ფორმას, რომელშიც სამეურნეო საქმიანობას მოიჯარესთან ერთად მამულის პატრონიც ეწევა.

ახლა საკითხს სხვა მხრიდან მივუდგეთ.

პოლიტიკურ ეკონომიაში ცნობილი იჯარის ორი ძირითადი ფორმიდან—კაპიტალისტური და კაპიტალიზმამდელი (სასურსათო), პირველის დროს მოიჯარე მეურნეობაში დაქირავებული შრომის ექსპლოატაციის საშუალებით აწარმოებს სოფლის მეურნეობის პროდუქციას ბაზრისათვის. მეორე შემთხვევაში მოიჯარის მიზანია ოჯახი უზრუნველყოს აუცილებელი საკვები პროდუქტებით.

ჩვენში, გარდა საზიარო წესით მამულის გაცემისა, არსებობდა ვენახის წმინდა საიჯარო წესით გაცემაც, ე. ი. როცა მთელ საქმეს მოიჯარე უძღვება და ხარჯსაც ის კისრულობს, ხოლო მამულის მფლობელი მხოლოდ რენტას იღებს.

[45] ვ. ი. ლენინი, ტ. 22, მე-4 გამოცემა, გვ. 115.

მაგრამ ეს წესი, ჩანს, ფართოდ არ ყოფილა გავრცელებული და მას მემამულეები და ვაჭრები მხოლოდ ცალკეულ შემთხვევაში მიმართავდნენ. ჩვეულებრივად კი ვენახის პატრონები საზიარო სისტემის გამოყენებას ამჯობინებდნენ.

თავისი ბუნებით მსხვილი მევენახეური მეურნეობა სასურსათო იჯარის გავრცელების ნაკლებ შესაძლებლობას შეიცავს. მევენახეობაში საიჯარო ურთიერთობა, უმეტესად, გასაყიდი პროდუქციის წარმოების გულისხმობს, მის მიზანს ბაზარზე გასატანად ღვინის დამზადება შეადგენს. ამდენად ვენახების იჯარა ან კაპიტალისტურია, ან იჯარის ძველი ფორმებიდან კაპიტალისტურზე გარდამავალ ფორმას წარმოადგენს. ეს გარდამავალი მდგომარეობა ჩვენ გვესახება, როგორც სასაქონლო ხასიათის იჯარა, რომელიც, მართალია, ჯერ კიდევ არ არის კაპიტალისტური შინაარსის მატარებელი. მაგრამ, რომელიც ამავე დროს კაპიტალისტური იჯარის განვითარების საფუძველს შეადგენს. იჯარის ამ ფორმას უმეტესად მიეკუთვნება წვრილი საზიარო მეურნეობანი (ვთქვათ 0,5 დეს. ფართობზე), როცა ერთი მხრივ დგას მემამულე, ხოლო, მეორე მხრივ გლეხი, რომელსაც იჯარით ვენახის შედარებით მცირე ფართობი აქვს აღებული. აქვე უნდა მივუთითოთ, რომ წვრილ ნაკუთებად ვენახის იჯარით გაცემა იშვიათი შემთხვევა იყო და იჯარით უმთავრესად მსხვილი, ესე იგი რამდენიმე დესეტინიანი ფართობის ნაკვეთები გაიცემოდა ხოლმე.

მაშასადამე, ვენახი, მეურნეობის შემოსავლიანობის სიდიდის თვალსაზრისით, უმთავრესად, მსხვილი ნაკვეთების სახით გაიცემოდა. ასეთი ნაკვეთების (1-2-3 დეს) მოიჯარის მიზანს შეადგენდა მიღებული მოსავლის გაყიდვა, რაც უმთავრესად ღვინის გასაღების სახით ხდებოდა. ისინი, როგორც წესი, დაჭირავებული მუშახელის გამოყენებას მიმართავდნენ. როცა ადგილი აქვს ვენახის იჯარით გაცემის წმინდა ფორმას, ე. ი. როცა ვენახის პატრონი განზე დგას და სრულიად არ მონაწილეობს მეურნეობის მოვლა-გაძღოლის საქმეში და მთელი საქმე მინდობილი აქვს მოიჯარეს, რომელიც მეპატრონეს რენტას უხდის, ასეთ შემთხვევაში ადგილი აქვს იჯარის მხოლოდ და მხოლოდ კაპიტალისტურ ტიპს.

იმ შემთხვევაში, როცა მეურნეობა წარმართება არა საზიარო წესით, არამედ ვენახი გაცემული წმინდა იჯარის წესით, ადგილი აქვს იჯარის კაპიტალისტურ ფორმას და მით უმეტეს უმართებულოა ასეთი იჯარის გაიგივება ნაბეღრად ბატონყმურ „მონაცვრულ" (исполщина) სისტემასთან.

ცნობილია, რომ მევენახეობა სოფლის მეურნეობის მაღალკულტურული დარგია. ჩვენს მევენახეობას ბაზარი სულ უფრო გაზრდილ მოთხოვნებს უყენებდა, რაც პირველ რიგში ღვინის რაოდენობრივი ზრდით და ღვინის ხარისხის გაუმჯობესებით, აგრეთვე ღვინის თვითღირებულების შემცირებით უნდა გამოხატულიყო. მე-19 ს. მეორე ნახევრის და მე-20 ს. პირველი მეხუთედის სამეურნეო პირობები მოითხოვდა მევენახეობის საერთო კულტურის ამაღლებას. საჭირო იყო ვენახის ნიადაგის სისტემატური დამუშავება, ვაზების შეწამვლა, ბრძოლა ფილოქსერასთან, რაც ხშირად ნარგავების მთლიანად შეცვლას მოითხოვდა და ა. შ. ერთი სიტყვით, მევენახეობა მხოლოდ მაშინ მიაღწევდა წარმატებას, თუ მოხდებოდა მაღალინტენსიური მევენახეური მეურნეობის შექმნა. მევენახეობის შემდგომი განვითარება უშუალოდ უკავშირდება დაქირავებული მუშახელის მნიშვნელოვანი რაოდენობით გამოყენებას, რომელთაც უმეტესად ისეთი შრომითი ოპერაციების შესრულება მოეთხოვებოდათ, რომელიც მუშის მაღალ სამეურნეო გამოცდილებასა და შრომით ჩვევებს გულისხმობს. მევენახეობაში შემოდის რთული ტექნიკა (შაბიამნის ხსნარის შესასხურებელი თუ გო-

გირდის შესაფრქვევი აპარატურა და სხვა), რომლის გარეშე მევენახეობის არამც თუ წარმატება, არამედ უბრალო არსებობაც კი შეუძლებელია. ვენახში ვაზების მწკრივზე ჩაყრა მოითხოვს მავთულის და სხვა მასალის გამოყენებას, რაც თავის მხრივ, ისევე როგორც აპარატურის შემოტანა, მაღალგანვითარებულ მრეწველობასთან არის დაკავშირებული; ხოლო ყოველივე ეს და მრავალი სხვაც, მოითხოვს კაპიტალის საგრძნობი რაოდენობით დაბანდებას. თუ გავიხსენებთ იმასაც, რომ მევენახეობა აღმოსავლეთ საქართველოს სოფლის მეურნეობის სხვა დარგებთან შედარებით ერთი ყველაზე უფრო საჭონლური დარგი იყო, ცხადი გახდება, რომ თავისუფალი კაპიტალი სოფლის მეურნეობის რომელიმე დარგში თუ ბანდდებოდა ყველაზე მეტად, ეს დარგი მევენახეობა იყო. სწორედ მევენახეობაა პირველ რიგში ის დარგი, სადაც შედარებით მცირე ფართობზეც (1-2-3 დეს.) შეიქმნა ნამდვილი კაპიტალისტური მეურნეობანი უმეტესად საზიარო ურთიერთობათა ფორმით.

СИСТЕМА ИЗДОЛЬНОГО ХОЗЯЙСТВА В ВИНОГРАДАРСТВЕ ВОСТОЧНОЙ ГРУЗИИ (1864—1917 гг.)

И. УТУРАШВИЛИ

Резюме

Система издольного хозяйства широко была распространена в виноградарном хозяйстве помещиков, торговцев и частично в хозяйствах восточной Грузии, принадлежащих лицам духовного звания.

После отмены крепостного права, т. е. после потери даровой рабочей силы, помещики начали широко применять в виноградарстве систему издольного хозяйства, которая, надо полагать, еще до проведения крестьянской реформы в значительном масштабе применялась в виноградарном хозяйстве лиц торгового сословия. Система издольного хозяйства просуществовала вплоть до 1917 года, а местами даже и до 1921 года.

Владельцы виноградников отдавали свои сады арендаторам, называющимся «мезвре», или «мебаге» (садовник). Размер площади виноградника, взятого в аренду отдельным садовником, обычно достигал около 3 дес., хотя иногда колебался от 0,5 до 2 дес.

Таким образом, в аренду отдавались более или менее крупные участки виноградных насаждений. Эти участки можно считать крупными, учитывая доходность виноградной культуры, трудоёмкость работ в виноградных садах, а также значительный размер капитала, необходимого для ведения хозяйства (требовалось систематическое лечение виноградных лоз в связи с грибными заболеваниями, а подчас и полное обновление виноградных садов, зараженных филоксерой и т. д.).

Садовниками-арендаторами являлись, большей частью, выходцы из западной Грузии (преимущественно имеретины, рачинцы, лечхумцы).

Аренда виноградных садов, которая широко была распространена повсеместно в хозяйстве помещиков, лиц торгового сословия и духовного звания в восточной Грузии, в основном проявлялась в виде издольного хозяйства, которое со своей стороны заключалось в том, что в аренду отдавалось целое хозяйство, т. е. земля и доходные долголетние

насаждения виноградных лоз; притом отдача хозяйства в такую аренду, обычно, вовсе не означала отстранения собственника виноградного сада от ведения хозяйства. Владелец виноградника вкладывал определенную часть оборотного капитала, другую часть этого капитала вносил мезвре (арендатор), а получаемый доход (в виде винограда, вина или денег) чаще всего после продажи вина делился соответственно с условиями соглашения, принимая во внимание размер доли оборотного капитала, внесенной сторонами. Обычно арендатор получал половину, но иногда 1/3 часть дохода.

Издольное хозяйство в виноградарстве восточной Грузии в отличие от такой же системы в зерновом хозяйстве, на наш взгляд, не являлся полукрепостнической системой ведения хозяйства, как это утверждают некоторые авторы (напр. В. Д. Мочалов). Его, скорее всего, можно считать хозяйством капиталистического типа. При этом капиталистическими предпринимателями являлись обе стороны, как арендаторы, так и собственники виноградных садов.

Таким образом, издольное хозяйство в виноградстве являлось такой формой ведения хозяйства, когда на небольших, сравнительно, участках земли (1-2-3 дес.) были организованы высокодоходные хозяйства, которые по своему содержанию являлись капиталистическими.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვაჭრობა XVIII საუკუნის I მეოთხედის ქართლის სამეფოში

მ. ქიქოძე

(წარმოადგინა საქ. სსრ მეცნ. აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტმა)

ქართლის სამეფო XVIII ს. დასაწყისიდან აღმავლობას განიცდის. ამ დროიდან იწყება წინა პერიოდში შექმნილი „ჩახიდან“ დაძვრის ხანა. ქართლის ცენტრალური ხელისუფლება მნიშვნელოვან ღონისძიებებს ატარებს უცხოელ დამპყრობელთა მიერ დარბეული ქვეყნის აღსადგენად (შინაეკონომიური მდგომარეობის შემდგომი აღმავლობის მიზნით ქართლიდან გაქცეული გლეხობის უკან დაბრუნება—„მყრელობა“ ხდება).

აღორძინდა სოფლის მეურნეობის დარგები—მემინდვრეობა, მებაღეობა-მებოსტნეობა, მეღვინეობა, მეაბრეშუმეობა, მესაქონლეობა და ტექნიკური კულტურები.

ფეოდალურ-ბატონყმურ ეკონომიკას გამოცოცხლება ეტყობა. სოფლის მეურნეობაში შესამჩნევი ხდება მეურნეობის ერთგვარი სპეციალიზაცია, რომელიც იწვევს ცალკეულ რაიონთა შორის კავშირის განმტკიცებას და საშინაო ბაზრის შემდგომ გაფართოებას.

შრომის საზოგადოებრივი დანაწილების შემდგომი განვითარება ხელს უწყობს ქალაქების ზრდას. დაიწყო საქალაქო ცხოვრების გამოცოცხლება. დიდი ყურადღება ეთმობა გზების გაუმჯობესებას და მათი დაცვის საქმეს, ხიდების აშენება-შეკეთებას, ქარვასლა-ფუნდუკების მშენებლობას. იზრდება ხელოსნური წარმოება. ქართლის სამეფოს დედაქალაქში—თბილისში ჩნდება შედარებით დიდი სარეწაოები—ზარაფხანა და სტამბა.

ვითარდება ვაჭრობა, აღებმიცემობა როგორც ქართლის შიგნით, ისე საქართველოს სხვა სამეფო-სამთავროებთან და საზღვარგარეთაც.

მსხვილ ფეოდალთა თავგასულობის შესაზღუდავად და მეფის ხელისუფლების განმტკიცების მიზნით ყალიბდება „მცველთა ჯარი“. იქმნება ეპოქის შესაბამისი კანონმდებლობა, ჩაღდება კულტურული მშენებლობანი, ახლებურად იმართება საქართველოს ისტორია.

XVIII ს. დასაწყისისათვის ქართლის მთავარი ეკონომიური ბაზა სოფლის მეურნეობა იყო, ხელოსნობაც ძირითადად მიწისმოქმედებასთან იყო დაკავშირებული და ამდენად ხელოსნური ნაწარმიც წმინდა სასაქონლო ფუნქციას ვერ დაიჩემებდა. მაინც ქართლსა და ქართლის ქალაქებში XVIII ს. I მეოთხედისათვის შეიმჩნევა ვაჭრობა-აღებმიცემობის გამოცოცხლება.

მართალია, მასალათა სიმცირის გამო ჩვენ გაგვიჭირდა საშინაო და საგარეო ვაჭრობის ბალანსის საკითხის გადაჭრა და აღებმიცემობის ზუსტი ციფრობ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რული მონაცემების მოწოდება, მაგრამ შეეცადეთ შეძლებისდაგვარად აღგვედგინა XVIII ს. დასაწყისის ქართლის ვაჭრობის დაახლოებითი სურათი. შეგვეს წავლა ვაჭრობის ორგანიზაციის საკითხი, მოგვეცა სავაჭრო გზების, სავაჭრო საგნების, ვაჭართა სოციალური მდგომარეობის დახასიათება, რასაც ქვეყნის ეკონომიური ვითარების შესწავლისთვის გარკვეული მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს.

მართალია, ქართლის შინაგანი ვაჭრობა და შინაური ბაზარი, ფეოდალური დაქსაქსულობისა და ნატურალური მეურნეობის პირობებში სუსტ სავაჭრო ცხელს ჰქმნიდა. მიუხედავად ამისა, XVIII ს. I მეოთხედისათვის ხუთი ცენტრალური სავაჭრო-საქარავნო მაგისტრალია დადასტურებული ქართლის ტერიტორიაზე, რომელიც თავს იყრიდა ქართლის დედაქალაქში—თბილისში და აერთებდა როგორც ქართლის რაიონებს, ისე აკავშირებდა ქართლს გარეშე სამყაროსთან[1]. ერთ-ერთი გზა შემოდიოდა თბილისში ჩრდილო-დასავლეთიდან —ბათუმიდან სამცხის გავლით, ახალციხით და აწყურით, გორისა და მცხეთის ჩავლით. ეს სამიმოსვლო გზა შტოვდებოდა ორ პუნქტში. პირველი ურბნისის უფრო სამხრეთ დასავლეთით მიემართებოდა ჩრდილოეთისაკენ, სურამის უღელტეხილით გადიოდა დასავლეთ საქართველოში. მეორე გზა კი აწყურის ჩრდილოეთით, ოძრხეს გავლით დასავლეთ საქართველოსაკენ მიიმართებოდა. ეს გზა ქართლს დასავლეთ საქართველოსთან აკავშირებდა. მეორე მთავარი მაგისტრალი, რომელიც დედაქალაქიდან გადიოდა, იყო ჩრდილოეთისაკენ მიმავალი გზა. იგი ქართლს აერთებდა ჩრდილო კავკასიას. შემდიოდა დარიალიდან, ფასანაურის, ანანურის, ჟინვანისა და წიწამურის გავლით მცხეთაში და პირდაპირ დედაქალაქისაკენ მიიმართებოდა. ამ გზასაც ეყოფოდა ერთ-ერთი შტო, რომელიც ჟინვანიდან აღმოსავლეთისაკენ იღებდა გეზს, კახეთისაკენ მიედინებოდა და თელავამდე აღწევდა.

მესამე გზა კი თბილისიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ მიემართებოდა, ხუნანის გავლით ყახახისაკენ მიდიოდა და ყახახიდან კი შამქორსა და განჯისაკენ. ამ მაგისტრალსაც ეყოფოდა ერთი შტო, რომელიც სამხრეთისაკენ იღებდა გზას და ერევნამდე აღწევდა. ეს სამიმოსვლო გზა ქართლს აღმოსავლეთის სამყაროსთან აერთებდა.

მეოთხე გზა თბილისიდან მიდიოდა კოდასა და მარაბდის გავლით, მდ. დებედას მახლობლად, ბამბაკზე. ბამბაკის მახლობლად შტოვდებოდა ერევნისა და ანისისაკენ. ეს გზაც, როგორც წინა სამიმოსვლო მაგისტრალიც, ქართლს სამხრეთ ქვეყნებთან აკავშირებდა.

მეხუთე გზას სამხრეთ-დასავლეთისაკენ ჰქონდა აღებული გეზი. მანგლისზე გადავლით თრიალეთისაკენ მიდიოდა, რომელიც იყოფოდა ჩრდილოეთისაკენ— თორისაკენ და სამხრეთით ახალქალაქის გავლით ბათუმისაკენ მიემართებოდა.

ამრიგად, ეს ხუთი მთავარი მაგისტრალი სამეფოს ცენტრალურ ნაწილს თბილისს უერთებდა ქართლის ცალკეულ რაიონებს. აკავშირებდა ქართლის სახელმწიფოს საქართველოს სხვა სახელმწიფოებთან და რაც მთავარია, ამ სამიმოსვლო-საქარავნო გზების წყალობით ხდებოდა სამხრეთ-აღმოსავლეთიდან, მეზობელი სახანოებიდან, სპარსეთსა და თურქეთიდან სავაჭრო საქონლის შემოტანა თუ გატანა, ჩრდილოეთიდან სატრანზიტო და საექსპორტო პროდუქტის შემოზიდვა.

---

[1] სამიმოსვლო-სავაჭრო გზები დადგენილი გვაქვს ვახუშტი ბატონიშვილის რუკის მიხედვით, რომელიც 1923 წ. აკად. ივ. ჯავახიშვილის მიერ იყო გამოცემული.

XVIII საუკუნისათვის სავაჭრო-საქარავნო და სამიმოსვლო გზები, როგორც სამეფო კარის, ისე სათავადო სახლების დაცვისა და ზრუნვის საგნად იქცა. ვაჭრობა-ადებმიცემობით დაინტერესებული ცენტრალური ხელისუფლება გზების და ხიდების მოვლისათვის სპეციალურ რიგს ადგენდა. ამ სამიმოსვლო გზათა დაცვა, როგორც გზასთან მდებარე სოფელს, ისე სათავადო სახლს ევალა, იმისდა მიხედვით, თუ რომელი თავადის ტერიტორიაზე გადიოდა ეს გზა.

„დასტურლამალში“ კითხულობთ:

„უნდა უთაონ რევისშვილებმა, წრულელთ, ნახშირის-გორელთ, კვეხელთ და შავ-წყლის გზა უნდა შეინახონ. უნდა უთაონ თელაშვილებმა, თაკველთ, ძრელთ, ვანათელთ, თულაანთ მამულან ფანჯრების გზა შეინახონ. უნდა უთაონ საგინაშვილებმა, თავეთის მამულით კოშკის გზა შეინახონ.

საკაძემ, გლურჯიძემ და ატენელთ და იმ ხეობამ—ბათლომის გზა. საჯავახიანოს მელესის და თავიანთი გზა.

თარხნის მამულმა, ცხისელთ—გოსთიბის გზა.

კავთისხევმა, წინარეკმა და საქშათა-ხევმა თავეთი გზა. ნიჩბელთ თავეთი მთა, ციხედიდელთ, ძველთ თავეთი მთა“[2] და სხვ.

ამრიგად „დასტურლამალში“ დაცული პარაგრაფი მბ „—გზების შენახვისათვის“ გვაძლევს საშუალებას დავინახოთ, თუ როგორ იყო დაინტერესებული ცენტრალური ხელისუფლება ეკონომიურად და პოლიტიკურად დაქსაქსული ფეოდალური ქვეყნის შეკავშირებაში.

თბილისის ბაზარზე შემოდიოდა და იყიდებოდა როგორც სოფლური საქონელი, ისე თავადიშვილის, აზნაურიშვილის, გლეხისა და ხელოსნის. ვაჭრობდა ყოველი მათგანი.

XVIII საუკუნის I მეოთხედის ქართლის ვაჭრობის ორგანიზაციის წარმოსადგენად უეჭველია საბაჟოთა სისტემის გათვალისწინება და იმ პროცედურის აღწერა, რომელიც ვაჭრობასთან იყო დაკავშირებული.

XVIII საუკუნის I ნახევარში, ვახუშტის აღწერისა და თბილისის ატლასების მიხედვით, თბილისს ექვსი კარი ჰქონდა[3]. ამ კარის საშუალებით შემოდიოდა საქონელი თბილისში და ბაჟის გადახდაც 6 კართან ხდებოდა. დასავლეთით თბილისს 2 კარი ჰქონდა—„ყოჯრისა და დიღმის კარი“, ჩრდილოეთით ხიდების საშუალებით კი ორი კარი იღებოდა—„მეიდნისა და ქვემო კარი“, ხოლო სამხრეთით „განჯისა და აბანოს კარი“. განჯის კარი კალას—თბილისის გამაგრებულ ნაწილს სეიდაბადთან აკავშირებდა[4].

თბილისში ბაზრობაზე ამ ექვსი კარის საშუალებით საქართველოს ყველა კუთხიდან მოედინებოდა საქონელი.

თბილისის ბაზარზე საპალნობით შემოდიოდა აბრეშუმი, ფარჩა, ბამბა, ენდრო, თაფლი, ერბო, მატყული, ბრინჯი, რკინა, შაბი, მარილი, ხმელი ხილი, თამბაქო, ზეთი, თევზეული და სხვა[5].

თბილისსა, გორსა და ქართლის სხვა ქალაქებში გასაყიდი საქონელი შემოჰქონდათ ურმით, ცხენით, სახედრითა და აქლემით.

შემთხვევითი არ არის, რომ 1705 წ. ნინო ამილახვრის საქონლის სიაში სხვა საოჯახო ნივთებსა და სამკაულებთან ერთად მოხსენიებულია როგორც 8

---

[2] დასტურლამალი, ს. უმიკაშვილის გამოც., 1886, გვ. 22.

[3] ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 1941, გვ. 52, 53.

[4] ვ. ბერიძე, XVIII ს. თბილისი ვახუშტის გეგმის მიხედვით, ანალები; 1947, გვ. 141-142.

[5] დასტ., გვ. 100-101.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხენი და 1 ჯორი, ისე 5 აქლემი[6]. აქლემი, როგორც ცნობილია, გამწევ ძალად არ იხმარებოდა. სავარაუდებელია, რომ, როგორც სხვა შემთხვევაში, აქაც მას მხოლოდ სავაჭრო-საქარავნო გზაზე ტვირთის გადატანისათვის შეინახავდნენ.

აქ მოდიოდა აგრეთვე ფქვილი, ქერი, ფეტვი, ასლი, წაბლი, ზეთის ხილი, ღვინო, ხილი, ბოსტნეული[7], ქონი, ხიზილალა, ღაზლი, ბალანი და სხვა. ქართლში, როგორც ზევით აღვნიშნეთ, ვაჭრობდნენ სახელოსნო ნაწარმით, პირუტყვითა და ტყვეებითაც[8].

თუ ჩვენ ყველა ზემოთჩამოთვლილ სავაჭრო პროდუქტს გავითვალისწინებთ, შეიძლება ისინი შემდეგნაირად დავახასიათოთ. ადგილობრივი სავაჭრო საქონლიდან ქართლის ბაზარზე შემდეგი სახის პროდუქტი ჩანს. 1. ქსოვილები: ფარჩა, აბრეშუმი, მატყლი, სელი, ბამბა, წინდები. II. სანოვაგე: ხორცი, თევზეულობა, ბრინჯი, ზეთი, ერბო, ქონი, თაფლი, ხილი, ფქვილი, მარცვლეული, ბოსტნეული და სხვა. III. საღებავი— ენდრო, IV. თამბაქო, V. პირუტყვი და ფრინველი[9].

გარდა ადგილობრივი სავაჭრო საქონლისა, უცხოური საქონლიდან შემოდიოდა თავრიზის ფარჩა, ორდუბადის აბრეშუმი, ქირმანის შალი, „საყათის საქონელი"—სანელებლები, ფუფუნების საგნები და ტყვეები. ტყვეები უმთავრესად იმერეთიდან მოჰყავდათ.

XVII ს. 70-იანი წლების ფრანგი მოგზაური შარდენი, აღწერდა რა თბილისს, აღნიშნავდა, რომ „აქ არის კარგად შენახული დიდი საბაზრო შენობები"[10], რომელთაც უფრო სახელმწიფო სავაჭრო მნიშვნელობა უნდა ჰქონოდათ თავისი მოცულობის მიხედვით, ვიდრე კერძო ხასიათი. შარდენი აღნიშნავს წვრილ მოვაჭრეთა დუქნების არსებობასაც, რომლებიც განლაგებული იყო მეფის სასახლის წინ არსებულ ოთხკუთხა მოედნის ირგვლივ.

„მოედნის ბოლოს, —წერდა შარდენი.—გრძელი ბაზარია მოთავსებული. სასახლის პირდაპირ". შარდენი განსაკუთრებით ხაზგასმით აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ დუქნები დიდი გულისყურით არის მოწყობილი, სუფთად არის შენახული, სპეციალური ადგილი აქვთ მიჩნეული, მაღლობზე დგანან და დასცქერიან ქალაქს.

შარდენის აღწერა სრულიად ემთხვევა XVII საუკუნის I მეოთხედის ისტორიულ დოკუმენტებს, რომელთა მიხედვით, თბილისის მოედანს რკალად ქუდბაქები ერტყა გარს. აქ იყო აშხარბეგ-მელიქის დუქანი, ყარაყაშაანთ დუქანი, ნაზირი ოსეფას დუქანი[11], ნაზარა მელქუაშვილის ქულბაქი, ოჰანას ქულბაქი, შაჰაპას ქულბაქი[12] და განჯელი ნეჩატურას ქულბაქი[13]. XVIII ს. 10-იანი წლების საბუთებში გვხვდებიან აგრეთვე თბილისის მოედანზე დუქნის მფლობელნი ასლანბეგაანთ გასპარა, ფირაგულიანთ გასპარა, ფირაგულიაანთ ნაზარა, აშხორლიაანთ ჰახვერდა, კიკოსაანთ არუთინა[14], მირიმანაშვილი ზურაბა[15], ხითარი-

---

[6] ხელნ. ინსტ., ფ. Hd, № 5153.

[7] დასტ., გვ. 91.

[8] იქვე, გვ. 20.

[9] იქვე, გვ. 100-101.

[10] შარდენი, მოგზაურობა საქ-ში, თბ., 1935, გვ. 94.

[11] ს.ც.ი.ა. ფ. 1450, დ. 6, № 76; № 104.

[12] იქვე, დ. 25, № 32.

[13] იქვე, დ. 4. № 226.

[14] იქვე, ფ. 1448, № 9658.

[15] იქვე, ფ. 1450, დ. 1, აღწ. 2, № 110.

შვილი როსტომას, ხუდინაშვილის, საფარაშვილის დუქანი[16]. ერთ ქულბაქს მეორე ეკვროდა, მეორეს მესამე, მესამეს მეოთხე და ა. შ. და ქმნიდა ერთ მოზრდილ სავაჭრო ცენტრს, სადაც გაცხოველებული აღებ-მიცემობა მიმდინარეობდა. დუქნების მწკრივს წინ ქუჩა ჩაუდიოდა, რომელიც უშუალოდ ბაზარს ემიჯნებოდა.

ამ დუქნის მფლობელი ვაჭარნი ჩვენთვის საინტერესო ხანაში სხვადასხვა სახის საქონლით ვაჭრობდნენ.

ჩვენ ვხვდებით 1716 წ. საიუველირო ნაწარმით მოვაჭრე პაპა საფარაშვილს[17], XVIII ს. 20-იან წლებში თამბაქოთი მოვაჭრე ესტატეს, რომელსაც თავისი სპეციალური დუქანი აქვს თბილისის მოედანზე[18], XVIII ს. ათიან წლებში ქვაბებისა და ჭურჭლებით სავსე ქულბაქს, რომელშიც ვაჭრობენ ზურაბა პეტროშაშვილი და ნასყიდა[19]; მექვაბე ნასყიდა 1718 წ. თბილისის ერთ-ერთი დუქნის პატრონია[20]. ამავე დროისაა მეხმალე მოსესას დუქანი, რომელშიც იყიდება სხვადასხვა სახის ფეხსაცმელი[21]. 1719 წ. თბილისის მოედანზე დგას ცხენის სამკაულებით მოვაჭრე—სარაჯი ბერაას ქულბაქი[22]. 1718 წ. თავისი დუქანი აქვს კუპრავ მელქოა ავაქაშვილსაც[23]. 1723 წ. მენაბდისა და ბაყალის დუქანში ვაჭრობენ თბილისის ქარვასლის წინ მდებარე სავაჭრო წერტები[24]. 1723 წ. მეზანდუკეთა ქულბაქს ფლობენ გარსიაშვილები[25].

თბილისში ადგილობრივ მოსახლეთა გვერდით დუქნების მეპატრონეებად ჩანან უცხოელი მედუქნეებიც. მაგალითად, 1701 წ. თბილისში ბაზარში მდგომ დუქანს თავისი შეგირდით იძენს ვინმე სტამბოლელი ხოჯა. რა ხასიათის საქონლით უნდა ევაჭრა სტამბოლელ კაცს, არ ჩანს, მაგრამ იგი ფეხს იკიდებს თბილისში და სპეციალურ დუქანს იძენს თავისი საქონლის გასაღებისათვის. უცხოელ მოვაჭრეთა შორის თბილისში დუქნის მფლობელია განჯელი ხეჩატურაც, რომელსაც ასევე თბილისის მოედანზე აქვს თავისი დუქანი[26].

XVIII ს. I მეოთხედის მასალებიდან ირკვევა, რომ სავაჭრო წერტები, ქულბაქების სახით „მკვიდრობაში“ გადადიოდა ხოლმე. ფეოდალური საკუთრების ფორმა დუქნებსა და ქულბაქებზეც ვრცელდებოდა. მაგალითად, ნასყიდობის სიგელებში ხაზგასმით აღინიშნება ის მომენტი, თუ ვსა თუ ის დუქანი რა მიმართებაშია თავის პატრონთან. საბუთებში ვკითხულობთ, რომ ნასყიდობის სიგელის მიმცემი ვალდებულია აღნიშნოს—ეს დუქანი „მკვიდრია“ თუ „ნასყიდია“.

ოქრომჭედელი საფარაშვილი პაპა წერს, რომ მას „მამისეული მკვიდრი“ ქულბაქი გაუყიდნია[27] და ასევე—„მკვიდრი მამისეული“ დუქანი სპერია ზაქარა გოგინაშვილს[28]. ცხადია, ფეოდალური ურთიერთობის ხანაში, საკუთრების „მკვიდრობის“ საკითხს თავისი მნიშვნელობა ექნებოდა. იურიდიული უფლებაც

16 ს.ც.ი.ა. ფ. 1450, დ. 8, № 51.
17 ს.ც.ი.ა. ფ. 1450, დ. 8, № 51.
18 იქვე, დ. 16, № 14.
19 ხელნაწ. ინსტ. ფ. Hd. № 9037, დოკ. თბილ. ისტ. გე. 113-114.
20 ს.ც.ი.ა. ფ. 1450, დ. 1, № 137.
21 იქვე, დ. 22, № 109.
22 იქვე, ფ. 1448, № 4420.
23 იქვე, ფ. 1450, დ. 1, № 37.
24 დოკ. თბ. ისტ. გე. 129, 131.
25 იქვე, გე. 131.
26 ს.ც.ი.ა. ფ. 1450, დ. 4, № 226.
27 იქვე, დ. 8, № 51.
28 იქვე, დ.1 6, № 14.

საკუთრებაზე ამასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. მაგ., როდესაც აღზამაანთ მარტიროზე იძენდა და აფორმებდა ქუღბაქს ნარიმაანთ ოსეფასაგან, აღნიშნავდა, რომ: „ჩვენი ალალი ნასყიდი დუქანი თავისი ძელის სიგლითა მოგყიდე“-ო[29].

აღსანიშნავია, აგრეთვე, ის მომენტიც, რომ დუქნებისა და ქულბაქების გაყიდვისა თუ გასხვისების შემთხვევაში მიყენებულია ხოლმე ის დოკუმენტური გაფორმება, რომელიც გეიანფეოდალური ხანის სყიდვის აქტს ახლავს თან. კერძოდ, ფეოდალური საკუთრების დამკვიდრება მთელ კომპლექტზე აღნიშნულ ფაქტს წარმოადგენდა. ახალ პატრონს ეძლეოდა ესა თუ ის ქულბაქი „თავისი სამძღვრით, ვასავალ-შესავლით, მისის სამართლიანის საქმით და ა. შ.“[30] და ეს ასახული უნდა ყოფილიყო იურიდიულად გაფორმებულ დოკუმენტში, რათა ამა თუ იმ სავაჭრო წერტილზე პატრონს უფლება მოეპოვებინა.

XVIII საუკუნის I მეოთხედში დუქნებით ვაჭრობა გახშირებული ფაქტია. გოგინაშვილი ზაქარა, რომელიც ერთად 6 დუქანს ფლობს, ყველას ყიდის ერთად. მისგან იძენს ამ 6 დუქანს ტერ შიმოვინაშვილი ოპანა[31]. არც გაშყიდველი და არც ამ დუქნების მყიდველი ვაჭარი წვრილ მოვაჭრედ არ შეიძლება ჩავთვალოთ. მართალია, საბუთში არ არის არავითარი ცნობა იმის შესახებ, თუ რა ხასიათის ვაჭრობას აწარმოებდა გოგინაშვილი ან რა სახის შემოსავლიანი დუქანი გადასცა სხვას და როგორ შეფასდა ეს 6 დუქანი, მაგრამ ცხადია, რომ 6 დუქნის პატრონი მაინც მსხვილი ვაჭარი უნდა ყოფილიყო.

სხვა შემთხვევასთან გვაქვს საქმე XVIII საუკუნის დასაწყისში. ყალანდარ თუმანიშვილს სარქისა ხითარიშვილისათვის სამი ქულბაქი მიუყიდნია 22 თუმნად[32]. ესე იგი, თითო დაახლოებით 7-7 თუმნად. აქაც არ ჩანს, რითი ვაჭრობდა თუმანიშვილი, ან რა შემოსავალ-გასავალი ჰქონდა მის დუქანს, მაგრამ ცხადია, რომ თუმანიშვილი ერთად 3 დუქნის მფლობელი ყოფილა.

ცენტრალური ხელისუფლება ერევა რა ვაჭრობის საქმეში, სპეციალურ გადასახადს აწესებს დუქნის ფლობისათვის. თავის სარგოს ადგენს აღებმიცემობის შემოსავლიდან. კერძოდ, XVIII საუკუნის I მეოთხედისათვის ქულბაქის მფლობელი თვეში სამეფო გამოსაღებს თითო შაურს გაიღებდა. „დასტურლამალში“ სპეციალური თავია მიძღვნილი „დუქნისათვის“, სადაც აღნიშნულია, რომ „დუქნის თავს თუეში ერთხელ თითო შაური საბატონოდ ქალაქში მოგროვდების“[33].

„დასტურლამალში“ შემდეგია ნათქვამი: „დუქნის თავს გადასახადი თბილისში წლამდინ 11 თუმნამდის მიაღწეს, რომ დაგროვდების“[34]. ამრიგად, „დასტურლამალის“ შედგენის დროისათვის, ე. ი. 1704-5 წლებისათვის, თუ თბილისში თითო დუქანი თვიურად 1 შაურს იხდიდა და ეს გადასახადი თვეში 200 შაურს (1 თუმანს) ჰქმნიდა, მაშინ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ დროისათვის თბილისში დაახლოებით 200-ოდე დუქანი უნდა ყოფილიყო. დუქნის მფლობელობასთან დაკავშირებით არსებულ გადასახადს გარდა თბილისის და ქართლის სხვა ქალაქების მოქალაქე-ვაჭარნი იხდიდნენ კიდევ სპეციალურ ფულად გადასახადს, რომელსაც „მახტა“ ეწოდებოდა. შ. მესხია სწავლობდა უფრო გვიანდელ მა-

[29] ს.ც.ი.ა. ფ. 1448, № 4420.
[30] ს.ც.ი.ა. ფ. 1448, № 289.
[31] ს.ც.ი.ა. ფ. 1450, დ. 16, № 14.
[32] ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. , ფ. № 482.
[33] დასტურლამალი, გვ. 23.
[34] იქვე.

სალას, ადგენდა იმ პირობებს, რომელიც „მახტის“ აკრეფის შემთხვევაში უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული: «1. Махта распределялась среди мокалаков соразмерно их состоянию (богатству). 2. Переселившиеся из чужих стран или же откуда-нибудь в города Грузии на 3 года освобождались от Махты. 3. Тот кто не являлся „Мокалаком“, т. е. не состоял в книге мокалаков, не платил „Махту“. 4. Махта взималась с каждого дыма, а не полушно. 5. Махту не платили вдовы и сироты, священники, которые не имели „занимающихся торговлей сыновей“. т. е. те, кто не занимались в городе ремеслом и торговлей“[35].

შ. მესხია ამასთან ერთად აღნიშნავს, რომ მახტა სახელმწიფო-სახასო გადასახადი იყო, იკრიბებოდა სახელმწიფო ვაჭარ-ხელოსნებისაგან. რომ „Частновладельческие крепостние не платили этого налога.“[36]

ამ გადასახადს იხდიდნენ მხოლოდ მოქალაქენი, რომელნიც ან სავაჭრო ან სახელოსნო ამქარში იყვნენ გაერთიანებულნი. „მახტა“ წინასწარ იყო განსაზღვრული და დადგენილი. იგი სრულიად სხვადასხვა რაოდენობისა იყო. XVIII ს. მიწურულისათვის, შ. მესხიას მიერ მოცემული ცხრილის მიხედვით, 17 სხვადასხვა რაოდენობის „მახტას“ იხდიდა 81 ოჯახი. დაჯგუფება ხდება ქონებრივი შესაძლებლობის მიხედვით. მაგ., 1710 წ. თბილისში მცხოვრებ ვაჭრებს ვახტანგაანთ აფრიამას, მამაჯანასა და საკას ეძოთ გადასახადი „მახტა“—ჯ. ე. ი. 5 მინალთუნი[37]. თუ შევადარებთ მას შ. მესხიას მიერ მოცემულ „მახტის“ გადამხდელ კომლთა ჯგუფებს, დავინახავთ, რომ ეს კომლი დაახლოებით XI ჯგუფის კომლია და რომელთა რაოდენობა დაახლოებით ქართლში 16-მდე ადის.

ქართლის ვაჭრები, როგორც სხვა მოქალაქენი, იხდიდნენ კიდევ მესამე სახის ფულად გადასახადს „მალს“, რომელიც სულადობრივ გამოსაღებს წარმოადგენდა. „დასტურლამალის“ მიხედვით, მალს იხდიდა თბილისისა და გორის მცხოვრები. თითო სრულწლოვან სულზე მოდიოდა „მალი“ 6 აბაზი. თავდაპირველად კი „ახალს მოსულს მალის გამომღებს, რომ დავთარში ჩააგდებენ, იმას ნახევარს მალს გამოართმევენ“-ო[38]. —ვკითხულობთ დასტურლამალში.

მალს შეღავათი ეძლეოდა ახლადდაქორწინებულსაც:—6 აბაზის მაგიერ ახლადდაქორწინებული 3 აბაზს იხდიდა[39]. შეღავათით სარგებლობდა ავრეთვე ქალაქის მაცხოვრებელი ხანდაზმული პირი, რომელსაც უკვე მოგების საშუალება შემცირებული ჰქონდა.

„რომელიც მალის გამომღები კაცი დაბერდების, ასრე რომ მოგება აღარ შეეძლოს, ამისთანას მალი აღარ ეთხოვების“-ო[40], —წერია დასტურლამალში. ამრიგად, ცხადად ჩანს, რომ „მალის“ აღება გარკვეულ მომგებიან საქმიანობასთან იყო დაკავშირებული და მისი ამოკვეთაც მოგების შემცირებით იყო გაპირობებული.

ამრიგად, XVIII საუკუნის დასაწყისისათვის თბილისის მცხოვრებთა—ვაჭარ-ხელოსანთა სახელმწიფო გამოსაღებების „მახტისა“ და „მალის“ დაწესება, ქონებრივ შესაძლებლობასა და უნარიანობაზე იყო დამოკიდებული.

---

[35] Ш. А. Месхиа, Города и городской строй феод-ой, Грузии, Тб., 1959, 193.

[36] იქვე, გვ. 197.

[37] ხელნაწ. ინსტ. ფ. Hd, № 14470;

[38] დასტურლამალი, გვ. 85.

[39] იქვე, გვ. 19-20.

[40] იქვე, გვ. 85.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართლის ვაჭრობისა, საქონელბრუნვისა და საქონელთა საბაჟო ტარიფების განსაზღვრა შესაძლებელი იქნებოდა საბაჟო წიგნების საფუძველზე. ვინაიდან ჩვენ ასეთი დოკუმენტური მასალა არ გაგვაჩნია, ვცმაყოფილდებით „დასტურლამალითა“ და აქა-იქ გაფანტული ცნობებით.

თბილისში შემოსული გასასყიდი საქონლის აწონვა ხდებოდა ჩვეულებრივ განსაკუთრებულ დიდ სასწორზე, რომელსაც ყაფანი ერქვა[41]. „დასტურლამალში“ სპეციალური თავია მიძღვნილი ყაფანის სარგოსადმი, სადაც დადგენილია, რომელ სავაჭრო საქონელზე რამდენი ბაჟი უნდა გაეღო ყაფანის სასარგებლოდ ამა თუ იმ მოვაჭრეს. თბილისის ყაფანზე იწონებოდა ფქვილი, ქერი, ბრინჯი, შაბი, წაბლი, ფეტვი, ე. ი. ის, რაც ერთ მუხლში ხვდებოდა; ერთი საპალნიდან 1 ბისტს ყაფნის სასარგებლოდ სდებდნენ. თბილისის ყაფანზე მოდიოდა ასაწონად, აგრეთვე, ბამბა, რომლის აწონვა მეტად ფასობდა—ცალზე ერთ შაურს იხდიდნენ ბამბით მოვაჭრენი. ენდრომთი მოვაჭრე კი აწონავდა ცალზე ნახევარ შაურს იძლეოდა. ყაფანზე იწონებოდა, აგრეთვე, მატყლი, თაფლი, ერბო, რკინა, ზეთისხილი. საინტერესოა, რომ რკინის აწონვაში საპალნეზე ბისტი იდო გამოსაღებად, ისევე როგორც ფქვილსა, ქერსა და ბრინჯზე, ხოლო ზეთისხილის საპალნეზე—შაური. პირუტყვზე, რომელიც თბილისის ბაზარზე უნდა გაყიდულიყო, ყაფნის სასარგებლოდ, სხვადასხვა გამოსაღები იყო. მაგალითად, ძროხაზე შაური, ცხენზე აბაზი და საკვედარზე 2 შაური. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ „ყაფანი ხან ორმოც თუმნად და ხან მეტნაკლებად იჯარით აიღების ხოლმე“[42]—წერია დასტურლამალში. საქონლის აწონვის სახესხვაობაც არსებობდა. გარდა ყაფნისა, არსებობდა საბაჟოზე მეორე სახის სასწორი, რომელსაც „ბიზანი“ ეწოდებოდა და რომელზედაც ასაწონად მიჰქონდათ უმთავრესად აბრეშუმი, ლილა და სანელებლები, სადაც მცირე მოცულობის საქონელი ბაითმანობით უნდა აწონილიყო[43].

დაახლოებით ასეთსავე სასწორს წარმოადგენდა „საყადი“, რომელზედაც აიწონებოდა არა უმეტეს 7 გირვანქა წონის საქონელი. მაგ. აბრეშუმი და სანელებლები[44].

საინტერესოა, „დასტურლამალში“ მოხსენებული ტერმინი „გეჩანბაში“, რომელიც აღებ-მიცემობის განვითარებასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. თავში „ყაფნის რიგისათვის“ ყაფნის სასარგებლოდ გამოყოფილ საქონელთა შორის აღნიშნულია, რომ „გეჩანბაშის საპალნეზედ ბისტი არისო დადგენილი“[45].

როგორც „დასტურლამალის“ გამომცემელი პ. უმიკაშვილი განმარტავს თავის ლექსიკონში, შესაძლებელია ტექსტის ამ ადგილას ყოფილიყო ტერმინი „გეჩანბაჟი“ და არა „გეჩანბაში“, ე. ი. ბაჟის ერთ-ერთი სახეობა და არა მოხელე. ბაჟის აღება უნდა მომხდარიყო საქარავნო გზებზე სავაჭრო საქონლის წესიერი გადატანის შემთხვევაში[46]. შეიძლება ავრეთვე ვიფიქროთ, რომ იყო მოხელე „გეჩანბაში“, რომელიც სავაჭრო საქონლის გადატანას („გეჩან“—თურ-

---

41 დიდი სასწორი სავაჭრო მოედანზე.

42 დასტურ., გვ. 91.

43 იქვე, გვ. 100.

44 იქვე, გვ. 104; ს. უმიკაშვილის ლექსიკონი, გვ. 189.

45 დასტურლამალი, გვ. 91.

46 იქვე, გვ. 167.

ჭულად გასვლას, გადასვლას ნიშნავს) ხელმძღვანელობდა, რისთვისაც საპალნეზე 1 ბისტს ბაჟს იღებდა. ორივე შემთხვევაში საინტერესოა ის ფაქტი, რომ არსებობდა სავაჭრო საქმიანობასთან არსებული შედარებით მცირე გამოსაღები, რომელსაც სავაჭრო საქონლის ერთი ადგილიდან მეორეზე გადატანის შემთხვევაში იხდიდნენ მოვაჭრენი.

საბაჟო იყო აგრეთვე სათავადოთა საზღვრებზეც. სათავადოს მეთაური და სათავადო სახლი თავის პოლიტიკურსა თუ ეკონომიურ ძალაუფლებას ავრცელებდა იმ სავაჭრო საქონელზე, რომელიც მის სათავადოზე გადიოდა. იღებდა ბაჟს სპეციალურად განკუთვნილ პუნქტში, რომელსაც საბაჟო ეწოდებოდა. მაგალითად, ამილახორები სოფ. იგოეთთან იღებდნენ ბაჟს და იმ პუნქტს დღესაც „საბაჟო“ ეწოდება.

ასეთივე საბაჟო არსებობდა ვატხანგ VI-ის დროს „სომხითისაკენ ჭიაქჭის წყლისა და დამღალურ წყალთან, სერზე“ სადაც „საბაჟოს ქვის ყრილობა“ იყო და სადაც სომხითში შემოტანილ სავაჭრო საქონელზე ბაჟი იღებოდა[47].

გ. ჯამბურია წერს, რომ „ყაფლანიშვილები მთელ სომხით-საბარათიანოს ვაჭრობას კონტროლს უწევდნენ“[48] და ამის დამდასტურებლად მოჰყავს ცნობა, სადაც ყაფლანიანთ სახლი აცხადებს: „ბოლნისზე თუ თრიალეთზე ან ჩვენს მამულში, რაც ქარავანი გაივლის, ბაჟი სულ ჩვენია: აბრეშუმზე აბაზი, ენდროზე და ბამბაზე ორი შაური, ფარჩაზე 6 შაური, ხიზილალაზე, თევზზე ერთი შაური, ბრინჯზე ერთი შაური“[49].

ყაფლანიშვილების საბაჟოს შესახებ ცნობას ადასტურებს ვ. გაბაშვილის მიერ მიკვლეული 1729 წ. ხელნაწერი დასტურლამალისა, სადაც თრიალეთის საბაჟოს შესახებ ვკითხულობთ: „თრიალური ბაჟი ასრე აიღების: აბრეშმისა და ლანდრის საპალნეზედ—თვითო აბაზი, სხვა რაც საპალნე იქნების, ოროლი შაური, ამის აღებაზედ თვითო წალკელს კაცი გაუყოლელად იქნებოდეს. რაც ბაჟი დაგროვდების, ორს წილს საბატონოდ წამოიღებდენ და მესამედსა წალკელი—წაიღებდეს“[50].

ამრიგად, სამეფო კარის მიერ შემუშავებულ წესსა და რიგში სამეფოდ თრიალეთის საბაჟოდან 2 წილი უნდა განკუთვნილიყო. თითონ ყაფლანიშვილები კი აცხადებდენ—მთელი თრიალეთის ბაჟი ჩვენ გვეკუთვნის. ცხადია, უპირატესობა ამ შემთხვევაში იმის მხარეზე იქნებოდა, თუ ქართლის სამეფო კარსა და საყაფლანიშვილოს ურთიერთობაში ვისი პოლიტიკური და პოლიტიკური ძალა გადასწონიდა. გვიანფეოდალური ქართლის ცხოვრებაში ეს ცვლილებადობა სრულიად ჩვეულებრივი მოვლენა იყო. XVIII ს. დასაწყისისათვის კი სამეფო კარი შედარებით უფრო ახერხებს თავისი ძალაუფლების გავრცელებას სათავადოებზე და მათ შორის საყაფლანიშვილოზე.

საბაჟოები არსებობდა ქართლის ისეთ ქალაქებთან, როგორიც იყო ცხინვალი, ალი, სურამი, ახალდაბა და სხვა, სადაც ხდებოდა სავაჭრო საქონლის ბაზრობაზე გატანა და რეალიზაცია.

---

47 ს.ც.ი.ა. ფ. 1450, დ. 6, № 19.

48 გ. ჯ ა მ ბ უ რ ი ა, ქართ. ფეოდ. ურთ. ისტ., თბილისი, 1955, გვ. 107.

49 თ. ქ ო რ დ ა ნ ი ა, ქრ., II, გვ. 443.

50 ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, დასტურლამალის 1729 წ. ხელნაწერი, მას. საქ. და კავ. ისტ., ნაკ. 20, 1945, გვ. 88.

იმერეთიდან გადმოსული ისრაელი ისხაკ მანაშერაშვილი (რომელიც ვაჭარი უნდა ყოფილიყო) სვეტიცხოველს ყმობოდა. კათალიკოზ-პატრიარქ დომენტი ბატონიშვილს მანაშერაშვილი გაუთავისუფლებია ახალდაბის ბაჟისაგან[51].

ცხადია, საბაჟო იყო აგრეთვე ქართლის ისეთ მნიშვნელოვან ქალაქში, როგორიც იყო გორი. გორის ვაჭრობის შესახებ ჟ. შარდენი წერდა, რომ „აქ უხვად არის ყოველგვარი ხორაგი და იაფად იყიდება“ და ხსნიდა ამ გარემოებას იმით, რომ ქ. გორის მცხოვრებლები „სულ ვაჭრები არიან და საკმაოდ შეძლებულებიც“[52].

რაც შეეხება, გორის საბაჟოს და გორის მებაჟის შესახებ „დასტურლამალში“ ვკითხულობთ: „თავრეზის საბალენ, რომ მოიტანონ, მძიმე ფარჩა თუ მსუბუქი გაუხსნელად, თუ იმაზედ გამოერთმევის საბალენზე 3 მინალთუნი, ურდუგარის საბალენზედ მინალთუნი ორი, ენდროზე აბაზი, მარილის საბალენზედ 2 ბისტი, ბრინჯზედ 5 შაური“[53].

გორის მებაჟე იღებდა აგრეთვე, დასტურლამალის მიხედვით, თავის წილს სატრანზიტო პროდუქტზე. გორში შემოტანილი ან გატანილი საქონლის უვნებლად დაცვისათვის მას ეძლეოდა თავისი წილი[54]. მაგალითად, ცხინვალის მებაჟის შესახებ ვკითხულობთ „დასტურლამალში“: „რუისის ქედს აქეთ და დირბის წყალს აქეთ, მეჯვრის ხევის წყალს აქეთ, სეფას ზეით, ორსავ ლიახუნზედ, რაც მარილი გაიევის, ბაჟს ცხინვალის მებაჟე აიღებს“[55].

ქართლის საბაჟოებიდან მიღებული შემოსავალი, სახელმწიფო ხაზინის გამოდიდრების ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენდა. დავით-გარეჯის წყალობის წიგნიდან ჩანს, რომ ვახტანგ ბატონიშვილი დავით გარეჯის მონასტერს სწირავს სურამის საბაჟოდან მიღებულ 5 ლიტრა სანთელს, საიდანაც მას, როგორც ჩანს, თავისი წილი ერგებოდა.

საბაჟოთა ასეთი სიუხვე ფეოდალური ქართლის სახელმწიფოს ბუნებიდან გამომდინარეობდა. პოლიტიკურად დაშლილი და დაქუცმაცებული ქვეყნის ცენტრალური ხელისუფლების ძალაუფლებას განაპირობებდნენ ადგილობრივი სახელისუფლოები, რომელნიც, თავის მხრივ, საბაჟოთა სისტემის რთულ კომპლექსს ქმნიდნენ. ცენტრალურ ხელისუფლებას არ შესწევდა ძალა, სათავადოთა სისტემის პირობებში ერთიანი საბაჟო სისტემა შეემუშავებინა და ხელი შეეწყო ვაჭრობის განვითარებისათვის. მრავალრიცხოვანი საბაჟო არტახები კი, ცხადია, ვაჭრობის განვითარებას ერთგვარად აფერხებდა. მაგრამ მიუხედავად ამისა, XVIII ს. I მეოთხედში ცენტრალური ხელისუფლება ხელს უწყობს ვაჭრობის გამოცოცხლებას და სპეციალურ ადგილს უთმობს საბაჟოთა საკითხს ისეთ იურიდიულ სახელმწიფო ძეგლში, როგორიც „დასტურლამალი“ იყო.

აღსანიშნავია ის მომენტი, რომ ბაჟი, რომელიც ედო სავაჭრო საქონელს, უფრო ხშირად ფულადი გამოსაღების სახეს ატარებდა. ასეთივე ფულის გამოსაღები უნდა გაეღოთ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბაზრობაზე გატანილ საქონლის აწონის შემთხვევაში. მინაშიც ქალაქის კარზე ფულად იღებდა გასასყიდი საქონლიდან კუთვნილ თავის ულუფას.

---

51 ნ. ა. ბერძენიშვილი, დოკ. საქ. სოც. ისტ., ტ. I, გვ. 140.

52 შარდენი, დასახ. ნაშრ., გვ. 82.

53 დასტურლამალი, გვ. 20.

54 იქვე.

55 იქვე, გვ. 122.

„აბრეშუმის საპალნეზე შაური, ფარჩის საპალნეზედ ნახევარი შაური. ბამბის საპალნეზედ ბისტი, საყათნეზედ ფული ორი, თამბაქოზედ ნახევარ შაური, მარილის საპალნეზედ ფული, თაფლზედ ორი ფული, ბატკნეზე ერთი ფული, თევზის საპალნეზედ ბისტი, გასასყიდელის ცხუარზედ ასზედ ორი შაური“.

ფულით უნდა გაესტუმრებინათ ტყვის სყიდვის აქტი ორივე მხარეს. სამსამი მინალთუნი უნდა გაეღო ცენტრალური ხელისუფლების სასარგებლოდ[56].

ზემოთმოტანილი მასალიდან ჩანს, რომ ქართლის შინაგანი ვაჭრობა დამყარებული იყო ადგილობრივ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის გასაღებასა და ადგილობრივი ხელოსნური ნაწარმის რეალიზაციაზე. მიუხედავად იმისა, რომ XVIII ს. I მეოთხედისათვის ქართლის სავაჭრო პოლიტიკაში სიმშვიდე არ დამყარებულა, ქვეყნის ეკონომიკაში შეიმჩნევა მაინც სამეურნეო ხასიათის წინსვლა და ერთვარი აღმავლობა, რაც თავის მხრივ ახდენდა ქვეყნის რაიონთა შორის სავაჭრო კავშირის გაბმას. ამრიგად, როგორც ფეოდალური ბატონყმური წყობის ვითარებაში, ისე XVIII საუკუნისათვის, ვაჭრობა ეყრდნობოდა უმთავრესად შინაურ ბაზარს, რომელსაც პრინციპად ედო იაფად შეძენილი საქონლის უფრო ძვირ ფასებში გასაღება.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, ქართლის ბაზარი გარდა საქართველოსა და ქართლში დამზადებული სავაჭრო პროდუქტისა, უცხოეთიდან შემოტანილი პროდუქტითაც საზრდოობდა. უცხოური საქონლიდან ორდუბადის და თავრიზის ფარჩა იყო განსაკუთრებით ხშირი, რომელსაც თავისი კუთვნილი ბაჟი ედო. სამეფო ბაჟი ორდუბადის აბრეშუმზე საპალნეზე 11 აბაზი იყო. აქ უცხოურ საქონელთან შედარებით სამეფო ბაჟი ადგილობრივ, კერძოდ თბილისის მოქალაქეთა აბრეშუმსა და ფარჩის საპალნეზე 3 აბაზს ადგებდა. ე. ი. თითქმის მეოთხედს.

სრულიად ცხადად ჩანს, რომ ქართლის ცენტრალური მთავრობის საბაჟო პოლიტიკა ადგილობრივ წარმოებას მფარველობდა უცხოური ნაწარმის მეტოქეობისაგან.

XVIII ს. I მეოთხედის ცენტრალური ხელისუფლების მსგავსი ინტერესი კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდება, თუ მას შევადარებთ XVIII ს. 70-80 წწ. სავაჭრო პოლიტიკას. „ქალაქის მოურავის სარგოს“ მე-5 მუხლში ნათქვამია, რომ თავრიზული ფარჩის ბაჟი თუმანზე 5 შაური წესდება, ე. ი. ორჯერ ნაკლები, ვიდრე XVIII ს. I ათეულ წლებში. ამრიგად, თავრიზულ ფარჩაზე ბაჟი ვახტანგ VI-ის შემდეგ ორჯერ შემცირებულა. თუმანზე 10 შაურის მაგიერ 5 შაური გამხდარა[57]. XVIII ს. II მეოთხედში ქართლის სამეფო მოექცა სპარსელების და ოსმალების პოლიტიკური ბატონობის და ეკონომიურ დამორჩილების ქვეშ. ცხადია ადგილობრივი ყველა ახალი წამოწყება და წარმოება ისევ განადგურების გზას დაადგა და შემოსული აღმოსავლური საქონელი საუკუნის დასაწყისთან შედარებით უფრო ხაკლებ წინააღმდეგობებს წააწყდა. საფიქრებელია, რომ თვითონ აბრეშუმით მოვაჭრეებმა მოახერხეს კიდეც შეღავათიანი ბაჟის განსაზღვრაც.

XVIII ს. I მეოთხედის ცენტრალური ხელისუფლება საქონელზე ბაჟის დადებისას ითვალისწინებდა ავრეთვე საგანთა სახესხვაობას მისი მოხმარებისდა მიხედვით. ბაჟის დადების დროს ანგარიში ეწეოდა იმ გარემოებას, თუ გასასყიდი საქონელი რა ხასიათის მოხმარების პროდუქტი იყო. მაგ., გორის ბაჟის ნიხ-

56 დასტურლამალი, გვ. 104.

57 იქვე, გვ. 100-101.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რის დაწესებისას გათვალისწინებულ იყო ის მომენტი, რომ მარილი პირველი მოხმარების საგანია და მის საპალნეზე ბაჟი 2 ბისტია. თევზსა, ხიზილალასა, ქონსა, ერბოსა, მატყლსა, დაზლსა და ბალანზე აბაზი, ხოლო რაც შეეხება ისეთ ფუფუნების საგანზე, როგორიცაა თავრიზული, მძიმე ან მსუბუქი ფარჩა, საპალნეზე 3 მინაღთუნია დაწესებული[58].

ამრიგად, XVIII ს. I მეოთხედში ვახტანგ VI-ის მთელი საშინაო პოლიტიკა და კერძოდ საბაჟო პოლიტიკა ხელს უწყობდა. ადგილობრივ წარმოებათა განვითარებას.

საინტერესო დაკვირვების საშუალებას იძლევა შ. მესხიას მიერ გამოქვეყნებული „ქალაქის ბაჟისა, ყაფნისა და ციხის კარის შართლამა“, რომელიც მოგვიანებით, 1736 წ. იქნა შედგენილი[59].

შ. მესხია ადარებს რა მის მიერ გამოცემულ 1736 წ. „შართლამას“ ვახტანგ VI-ის დროინდელ „დასტურლამალის“ ბაჟის ნუსხებს, აღნიშნავს, რომ „შართლამა“ უფრო ვრცელი და სრულია „დასტურლამალთან“ შედარებით.

შ. მესხია იძლევა ამ ორ ოფიციალურ, სახელმწიფოებრივ დოკუმენტთა საფუძველზე მიღებულ საბაჟო ტარიფთა შედარებებს და აღნიშნავს, რომ ცვლილება 1736 წლისათვის არ განუცდია საბაჟო ტარიფს ისეთ საქონელზე, როგორიც იყო ბრინჯი, მარილი, გელაქნური და ხბელი თევზი[60].

აგრეთვე უცვლელად დარჩენილა 1736 წლისათვის „ყაფნის ბაჟი“ ფქვილსა, ქერსა, ფეტვსა, მატყლსა, თაფლსა და ერბოზე[61].

როგორც ვხედავთ, ბაჟი არ შეცვლილა უმთავრესად პირველმოხმარების პროდუქტზე.

ხოლო თუ ჩვენ შევადარებთ 1736 წ. ქალაქის ბაჟის „შართლამას“ „დასტურლამალის“ ჩელიქის ბაჟის რიგის ისეთ პროდუქტებს, როგორიცაა ფარჩა, ბამბა, შაბი, რკინა, ზეთი, ენდრო და სხვა, დავინახავთ ერთგვარ სხვაობას. 1736 წლისათვის ზოგიერთზე საბაჟო ტარიფი მატულობს. მაგალითად, ბამბა „დასტურლამალით“ საპალნეზე 2 აბაზია[62], „შართლამის“ მიხედვით 10 შაური[63].

შაბი და რკინა ცხენის საპალნეზე „დასტურლამალით“ 3 შაურია[64], „შართლამის“ მიხედვით 3 შაური[65]. ენდრო ცხენის საპალნეზე „დასტურლამალით“ 1 აბაზია, ხოლო „შართლამის“ მიხედვით 5 შაური და ა. შ.

რაც შეეხება, თავრიზის ფარჩას, 1736 წ. „შართლამის“ მიხედვით მასზე ბაჟი კლებულობს, თუ „დასტურლამალით“ თავრიზის ფარჩაზე თუმანზე 10 შაური იყო, 1736 წ. ერთნახევარჯერ იკლო. და დავიდა 1 აბაზამდე. ეს გარემოება აიხსნება იმით, რომ თავრიზულსა და ქირმანულ ქსოვილს „ყიზილბაშობის“ დროს, ქართლის ბაზარზე ნაკლები წინააღმდეგობა უნდა გადაჭრობებოდა. ცხადია, ოსმალობა-ყიზილბაშობის დამკვიდრება ქართულ სახელმწიფოებრივ წყობაში, ქართლის ეკონომიკას დასცემდა და ქართლის ბაზარზე საქონელთა ფასის გაბერვა, თავის მხრივ საბაჟო ტარიფის გაზრდას გამოიწვევდა, მით უმეტეს ისეთ

[58] დასტურლამალი გვ. 20.

[59] შ. მესხია, მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიიდან, მას, საქ. და კავ. ისტ. ნაკვ. 30, 1954. გვ. 78.

[60] იქვე, გვ. 79.

[61] იქვე.

[62] დასტურლამალი, გვ. 100.

[63] იქვე, გვ. 75.

[64] იქვე, გვ. 100.

[65] იქვე, გვ. 75.

არა პირველი მოთხოვნილების პროდუქტებზე, როგორიც იყო ფარჩა, შაბი, რკინა და ენდრო.

თბილისსა და ქართლის ტერიტორიაზე შემოსული მოვაჭრენი თავს აფარებდნენ ქარავანსარას. ვახუშტის თბილისის ატლასის მიხედვით ქალაქში რამდენიმე ქარავანსარა არსებულა. ერთი იყო დღევანდელი ქალაქის საბჭოს შენობის ადგილზე მდებარე ქარავანსარა. მეორე სიონის სამხრეთით „თბილელის ქარავანსარა“, შემდეგ უფრო სამხრეთით, „მელიქის ქარავანსარა“ და „მეფის ფუნდუკი“[66].

გარდა ვახუშტის ატლასში აღნიშნული ქარავანსარებისა, ყოფილა კერძო მეპატრონეთა კუთვნილებში მყოფი მცირე ქარავანსრები. მაგალითად, 1709 წ. თბილისში ტერასატურაშვილი სარპინა ჰყიდის თავის ქარავანსარას ფირყუაანთ ნაზირაშვილს გიორგიზე.

ქარავანსარა გარკვეულ სამეურნეო კომპლექსს წარმოადგენდა. მას თავისი საკინიძო ჰქონია, მგზავრთა ცხენების თავშესაფარი[67].

XVIII ს. მიწურულისათვის ვინმე იოსებ მღვდელს აუგია ქარავანსარა. შემდეგ მოუნდომებია კიდევ შენობის დამატება და ვინმე ბარხუდარასთან 4 000 ყურუშად დაუგირავებია, შემდეგ კი გაუშენებია და გაუფართოებია. ქარავანსარიდან შემოსავალი იოსებ მღვდელს წელიწადში 255 ყურუში ჰქონებია[68]. ქარავანსრების დიდი რაოდენობით არსებობა, ცხადია, მის აუცილებლობას შეესატყვისებოდა.

აღწერდა რა შარდენი თბილისის მთავარ ნაგებობებს, აღნიშნავდა: „აქ არის ჭკით ნაშენი და კარგად შენახული დიდი საბაზრო შენობები. ასეთივეა ქარავანსრებიც, რომლებშიაც უცხოეთიდან მოსული ხალხი ბინავდება დროებით“[69].

ქარავანსა-ფუნდუკები იყო, აგრეთვე, ქართლის სხვა ქალაქებსა და სამოსახლო გზებზე. მაგალითად, შარდენი აღწერს რა ქალაქ ახალციხეს, აღნიშნავს, რომ ქალაქში არის ხისგან ნაგები ქარავანსარა[70].

ერთ-ერთ ნასყიდობის წიგნში მოხსენიებულია აგრეთვე ახალქალაქის ქარავანსარა[71].

ვახუშტი ბატონიშვილი აღწერს რა ქციის ხევსა და შამბიანის მთას, აღნიშნავს, რომ ამ გზაჯვარედინზე არის ჯერ კიდევ თამარ მეფის დროს აშენებული და XVIII ს. დასაწყისისათვის ჯერ მოქმედი ქარავანსა-ფუნდუკი „ზამთარ მოგზაურთათვის“[72]. ცხადია, ყველა ეს ქარავანსები ემსახურებოდნენ, როგორც თბილისსა და გორში მიმავალ უცხოელ სოვდაგრებს, ისე თვითონ ამ ქალაქებში მოწყობილ ბაზრობაზე მონაწილე ვაჭრებსაც.

ახდენდა რა ქართლის ხელისუფლება XVIII ს. I მეოთხედში სახელმწიფოს ზეგნით აღებმიცემობის რეგულირებას, ხელს უწყობდა ვაჭრობის გაფართოებას საქართველოს სხვა სამეფოებსა და აღმოსავლეთის უცხო ქვეყნებთან. საქართველოს საექსპორტო საქონელს წარმოადგენდა აბრეშუმი, ღვინო, სახელოსნო ნაწარმი, ქსოვილები, ბეწვეული, წვრილმანი საქონელი და სხვა.

---

66 ვ. ბერიძე, XVIII ს. თბილისი ვახუშტის გეგმის მიხედვით, „ბანები“, ტ. I, 1947, გვ. 145.

67 ს.ც.ი.ა. ფ. 1450, დ. 22, № 114.

68 ხელნაწ. ინსტიტუტი, ფ. Hd, № 820.

69 ჟ. შარდენი, დასახ. ნაშრ., გვ. 94.

70 იქვე, გვ. 56.

71 ნ. ბერძენიშვილი, მოკ. საქ. სოც. ისტ., ტ. I, გვ. 110.

72 ვახუშტი, „აღწერა...“, გვ. 40_{34}.

შარდენის ცნობით, „საქართველოში ბევრი აბრეშუმი მოდის... აბრეშუმი გაქვთ ოსმალეთში, არზრუმში და სხვა გარეშე ქვეყნებში, სადაც კარგ ფასად ჰყიდიან“.

შარდენი სხვა ადგილას, სპარსეთის შესახებ საუბრისას აღნიშნავდა, რომ ამჟამად სპარსეთი წარმოადგენდა აბრეშუმის ნაწარმის გასაღების სავაჭრო ადგილს, სადაც მოედინებოდა აბრეშუმის ფაბრიკატი საქართველოდან, გილანიდან და ხორასანიდან[73]. ამრიგად, ქართული აბრეშუმის ფაბრიკატი ექსპორტის ერთერთ სახეობას წარმოადგენდა. ქართული აბრეშუმის სასაქონლო ფუნქციის შესახებ ტავერნიესაც აქვს ცნობა. აღწერს რა ქართლის დედაქალაქს, ფრანგი მოგზაური აღნიშნავს: „თბილისი... საკმაოდ დიდია, კარგად გაშენებულია და აქ აბრეშუმის დიდი ვაჭრობა სწარმოებს“[74]. აბრეშუმის დიდ ვაჭრობაში ტავერნე გულისხმობდა სწორედ თბილისის ბაზარზე ქართული აბრეშუმის სავაჭრო ობიექტად გატანის ფაქტს.

ვინმე ფარსადან ბეგს XVIII ს. 10-იანი წლებისათვის 60 თუმნის აბრეშუმი გაუტანია საქართველოდან[75].

ქართული ღვინის ექსპორტის შესახებ ცნობას შარდენთან ვპოულობთ. ფრანგი მოგზაური ახასიათებდა რა ქართული ღვინის აყვარგინობას, აღნიშნავდა, რომ თბილისიდან გატანილი ღვინო ცხენის საპალნე ღორს მ ფრანკი. უმთავრესად მიაქვთ სპარსეთსა, სომხეთსა, მიდიასა და ესპანეთში[76].

აღმოსავლეთთან გაცხოველებული აღებ-მიცემობის უტყუარ საბუთს იძლევა საქონლისა და ნივთების სიები, სადაც ხშირად ვხვდებით აღმოსავლური წარმოშობის ქსოვილების ფართო და დიდ ასორტიმენტს. მაგალითად, XVIII ს. I მეოთხედში ვინმე გასპარასადმი მიბარებული ნივთების ნუსხაში ჩამოთვლილია სხვადასხვა სახისა და სხვადასხვა ზომის 49 დარაიას ქსოვილი: ხას ყირმიზის, ხოხბის ფერი. იისფერი, მწვანე, ყვითელი, ალისფერი, ლურჯი, შავი და სოსანი. თოფობით შაიდაშის ქსოვილი, ყუთნი, დორის პირი და შალის ნაქსოვი[77]. საინტერესოა, აგრეთვე, საქართველოში შემოტანილი საქონლიდან უცნობი ფეოდალის დაკარგული ნივთების სიაში 5 წყვილი ურმიული (თათრული) ავჭანდები, ხაოიანი ქირმანის ორხოვა, ფრანგული ატლასის კაბა, მოკრილი ჩინური კათხა, 2 ჩინური ყაბი (ქალის სამოსელი), 1 ჩინური ბადია. ეს ფეოდალი გიორგი XI-თან დაახლოებული პირი ჩანს, რადგან ხანჯლის ხსენებასთან დაკავშირებით ამბობს: გიორგი მეფემ მაჩუქაო[78]. XVIII ს. დასაწყისს ნინო ქსნის ერისთავს მზითვად გაჰყვა მრავალი ძვირფას საქონელთან ერთად „ცხენი რახტით შეკაზმული ოზბეგურის უნაგირითა“[79]. ცხადია, ცხენის უზბეკური მოწყობილობა ადასტურებს ქართლის ვაჭრობას აღმოსავლეთთან.

1708 წ. გორელი ვაჭარი გაბრიელ ბაიდურაშვილი, თავისი აზნაურებით განჯაში წასული, ახერხებს იქვე დახვედრილი ავთანდილ ასტურაშვილის ვაჭრის გასტუმრებას. ვაღი არც თუ ისე მცირე ყოფილა—20 თუმანი და 1 მინაოთხი[80].

---

[73] Voyage du chevalièr Chardin en Perse, IV, Paris, 1811, გვ. 162—163.

[74] ტავერნიეს მოგზაურობა, „მ-ბეკ“, 1898, № 6.

[75] ხელნაწ. ინსტიტუტი. მ. თამარაშვილის პირადი არქივი № 10, ხელ. № 1122, გვ. 19.

[76] შ ა რ დ ე ნ ი, მოგზ. საქ., გვ. 83.

[77] ხელნაწ. ინსტიტუტი, ფ. Hd, № 937; ფ. Qd. № 714.

[78] იქვე, ფ. Qd. № 8740.

[79] საქ. სიძვ., ტ. II, გვ. 434.

[80] ხელ. ნაწ. ინსტ., მ. თამარაშვილის პირადი არქივი № 10, ხელ. № 1122. გვ. 19.

სამშობლოს გარეთ ამ სოლიდური ვალის დაფარვა, საფიქრებელია, სავაჭრო ოპერაციების ჩატარების შედეგად უნდა მომხდარიყო.

საინტერესოა, აგრეთვე, იასე მუხრანბატონის საქონლის გასაღება შირვანსა. საქონელი შედგებოდა 25 მინალთუნის დოლბანდისა, ერთი 15 მინალთუნის ღირებულების ყალოონისა, 4 თუმნიანი სიასამურის ბეწვისა, 8 თუმნიანი ვერცლის თასისა, 2 ცხვინა, 1 ჯორისა და „1 დუსარი კარავისაგან"[81].

ყოველივე ამის რეალიზაცია შირვანში მომხდარა, ყოველივე ფულად ქცეულა. XVII ს. მიწურულისათვის ქართველი სოდაგრები გიორგი XI-ის და ქართველი თავადების თაოსნობით მიემგზავრებიან გიანას ამბრუშუმის შესაძენად. მათ მოზრდილი თანხა აქვთ გამოყოფილი ამ ოპერაციის ჩასატარებლად. ქავშირს ჰკრავენ ბურსასა და სტამბოლის ვაჭრებთან[82].

ფართო სავაჭრო საქმიანობას ეწევიან გორელი მოქალაქენი, ვაჭარნი ჯულაბაშვილები[83]. ამ დროისათვის მოღვაწეობს პაპუნა ჯულაბაშვილი, რომელსაც სავაჭრო ურთიერთობა აქვს სპარსეთთან. მას ისფაჰანში საკუთარი პუნქტი აქვს. ჰყავს რწმუნებული ხოჯაბეგ დათუნა. რომელიც იღებს პაპუნასაგან გასასყიდ საქონელს, ახდენს მის რეალიზაციას და პაპუნას აბარებს მოპოვებული ფულად თანხას. არის შემთხვევები, როდესაც პაპუნა ჩადის ისფაჰანში, ართმევს ნავაჭრ ფულს ხოჯაბეგ დათუნას, სამშობლოში დაბრუნებისას გზა და გზა იძენს ისევ სხვა საქონელს და ისევ უგზავნის გასასყიდ საქონლის ამანათს თავისი ფირმის წარმომადგენელს ისფაჰანში. პაპუნა ჯულაბაშვილი უმთავრესად ქსოვილნარით ვაჭრობს. მას კავშირი აქვს გაბმული ფართლეულობათა და ქსოვილებით მოვაჭრე მილთონთან. მილთონი, მ. ბერძენიშვილის აზრით, ფართლეულობით მოვაჭრე პირის ან ფაბრიკანტის სახელია[84]. მილთონთან ურთიერთობა პაპუნას მამას გოდერძისაც ჰქონია. ეს საქმიანობა ტრადიციით პაპუნას მამისაგან მიუღია. მილთონიდან გოდერძისაგან აღებული ვალი პაპუნას გაუსტუმრებია ნატურით— 3 თუმანში 3 ლიტრა თამბაქო მიუცია. 1 ლიტრა თამბაქო 1 თუმნად შეუფასებია.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, პაპუნა გზავნის იაფად შეძენილ საქონლის ამანათებს და ზოგჯერ თვითონაც თავიზის გავლით ჩადის ისფაჰანში. 1722 წ. პაპუნა აღნიშნავს თავის დღიურში, რომ იგი ათჯერ ყოფილა ისფაჰანში. ვაჭარი მოკლე ხანში ასეთ შორეულ მოგზაურობას არ აწარმოებდა, რომ მისგან დიდი სარგებლობა არ ჰქონდა. პაპუნა ხოჯაბეგ დათუნასთან ჩერდება, და წერს „იმასთან ფსონი ვიყავიო". ცხადია, პაპუნას თავისი საქონლის რეალიზაციისათვის ხოჯაბეგთან ჰქონდა პირი და გარკვეულ პროცენტებსაც აძლევდა. გაყიდული საქონელიდან პაპუნა, როგორც შემდგომი მისი ჩანაწერებიდან ჩანს, ისფაჰანში მიღებულ თანხას უმეტად არ ტოვებდა. სავაჭრო ოპერაციებში ადგილზევე უშვებდა—იქვე იძენდა საქონელს და საქართველოში მოჰქონდა გასაყიდად. თბილისში მას ჩამოუტანია ორი ოთხი 24 ადლიანი მარმარი (თეთრი ქსოვილი) და ხოჯაბეგ დათუნასშვილი იარალისათვის მიუცია, რომელსაც თბილისის ბაზა-

---

[81] იქვე. ფ. Qd, № 3718; ფ. Hd. № 4644

[82] Акты А. А. К. т I, см. 26, § 22.

[83] დ. მეგრელაძე, მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის; ნაკ. 35, 1963, გვ. 213-214. საეროდ ჭულაბაშვილები ვახტანგ VI კარზე დაწინაურებულნი ჩანან. მდივანბეწყნოსარი როსტომ ჭულაბაშვილი ვახტანგ VI-ს ისპაჰანს ახლავს (ხელნ. ინსტ. ფ. Hd. № 7325).

[84] გ. ბერძენიშვილი, მასალები საქ. ეკონომიური ისტ-თვის, ტფილისი, 1957.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რზე უნდა გაესაღებინა. ორ თოფ 24 ადლიან მარმარში პაპუნას იარალისაგან 8 მინალთუნი მიუღია. პაპუნა მარტო სპარსეთით არ კმაყოფილდებოდა. მისი საქმიანობა ჩრდილო კავკასიასაც წვდებოდა იგი ასტრახანში მიდის და თვითონ ჰყიდის ტატოაანთ ოთარასაგან მიღებულ საქონელს, რომელიც ყალამქარის, ჯეჯიმის პირისა და სამი წავისაგან **(Выдра)** შედგებოდა. შემდეგ პაპუნა გილანს მიემგზავრება, საიდანაც გორში ბრუნდება. არც იქ ჩერდება დიდხანს და მიდის რეშტს, სადაც ხვდება ტატოაანთ ოთარას, რომელსაც მისთვის უნდა დაეხვედრებინა 2250 მანეთი. პაპუნას ეს ფული ოთარას სიმამრის შვილს ელისბარაშვილისათვის გადასაცემად უნდა წამოეღო, რომელიც, ჩანს, მათთან ერთად იყო შეკრული ამ საქმიანობაში.

თვალს თუ გადავავლებთ ჯერ გოდერძი და მერე პაპუნა ჯულაბაშვილის საქმიანობას, დავინახავთ, რომ გორელ მოქალაქეებს ფართო სავაჭრო კავშირი დაუმყარებიათ ჩრდილო კავკასიასთან და აღმოსავლეთთან, კერძოდ სპარსეთთან. ამ ქსელში ჩაბმულია არა ერთი პერსონაჟი, რომელნიც აქტიურ მონაწილეობას იღებენ, ერთ მხრივ, საქონლის შეძენასა და მეორე მხრივ, მის რეალიზაციაში. აქტიური მონაწილენი არიან ხოჯაბეგი, მისი შვილი იარალი, ტატოაანთ ოთარა, ელისბარა და თვითონ მილთონი. ეს სავაჭრო გაერთიანება, ფსონების სახით, ერთი მხრივ, იაფად იძენდა საქონელს, ჰყიდდა ისფაჰანში, შემდეგ თავრიზში ისევ ყიდულობდა ამ ფულით ქსოვილებსა და ბეწვეულს, გაჰქონდა იგი ასტრახანს და იქ ჰყიდდა უფრო მეტ ფასში. მიღებულ თანხას ხელმეორედ აბანდებდნენ ამ გაერთიანების—ფსონის წევრები. ამ ოპერაციების ჩასატარებლად მთავარ მოქმედ პერსონაჟს, პაპუნა ჯულაბაშვილს, ვალის აღებაც კი უხდებოდა, ესეც ცხადია ვახშით, მაგრამ პაპუნა არ ერიდებოდა მის გასტუმრებას და სარგებლის მიღებას ახერხებდა, რადგან იგი ამ საქმიანობას 3 ათეული წლის განმავლობაში ეწეოდა და, ცხადია, ეფექტურად. შემდეგშიც პაპუნა აგრძელებს სყიდვა-გაყიდვას და გადამყიდველის როლში გვევლინება. ჯულაბაშვილის თანამშრომლობით არსებული ეს სოვდაგართა ამხანაგობა არ იქნებოდა ერთადერთი ქართლის ეკონომიურ ყოფაში. საინტერესოა, ის ფაქტი, რომ ჯულაბაშვილები მემკვიდრეობით მისდევდნენ ვაჭრობას. ჯერ გოდერძი და შემდეგ პაპუნა. ასევე ხოჯაბეგაანთ დათუნა და შემდეგში ჩნდება მისი შვილი იარალი, იქვე ტატოაანთ ოთარა და მისი სიმამრის შვილი, როგორც თვითონ უწოდეს, ელისბარს. ყველა ეს პერსონაჟი სავაჭრო ამხანაგობაში „ფსონში“ ჩაბმული ხალხია, რომელნიც მარტო ამ საქმიანობით არიან გართულნი და ტრადიციით გადასცემენ თაობიდან თაობას თავის გამოცდილებას. ისინი იძენენ ერთ ადგილას საქონელს მცირე ფასებში და ასაღებენ უფრო ძვირად, ამისათვის სარგებლიანი სესხის აღებასაც არ ერიდებიან.

ამ შემთხვევაში ჯულაბაშვილის საქმიანობა დაკავშირებულია ფეოდალურ ბატონყმური წყობის ვითარებაში წარმოშობილ ისეთ ვაჭრობასთან, როდესაც ვაჭრის მოქმედებას პრინციპად უდევს—იაფად შეძენილი საქონელი ძვირ ფასებში გაყიდოს, გაყიდოს იგი ღირებულებაზე მეტად.

„იაფად ყიდვა—ძვირად გაყიდვის მიზნით — არ, ვაჭრობის კანონი. მაშასადამე, არა გაცვლა ექვივალენტებისა“[85].

ჯულაბაშვილები და მათი „ფსონის“ წევრები უშუალო კავშირს ამყარებენ ღართლეულობით მოვაჭრე მილთონთან, რომელიც თბილისში გაცხოველებულ

[85] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. III, 1959, გვ. 418

აღებ-მიცემობას ეწევა. მილთონს თბილისში თავისი მსხვილი სავაჭრო პუნქტი აქვს და მოგვიანო საბუთებში მილთონის ქარავასლასაც ვხვდებით. ეგრეთწოდებული „მილთონის ჩითი“ უკვე ზოგად ქსოვილადაა მოხსენიებული ამ დროის ეკონომიური ხასიათის საბუთებში[86]. ამრიგად, მილთონი და ჯულაბაშვილები ქართლის სავაჭრო გაერთიანების წარმომადგენლები არიან, რომელნიც ქსოვილებით ვაჭრობას ეწევიან, როგორც ქართლში, ისე ქართლის გარეთაც. გორელ ვაჭართა შორის ამ დროისათვის, გარდა ჯულაბაშვილებისა, ცნობილნი არიან გოგოჯანაშვილები, მამინაშვილები და მამულაშვილები, რომელთაც თავისი ქუჩაბაქები და დუქნები აქვთ ქ. გორში. ისინი გათარხნებულნი არიან სამეფო ვალდებულებათაგან და ბაჟს უხდიან ქვათახევის მონასტერს, როგორც მონასტრის ყმები[87].

მიუხედავად იმისა, რომ XVIII ს. I მეოთხედის ქართლი ვაჭრობის განვითარების გზას დაადგა და ვაჭართა ფენას საგრძნობი ზრდა დაეტყო, ქართულმა ვაჭრობამ მაინც ვერ მოახერხა, ფეოდალური ურთიერთობის გახანგრძლივების პირობებში თავისი კლასობრივი, სოციალური უფლებებისა და პრივილეგიების დამკვიდრება.

ქართლში ვაჭართა სოციალური მდგომარეობის განსაზღვრისათვის საინტერესო მასალას იძლევა ვახტანგ VI-ის სამართალი, რომლის მიხედვით, ვაჭრებს უფლებრივად უფრო დაბალ საფეხურზე მდგარან, ვიდრე აზნაურობა. ყველაზე შეძლებული ე. ი. I რანგის ვაჭრები უთანაბრდებოდნენ მეორე კატეგორიის აზნაურებს, ხოლო საშუალო საფეხურზე მდგომი ვაჭრები კი მესამე კატეგორიის აზნაურებს. წვრილი, სულ უკანასკნელ საფეხურზე მდგომი ვაჭრები უთანაბრდებოდნენ მასხურებს[88].

თუ შევადარებთ სხვადასხვა კატეგორიის თავადისა და სამიე სახის ვაჭრის სისხლს, დავინახავთ, რომ პირველი კატეგორიის თავადის სისხლი თექვსმეტჯერ უფრო მეტადაა შეფასებული, იმავე კატეგორიის ვაჭრის სისხლთან შედარებით.

ამრიგად, XVIII ს. I მეოთხედის ფეოდალური საზოგადოების სოციალურ კიბეზე ვაჭრობას ჯერჯერობით პრივილეგიური მდგომარეობა არ ჰქონდა მოპოვებული, მიუხედავად მისი თანდათანობითი ჩონებრივი უზრუნველყოფისა.

მიუხედავად ყოველივესი, არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს იმ გარემოებას, რომ ისეთ სახელმწიფოებრივ სამართლის ძეგლში, როგორიც იყო ვახტანგის სამართალი, ვაჭრობა ფეოდალური საზოგადოების უფლებამოსილი წევრია. ვაჭართა სოციალურ ფენად ჩამოყალიბება მაშინ მოხდა, როდესაც ვაჭარმა საშინაო ბაზარზე უშუალო მწარმოებელი განდევნა და ვაჭრობა პროფესიად აქცია.

გასაყიდი პროდუქტის გასაღებისაგან უშუალო მწარმოებელი ხელოსანი თუ გლეხი ერთგვარად განთავისუფლებულ იქნა. ეს ფუნქცია შემსყიდველს დაეკისრა, რომელსაც ეს პროდუქტი უნდა გაესაღებინა და ამით საზოგადოებრივი შრომის ეკონომია გამოეწვია. ამ აქტმა მიღებული პროდუქტი დაზღვია შემთხვევითი გასაღებისაგან და გაყიდვის უფრო რეგულარული და მყარი ფორმა დაამკვიდრა.

საგარეო ვაჭრობით დაინტერესებული ცენტრალური ხელისუფლება ყოველ მხრივ ცდილობდა ხელი შეეწყო ვაჭრობისა და აღებ-მიცემობის საქმიანობისა-

---

86 მასალები საქ. ეკ-ური ისტ. ტ. III, 256, 267, 268, 271, 317, 320, 342.

87 ც.ს.ი.ა. ფ. 1450, დ. 29, № 137; ფ. 1451, დ. 1, აღწ. 5, 1; „მ-ბე“, 1903 წ., IX, გვ. 1-35.

88 ვახტანგ VI-ის სამართალი, § 31.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვის. ჯერ კიდევ შარდენი აღნიშნავდა ქართლის მეფეთა ასეთ ტენდენციას, რომელნიც აღებ-მიცემობის გაძლიერებისათვის ევროპელებს სთავაზობენ იქაური სოვდაგრების დასახლებას თავიანთ სამეფოში. ქართლის მეფე სამაგიეროდ პირდებოდა ყოველგვარი პოლიტიკური უპირატესობის მინიჭებას და ყველა გამოსაღებთაგან განთავისუფლებას. ქართლის ცენტრალური ხელისუფლება ფრანგ მოგზაურს შარდენს უხსნიდა, თუ რამდენად, ერთი მხრივ, ხელსაყრელი იყო ევროპელებისათვის ინდოეთსა და აღმოსავლეთში, საქართველოს გავლით. სავაჭრო გამგზავრება და, მეორე მხრივ, ინდოელ ვაჭართა ამხანაგობების მიერ თავის რწმუნებულთა საქართველოში გაგზავნა, რომელნიც ევროპისათვის საინტერესო საქონელს იაფად შეიძენდნენ ქართლში[89].

იგივე პოზიციებიდან იღწვის სულხან-საბა ორბელიანის მისიონი და პატრი რიშარის ენით უთვლის საფრანგეთის მთავრობას, უხსნის თუ რა სავაჭრო პერსპექტივები ეშლება წინ საფრანგეთს საქართველოსა და, კერძოდ, **ქართლთან ურთიერთობას წყალობით. საქართველოსთან ურთიერთობის დამყარება გზას** უხსნიდა ფრანგულ საქონელს აღმოსავლეთის, კერძოდ, სპარსეთისაკენ.

ვახტანგ VI-ს ძალიან კარგად ესახებოდა საფრანგეთთან სავაჭრო ურთიერთობის გეგმა, რომლის განხორციელება იმაში მდგომარეობდა, რომ ქართლის მთავრობის წყალობით საფრანგეთის ვაჭრებს დაეხმარებოდა ყველა საქონელი შავი ზღვით სპარსეთის ზღვამდე მიეცილებინა და დაეცვა ყოველგვარი ხიფათისაგან, შემდეგ აღმოეჩინა საშუალებები ფრანგი სოვდაგრებისათვის ევაჭრათ ქართლის მეზობელ ჩერქეზებთან და დასავლეთ საქართველოსთან. ვახტანგ VI-ის წარმომადგენელი პირდაპირ ასახელებდა იმ პროდუქტებს, რომელიც ფრანგების ინტერესის საგანს წარმოადგენდა. კერძოდ აბრეშუმს, მატყლს, ცვილსა და სხვა[90].

ამ რეალური სავაჭრო გზების არსებობის შესახებ მისიონერი რიშარი მინისტრ ტორს ატყობინებდა: „ჩვენ მოვნახეთ ადვილი გასავალი გზა ჩვენი ფრანგი ვაჭრებისათვის, რომელნიც მოისურვებდენ კონსტანტინეპოლიდან შავი ზღვით საქართველოსა და სპარსეთში წასვლას“[91].

ამრიგად, საქართველოდან აღმოსავლეთში, კერძოდ, თურქეთსა და სპარსეთში სავაჭრო გზის არსებობა, ამ ხელსაყრელ გზით სარგებლობა არც ევროპელი მოგზაურისათვის დარჩენილა უცნობი, იმდენად გამოსადეგი და გამოსაყენებელი იყო ეს მარშრუტი, რომელსაც სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ მნიშვნელობას ანიჭებდნენ უცხოელნიც.

ТОРГОВЛЯ КАРТЛИЙСКОГО ЦАРСТВА В I ЧЕТВЕРТИ XVIII в.

М. КИКОДЗЕ

Р е з ю м е

1. В первой четверти XVIII века в феодально-крепостной экономике Картлийского царства происходят значительные сдвиги. Дальнейшее развитие общественного деления труда способствует росту городов. Строительство и восстановление дорог и мостов, заметный рост ре-

[89] Ш а р д е н и, მოგზ. საქ-ში, გვ. 106.

[90] ისტ. ინსტ. დოკ. სულხან საბა ორბელიანის შესახებ, გვ. 40; მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, ისტორია კათოლიკებისა ქართ. შორის, თბ., 1902, გვ. 312.

[91] ისტ. ინსტ. დოკ. სულხან საბა ორბელიანის შესახებ, გვ. 68.

ეროვნული ბიბლიოთეკა

месленной продукции, возникновение в столице Картли — Тбилиси монетного двора (зарапхана) и типографии стимулируют развитие торговли и обмена товарами.

II. К началу XVIII века на территории Картли существовало пять центральных торговых магистралей, которые соединялись в Тбилиси. Они связывали столицу как с отдельными районами царства, так и с внешним миром. Первая из этих главных дорог шла на запад — (к Батуми), вторая — на север (в Дарьяльское ущелье) разветвляясь в сторону Кахети, третья — на юг, в Ганджу и Ереван, четвертая — на Бамбак и пятая на юго-запад (через Ахалкалаки).

Заинтересованная развитием торговли центральная власть вводит специальный порядок («риги») для ухода и строительства дорог (см. «Дастур-Ламали»).

III. На Картлийском рынке продавались и обменивались следующие виды торговых товаров: I. ткани — парча, шерсть, хлопчато-бумажные изделия. 2. продукты питания — мясо, рыба, масло, мед, фрукты, мука, зерна, овощи и т. д.

3. Красящие вещества — марена 4. табак, 5. скот и дичь.

IV. В городах Картли существовали рыночные здания и лавки. В Тбилиси в I четверти XVIII века насчитывалось около 200 лавок. Центральная власть взимает весьма скромный налог с лавок в размере 1 шаури, 5 копеек. Однако грузинское купечество платит и посударственный налог т. н. «махту».

V. На ввозимые в Тбилиси и в другие города Картли торговые товары существовали специальный таможный налог. Реализацией товаров на Тбилисском рынке, их перемещением с одного места на другое и взиманием таможенного налога руководило специально должностное лицо — гечанбаши. Своей таможенной политикой центральная власть покровительствовала местной промышленности в ее конкуренции с иностранными продуктами (на ордубадский шелк существовал налог в размере 11 абази на «сапалне» (вюк), на тбилисскую же парчу в размере 3 абази, т. е. почти в четыре раза меньше.

Таможенная политика предусматривала также степень потребления населением того или иного товара. В зависимости от этого складывали налоговые тарифы [На рис 3 шаури (15 коп.), на соль 1 шаури (5 коп.) и т. д.].

VI. Из Грузии и, в частности, из Карталинского царства экспортировались главным образом, шелк, вино, ремесленные товары, ткани, меха, мелкие изделия и др.

VII. Объединение купцов происходило в «псони». Типичный образец такого объединения представляет «псони» горийских купцов Джулабашвили, которые имели торговые связи с Тавризом, Испаганом, а также с областями Северного Кавказа.

VIII. К началу XVIII века Россия и европейские страны вновь проявляют заинтересованность Грузией и особенно Картлийским царством. Этот интерес объяснялся в первую очередь тем, что территориально Грузия находилась на перекрестке больших торговых дорог между Востоком и Западом.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნართული ეპოსის შედგენილობის და გავრცელების ზოგიერთი საკითხი[1]

მიხ. ჩიქოვანი

(წარმოადგინა საქ. სსრ მეცნ. აკად. შ. რუსთაველის სახ. ქართული ლიტ. ისტორიის ინსტიტუტმა)

კავკასია მრავალფეროვან კულტურათა მხარეა. აქ ერთმანეთის გვერდით ცხრა სახელმწიფოებრივ გაერთიანებაში მეგობრულად ცხოვრობენ სხვადასხვა წარმოშობის და ისტორიის მქონე ხალხები. მათი სულიერი სამყარო მდიდარია, რომელშიც ღირსეული ადგილი უჭირავს ზეპირ-პოეტიურ ტრადიციას, ფართოდ პოპულარულ მხატვრულ სახეებს. ბევრი აქაური მარადიული სახე დიდი ხანია გასცდა ეროვნულ ფარგლებს და საერთო მოვლენად იქცა ენობრივი ზღუდეებისდა მიუხედავად. ღრმა შინაარსის სიუჟეტები და მაღალი ესთეტიკური იდეებით დატვირთული გმირები მუდმივ შემოქმედებით დუღილში არიან მოქცეულნი და ერთი კუთხიდან მეორეში გადადიან. გავრცელებისა და ურთიერთ გამდიდრების ამგვარ პროცესს მრავალსაუკუნოვანი წარსული აქვს, მსგავსად სხვა ხალხებისა[2]. რადგან კულტურული თანაზიარობის ფაქტები ნაკლებად აისახებოდა ისტორიულ წყაროებში, თანაც ზოგ ხალხს საკუთარი დამწერლობაც არ გააჩნდა. ბევრი, ამჟამად საერთაშორისო მოვლენად ქცეული სიუჟეტი თუ ხასიათი გენეზისის თვალსაზრისით გამოუცნობ სფინქსს წარმოადგენს. ჩვენ დაუბრკოლებლად შეგვიძლია ვიმსჯელოთ სიუჟეტებისა და პერსონაჟების განფენილობაზე, მაგრამ როგორც კი მათი წარმოშობის, პირველშემქმნელის ვინაობის საკითხი დაისმის, მაშინვე ისტორიული ცნობების სიმცირეს ვგრძნობთ და იძულებული ვხდებით, დამხმარე მასალებს მივმართოთ. შედარებითი ფოლკლორისტიკა კავკასიის ხალხების მხატვრული შემოქმედების ისტორიის დამუშავებისას დიდ დაბრკოლებებს აწყდება. ცხადია, ეს სრულებით იმას არ ნიშნავს, რომ მეცნიერებას ამ დაბრკოლებათა დაძლევა არ შეუძლია. არა, შედარებით ფოლკლორისტიკას საამისო მეთოდებიც და გზებიც მოეპოვება.

კავკასიურ ფოლკლორზე პირველად როდი ვსაუბრობთ. 1958 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში განვმარტეთ რა ეს ცნება, იქვე ვაჩვენეთ ერთი ანტიკური პერიოდიდანვე სახელმოხვეჭილი სიუჟეტის გავრცელების მდგომარეობა

---

[1] წაკითხულია მოხსენების სახით ნართოლოგთა საკავშირო კონფერენციაზე სოხუმში 1962 წლის 16 ნოემბერს.

[2] В. Чичеров. Вопросы теории и истории народного творчества. 1959, გვ. 245; Сб. „Вопросы изучения эпоса народов СССР,“ 1958, გვ. 9.

და გზები[3]. მაგრამ „ინტერნაციონალურ“ ფონდში შესული სიუჟეტების რიცხვი ამირანიად და დარეჯანიანებით არ ამოიწურება. ანალოგიურ მდგომარეობაშია ნართული ეპოსი. ამჟამად მსჯელობა სწორედ ნართებს შეეხება, და ისიც არა ერთი ამ ეპოსის მქონე ხალხის ფოლკლორის, არამედ უმეტესად შედარებით-ისტორიული თვალსაზრისით.

1. ნართული ეპოსის შედგენილობის პრობლემა

ნართული ეპოსი რთული შედგენილობისაა. მისთვის დამახასიათებელი არის მრავალფეროვნება, სიუჟეტური სიფართოვე და სიჭრელე. აზრი უფრო გასაგები იქნება, თუ ვიტყვით, რომ ნართული ეპოსი ერთი სიუჟეტური პლანის ნაწარმოებებისაგან არ შედგება. პირველ ყოვლისა იგი სათავგადასავლო შინაარსს შეიცავს. აშ შემთხვევაში თავგადასავლისაც განსაზღვრა სჭირდება,— ის ყოველთვის საგმირო-სათავგადასავლო ხასიათის არის. ძირითადი მოტივი ბრძოლაა, ბრძოლა ან შიგნით ტომისა, რაც ზოგჯერ პირად თვისებათა დემონსტრაციის მიზანს ემსახურება სოციალურ ფონზე, ან გარედან მოსულ თავდამსხმელებთან შეხლას ასახავს და, მაშასადამე, ტომებისა და ხალხების ურთიერთ დამოკიდებულების მხატვრულ უკუფენას გვაძლევს.

საგმირო-სათავგადასავლო ამბავთა გადმოცემა ნიშნეულია ნართული თქმულებების სტილისათვის. სათანადო მითითებებს თვითონ ამ ეპოსის ნიმუშებში ვპოულობთ. მაგალითად, დიდ ხათკოკოს თქმულებაში აღიდეველ მოქმედი გმირის ტრადიციულ ყაიდაზე ამეტყველებს: „შეგობრებს ყველაფერი უნდა უამბო საკუთარ გოლიათობაზე, ყველა შენი თავგადასავალი გააცნო... ამა, ჩემი მოკეთეები სხვაგვარად როგორ გაიგებენ იმას, რაც არც ერთ მათგანს არ უნახავს“[4]. გმირის თავგადასავალით გატაცებული ადამიანები იკრიბებიან, რათა მოუსმინონ ბუმბერაზს, გაიგონ რა შეემთხვა ცხოვრების გზაზე, რით ასახელა როგორც თავისი თავი, ისე საკუთარი ხალხი და ქვეყანა. ხათკოკოც იჯდა და იგონებდა წარსულს, ეფაკა მეომრებთან შეხვედრებს, ცხენ-რაშების საარაკო ოვისებებს, ნახულსა და განცდილს თავისას და სხვისას. „რამდენი გმირობა ჩამიდენია!—ფიქრობდა ხათკოკო,—ალბათ მოვკვდები კიდევაც და ყველაფრის თქმას მაინც ვერ მოვასწრებ!“. როცა ნართი სხვის ბუმბერაზულ თავგადასავალს მოისმენს, ამირან დარეჯანისძის მსგავსად, მაშინვე უცნობი ფალავნის მონახვას განიზრახავს. დაიწყებს გოლიათის ძებნას, რათა იძოს ანდა იყმოს, უფრო მეტად კი დაამარცხოს და ამით პირველობა განიმტკიცოს.

ასეთია ნართული ეპოსის ერთი თავისებურება. ეპოსის მატარებელ სხვადასხვა ხალხში ეს ნიშანი არაა ერთნაირი ძალით შემონახული.

საგმირო თავგადასავლის მსმენელთა წინაშე მოთხრობა და საფალავნო ძიებანი—ტრადიციული მოტივებია. ჩვენ საშუალება გვაქვს ლიტერატურული ძეგლების მიხედვითაც ვაჩვენოთ მისი ხნოვანება. კაკკასიაში, კერძოდ საქართველოში, თუ უფრო ადრე არა, წერის თუ ზეპირგადმოცემის ამგვარ მანერას XII საუკუნიდან მაინც ვიცნობთ, და ვიცნობთ არა სხვა ჟანრის, არამედ სწორედ ნართული ეპოსის მსგავსი სათავგადასავლო—რაინდული მოთხრობის „ამირან-დარეჯანიანის“ მიხედვით. ლიტერატურულ და ფოლკლორულ ტრადი-

---

[3] ამირანის სიუჟეტი კავკასიის ხალხთა ფოლკლორში. ლიტერატურული ძიებანი ტ. XI, 1958, გვ. 345—78.

[4] Адыгейские сказки, 1957, გვ. 64.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციათა ერთიანობა საფუძველს გვაძლევს ვამტკიცოთ, რომ ამ დამახასიათებელ მოვლენას ერთი სათავე შეიძლება ჰქონდეს.

ნართული ეპოსის სიუჟეტური სიფართოვე მისი შედგენილობის გარკვევის ამოცანას აყენებს. საილუსტრაციოდ ერთ ადიღურ თქმულებას ავიღებთ, რომელსაც „მშვენიერი თლეთანაი“ ეწოდება და განვიხილავთ არა თვითონ ადიღეველთა ეპოსის, არამედ სხვა, გენეტიკურად შორს მდგომი ხალხის—ქართველების ფოლკლორული მონაცემების მიხედვით. ეს თქმულება მოთავსებულია იმ ფოლკლორულ ნაწარმოებთა ჯგუფში, რომელსაც „ნართების საგმირო თქმულებები“ ეწოდება (იხ. დასახ. ადიღური კრებული).

„მშვენიერი თლეთანაი“ სამი ძმისა და სამი დის ტრადიციულ თავგადასავალს შეიცავს. მომაკვდავი მოხუცი ვაჟიშვილებს უბარებს: ჩემი სიკვდილის შემდეგ თქვენს დებს პირველ ბედს ნუ დაუკარგავთ. ვინც ღამით მოვა და „ქიუ“-ს დაიძახებს, მას გააყოლეთ ჯერ უფროსი, მერე საშუალო და უმცროსი და. უფროსმა ძმებმა უარი თქვეს ანდერძის შესრულებაზე, მას მხოლოდ უმცროსი ძმა იცავს.

ამგვარ სიუჟეტს კარგად იცნობს ქართული ფოლკლორი, კერძოდ, მისი ზღაპრული ეპოსი. სათანადო ჩანაწერები მოპოვებულია საქართველოს ყველა ნაწილში უკანასკნელი ასი წლის მანძილზე. პირობით სიუჟეტს „ვაშლას“ ვუწოდებთ და შესაბამის პარალელებს სხვადასხვა ვარიანტის მიხედვით მოვიხმობთ.

1. ადიღური ნართული თქმულების თანახმად, მოხუც ერესტემს სამი ვაჟი და სამი ქალიშვილი ჰყავს (ად. ზღ., რუს. გამოც., გვ. 53); ქართულ ზღაპარშიც მოხუცს ამდენივე ქალიშვილი უზის (ქართული ზღაპრები, მ. ჩიქოვანის რედ., III ტ., გვ. 181, 133). 2. სიკვდილის წინ მოხუცი ვაჟიშვილებს უანდერძებს: დები პირველსავე მთხოვნელს მიეცით, რომელიც ღამით მოვა და მხოლოდ ერთ სიტყვას დაიძახებსო (გვ. 53); ქართულ ხალხურ მოთხრობაშიც მამა შვილებს ავალებს დები უფროს-უმცროსობის მიხედვით იმას მისცენ, ვინც მამის სიკვდილის შემდეგ პირველი მოვა მათ სათხოვნელად (იქვე, გვ. 18, 33). 3. ორივე ხალხურ ნაწარმოებში ანდერძს მხოლოდ უმცროსი ძმები ასრულებენ, უფროსები გადაჭრით უარს აცხადებენ. 4. ადიღურ გადმოცემაში უმცროსი ძმა მიატოვებს უმადური ძმების სახლს და დების საძებრად მიდის ნართების ქვეყანაში (გვ. 54); ამის შესაბამისად ქართულ ზღაპარში უმცროსი ძმაც მოგზაურობას იწყებს (III, გვ. 19, 36). 5. ორივე ნაწარმოებში უმცროსი ძმა პირველად უფროს დას იპოვის. სიძე-ნართი თუ რომელიღაც საშინელი არსება (არწივი, ფაშგუნდი, გველეშაპი, ღრუბელი, დევი, ფრინველთა მეფე თუ სხვა) უცხო სტუმარს კეთილად ხვდება (III, გვ. 21—23, 36—37). 6. სიძე-ნართის საშუალებით უმცროსი ძმა გაიგებს, რომ მისი მომავალი სასძლო გუაშა თლეთანაი, უძლეველმა დევმა გაიტაცა (იქვე, გვ. 54—55). ასევე უცხო სიძე ქართული ზღაპრის უმცროს ძმას აცნობებს, რომ ის, ვისაც იგი ეძებს, უძლეველმა გაიტაცა, თვითონაც ბევრი სდია, მაგრამ ვერაფერს გახდა (III, გვ. 36—37). 7. უმცროსი ძმა არ ჩერდება, სტოვებს სიძეებს და იქითკენ მიეშურება, სადაც სასძლო ეგულვება. ეს სურათი მეორდება სამჯერ, თითოეული დის ნახვის კვალობაზე. აქაც ქართული და ადიღური ხალხური მოთხრობები თანხვდენილია. 8. სიძეებთან შეხვედრა, მართალია, ორივეგან ერთნაირ სიტუაციაში ხდება, შედეგიც თითქმის ერთგვარია, მაგრამ მსგავსებასთან განსხვავებაც იჩენს თავს, რაც იმაში გამოიხატება, რომ ქართულ ნაწარმოებში სიძეები უმცროს ძმას თავიდანვე ეხმა-

რებიან, რჩევას აძლევენ და გზას ასწავლიან (III, 38); ადიღურში ასეთ მითითებას ადგილი არა აქვს. ადიღურ თქმულებაში გამოყენებულია, აგრეთვე სათავგადასავლო-ფანტასტიკური ზღაპრის დამახასიათებელი ჯადოსნური ქომაგი პერსონაჟები თევზის, მგლისა თუ შეავრდნის სახით. ისინი ეხმარებიან უმცროს ძმას ავი დედაბრის გადამალული ცხენების მონახვაში და აშკარა დაღუპვისაგან იხსნიან. 9. უმცროსი ძმა ორივე შემთხვევაში ირჯვის დაკარგულ მზეთუნახავს, რომელიც საშინელ არსებას ჰყავს დატყვევებული. მზეთუნახავი, გუაში თლეთანი, მომავალ განმათავისუფლებელს კოშკიდან ითხოვს, ერეკება, რადგან მომტაცებლის დამარცხება შეუძლებლად მიაჩნია და ჭაბუკის უშიდეგოდ დაღუპვა კი სასარგებლო არაა. 10. უმცროსი ძმა გუაშა თლეთანის სთხოვს გამოკითხოს დევს, თუ სად შეიძინა გრძნეული ცხენი — ძლიერების წყარო (იქვე, 57). ამის შესაბამისად უმცროსი ძმა ტყვე ქალს ავალებს როგორმე გამოტეხოს დევი და გაიგოს რაში მდგომარეობს მისი უძლეველობის მიზეზი (თ. რაზიკაშვილი, ხალხური ზღ. ქართლში შეკრ., გვ. 71). 11. უმცროსი ძმა ორივე ნაწარმოებში ახერხებს საშინელი დევის დამარცხებას, გამოიხსნის მზეთუნახავს, გზა და გზა მოინახულებს თავის დებს და დედებით დაბრუნდება სამშობლოში. 12. დასასრულ იმართება ქორწილი და ინასკვება ბედნიერი ოჯახური ცხოვრება.

ადიღურ ნართულ თქმულებას ქართული ზღაპრები შევადარეთ და სრული სიუჟეტური დამთხვევა აღმოვაჩინეთ. საკითხავია, ჩვენს მიერ ნაჩვენები ზღაპარი ერთადერთია, თუ სხვა ხალხებშიც გვხვდება ანალოგიური სიუჟეტები? დიახ, გვხვდება. იგი ფიქსირებულია საერთაშორისო კატალოგში A—A 300A, 313 სახით. ეს უკვე იმას ნიშნავს, რომ სიუჟეტი, რომელზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი, არაა ლოკალური მოვლენა. ცხადია, აქ დიდი ძიება არ დაგვჭირდება, რათა საკვლევი სიუჟეტის ზღაპრული ეპოსიდან მომდინარეობა დავამტკიცოთ.

შედარებისათვის ახლა ოსურ ფოლკლორს მივმართოთ, რომელშიც ნართულ ეპოსს წამყვანი ადგილი უჭირავს.

ოსური უარხაგის სიუჟეტის დასაწყისი და მთლიანად თქმულების სტრუქტურა. აშკარა პარალელს პოულობს სხვა ხალხთა სამგმირო-ფანტასტიკურ ზღაპრებში. ნართების ბაღში ერთი ვაშლი იდგა და ყოველწლიურად მის ნაყოფს რომელიღაც ფრინველი (ან ირემი) იტაცებდა. ნართთა უხუცესმა უარხაგმა (ბორამ) შვილებს ხსარსა და ხსართაგს დაავალა ხის დაცვა. ღამით დარაჯობისას უმცროსმა ძმამ ფრინველი დაჭრა, დილით სისხლიან კვალს გაყვა და ზღვის ფსკერზე ჩაეშვა. იქ დონბეთრის სამი ქალიშვილი იპოვა, ერთი მათგანი — ძერასა, სასიკვდილოდ დაჭრილი, გაკურნა და საცოლედაც დანიშნა. ასე იწყება თავგადასავალი, რომელიც შემდეგ ძმების შუღლში გადაიზრდება (В. Абаев, Нартский эпос, 1945, გვ. 30).

იგივე ამბავი სხვადასხვა ვარიანტის სახით დიდი ხანია ცნობილი არის საქართველოშიც. აქაც ხელმწიფის ბაღში ვაშლი დგას. ყოველწლიურად 2-3 სასწაულებრივი თვისების ნაყოფს ისხამს, მაგრამ სიმწიფეში შესვლის დროს მოიპარება რაღაც არსება (ფასკუნჯი, დევი) და გაიტაცებს. მეფემ შვილებს დაავალა ვაშლის დაცვა. ძმები მორიგეობით დარაჯობენ. ქურდს მხოლოდ უმცროსი ძმა გამომცდილებს, დაჭკოდს, გაყვება სისხლიან კვალზე. გამბედავი ვაჟი ორმოში ჩაეშვება და იქ მიაგნებს როგორც საშინელ დევს, ისე სამ მზეთუნახავს (Грузинские сказки, М., 1937, გვ. 69).

როგორც ვხედავთ, ეპიზოდი თანხვდენილია, სიუჟეტის სტრუქტურა იდენტური, განსხვავებას ქმნის ზოგიერთ ფუნქციათა გადადგილება და შემსრულებელთა ვინაობა.

ავიღოთ მეორე მაგალითი იმავე ოსური ეპოსიდან.

ურიზმაგმა ნადირობის დროს კურდღელი მოკლა, მწვადი ააგო და წვა დაიწყო. უცბად შამფურზე წამოგებული კურდღელი გაცოცხლდა და გაიქცა. ურიზმაგი განცვიფრდა. მაშინ ნადირი მობრუნდა და უთხრა: საკვირველი ის კი არაა, რომ მე გავცოცხლდი, არამედ ის, რაც ციბრ-საულაგს შეემთხვაო. ურიზმაგმა მონახა საულაგი და გაიგო, რომ მას შვიდი ცხენი და შვიდი ვაჟი-შვილი შეუჭმევნებია საშინელი გოლიათისათვის, რომელმაც მამა-შვილები პოლიფემივით გამოქვაბულში მოამწყვდია (Помятники нар. творч. осетин, I, 1925, გვ. 23).

ურიზმაგის ეს თავგადასავალი სიუჟეტური თვალსაზრისით ძლიერ ახლოს დგას იმ მონადირის თავგადასავალთან, რომელსაც შვლის (კურდღლის) მწვადები გაუცოცხლდა და შველმა მოახსენა: საკვირველი ეს კი არაა, არამედ ის, რაც ლილოველ გიორგის შეემთხვაო. მონადირე ეწვევა გიორგი ლილოველს (არსებობს მრავალი ვარიანტი) და თავგადასავალს ამბობინებს (იხ. ქართული ხალხური ზღაპრები, II, მ. ჩიქოვანის რედ., 1952, გვ. 197; თ. რაზიკაშვილი, კახეთში შეკრებილი ზღაპრები, 1909, გვ. 129; Грузинские сказки, 1937, გვ. 141). აქაც საერთო სიუჟეტი, საერთო სიტუაცია და ზღაპრული თავგადასავლის შემოტანაა ნართულ ეპოსში.

ნართთა უხუცესის უარხაგის ბაღისა და ურიზმაგის ნადირობის ამბავის დასახელება ამ შემთხვევაში სრულიად საკმარისია იმისათვის, რომ ვთქვათ: ოსურ ნართულ ეპოსში მოიპოვება ისეთი სიუჟეტები, რომელთა შესატყვისი არანართულ ეპოსის მქონე ხალხშიც მოიპოვება, და ისიც თქმულებების სახეთ კი არა, სამგირო-ფანტასტიკური ზღაპრების სახით.

აქედან, პრინციპული ხასიათის დასკვნა: ჩრდ. კავკასიის ნართული ეპოსი არაა იზოლირებული, მასში თავს იჩენს ზღაპრული სიუჟეტების გადამუშავება, ზღაპრული პერსონაჟების სამგირო ყაიდაზე გარდაქმნა, მოკლედ—ნართიზაცია. მაშასადამე, ერთი მხრივ, ნართული ეპოსი ზღაპრების ხარჯზე იზრდება; ზღაპარი —სამგირო ეპოსის წყაროა.

ჩვენ კიდევ შეგვიძლია გავაფართოვოთ შედარებითი ხასიათის კვლევაძიება. ახლა მივმართოთ ზეპირსიტყვიერებას, რომელიც კავკასიონის სამხრეთ ნაწილშია შექმნილი. საფუძვლად ავიღოთ მეტად საინტერესო კრებული: „ნართ სასრიყვასა და მისი 99 ძმის თავგადასავალი“[8]. აფხაზური ეპოსის ამ მშვენიერ კრებულში მე-15 თქმულების სახით წარმოდგენილია ტიპიური ზღაპარი, რომელსაც საერთაშორისო ფოლკლორისტიკა აარნე-ანდრეევის კატალოგის 514 ნომრით იცნობს და „სქესის მეტამორფოზი“ ეწოდება. აფხაზურ კრებულში ეს სიუჟეტი „საკვირველი გარდაქმნის“ სახელითაა წარმოდგენილი. ვფიქრობ, აქ საჭირო არაა სრული ბიბლიოგრაფიის მოცემა და იმის ჩამოთვლა, თუ რომელ ხალხებში გვხვდება სიუჟეტი. საკმარისია ითქვას, სქესის შეცვლის ანუ, როგორც ქართულ ზღაპრებში ეწოდება, ქალა-ბიჭას ამბავს იცნობს ათზე მეტი

---

[8] Приключения нарта Сасрыквы и его 99 братьев. Абхазский народный эпос, Подготовка текста: Ш. Д. Инал-Ипа, К. С. Шакрыла, Б. В. Щинкубы, Вступ. статья. Ш. Инал-Ипа. Перевод с абхазского Г. Гулия, С. Ш. Липкина, М., 1962.

ეროვნული ფოლკლორი ევროპასა და აზიაში. უნგრელმა სწავლულმა მარტ. იშტვანოვიჩმა ამ თემას მონოგრაფიული ნაშრომი უძღვნა ქართული მასალების საფუძველზე.

ზღაპარში მკვეთრად გატარებულია ქალისა და ვაჟის თანასწორობის, მათი საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ საქმიანობაში ერთგვარი ღირებულების საკაცობრიო იდეა. ამ იდეას ქართული ლიტერატურა მე-12 საუკ. იცნობს „ვეფხისტყაოსნის“ წყალობით. ჩვენ უკვე გვქონდა საშუალება ამ სიუჟეტს საგანგებოდ შევხებოდით და გამოგვეთქვა მოსაზრება მისი ქართულ გარემოში დამუშავების თარიღის შესახებ, რომ იგი რუსთაველის ეპოქაზე ადრინდელია. სათანადო ფოლკლორული ჩანაწერები ქართულ ენაზე მე-17 საუკუნიდან მოიპოვება და დღესაც სიუჟეტის გავრცელებას მასიური ხასიათი აქვს[6].

ახლა მივყვეთ აფხაზურ რედაქციას და ვაჩვენოთ მისი წმინდა ზღაპრული პარალელები. 1. ნართებთან ერთი უვაჟიშვილო მოხუცი ცხოვრობდა (Приключения Саскрыквы, გვ. 100),—ალმასხან ვეზირიც მეფის კარზე მოხუცდა, ვაჟი არ გაუჩნდა (ქ. სიხარულიძე, ქრესტომ., I, 235); 2. თეთრად შევერცხლილი მოხუცი დარდობს, რომ მას ნართებთან შვილის გაგზავნა აღარ შეუძლია რადგან მხოლოდ ქალიშვილები ჰყავს (Прикл., 10),—ასევე ალმასხან ვეზირი, თუ მისი შემცვლელი პერსონაჟები, მწვავედ განიცდიან ხელმწიფის კარზე მემკვიდრე ვაჟის უყოლობას (სიხ., გვ. 235); 3. ნართებთან შებერებულ მამას ქალიშვილები სთხოვენ: ვაჟურად გამოვეწყობით და შენს მაგივრად წავალთო. (Прикл., 100-101),—ასევე ქართულ ზღაპარში სამი ქალიშვილი თხოვს ალმასხანს ვაჟად გადაცმულნი გაგზავნოს მეფის სამსახურში (სიხ., 235); 4. მოხუცი მამა დასაწყისში უარს ამბობს, მაგრამ უფროსი ქალიშვილის დაჟინებითი მოთხოვნის შემდეგ გამოაწყობს თავის ტანსაცმელში და გაგზავნის (Прикл., 101),—ნათქვამის შესაბამისად ალმასხან ვეზირიც გზავნის გადაცმულ უფროს ქალიშვილს სასახლეში (სიხ., 235); 5. ქალიშვილის წასვლისთანავე მოხუცი მამა გზას მოუჭრის და შვილს ყაჩაღივით გადაუდგება სიმამაცეში გამოცდის მიზნით. უფროსი ქალიშვილი დაფრთხება და შინისკენ მოკურცხლავს (Прикл., 101);—ასევე შეემთხვა ალმასხან ვეზირის უფროს ქალიშვილსაც (იქვე); 6. უფროსის შემდეგ საშუალო და გაემგზავრება, მაგრამ მასაც პირველის ბედი ეწვევა, გამოცდას მხოლოდ უმცროსმა დამ გაუძლო და საბოლოოდ მას დაულოცა გზა მოხუცმა მამამ (Прикл.,102); ამის სრული შესატყვისია მოცემული დასახელებულ ქართულ ზღაპარსა და მის ათეულობით ვარიანტში. 7. ვაჟად გადაცმული ქალი გადაეშვება ჯადოსანი ბებერი დედაკაცის ბაღში, დაჰკრეფს

---

[6] დავასახელოთ რამდენიმე ჩანაწერი: „არაკი ქიშმარის ხელმწიფის ქალისა“ (ნეაპოლის ბიბლიოთეკის ბერნარდოსეული კოლექცია; „მე-17 საუკუნეში ჩაწერილი ზღაპრები,“ მრავალთავი, I, 1964 წ.); „ქალა-ბიჭა და გაქვავებული ქალაქი,“ 1895 წელს თ. რაზიკაშვილის ჩაწერილი (ქართული ხალხური ზღაპრები, 1, 1938); „Сказка о дочери царского эконома“ (Сб. мат., т. 19. 1895 г.); „Сказка о сыне царского служителя“ (იქვე); „ალმასხან ვეზირი,“ ლეჩხუმში ჩვენს მიერ ჩაწერილი 1935 წ. (Груз. сказки, М., 1937 г., ქ. სიხარულიძე, ქრესტომათია, II, 1956); „ბერნაძის შვილი“ (მ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური ზღაპრები, ტ. II, 195); „ვაჟადქცეული ქალი“ ვაქირელი ქალის ჩაწერილი („ძველი საქართველო“ IV, 1915); „მონადირე“ (ქართული ხალხური ზღაპ., II); „ხელმწიფისა და მისი სამი ქალისა და გაქვავებული ქალაქისა“ (თ. რაზიკაშვილი, ხალხური ზღ. ქართლში შეკრებილი, 1909) და სხვ.

ვაშლს და სანამ ჯადოსანი დაწყევლიდეს, უკან გადმოხტომასაც მოასწრებს. ამიტომ მოხუცის სიტყვები „იქეცი იმათ, რაც არა ხარო“ მას მხოლოდ სქესს გამოუცვლის, ვაჟად აქცევს (Прикл., 104). ქართულ ზღაპარში კი ვაჟურად გამოწყობილი ქალიშვილი გაქვავებულ ქალაქში აღმოჩნდება და ჯადოსან ქალს აიძულებს ხალხიც გააცოცხლოს და თვითონაც დალოცოს—თუ ქალი ხარ ვაჟად იქეციო (იქვე, გვ. 238).

ნართულ თქმულებაში არც ერთი მხატვრული მნიშვნელობის მოტივი არაა, რომელსაც შესაბამისი ადგილი არ ეძებნებოდეს ზღაპარში. სიუჟეტური განსხვავება მხოლოდ ერთხელ იჩენს თავს, ესაა გაქვავებული ქალაქის—ვაშლის ბაღით შეცვლა, სხვა მხრივ ვითარება სრულიად ერთგვაროა, თუ იმასაც არ მივლებთ მხედველობაში, რომ ვაჟურად გამოწყობილი ქალიშვილი ნართების გარემოცვაში იმყოფება, ხოლო ზღაპრული მამაცი ასული კი მეფის სასახლეშია და მასზე გამიჯნურებული ხელმწიფის ქალიშვილის მძიმე დავალებებს ზედიზედ ასრულებს.

რაკი ორ სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებს შორის სრული იდენტურობა არსებობს, კითხვა ისმის მიზეზისა და წყაროს შესახებ. სქესის მეტამორფოზის სიუჟეტი ნართულ ეპოსში ზღაპრებიდანაა შესული, როგორც საკვირველი და მომხიბვლელი თავგადასავალი. ქალაბიჭას ამბის გავრცელებულობის შესახებ თვითონ წერგნიც არის ყრუ ცნობა შემონახული: „მისი ნაამბობი მალე ყველა ნართის საკუთრებად იქცაო“. ამ სიუჟეტის ზღაპრიდან მომდინარეობა სადავო არ იქნება, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ხალხურ მოთხრობაში სიუჟეტი უფრო ლოგიკურად ვითარდება და სქესის გამოცვლის აუცილებლობაც სათანადოდ არის მოტივირებული, რაც ნართულ გადმოცემაში არა ჩანს. ამგვარად, „აფხაზურ ნართულ ეპოსში“ წარმოდგენილი მე-15 თავგადასავალი ზღაპრულ ეპოსში იღებს სათავეს. საკითხავია, იბოვება თუ არა ანალოგიური სიუჟეტი თვითონ აფხაზურ ხალხურ ზღაპრებში? დიახ, იბოვება და მას „მეფე და მისი ვეზირი“ ეწოდება[1].

ახლახან განხილული ზღაპარი ტექსტობრივად უფრო ემთხვევა ქართულ ალმასხან ვეზირის ციკლს, ვიდრე ნართულ გადმოცემას; ეს კი იმას მოწმობს, რომ ნართული თქმულების წყარო საძიებელია არა მარტო „აფხაზური ზღაპრების“ კრებულში, არამედ სხვაგანაც. ასევე ზღაპრული წარმოშობისაა სასრიყვას 24-ე თავგადასავალი გველეშაპის მოკვლის შესახებ. უკანასკნელი ტიპიური ვეშაპმებრძოლი გმირის სიუჟეტს შეიცავს, ათვალწუნებული უმცროსი ძმის თქმულებასთან ერთად. შესაბამის ქართულ ჩანაწერებზე შეჩერება შორს წაგვიყვანდა და ამის გამო ზოგადი მითითებით ვკმაყოფილდებით. კრებულის 25-ე თავი—„სასრიყვას ახალი საკვირველი თავგადასავალი“ წარმოადგენს ცნობილი ხალხური მოთხრობის ანარეკლს, რომელიც იაკ. გოგებაშვილის მეტად პოპულარულ სახელმძღვანელოშიც იყო რამდენიმეჯერ დაბეჭდილი რეგიონალიზმებე და „მებადურის შვილი“ ეწოდება (გოგ., თხზ., V, 452).

შედგენილობის თვალსაზრისით, ნართული ეპოსი პოლიგენეზისურია. ამით აიხსნება, რომ ზოგი სიუჟეტი უკვე შემოქმედებითად არის ათვისებული და „წმინდა“ ნართულ მოვლენად ქცეული, ზოგი ჯერ კიდევ არაა სათანადოდ მისადაგებული და მისამართიც ადვილი მისაგნებია. ნართულ ეპოსში სხვადასხვა „ფორმაციის“ სიუჟეტებია გაერთიანებული—ზოგი უფრო ძველი, ზოგიც

[1] Абхазские сказки. Составил, обработал и перевел Х. С. Бгажба, С., 1959, გვ. 174.

ახალი. სიახლე უმთავრესად აქ იმას გულისხმობს, თუ როდის მოხვდა ნართების რკალში ესა თუ ის თქმულება, თორემ თავისთავად დამოუკიდებელი წარმოშობის სიუჟეტი შესაძლებელია ძალიან ადრინდელიც იყოს, ე. ი. გრძელი გზა ჰქონდეს განვლილი „ნართულ ფორმაციამდე“.

გენეზისის თვალსაზრისით, კვლავ საინტერესო მოვლენას წარმოადგენს აფხაზური თქმულებები. ბევრი მათგანი ნართულად არის აღიარებული მკვლევრების მიერ და ამ სახელწოდებით შემოსულია ფოლკლორისტულ ლიტერატურაში. აქ პირველ რიგში იმ ხალხურ მოთხრობებზე შევჩერდებით, რომლებიც „აფხაზური ზღაპრების“ რუსულ კრებულში იქნა გამოქვეყნებული 1959 წელს ცნობილი აფხაზი მოღვაწის ხ. ბღაჟბას მიერ და „Героические сказания о нартах“ ეწოდება. წინასწარ ისიც უნდა დავიმახსოვროთ, რომ შედარების დროს ჩვენ მხედველობაში არ ვიღებთ ცალკეული მოტივების შეხვედრებს. მსჯელობის საგნად მივიჩნევთ ისეთ რთულ მხატვრულ მოვლენებს, სიუჟეტურ ცნებებს, როგორიცაა: ეპიზოდი, მონაკვეთი, ნაწილი და მთლიანი ნაწარმოები. რაც შეეხება მოტივებს, ამ შემთხვევაში მათი გამოდენება მკვლევარს ბევრს არაფერს მისცემს. მხატვრული თვალსაზრისით მოტივები მოძრავნი არიან; ადვილად იცვლიან ადგილს და ნაწარმოებს, პერსონაჟსა და ჟანრს, ენასა და ტერიტორიას, ფუნქციას. ამის გამო ნაწარმოებთა და ჟანრთა გენეტიკური პრობლემების გადაწყვეტის დროს ვემყარებით მხატვრულად გააზრებულ და ორგანიზებულ ერთეულებს, სადაც უფრო ხელშესახებად ჩანს ეროვნული სპეციფიკა: თვითმყოფადობა თუ სესხება.

აფხაზურ ნართულ ნაწარმოებთა პუბლიკაციას არა აქვს დიდი ხნის ისტორია. მთელი მასალა თითქმის უკანასკნელი 20-30 წლის მანძილზე გამომჟღავნდა, როგორც ხალხური ჩანაწერების მოპოვების, ისე მათი გამოქვეყნების მხრივ[8]. ეს პერიოდი საბჭოთა ფოლკლორისტიკის მტკიცე სამეცნიერო დისციპლინად ჩამოყალიბების პერიოდიცაა, და ამდენად მასალების ღირსებაში, მათ ნამდვილ ხალხურობაში ეჭვის შეტანა უსაფუძვლო იქნებოდა. ჩვენც მსჯელობის საგნად ისეთ ნაწარმოებებს ვაქცევთ, რომელთა ფოლკლორულ წარმოშობაში დარწმუნებულნი ვართ.

ცხადია, როცა ამას ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვაქვს არა ერთი ხალხის ფოლკლორი და მისი ეპოსი, არამედ საერთოდ კავკასიის ხალხების ზეპირსიტყვიერი შემოქმედება, მისი შესწავლის და პუბლიკაციის მდგომარეობა.

დავუბრუნდეთ ხუხუტი ბღაჟბას კრებულს. გამოქვეყნებულ სიუჟეტთა შორის მკვლევრის ყურადღებას პირველ რიგში იქცევს: I. Сасрыква и пахарь. 2. Гунда-прекрасная, 3. Уахсит—сын Нартсита.

დასახელებული თქმულებები მშვენიერი მხატვრული ნაწარმოებებია. თითოეული დამოუკიდებელი ხასიათის და დასრულებული ფორმის მქონეა. მათი ადგილი ნართული სიუჟეტური რკალის შეკვრაში არაა საგრძნობი. თუ ამ რიგის ნაწარმოებთა შორის მაინც მოიხსენებიან, ალბათ მაინცა და მაინც არა იმიტომ, რომ ისინი კონკრეტული ერთი ეპოსის ნაწილებს წარმოადგენენ სიუჟეტის თვალსაზრისით, არამედ იმის გამო, რომ მათი მოქმედი გმირები—ზღაპრული პერსონაჟები, ცნობილი ნართების სახელებით არიან წარმოდგენილი,

---

[8] აფსუა ლაკუჭა, პროფ. ნ. ანდრეევის წინასიტყვაობით, შედგენილი კ. შ ა ყ რ ი ლ ი ა და ხ. ბ ღ ა ჟ ბ ა ს მიერ. 1940; ჭ. ინალ-იფას წინასიტყვაობა: Приключения нарта Сасрыквы, გვ. 12.

თუმცა შინაარსის მხრივ ამავე გმირებთან დაკავშირებულ კლასიკურ სიუჟეტებთან თითქმის საერთო არაფერი აქვთ.

სასრიყვას და კოჭლ გუთნისდედის ამბავი ორი ეპიზოდისაგან შედგება: პირველია, გუთნისდედის მიერ ხნულში სასრიყვას ბელტისქვეშ დამალვა და მერე გუთნისდედის მეუღლისაგან მისი ბავშვების სათამაშოდ წაყვანა; მეორე—იმავე მხვნელ-მთესველისაგან, ამხანაგთან ერთად, ხმელ თავის ქალაში ღამის გათევა, მწყემსის მიერ იმავე ქალას გასროლა და შიგ მყოფთა დაღუპვა-დამსხვრევა. როგორც პირველი, ისე მეორე სიუჟეტი გავრცელებული სხვადასხვა ხალხის ზეპირსიტყვიერებაში, თანაც უმეტეს წილად დამოკიდებული ნაწარმოების სახე აქვს. საილუსტრაციოდ დავასახელოთ ისეთი ეპიკური ნაწარმოები, რომელიც ერთგვარ შემაერთებელ ხიდს წარმოადგენს ამირანსა და ნართულ თქმულებებს შორის—ოსური დარეჯანები. 1. ოსურ გადმოცემაში უსაზღვროდ დიდი არსების თავისქალაში მოხვედრა და ღამის გათევა დამახასიათებელი ეპიზოდის სახით არის წარმოდგენილი. 2. ქალაში ღამის გათევა ფიქსირებულია ამირანის თქმულების ისეთი ადრინდელი გაფორმების ვარიანტში, როგორიცაა ხევსურული ჩანაწერი (მოჯაჭვული ამირანი, 1947, გვ. 344). 3. იგივე მოთხრობა, მხოლოდ სხვა შემსრულებელთა მონაწილეობით, გასული საუკუნის 80-იან წლებში დამოუკიდებელი ზღაპრის სახით არის ჩაწერილი თ. რაზიკაშვილის მიერ აღმოს. საქართველოში და დაბეჭდილია 1909 წელს (ხალხური ზღაპრები შეკრებილი ქართლში, 1909, გვ. 66; ს.-ს. ორბელიანი, თხზ., I, გვ. 101—106). 4. იგივე უნდა ვთქვათ მხვნელ-მთესველის ეპიზოდის შესახებ, რომელიც გვხვდება ამირანის თქმულებაშიაც და ზღაპრებშიც.

ჰიპერბოლური ხასიათის ზღაპრულ-ფანტასტიკური მოთხრობები ფართოდ მოდებულია საერთაშორისო ფოლკლორში და სპეციფიკურ-ნართული მასში არაფერი ჩანს, გარდა სიუჟეტური ფუნქციის შემსრულებლთა სახელებისა.

აფსაზური ზღაპრების 1959 წლის გამოცემისგან განსხვავებით, ასი ძმის თავგადასავლის 1962 წლის რედაქციაში ეს ამბავი გართულებულია ახალი ჩანამატით—სასრიყვას მეურმესთან შეხვედრით. უსაზღვროდ დიდი ადამიანების ჩვენება, მათი ჰიპერბოლიზაცია ნართული მოთხრობების გარეშეც კარგად არის ცნობილი[9]. ზოგი მათგანი ამირანის თქმულების ორგანულ ნაწილსაც წარმოადგენს (მხვნელ-მთესველი, ჩონჩხად ქცეული ბუმბერაზი, რუმბების მზიდავი მეურმე და სხვ.). ადგილის უჭონლობა ხელს გვიშლის დეტალურად განვიხილოთ ორი დანარჩენი მოთხრობა, სურათი კი იქაც ისეთივე რჩება.

მშვენიერი გუნდა შვიდი მონადირე ძმის ერთადერთი დაა. იგი ბროლის კოშკში ცხოვრობს და ძალის ტკინით იკვებება. შვიდივე ძმის ცოლები შურის თვალით უყურებენ მას, ცდილობენ მის დაღუპვას. ბოროტი რძლები მიზანს დროებით აღწევენ და გუნდაც საშინელ ტანჯვაში ექცევა. აქაც ტიპიურ ზღაპართან გვაქვს საქმე, რომლის სიუჟეტი, ერთის მხრივ, დევნილი გერის თავგადასავალს გვაგონებს, ხოლო, მეორე მხრივ, მონადირე მეფისწულის გამოჯანსაღების ამბავს გვაცნობს. გავსინჯოთ რამდენიმე საერთო ადგილი.

1. ციხე-სიმაგრეში მყოფი გუნდა ბროლის კოშკში მოთავსებულ იმ მზეთუნახავს მოგვაგონებს, რომელსაც შურისძიება ემუქრება. 2. სანადიროდ წასული ძმების შეუმჩნეველად მათი ცოლების მოქმედება ჰგავს იმ საყოფიერო ზღაპრის რძლების უმსგავსო საქციელს, როცა ისინი ქმრების შინ არყოფნისას

[9] Приключения нарта Сасрыквы, გვ. 202. შდრ. ს.-ს. ორბელიანი, თხზ. I, 101—106

საყვარლებში ერთობიან და ვინც მათ ხელს უშლის, სიცოცხლეს ასალმებენ. 3. მშვენიერი გუნდა რძლებმა ორმოში ჩააგდეს ისე, როგორც მოშურნე დედინაცვლის წყალობით ღარიბი გლეხის ქალიშვილები მოხვდებიან ვაშლის ქეციშ ამოთხრილ ღრმა ორმოში. 4. მონადირე თავადისშვილის მიერ მოულოდნელად გუნდას ნახვა და გამიჯნურება აბესალომ და ეთერის შეხვედრას ავორგებს მკითხველს[10]. 5. მამა თავადი წინააღმდეგია თავისი შვილის შემთხვევით აღმოჩენილ ქალზე დაქორწინებისა ისე, როგორც აბესალომის მამა უარს აცხადებს ეთერის სასახლეში მოყვანაზე და მემკვიდრის სურვილს მტკიცედ წინ აღუდგება. 6. მშვენიერ გუნდას აღმოჩენა წმინდა ზღაპრული ხერხით ხდება. წყაროს წყალში ბეჭდის ჩაგდება და მისი საშუალებით მზეთუნახავთან კავშირის გაბმა, თითქმის ყველა ხალხის ზღაპრებში იჩენს თავს. 7. გუნდამაც ისე იცნო ძმის ბეჭედი, როგორც ზღაპრული მზეთუნახავები ცნობენ მათ მაძიებელთა ბეჭდებს. სხვებისგან განსხვავებით, აქ გუნდა თვითონ გარბის უცნობისკენ, გადაეხვევა მას და სასახლეში ძიძწვევს. 8. დის ძებნაში დაღლილ-დაქანცულ ძმას ისე დაბანენ და საზეიმოდ მორთავენ, როგორც ეს შეემთხვა ქალ-ხელმწიფის სამფლობელოში მოხვედრილ ქმარს, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში თანამეცხედრეს ეძებდა.

ნართისტის შვილი უახსიტი თავის უჩვეულო თავგადასავლით ზღაპრის იმ გმირს ჰგავს, რომელიც ბრმა დევს ეშვილა და დიდძალი ქონებაც შეუძინა. თქმულების ზღაპრულ ეპოსთან კავშირს შემდეგი შეხვედრანი ამტკიცებენ. 1. მდ. ყუბანის ნაპირას მყოფ მწყემს უახსიტს ისე ეკრძალება საშინელ ადაუს იალაღებზე ცხენის ჯოგის ძოვება, როგორც ქართული ზღაპრის ბრმა დევის შვილობილს აქვს აკრძალული ცხვრის ფარის გადაყვანა შავ. წიფელ და თეთრ მთებზე (ქართული ხალხ. ზღაპ., 1, 1938, 180). 2. უახსიტმა დაარღვია პირობა, ცხენის ჯოგი სწორედ ყუბანის იმ მხარეს გარეკა, სადაც ადაუ (დევი) მძინარებდა. ასევე დევის ნაშვილებმა ფარა იმ მთებს მიაყენა, რომლებსაც ყველა გაურბოდა. 3. ნართ უახსიტის დანახვაზე ადაუ გაწყრა, აუგად მოიხსენია ტანმორჩილი მწყემსი და სიკვდილით დაემუქრა. ირც ქართული ზღაპრის გმირს დადგომია უკეთესი დღე, ისიც საშინელი მუქარის სანაცვლო გახდა. 4. უახსიტისა და დევის ბრძოლა სამ დღეს გაგრძელდა, ბოლოს ნართმა სძლია, დევმა სიცოცხლის შენარჩუნება ითხოვა და უახსიტი იშვილა, ძუძუზე კბილი მოაკიდებინა. ბრმა დევთან შვილად მისულმა ფეიქრის შეგირდმაც სძლია საშინელი შავი, წითელი და თეთრი მწყემსები და არათუ თავისი ფარა მორეკა მამობილთან, არამედ მოქირჭეთა ჯოგებიც მოაყოლა (I, 180). 5. დევის შვილობილი ნართისტის ძე უახსიტი ციურ მზეთუნახავზე დაქორწინებას განიზრახავს, მაგრამ მისი სისრულეში მოყვანა საგანგებო დავალებათა შესრულებას მოითხოვს; დასაძლეველია ჯადოქარ კალაურის ხრიკები. ამის ანალოგიურად გაქვავებას არ უფრთხიან ქართული ზღაპრის გმირები, რომლებიც ამარცხებენ თვითნება გოლიათ ქალებს და მძიმე დავალებებს ასრულებენ. 6. უახსიტმა ნეკა თითით ცეცხლზე შემოდგა უზარმაზარი ქვაბი და ამით საცოლის ძმებს აჯობა. ქართული ზღაპრის გმირებიც დაუბრკოლებლად ასრულებენ დავალებებს, მათ შორის შვიდი ძმა-დევის ცეცხლზე შედგმულ ქვაბს

[10] ასი ძმის თავგადასავალში თავადისშვილი მოხეტიალე მონადირით ალხუზით არის შეცვლილი; თვითონ თქმულება შეკვეცილა და შერწყმულ ტექსტში მოცემულ ამბებთანაა მისადაგებული (Приключения, გვ. 89—93).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნეკით ჩამოიღებს და ამით დევებს დაიმორჩილებს. 7. კალაურმა უახსიტს მეუღლე წარსტაცა და გაუჩინარდა. ქართულ ზღაპრებშიც ჯადოსნური მოწინააღმდეგე ხშირად გოლიათს ხელიდან გამოაცლის საცოლეს და მიიმალება. 8. უახსიტი ეძებს დაკარგულ საცოლეს. ჩაეშვება ქვესკნელში და იქ შეჭორწილე ხალხს იპოვის. ქართულ ზღაპარში შებრუნებული სურათია; ქვესკნელიდან დაბრუნებული გმირი მწყემსებს წაუწყდება, რომლებიც დაკარგული ქალის ქორწილში არიან მიწვეულნი. 9. ხართი მწყემსს ტანსაცმელს შეუცვლის და მეღორის ფორმით გაერევა მექორწილეთა შორის. ამის შესაბამისად ქართული ზღაპრის გმირიც მწყემსურად გადაიცვამს. შეაღწევს საქორწილო სეფაში და მშვილდოსნობაში მიიღებს მონაწილეობას. აიღებს თუ არა მშვილდისარს, შესძახებს: „ფურს თუ ხარსაო“. „ფურის რა ბრალია, ხარსაო“, მოესმის ქალის ხასუხი. 10. უახსიტი ქალის მოპოვებაში იმავე ხერხს მიმართავს, რაც ზემოთ უკვე ვნახეთ ჭორჭელში ბეჭდის ჩაგდების მოტივის სახით. ქართულ ზღაპრებშიც ეს კარგადაა ცნობილი (ქართ. ხალხ. ზღაპ., III, 20). 11. მეღორის ფარჯაში გამოწყობილი უახსიტი ქალს სთხოვს: გამოკითხოს ჯადოსან კალაურს, რაში აქვს ძალა და სად იმყოფება მისი უკვდავი სული. ეს მოტივი ქართულ ზღაპრებში იშვიათად თუ უკავშირდება დაკარგული საცოლის სახელს, იგი უფრო მაშინ ირეს თავს, როცა უძლეველი დევის ტყეეობიდან ქალია გამოსახსნელი (II, 53; რაზ. II, 71). 12. ტრადიციულ წესზე კალაური პირველ ხანებში ქალს ატყუებს, უმალავს რაშია მისი უძლეველობის მიზეზი. ტყვექმნილი ორჯერ მოჰვენებით პასუხს იღებს. მხოლოდ მესამე გამოკითხვისას აღწევს სწორ პასუხს. ამის შესაბამისად ქართულ ზღაპარშიც დევი ტყვე ქალს ორჯერ აუბნევს გზას: სული ხან ცოცხშიაო, ხან ბოძშიო, მესამედ კი გამოუტყდება. 13. კალაურის ძალის მერცხლები საგანგებოდაა დაცული. ექვსი მთის გადაღმა მინდორში უზარმაზარი ხარია, მის მუცელში შველი არის მოთავსებული, შველის მუცელში სამი მერცხალი: ერთი სული, ორი თვალის სინათლე, ცისა და მიწის საჭვრეტი. ქართულ ზღაპრებში ეს ვერსია ვარიანტებად არის გაშლილი. ცხრა მთას იქით დიდი მინდორია, იქ ასი მთიბელი თივას აგროვებს უზარმაზარი ირმისათვის (ტახი). ირმის თავში კოლოფია, კოლოფში—კურდღელი, კურდღლის თავში კიდევ პატარა კოლოფი და მასში სამი ჩიტი—ძალა, თვალის სინათლე და სული. მხოლოდ ამ ჩიტების დახოცვით შეიძლება დევის მოსპობა. 14. უახსიტმა მოიპოვა ძალის მერცხლები და ჯადოსან კალაურს ბოლო მოუღო. ასევე ქართულ ზღაპარში გამარჯვებულ გმირს მოჰყავს ძალის ჩიტები, ხოცავს სათითაოდ. დევი თანდათანობით უძლურდება: ჯერ ძალა აკლდება, მერე თვალის სინათლე, ბოლოს სულს განუტევებს. 15. ტყვე ქალი უახსიტის საცოლეა და მის თავგადასავალს საქორწილო შეერთება ავგირგვინებს ჯადოსნური ეპოსის ყაიდაზე. ქართულ ფოლკლორში განთავისუფლებული ტყვე ერთ შემთხვევაში თვითონ გმირის ნათესავია (დედა, და), ანდა მზეთუნახავი, რომელთან შეუღლებას უკვე აღარაფერი აბრკოლებს. (აფხაზური ეპოსის 1962 წლის გამოცემაში ეს თქმულება ახლებურადაა გადამუშავებული).

დასახელებული 15 საკვანძო მოტივი ისეთ მხატვრულ ქსოვილს ქმნის, რომელიც მთლიანად საგმირო-ჯადოსნური ზღაპრის ჟანრში თავსდება. თუ აღნიშნულ მოტივებს ჯადოსნური ზღაპრის მემკვიდრეობად მივიჩნევთ, მაშინ სპეციფიკური ნართული უახსიტის თავგადასავალში ცოტა რამ დარჩება. განსჯავებას უმთავრესად ჰქმნის რამდენიმე ეპითეტი და ას ძმა ნართზე მითითება. ცხადია, ეს უკანასკნელი გარემოება ნაკლებ საფუძველს იძლევა, რომ გან-

ხილული სიუჟეტი ნართული ეპოსის ძირითადი ფონდის შემადგენლობაში მოვაქციოთ. ამნაირად, უახსიტის თავგადასავალი უკანასკნელი ფორმაციის თქმულებაა, თუმცა სიუჟეტი გენეზისის თვალსაზრისით ადვილი შესაძლებელია ნართების წინარე პერიოდსაც ეკუთვნოდეს.

საგმირო ეპოსის ზღაპრული წყაროების ძიება საკმაოდ ნაყოფიერ თეორიულ და პრაქტიკულ პრობლემას წარმოადგენს. ამ მიმართულებით თვალსაჩინო შედეგებია მიღებული. გზის გამკაფავი ნაშრომი გამოაქვეყნა პროფ. ვ. ჟირმუნსკიმ[11] შუა აზიის ეპოსის თაობაზე, ხოლო ნართების შესახებ საყურადღებო დასკვნები გააკეთა უ. დალგატმა[12]. ჩვენი მცირე ცდა იმით გამოირჩევა, რომ დაკვირვების საგნად ისეთი თქმულებებია აღებული, რომლებიც ამ თვალსაზრისით ადრე განხილული არ ყოფილა.

ნართული თქმულებების ზღაპრულ სიუჟეტებთან სიახლოვე აღიარებული ფაქტია ნართოლოგების მიერ. 1936 წ. ორჯონიკიძეში გამართულ თათბირზე შ. ინალიფა აფხაზური თქმულებების გამო ამბობდა: „Иногда нартские сказания облечены в сказочную форму, с первого взгляда как будто ничего общего с нартами не имеющую. Но при близком знакомстве с ними, особенно же при сопоставлении их нартскими текстами других народов, они оказываются изменившим свой вид типично нартскими сюжетами“ (Нартский эпос, 1957, стр. 93).

ეპოსს მრავალი წყარო გააჩნია. ადამიანური ცხოვრების სინამდვილის გარდა, იგი სულიერი კულტურის მონაცემებსაც ემყარება. ნართული ეპოსის ჩამოყალიბება შემზადებულია წინა პერიოდის ზეპირსიტყვიერებით, ფოლკლორული ჟანრებით, როგორიცაა: ლირიკული და ლირო-ეპიკური ლექს-სიმღერები, საწესჩვეულებო პოეზია, ანდაზები, მითები და ისტორიული გადმოცემები, სატირა და იუმორი, გამაასებანი, ზღაპრები, და თქმულებები. თითოეულ ამ წყაროს აღმოჩენა და დადასტურება არა მარტო ნართული ეპოსის შექმნის საიდუმლოების გვიხსნის, არამედ საერთოდ ეპიკური მხატვრული შემოქმედების მექანიზმსაც გვარკვევს.

ნართული ეპოსის შემუშავებაში დიდი როლი მიუძღვის მთქმელებს, იმათ, ვინც მხატვრულ ექსტაზში შესულნი მოუთხრობდნენ მძაფრ თავგადასავალთა მოულოდნელ სახელოვანი გმირების ფალავნობაზე. კავკასიელი მთქმელ-მომღერლები, ძველი ბარდების მსგავსად, მომზადეულ სახეთა შექმნის დროს ფართოდ იყენებდნენ ტრადიციულ შემოქმედებას. ეს სრულიად კანონზომიერი მოვლენა აღორძინდელ შემკრებთა შორის ერთგვარ შეშფოთებას იწვევდა. ვ. პფაფს, მაგალითად, ასი წლის წინათ ამ წესით დამუშავებული თქმულებების შეკრება უაზრობად მიაჩნდა. „Эти барды часто перемешивают рапсодии сплетают их по произволу или даже прибавляют сцены и изречения собственного сочинения, и если бы пришлось записывать все слово в слово в том порядке, как они поют эти сказки, то вышла бы читая безсмыслица» (Сб. св. о Кавказе, 1871, стр. 170).

---

[11] В. М. Жирмунский, Сказание об Алапамыше и богатырская сказка, 1960; Его же, „Народный героический эпос“, 1962.

[12] У. Б. Дальгат. К вопросу о нартском эпосе у народов Дагестана, „Нартский эпос“, 1957.

სამწუხაროა, რომ ამგვარი მცდარი მოსაზრების გამო შემკრებმა ხელი აიღო წმინდა ხალხურ ტექსტებზე და ბათრაზის თავგადასავალი „აღდგენილი“ თუ „გამართული“ ვერსიის სახით წარმოადგინა.

2. ნართული ეპოსის მოტივებისათვის

ა) ქვისაგან შობილი სოსრიყო

ეპიკური გმირის დაბადება ყოველთვის გაუცხოებულია. არაჩვეულებრივი ძალისა და თვისებების მჭონე ბუმბერაზს წარმოშობაც უჩვეულო უნდა ჰქონდეს. ასეთია საერთო კანონი. აქ ტაიზაციის ოდინდელი წესი იჩენს თავს. ყოველ „არაჩვეულებრივს“. „სასწაულებრივს“ საფუძვლად ჩვეულებრივი, ყოველდღიური სინამდვილე უდევს. გაუცხოებას იწვევს ნაწარმოების ჰეროიზაცია, მხატვრული სტილი, რომელიც ემყარება რა სინამდვილის ასახვის თავისებურ მეთოდს, გართულებულია მითოლოგიური და მაგიური წარმოდგენებით. ასეთ უჩვეულო და ერთგვარ სასწაულებრივ მოტივებს ვხვდებით ნართულ ეპოსში. დავიწყოთ იმ სურათის განხილვით, რომლითაც იხსნება ნართული თქმულებების ერთი თვალსაჩინო ციკლი. სოსრიყო ნართული ეპოსის ცენტრალური გმირია. სწორედ ის მოევლინება ქვეყანას განსაკუთრებული ხერხითა და წესით.

1. აფხაზური ვერსიის მიხედვით, ნართი სასრიყვა სათანაო გუაშას მეასე შვილია, უკეთ შვილობილი, რადგან ბუმბერაზი უშუალოდ დედის საშოდან არ დაბადებულა. სათანას დახასიათებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ყაბარდოელთა ცნობას, რომ „მას არასოდეს არ უშვია, შვილები არ ჰყოლია“. მოქმელი დამატებით იმასაც აღნიშნავს, რომ სათანა საკუთარ შვილივით ზრდიდა სოსრუყოს, „თორემ სხვა მხრივ სოსრუყოს არ შეეძლო ნართების ძმა ყოფილიყო“ (ყაბ. ფოლკლორი, რუს., 1936, გვ. 43). სათანაო ამ შემთხვევაში თვითონ არაა ნართების მშობელი დედა და ძუძუთი აღზრდელი, იგი უფრო დიდი ოჯახის უხუცეს დიასახლისად გვევლინება, რომელსაც მომდევნო თაობების წარმომადგენლები, ყმაწვილები თუ დავაჟკაცებულნი, დედობით მიმართავდნენ. ამას ემყარება ალბათ წარმოდგენა: „სათანაო მრავალშვილიანი“, „სათანაო ასი ნართის დედა“.

დავუბრუნდეთ აფხაზური ვერსიის სათანაო გუაშას.

ერთხელ სათანაო გუაშა მდინარე ყუბანში სარეცხს ათეთრებდა. შუადღისას სიცხით შეწუხებული ქალი მოკამკამე მდინარეში შეცურდა. ყუბანის მეორე ნაპირას კი ნართების ომბრიან მწყემსს ზარტიყ ეძინა. სათანამ მწყემსი შორიდან შეიცნო და გასძახა: ეს შენა ხარ ზარტიყ? გამოიხედე აქეთკენ! მწყემსმა გაიღვიძა და მდინარეში მოლივლივე არსება რომ დაინახა, შეშფოთდა:—ჩვენო დედფალო, სათანაო გუაშა, განა შენ მეძახოდი?!—დიახ, მე გეძახი. გადმოცურე მდინარე და მაშინ გეტყვი, რაც მინდა. მწყემსი სწრაფად შეიჭრა აზვირთებულ ყუბანში, მაგრამ ამაოდ. სამჯერ სცადა ზარტიყმა ლანჭერის გადალახვა, სამივეჯერ იძულებული გახდა უკან გამობრუნებულიყო. მაშინ სათანაის სთხოვა წყლიდან ამოსულიყო და სჩვენებოდა. ქალმა სურვილი შეუსრულა. გუაშა ლოდს ამოუდგა გვერდით და ისე ეჩვენა წაწოლად სასურველ ვაჟკაცს. მწყემსი დიდხანს უცქეროდა მზეთუნახავს. ბოლოს ესღა მიაძახა:—სათანაო, დიდქვასთან დადექი, შვილდისარს ეტყორცნი! გუშამ დამალვა მოას-

წრო, ისარი ლოდს მოხვდა და ზედ ადამიანის სახე გამოიკვეთა. ქალი მიხვდა, აქ რაღაც სასწაულებრივი გამოინასკვა და ქვას განსაკუთრებული მზრუნველობით მიეპყრა.—იმ ადამიანური სახის გამოყვანაში მხოლოდ მჭედელი აინარი გაშველის,—დაუძახა მწყემსმა ახლა შორიდან. მართლაც, აინარ მჭედელმა სამი დღე იმუშავა სამჭედლოში და როგორც იყო ქვას ადამიანური სახე მისცა. მერე გუაშამ თმიდან შეახვია და ცხრა თვის თავზე სასრიყვაც დაიბადა იმავე ქვიდან. აი როგორ გაჩნდა აფხაზური ვერსიის მიხედვით ნართთა უპირველესი (აფხაზური ზღაპრები, რუს. გამოც., 1959.; ასი ძმის თავგადასავალში ეს ლეგენდაა წარმოდგენილი).

2. იგივე ეპიზოდი უფრო შეუფერავი სახით მოცემულია ყაბარდოელთა ფოლკლორში. იქ ნათქვამია: სათანაი გუაშა მდინარის ნაპირას თეთრეულს რეცხდა. მეორე მხარეზე ნართების მეძროხე სოსი აძოვებდა ჯოგს. მწყემსმა დაინახა თუ არა მრეცხავი ქალი, მუხლებს შორის გასჭერიტა. ასე შეუყვარდა სოსს ღვთაება მეზითხუსავით თეთრი ქალი—მშვენიერი სათანაი. ვერ შეძლო მწყემსმა თავის შეკავება და მამაკაცის ძალის წვეთები დასცვივდა. სოსმა გასძახა:—შენსკენ მოდის სათანაი! ქალმაც უპასუხა:—დეე წამოვიდეს! სათანაის გვერდით ქვა იდო და წვეთი ზედ დაეცა. ქალმა ქვა თბილად შეახვია, სახლში წაიღო და ღუმელში მოათავსა. ცხრა თვის, ცხრა დღის და ცხრა საათის განმავლობაში ქვა თბილ ღუმელში იდო და თანდათან იზრდებოდა. ბოლოს ლოდს დაემსგავსა. მჭედელმა ტლეპშმა ძლივს გატეხა ლოდი და იქიდან საშინელი სიმხურვალის ბავშვი გამოაგორა (ყაბარდოული ფოლკლორი, რუს., 1936). ასე მოვლინა ქვეყანას სოსრუყო ყაბარდოელთა, ადიღეველთა ზეპირგადმოცემის მიხედვით. მისი სახელიც მწყემს სოსის შვილს აღნიშნავს[13].

3. ანაირივე ეპიზოდი ცნობილია ოსეთში, მაგრამ სხვა რედაქციით. აქ სოსლანი არც მწყემსის შვილია და არც ღვთაებრივად ლამაზი ქალისა. ურიზმაგმა უარყო ამ უკანასკნელის სამიჯნურო წინადადება. წყვილის ნიადაგზე ურიზმაგი ძილში გამოქვაბულის კლდეს მიეალერსა და სოსლანიც ქვის წიაღში ჩასახა[14].

ახლა სასრიყვა—სოსრუყო—სოსლანის დაბადების ეპიზოდი შემადგენელ ელემენტებად დავშალოთ. მასში თავს იჩენს შემდეგი მოტივები: 1. მზეთუნახავის მდინარის პირას ყოფნა, 2. შუადღისას მდინარეში ქალის საბანაოდ ჩასვლა, 3. მდინარის მეორე ნაპირზე ნართი მწყემსის გამოჩენა, 4. ქალ-ვაჟის ერთმანეთისაკენ სწრაფვა, 5. ადიღებული მდინარის გადაულახველობა, 6. ქალ-ვაჟის შეერთების ჩაშლა, 7. სიმბოლური კავშირის საფუძველზე მომავალი გმირის გამოსახულების ქვაზე აღბეჭდვა, 8. მჭედლის მონაწილეობით ცეცხლივით მხურვალე ვაჟის ქვიდან გამოყვანა და 9. წრთობა.

დეტალები იმ მიზნით გამოვყავით, რომ ხელშესახებად წარმოვიდგინოთ ეპიკური გმირის გაჩენის გზები. თანაც შედარებითი მასალების მოშველიების შემთხვევაში ადვილად დავინახოთ ანალოგია, რაზედაც მკითხველის ყურადღება საგანგებოდ გვნდა შევაჩეროთ. ეპიკური გმირის ქვიდან დაბადების მოტივის წარმოშობა ალბა ჩვენ კოლხი ამორძალების სახელს დავუკავშირეთ. ეს ახრი დღესაც დამაჯერებლად გვეჩვენება და დაწერილებით უნდა განვიხილოთ.

---

[13] ეს ეპიზოდი განსხვავებული რედაქციითაა შესული ყაბარდოელთა ნართების ახალ გადმოცემაში. Нарты. Кабардинский эпос, 1941.

[14] ნართები, ჭართ. გამომცემა, 1947, გვ. 248. Нарты. Эпос осетинского народа. გვ. 158.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა გვაქვს მხედველობაში, როცა ასე ვლაპარაკობთ? მხედველობაში გვაქვს ძველი ბერძენი მწერლის ფსევდო-კალისთენეს ცნობა კოლხეთის ამორძალების შესახებ. ამორძალები ალექსანდრე მაკედონელს სწერდნენ, რომ ისინი განსაკუთრებულ პირობებში ცხოვრობენ. ჰყავთ 270 000 შეიარაღებული ქალიშვილი და მათ შორის არც ერთი მამაკაცი არ იმყოფება. ყოველწლიურად მართავენ ცხენზვარაკის დღესასწაულს 30 დღის ხანგრძლივობით. ქალები მოსახლეობენ მდინარის ერთ მხარეზე, გადადმით კი მამაკაცები არიან. დღესასწაულის დროს, ვისაც მამაკაცთან შეუღლება სურს, რამდენიმე დღე მათთან რჩება; ყველა ბავშვს კაცები კვებავენ და გოგონებს, შვიდი წლის ასაკში, გადმოსცემენ ამათ, ამორძალებს[15].

ჩანს, ამორძალები განაყოფიერებას მხოლოდ გარკვეულ დროს მისდევდნენ და ისიც მდინარის ნაპირას. ჩვენ დასაშვებად მიგვაჩნია, რომ ნართულ ეპოსში აისახა ამორძალების გამრავლების სწორედ ის წესი, რომელიც ზემოთ ვნახეთ. არსებობს თუ არა ბერძნულ ლიტერატურულ და ნართულ ეპიკურ ცნობებს შორის შეხვედრანი? დიახ, არსებობს. აი ისინიც: ა) სათანაო გუაშა მდინარის ერთ მხარეზეა, ნართების მწყემსი კი მეორეზე; ბ) ქალი ცდილობს ტრფიალების გრძნობა აღძრას შორს მყოფ მამაკაცში და გადმოიბიროს; გ) ოღტყინებული მწყემსი მდინარეში შეცურდება მეორე მხარეზე გადასვლის მიზნით, დ) ქვაში ჩასახვა სიმბოლურ შეერთებას მოასწავებს; მისი სახით შეიძლება დაფარული ჰეტერული სიყვარულიც ვიგულისხმოთ, რაც ამორძალებს ტრადიციის ძალით ეკრძალებოდათ. სოსრიყოს დაბადებაში, მწყემსების გარდა, ზოგჯერ უსტატრჯიც მონაწილეობს. ვს. მილერის 1880 წელს ჩაწერილ ტექსტში ნათქვამია: ერთხელ სათანამ თავისი საცვალი გარეცხა და ქვაზე გაფინა გასაშრობად. ამ დროს უასტატრჯი მივიდა და ქვაზე გაფენილ საცვალზე დადგა. ამით ქვის გულში სულიც ჩავიდა. სათანამ ეს გაიგო და ქვას საგანგებოდ დაუწყო მოვლა. შესრულდა დრო, ქალმა ქვა გააპო და იქიდან ყინულივით ცივი სოსრიყო დაიბადა. (Осет. этюды, I, გვ. 30 — 31). უასტატრჯი სათანას გაჩენაშიც მონაწილეობს. როცა სასანასთან სიცოცხლეში ვერაფერს გახდა, სიკვდილის შემდეგ ნიუხდა სასაფლაოზე. სიკვდილის წინ სასანამ შვილები ურჩიზმაგი, სოსრიყო და ხამიცი გაფრთხილა—სამი დღე მიყარაულეთო. შვილებმა თხოვნა შეუსრულეს, მაგრამ ხამიცი ვერ მისდგა უასტატრჯის ეშმაკობას, სახლში ადრე დაბრუნდა და ამით საშუალება მისცა ციურ არსებას დანაშადი აესრულებინა: ჯერ თვითონ დაწვა სასანასთან, მერე თვისი ულაყი და ნაგაზი მიუშვა. მალე მიცვალებულებად დაიბადნენ შესანიშნავი დისახლისი სათანა, სასწაულებრივი ბედაური დურდური და ერთგული ძაღლი (იქვე, გვ. 49). სოსრიყო—სოსანის ქვიდან დაბადება სვანურ თქმულებაშიც ჩანს თავს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ქვაში ჩასახვას აქ წინ უსწრებს ბაღრის კბილის ქცევა ქალად, რომელიც შემდეგ ქვად მოევლინება (სვანური პროზაული ტექსტები, II, გვ. 169).

ჩვენი აზრით, ქალთა და მამაკაცთა ჯგუფების მდინარის საპირისპირო მხარეებზე ბინადრობა შესაძლებელია შორეულ მოგონებად აისახა ეპოსში და იმ ნაირი გაფორმება მიიღო, როგორც სოსრიყოს აქვს თქმულებაში. თვითონ ქვაში ჩასახვის მოტივმა გაფორმების რამდენიმე საფეხური განვლო. მართალია, არ ვიცით როგორი სახე ჰქონდა მას თავდაპირველად—ნართული ეპოსის წარ-

[15] В. Латышев, Известия древних писателей о Скифии и Кавказе. ВДИ, 1947, № 3, გვ. 248.

მოქმნის პირველ ეტაპზე, მაგრამ უკანასკნელი დროის ჩანაწერების ანალიზის საფუძველზე დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ორი საფეხური აქ მაინც აშკარაა. ერთია მოტივის შეუფერავ-ნატურალისტური გაფორმება, რაც ადიღურ ვერსიაში არის მოცემული, ხოლო მეორე—უფრო ხელოვნურად დამუშავებული და შელამაზებული, ეს კი აფხაზურ და ოსურ ვერსიებშია წარმოდგენილი. ვარაუდის სახით აქვე ერთი მოსაზრებაც შეიძლება გამოითქვას. წყალთან ჩასახვის მოტივს მხატვრული წარმოსახვის ანტიკურ საფეხურზე შეიძლება ისეთი გაფორმება ჰქონდა, როგორიც მას ერთ ძველ ქართულ ზღაპარში აქვს მე-17 საუკ. ჩანაწერის მიხედვით (ასაკოვანთა წყალში ჩასვლით განაყოფიერება)[18].

მაშასადამე, დროთა განმავლობაში მდინარის ნაპირას შემთხვევით თანამცხედრეთა მოტივი მნიშვნელოვნად დაცილდა საწყისს მდგომარეობას და თანდათან სიმბოლური იერი შეიძინა თვით უსულო საგანში—ქვაში ჩასახვამდეც კი. ქვაში ჩასახვა გმირის უკვდავებასა და ძლიერებასაც განასახიერებს.

ბ) მჭედელი ქვის გამომკვეთელი

სოსრიყოს დაბადებაში მჭედელიც მონაწილეობს. მის ხელოვნებაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. ჯერ, აფხაზური ვერსიით, აინარ-მჭედელი ქვას ადამიანის სახეს აძლევს, გამოკვეთს, ხოლო ადიღური გადმოცემით ტლეპშ-მჭედელი ლოდს გააპობს და ყრმას ამოიყვანს, მარწუხებით წყალში ჩაუშვებს და ჩრთობს.

მწყემსმა ზარტიქმა წინდაწინ იცის, რომ ქვიდან ბავშვის გამოყვანა მხოლოდ აინარ-მჭედელს შეუძლია. ანალოგიური სიტუაცია იგრძნობა ჩრდ.-კავკასიის სხვა ხალხებშიც. განსაკუთრებული ადგილი ეთმობა სოსრიყოს წრთობას, ხელის ყრმის წყალში ჩაყვინთვას, როგორც ამას ადგილი აქვს ოსურ, ყაბარდოულ და აფხაზურ თქმულებებში. თვითონ მჭედელიც არაჩვეულებრივი თვისებების მქონეა. მართალია, იგი სამჭედლოში მუშაობს, გამართული აქვს ქურა და გრდემლი, მაგრამ მასთან ძველი წარმოდგენებიც მტკიცედაა დაკავშირებული. აფხაზურ ტექსტში ნათქვამია: აინარ-მჭედელს „მარჯვენა ხელი ჩაქუჩის მაგვარობას უწევდა, ხოლო ფეხი-მუხლი გრდემლისასო“ (აფხაზ. ხდ., რუს., გვ. 48). არც ადიღეელთა ტლეპშ-მჭედელი, და ოსების ქურდალგანი, არის უბრალო ადამიანი. აინარ-მჭედლის სახეში უკუფენილია კოლხების მითოლოგიური წარმოდგენები, რომლის მიხედვით სამჭედლო ხელობის მომგონია სოლომონი, ამ უკანასკნელს კი არც ჩაქუჩი აქვს და არც გრდემლი. ორივეს მოვალეობას მისი ხელები და მუხლები ასრულებს. აქაც, მაშასადამე, გმირის დაბადება-აფხრდის გაუცხოებასთან გვაქვს საქმე. საყვირველ ჰაბუკს ბავშვობის დასაწყისიც უჩვეულო უნდა ჰქონდეს. მთქმელთა ფანტაზიას ნოყიერი საზრდო მისცა კოლხურმა წარმოდგენამ პირველი მეტალურგების საარაკო ხელოვნებაზე. მჭედელი აქ დემიურგის როლში გვევლინება, იგი ანიჭებს მომავალ გმირს გამძლეობასა და სიმტკიცეს, გამოკვეთს ქვისაგან და წრთობს (შდრ. ამირანის რკინის სათამაშო ცეგებში ჩაჭედვა).

გ) გმირისა და საგმირო ბედაურის ერთდროული დაბადება

სასრაყვას გაჩენას აფხაზურ ვერსიაში თან ახლავს საგმირო ცხენის ერთდროული დაბადება. როცა აინარ-მჭედელმა ქვას ადამიანის გამოხატულება

[18] მრავალთავი, I, 1964, გვ. 93, 160.

მიანიჭა, სათანაო გუაშას უთხრა: ამ ჭაბუკის დაბადების დროს მეზობლის ფაშატი კვიცს მოიგებს, მისგან უჩვეულო ძალის და სილამაზის რაში გამოვა. ის კვიცი შენი შვილისთვის უნდა შეიძინო, მხოლოდ ის შეძლებს ქვიდან დაბადებული ჭაბუკის ტარებას. მართლაც, სასრიყვას დაბადებისას „იმავე ღამეს მეზობლის ცხენს კვიცი გაუჩნდა“, რომელსაც ბზოო შეარქვეს და სასრიყვას მეგობარ ბედაურად გაიზარდა (აფხაზ. ზღ., რუს., გვ. 49-50).

გმირისა და საგმირო ბედაურის ერთდროული დაბადება, ტყუპის მაგვარი გაჩენა, ეპოსის ჩვეულებრივი მოტივია და სპეციფიკური არაა ნართებისათვის[17]. საილუსტრაციოდ მოვიგონოთ „მზექალა და მზევარდა“, სადაც ერთდროულად შობენ დედოფალი და მისი ცხენი (ქართ. ხალხ. ზღ., II. გვ. 50).

დ) ნართის ქალის გაცოცხლება

სოსრიყოს დაქორწინება სხვადასხვანაირადაა წარმოდგენილი. ასე, აფხაზურ ვერსიაში, იგი ტიპიური ზღაპრული მზეთუნახავის მოტაცების ფორმას ატარებს. ხოლო ყაბარდოელთა გადმოცემაში მცირე თქმულების სახე აქვს. ამ შემთხვევაში ქორწინება კი არ გვაინტერესებს, არამედ გაცოცხლება, რომელსაც ამირანის სახელთან დაკავშირებული მოტივის შებრუნებული გამოხატულება აქვს. ყაბარდოული გადმოცემით სოსრიყოს ნართების ქალიშვილი ჟანი მოეწონა. ისინი დასიტყვდნენ. სამი დღის შემდეგ თამაშიდან დაბრუნებულმა გმირმა გაიგო, ჟანი მოულოდნელად გარდაცვლილიყო და დაეკრძალათ კიდევაც. სოსრიყომ მონახა საფლავი, ამოთხარა მიცვალებული და მწუხარედ დაიტირა. „ამ დროს სოროდან ორი გველი გამოძვრა და თამაში-ჩხუბი გამართეს. ერთმა მეორე მოკლა. ცოცხლად გადარჩენილი სადღაც გაქრა, მალე ისევ დაბრუნდა და ერთი მწვანე ფოთოლი მოიტანა. ფოთოლი მკვდარ გველს მიუსვ-მოუსვა და გააცოცხლა. მერე ორთავენი საჭმაროდ გადაიკარგნენ. სოსრიყომაც აიღო ფოთოლი, მიუსვ-მოუსვა ჟანს და ისიც მალე გაცოცხლდა“ (ყაბ. ფოლკლ., გვ. 15). ანალოგიური მოტივი—გველის მაგალითზე მეგობრის გაცოცხლებისა, ცნობილია ბერძნულ მითოლოგიაში. სწორედ ასე მოიქცა პოლიადი, როცა თავის მეგობარს სიცოცხლე დაუბრუნა. გაცოცხლების მოტივი შესულია ამირანის თქმულებაშიც, მაგრამ შეიხება არა ყამარს, სასძლოს, ჟანას მაგვარად, არამედ თვითონ სასიძოს, ტიტანური ძალის ამირანს, თავგის მაგალითზე სიცოცხლეს ყამარი რომ დაუბრუნებს (მიჯაჭვული ამირანი, 1947, გვ. 148). ამ შემთხვევაში ნართულ ეპოსში თავს იჩენს მითოლოგიური წარმოდგენა, რომლის სიუჟეტური ფუნქცია თუმცა დიდია, მაგრამ მაინც გადანაშთის სახეს ატარებს.

ე) მამის სისხლის ძებნა

ეს მოტივიც ფართოდაა გავრცელებული საგმირო ნაწარმოებებში. დედის ან მამის უსამართლოდ დაჩაგვრის გამო მტერი სამაგიეროს ზღავს არა თვითონ ტყვედქმნილი დედის ან მოკლული მამის, არამედ შვილის წინაშე, რომელმაც ბავშვობის პერიოდში არაფერი იცოდა მშობელთა ბედის შესახებ. შურისძიება უფრო ხშირად მამის სისხლის გამო ხდება. სისხლის ძიება საერთოა ზღაპრულ და საგმირო ეპოსთა შორის. ვიჩვენოთ იგი საგმირო ეპოსის მიხედვით.

---

[17] В. Жирмунский, Народный героический эпос, 1962, გვ. 23—24,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელოვანი ნართი აშა საშინელი ჯუჯა თლებიცის მსხვერპლი გახდა. საბედისწერო შემთხვევის შემდეგ აშას მეუღლეს ვაჟი გაუჩნდა და აშამეზი დაარქვეს. შვილმა არ იცოდა, თუ მისი მამა მოკლული იყო ანდა ვინ მოკლა. დედა საიდუმლოს მტკიცედ იცავდა. დაფარული ამბავი შემთხვევით გაიხსნა ბავშვების მეოხებით. აშამეზს, კოჭებით თამაშის დროს, ვიღაც ნართის შვილი შემოელახა, მაშინ ყმაწვილმა ნიშნისგებით უთხრა: მე სიკვდილს მიპირებ, მაგრამ იმას რად არ აზღვევინებ სისხლს, ვინც მამაშენი მოკლა?! საყვედური შემდეგს ნიშნავდა: თუ ასეთი ღონიერი და მამაცი ხარ, მე, შენსავით ნართის შვილს კი ნუ მიბრიყვებ და მკლავ, არამედ შენი ძალა მამის სისხლის ძებნას მოახმარე. მონახე მოსისხლე და ღირსეულად გაუსწორდით. გმირი სწრაფად ერკვევა ვითარებაში; მინიშნება საკმარისია, რომ ჩხუბს თავი მიანებოს და შინ დაბრუნდეს, რათა დედისაგან გაიგოს ის, რაც აქამდე მხოლოდ მისთვის ყოფილა დაფარული. გარეშენი უარს აცხადებენ საიდუმლოს გამხელაზე, მაშასადამე, ერთადერთი გზა დედის გამოტეხვაა. მაგრამ რა ხერხით? და აქ, ეპიკური გმირები, მათ შორის აშამეზიც, ტრადიციულ წესს მიმართავენ. აშამეზი დედის გამოტეხვას იძულებით აღწევს. ძალდატანება სხვადასხვანაირია. ამ შემთხვევაში ყაბარდოელთა აშამეზი და ქართველთა ამირანი ერთ გზას ირჩევენ.

აშამეზი დაბრუნდა თუ არა, მუცლის ტკივილი მოიმიზეზა და დედას დახმარება სთხოვა: ცხელი ცომი დამადეო. როცა დედამ ცომი მიუტანა შვილს და მუცელზე წამლად უნდა დაედო. ვაჟმა ხელები დაუჭირა და მუდარით მიმართა: ნანა, მითხარი ვინ მოკლა მამაჩემი! პირველ ხანებში დედა ფიცავს, არ ამხელს მკვლელის ვინაობას, შვილის დაღუპვის შიშით, მაგრამ შემდეგ ხელების დაწვით შეწუხებული, იძულებული ხდება უამბოს ჯუჯასგან მამის დაღუპვის ამბავი. აშამეზმა დედას უშელავათა. ახლა მამისეული საჭურველი და ცხენი მოითხოვა. ყველაფერი თავის ადგილზე აღმოჩნდა: იარაღი ჯადოსნურ სკივრშია, მამისეული ბედაური მიწისქვეშ. თავისი მხრივ სკივრის გახსნა (იგი ცეცხლის ალში ეხვევა) და ბედაურის გამოყვანა (მის შესასვლელს უზარმაზარი ლოდი ჰფარავს) დიდი სიძნელეების გადალახვას მოითხოვს. აშამეზი სძლევს დაბრკოლებებს და ამით იმასაც ამტკიცებს, რომ იგი შურისძიებისთვის მზად არის! გმირი მიზანს აღწევს, მამის სისხლი აღებულია. ასეთია სისხლის ძიების ეპიზოდი ნართული გადმოცემის კვალობაზე.

ანალოგიური ამბავი გვხვდება ამირანის თქმულებაშიც, სადაც შურისძიება მამის სახელს უკავშირდება, მაგრამ არა მოკვლის, არამედ ცალთვალობის მიზეზით. ყველაზე თვალსაჩინოდ ეს სვანურ ვერსიაშია ფიქსირებული. აქაც ვაჩვენოთ რამდენიმე თანხვდენილი მოტივი. ა) ამირანი და აშამეზი მამის ამბავს თამაშის დროს გაიგებენ მათ მიერ ძლეული ყმაწვილების საშუალებით („თუ ასე ღონიერი ხარ, მამის სისხლი აიღეო“), ბ). ამირანი და მისი ძმები, ასევე აშამეზი, საჩქაროდ შინ ბრუნდებიან, რათა დედას გამოჰკითხონ საქმის ვითარება; გ). მოწინააღმდეგის შიშის გამო დედა შვილებს არ უმხელს მამის სიკვდილის (თვალის დაკარგვის) ამბავს; დ) შვილები დედას ცხელ ნამცხვარს ან ცომს მოამზადებინებენ, მგზავრობის ან ავადმყოფობის მომიზეზებით, ე) ამირანი და მისი ძმები ცხელ ნამცხვრებს ქალს ძუძუებზე დაადებენ, აშამაზი კი ცხელ ცომს დედას ხელებით დააჭერინებს; ვ) სხეულის დაწვით შეწუხებული დედები შვილებს სიმართლეს უამბობენ, ზ) საიდუმლოების გახსნის შემდეგ ამირანი და აშამეზი მამისეულ აღჭურვილობასაც ეუფლებიან, თანაც მამის იარაღის მარჯვე გამოყენება ჭაბუკთა საბუმბერაზო ბრძოლისთვის მზადყოფნას ადასტურებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თ) როგორც ნართული, ისე ამირანის თქმულების მიხედვით მოწინააღმდეგის ბედი წინასწარაა გადაწყვეტილი; იგი რა ძალასაც არ უნდა იყოს, მაინც დამარცხდება ახალი თაობის გოლიათების მიერ.

კავკასიონის ჩრდილოეთ და სამხრეთ კალთებზე შექმნილი თქმულებებიდან ჩანს, რომ მათ შორის მამის სისხლის ძიების ეპიზოდი საერთოა. ამავე დროს ეპიზოდი მოკლებული არაა დამოუკიდებელ მხატვრულ გაფორმებას. ცხადია, აქ არ შეგვიძლია გამოვედეგნოთ თვითონ ეპიზოდის წარმოშობის კვლევას. საორიენტაციოდ ვიტყვით, რომ მოტივის თუ ეპიზოდის ამგვარ საგმირო-ეპიკურ გაფორმებას, რაც კლასიკური სახით ამირანსა და ამამეზის სახელებთან არის დაკავშირებული, წინ უსწრებდა ზღაპრულ-ფანტასტიკური გაფორმება, იმ განსხვავებით, რომ ზღაპარში ადგილი არ ჰქონდა დეტალიზაციას და არ მოჩანდა თითოეული პერსონაჟის მხატვრული სახე. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს ის ზღაპრული ნაწარმოებები, სადაც შეკუმშულად წარმოდგენილია შურისძიების პროცნობის შესაძლებლობა. მამის სისხლს იძიებს აგრეთვე ნართი ბათრაზი, მოკლავს რა ფში მარიკოს (ყაბ., გვ. 54—55). ასევე მოიქცა ნართ შიბიძის ვაჟი, რომელმაც, რაჭული ვარიანტის მიხედვით, ბოლო მოუღო ცბიერ ჩერქეზთ ბატონს.

3. ნართული ეპოსის კვალი ქართულ ფოლკლორში

ნართული ეპოსის შესწავლა თანდათან ფართოვდება. ნართოლოგიის განვითარების დღევანდელი საფეხური მასალების შეკრებისა და პუბლიკაციის ფარგლებს მნიშვნელოვნად გასცდა. ეპოსის მატარებელი თითოეული ხალხი ცდილობს მაქსიმალურად აჩვენოს თავისი წვლილი საერთო ფონდში და ამით ხელი შეუწყოს, ერთი მხრივ, ნაციონალური მარავის გამომჟღავნებას, ხოლო, მეორე მხრივ, მოამზადოს ნიადაგი განმაზოგადებელი მონოგრაფიებისთვის. ამჟამად, მართალია, მოიპოვება რამდენიმე თვალსაჩინო ცდა ამგვარი მთლიანი მონოგრაფიის შექმნისა, მაგალითად, ჟ. დიუმეზილის[18], ვ. აბაევის[19], ე. მელეტინსკის[20], ი. ტრესკოვის[21] და სხვათა შრომების სახით[22]. მაგრამ, მიუხედავად თვალსაჩინო მიღწევებისა, მაინც უნდა ითქვას, რომ ჯერ არ შექმნილა ისეთი შემაჯამებელი ნაშრომი, რომელშიც მოცემული იყოს საგმირო-ნართული ეპოსის სისტემატური განხილვა: სიუჟეტური შედგენილობა და განფენილობა, მხატვრული სახეები და მათი ტრანსფორმაცია, თითოეული მატარებელი ხალხის წვლილი საერთო ფონდში, ნაციონალურ და ტომობრივ ვერსიათა ურთიერთმიმართება, ნართული ეპოსის ადგილი საერთაშორისო ეპიკურ შემოქმედებაში. განვითარების გზები და შესწავლის მდგომარეობა ისტორიულ და მითიურ ეპოსში და ა. შ. თითოეული ეს კითხვა მწვავედ ისმის, როგორც საერთოდ ამ შინაარსის ნაწარმოებთა მატარებელი ხალხების ფოლკლორის მიმართ, ისე მთლიან ასპექტში ნართული ეპოსის ერთობლიობის თვალსაზრისით.

---

[18] G. Dumézil, Leségendes sur les nartes. Paris, 1930.

[19] В. Абаев, Нартский эпос, 1945.

[20] Е. Мелетинский, Происхождение героического эпоса, 1963.

[21] И. Тресков, Фольклорные связи Северного Кавказа, 1963.

[22] Нартский эпосе, 1957. აგრეთვე: А. Алиева, Из истории собирания, публикации и изучения адыгских песен и сказании о Саусырыко (Сосрыко). Ученые записки, III, Майкоп, 1964. Е. И. Крупнов, Древняя история Северного Кавказа, 1960; А. Гадагатль, Адыгский народный эпос „Нарты“ (автореферат), 1964.

ნართოლოგიის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ზუსტად განსაზღვროს ნართული ციკლების გავრცელების ფარგლები; მოგვცეს სრული რუკა, რომელზედაც აღნიშნული იქნება, სად და რომელ ენებზე მოუთხრობენ ამგვარ გადმოცემებს, როგორია მასალების სიხშირე და ინტენსიურობა.

ნართული ეპოსის მატარებელ ხალხთა ძირითადი მასა ჩრდილოეთ კავკასიაზე მოდის. რა მდგომარეობა გვაქვს სამხრეთში? ამ საკითხის გამორკვევისას უპირველესი ყურადღება უნდა მივაქციოთ საქართველოსა და მის ტერიტორიაზე მოსახლე ეროვნებათა წარმომადგენლებს. საქართველოს სსრ რესპუბლიკაში ნართული თქმულებები ფიქსირებულია ოსურ, აფხაზურ და ქართველურ ენებზე. ყველაზე ადრინდელი ჩანაწერები და მასალის ინტენსიურობა ოსურ ენაზეა დადასტურებული, შემდეგ აფხაზურზე, ხოლო დაბოლოს ქართულ ენაზე. ნართული ეპოსი ოსური და აფხაზური ფოლკლორის ორგანულ ნაწილს შეადგენს, ე. ი. ეროვნული სიტყვიერების ძირითად შედგენილობაში შედის, და ამდენად, თითოეულის დამახასიათებელ ჟანრს წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ფარგლებში ოსური მოსახლეობა კომპაქტურია, მაინც ისტორიული თვალსაზრისით, მის ფოლკლორს, ტრადიციასა და ენას, უფრო მჭიდრო დამოკიდებულება აქვს ჩრდ. კავკასიის ოსებთან. ვიდრე მის მეზობელ ქართულ მოსახლეობასთან. ამდენად სამხრეთ ოსეთში ოსურ და ქართულ ენებზე ფიქსირებულ ნართულ თქმულებებს ჩვენ განვიხილავთ როგორც ოსურ მოვლენას.

ანალოგიური ვითარებაა აფხაზური ნართული ეპოსის მიმართაც.

ქართველურ ენათა ჯგუფში ნართული ეპოსის კვალი დღემდე მხოლოდ ორ ენაზეა დადასტურებული, ესაა ქართული და სვანური; მდგომარეობა გაურკვეველია მეგრული და ჭანური ფოლკლორის მიმართ. წინასწარ შეგვიძლია ვთქვათ, არც მეგრული და არც ჭანური ამ მხრივ გამონაკლისს არ უნდა წარმოადგენდეს, რადგან, თუ დღესდღეობით ცოცხალ სინამდვილეში სათანადო ფაქტების დადასტურება არ შეგვიძლია, ეს მაინც იმას როდი ნიშნავს, რომ წარსულში მეგრულ-ჭანური ფოლკლორი ნართულ სიუჟეტებს არ იცნობდა. ამგვარად ვარაუდის დაშვების უფლებას გვაძლევს, ჯერ ერთი, მეგრულ ფოლკლორში არსებული მხატვრულ სახეთა სახელწოდებანი (მაგ., სანართია), ხოლო მეორე მხრივ, მეგრულ-ჭანური მოსახლეობის უშუალო მეზობლობა ნართული ეპოსის ერთ-ერთ შემოქმედ ხალხთან აფხაზების სახით[23].

ქართულ ენაზე ნართული ეპოსის რამდენიმე სიუჟეტია ფიქსირებული. სათანადო ტექსტები მოპოვებულია პროფ. შ. ძიძიგურის მიერ რაჭის ფარგლებში.

როგორია ქართულ ენაზე ჩაწერილი ვარიანტები სიუჟეტური თვალსაზრისით? ამ კითხვაზე პასუხის გაცემისათვის საჭიროა გადმოვცეთ თითოეული ჩანაწერის მოკლე შინაარსი.

1. ბათრიბეგის დაქორწინება, ასე შეიძლება ეწოდოს იმ სიუჟეტს, რომელიც ჩაწერილია პროფ. შ. ძიძიგურის მიერ 1937 წელს ზემო რაჭაში და გამოქვეყნებულია მისსავე დიალექტოლოგიურ ქრესტომათიაში (1956)[24]. ბათრიბეგი მეოცე უმცროსი ძმაა. მის დედას ყველა შვილი ერთი მშობიარობის დროს შეეძინა; მრავალშვილიანობით შეშინებული საწყალი მამა იმ დამესვე

[23] ვ. ჩიქოვანი, მიჯაჭვული ამირანი, 1947, გვ. 218.

[24] შ. ძიძიგური, ქართული დიალექტების ქრესტომათია ლექსიკონითურთ, 1956; №№ 163, 171, 172.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადაიკარგა. შემდეგში დავაჟკაცებულმა ძმებმა მამა მოძებნეს, შვილობა გაუმხილეს და მათ მიერ გაწყობილ სასახლეში მიიყვანეს. ოცივე ძმა—ოც დას ეძებს სასძლოდ. ძნელი, მაგრამ შეუძლებელი არ შეიქნა ამდენი დის ერთად მონახვა. ბათრიბეგის მოხერხებით ძმებმა ოცი დის მამის—ხელმწიფის ყველა ძნელი დავალება შეასრულეს, ქორწილიც დაინიშნა. ოცი დის მოსაყვანად 19 ძმა წავიდა. ბათრიბეგმა თქვა: მე სახლს ვერ დავტოვებ. „ჩემი ქალი თქვენ წამოიყვანეთ, უმცროსი ჩემი საკუთვნელიაო“. მექორწილეებს გზაზე ხიფათი შეემთხვა, ყველა გველეშაპმა დაატყვევა. მათი გამოხსნა მხოლოდ ბათრიბეგის მისვლით შეიძლებოდა. მართლაც, უმცროსი ძმა უშიშრად მივა გველეშაპთან, გაათავისუფლებს ძმებს და ურჩხულთან დარჩება ამ უკანასკნელისთვის მზეთუნახავის მოპოვების მიზნით. მოხერხებული უმცროსი ნართი შეძლებს ციური ქალის მოტაცებას, მიუყვანს გველეშაპს, მაგრამ, ქალის თხოვნით, არა საშინელ ურჩხულს დაუტოვებს, არამედ თვითონ შეირთავს ცოლად.

ამ მოთხრობაში მოხსენიებული ბათრიბეგი იგივე ბათრაზია, რომელიც ხშირად გვხვდება თუ ოსურ, თუ ადიღურ თქმულებებში. ერთ ჯერზე ოცი ძმის მშობელი უსახელო დედა სათანაი გუაშას გვაგონებს, მაგრამ ამ პერსონაჟთა თავგადასავალი, სიუჟეტური თვალსაზრისით, ნაკლებ ემთხვევა ჩრდ. კავკასიურ თქმულებათა ცნობილ ვარიანტებს.

II. გენჯეს შვილი შავაი. ამ ჩანაწერის სქემატური შინაარსი ასეთია. ერთმა ავმა კაცმა დევის ქალი შეირთო ცოლად, სახელად გენჯე ერქვა. საშინელი ზნე სჭირდა გენჯეს: თავის ახლად ნაშობ შვილებს ყლაპავდა. მოხერხებულმა დედამთილმა შვილის მაგიერ ლეკვი მიუსვა დედას; ჩვილი ყრმა ფარულად გაიზარდა. შავაი დაარქვა ბებიამ ბიჭს, ვისაც ირემი აწოვებდა ძუძუს. ღონიერი გაიზარდა შავაი. დავაჟკაცებულს კაციჭამია დედამ ვერაფერი დააკლო და ასე გადარჩა დალუპვას. მამამ შავაის ქალი შერთო. ცოლ-ქმარი დიდხანს იბრძოდნენ ძალის გამოსაცდელად, მერე შერიგდნენ. ცოლმა სკივრში ცალი წუღა იპოვა და მეორე ცალის მოტანა სთხოვა ქმარს. შავაი თავის რაშს შეეკითხა: წავიდეთ თუ არაო. „ბიჭობა შენი, ცხენობა ჩემიო“. ვაჟმა იპოვა მეორე ცალი წუღის მფლობელი ქალი, შეებრძოლა და დაიმორჩილა, ბოლოს ცოლადაც შეირთო.

მოთხრობის უმთავრესი გმირი შავაი ყაბარდოელთა ნართ კიაჟოკო შაოის მოგვაგონებს, რომელმაც ცოლად სოსრუყოს და შეირთო. ასეთი სახე გვხვდება სვანეთშიც. მეტად თავისებური მოტივია დაკავშირებული გენჯესთან: იგი ადამიანებს ცოცხლად ჰყლაპავს, მათ შორის ახლად ნაშობ საკუთარ შვილებსაც. თქმულებაში მოხსენიებული უცოლო ალაგუანი ოსურ ზღაპრებში პოულობს პარალელს ალაგუაის სახით, შავაი კი იგივე სევა უნდა იყოს[25].

III. ჯუჯები, თემირბიი და შიბიჟი. ესენი ძმები იყვნენ. ორი უფროსი ძმა სანადიროდ წავიდა ჩერქეზთ ბატონის ხადოჯუხას მხარეზე. რაკი ვერ ინადირეს, ბატონის მოსაკლავად გაემართნენ. ხადოჯუხას ყვავმა ამბავი ძოუტანა: მტრები მოდიანო. ბატონმა ხალხი შეყარა, ძმები მოხერხებით ერთმანეთს დააცილა და დახოცა. მერმე მესამის მოსაკლავადაც წამოვიდა. შიბიჟიმ იცნო ბატონი, შეიარაღდა საბრძოლველად, მაგრამ ტკბილმა ენამ ისიც შეაცდინა. ჩერქეზთ ბატონმა შიბიჟი ფიცში გაიწვია. ერთგულება შეფიცეს ერთმანეთს. ხადოჯუხამ ფიცი გატეხა და შიბიჟი ვერაგულად მოკლა. მამისა

[25] ოსური ზღაპრები და ლეგენდები, ალ. ღლონტის რედაქციით, 1957, გვ. 23—27. შდრ. სვ. ალავგანი; სვანური პროზაული ტექსტები, I, გვ. 414; II, გვ. 34

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ბიძების სისხლი შიბიყის შვილმა იძია, უკანასკნელმა სისხლის ამბავი შემთხვევით გაიგო მეზობელ ბიჭებში თამაშის დროს, მერე ძიძაც გამოტეხა.

სტილის მიხედვით ეს თქმულება ისტორიულ გადმოცემას მოგვაგონებს.

რით ავხსნათ რაჭულ ფოლკლორში ნართული სიუჟეტებისა და ნართთა სახელების მოხვედრა? უნდა ვიფიქროთ, რომ ამის მიზეზი ფოლკლორული კონტაქტია.

დასასრულ, ისიც გავიცნოთ, თუ რას გვაწვდის სვანური ფოლკლორი ნართების შესახებ. პირველყოვლისა ისეთ ძველთაძველ თქმულებას მივმართოთ, როგორიცაა ამირანიანი. ჩვენ 1947 წელს აღვნიშნეთ, ამირანის ერთ ვარიანტში ოსური ნართული ეპოსის კვალი შეიმჩნევათქო (მიჯაჭვული ამირანი, გვ. 416). რაში გამოიხატება ეს სიუჟეტურად? ნაგულისხმევ, 1936 წელს ჩაწერილ ვარიანტში ამბრი არაბი ნართად არის გამოყვანილი. იგი სასაფლაოზე „ნართის ურმით“ მიჰყავთ, გადმოვარდნილი ფეხი ნართებმა ვერ გაასწორეს და მხოლოდ ამირანმა შეძლო მისი ურემზე დადება. ამირანმა „ორი ნართის ბავშვი“ მოკლა, იქვე დიდი ნართი მგზავრობს და ა. შ. (მიჯაჭვული ამირანი, გვ. 374). ჩანს, მთქმელი კარგად იცნობს ნართულ თქმულებებს და ადგილობრივ ორიგინალურ ნაწარმოებებში შენაცვლების წესით შემოაქვს მისთვის ცნობილი სახეები. ამის კიდევ ერთ მაგალითს წარმოადგენს ზემოსვანური ზღაპარი „სოსლანი“. აქაც ეს უკანასკნელი სათანაის შვილია და მასთან ერთად მოქმედებენ ვირსპილდი, ბადრი და სეფეთარი[26].

სვანურ ენაზე ფიქსირებულია საკუთრივ ნართული სიუჟეტებიც.

1. ს ო ს ლ ა ნ ი ს თ ა ვ გ ა დ ა ს ა ვ ა ლ ი. ბადათვირს ვაშლის ხე ედგა, რომლის ოქროს ნაყოფს შეუმჩნევლად ვიღაც იპარავდა. სათანას შვილებმა იკისრეს ქურდის გამომჟღავნება. უმცროსმა ძმამ გაიგო, რომ ვაშლს სამი მზეთუნახავი იტაცებდა. დასჭრა ისინი ისრით, მერე ბატონ ჩირხაილის სასახლეს რომ მიაღწია, თვითონვე განკურნა. შუათანა საცოლედ აირჩია. ამავე დროს შუათანა ჯგრაგს—წმ. გიორგის მოსწონდა. ძმები გამობრუნდნენ. გზაზე უფროსმა ძმამ უმცროსი მოკლა და მის ცოლს თვითონ მიუწვა. ახლა საშუალო მოიქცა ასე, მოკლა უფროსი ძმა, მაგრამ მერე თავიც მოიკლა. დარჩა უპატრონოდ ქალი. ახლა ჯგრაგი მოვიდა, შეშინებული ქალი წყლის ქაფად იქცა. წისქვილის ღარში გაიჭედა. მეწისქვილემ ამოიყვანა და შეიფარა. ქალი დაორსულდა, სამი ვაჟი შობა: სეფეთარი, ვირსპილდი და ბადრი. ბავშვების ბებიას—მეწისქვილის ცოლს სათანა ჰქვია. ბიჭები დავაჟკაცდნენ, დაიწყეს ნადირობა. ბადრი თუ კბილს ქვას დაარტყამდა—ქვა შვილს ბადებდა. სოფელში ფუტკრის პატრონი ქუნთუზი ცხოვრობდა, ძმები შეეჩვივნენ და თაფლს უჭამდნენ. ქუნთუზმა სეფეთარი და ვირსპილდი მოკლა, ბადრმა კი გაასწრო. გაქცევისას ბადრმა ქვას კბილი დაჰკრა. ამოვარდა კბილი და ქალად იქცა. ქუნთუზმა მოუსწრო და ბადრს თავი მოჰკვეთა, მაშინ ქალი ჰქვავდა. ქვამ ზრდა დაიწყო. ერთხელ ქვას ქუნთუზის ხმალი შემოჰკრეს და სოსლანი გამოხტა. ბოლოს სოსლანმა ქუნთუზს თავი გააგდებინა. ბატონმა ერეჩხავმა სოსლანისა და მისი ბებიის ყმებად ქცევა მოინდომა. სოსლანი შეებრძოლა და დაამარცხა. სოსლანმა მრავალი გმირობა ჩაიდინა და თავის ბებიასთან ერთად ბედნიერად ცხოვრობდა (სვანური პროზაული ტექსტები, II, გვ. 166-172).

---

[26] სვანური პროზაული ტექსტები, II, შეკრიბეს ა. დ ა ვ ი თ ი ა ნ მ ა, ვ. თ ო ფ უ რ ი ა მ და მ. ქ ა ლ დ ა ნ მ ა. 1957, გვ. 166—69.

2. **ს ო ს რ უ ყ ვ ი ს ს ი კ ვ დ ი ლ ი.** პატარა სოსრუყვი მამამ სოლომთან მიიყვანა გამოსაწრთობად. იქ სოსრუყვი მთელი ტანით გახმა, გარდა მუხლებისა. ნართებს ომი გამოუცხადა და ლოდები დაუშინეს სოსრუყვს. ლოდს გმირმა პირველად თავი შეუშვირა, მეორედ—მხარი, მესამედ—გვერდი. ბოლოს მუხლების დახვედრა მოთხოვეს ნართებმა. მაჩინ თქვა: მიმიხვდნენ, მუხლები რომ არ მაქვს გამოწრთობილიო. უძლეველ გმირს ლოდმა მუხლები დაუმსხვრია და სისხლი წასკდა. მგელმა არ ისურვა სოსრუყვის სისხლის დალევა, ამიტომ გმირმა დალოცა და მისი ძალა მგელს კისერზე გადაეცა. ყორანმა სისხლი დალია და დაწყევლილ იქნა. მესამედ მწყერს შესთავაზა გმირმა საკუთარი სისხლი. მაგრამ მწყერმა უარი თქვა. სოსრუყვი მალე მოკვდა[27] (სვანური პროზაული ტექსტები, I, გვ. 394—95).

3. **შ ვ ი ლ ე ბ ი ს მ ყ ლ ა პ ა ვ ი ქ ა ლ ი.** ალავგანმა დევის ქალის ცოლად შერთვა მოინდომა. ქალს ცუდი ზნე აღმოაჩნდა, ახლად შობილ შვილებს ყლაპავდა. ერთმა მისანმა კაცმა ალავგანს ასწავლა, ცოლი სხვენზე დააწვინეო. მართლაც, მშობიარობისას ბავშვი ძირს ჩამოვარდა, მელოგინე ვეღარ დასწვდა და ასე გადაარჩინა მამამ შვილი. ერთი კვირის მალვის შემდეგ მამამ ბავშვს ჰკითხა: დედაშენს ხომ არ გეშინიაო? ჯერ მეშინია, ახალი მთვარის შემდეგ კი საშიში აღარაფერი იქნებაო. დადგა ძველი მთვარე. ბავშვი საფარიდან გამოვიდა. გაზრდილი იყო და დედამ ვერაფერი დააკლო[28].

ამგვარად, ქართული ფოლკლორი იცნობს ნართულ თქმულებებსა და სიუჟეტებს. ძნელია ზუსტად იმის განსაზღვრა, თუ როდის მოხდა სიუჟეტების ამგვარი ურთიერთშეჯრა; უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს ახალი მოვლენა არაა და შორეული წარსული აქვს.

---

[27] სვანური პროზაული ტექსტები, I, შეკრებილი ა. შ ა ნ ი ძ ი ს და გ. თ ო ფ უ რ ი ა ს მიერ, 1939, გვ. 394—5.

[28] იქვე, გვ. 414.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის საკითხისათვის ქართველურ ენებში[1]

ა. ონიანი

(წარმოადგინა აკად. ა. შანიძემ)

ინკლუზივ-ექსკლუზივი ქართველურ ენათაგან მხოლოდ სვანურში არის ამჟამად მოქმედი გრამატიკული კატეგორია. თვით სვანურის დიალექტებს შორისაც შეინიშნება არსებითი სხვაობა: ზემოსვანურში (ბალსზემოურსა და ბალსქვემოურში) ინკლუზივ-ექსკლუზივი გარჩეულია როგორც ზმნის სუბიექტური პირის ფორმებში, ისე ობიექტურ პირისაში, ხოლო ქვემოსვანურში (ლენტეხურსა და ლაშხურში) ეს კატეგორია მხოლოდ სუბიექტური პირის ფორმებში დასტურდება. მაშასადამე, სუბიექტური პირის ფორმებში ინკლუზივ-ექსკლუზივი მკვეთრად არის გარჩეული მთელს თანამედროვე სვანურში. ამ მხრივ დიალექტებს შორის სხვაობა არ შეინიშნება.

სუბიექტის ინკლუზივის ნიშნად დასტურდება ერთი და იმავე მორფემის ლ- და ლგ- ალომორფები, ექსკლუზივის ნიშნად კი ხუ-,-უ- და 0; მაგ.,

მხ. რ.	ხუ-ათური	„ვასწავლი“
	დ-უ-იგე, ლშხ. დგგე	„ვაქრობ“
ინკლ.	ლ-ათური-დ	„ვასწავლით (მე და შენ, თქვენ)“
	ლგ-დგე-დ	„ვაქრობთ (მე და შენ, თქვენ)“
ექსკლ.	ხუ-ათური-დ	„ვასწავლით (მე და ის, ისინი)“
	დ-უ-იგე-დ, ლშხ. დგგე-დ	„ვაქრობთ (მე და ის, ისინი)“

ინკლუზივის ლ- და ლგ- ალომორფთა განაწილება ფონოლოგიურად არის შეპირობებული. ლ- ალომორფი დასტურდება ხმოვნების წინ, ხოლო ლგ- თანხმოვანთა წინ, ე. ი. ლ- არასდროს არ გვხვდება იმ პოზიციაში, სადაც ლგ- და პირიქით. ამდენად ისინი ერთმანეთთან დამატებითი დისტრიბუციის დამოკიდებულებაში იმყოფებიან. ექსკლუზივის მორფემის ალომორფთა შესახებაც არსებითად იგივე ითქმის: ხუ- არ გვხვდება იმ პოზიციაში, სადაც -უ- ან 0 და პირიქით. მაშასადამე, ეს ალომორფებიც ერთმანეთთან დამატებითი დისტრიბუციის დამოკიდებულებაში იმყოფებიან.

ე. ი. სუბიექტის ინკლუზივის {ლ-}={ლ-~ლგ-}; ხოლო სუბიექტის ექსკლუზივის {ხუ-}= {ხუ-~-უ-~0}.

ზემოსვანურ დიალექტებში (ბალსზემოურსა და ბალსქვემოურში) ობიექტური პირის ინკლუზივი აღინიშნება ერთი და იმავე მორფემის ფონოლოგი-

---

[1] წაკითხულია მოხსენებად სანათმეცნიერო საუბრებზე (ენათმეცნიერების ინსტიტუტში) 1962 წ. 26 ივნისს. იბეჭდება შემოკლებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ურად შეპირობებული **გუ-** და **გუ-** ალომორფებით, ხოლო ექსკლუზივი ასევე ფონოლოგიურად შეპირობებული ალომორფებით (ნ-~ნგ-). ინკლუზივის **გუ-** დადასტურებულია ხმოვანთა წინ, ხოლო გუ-—თანხმოვანთა წინ. ასევე, ექსკლუზივის **ნ-** —ხმოვანთა წინ, ხოლო **ნგ-** —თანხმოვანთა წინ; მაგ.,

მხ. რ.	**მ**-ათური	„მასწავლის“
	მგ-ტხე	„მაბარუნებს“
ინკლ.	**გუ**-ათური	„გვასწავლის (მე და შენ, თქვენ)“
	გუ-ტხე	„გვაბარუნებს (მე და შენ, თქვენ)„
ექსკლ.	**ნ**-ათური	„გვასწავლის (მე და მას, მათ)“
	ნგ-ტხე	„გვაბარუნებს (მე და მას, მათ)“[1]

როგორც ვხედავთ, ინკლუზივის (გუ- ~გუ-) ურთიერთგამომრიცხველი ალომორფებია და, მაშასადამე, ერთმანეთთან დამატებითი დისტრიბუციის დამოკიდებულებაში იმყოფებიან. იგივე ითქმის ექსკლუზივის (ნ- ~ნგ-)-ს შესახებაც, ე. ი. ობიექტის ინკლუზივის {გუ-}=(გუ- ~ გუ-), ხოლო ობიექტის ექსკლუზივის {ნ-}=(ნ- ~ნგ-).

ლენტეხურსა და ლაშხურში კი, თანამედროვე ქართულის მსგავსად, {გუ-} პრეფიქსიანი ფორმები იხმარება ზოგადი ფუნქციით, {ნ-} მორფემა არ არის დადასტურებული. ამდენად ამ დიალექტთა ობიექტურ პირში ინკლუზივ-ექსკლუზივი არ არის გარჩეული.

ასეთია ვითარება თანამედროვე სვანურში. ამ კატეგორიის (ინკლუზივ-ექსკლუზივის) ისტორიის გარკვევისათვის საჭიროა პასუხი იქნეს გაცემული ორ ერთმანეთთან ორგანულად დაკავშირებულ კითხვაზე:

1. რისი შედეგია სვანურის დიალექტებში არსებული სხვაობა ინკლუზივ-ექსკლუზივის საკითხში: ამ კატეგორიის მოშლის პროცესისა თუ ჩამოყალიბებისა? სხვანაირად რომ ვთქვათ, ამ კატეგორიის გარჩევა ობიექტური პირის ფორმებში ზემოსვანურ დიალექტებში გაჩნდა, თუ ქვემოსვანურში მოიშალა?

2. ინკლუზივ-ექსკლუზივი საკუთრივ სვანური კატეგორიაა თუ საერთო ქართველური? სხვაგვარად—სვანურში გაჩნდა ის, თუ ქართულსა და მეგრულ ჭანურში დაიკარგა?

(ა. შანიძემ ჯერ კიდევ ადრე წამოაყენა ვარაუდი, რომლის მიხედვითაც ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორია საერთო-ქართველურია, მისი კვალი შემოსახულია ძველ ქართულში. ამასთანავე ზემოსვანურის ვითარება ამოსავალია ქვემოსვანურისათვის[2]. ეს ვარაუდი შემდეგ გაიზიარეს ვ. თოფურიამ, გ. დეეტერსმა და კ. დონდუამ[3].

უფრო ვვიან ამის საწინააღმდეგო აზრი გამოთქვა ა. ჩიქობავამ: ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორია სვანურში მეორეულია, „...ქვემოსვანურში (ლაშხურ-

---

[1] ა. შანიძე, ქართული ზმნის სახეცვლა, ფრანგ. რეზუმე, თსუ მოამბე, ტ. VI, 1926 წ., გვ. 335, შნშ. 1; ა. შანიძე, ორგვარი ფორმა მრავლობითი რიცხვის პირველი პირისა სვანურში, წვლილწდეული, 1923—1924 წწ., გვ. 373—374; ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1, 1953, გვ. 185.

[2] გ. თოფურია, სვანური ენა, 1, ზმნა, 1931, გვ. 25—26; G. Deeters, Das kharthwelische Verbum, 1930 წ., გვ 27; К. Дондуа, Категория инклюзива-эксклюзива в сванском и ее следы в древнегрузинском, კრებ. Памяти акад. Н. Я. Марра, 1938, გვ. 144—151.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლენტეხურში) უფრო ძველი მდგომარეობაა დაცული, ვინემ ზემოსვანურში“[4]. ინკლუზივ-ექსკლუზივი საკუთრივ სვანური კატეგორიაა, ქართულისა და მეგრულ-ჭანურისათვის კი ის ისტორიულადაც უცხო იყო[5].

თ. გამყრელიძის ვარაუდით, ინკლუზივ-ექსკლუზივის ფორმათა გარჩევა ნაცვალსახელებში საერთო-ქართველური მოვლენაა, ხოლო ზმნის სისტემაში ის მხოლოდ სვანურში გაჩნდა[6].

აზრთა ეს სხვადასხვაობა საკითხის კვლავ დასმის საჭიროებას იწვევს.

ჯერ პასუხი უნდა გავცეთ ზემოთ დასმულ პირველ კითხვაზე, ე. ი. ვცადოთ ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის შინაგანი რეკონსტრუქცია სვანურში, ხოლო შემდეგ რეკონსტრუირებული სვანური ფორმების სხვა ქართველურ ენათა მონაცემებთან შედარების გზით პასუხი გავცეთ მეორე კითხვაზე, ე. ი. ვცადოთ, აღვადგინოთ საერთო-ქართველური მოდელი.

ზემოსვანურ დიალექტებში, განსაკუთრებით უშგულურ კილოკავში, შემჩნეულია რყევის ცალკეული შემთხვევები {გუ-} და {ნ-} პრეფიქსთა ხმარებაში — ინკლუზივის {გუ-} იხმარება ზოგჯერ ექსკლუზივის {ნ-}-ს ნაცვლად. გამოდგება თუ არა ეს ფაქტი ქვემოსვანურ დიალექტთა ჩვენების პირველადობის (ზემოსვანურთან შედარებით) მტკიცების სასარგებლოდ?

ჩვენ ამჟამად არ მოგვეპოვება არავითარი საბუთი იმის სასარგებლოდ, რომ ნორმის დარღვევის ეს თითო-ოროლა შემთხვევა ძველი ვითარების ნაშთად მივიჩნიოთ, ისევე როგორც არ მოგვეპოვება არავითარი არგუმენტი ამ ფაქტის საპირისპირო ახსნის საწინააღმდეგოდ. იქნებ, მართლა, ეს გარემოება ობიექტური პირის ფორმებში ინკლუზივ-ექსკლუზივის მოშლის პროცესის დასაბამს მოასწავებდეს ზემოსვანურში და არა მისი ჩამოყალიბების პროცესის დასასრულს. ეს ვარაუდი, პირველ ვარაუდთან შედარებით, უფრო სარწმუნო ჩანს განსაკუთრებით იმიტომ, რომ რყევის ყველაზე მეტი შემთხვევა დასტურდება უშგულურში, სწორედ იმ კილოკავში, რომელიც ტერიტორიულად ყველაზე ახლოს დგას ქვემოსვანურთან და რომელსაც „ლაშხურის გავლენა ეტყობა“[7]. ეს კი ქვემოსვანურის (კერძოდ ლაშხურის) გავლენას გვავარაუდებინებს ამ მხრივაც[8].

ვერც სვანური პოეზიის ენის ჩვენება გამოდგება ინკლუზივ-ექსკლუზივის ისტორიის გასათვალისწინებლად, რადგანაც ამ კატეგორიის გამოხატვის პრინციპი აქ არსებითად იგივეა, რაც თანამედროვე სვანურში. ამდენად, საკითხის გადასაწყვეტად ის ახალს, თანამედროვე სვანურისაგან განსხვავებულს, არსებითად ვერაფერს გვეტყვის[9].

გარკვეულ საფეხურზე მთელს სვანურში, ცხადია, ერთნაირი ვითარება უნდა გვქონოდა: ობიექტური პირის ფორმებში ინკლუზივ-ექსკლუზივი ან

---

[4] ა. ჩიქობავა, მრავლობითობის აღნიშვნის ძირითადი პრინციპისათვის ქართული ზმნის უღვლილების სისტემაში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. 1, 1946, გვ. 121.

[5] ა. ჩიქობავა, დასახ. ნაშრ., გვ. 91—114.

[6] თ. გამყრელიძე, სიბილანტთა შესატყვისობანი და ქართველურ ენათა უძველესი სტრუქტურის ზოგი საკითხი, 1959, გვ. 45—50.

[7] ვ. თოფურია, სვანური ენა, გვ. 25.

[8] იხ. ვ. თოფურია, დასახ. ნაშრ., გვ. 25—26. შდრ. ა. ჩიქობავა, მრავლობითობის აღნიშვნის ძირითადი პრინციპისათვის..., იქვე, ტ. 1, გვ. 117.

[9] შდრ. ა. ჩიქობავა, დასახ. ნაშრ., გვ. 118—120. დაწვრილებით ამ საკითხზე სხვაგან გვექნება საუბარი.

საერთოდ არ იყო სვანურში, ან ის ყველა დიალექტში გარჩეული იყო. თუ გავიხსენებთ ვარაუდს, რომლის მიხედვითაც ობიექტურ პირში ინკლუზივ-ექსკლუზივის გარჩევა მხოლოდ ზემოსვანურ დიალექტებში გაჩნდა, მაშინ უნდა დავუშვათ აგრეთვე, რომ ზემოსვანურ (ბალსზემოურ და ბალსქვემოურ) დიალექტებზე მოლაპარაკე ენობრივ კოლექტივებს ისტორიულად მჭიდრო ენობრივი კონტაქტი ჰქონდათ ერთმანეთთან, ლაშხურ-ლენტეხურთან მათ კავშირი გაწყვეტილი ჰქონდათ და ასეთ პირობებში გახდა შესაძლებელი ამ კატეგორიის მხოლოდ ზემოსვანურში გაჩენა. სხვაგვარად ჩვენი ვარაუდი გაუმართლებელი იქნებოდა. მაგრამ სწორედ ეს დაშვება არ მართლდება. საქმე ის არის, რომ ბალსზემოურ დიალექტზე მოლაპარაკე ენობრივ კოლექტივს ისტორიულად არანაკლები (თუ მეტი არა) ენობრივი კონტაქტი უნდა ჰქონოდა ლაშხურთან, ვიდრე ბალსქვემოურთან, ხოლო ბალსქვემოურს—ლენტეხურთან, ვიდრე ბალსზემოურთან. ზემთქვეთი არ შეიძლება იყოს, რომ ენობრივად ბალსზემოური და ლაშხური უფრო ახლოს დგანან ერთმანეთთან, ვიდრე თითოეული მათგანი ბალსქვემოურ-ლენტეხურთან. ასევე, ბალსქვემოურსა და ლენტეხურს მეტი აქვთ საერთო ერთმანეთთან, ვიდრე თითოეულ მათგანს ბალსზემოურ-ლაშხურთან.

ასეთ ვითარებაში გაუგებარია: თუ ობიექტური პირის ფორმებში ინკლუზივ-ექსკლუზივი გვიან გაჩნდა, რატომ არ შეიძლო ეს ცვლილება ლენტეხურ-ლაშხურისაც? პასუხი ამ კითხვაზე არა ჩანს.

რიგება მეორე შესაძლებლობა. მაგრამ თუ ობიექტურ პირში ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის მხოლოდ ზემოსვანურ დიალექტებში გაჩენის ახსნა არ ხერხდება, ასევე შეუძლებელი ხომ არ არის მისი მხოლოდ ქვემოსვანურ დიალექტებში გაჩრობის ახსნაც?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემისათვის საჭიროა, ორი ირთი, ობიექტურ პირში ამ კატეგორიის გაჩრობის მიზეზის ჩვენება (ქვემოსვანურში) და, მეორეც, იმის ახსნა, თუ რატომ მოახდინა ამ მიზეზმა გავლენა მარტო ქვემოსვანურ დიალექტებზე.

ქვემოსვანურ დიალექტებში ამის მიზეზად ვ. თოფურია მიიჩნევს ქართულის გავლენას. „ობიექტურებთან დაკავშირებით ეს იმითომ მოხდა, რომ ქვემოსვანურს გუ-ს სახით საერთო ფორმანტი მოეპოვებოდა მის გამოვლენელ ქართულთან“[10].

მაგრამ თუ ეს ასეა, მაშინ ქართულის გავლენა რატომ არ გავრცელდა ზემოსვანურ დიალექტთა ობიექტური პირის ფორმებზე?

(ცნობილია, რომ გავლენის ერთადერთი მიზეზი არის ინტენსიური ენობრივი კონტაქტი) და სწორედ ამ მხრივ ზემოსვანურ და ქვემოსვანურ დიალექტთა მიმართება ქართულთან ისტორიულად სხვადასხვაგვარი უნდა ყოფილიყო. (ქვემოსვანური (როგორც ლენტეხური, ისე ლაშხური) უმუალოდ ესაზღვრება ქართულად მოლაპარაკე ენობრივ კოლექტივს, ხოლო ზემო სვანეთის მოსახლეობას ისტორიულად მასთან დაკავშირება შეეძლო მხოლოდ ქვემო სვანეთის გადით), რადგანაც ქვემო სვანეთი მდებარეობს ზემო სვანეთსა და რაჭა-ლეჩხუმ-ოდერეთს შორის. (იმიტომ არის, რომ ქვემოსვანურს ქართულის გაცილებით მეტი გავლენა ეტყობა საერთოდ, ვიდრე ზემოსვანურს,)

[10] ვ. თოფურია, სვანური ენა, 1931, გვ. 25; იხ. აგრეთვე, К. Донду а, Категория инклюзива-эксклюзива.., Памяти акад. Н. Я. Марра, 1938, გვ. 148.

ეს გარემოება. ვფიქრობთ, უფლებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ობიექტის ინკლუზივ-ექსკლუზივის ფორმებზე ქართულის გავლენა მხოლოდ ქვემოსვანურ დიალექტებში გავრცელდა, ხოლო ზემოსვანურ მეტყველებაში ვერ შეაღწია.

რამდენადაც ობიექტური პირის ფორმებში ინკლუზივ-ექსკლუზივის მხოლოდ ზემოსვანურში გაჩენის სასარგებლოდ მეტყველი საბუთი არ მოგვეპოვება, ხოლო მისი მხოლოდ ქვემოსვანურში დაკარგვის ახსნა შესაძლებელია, ამდენად უფრო ბუნებრივად მიგვაჩნია, ვივარაუდოთ ზემოსვანურის ვითარების პირველადობა და ქვემოსვანურის—მეორეულობა.

ის ფაქტი, რომ სუბიექტური პირის ფორმებში ინკლუზივ-ექსკლუზივი ქვემოსვანურშიც ისევეა გარჩეული, როგორც ზემოსვანურში, მხარს უჭერს ამ ვარაუდს[11]. (რაკი სუბიექტურ პირში ეს კატეგორია საერთო-სვანური მოვლენაა, ასევე საერთო-სვანური უნდა ყოფილიყო ის ობიექტური პირის ფორმებშიც.)

√სვანურში ინკლუზივ-ექსკლუზივის მეორეულობის სასარგებლოდ ლიტერატურაში დასახელებულია სხვა არგუმენტებიც:

√≠გუ-პრეფიქსი ძვ. ქართულში არც მრავლობითობის ნიშანი იყო და არც მისი ინკლუზივი ვარიანტის მაჩვენებელი.

√ბუნებრივია, რომ ამასვე მოველოდეთ სვანურში: გუ- სვანურშიც არ უნდა ყოფილიყო მრავლობითობის ფორმანტი და, მაშასადამე, ის ვერ იქნებოდა ამ მრავლობითობის ერთ-ერთი ვარიანტი, ინკლუზივი: ის შეიძლებოდა მხოლოდ შემდეგში ქცეულიყო ასეთ ფორმანტად, აღუფრენილიყო ამ ფუნქციით ისევე, როგორც ახალ ქართულში მოგვეგლინა ობიექტის პირველი პირის მრავლობითის ნიშნად"[12].

ამასთან დაკავშირებით ისმის კითხვა: არის თუ არა აუცილებელი, რომ ინკლუზივის (resp. ექსკლუზივის) პრეფიქსი ამავე დროს მრავლობითის ნიშანიც იყოს?

რიცხვი და ინკლუზივ-ექსკლუზივი ორი სხვადასხვა გრამატიკული კატეგორიაა, ამიტომ არ არის აუცილებელი ორივე ერთი ნიშნით აღინიშნებოდეს ზმნაში, ისევე როგორც აუცილებელი არ არის ერთი საერთო ნიშნით გამოიხატებოდეს პირი და რიცხვი, მით უმეტეს მაშინ, თუ ენაში აგლუტინაცია გვაქვს. მართალია, როგორც ინკლუზივი, ისე ექსკლუზივი მრავლობით რიცხვს გულისხმობს, მაგრამ შესაძლებელია არ არის ერთი საერთო ნიშნით ჰქონდეს, რითაც ის მხოლობითს დაუპირისპირდეს, ხოლო ინკლუზივს—თავისი, რითაც ის ექსკლუზივისაგან განსხვავდება. ეს ვარაუდი სავსებით დასტურდება სვანური ზმნის სუბიექტური პირის ფორმებში. ინკლუზივს აქ თავისი პრეფიქსი აქვს {ლ-}, ექსკლუზივს—თავისი {ხტ-}, არც ერთი მათგანი არ არის მრავლობითის ნიშანი, რიცხვი ორივე შემთხვევაში სუფიქსით აღინიშნება (-დ←*შდ):

მხ. რ. ხტ-ა̀შხი-დ „ვწვავ"

მრ. რ. {ლ-ა̀შხი-დ (ინკლ.) „ვწვავთ (მე და შენ, თქვენ)"
{ხტ-ა̀შხი-დ (ექსკლ.) „ვწვავთ (მე და ის, ისინი)"

---

[11] ვ. თოფურია, სვანური ენა, გვ. 25.

[12] ა. ჩიქობავა, მრავლობითობის აღნიშვნის ძირითადი პრინციპისათვის..., იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. 1, 1946, გვ. 120.

{ხუ̂-} პრეფიქსი, როგორც ვხედავთ, საზიაროა მხოლობითისა და მრავლობითისათვის (ექსკლუზივი), ამდენად ის არ არის რიცხვის ნიშანი. რიცხვი **დ** სუფიქსით აღინიშნება. არც ინკლუზივის ფორმაში (**ლ**-ä̈შხი-**დ**) დადასტურებული **ლ** პრეფიქსი არის მრავლობითი რიცხვის ნიშანი, ამ ფუნქციით აქაც **დ** სუფიქსი გვევლინება. ე. ი. სუბიექტური პირის ინკლუზივ-ექსკლუზივის ფორმებში (**ხუ̂**-ä̈შხი-**დ**, **ლ**-ä̈შხი-**დ**) წარმოდგენილი მრავლობითის **დ** სუფიქსი იმაზე მიგვითითებს, რომ არც ექსკლუზივის {ხუ̂-} და არც ინკლუზივის {ლ-} არ არის მრავლობითი რიცხვის ნიშანი.

მიუხედავად ამისა, ფაქტია, რომ პირველი სუბიექტური პირის ფორმებში ინკლუზივ-ექსკლუზივი მკვეთრად არის გარჩეული. ეს კი იმის შედეგია, რომ მრ. რიცხვის I პირში ერთმანეთს უპირისპირდება ორი განსხვავებული ფორმა—ერთი ინკლუზივისა (**ლ**-ä̈შხი-დ), ხოლო მეორე ექსკლუზივისა (**ხუ̂**-ä̈შხი-დ). ეს კი აუცილებელი და საკმარისი პირობაა ყოველი გრამატიკული კატეგორიის გამოსახატავად.

აქედან ორი დასკვნა გამომდინარეობს:

1) რიცხვი და ინკლუზივ-ექსკლუზივი ორი სხვადასხვა კატეგორიაა და სხვადასხვა მორფემებით აღინიშნება ზმნაში, ამიტომ ინკლუზივის (resp. ექსკლუზივის) პრეფიქსში არ შეიძლება მრავლობითი რიცხვის ნიშანიც ვეძებოთ.

2) ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორია მრავლობითი რიცხვის პირველი პირის ფარგლებს არ სცილდება[13].

მაგრამ სუბიექტური პირის ჩვენების დიამეტრალურად საწინააღმდეგო ვითარება არის ამ მხრივ დადასტურებული თანამედროვე სვანური ენის პირველ ობიექტურ პირში. აქ ინკლუზივ-ექსკლუზივი და რიცხვი ამჟამად ერთი და იმავე ფორმანტებით გამოიხატება, მეორე და მესამე პირში კი მრავლობითობა **ხ** სუფიქსით აღინიშნება:

მხ. რ. 1. მ-აყა „მყავს“ მრ. რ. 1. {გუ̂-აყა (ინკლ.) „გვყავს“
{ნ-აყა (ექსკლ.) „გვყავს“
2. ჯ-აყა „გყავს“ 2. ჯ-აყა-ხ „გყავთ“
3. ხ-აყა „ჰყავს“ 3. ხ-აყა-ხ „ჰყავთ“

უნდა ვივარაუდოთ, რომ ინკლუზივ-ექსკლუზივისა და რიცხვის გამოხატვის მიმართების პრინციპი სუბიექტურ და ობიექტურ პირებში ისტორიულად ერთნაირი იყო; ე. ი. ან სუბიექტის ინკლუზივ-ექსკლუზივის პრეფიქსებიც აღნიშნავდნენ რიცხვს, ან, პირიქით, არც ობიექტის ინკლუზივ-ექსკლუზივის მორფემებს ეკისრებოდა მრავლობითობის გამოხატვა.

კითხვა ისმის: სუბიექტურ პირშია ამ მიმართების პირვანდელი სახე შემონახული თუ ობიექტურში?

პირველ და მეორე სუბიექტურ პირთა მრავლობითობა ქართველურ ენებში იმთავითვე სუფიქსით გამოიხატებოდა. ეს იმით დასტურდება, რომ სათანადო ფორმანტები (ქართ. და მეგრ.-ჭან.-თ, სვან. -დ←*შდ) საერთოქართველური წარმოშობისაა[14]. ე. ი. მრავლობითი რიცხვი ქართველურ ენებში იმთავითვე სუფიქსით აღინიშნებოდა, ხოლო ინკლუზივ-ექსკლუზივის პრეფიქსებს ეს ფუნქცია, ცხადია, არ ეკისრებოდა.

[13] შდრ. ა. ჩიქობავა, დასახ. ნაშრ., გვ. 121.

[14] ა. ონიანი, პირველი და მეორე სუბიექტური პირის მრავლობითობის სუფიქსთა, შესახებ ქართველურ ენებში, საქ. სსრ მეცნ. აკად. საზოგადოებრივ მეცნ. განყ. „მოამბე“ 1963, №3, გვ. 198—211.

რა ვითარება უნდა გვქონოდა ამ მხრივ ობიექტურ პირში? ობიექტის მრავლობითობის აღმნიშვნელი გენეტურად ერთმანეთთან დაკავშირებული მორფემები ქართველურ ენებში არ მოგუპოვებდა. ამ ფუნქციით სხვადასხვა წარმომავლობის სუფიქსებია დადასტურებული: ივ. ქართ.-ნ-, ახ. ქართ.-თ, მეგრ.-ჭან. -ან, -ეს, სვან. -ხ [14]. ეს კი იმის მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ ობიექტური პირის მრავლობითობა წინარექართველურში არ აღინიშნებოდა, ის გვიანდელი მოვლენაა და ცალ-ცალკე გაჩნდა თითოეულ ენაში ქართველურ ენათა დიფერენციაციის შემდეგ.

მაშასადამე, სვანურ ზმნაში ობიექტის მრავლობითობის აღნიშვნის გაჩენამდე ინკლუზივ-ექსკლუზივის პრეფიქსებს მრავლობითი რიცხვის აღნიშვნა, ცხადია, არ ექისრებოდა, ე. ი. ამ მხრივ ისტორიულად ობიექტურ პირშიც ისეთივე ვითარება უნდა გვქონოდა, როგორიც სუბიექტურ პირში გვაქვს თანამედროვე სვანურში—ინკლუზივ-ექსკლუზივის პრეფიქსები არც სუბიექტურ და არც ობიექტურ პირში არ აღნიშნავდნენ მრავლობითობას. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ სუბიექტის ინკლუზივ-ექსკლუზივის ფორმებში (ასევე მეორე პირში) მრავლობითობა იმთავითვე სპეციალური სუფიქსით აღინიშნებოდა, ხოლო ობიექტური პირის მრავლობითობა ზმნაში საერთოდ არ აღინიშნებოდა—არც ინკლუზივ-ექსკლუზივის ფორმებში, არც მეორე და მესამე პირში.

თანამედროვე სვანურში კი, როგორც ითქვა, მეორე და მესამე ობიექტური პირის მრავლობითობა -ხ სუფიქსით აღინიშნება, ხოლო პირველ პირში რიცხვის სუფიქსი არ გაგვაჩნია, ინკლუზივ-ექსკლუზივის პრეფიქსები რიცხვსაც გამოხატავენ:

მხ. 1. მ-ალა „მწყინს“	1. {გუ-ალა (ინკლ.)	„გვწყინს“
2. ჯ-ალა „გწყინს“	{ნ-ალა (ექსკლ.)	„გვწყინს“
3. ხ-ალა „სწყინს“	2. ჯ-ალა-ხ	„გწყინთ“
	3. ხ-ალა-ხ	„სწყინთ“.

კითხვა ისმის, სვანურში ობიექტურ პირთა მრავლობითობის აღნიშვნის გაჩენასთან ერთად რატომ არ გაჩნდა სათანადო სუფიქსები ინკლუზივ-ექსკლუზივის ფორმებთანაც?

სვანური ენის განვითარების იმ საფეხურზე, როცა ობიექტის მრავლობითობის გამოხატება ყალიბდებოდა, როგორც ჩანს, იმის გამო, რომ ინკლუზივ-ექსკლუზივის ფორმები ისედაც განსხვავდებოდნენ მხოლობითი რიცხვის ფორმისაგან (მხ. მ-ალა, მრ. გუ-ალა, ნ-ალა), ამ ფუნქციით დამატებითი ფორმანტი აღარ იქნა გამოყენებული. ამდენად {გუ-} და {ნ-} პრეფიქსთა ორდინდელი ფუნქცია მხოლოდ პირისა და ინკლუზივ-ექსკლუზივის აღნიშვნა უნდა ყოფილიყო, მრავლობითობის გამოხატვა კი გვიანდელი დანაკისრები ჩანს.

---

[14] როგორც ლიტერატურაშია აღნიშნული, ეს სუფიქსები ობიექტურ პირში სუბიექტური პირებიდან არის ნასესხები (იხ. ა. ჩიქობავა, დასახ. ნაშრ., გვ. 93—94). ეს კი იმას ნიშნავს, რომ ობიექტურ პირს არ ჰქონდა სათანადო ფორმანტები, ამის გამო გახდა შესაძლებელი მათი სესხება. თუ მრავლობითობის ფორმანტები არ ჰქონდა ობიექტურ პირს, მაშინ, ცხადია, არც მისი მრავლობითობა აღინიშნებოდა ზმნაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამრიგად, რიცხვისა და ინკლუზივ-ექსკლუზივის ფორმანტთა მიმართების პრინციპი უძველესი სახით სუბიექტურ პირშია შემონახული, ობიექტური პირის ჩვენება კი მეორეულია. ამიტომ ამ მიმართების უძველესი სახის რეკონსტრუქციისათვის სუბიექტური პირის ჩვენებას უნდა დავემყაროთ და არა ობიექტურისას[15].

გასარკვევია კიდევ ერთი საკითხი: როგორი უნდა ყოფილიყო მიმართება (გამოსახულების პლანში) მხოლოობით რიცხვის პირველი პირის ფორმასა და ინკლუზივ-ექსკლუზივის ფორმებს შორის?

ცნობილია, რომ ამ მხრივ სუბიექტურ პირში ობიექტურისაგან განსხვავებული ვითარება გვაქვს: (პირველი სუბიექტური პირის მხოლოობითის ნიშანი გამოყენებულია ექსკლუზივის ნიშნადაც (მხ. **ხტ**-ათური—ექსკლ. **ხტ**-ათური-დ), ხოლო ინკლუზივის აღმნიშვნელად ისეთი პრეფიქსია წარმოდგენილი (**ლ**-ათური-დ), რომელიც მხოლოობითში არ გვხვდება. პირველ ობიექტურ პირში კი მხოლოობითის პრეფიქსს არ ემთხვევა არც ინკლუზივის და არც ექსკლუზივის ნიშანი) (მხ. **მ**-ათური, ინკლ. გუ-ათური, ექსკლ. **ნ**-ათური).

კითხვა ისმის: სუბიექტურ პირშია ამ მხრივ ამოსავალი ვითარება შემონახული თუ ობიექტურში?

(ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის ჩამოყალიბების ეპოქაში მხოლოობითისაგან მკვეთრად განსხვავებული ის ფორმა უნდა ყოფილიყო, რომელიც ორ პერსონალურ პირს (პირველსა და მეორეს) აერთიანებდა. ექსკლუზივი კი, რომელიც პირველ პირთან ერთად „არაპერსონალურ“ მესამე პირს შეიცავდა (მეორეს კი არა), მხოლოობითი რიცხვის ფორმასთან ისე მკვეთრად არ უნდა ყოფილიყო დაპირისპირებული. ამ ვარაუდს მხარს უჭერს ის სარწმუნო მოსაზრებაც, რომ „მესამე პირის სუფიქსი ზმნაში შეღარებით ყველაზე ახალი ფორმაციაა“[16]. ამიტომ სავარაუდებელია, რომ ამ მხრივ ამოსავალი ვითარება დაცული იყოს თანამედროვე სვანურის სუბიექტურ პირში.

(თუ ეს ასეა, მაშინ პირველი ობიექტური პირის პრეფიქსი ისტორიულად ექსკლუზივის ნიშნადაც უნდა ყოფილიყო გამოყენებული. ასეთი ნიშანი კი არის ყველა ქართველურ ენაში დადასტურებული—წინარექართველურიდან მომდინარე—**მ** პრეფიქსი, რომელიც სვანურში აწყობად მხოლოდ მხოლოობითში არის დადასტურებული. ექსკლუზივის **ნ** პრეფიქსი, რომელსაც ქართველურ ენებში შესატყვისი არ მოეპოვება, მეორეული ჩანს და მიღებული უნდა იყოს **მ**-საგან[17]. ამ ვარაუდს მხარს უჭერს ზეელი ქართულისა და მეგრულ-ჭანურის ჩვენება, სადაც **მ** პრეფიქსი დადასტურებულია როგორც მხოლოობით, ისე მრავლობით რიცხვში.)

მაგრამ რას შეიძლებოდა გამოეწვია ექსკლუზივის ფორმაში **მ**- პრეფიქსის **ნ**-თი შეცვლა?

ცნობილია, რომ **მ** და **ნ** არტიკულაციურ-აკუსტიკურად მსგავსი ბგერებია, ამიტომ ერთის მეორეში გადასვლა ქართველურ ენებში საკმაოდ ხშირია. მაგრამ ჩვენთვის საინტერესო შემთხვევაში ამ გადასვლის ფონეტიკური პოზიციით ახსნა არ ხერხდება, საძებარია სხვა მიზეზი.

---

[15] შდრ. ა. ჩიქობავა, დასახ. ნაშრ., გვ. 100.

[16] ა. ჩიქობავა, მესამე პირის სუბიექტის უძველესი ნიშანი ქართველურ ენებში, ენიმკის მოამბე, V—VI, 1940, გვ. 16.

[17] შდრ. გ. თოფურია, სვანური ენა, გვ. 27—28.

✓ ექსკლუზივის **მ** პრეფიქსის **ნ**-ში გადასვლის მიზეზი მრავლობითი რიცხვის პირველი პირის ნაცვალსახელის **ნ**-ელემენტის გავლენა უნდა იყოს[18]; ე. ი. ნაგ *მ-აყა→ნაგ ნ-აყა, ნაგ *მ-უღუა→ნაგ ნ-უღუა და ა. შ.

ამ ვარაუდს მხარს უჭერს ორი გარემოება:

✓ 1) რაკი მხ. რიცხვის 1 პირისა და ექსკლუზივის ფორმა ერთმანეთს ემთხვეოდა, ამიტომ ექსკლუზივის ფორმასთან **ნა** (ჩვენ) ნაცვალსახელის ხმარება (მხოლოობითის ფორმისაგან განსასხვავებლად) ჩვეულებრივი უნდა ყოფილიყო[19]. ამდენად, ექსკლუზივის **მ**-პრეფიქსზე **ნა** ნაცვალსახელის გავლენის ვარაუდი ბუნებრივი ჩანს.

✓ 2) მხოლოობითი რიცხვის პირველი პირის ნაცვალსახელში იყო (როგორც ამჟამადაც არის) **მ** ელემენტი—**მი** (მე), ზმნის პირველ ობიექტურ პირშიც **მ** პრეფიქსი იყო წარმოდგენილი: ე. ი. გვქონდა ასეთი წყვილი—**მი მ** უღუა, **მი მ**-აყა და სხვა. თანამედროვე სვანურის მსგავსად, **მ**-მეორდებოდა ნაცვალსახელსა და ზმნის ფორმაში. ექსკლუზივში კი ტიპოლოგიურად სხვაგვარი ვითარება გვქონდა—ნაცვალსახელში **ნ** ელემენტი იყო წარმოდგენილი (**ნა**), ხოლო ზმნის ექსკლუზივში **მ** პრეფიქსი, ე. ი. **ნა მ**-უღუა, **ნა მ**-აყა და ა. შ. მხ. რიცხვის ვითარების გაპირიანების შედეგად შეიძლებოდა მას გავლენა მოეხდინა ექსკლუზივზეც, ე. ი. ექსკლუზიური წყვილი (**ნა მ**-უღუა...) ანალოგიის საფუძველზე ტიპოლოგიურად შეძლებოდა დამსგავსებოდა მხოლოობითის წყვილს (**მი მ**-უღუა...) და მეგეული თანამედროვე სვანურში (ზემოსვანურში) დადასტურებული წყვილი (**ნა ნ**-უღუა....).

კითხვა ისმის: სვანურში გაჩნდა ინკლუზივ-ექსკლუზივი, თუ სხვა ქართველურ ენებშიც გვქონდა და დაიკარგა?

სხვადასხვა ენაში შემჩნეულია ისეთ კონკრეტულ გრამატიკულ კატეგორიათა მოშლის ჯერადენცია, როგორც არის ორობითი რიცხვი, ინკლუზივ-ექსკლუზივი და სხვა; მაგ., ორობითი რიცხვი მხოლოდ რამდენიმე ინდოევროპულ ენას შემორჩა, ენათა უმეტესობაში კი ის მოშლილა და ჩამოყალიბება განზოგადებული მრავლობითი რიცხვი[20]. ინდოევროპულ ნაცვალსახელში შესაძლებლად მიიჩნევენ ინკლუზივ-ექსკლუზივის ოდინდელი არსებობის დაშვებასაც. ამჟამად კი ის არც ერთ ინდოევროპულ ენას არ გააჩნია[21]. კავკასიურ ენათა და დიალექტთა იმ ნაწილში, სადაც ინკლუზივ-ექსკლუზივი პირის ნაცვალსახელში ამჟამად არ დასტურდება, ისტორიული განვითარების პროცესში მოშლილი ჩანს[22]. ხოლო ამ კატეგორიათა გაჩენის შემთხვევა, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, დადასტურებული არ არის. ამიტომ უფრო ბუნებრივი იქნება ვიფიქროთ, რომ ინკლუზივ-ექსკლუზივი ქართულსა და მეგრულ-ჭანურში მოშლილა, ხოლო სვანურმა არქაული ვითარება შემოგვინახა.

---

[18] ამგვარი ახსნის შესაძლებლობაზე მიგვითითა გ. მაჭავარიანმა.

[19] არსებითად ასეა ეს ძველ ქართულში.

[20] Э. Прокош, Сравнительная грамматика германских языков, Москва, 1954, გვ. 245 და 311—312; О. Есперсен, Философия грамматики, Москва, 1958, გვ. 238—240.

[21] ე. პროკოშში, დასახ. ნაშრ., გვ. 308—311.

[22] С. Быховская, Пережитки inclusiv'a и exclusiv'a в даргинских диалектах, Язык и мышление, IX, 1940, გვ. 85—90.

თ. გამყრელიძის ვარაუდით, ინკლუზივ-ექსკლუზივი გარჩეული უნდა ყოფილიყო წინარექართველურ ნაცვალსახელში. ინკლუზიური ნაცვალსახელი უნდა ყოფილიყო *ჩუენ(ა), ხოლო ექსკლუზიური *ნა-[23].

ქართველურ ენათა შედარება პირის კატეგორიის არსებობას გვავარაუდებინებს წინარექართველურ ზმნაში, ამიტომ ინკლუზივ-ექსკლუზივი, რომლის არსებობაც ნაცვალსახელში ივარაუდება, ზმნის სისტემაშიც გარჩეული უნდა ყოფილიყო. ამ მხრივ საყურადღებოა ბაცბურ-ქისტურის ჩვენება. აქ ნაცვალსახელში ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორია ძველისძველია. პირის ჩამოყალიბებასთან ერთად, რაც შედარებით ახალი მოვლენაა, ინკლუზივ-ექსკლუზივის ფორმალური გარჩევა ზმნაშიც გაჩნდა. ექსკლუზივის ნიშნად ნაცვალსახელური ფორმანტი იქნა გამოყენებული, ინკლუზივი კი უნიშნოდ დარჩა[24]. ე. ი. პირის ნაცვალსახელის გავლენით ზმნაშიც გაჩნდა სათანადო კორელაცია: ნიშნიანი—ექსკლუზივი და უნიშნო—ინკლუზივი.

ამდენად, თუ წინარექართველურ ნაცვალსახელში ინკლუზივ-ექსკლუზივი გარჩეული იყო, მაშინ ის გარჩეული უნდა ყოფილიყო ზმნის სისტემაშიც და სამივე ქართველურ ენას უნდა მიეღო მემკვიდრეობით.

ა. შანიძის ვარაუდით, რაც შემდეგ გაზიარებულ იქნა ვ. თოფურიას, კ. დონდუასა და გ. დეეტერსის მიერ[25], ძვ. ქართული ზმნის მრ. რიცხვის ფორმაში ობიექტის აღმნიშვნელად დადასტურებული ორი პარალელური ფორმანტის მ-სა და გუ-ს ოდინდელი ფუნქცია ინკლუზივ-ექსკლუზივის გამოხატვა უნდა ყოფილიყო.

ჯერ კ. დონდუამ, ხოლო შემდეგ ა. ჩიქობავამ დამაჯერებლად აჩვენეს, რომ ინკლუზივ-ექსკლუზივი ძველ ქართულში არ იყო გარჩეული[26].

ბუნებრივად ისმის კითხვა: ძვ. ქართულში პირველი ობიექტური პირის მრ. რიცხვში ერთი მორფემის ურთიერთშენაცვლებად ალომორფთა (მ-სა და გუ-ს) არსებობა ხომ არ არის ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის ოდინდელი გარჩევის ნაშთი?

საყურადღებოა, რომ არც ერთ ქართველურ ენაში, არც ერთ პირში (არც სუბიექტურში, არც ობიექტურში, არც პირველში, არც მეორეში, არც მესამეში, არც მხოლობით რიცხვში, არც მრავლობითში) არ არის დადასტურებული ერთი მორფემის თავისუფლად შენაცვლებადი ალომორფები. გამონაკლისს შეადგენს ძვ. ქართულის სწორედ ის პირი, სადაც ინკლუზივ-ექსკლუზივის ფორმებია მოსალოდნელი (1 ობიექტური პირის მრ. რიცხვი)[27]. მ- და გუ- აქ ერთი-

[23] თ. გამყრელიძე, სიბილანტთა შესატყვისობანი და..., გვ. 46—47.

[24] Ю. Д. Дешериев, Бацбийский язык, Москва, 1953, გვ. 85; თ. გონიაშვილი, პირიანი უღვლილება ქისტურში (ხელნაწერი).

[25] ა. შანიძე, ქართული ზმნის საქცევი, თსუ მოამბე, ტ. VI, 1926, გვ. 335; ვ. თოფურია, სვანური ენა, გვ. 26; კ. დონდუა, დასახ. ნაშრ., გვ. 144—151; გ. დეეტერსი, დასახ. ნაშრ., გვ. 27—28.

[26] კ. დონდუა, დასახ. ნაშრ., გვ.148—150; ა. ჩიქობავა, დასახ. ნაშრ., გვ. 94—114

[27] ამის საწინააღმდეგოდ არ გამოდგება II სუბიექტური და III ობიექტური პირის (- ~ ხ-) ნიშნები. ისინი ერთი და იმავე მორფემის ურთიერთგამომრიცხველი ალომორფებია —ერთსა და იმავე პოზიციაში არასდროს არ გვხვდებიან: ჩვეულებრივია—ჰ-ყავს, ს-ცემს, მაგრამ შეუძლებელია—ს-ყავს, ჰ-ცემს. ეგევე ითქმის ქართველურ ენებში დადასტურებულ პირის აღმნიშვნელ ერთი და იმავე მორფემის სხვა ალომორფთა შესახებაც. ე. ი. ისინი დამატებითი დისტრიბუციის დამოკიდებულება შიარიან ერთმანეთთან, მაშინ როდესაც მ- და გუ- პრეფიქსებს ძვ. ქართულში მრ. რიცხვში ახვადასხვა დისტრიბუცია არა აქვთ. აქ ერთნაირად შესაძლებელია როგორც „მ-ეძინა ჩუენ“, „შე-მ-იწყალენ ჩუენ“, ისე „გუ-ეძინა ჩუენ“, „შე-გუ-იწყალენ ჩუენ“.

მორფემის თავისუფალი ვარიანტებია, ისინი ყველა ზმნაში თავისუფლად ენაცვლებიან ერთმანეთს. ეს კი მათს ოდენდელ ფუნქციურ სხვაობას გვაფარაუ დებინებს (რაც ძველ ქართულში უკვე მოწლილია). რა უნდა ყოფილიყო თითოეული მათგანის ფუნქცია?

✓ **მ** პრეფიქსის ფუნქცია ლე. ქართულში ნათელია, ის პირველი ობიექტური პირის ნიშანია მხოლობითშიცა და მრავლობითშიც; ასევე, როგორც **ვ** პრეფიქსი პირველი სუბიექტური პირის ნიშანია მხოლობითშიცა და მრავლობითშიც:

მხ. „და და-მ-იდგინოს მე...“ (მათე 26, 53ლ)

მრ. „არავინ და-მ-იდგინა ჩუენ“ (მათე 20, 7).

✓ **გუ** პრეფიქსი კი სხვა სურათს გვიჩვენებს: მართალია, მრ. რიცხვის ფორმაში მისი ხმარება ჩვეულებრივია: „არავინ და-გუ-იდგინნა ჩუენ “(მათე 20, 7ლ), მაგრამ მხ. რიცხვში მისი გამოყენება ლე. ქართულისათვის უცხოა: „და-გუ-იდგინა მე“ ტიპი ლე. ქართულმა (და არც სხვა რომელიმე ქართველურმა ენამ) არ იცის.

✓ ძველ ქართულში დადასტურებულ „გან-გუ-აახლ-ნა ჩუენ“ ტიპის ფორმათა ანალიზის საფუძველზე ა. ჩიქობავა ვარაუდობს, რომ **გუ** პრეფიქსი ძვ. ქართულში არ არის მრავლობითის ნიშანი, რადგანაც ამ ფუნქციით **ნ** სუფიქსი გვევლინება[28]. ნ ნიშნად ეს მით უნდა ეწერ მივიჩნიოთ, რადგანაც მხ. რიცხვის ფორმაში ის საერთოდ არ იხმარება) ამდენად, ძველ ქართულში **გუ** პრეფიქსი (რუდიმენტის შთაბეჭდილებას ტოვებს).

როგორც მორფოლოგიური კატეგორიის ფორმანტი შეიძლებოდა ყოფილიყო **გუ**, როგორც 1 ობიექტურ პირს აღნიშნავს მხოლოდ მრავლობითში (და არასდროს მხოლობითში), მაგრამ არ არის მრ. რიცხვის ნიშანი?

თუ სვანურის ჩვენებას დავემყარებით, ასეთი არის როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური პირის ინკლუზივის ნიშანი. არც ერთი მათგანი (არც სუბიექტის [ლ-], არც ობიექტის [გუ]) არ იხმარება მხოლობითი რიცხვის ფორმაში. ბუნებრივად ისმის კითხვა: (ლე. ქართულში **გუ** პრეფიქსი ხომ არ არის ინკლუზივის ნიშანი—ტრადიციით შემორჩენილი?)

✓ ასეთი რამ არაა მოსალოდნელი, უპასუხებს ამ კითხვაზე ა. ჩიქობავა, ინკლუზივის ფორმანტი მრავლობითის ნიშანიც არის, მრავლობითის სხვა სუფიქსი ასეთ შემთხვევაში ზედმეტია და უადგილო. მაშასადამე: თუ **გუ**- პრეფიქსი ინკლუზიური (ანდა: ექსკლუზიური—ტრანსციზში ეს სულ ერთია) შინაარსისაა, მრავლობითობის **ნ**- სუფიქსისათვის ადგილი არა რჩება“[29].

✓ სვანური მასალის ანალიზის საფუძველზე ზემოთ შევეცადეთ გვეჩვენებინა, რომ არც ინკლუზივის და არც ექსკლუზივის პრეფიქსი არ არის მრავლობითობის ნიშანი. რიცხვი და ინკლუზივ-ექსკლუზივი სხვადასხვა მორფემით აღინიშნება ზმნაში. ეს ეჭვმიუტანელი ფაქტია თანამედროვე სვანურის სუბიექტურ პირში, ისტორიულად ასევე უნდა ყოფილიყო ეს ობიექტურ პირშიც (იხ. ზემოთ). ასეთივე ვითარება უნდა გვქონოდა ქართული ზმნის უღლების სისტემაშიც, თუ ის ოდესმე ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიას

[28] ა. ჩიქობავა, მრავლობითობის აუნიშვნის ძირითადი პრინციპისათვის..., იქვე, ტ. I, გვ. 100—101.

[29] ა. ჩიქობავა, დასახ. ნაშრ., გვ. 100.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არჩევდა. ამდენად, ძველ ქართულ „ვან-გუ-აასლ-ნ-ა ჩუენ“, „აღ-გუ-ადგ ინ-ნ-ა ჩუენ“ ფორმებში ობიექტის მრავლობითობის ნ სუფიქსი ისევე ნათლად გვიმტკიცებს გუ პრეფიქსის არამრავლობითობას, როგორც სვან. „ლ-ბრი-დ“, „ხტ-ბრი-დ“ ფორმებში სუბიექტის მრავლობითობის დ სუფიქსი გვიდასტურებს ლ და ხტ პრეფიქსთა არამრავლობითობას. ამასთანავე, ეგევე ძვ. ქართული ნ სუფიქსი ისევე ვერ უარყოფს ვარაუდს გუ პრეფიქსის ოდინდელი ინკლუზიურობის შესახებ, როგორც სვან. „ლ-არი-დ“, „ხტ-ბრი-დ“ ფორმებში სუბიექტის მრავლობითობის დ სუფიქსი ვერ უარყოფს ლ პრეფიქსის ინკლუზიურობას და ხტ პრეფიქსის ექსკლუზიურობას.

ამდენად, გუ პრეფიქსის ინკლუზივის ოდინდელ ფორმანტად მიჩნევა ბუნებრივი ჩანს, მით უმეტეს, რომ სვანურშიც მისი ფუნქციურ-ფონეტიკური შესატყვისი არის (გუ-) პრეფიქსი. ამიტომ ტოვება ის რუდიმენტის შთაბეჭდილებას ძვ. ქართულში, სადაც ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორია გაქრა-ლია. ამიტომვე გახდა შესაძლებელი ახალ ქართულში გუ-ს რეინტერპრეტა-ცია და ობიექტის მრავლობითობის ნიშნად ქცევა.

ექსკლუზივის ნიშნად კი, სვანურის მსგავსად, ქართულშიც პირველი ობიექტური პირის მ პრეფიქსი უნდა ყოფილიყო გამოყენებული. ამის ანა-რეკლი ჩანს ძვ. ქართულში დადასტურებული ფორმები:

მ-აქუს მე — და-მ-იდგინ-ა მე

მ-აქუს ჩუენ — და-მ-იდგინ-ნ-ა ჩუენ

„მ-აქუს მე“ და „მ-აქუს ჩუენ“ ფორმებს შორის ისეთივე მიმართებაა, როგორიც ისტორიულად სავარაუდებელია სვან. „მ-აყა მი“ და „ნ-აყა ნჳა“ (←*მ-აყა ნჳა) ფორმებს შორის. ასევე, „და-მ-იდგინ-ა მე“ ისე შეეფარდება „და-მ-იდგინ-ნ-ა ჩუენ“ ფორმას, როგორც სვან. „ხტ-ბრი მი“ შეეფარდება „ხტ-ბრი-დ ნჳა“ ფორმას. ამის საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ძვ. ქართულში დადასტურებული ფორმები (მ-აქუს ჩუენ, და-მ-იდგინ-ნ-ა ჩუენ) ექსკლუზივის ოდინდელი გამოსატვის ნაშთია, ხოლო მ ფორმანტი ამ კატე-გორიის ოდინდელი ნიშანი.

არსებითად ეგევე ითქმის ინკლუზივის პრეფიქსის შესახებაც. ძვ. ქარ-თულში „გუ-აქუს ჩუენ“ და „და-გუ-იდგინ-ნ-ა ჩუენ“ ფორმებს მხ. რიცხვში ისე-ვე არ მოეპოვება „გუ-აქუს მე“ და „და-გუ-იდგინ-ა მე“, როგორც სვან. ინკლუზივის (გუ-აყა ნჳა და ლ-ბრი-დ ნჳა) არ მოეპოვება „გუ-აყა მი“ და „ლ-ბრი მი“ ფორმები მხ. რიცხვში. ე. ი. ძვ. ქართული „გუ-აქუს ჩუენ“ ისე შეეფარდება „მ-აქუს მე“ და „მ-აქუს ჩუენ“ ფორმებს, როგორც სვან. „გუ-აყა ნჳა“ შეეფარდება „მ-აყა მი“ და „ნ-აყა ნჳა“ (←*მ-აყა ნჳა) ფორმებს. ამიტომ, „და-გუ-იდგინ-ნ-ა ჩუენ“ ისე შეეფარდება „და-მ-იდგინ-ა მე“ და „და-მ-იდგინ-ნ-ა ჩუენ“ ფორმებს, როგორც სვან. „ლ-ბრი-დ ნჳა“ შეეფარდება „ხტ-ბრი მი“ და „ხტ-ბრი-დ ნჳა“ ფორმებს. ამის საფუძველზე შეიძლება ვიკარაუ-დოთ, რომ „გუ-აქუს ჩუენ“, „და-გუ-იდგინ-ნ-ა ჩუენ“ ინკლუზივის კატეგორი-ის ოდინდელი გამოხატვის ტრადიციით შემორჩენილი ნაშთია ძვ. ქართულ-ში, ხოლო გუ პრეფიქსი ამ კატეგორიის ოდინდელი ნიშანი.

მაშასადამე, ძვ. ქართულში გუ და მ პრეფიქსთა ოდინდელი ფუნქცია (ინკლუზივ-ექსკლუზივის გამოხატვა) მოშლილია, მაგრამ ზმნის უღლების სის-ტემაში ისინი კვლავ ტრადიციულ ფორმებში იხმარებიან, ამ მხრივ მათ არ-ქაული ვითარება აქვთ დაცული. ეს საუძველს გვაძლევს, ინკლუზივ-ექს კლუ-ზივის კატეგორიის ოდინდელი არსებობა ქართულშიც ვივარაუდოთ.

✓ მაგრამ ეს ვარაუდი მიუღებელი აღმოჩნდება, თუ გავიზიარებთ დებულებას: „გუ- და ხუ- პრეფიქსებში უნდა შედიოდეს უ- პრეფიქსი პირველი პირისა. სუბიექტისა თუ ობიექტისა? იგი ორივესთვის საზიარო უნდა ყოფილიყო; მაგრამ აქ ეს არაა მთავარი; არსებითი აქ ისაა, რომ უ ფორმანტია პირველი პირისა. რაღაა გ- და ხ-? მორფოლოგიური ოდენობა არც ერთი უნდა იყოს და არც მეორე; ორივე ფონეტიკური დანართი ჩანს. გ-უ←უ, ხ-უ←უ“[30].

✓ მ პრეფიქსი სამივე ქართველურ ენაში ერთი ფუნქციით არის წარმოდგენილი, ე. ი. წინარექართველურშიც ის ამავე ფუნქციის მქონე უნდა ყოფილიყო. ასევე, პირველი სუბიექტური პირის ნიშანი (ან მისი შემადგენელი ნაწილი) უ- არის ქართველურ ენებში და ამდენად წინარექართველურშიც. ე. ი. წინარექართველური ენის განვითარების უკანასკნელ საფეხურზეც მ და უ პრეფიქსთა ფუნქცია მკვეთრად გამიჯნული ჩანს, ფონეტიკურ-ფუნქციურად მათი ერთმანეთთან დაკავშირება ქართველურ ენათა შედარების საფუძველზე არ ხერხდება.

თუ გუ პრეფიქსში უ ელემენტი პირველი სუბიექტური პირის ნიშანია, ხოლო გ ფონეტიკური დანართი, რომელიც არ არის მორფოლოგიური ოდენობა, მაშინ ისმის კითხვა: როგორ იქცა სუბიექტური პრეფიქსი ობიექტური პირის ნიშნად? ანდა: რა საჭიროებამ გამოიწვია ამგვარი ფუნქციური ცვლილება—ობიექტური პირის ნიშანი (მ) ხომ ისედაც არსებობდა ზმნაში? ამ კითხვაზე პასუხი არა ჩანს.

✓ დავუშვათ, რომ გუ პრეფიქსის -უ ელემენტი მ-საგან მომდინარეობს, ე. ი. *მ→*გმ→გუ. ასეთი დაშვების შემთხვევაში ისმის კითხვა: რატომ მოგვცა მ პრეფიქსმა ორი ვარიანტი მ და *გმ (→გუ)? თუ მ-ს წინ გ განვითარდა, მაშინ მოსალოდნელი იყო, ის ყველგან განვითარებულიყო და, მაშასადამე, მ პრეფიქსი სრულიად გამქრალიყო, რადგანაც პოზიცია ყველგან ერთნაირია სავარაუდებელი. ამდენად, ეს გარემოება ფონოლოგიურად ვერ აიხსნება, უნდა ვეძებოთ მ-საგან *გმ (→გუ)-ს მიღების ფუნქციურ-სემანტიკური მიზეზი. რა უნდა ვივარაუდოთ *გმ (→გუ)-ს მ პრეფიქსისაგან განსხვავებულ თანაშეწყობად, რისთვისაც ის გაჩნდა ენაში? მრავლობითი რიცხვის ნიშანი, როგორც აღინიშნა, ხ- (გუ-) არ არის ძვ. ქართულში, მისი სხვა—მ პრეფიქსისაგან განსხვავებული—ფუნქცია კი, ასეთი ვარაუდის შემთხვევაში, არა ჩანს.

მაშასადამე, გუ პრეფიქსში გ ელემენტს ფონეტიკურ დანართად ვერ მიეჩნევა, რადგანაც ასეთ ვარაუდს, თითქოს, არ მოეპოვება არც ფონოლოგიური, არც ფუნქციურ-სემანტიკური და არც თეორიული საფუძველი.

ამრიგად, ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორია ისტორიულად ქართულშიც გარჩეული უნდა ყოფილიყო[31].

როგორი ვითარება უნდა გვქონოდა ისტორიულად მეგრულ-ჭანურში? ცხადია, როგორც ცნობილია, პირველი ობიექტური პირის პრეფიქსად მეგრულ-ჭანურში მ არის დადასტურებული როგორც მხოლოობით, ისე მრავ-

---

30 ა. ჩიქობავა, დასახ. ნაშრ., გვ. 123.

31 იქ. ჭართულში მ და გუ პრეფიქსთა სხვადასხვა დიალექტური წრიდან მომდინარეობის დაშვებაც ჭირს, თუმცა თვით ასეთი დაშვებაც ხელს არ უშლის აქ წამოყენებულ დებულებას. შდრ. ა. ჩიქობავა, დასახ. ნაშრ., გვ. 104—113.

ლობით რიცხვში; მრავლობითობა ან, ეს, ო სუფიქსებით აღინიშნება[32]. გუ პრეფიქსი მეგრულ-ჭანურს ნაშთის სახითაც კი არ გააჩნია.) ნიშნავს თუ არა ეს, რომ ქართულ-სვანური გუ პრეფიქსის ფუნქციურ-ფონეტიკური შესატყვისი ფორმანტის ოდინდელი არსებობის ვარაუდი მეგრულ-ჭანურში შეუძლებელია? არ ნიშნავს იმდენად, რამდენადაც მარტოოდენ ნეგატიური ჩვენება საკითხის გადასაწყვეტად არ გამოდგება.(ვფ. ქართული წერილობითი ენებლების ჩვენებას დღემდე რომ არ მოეღწია, მაშინ თანამედროვე ქართულის ეითარების მიხედვით ინკლუზივ-ექსკლუზივის ოდინდელი არსებობის დაშვება ქართულში ისევე გაჭირდებოდა, როგორც მხოლოდ თანამედროვე მეგრულ-ჭანურის მონაცემთა მიხედვით ჩვოს ამ კატეგორიის რეკონსტრუქცია.) თანამედროვე ქართულისა და მეგრულ-ჭანურის ეითარება ამ მხრივ არსებითად ერთნაირია მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ქართულს დღემდე შემორჩა რეინტერპრეტირებული გუ პრეფიქსი. ეს იმას ნიშნავს, რომ ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის შინაგანი რეკონსტრუქცია მეგრულ-ჭანურში არ ხერხდება. ამიტომ გასათვალისწინებელია სხვა ქართველური ენათა ჩვენება. (ობიექტური პირის ფორმებში ინკლუზივ-ექსკლუზივის გამოხატვის მხრივ ქართულ-სვანურის ერთიანობა (ისტორიულად) იმის მაუწყებელია, რომ ეს კატეგორია ორივე ენამ წინარექართველურიდან მიიღო მემკვიდრეობით. თუ ეს ასეა, მაშინ ისტორიულად მეგრულ-ჭანურშიც ანალოგიური ეითარება უნდა გვქონდა.)

Vექსკლუზივის ნიშანი, ქართულ-სვანურის მსგავსად, მეგრულ-ჭანურშიც პირველი ობიექტური პირის ფორმანტი უნდა ყოფილიყო. ამ ვარაუდს მხარს უჭერს ის ფაქტი, რომ თანამედროვე მეგრულ-ჭანურში მ პრეფიქსი იხმარება როგორც მხოლობით, ისე მრავლობით რიცხვში. მრავლობითი რიცხვის ფორმაში დადასტურებული მ პრეფიქსი უნდა იყოს ექსკლუზივის ოდინდელი ნიშანი—ამჟამად რეინტერპრეტირებული.

Vინკლუზივის ნიშანი მეგრულ-ჭანურშიც *გუ უნდა ყოფილიყო, ფონეტიკურად სხვა შესატყვისი არ არის მოსალოდნელი (შდრ. ქართ. გული, სვან. გუ, გუი, მეგრ.-ჭან. გური). ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის მოშლის შემდეგ მეგრულ-ჭანურში ეს ფორმანტი „ალბათ დაეკარგა"[33].

ამრიგად, პირველი ობიექტური პირის პრეფიქსთა რეკონსტრუირებული სახე, რომელიც წინარექართველურში უნდა ყოფილიყო მოცემული, ასე წარმოგვიდგება:

მხ. რ. *მ	მრ. რ. ინკლ. *გუ
	ექსკლ. *მ

ქართველურ ენათა სუბიექტური პირის ფორმებში ინკლუზივ-ექსკლუზივის ოდინდელი არსებობის საკითხი საკვლევია. წინასწარ შეიძლება შევნიშნოთ მხოლოდ შემდეგი:

მართალია, ქართულსა და მეგრულ-ჭანურში სუბიექტური პირის ფორმებს არ შემოუნახავს ამ კატეგორიის გამოხატვის ნაშთი, მაგრამ, თუ სწორია ვარაუდი, რომ (წინარექართველურში ინკლუზივ-ექსკლუზივი გარჩეული იყო პირის ნაცვალსახელებსა და ობიექტური პირის ფორმებში, მაშინ სავარაუდებელია, რომ ის სუბიექტური პირის ფორმებშიც ყოფილიყო გამოხატული. ამ ვარაუდს მხარს უჭერს სვანურის ჩვენება, სადაც ეს კატეგორია ზმნის სუბიექტურ პირშიც მკვეთრად არის გარჩეული.)

[32] ა. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, 1936, გვ. 92—102.

[33] ვ. თოფურია, სვანური ენა, გვ. 26.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ბერ“ ძირი ქართულ სახელ-გვარებში

ი. მაისურაძე

(წარმოადგინა აკად. გ. აბელაშვილმა)

ქართულ გვარებსა და საკუთარ სახელებში ხშირად მეორდება ელემენტი **ბერ**. ბერ—ძირია საზოგადო სახელისა **ბერ-ი**, რომელსაც ქართველურ ენებში რამდენიმე მნიშვნელობა უკავშირდება: ა) ოჯი აღნიშნავს ხანდაზმულ, ხნიერ ადამიანს: „**ბერი** ხანმრავალი კაცი“ (საბა)[1], „მოხუცებული, დიდი ხნის ადამიანი“[2]. ამავე მნიშვნელობისაა **ბებერი**, რომელშიც ბერ—ძირი გაორკეცებულია (←ბერ-ბერ-ი)[3]; იგივე ძირი გვაქვს ზმნაში **დაბერება, ბერდება** (მოხუცებული ხდება) და თხზულ სახელებშიც: **ბერიკაცი, დედაბერი**. ბ) გამოხატავს რამდენიმე სხვადასხვა მნიშვნელობას. რომელთათვის ნიშანდობლივია მამრობით სქესზე მითითება: „**ბერი** საეკლესიო მსახურთა წევრი, რომელსაც მონასტერში ასკეტური ცხოვრების აღთქმა აქვს დადებული“[4]; პატრიარქი, უფროსი მამაკაცი (მაგალითად, ხეთისბერი და სხვა); ჭანურად იგივე სიტყვა **ბერე**'ს სახით ნიშნავს შვილს, აგრეთვე ბიჭს, ძეს[5]. გ) **ბერი** მამაკაცის საკუთარი სახელია: ბერი ეგნატაშვილი[6], ბერი ერისთავი, ბერი წულუკიძე[7] და სხვ. ძველ ქართულ მწერლობაში **ბერა** ევხვდება ზედწოდების დანიშნულებით—იოანე ბერაი[8]. ბერ—, როგორც საკუთარი სახელის ძირი, დასაფრენია საქართველოში მეტად გავრცელებული სახელებისა და გვარებისათვის[9].

სახელებია: **ბერა, ბერუა**...

გვარები: **ბერიძე, ბერიშვილი**, ბერაძე, ბერაია, **ბერაიშვილი, ბეროძე, ბეროშვილი, ბერეკაშვილი, ბერკაია** (→ბერიკაია). **ბერუაშვილი** და სხვ.

ბერა და **ბერუა** წარმოქმნილია კნინობითის ა სუფიქსის მეშვეობით, ისე როგორც დათა, ილა, მიტრა, სანდრა..., დათუა (←დათია), გიგუა (←გიგია) და ა. შ.

თავის მხრით, ზემოხსენებული გვარები გვეკარნახებენ შემდეგ საკუთარ სახელებს, რომლებიც დღეს ხმარებაში აღარ გვხვდება: **ბერია, ბერო, ბერუკა** (←ბერიკა) და რომლებიც წარმოქმნილია—ია, —ო.—იკა სუფიქსებით.

---

[1] ს. ს. ორბელიანი. ქართული ლექსიკონი, ი. ყიფშიძისა და ა. შანიძის რედაქციით, ტფ., 1928 წ.

[2] ქართ. განმარტ. ლექსიკონი, ა. ჩიქობავას საერთო რედაქციით, ტ. 1, 1950.

[3] ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1953. გვ. 151.

[4] ქართული განმარტებითი ლექსიკონი, ტ 1.

[5] Н. Марр. Избр. работы, т. VI, М.. 1937. გვ. 174; ა. ჩიქობავა, ჭანურ-ქართულ-მეგრული შედარებითი ლექსიკონი, თბ., 1938, გვ. 19, 20.

[6] ეგნატაშვილი ბერი, ახალი ქართლის ცხოვრება, თბ., 1940 წ.

[7] ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, ტ. II, 1959, გვ. 522.

[8] კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, 1960. გვ. 54.

[9] ა. ჩიქობავა, ჭანურ-ქართულ-მეგრული შედარებითი ლექსიკონი, 1938, გვ. 19, 20.

გვარები **ბერელაშვილი, ბერიანიძე, ბერიტაშვილი, ბეროზაშვილი, ბერულავა, ბერუჩაშვილი, ბერუხაშვილი** საშუალებას გვაძლევს გამოვყოთ აწ უხმარი საკუთარი სახელები: **ბერელა, ბერიანი, ბერიტა, ბეროზა, ბერულა, ბერუხა**, რომელთა საერთო ძირია **ბერ**, ხოლო **-ელა,-იტა,-ოზა,-უჩა,-იან, -ულა, -უხა** კი ამ საკუთარ სახელთა წარმომქმნელი სუფიქსები[10].

ამათგან **-ულ,-იტ,-უხ,-უჩ**, როგორც ეს ვ. თოფურიამ მიუთითა, კნინობითის მარტივი სუფიქსებია, რომლებიც „სრულდება—ა ელემენტით“[11]. ამის საფუძველზე ხერხდება ორმხრივი შედარება: ერთი მხრით, მოგვეპოვება როგი სხვა სახელებისა, რომელთაც დართული აქვთ ეს დაბოლოებანი, მეორე მხრით, გვხვდება გვარები და საკუთარი სახელები უამისუფიქსოდ, ან სხვა სუფიქსებით: ასე, **ბერიტაშვილ**ისაგან სავარაუდებელია საკუთარი სახელი **ბერიტა**, ხოლო **-იტა** სუფიქსი თავის მხრით ანალოგიას პოულობს სახელებში **ყაყიტა, გოგიტა, გაბიტა**[12], გვარებში: **ნანიტაშვილი, რუსიტაშვილი, ოსიტაშვილი, ზუბიტაშვილი, გოჩიტაშვილი, კაციტაძე** და სხვ. ამავე დროს თითქმის ყველა ხსენებულ სახელსა და გვარს უპირისპირდება ისეთი სახელგვარული მონაცემები, რომლებიც **-იტა** სუფიქსის გარეშეა წარმოდგენილი, ანდა სხვა სუფიქსები ახლავთ, მაგალითად, **ოსიტაშვილი** უპირისპირდება **ოსიაშვილს, ოსაშვილს** და **ოსაძეს; ბეშიტაშვილი—ბეშიძეს, გოგიტიძე—გოგიძეს, გოგიშვილს, გოგოშვილს** და ა. შ.

ქართულ ისტორიულ ონომასტიკონში შეინიშნება რთულფუძიანი საკუთარი სახელების განსაკუთრებული ჯგუფი, რომელთა ნიმუშებია: **გარაზაკურ, ნარინდავით, გოგიხუდად, სულაკალმახი, ჯანბასილი, ხეფიდავლე** და სხვ. ამგვარი სახელების შემადგენლობაში უმთავრესად ორი ფუძეა გაერთიანებული და ორივე წარმოადგენს საკუთარ სახელს.

წყვილად შერწყმული საკუთარი სახელების არსებობას გვავარაუდებინებს აგრეთვე ზოგიერთი თანამედროვე გვარიც, როგორც **გოგმაჩაძე** (← გოგ+მაჩა+ძე, შეად. მაჩაიძე), **გიორხელიძე** (←გიორგ+ხელ-ი+ძე, შეად. ხელაძე), **ალიშანიძე, მალაქშანიძე, შეშაბერიძე** (←სშა+ბერ-ი+ძე).

კომპოზიტურ საკუთარ სახელებს მიეკუთვნება ისეთი ერთეულებიც, რომელ თა შემადგენლობაში **ბერ—ძირი** მონაწილეობს; აქ ორი სახეობა გვაქვს:

ა) **ბერ**'ს კომპოზიტში მეორე ადგილი უჭირავს: **კახაბერი, ჭიაბერი, ზიობერი, გაგაბერი, ჯანიბერი, ყურაბერი, შალაბერი**; ჩამოთვლილი ნიმუშები თანამედროვე ქართულში თითქმის აღარ გვხვდება. კახაბერი და ჭიაბერი ცნობილია, როგორც ისტორიულ პირთა სახელები, ზიობერი შემონახულია გვარში ზიობერიშვილი, ხოლო დანარჩენი მაგალითები ამოღებულია „ვილაიეთის დიდი დავთრიდან“[13].

---

[10] ი. მაისურაძე. წარმოქმნის ზოგიერთი ბოლოსართისათვის ქართულ სახელგვარებში. შ. რუსთველის სახ. პათეის პუდ. ინსტიტუტის სესია, 1953 წ. 28, 29/V, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, ბათუმი, გვ. 35, 36.

[11] ვ. თოფურია, ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან, კნინობითი ქართველურ ენებში, ნ. მარის სახ. ენის ინსტიტუტის III სამეცნიერო სესია, 28, 29, 30 ოქტომბერი. 1946 წ. (მუშაობის გეგმა და თეზისები).

[12] გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, გამოსცა ს. ჯიქიამ, წ. II. 1941 წ.

[13] იქვე.

ბ) **ბერ** ძირი კომპოზიტური სახელის პირველი კომპონენტია: **ბერიჯვა-ნა** (შდრ. ჯანაშვილი, ჯანიაშვილი, ჯანიკაშვილი), ბერმამუკა (გვარში ბერ-მამუკელი), **ბერკაცა** (გვარში ბერკაცაშვილი), ბერბიჭა (—ბერბიჭაშვილი) და ა.შ. ეგრეთვე, შესაძლებელია, **ბერწუ, ბერსუმა**, პირველი წარმოდგენილია სოფ-ლის სახელში **ბერწუთი** (გორის რ.), მეორე კი მოხსენიებულია არმაზის ვერ-ცხლის თასის წარწერაში[14].

ბერ ძირის გამოყენების მრავალფეროვან სურათს გვაძლევს ის ქართუ-ლი გვარები, რომლებიც ამ ძირის შემცველ რთულფუძიან საკუთარ სახელებს შეიცავს და ბოლოვდება შვილ'თი ან ძე'თი. ამავე დროს შესამჩნევია, რომ რთულფუძიანი საკუთარი სახელის მეორე კომპონენტიც ისევ საკუთარ სახელს წარმოადგენს, ან ჩვეულებრივ გავრცელებულს, ანდა სხვა გვარში შემონახულს. მაგ., გვარში **კახბერიძე** კახი გავრცელებული სახელია, ხოლო გვარებში **მიქაბერიძე, სულაბერიძე, ჯოხთაბერიძე** პირველ ელემენტად წარმოდგენილი სავარაუდო საკუთარი სახელები შემონახულია მარტივფუძიან გვარებში: **მიქაძე, სულაძე, ჯოხთაძე**. ამ ტიპის გვარები და სახელები საკმა-ოდ მრავალრიცხოვანია. მათზე დაკვირვება საშუალებას გვაძლევს შევადგი-ნოთ ქვემომყვანილი ცხრილები:

I

ბერ-ძირის შემ-ცველი გვარები	საკუთარი სახელები		შემონახული ან გამოყენებულია გვარებში
	ბმარებული	სავარაუდო	
გიორგბერიძე	გიორგი	—	გიორგიძე, გიორგაძე.
გოგიბერიძე	გოგი	—	გოგიძე, გოგიშვილი
გუგუმბერიძე	—	გუგუ	გუგუშვილი
დოლაბერიძე	—	დოლა	დოლიძე, დოლიაშვილი, დოლბაძე
ვანიბერიძე	ვანჩე	ვანიხა	ვანჩეშვილი, ვანხაძე (←ვანიძაძე),
თავბერიძე	—	თავა	თავაძე
თუთბერიძე	—	თუთა	თუთაური, თუთაშვილი
კახაბერიძე	კახა	—	კახაძე, კახიძე...
კილაბერია	—	კილა	კილაძე
ლომსბერიძე	—	ლომსა (←ლომისა)	ლომსაძე, ლომისიძე
მიქაბერიძე	—	მიქა	მიქაძე, მიქავა, მიქაიშვილი
სულაბერიძე	—	სულა[15]	სულაძე, სულაშვილი, სულავა
შალამბერიძე	შალა (←შალვა)	—	შალაშვილი
შიომბარიშვილი	შიო	—	შიოშვილი, შიოკაშვილი, შიო-ლაშვილი
ჩხაბერიძე	—	ჩხა (←ჩხა)	ჩხაიძე (←ჩხაიძე), ჩხავა
ხუციბერიძე	—	ხუცი, ხუცა	ხუციშვილი, ხუციძე...
ჯანბერიძე	ჯანი	ჯანა, ჯანია	ჯანაშვილი, ჯანიაშვილი
ჯოხთაბერიძე	ჯოხთა[16]	—	ჯოხთაძე

[14] თ. ყაუხჩიშვილი, ბერსუმა პიტიახშის წარწერისათვის, თბილისის სახელმწი-ფო უნივერსიტეტის შრომები, XXX—B 1...

[15] ქართული ენის ისტორიული ქრესთომათია, ტ. I, გამოსცა ი. იმნაიშვილმა, თბ., 1959, გვ. 3, ხუნამისის წარწერა.

[16] გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, გამოსცა ს. ჯიქიამ, წ. II, 1941 წ.

* აუგა- ს13'ნ ბლთონშვილის პიროვნ, ტყუპის ძმაკაცი თუთა, ჯანიაშვილის სძლი. (XVII საუკ.)

II

საკუთარი სახელები	მარტივფუძიანი საკუთარი სახელ ხმარებული	სავარაუდო	შემონახული ან გამოყენებელია გვარებში
გაგიბერი	გაგი	—	გვგიძე (← გაგიძე)
გულაბერი[17]	—	გული	გულიაშვილი, გულისაშვილი
იაბერი	ია		იაძე, იაშვილი
კახაბერი	კახა	—	კახაბრიშვილი
მაღალაბერი	—	მაღალა	მაღალაშვილი, მაღლაფერიძე
ყურაბერი	—	ყურა	ყურაშვილი
ცხადაბერი[18]	—	ცხადა	ცხადაძე, ცხადაია.
ჭიაბერი	—	ჭია (?)	ჭიაბერიშვილი
ჯანიბერი	—	ჯანა	ჯანაშვილი, ჯანიაშვილი.

ცხრილებიდან ჩანს, რომ ბერ-ძირიანი გვარებისა და სახელების განხილვისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ზოგიერთი ფონეტიკური ცვლილება:

ა) თანხმოვნის გაჩენა ფუძეებს შორის:

გუგუმბერიძე←გუგუბერიძე

შალამბერიძე←შალაბერიძე←შალვაბერიძე

ბ) ვინმე დაკარგვა სახელში შალვა, რომელიც პირველ კომპონენტად შედის გვარში—შალამბერიძე (შედ. ქართლურში გავრცელებული შალა შალვას ნაცვლად).

გ) მანვე დაკარგვა **ლომაბერიძის** პირველ ნაწილში, თუ მივიჩნევდით, რომ „ლომა“ მომდინარეობს საკუთარი სახელისაგან **„ლომისა“**, (შედ. ანალოგიური წარმოების საკუთარი სახელები უფლისა, გულისა, მეფისა, შემონახული გვარებში უფლისაშვილი, გულისაშვილი, მეფისაშვილი), რომლის ახმოვან-ნაკლული ფუძე გვაქვს გვარში **ლომსაძე** (←ლომისაძე), შესადარებლად შეიძლება დავასახელოთ აგრეთვე ქ. ახალციხის ძველი სახელწოდება **ლომსია**[19] და ხატი **ლომისი** ფშავ-ხევსურეთში. ამგვარად:

ლოსაბერიძე.←ლომსაბერიძე←

←ლომისაბერიძე

დ) ა ხმოვნის მოკვეცა ზოგიერთ სავარაუდო სახელში:

თავბერიძე←თავაბერიძე

ჯანბერიძე←ჯანაბერიძე

თუთბერიძე←თუთაბერიძე

ე) შეკუმშვა კომპოზიტის მეორე ნაწილში წარმოდგენილ **ბერ**—ძირისა:

შიომბრიშვილი←შიომბერიშვილი

ჭიაბრიშვილი←ჭიაბერიშვილი

ვ) **ბერ**-ძირის შემცველ გვარებად მიგვაჩნია აგრეთვე **გურაბელიძე, ტურაბელიძე** და **გიორბელიძე**, რომელთაც განუცდიათ რა რაეს დისიმილაცია, **ბერ**—ძირი **ბელ**-ად შეუცვლიათ, ამავე დროს პირველ შემთხვევაში საკარაუდო საკუთარი სახელი **გურამ**-ი, ან შემოკლებით **გურა**, **გურო** (შედ. გვარები გურაშვილი, გუროშვილი), მეორე შემთხვევაში—**ტურა** (გვარები ტურაშვი-

[17] გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წ. II, 1941, გვ. 319.

[18] იქვე.

[19] ვინმე მესხი ი. ვვარამაძე, ახალციხე, აკაკის კრებული, № 1, 1900 წ.

ლი, ტურიაშვილი) და მესამეში კი **გიორგი**, რომელსაც მოჰკვეცია ფუძის ბოლო თანხმოვანი **გ**, ამგვარად:

გურაბელიძე←გურა(გ)ბერიძე
ტურაბელიძე←ტურა ბერიძე
გიორგბელიძე←გიორგბერიძე←გიორგ ბერიძე

განხილულ ნიმუშებში **ბერ**'-ს ყველგან მეორე ადგილი უჭირავს. მაგრამ გვაქვს (რიცხვით მცირე) ისეთი შემთხვევებიც, როდესაც იგი კომპოზიტური გვარის პირველ ნაწილად გვევლინება, ასეთებია:

ბერკაცაშვილი (შეად. კაცაძე, კაცაშვილი, კაცებაძე, კაცობაშვილი და სხვ.), **ბერბიჭაშვილი** (შეად. ბიჭაშვილი) და **ბერყმაძე** (ბერ+ყმა+ძე); ბერ-ბერაშვილ-ში კი ძირის გაორკეცებასთან გვაქვს საქმე: **ბერბერა←ბერ+ბერ-ა**.

ბერ-ძირის სემანტიკური ცვალებადობის გათვალისწინება გვიმტკიცებს, რომ იგი თავდაპირველად ზოგადი მნიშვნელობით იხმარებოდა: „სიტყვა ბერი უძველეს ხანაში ზოგად ქართულშიც ყოფილა და ფართოდ გავრცელებულიც ჩანს“,— აღნიშნავს აკად. ი. ჯავახიშვილი[20].

ჩანს ბერ'ის სწორედ ეს ზოგადი მნიშვნელობა დაედო საფუძვლად მამაკაცის საკუთარ სახელთა შექმნის წესრულში, როგორც წარმოქმნილ ფორმებს, ისე კომპოზიტებსაც, მაგრამ ფაქტობრივ მონაცემებზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ რთულფუძიან გვარებში **ბერ**-ძირის გამოყენება უფრო ადრე უნდა მომხდარიყო, ვიდრე ის საკუთარ სახელად გადაიქცეოდა. ეს იმას ნიშნავს, რომ **გოგიბერი, კახაბერი, მიქაბერი** და მისთანები საკუთარ სახელთა წყვილეულებს კი არ უნდა წარმოადგენდნენ (მიქა და ბერი, კახა და ბერი, გოგი და ბერი...), არამედ აქ მხოლოდ პირველი ნაწილი უნდა ყოფილიყო მამაკაცის სახელი (მიქა, კახა, გოგი), ხოლო ბერ-ი ზოგადი მნიშვნელობით უნდა ყოფილიყო მათზე დართული, როგორც მსაზღვრელი, როგორც მამრობითი სქესის აღმნიშვნელი სიტყვა (ვაჟი, ძე, ბიჭი, ყრმა).

საკუთარი სახელის მამრობითი სქესის ჩვენება, ადამიანის ვაჟობის, ძეობის, თუ ბიჭობის მიხედვით განსაზღვრის ამგვარი ტენდენცია ახლაც შეინიშნება ქართული ენის დიალექტებში. აღმოსავლეთ საქართველოში მამაკაცის საკუთარ სახელზე „ბიჭის“ დართვა ჩვეულებადაა ქცეული, იტყვიან: ლუკა ბიჭი, გიორგა ბიჭი, ლადო ბიჭი. ეს მოვლენა გამოხატულია მხატერულ ლიტერატურაშიც: **გოგლა ბიჭი** (ს. ზანშიაშვილი), **გაგნა-ბიჭი** (ი. ევდოშვილი), **ჰინკა-ბიჭი** (ლ. ქიაჩელი), **კანჭა ბიჭი** (მ. ჯავახიშვილი, გ. შატბერაშვილი), **ქიტა-ბიჭი** (ლ. გოთუა), **მათე ბიჭი** (ვ. კანდელაკი).

საკუთარ სახელზე ყმა მსაზღვრელის დართვის ანალოგიურ შემთხვევას წარმოგვიდგენს ზოგიერთი ქართული გვარიც: **ვაშაყმაძე** (←ვაჟაყმაძე—ვაჟა+ყმა+ძე), კეჭაყმაძე (←კეჭა+ყმა+ძე), **ოსიყმაშვილი** (ოსი+ყმა+შვილი).

ამ გვარებში ყმას მამრობით სქესზე მითითების ისეთივე ფუნქცია უნდა ჰქონოდა, როგორიც აქვს ზემოხსენებულ ბიჭს. ამგვარივე დანიშნულების უნდა ყოფილიყო, როგორც დავინახეთ, ზემოგანხილულ სახელებსა და გვარებში შემონახული **ბერი**.

---

[20] ი. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, თბ., 1937, გვ. 186.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სანამ განსაზღვრების გაგებით იხმარებოდა, ბერ-ი სათანადო სახელებთან ცალკე გაიაზრებოდა და დღევანდელი კომპოზიტური სახელების პირველი კომპონენტებიც, როგორიცაა მაგალითად, **კახა, მიქა, ცხადა, თავა, ყურა** და სხვ. დამოუკიდებელი საკუთარი სახელების ფუნქციით იყენენ აღქურვილნი, როგორც ამაზე პირდაპირ მიგვითითებს შესატყვისი გვარებიც: **კახაძე, მიქაძე, ცხადაძე, თავაძე, ყურაშვილ,** ხოლო შემდეგ, დროთა განმავლობაში, როცა ბერ-ის განმსაზღვრელი მნიშვნელობა შესუსტდა და იგი შეეზარდა ხსენებულ მარტივ სახელებს, შეიქმნა მამაკაცის ახალი რთულფუძიანი საკუთარი სახელები: **კახაბერი, მიქაბერი, ცხადაბერი, თავაბერი,** რომლებიც საფუძვლად დაედო ზემოხსენებული კომპოზიტური გვარების წარმოშობას.

მაგრამ აქ გასათვალისწინებელია კიდევ ერთი საგულისხმო ფაქტი. ამ ტიპის ზოგიერთი სახელი—**თუთაბერი, კაკუბერი, ყუთაბერი, გოგებერი** და თვით **კახაბერიც** დამოუკიდებელ გვარებად გვევლინება. სპეციალურ საგვაროვნო დაბოლოებათა გარეშე წარმოდგენილი ეს სპეციფიკური გვარები, ჩვენი აზრით, უძველესი ვითარების გამომხატველად უნდა იქნეს მიჩნეული, როდესაც ტოტემთა ან პატრიარქთა სახელები, პროფესია-ხელობა-თანამდებობის აღმნიშვნელი ტერმინები, ადგილთა, ტომთა, თუ ხალხთა სახელწოდებანი და სხვა ნიშნეულობათა გადმომცემი საზოგადო მნიშვნელობის სიტყვები (ზედსართავნი) თანდათანობით იქცეოდნენ ნათესაურ შტოდ შეკრული საზოგადოებრივი ჯგუფის თაობებზე გარდამავალ მუდმივ ზედწოდებად და ქმნიდნენ საკუთარ სახელთან ერთად თანსატარებელ საგვარეულო სახელს, ანუ დღევანდელი გაგებით, გვარს.

სახელდების ამ ისტორიული პროცესის მაჩვენებელია დღემდე მოღწეული ისეთი გვარები, რომელთა ნიმუშებია: **შერმადინი, ილარიონი, ბაზალი, მუხიგული, ჩიგოგა, მუჯირი, ამილახვარი** (←ამილახორი←ამირახორი), **ციხისთავი, ერისთავი, ხატისკაცი, ათაბაგი, მდივანი, გამგებელი, გალობელი** (←მგალობელი), **ჯანდიერი, მეღვინეთუხუცესი, ბაზიარი, მამასახლისი, ხარატი, მხატვარი, სვანი, დვალი, აფხაზი,მესხი, გურული, გურიელი, წერეთელი, გომართელი** (გომარეთელი), **იშხნელი** და სხვ. ზოგიერთმა მათგანმა შემდგომში ახალი გაფორმება მიიღო, დაირთო რა (ანალოგიის ძალით) საყოველთაოდ გავრცელებული საგვაროვნო დაბოლოებანი (ძე, შვილი;—ურ ‖ —ულ,-ია, -აფა,-იან...) და შემორჩენილ ძველ ვარიანტებთან ერთად შეიქმნა ასეთი პარალელური ერთეულები:

ჩიგოგა	ჩიგოგიძე
მუჯირი	მუჯირიშვილი
გამგებელი	გამგებელიძე
ბაზიარი	ბაზიერაშვილი, ბაზარაშვილი.
ხარატი	ხარატიშვილი
სვანი	სვანიძე
დვალი	დვალაძე, დვალიშვილი
აფხაზი	აფხაზავა

მესხი	მესხიძე, მესხიშვილი
გურიელი	გურიელიძე[21].

მსგავს ვითარებას გვიჩვენებს ბერ-ელემენტიანი გვარებიც:

გოგიბერი	გოგიბერიძე
კახაბერი	კახაბრიშვილი
კაკუბერი	კაკუბერია

როდის და როგორ მოხდა საზოგადო მნიშვნელობის ლექსიკური ერთეულების გადაქცევა მკაცრად განსაზღვრული ფუნქციის მქონე საკუთარ სავაროვნო ზედწოდების სიტყვებად, შემდეგ კი სათანადოდ გაფორმებულ გვარ -სახელებად, ამის ჩვენება სპეციალური კვლევის საქმეა. ხოლო ის, რაც ითქვა ბერ -ძირზე, საშუალებას გვაძლევს გავაცხადოთ, რომ ქართულ გვართა გენეტიკის პრობლემაზე მომუშავე მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის ამ საყურადღებო სიტყვასთან დაკავშირებულ, ჯერ კიდევ შეუსწავლელ რიგ საკითხებს, კერძოდ, მის სემანტიკურ ფუნქციას და ისტორიულ როლს ქართველური ენათა ონომასტიკონში.

---

[21] აქ, რასაკვირველია, მხედველობაში არ არის მისაღები უკანასკნელ ხანებში შექმნილი **ტენდენცია**—გამარტივება-შემოკლების მიზნით ხელოვნურად გადააკეთონ ზოგიერთი გვარი და მოხსნან მათ ტრადიციული საგვაროვნო დაბოლოებანი, როგორც მაგალითად: **ყარქესალი** (←ყირხჭესალიშვილი, „ყირხჭესალი“ თურქულია და ნიშნავს 40 ჭისის მფლობელს), **პარმა** (პარმახსიზაშვილი), ვარძიელი (←ვარძელაშვილი), **ბალანჩინი** (←ბალანჩიაძე) და მისთანები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკიდან

ალ. ჭინჭარაული

(წარმოადგინა საქ. სსრ მეცნ. აკად. ენათმეცნიერების ინსტიტუტმა)

I. „ლიპი“

როდესაც დავარმა ნესტანი ქაჯებს გადასცა გადასაკარგავად:

მან უთხრა: წადით, დაკარგეთ მუნ, სადა ზღვისა ჰიპია;

წმიდისა წყალი ვერ ნახოს მყინვარე, ვერცა **ლიპია** (581).

რას ნიშნავს სიტყვა **„ლიპი“**? პროფ. ა. შანიძე განმარტავს: „ლიპი“ მდინარი, თხევადი“-ო. ვფიქრობთ, ეს კონტექსტის თავისებურად გააზრების შედეგად მიღებული განმარტებაა: ქართულ ლექსიკოგრაფიულ ლიტერატურაში „ლიპი“-ს ეს მნიშვნელობა ვერსად დავადასტურეთ. ზემოხსენებული განმარტების მიხედვით გამოდის, თითქოს „მყინვარე“ და „ლიპი“ საპირისპირო ცნებები იყოს: „გაყინული“ და „გაუყინავი“ (თხევადი).

სამა წერს: **„ლიპი“** მთელი ადგილი გაყინული“-ო. **„ყინელ“**-თან სამას უწერია: „გზანი ანუ ადგილნი თოვლთა ნადნობითა თუ მოიყინა, **ლიპი** არს“-ო. ნ. ჩუბინიშვილთან „ლიპი“ ასეა განმარტებული: „მოლიპული ყინვისაგან, ანუ სისველისაგან, სასრიალებელი, სასხლტი, скользкий“. ამ ლექსიკონებში, როგორც ეხედავთ, „ლიპი“ გაყინვას უკავშირდება, ლიპი მოყინული ადგილია. გვიან ეს მნიშვნელობა განვითარდა და ყველაფერს, რასაც გლუვი ზედაპირი აქვს, ლიპს ეძახით. „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ „ლიპი“ ასეა განმარტებული: „ლიპი—სრიალა ზედაპირი, სადაც ფეხის მოკიდება ძნელია,—მოლიპული“. თვითონ „მოლიპული“-ც (მო-ლიპ-ულ-ი) „ლიპი“-დან ნაწარმოები სიტყვაა.

ასეა, თუ ისე, ლიპის ძველი მნიშვნელობა თხევადობას გამორიცხავს, ლიპი მოყინული ადგილია, მიწის ზედაპირია, **„მთელი ადგილი გაყინული“**. ხაზი ესმება იმას, რომ **გზა** ან **ადგილია** მოყინული.

რაღა არის, „მყინვარე“? ეს სიტყვა ვეფხისტყაოსანში მხოლოდ ერთხელ გვხვდება. სამას „მყინვარე“ განმარტებული აქვს, როგორც „ყინავს“ ზმნის მიმღეობა. „მყინვარე—ყინვის მოქმედი“-ო წერს იგი.

პროფ. ა. შანიძის განმარტებით ვეფხისტყაოსანში დადასტურებული „მყინვარე—გაყინული“-ა. აქაც „მყინვარე“ მიმღეობად ჩანს გაგებული. ჩვენი აზრით, „მყინვარე“ ვეფხისტყაოსანში სუბსტანტივია ისევე, როგორც „ლიპი“. „მყინვარე“ აქ ნიშნავს დღევანდელ **„ყინულ“**-ს, დიალექტებში დადასტურებულ **„მყინვარ“**-ს და **„ყინვარ“**-ს.

ამ სიტყვის ასე გაგების საშუალებას იძლევა „ვისრამიანის“ ტექსტი:

„ესეცთაარი თოვლი და **მყინვარი** არის, რომელ მისგანე სახლად მყოფი ვქუდები!“ (ვისრ. 242. 35); „თოვლი და მყინვარი“ ნიშნავს თოვლი და ყინული (лед).

„ესრე საკუირველადაა ტანი ჩემი მიჯნურობისაგან, რომელ ნახევარი ცეცხლსა ჰგავს და ნახევარი—**მყინვარსა**“ (ვისრ. 245. 5); „ცეცხლი და მყინვარი“—ცეცხლი და ყინული (лед).

თანამედროვე ქართულში „მყინვარ“-მა ყინულის მასის მნიშვნელობა მიიღო (ледник) (იხ. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი), **„მყინვარე“** აღარ იხმარება. „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ მოყვანილია „მყინვარე“ ვაჟას ილუსტრაციით: „კლდეებიც წყალსა ჟონავენ, სრულად დამდნარა **მყინვარე**“. „მყინვარე“-ს აქ აქვს განმარტება „მარად უდნობი ყინული მთაში (ა. შან.)—მყინვარი“-ო. ვფიქრობთ, ამ განმარტებასაც დაზუსტება სჭირდება. **მარად უდნობ** ყინულს „მყინვარი“ ეწოდება. აქ ლაპარაკია **„ყინულ“**-ზე, რომელიც მარად უდნობი კი არ არის, არამედ გაზაფხულზე დნება („**სრულად დამდნარა** მყინვარე“). „მყინვარი“ ფშაურში ყინულს ნიშნავს. ვაჟას ეს ფორმა **უხმარია** „მყინვარე“—ფორმით, რითმის იძულებით („მდინარე“, „მძივნვარე“...).

ფშაველები ყინულის მაგიერ ამბობენ „**მყინვარ-ს**“, ხოლო ხევსურები **„ყინვარ“-ს**: **ფშ.**: „ნუ მაჰკლავ, დამბადებელო, მეგრელათ ფუნჩისაო...

...ნუ გაუყინავ, **მყინვარო**, ფეხზე ნაცვამსა ჯღანსაო“
(რაზიკ. 103,91);

„ქართლის ტყეე გამოპარულა, გამამხდარიყო ზღვასაო,
ნუ ჩაუხდები, მთავარო, ნუ ჩაუბნელებ გზასაო!
ნუ გაუყინავ, **მყინვარო**, გადასავალსა გზასაო!“
(რაზიკ. 59, 114);

ხევს.: „ბევრ მახე გამიკილავს, ბევრას გავბკილავ კიდეცა.
სადაც **ყინვარზე** შავვარდი, გავიარე და ვკიბეცა“ (ხევს. თავისებ. 670,20);

„**ყინვართ** წყალზე ქისტებსა მონა დაედვა ფერია“
(ხევს. პოეზ. 216, 12);

„გამაგრდი, გულო, გონებავ, როგორც **ყინვარი** სალიო“
(ხევს. თავისებ. 412,22);

„საწყალო, მენადირეო, ვის აქვ წვალება შენია?
შაჭდომა გინდა (რას იქამ?), საცა **ყინვრიან** წვერია“
(ხევს. პოეზ. 514,26);

„დავითვერ, ნისლმა დამითვრა აბანოთ ამამდინარმა.
არცა-რა ნისლმა დამითვრა,—ჯავრმა და გულის **ყინვარმა**“
(ხევს. პოეზ. 690).

შდრ. აგრეთვე **„ყინვარი შაქარი“** || **„ყინვარე შაქარი“** და **„ყინვარშაქარი“** (შაქარყინული, იხ. ქგლ.). **„ყინვარ**შაქარი“ ახლა „შაქარ**ყინულ**“-ა, ე. ი. ძველსა და დიალექტებში დადასტურებულ **„ყინვარ“**-ს („მყინვარე“-ს) ახლა **„ყინული“** ცვლის.

ამრიგად, „ვეფხისტყაოსნის“ სადაო სტრიქონში **„მყინვარე“** და **„ლაპი“** ორივე ყინულს ნიშნავს, ოღონდ „მყინვარე“ საერთოდ ყინულია (лёд), ის ყინულია, მდინარესა და მტკნარწყლიან ტბებზე რომ ჩნდება, ხოლო „ლაპი“ მიწაზე, გზებზე თხელ ფენად გადაკრული „თოვლთა ნადნობითა“ მოყინული ადგილია. შეიძლება ეთქვათ: „ყინულს ნატეხი“-ო, მაგრამ „ლიპის ნატეხი“-ო არავინ იტყოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყინულის ეს ორი სახე უნდა ჰქონდეს დასახელებული რუსთაველს აღნიშნულ ადგილას.

ხელნაწერებში ნაირ-ნაირად იკითხება სადავო სტრიქონის პირველი მუხლი. კრიტიკული გამოცემის მიერ მიღებული წაკითხვა „**წმიდისა წყალი** ვერ ნახოს“ იკითხება EFF'L'R'-ში, „წმინდისა წყალი“ UV-ში, ე. ი. ნათესაობით -სახელობითი დასტურდება მხოლოდ ოთხ ძირითად ხელნაწერში. დანარჩენ ძირითად ხელნაწერებში (გარდა lZ ხელნაწერთა, სადაც „**რომ წმინდა წყალი**“ იკითხება) ვვაქვს წაკითხვა: „**წმინდისა** (ან **წმიდისა**“) **წყლისა** (C-ში „**წყალსა**“) **ვერ ნახოს**“.

ჩვენ ეს მეორე წაკითხვა მიგვაჩნია ავტოგრაფისეულად. „**წმიდისა წყლისა ვერ ნახოს მყინვარე, ვერცა ლიპია**“. „წმიდა წყალი“ ნიშნავს მტკნარ წყალს, რომელიც აქ უპირისპირდება არა-წმინდა, არა-სასმელ, მლაშე ზღვის წყალს. „წმიდის წყალი“ უაზრო ფრაზაა. დავარი ქაჯებს ეუბნება: ნესტანი დაკარგეთ, შუა ზღვაში შეიყვანეთ, რომ „წმიდისა წყლისა“ (მტკნარი წყლისა) ვერ ნახოს ვერც ყინული და ვერც ლიპიო. ასე აზრი სრულიად გასაგებია. თუ სტრიქონს ასე გავიაზრებდით: არც წმინდა წყალი ნახოს, არც ყინული და არც ლიპიო, მაშინაც ნათესაობითის ფორმა უადგილო იქნებოდა. თუ „წმიდა“-ს სახელობით ბრუნვაში დავსვამთ, მარცვალი დაგვაკლდება და კავშირი „რომ“ უნდა დავუმატოთ (როგორც ეს lZ ხელნაწერებშია): „რომ წმიდა წყალი ვერ ნახოს მყინვარე, ვერცა ლიპია“ და სტრიქონი ასე უნდა ავხსნათ: ვერც წმინდა წყალი ნახოს, ვერც ყინული და ვერც ლიპიო. ასეთი წაკითხვის მიღებისას „მყინვარე“-ს წინ მძიმე უნდა დავსვათ, რათა „მყინვარე“ მიმღეობად არ გავიგოთ.

მაგრამ, ვფიქრობთ, ზემოთ მოყვანილი მსჯელობის შემდეგ ასეთი ოპერაციები საჭირო არ არის; ვიმეორებთ: „წმიდისა წყალი“ უაზრო ფრაზაა. ხელნაწერების უმრავლესობა გვაწვდის წაკითხვას „წმიდისა წყლისა“, რაც სრულიად გამართული შესიტყვებაა და კარგად ეგუება აღნიშნულ კონტექსტს.

დასკვნა: 1. სადავო სტრიქონში „მყინვარე“ ნაშნავს „ყინულს“ (дёд) და არა „გაყინულს“: **ლიპი**—მიწაზე თხლად გაკრული ყინულია, მოყინული ზედაპირია.

2. 581,2 სტრიქონი ასე უნდა იკითხებოდეს: **„წმიდისა წყლისა ვერ ნახოს მყინვარე, ვერცა ლიპია“.**

II. „შემდეგმან“ თუ „შედეგმან“?

ტარიელის საძებნელად წასულ ავთანდილს სამი კაცი შეხვდა: „ორთა კაცთა წვეროსანთა ყმა მოჰყვანდა უწვეროსი“, რომელიც „თავსა იყო დაკოდილი“. ავთანდილმა მათ ამბავი გამოჰკითხა. ძმები აღმოჩნდნენ. ძმათა შორის უფროსი უყვება ავთანდილს, თუ როგორ გადაეყარნენ ვინმე უცხო მოყმეს, როგორ სცადეს მისი გაჩერება, როგორ შეეტაკნენ ერთმანეთს და სხვ.

„მე უხუცესმან უმცროსთა კაცი დავსხოვე ქენებით;
ჩემმან **შემდეგმან** ტაიჭი მისი მით აქო ხსენებით;
ამან მართ ოდენ მორევნა გვითხრა, ვუალეთ ჩვენებით,
მივჰმართეთ, იგი აგრევე წუნარად მივა და შვენებით“...(206).

სადავოა მეორე სტრიქონში ნახმარი სიტყვა **შემდეგმან**. ხელნაწერებში ასეთი ვითარებაა: კრიტიკული გამოცემის მიერ მიღებული ეს წაკითხვა („**შემდეგმან**“) იკითხება მარტო OVE'G' ხელნაწერებში. RI' ხელნაწერებში იკითხება „**შემდეგმა**“, რაც არსებითად იგივე ფორმაა („ნ“ აკლია ბოლოში); CL ხელნაწერებში იკითხება „**შემდგომმან**“. დანარჩენ ხელნაწერებში (ABEFGHJKTUVXZ) იკითხება „**შედეგმან**“, l ხელნაწერში „**შედეგმა**“, რომელიც ამ უკანასკნელ წაკითხვას უდგას გვერდში (ამასაც მოლოდ „ნ“ აკლია). დანარჩენ ხელნაწერებში ეს სტროფი საერთოდ არ არის.

რომელი წაკითხვა უნდა იყოს ამათგან ავტოგრაფისეული? **ხელნაწერებიდან ყველაზე მეტი ემოწმება წაკითხვას „შედეგმან“**. ეს შემთხვევითი არ არის.

საბა განმარტავს: „**შედეგი**—ჩამო, გინა მაზედ ნაკლებიო“-ო. „ჩამო“ აქ ვისზედმე უმცროსს ან რაზედმე ცოტას, ნაკლებს ნიშნავს („გინა მაზედ ნაკლები“). ხევსურულში დასტურდება ამ „ჩამო“ ზმნისწინიდან გაკეთებული **„ჩამაითა“** (**ჩამა-ით-ა**, შდრ. **ა-ის-ი**, **და-ის-ი**.), რაც რაზედმე ცოტას, ნაკლებს, ვისზედმე უმცროსს ნიშნავს.

„შედეგი“ ძველ ქართულში სწორედ ასეთი მნიშვნელობით დასტურდება:

„რა გათენდა, დილასა გამოიხვნეს საკრამანგნი კარავნი ოთხნი ორნი დიდ-დიდნი და ორნი **შედეგნი**“ („ამირან-დარეჯანიანი“, ს. კაკაბაძის გამოცემა, 1939 წ., გვ. 124,7);

„და დაიპყრეს სამცხე სამთავე ძეთა მისთა: **უხუცესმან** სარგის, და **შედეგმან** უფარყუარე, და **უმრწემესმან** შალვა“ („ქართლის ცხოვრება“, ტ. I, გვ. 323, 18, 1959 წ.);

„დარჩეს სამნი შვილნი ფალავანდისნი, მაყოროელად ყოველისა სპარსეთისა, რომელთა მაინისაგან და ბიძისაგან გაჰყოფოდეს ქვეყანანი ესრეთ: **უფროსსა**, ხუტლუ-ანანჩის, ერაყით ხუარასნამდის და ბაბილონამდის; და **შედეგსა**, ამირ-ბუბაქარს, ადარბადაგანი სომხითამდის; და **უმცროსსა**, ამირ-მირმანს, არანი გურგანის ზღუთ გელაქუნის ზღუამდე“ (იქვე, 62,16).

„[ამოტ კურაპალატმა]... დაუტევნა სამნი ძენი: **უხუცესი** ადარნასე და **შედეგი** მისი ბაგრატ. ესე ორნი თანა ჰყვეს ჴმას, რაჟამს-იგი მოიწია შავშეთ-კლარჯეთად, ხოლო **უმრწემესი** გუთარამ არტანუჯს მოსლვასცა შინა დაებადა“ („ქართლის ცხოვრება“, ტ. II, 377, 30, 1955 წ.);

„და ვერ უძლო წინაღდგომად მათდა აშოტ და ჴევლოდა მათგან. და წარემართა, რათა წარვიდეს საბერძნეთად და თანა ჰყვეს მას დედა და ცოლი და ორნი ძენი ასაკით ჩჳლნი, **უხუცესი** ადარნასე და **შედეგი** ბაგრატ“ (იქვე, 376,12).

პროფ. ს. ყაუხჩიშვილი განმარტავს: „**შედეგი**“—„შემდეგი“, „მომდევნო“, „მეორე“, „უმცროსი“.

ეს მნიშვნელობა სრულიად გარკვევით ჩანს მოყვანილი ამონაწერებიდან. „შედეგი“ გვიანი პერიოდის ძეგლებშიაც გვხვდება. მაგ. „რუსუდანიანში“ იგი „შემდეგისა“ და „მემკვიდრის“ მნიშვნელობით არის ნახმარი (იხ. ივ. გიგინეიშვილის ლექსიკონი, რომელიც ერთვის „რუსუდანიანის“ 1957 წლის გამოცემას). შდრ. „**შედეგი**“-ს დღევანდელი მნიშვნელობა: „**შედეგები**“, „ამის **შედეგად**“ და სხვ.

„ქართლის ცხოვრებიდან“ მოყვანილ ამონაწერებში სამ ძმაზეა საუბარი ისევე, როგორც „ვეფხისტყაოსანში“. „**უხუცესი**“ „**შედეგი**“ და „**უმრწემესი**“ ან „**უფროსი**,“ „**შედეგი**“ და „**უმცროსი**“.

ჩანს, დღევანდელი „**მომდევნო**“—ტერმინის ფარდი ძველ ქართულში იყო „**შედეგი**“ („მომდევნო“ სახის არა აქვს ლექსიკონში). სწორედ ეს ტერმინი სჭირდებოდა ავთანდილთან მოსაუბრეს: იგი უფროს-უმცროსობის რაგით უყვება ავთანდილს, თუ რომელმა ძმამ რა ქნა: „მე, **უხუცესმან უმცროსთა**“ ვთხოვე, რომ უცხო მოყმის დაჭერა ჩემთვის მოენდოთო, ჩემმა **მომდევნო** (**„შედეგმან“**) ძმამ მისი ტაიჭი აქო (ე. ი. ვერ გამასწრებს ის უცხო კაცი), **ამან**, ე. ი. **უმცროსმა** (**უმრწემესმა**) გვითხრა: მე მარტო მოვერევიო და სხვ.

საყურადღებოა ერთი გარემოებაც: „ვეფხისტყაოსანში“ „შემდეგ“, „შემდგომ“ ან „შემდგომი“ საერთოდ არ დასტურდება. გვიანი ეპოქის ძეგლებისათვის ეს ჩვეულებრივი და ხშირი ხმარების სიტყვა „ვეფხისტყაოსნისთვის“ უცხოა, მის ნაცვლად „მერმე“ იხმარება. ეს სიტყვა მხოლოდ ამ სტროფში დასტურდება რამდენიმე ხელნაწერში. „ვეფხისტყაოსანში“ არც „**შედეგი**“ დასტურდება ამ სტროფის გარდა. ამ სტროფში კი მას ხელნაწერთა უმრავლესობაც უჭერს მხარს და კონტექსტიც. იმთავითვე რომ „შემდეგი“ ან „შემდგომი“ წერებულიყო ავტოგრაფში, ცხადია, მე-17 და მე-18 საუკუნის გადამწერები მას „შედეგი“-თ არ შეცვლიდნენ, უნდა მომხდარიყო პირიქით—შედარებით უცხო ტერმინი ნაცნობით უნდა შეეცვალათ და რამდენიმე გადამწერს კიდეც შეუცვლია.

ვფიქრობთ, კრიტიკულ გამოცემაში უნდა შევიტანოთ წაკითხვა „**შედეგმან**“.[1]

---

[1] ეს სწორი ფორმა იკითხება იუსტ. აბულაძისეულ და ს. კაკაბაძისეულ გამოცემებში

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის ერთი წყაროს შესახებ

მ. ქავთარია

(წარმოადგინა საქ. სსრ მეცნ. აკად. წევრ-კორესპონდენტმა ილ. აბულაძემ)

1743 წელს მოსკოვში დაიბეჭდა ქართული ბიბლიის პირველი გამოცემა, რომელიც ჩვენი კულტურის ისტორიაში ბაქარის ბიბლიის სახელითაა ცნობილი. ამ გამოცემის მომზადებას წინ უძღოდა ათეული წლების დაუღალავი მუშაობა და მრავალ ტექნიკურ დაბრკოლებათა გადალახვა[1]. საქართველოში ბიბლიის წიგნების შეგროვება-თავმოყრა და გამართვა-რედაქტირება მე-17 საუკუნის მიწურულიდან დაიწყო. ამ საქმის ინიციატორი ორბელიანთა ოჯახი იყო, ხოლო შემდეგ კი მთელი სული და გული ვახტანგ VI და სულხან-საბა ორბელიანი. 1710—1711 წწ., როგორც ქრისტინე შარაშიძემ გაარკვია[2], სულხან-საბა ორბელიანის რედაქციით თბილისში დაიბეჭდა საკუთარი ჯაფით გამართული ძველი აღთქმის რამდენიმე წიგნი, ამ გამოცემის ერთი ეგზემპლარი ჩაკინძულია კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერში A—51-ში. ამით გათავდა ჩვენში მოლიანი ბიბლიის დაბეჭდვის ცდა[3].

ვახტანგ VI-ისა და სულხან-საბას პარალელურად რუსეთში ბიბლიის ბეჭდვის საქმეს ხელი მოჰკიდა ემიგრაციაში მყოფმა არჩილ მეფემ. მან საქართველოდან გამოითხოვა საჭირო ნუსხები[4] და შეუდგა მათ რედაქტირებასა და სასტამბოდ მომზადებას. ამ მუშაობის შედეგია 1705 წელს მოსკოვში დაბეჭდილი „დავითნი“.

ვახუშტი ბატონიშვილი ბაქარის ბიბლიის გამოცემის ბოლოსიტყვაობაში წერს: „მაშინ იგუსა (არჩილმა)... შეკრებად წიგნისა ამისა და ითხოვა ძმისწულისა თჳსისა, ძისა ლევანისა, ვახტანგისაგან, რომელი იყო მას ჟამსა შინა მოადგილე ბიძისა თჳსისა მეფისა გიორგისა — ქართლის გამგედ, წიგნნი და-

---

[1] ლენინგრადის ცენტრალურ ისტორიულ არქივში, ყოფილ სინოდის საქმეებში ეევბერთელა ტომია დაცული, რომელშიც აღნუსხულია 1743 წ. ბიბლიის გამოცემის მოსანახდებელი წინა პერიოდი და დაბრკოლებანი. იხ. დასახელებული არქივის საქმე-ფონდი 796 აღწერა № 18, საქმე №285. შდრ. სოლ. ყუბანეიშვილის წერილი, ლიტერატურული ძიებანი, ტ. IV.

[2] ამ გამოცემის შესახებ დაწერილებით იხ. კრ. შარაშიძე, პირველი სტამბა საქართველოში, 1955, გვ. 166—177.

[3] ტრ. რუხაძის აზრით, 1720-იან წლებში თბილისში დაიწყო ქართული ბიბლიის ბეჭდვა. ავტორი წყაროს არ ასახელებს; იხ. ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან XVI—XVII სს., 1960, გვ. 151, სქოლიო 2.

[4] ხელნაწერების გაგზავნა-გამოგზავნის ასეთი ტრადიცია არსებობდა. შდრ. ლ. მგელაბე, ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო კერების ისტორიიდან, თსუ შრომები, გვ. 96, 240—241.

ბადებისა და რომელნიცა მუნ იპოვებოდენ მოუგზავნა". ვახუშტი დასძენს, რომ ზოგი წიგნი „თჳთ აქუნდეს" არჩილს, ზოგი კი მაკაბელთა და ისო ზარაქი არჩილმა თჳით თარგმნა. „ხოლო მაკაბელ თჳთ ეთარგმნეს და ზარაქი ეგრეთვე"[5]. ე. ი. ვახუშტის ცნობით, ვახტანგს არჩილისათვის გაუგზავნია ბიბლიის ის წიგნები, რომლებიც საქართველოში იპოვებოდა, ხოლო თვით არჩილს კი მეფესია ხარვეზი და სლავურიდან უთარგმნია ისო ზარაქი და მაკაბელთა სამივე წიგნი.

ამჯერად ჩვენ გვაინტერესებს ისო ზარაქის წიგნთან დაკავშირებით ზოგიერთი საკითხი.

ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის სახელმწიფო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში ინახება ზატიკი (გრენის კოლექცია № 518), რომელიც მეტად საინტერესო ხელნაწერი აღმოჩნდა. დავიმოწმებთ ამ ხელნაწერის ანდერძს: „მე, ცოდვილმან და ყოველთა მცოდველთა უმეტეს შეცოდებულმან მაღალაძემ სვეტიცხოველის ქადაგ არქიმანდრიტმან, სახლს ხუცის პაპუასა და ელენეს შვილმან და მათმან ჭირნახულმან ნიკოლოზ, შემოგწირე თქვენ ჩვენსა საფლავ-სამარხს კავთისჴევს, ბეთლემისა მღთისმშობლის ტაძარსა და საყდარსა პატიოსანსა წმიდა და პატიოსან წიგნი ესე სრული და უნაკლულო ხატიკი ესე, ვინც გამოგწეროს... ადამს აქეთ 7208, ქ-კს ტჳს (1700 წ.) მაისის 10".

ხელნაწერი ხელახლა შეუკაზმავთ, როგორც მინაწერიდან ჩანს, 1784 წელს. ამ ხელნაწერის ზედა ყდის მხარეზე დაწებებულია მხედრულად ნაწერი ფურცელი, რომელმაც მიიპყრო ჩვენი ყურადღება. ფურცელზე დაკვირვებისა და მის სხვა ხელნაწერებთან შედარების შემდეგ უცილობლად დადგინდა ორი ფაქტი: ა. ფურცელს დაუცავს ცნობილი ლექსიკოგრაფის სულხან-საბა ორბელიანის ავტოგრაფი (შდრ. ხელნაწერებს საბას ავტოგრაფებს: H 416, A 303 და ა. შ.); ბ) ფურცლის ტექსტი წარმოადგენს ნაწყვეტს ისო ზარაქის წიგნიდან (თავები 36 და 37. ფოტოზე მბოლოდ recto ჩანს). მაშასადამე, საბას თავის დროზე გადაუწერია ისო ზარაქის წიგნი, რომლიდანაც შემოგვრჩა ერთი ფურცელი.

უპირველეს ყოვლისა, უნდა გაირკვეს, როდის შეიძლებოდა საბას ავტოგრაფი მოხვედრილიყო დასახელებული ხელნაწერის ყდაზე. ჩვენი ფიქრით, ეს პროცედურა ჩატარდა ხელნაწერის მეორედ შეკაზმვისას, ე. ი. 1784 წელს, რადგანაც ძნელი დასაჯერებელია, რომ 1700 წელს ე. ი. იმ დროს, როდესაც საბა გარეჯაში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა, როდესაც მისი ავტორიტეტი და მდგომარეობა საკმაოდ ძლიერი იყო, გაენადგურებინათ საბას ხელით გადაწერილი წიგნი. და რაც მთავარია, ჩვენი აზრით, საბას ეს ფურცელი (resp. წიგნი) 1700 წლისათვის საერთოდ გადაწერილი არც ჰქონდა.

ფაქტი, რომ საბას ხელით გადაწერილი აღმოჩნდა ისო ზარაქის წიგნი, მეტად საგულისხმოა და რამდენიმე საკითხს აყენებს: 1. როდის და სად გადაწერა საბამ აღნიშნული ტექსტი, 2. რამდენად აისახა ისო ზარაქის ლექსიკური მასალა „სიტყვის კონაში" 3. რა ურთიერთობაშია საბას გადაწერილი ტექსტი არჩილის თარგმანთან.

---

[5] ქართული წიგნი, ტ. 1, № 33, გვ. 47.

როგორც ცნობილია, ორბელიანთა ოჯახში დაიწყო ბიბლიური წიგნების შეგროვება. ასე წარმოიშვა ხელნაწერი A—51, ე. წ. მცხეთური ბიბლია ან საბას ბიბლია. ამ უკანასკნელს დღევანდელი სახე უნდა მიეღო 1711 წლის შემდგომ, რადგანაც მასში ჩაკინძულია წინასწარმეტყველთა წიგნები, რომლებიც ამ წელს გამოქვეყნდა თბილისში საბას რედაქტორობით[6].

A—51-ში ისო ზარაქის წიგნი საერთოდ არ არის. ეს ნიშნავს, რომ A—51 გაფორმების დროს ზარაქის ტექსტი საბას არ ჰქონდა ხელთ. A—51-ში არის ისო ზარაქიდან მხოლოდ პატარა ფრაგმენტი მე-2 თავიდან, სულ 23 სტრიქონი. ლენინგრადული ფრაგმენტის ტექსტისა და A—51-ში დაცული რამდენიმე სტრიქონის შედარების შესაძლებლობა არ არის, რადგანაც სხვადასხვა ადგილებია. მაგრამ მიუხედავად ამისა, გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ მათ შორის დიდი სხვაობა იქნებოდა, რადგანაც A—51-ში არის ოშკის ბიბლიის ტექსტი, ხოლო საბას გადაწერილი ტექსტი კი აბსოლუტური იდენტურობით მიყვება არჩილის თარგმანს და მცირეოდენი სხვაობით ბაქარის გამოცემას. საილუსტრაციოდ მოვიტანთ ერთ ნიმუშს:

საბას ბიბლიიდან, A—51

„შვილო ჩემო, შეთუეყოფოდი შენ მონებად უფალსა, განამზადე თავი შენი ყოველისაგან განსაცდელისა და წრფელ ყავ გული შენი და ნუ მოსწრაფე ხარ ჭამსა მას, რომელსა შეეემთხუს შენ განსაცდელი, მეებახლე უფალსა და ნუ განეშორები“[7] (A—51, 424r).

„შვილო, უკეთუ მიეახლო უფალსა ღმერთსა მონებად, განეშზადე სული შენი განსაცდელსა შინა, განუმარტე გული შენი მოთმინებადცა და ნუ ისწრაფი ჭამსა შინა განსაცდელისა მიეახლე მას და ნუ განეშორები“ (დაბადება, II, 1884 წ. თავი II, 1—3).

ბაქარის ბიბლიაში დაბეჭდილია არჩილის თარგმანი ისო ზარაქის წიგნისა. აქ არ შეიძლება არ შევნიშნოთ, რომ მართალია, ბაქარის გამოცემაში დაიბეჭდა არჩილის თარგმანი, მაგრამ მას ე. ი. თარგმანს, ისე ატყვია რედაქტორის—ვახუშტი ბატონიშვილის ხელი, რომ თავისუფლად შეიძლება ითქვას, 1743 წელს დაიბეჭდა არჩილის თარგმანის ვახუშტისეული რედაქცია. ვახუშტის არჩილის თარგმანის ტექსტი გაუმართავს, თარგმანი გაუმარტივებია და მკითხველთათვის უფრო გასაგები გაუხდია. მართალია აკად. კ. კეკელიძე, როცა წერს: „მან (ე. ი. ვახუშტიმ) შეასწორა თითქმის ყველა წიგნი, წიგნები დაყო თავებად და მუხლებად სლაეურის მიხედვით და მოამზადა დასაბეჭდად“[8].

---

[6] კრ. შარაშიძე, პირველი სტამბა საქართველოში, 1955, გვ. 166—177.

[7] A—51-ის ტექსტი მიყვება ოშკურ რედაქციას: „შვილო ჩემო, შეთუეყოფოდი მონებად უფალსა, განამზადე თავი შენი, ყოველისათჳს განსაცდელისა, და წრფელ იყავნ გული შენი და დაითმინე და ნუ მოწრაფჱ ხარ ჭამსა მას რომელსა შეჴემთხუედის შენ განსაცდელი, მიეახლე უფალსა და ნუ განეშორები მას“ (იხ. ოშკური ბიბლიის როტოპირები, როტო. 298).

[8] კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. I². გვ. 399. ს. ყუბანეიშვილის აზრით, ისო ზარაქისა და მაკაბელთა წიგნებისათვის რედაქცია გაუკეთებია ი. სამებელს, საფიქრებელია სხვა წიგნებისათვისაც. მაგრამ მისი რედაქტორებული ტექსტი, ტეყობა კომისიას არ მიუღია. იხ. ლიტერატურული ძიებანი, ტ. X, გვ. 229—233; რუსულ-ქართული კულტურული ურთიერთობის ისტორიიდან XVIII საუკუნეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდის უნდა ეთარგმნა არჩილს აღნიშნული ტექსტი? ტრ. რუხაძე ფიქრობს, რომ არჩილმა 1700-იან წლებში შეუდარა ქართული დაბადება რუსულ-სლავიურ დაბადებას და შეამჩნია, რომ ზოგიერთი წყგნი აკლდა (ისო ზარაქი და მაკაბელთას), შეავსო ეს ხარვეზი რუსულიდან თარგმნით[9]. ტრ. რუხაძის ქრონოლოგია შეიძლება უფრო შემოიფარგლოს. ეჭვი არაა, რომ არჩილმა აღნიშნული სამუშაო ჩაატარა რუსეთში, სადაც ის საბოლოოდ გადასახლდა 1699 წელს. რა თქმა უნდა, ჩასვლისთანავე არ შეეძლო არჩილს ბიბლიაზე მუშაობა და მისი ქართულად გადმოღება. მართლაც, ვახუშტის ცნობით, არჩილს ბიბლიის ნუსხები საქართველოდან „მოუგზავნა“ ვახტანგ VI, რომელიც ქართლში გიორგი XI მოადგილეად იყო. ვახტანგ VI ჯანიშნობა კი თარიღდება 1704—1712 წლებით[10], აქედან გამომდინარე ჩვენ ვასკვნით, რომ არჩილმა ბიბლიაზე მუშაობა სწორედ ამ წლებში ჩაატარა. მართლაც, ამ დროს გამოაქვეყნა კიდეცაც მან „დავითნი“.

ჩვენი დათარიღებიდან გამომდინარე საბას ისო ზარაქის წყგნის გადაწერა არ შეეძლო 1704 წლამდე დაეწყო: საბას არც 1711 წლამდე გადაუწერია დასახელებული თხზულება, რადგანაც A—51 აკინძების დროს, რომელსაც ჩვენ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1711 წლის შემდგომ ვათარიღებთ, საბას აღნიშნული წყგნი ხელთ არ ჰქონია, წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც ვთქვით, იგი A—51 ისო ზარაქიდან შეიტანდა არა 23 სტრიქონს, არამედ მთელ წყგნს, როგორც მან მის მიერ დაბეჭდილი წინასწარმეტყველთა წიგნები შეუერთა ხელნაწერს.

საბას ისო ზარაქის წყგნის გადაწერა არ შეეძლო არც 1712—1716 წლებში, რადგანაც იგი ამ პერიოდში პოლიტიკური ამბების გამო თითქმის მთლიანად საქართველოს გარეთ იმყოფება. ევროპიდან საბა სამშობლოში დაბრუნდა 1716 წლის ივლისის თვეში, ჩვენ ვფიქრობთ, რომ საძიებელი წიგნის გადაწერა საბას შეეძლო მხოლოდ სამშობლოში, ევროპიდან დაბრუნების შემდეგ, ე. ი. 1716 წლის მეორე ნახევრიდან, უფრო კონკრეტულად კი 1716 წ. ივლისიდან 1720 წლებში.

ჩვენს დათარიღებას მხარს უჭერს და ამაგრებს შემდეგი ფაქტი. საბა ევროპიდან დაბრუნების შემდეგ, როგორც ცნობილია, კვლავ განაგრძობს მუშაობას თავის ლექსიკონზე. იგი ახალი მასალებით ამუშავებს და ავსებს „სიტყვის კონას“. ჩვენ დაგვაინტერესა საკითხმა, რამდენად აისახა ისო ზარაქის ლექსიკური მასალა სიტყვის კონაში და თუ აისახა, მუშაობის რომელ ეტაპზე. თუ დავუშვებთ, რომ საბამ 1716 წლამდე გადაწერა ისო ზარაქის წყგნი, მოსალოდნელი იყო, რომ ლექსიკონის პირველივე ცალებში უნდა ყოფილიყო წარმოჩენილი ისო ზარაქის ლექსიკური მასალა. ამ თვალსაზრისით ჩატარებულმა სამუშაომ საინტერესო სურათი მოგვცა, დაადასტურა ჩვენი დათარიღება. გაირკვა, რომ ლექსიკონის 1716 წლამდე არსებულ ნუსხებში ისო ზარაქის კვალი, ან უფრო სწორად, ისო ზარაქიდან საბას მიერ შეტანილი მასალა, არ არის, ხოლო 1716 წლის შემდგომ დამუშავებულ ცალებში ჩნდება სალექსიკონო ერთეულები ისო ზარაქიდან. ეს ხელნაწერებია (A—75, H—1429), რომლებსაც პროფ. ილ. აბულაძე Aa და Z ლიტერებით აღ-

---

[9] იხ. ტრ. რუხაძე, დასახელებული წიგნი, გვ. 150.

[10] მ. ქავთარია, ლევან ქართლის ჯანიშინი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XV, № 4, 1960 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიშნავს[11]. Aa—ნუსხა, როგორც ანდერძიდან ჩანს, გადაწერილია 1721—1723 წლებში ზოსიმეს მიერ. ეს ხელნაწერი სპეციალურად შეისწავლა და აღწერა ლ. ქუთათელაძემ. ამ ხელნაწერის შესახებ იგი წერს: „ლექსიკონში რედაქციული ხასიათის სამუშაო შესრულებულია მუქი შავი მელნით საბას მიერ. მისივე გადაწერილია 1 და 414 გვერდი. სიტყვათა უცხოური შესატყვისები ლექსიკონის ერთ ნაწილში (დაახლოებით შუამდე) ზოსიმეს მიერაა შეტანილი, ხოლო შუიდან (ან ცოტა შემდეგ) იმავე ხასიათის სამუშაო მთლიანად საბას შეუსრულებია“[12].

ხოლო (H—1429), რომელსაც ლ. ქუთათელაძე SZ^2 აღნიშნავს, გადაწერილია 1723—1725 წლებში. მაშასადამე, ლექსიკონის მონაცემები ადასტურებს ჩვენ დათარიღებას.

ფაქტი, რომ საბამ 1716 წლის მეორე ნახევრიდან 1720 წლამდე საქართველოში გადაწერა ისო ზირაქის წიგნის არჩილის თარგმანი, ბევრის მეტყველია. ჯერ ერთი, ირკვევა, რომ საბა კვლავ განაგრძობდა ბიბლიაზე მუშაობას, მეორეც, ძველ საქართველოში ბაქარის გამოცემამდე იცნობდნენ ისო ზირაქის (და ალბათ მაკაბელთა) წიგნებს არჩილ მეფის თარგმანში. ეს კი თავის თავად ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ რუსეთის ლიტერატურულ კოლონიასა და საქართველოს შორის მჭიდრო კულტურული კავშირი იყო.

ახლა ცალკე შევეხოთ ისო ზირაქიდან აღებულ სიტყვებს. ისო ზირაქიდან ლექსიკონისათვის სულ აღებულია 20 სიტყვა.

მოგვაქვს ეს სიტყვები და სათანადო ტექსტი ისო ზირაქიდან[13].

ასპალადი განფესულ არს— სიტყვა ჩამატებულია Aa-ში	„განსაცდელისა შინა მოქადულთასა არა არს კურნება, რამეთუ ნერგი სიბოროტისა განფესულ არს, მათ შორის“.(—A—529, 139r).
განიფესუნეს—სიტყვა ჩამატებულია Aa-ში	„არა განიფესუნეს ძენი მისნი ძეთა შინა“ (A—529, 163r).
ეპომიდი ეპუნი	„დაამტკიცა იგი ჭურვილთა ძლიერებისათა საბკულითა და პოდირითა და ეპომიდითა და მოარტყა მას თოკი ოქროჲსა ეპუნითა მრავლითა გარემოს ჴმობად“ (A—529, 190r):
იჭვი—წყარო „ზირაქი“ დამატებულია Aa-ში	„რამეთუ უზეშთაეს გულისხმობს ყოფისა გამოგეცხადოს შენ და იჭვმან ბოროტმან წარგიწყმიდოს გონებაჲ შენი“ (A—529, 138v--139r).

---

[11] ჩვენ გამოვიყენეთ პროფ. ი. აბულაძის მიერ სასტამბოდ გამზადებული ტექსტი, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებთ.

[12] ლ. ქუთათელაძე, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის რედაქციები, თბილისი, 1951, გვ. 34.

[13] ჩვენ სპეციალურად ვიმოწმებთ ციტატებს ხელნაწერიდან, რადგანაც ვახუშტის შესწორების შემდეგ ზოგიერთი საძიებელი სიტყვა გამოქვეყნებულ ტექსტში სულ არ არის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრთომა—წყარო „ზირაქი“ დამატებულია Aa-ში — „ვიდარცა ვსნილი ვალს მის შორის პირველადვე, ჴოლო კრთომა და შიში მოიყუანოს მის ზედა“ (A—529, 139v—140r).

მემირონე — „ესენება იოსიასი დასაბამსა შორის საკმეველითა თანა შეზავებულითა საქმითა მემირონეთასა“ (A—529, 195r).

მომუჭული—სიტყვა ჩამატებულია Aa-ში — „ნუ იქნების ველი შენი განმარტებულ მოღებად და მიცემად მომუჭულ“ (A—529, 140v).

მკცოანი—წყარო „ზირაქი“ დამატებულია Aa-ში — „შვილო, სიყრმითგან შინა შენსა შეიკრიბე სწავლულება მკცოვანებასა შინა ჰპოო სიბრძნე“ (A—529, 141v).

სჳნიდისი—წყარო „ზირაქი“ დამატებულია Aa-ში[14] — „პირველყოელთასასა აღეგო სიბრძნე და სჳნიდისი სიბრძნისა საუკუნითგან“ (A—529, 136r).

ღიმილი—წყარო „ზირაქი“ დამატებულია Aa-ში. — „ცოფმან სიცილსა შინა აღიმაღლა ჴმა მისი, ხოლო კაცმან ველოვანმა ძნიად მცირედი რამ გაიღიმა“ (A—529, 159v).

შემაწუხებელი შეწუხებული — სიტყვები ჩამატებულია A-ში. — „იჴსენ შეწუხებული შემაწუხებელისა მათისა, თუ სულმოკლე იქმნება ოდეს სჯიდე“ (A—529, 139v).

ჩემ—ჩამატებულია Aa-ში — „ჩემ მამისა ისმინე შვილნო, და ცხორე ჰყავთ, რათა სცხონდეთ“ (A—521, 138r).

ჩქერა—ჩამატებულია A-ში — „და ნუ გეშინის აღსარებად ცოდვისა შენისა და ნუ აიძულებ ჩქერასა მდინარისასა“ (A—529, 140r).

ჭანდარი—წყარო დამატებულია Aa-ში — „ვითარცა ზეთის ხილი კეთილშეუნერი ველსა ზედა და ავმაღლდე, ვითარცა ნორჩი ჭანდარი“ (A—529, 163v).

ჯებირი—წყარო ჩამატებულია Aa-ში. — „უწყოდე, რამეთუ შორის საბრთჳთასა ხვალ გარე ქალაქისა ჯებირისა ვლე“ (A—529, 145v).

ჯუღი—H—1658 საბას ხელით ჩამატებულია ციტატი. Aa-შიც ეს სიტყვა ჩამატებულია უკვე ციტატის გარეშე, მხოლოდ წყაროა მითითებული. — „მოაკლდეს ჭურჭელნი წყალთანი, ვითარცა ჯუღი სიმდაბლესა შინა“ (A—529, 196v).

---

[14] გამოცემაში „ზირაქი“ იქცა „ხაჭარიად“. იხ. ს. ს. ორბელიანი, სიტყვის კონა, ს. ითრ დანიშვილის რედაქციით და წინასიტყვაობით, 1949, გვ. 315.

ჳეტი — წყარო მითითებული Aa-ში. „ცხენი უმწყსი ჳეტად ვალს“ (A—529, 141r).

ჩამოთვლილი სიტყვები პირველად ან Aa ნუსხაში ჩნდება ან ამ ხელნაწერშია დამოწმებული და მითითებული მათი წყარო—ისო ზარაქი. სპეციალურად უნდა შევეხეროდეთ რამდენიმე სიტყვის შესახებ, რომლებიც გამონაკლისს წარმოადგენს, ესენია: ასპალადი, ეპომიდი, ეპუნი და მემირონე. ეს ოთხი სიტყვა ლილი ქუთათელაძეს, რომელმაც სპეციალურად შეისწავლა საბას ლექსიკონის ჩამატებები, მიაჩნია, რომ პირველი სამი სიტყვა (ასპალადი, ეპომიდი და ეპუნი) ჩამატებულია ვახტანგ VI-ის მიერ, ხოლო უკანასკნელი (მემირონე) ზოსიმეს მიერაა ჩამატებული[15].

მემირონესთან დაკავშირებით შეიძლება დავეთანხმოთ მკვლევარს, რადგანაც ეს სიტყვა გვხვდება ზოსიმეს მიერ დაწერილ უკანასკნელ ავტორიზებულ ნუსხაში. დანარჩენ სიტყვებთან საქმე ჩვენ სხვანაირად წარმოგვიდგება.

ასპალადი და ეპომიდი ჩამატებულია ქუთაისის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ხელნაწერში, რომელსაც პროფ. ილ. აბულაძე C_q ლიტერით აღნიშნავს, ხოლო ლილი ქუთათელაძე SZ[16]. ამ ხელნაწერს ლილი ქუთათელაძე ათარიღებს 1700—1706 წლებით.

B რედაქციაში (H—1658) ასპალადი ძირითად ტექსტშია, ხოლო ეპომიდი და უკვე სხვა სიტყვა ეპუნი კიდევ ჩამატებულია. ჩამატებები როგორც C_q, ისე B-ში შესრულებულია ერთი ხელით. მოგვყავს ეს მინაწერები: C_q-ში „ასპალადი. ისო ზარაქში თავი კდ და რიცხვი იზ; სულნელი არის“. „ეპომიდი. ისო ზარაქში, თავი მე და რიცხვი ი“. B-ში „ეპომიდი ისო ზარაქი 45“. „ეპუნი. ისო ზარაქი 45“.

მოხსენებად იმისა, რომ ყველა ჩანაწერი ერთი ხელითაა გაკეთებული და C_q ქრონოლოგიურად წინ უსწრებს B-ს, ჩვენ მაინც ვფიქრობთ, რომ ჩანაწერი ჯერ B-შია გაკეთებული და შემდეგ C_q-ში. ჩვენ ამოვდიოდით შემდეგი მოსაზრებიდან. ჩანაწერი B-ში გაკეთებულია ზოგადად, მითითებულია მხოლოდ თავი 45, მაშინ როდესაც C_q-ში მითითებულია თავიც და რიცხვიც. ეს უკანასკნელი მითითება ბაქარის გამოცემას ზუსტად დაემთხვა. მართალია, არჩილმა თარგმნა ისო ზარაქის წიგნი, მაგრამ მას იგი არ დაუმუხლავს, არამედ მხოლოდ თავები გამოჰყო და ამ უკანასკნელში, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, მიუთითა ნაკვეთებზე, როგორც ეს ჩანს 1736 და 1753 წლების ხელნაწერებიდან (A—529 და H—19). ვახუშტი პირდაპირ მიუთითებს: „და ჵას მეფესა არჩილს პირველს დაბადებასა ზედა გაემართნეს უმუელოდ, რამეთუ არცა მას აქვნდეს“[17]. ისო ზარაქის წიგნი პირველად დაიმუხლა ბაქარის გამოცემისათვის. ეს საქმე შეასრულა ვახუშტი ბატონიშვილმა, როგორც ამას 1743 წლის გამოცემის წინასიტყვაობა მიუთითებს: „...და განვმართეთ ახლად

[15] ლ. ქუთათელაძე, დასახ. წიგნი, გვ. 132.

[16] ლ. ქუთათელაძე, დასახ. წიგნი, გვ. 138; ჩვენ ამ ხელნაწერის დათარიღებას სპეციალურად არ შევხებივართ, მაგრამ S—2498-ს დათარიღებასთან დაკავშირებით რამდენადმე მაინც განსხვავებული პოზიცია გვიჭირავს. იხ. ჩვენი წერილი—სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის უცნობი ავტოგრაფი, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, ტ. II. გვ. 6.

[17] ქართული წიგნი, ტ. I, გვ. 47.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველნივე სიტყვა მეტ-ნაკლებნი თავად თავად და რიცხვად სამოწმითა, ასრეთ უნაკლოდ“[18].

ხოლო ვახუშტი ბოლოსიტყვაობაში პირდაპირ წერს: „ხოლო ჩვენ ესე ვქმენით და რომელნიცა აკლდნეს, მოუმატეთ, ვითა განმართულ იყო რუსთაგან. თავთავად და მუწლი მუწლად“.[19] აქედან გამომდინარე ამკარაა, თუ ისო ზარაქის დამუხლვა 1743 წლის გამოცემისათვის შეასრულა ვახუშტიმ და ამ დამუხვლას მიუთითებს C_q. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩანაწერი არ შეიძლება გაკეთებულიყო C_q-ში 1730-იან წლებამდე, რაც შეეხება B-ში ჩანაწერი უფრო ადრეა გაკეთებული, რადგანაც იქ მხოლოდ თავებია ზოგადად მითითებული. საერთოდ, საბა, როგორც წესი, ზარაქიდან აღებულ სიტყვაზე ზოგადად უთითებს მხოლოდ თავს.

დასასრულ ასპალადის[20] შესახებ. C_q-ში, B-შიც ეს სიტყვა სიტყვათა რიგშია. ზემოთ მოტანილი დებულების თანახმად ვფიქრობთ, რომ B-ში ეს სიტყვა C_q-დან არ მომდინარეობს; ამასვე ადასტურებს განმარტებითი სხვაობაც. საბა განმარტავს როგორც „ნერგია ეკლოვანი“ B, ხოლო C_q-ში წერია „სულნელი არის“, რომ B-ს განმარტება C_q-დან მომდინარეობდეს, მაშინ მათ შორის განსხვავება არ იქნებოდა. ასევე B-ში წყაროს საბა არ შიშლიდა, რადგანაც C_q-ში ზუსტადაა მითითებული წყარო „ლოცვის წიგნი“.

ერთი სიტყვით, სიტყვები ასპალადი, ეპომიდი, ეპუნი და მემირონე საბას ლექსიკონში ჩამატებულია სხვის მიერ, სხვის მიერაა წყაროც მითითებული.

---

[18] ქართული წიგნი, ტ. I, გვ. 44. შდრ. კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტ., ტ. I², გვ. 309.

[19] იქვე, გვ. 47.

[20] აქ არ შეიძლება ვრთ მეტად საყურადღებო დეტალზეც არ მივუთითოთ, ისო ზარაქის ხელნაწერებში და ბაქარის გამოცემებში წერია ასპალანტი, ხოლო ლექსიკონშია ასპალატი. რით ავხსნათ ეს სხვაობა. თუ სიტყვა ზარაქიდანაა ამოღებული, მაშინ იქნებოდა ასპალანტი და არა ასპალადი. ეს სხვაობა აიხსნება იმით, რომ B-ში საბას სიტყვა აღებია სხვა წყაროდან და არა C_q-დან. საბა თავის წყაროს უწოდებს „ლოცვის წიგნს“, აქედან აქვს აღებული საბას სიტყვა „ბელეკონი“. ერთიც და მეორეც საბას გაგებით ნიშნავს ხეს. ისმის კითხვა: რომ ეს სიტყვა B-ში საბას C_q-დან შეეტანა, მაშინ რად მიუთითებდა სხვა წყაროს. ამაზე პასუხი მხოლოდ ერთია, C_q-ში ჩამატებები გაცილებით გვიანაა გაკეთებული, ვიდრე B-ში. რომ B-ში ასპალადი არაა ჩამატებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იოანე დამასკელის „დიალექტიკის“ ქართულ-სომხური ვერსიები

ჰ. რაფავა

(წარმოადგინა საქ. სსრ მეცნ. აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტმა)

§ 1 შესავალი

იოანე დამასკელის „წყაროჲ ცოდნისაჲ“ ქრისტიანული ფილოსოფიის საყოველთაოდ აღიარებული სახელმძღვანელო იყო. შუა საუკუნეთა სქოლასტიკა მასში ხედავდა თავის თეორიულ შეხედულებათა საუკეთესო კომპენდიუმს.

ცნობილია, რომ სხვადასხვა სახის მწვალებლობის წინააღმდეგ თავისი დოგმატური მოძღვრების პოზიციის გასაძლიერებლად თეოლოგიამ ხელი მიჰყო ანტიკური ფილოსოფიის, ქრისტიანიზმის სულისკვეთებით დამუშავებას. ფილოსოფია დგება თეოლოგიის სამსახურში.

სქოლასტიკური აზროვნებისათვის ფასდაუდებელია იოანე დამასკელის ღვაწლი. შუა საუკუნეთა თეოლოგიაში იოანე დამასკელი ერთი ყველაზე თვალსაჩინო ფიგურაა[1].

---

[1] ცნობილია მისი ბიოგრაფიები არაბულად და ბერძნულად; ბიოგრაფია ბერძნულად დაწერილია პატრიარქის იოანე მერკუროპოლოს მიერ XII ს., К. Кекелидзе, Грузинская версия арабского жития И. Дамаскина (ტიუუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. VII, თბილისი, 1961, გვ. 136); უძველესია არაბული ბიოგრაფია, ანტიოქიელი ბერის მიხეილის მიერ დაწერილი X ს. ეს ბიოგრაფია პირველად გამოუცია კონსტანტინე ბაშს (Biographie de Saint Jean Damascéne. Texte original arabe. Publié par la première fois par le P. Constantin Bacha. Imprimérie Greque Melchite de saint Paul. Harissa, Liban, 1912). ამ შრომას ვასახელებთ კ. კეკელიძის დასახელებული წერილისა და ა. ვასილიევის ნარკვევის მიხედვით (А. Васильев, Арабское житие св. Иоанна Дамаскина. Полное собрание творений св. Иоанна Дамаскина, т. I, გვ. 1—22), არაბულიდან, როგორც კ. კეკელიძე მიუთითებს. დამასკელის ბიოგრაფია 1086—1100 წლებში უთარგმნიათ ბერძნულად და ქართულად. (კ. კეკელიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 138). ამრიგად, ქართულად დაცულია არაბული ცხოვრების უძველესი ვერსია. ი. დამასკელის არაბულ ბიოგრაფიაზე, მის ავტორსა და ხელნაწერებზე ცნობები იხ. G. G'raf, Die christlich-arabische Literatur, в. II, Citta del Vaticano, 1959, გვ. 69; დამასკელის ბიოგრაფიას შესახებ არსებული ლიტერატურის ბიბლიოგრაფია მითითებული აქვთ შემდეგ მკვლევრებს: K. Krumbacher, Geschichte der Byzantinischen Literatur, burt Franclin, v. I; H. Beck, Kirche und theologische Literatur in Byzantinischen Reich, München, 1959; O. Bardenhewer, Geschichte der altkirchlichen Literatur, в. V, Darmstadt, 1962, გვ. 53—54.

დოგმატიკა და პოლემიკა, ლიტურგიკა, ეგზეგეტიკა, ჰომილეტიკა და ასკეტიკა—სასულიერო მწერლობის თითოეული ეს დარგი მნიშვნელოვნად დავალებულია იოანე დამასკელისაგან. მისი მრავალრიცხოვანი შრომები მეტყველებენ იმ ღრმა ინტელექტზე, რომელმაც მას შეუქმნა აღმოსავლეთის უდიდესი მწერლის რეპუტაცია და დაუმკვიდრა „ოქრონექტარის" სახელი[2]. აღმოსავლეთისა თუ დასავლეთის ქრისტიანობა იოანე დამასკელში ხედავს თავის მოძღვარს და წარსულის ტრადიციების საუკეთესო გამგრძელებელს. მან ქრისტიანული დოგმატიკა უმაღლეს საფეხურზე აიყვანა იმით, რომ ბერძნული და აღმოსავლური ქრისტიანული აზროვნების ტრადიციებზე დამყარებით შექმნა დასრულებული მოძღვრება ფრიად ორიგინალური არქიტექტონიკით. „იოანე დამასკელმა გამოიყენა პერიპატეტიკელთა ფილოსოფია, მაგრამ მან იგი შეავსო და გაწმინდა ქრისტიანული იდეების შესაბამისად"—ამბობს ერმონი. ავტორი მონოგრაფიული შრომისა დამასკელის შესახებ[3]. ამ მიმართებით წარმოადგენს „წყაროჲ ცოდნისაჲ" დოგმატიკის კლასიკურ სასენძღვანელოს.

მაგრამ იოანე დამასკელის ამ ფუნდამენტალური შრომის ღირებულება მხოლოდ თეოლოგიური ასპექტით არ განისაზღვრება. მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ ნაწარმოები შედგება 3 ნაწილისაგან:

1. **Κεφάλαια φιλοσοφικά** — ფილოსოფიური თავები.
2. **Περὶ αἱρέσεων** — მწვალებლობათათვის.
3. **Ἔκδοσις ἀκριβὴς τῆς ὀρθοδόξου πίστεως** — გარდამოცემაჲ უცილობელი მართლმადიდებლობითისა სარწმუნოებისაჲ.

სქოლასტიკური მსოფლგაგების თვალსაზრისით განსაკუთრებით ნიშანდობლივია მე-2 და მე-3 ნაწილი.

მე-2 თავი — „მწვალებელთათვის"—მიმართულია სხვადასხვა სახის მწვალებლთა (ნესტორიანთა, იაკობიტელთა, ხატმებრძოლთა. მანიქეველთა და სხვათა) წინააღმდეგ და ატარებს პოლემიკურ ხასიათს.

მე-3 თავი—„გარდამოცემაჲ უცილობელი ჭეშმარიტისა სარწმუნოებისაჲ", წარმოადგენს ქრისტიანულ-თეოლოგიური მოძღვრების თეორიულ დებულებათა შეჯამებას. ამ თავში მოცემულია ვრცელი ტრაქტატები ღმერთზე, შექმნაზე, ანგელოზებზე, ადამიანებზე, ბუნებაზე, საეკლესიო პრაქტიკაში განმტკიცებულ წესებსა და სხვებზე. ე. ი. აქ საქმე გვაქვს ქრისტიანული სარწმუნოების რაობის გადმოცემასთან, ანუ ქრისტიანულ თეოლოგიასთან. ამას გარდა, მე-3 ნაწილში დოგმატიკურ დებულებებთან ერთად მოცემულია ბუნებისმეტყველური და ფსიქოლოგიური ცნობებიც.

რაც შეეხება პირველ თავს, როგორც სათაური მიგვანიშნებს, აქ ფორმალური ლოგიკის სახით გადმოცემულია ქრისტიანობის ფილოსოფიური საფუძვლები.

---

[2] დამასკელის შრომათა პირველი ბერძნული გამოცემა ეკუთვნის ლ ე კ ი ე ნ ს, პარიზი, 1712 წ.; მეორე შესწორებული გამოცემა კი მ ი ნ ე ს—Patrologiae Cursus Completus, series graeca. t. XCIV-XCVI. ამ უკანასკნელი გამოცემის მიხედვით დამასკელის შრომათა სიას ძღვნიან ვ. ე რ მ ო ნ ი თავის მონოგრაფიაში „Saint Jean Damascene," Paris. 1904, pp. 8—13 და С а г а р д а, Полное собрание творений св. Иоанна Дамаскина, т. I. გვ. XIII—XV.

[3] E r m o n i, Saint Jean Damascene, Paris, 1904, p. 18.

ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა სწორედ ეს ნაწილი. ჩვენს მიზანს შეადგენს იოანე დამასკელის ამ თხზულების ტექსტოლოგიური შესწავლა ქართულ-სომხური თარგმანების მიხედვით. ამ ნაწილს გამოვყოფთ დანარჩენი ორისაგან და განვიხილავთ, როგორც დამოუკიდებელ ნაწარმოებს.

ფილოსოფიური თავები, ანუ — როგორც მას ეძახდნენ შუა საუკუნეებში —„დიალექტიკა“, წარმოადგენს არისტოტელეს ლოგიკური მოძღვრების ფორმალისტურ დამუშავებას. იგი დაწერილია არისტოტელეს „კატეგორიების“, ნეოპლატონიკოს პორფირის „შესავალი არისტოტელის კატეგორიათადმისა“ და ამონიოს ერმისის „მოსაკსენებელი ათთა კატეღორიათადმი არისტოტელისთას“ მიხედვით.

ამოსავალი წყაროები—არისტოტელე, პორფირი, ამონიოს ერმისი საკმაოდ ზუსტად არის გადმოცემული დამასკელის მიერ. მცირეოდენი ცვლილებები და შესწორებები გამოწვეულია ქრისტიანულ მოძღვრებასთან შეგუების აუცილებლობით. დამასკელი ამ შრომაში გვეელინება ფრიად ორიგინალური სტილის მქონე კომპილატორად. იგი თვითონ აცხადებს: „ხოლო ვთქუა ჩემი არარაჲ, ვითარ—იგი ვიტყოდე, არამედ უწყარჩინებულესთა მოძღუართა ნამუშაკევსა ერთად შემკრებელმან შემოკლებულ ვყო სიტყუაჲ“[4]. მიზანი ამ თხზულებისა არის ქრისტიანული დოგმატიკის დაცვა ლოგიკური მეთოდებით, მისი ფილოსოფიური დასაბუთება ყოველგვარი სახის მწვალებლობის წინააღმდეგ. ამ მხრივ ძალზე დამახასიათებელია ის განმარტება ამ ნაწარმოების მნიშვნელობისა, რომელსაც იძლევა მისი პირველი ქართველი მთარგმნელი ეფრემ მცირე: „ესე ვითარ არს საფილოსოფოსოჲ სწავლაჲ, რომელი-იგი აქაც საჭიროჲ საკმარად შემოუღებიეს წმიდასა იოვანე დამასკელსა, რაჲთა ამათ მიერ წინაღუდგებოდინ შეილნი ეკლესიისანი გარეშეთა მათ ფილოსოფოსთა და მათითავე ისრითა განგურემდენ მათ“[5].

§ 2. იოანე დამასკელის „დიალექტიკა“ ქართულ მწერლობაში

„დიალექტიკა“ ძალზე პოპულარული წიგნი იყო მთელ ქრისტიანულ სამყაროში. მას შუა საუკუნეებშივე თარგმნიან სხვადასხვა ენაზე. ცნობილია მისი ადრინდელი ლათინური თარგმანი მე-12 ს-ისა, რომლის საშუალებით „დიალექტიკას“ მთელი დასავლეთი სამყარო დაეწაფა[6]. არაბულად იგი ითარგმნა X ს.[7]

ცხადია, ბიზანტიური ფილოსოფიის მიღწევებს ნაზიარები ქართული ფილოსოფიური აზროვნება გულგრილი ვერ დარჩებოდა ამ შრომის მიმართ.

ცნობილია, რომ XI-XII სს. საქართველოში ძალზე ინტენსიურად განვითარდა ფილოსოფიური მწერლობა. თავს იჩენდა ის იდეოლოგიური ბრძოლა სხვადასხვა მიმართულებებს შორის, რომელიც გამოხატულებას პოულობდა

[4] S-1463, 41 r.

[5] A-24, 1 v.

[6] Karl Krumbacher, Geschichte der Byzantinischen Literatur, გვ. 70.

[7] G. Graf, Die christlich-arabische Literatur, ს. II, გვ. 43—45. „დიალექტიკა“ XI ს. ითარგმნა ძველ სლავურ ენაზე. იხ. H. Beck, დასახ. ნაშრ., გვ. 480 და O. Bardenhewer, დასახ. შრომა, გვ. 58; Филарет, Обзор русской духовной литературы, გვ. 4.

დოგმატიკურ მწერლობასა და ანტიკური ფილოსოფიის შეთვისებას შორის. ქართული ფილოსოფიური აზროვნება ეფრემ მცირის, არსენ იყალთოელის, იოანე პეტრწინის და სხვათა სახით, ხარბად დაეწაფა ბიზანტიურ ფილოსოფიას და ქართულ ნიადაგზე გადმონერგა მისი მიღწევები. იმდროინდელ საქართველოში განსაკუთრებით მომძლავრდა სხვადასხვა სახის მწვალებლობის შემოტევა. ასეთ პირობებში აუცილებელი შეიქმნა დოგმატიკური ტერმინოლოგიის ისეთი განმარტება და პოპულარიზაცია, როგორსაც ამას ქრისტიანული ეკლესია აკანონებდა. როგორც ცნობილია, ეკლესიისა და მწვალებლთა ბრძოლის მიზეზს სწორედ ამ ტერმინოლოგიის განსხვავებული გაგება წარმოადგენდა.

ასეთ ვითარებაში, ცხადია, პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭებოდა იოანე დამასკელის „დიალექტიკას“, სადაც სწორედ ტერმინების განმარტებაა მოცემული.

მომდევნო პერიოდის ფილოსოფიურ თუ ლიტერატურულ აზროვნებას დამასკელის „დიალექტიკამ“ წარუშლელი კვალი დაჩნია. ასე იყო ეს ბიზანტიურ და სხვა აღმოსავლურ ქრისტიანულ მწერლობაში, ასეთივე სურათი ვვაქვს საქართველოშიც. ამ მხრივ ნიშანდობლივია შ. ნუცუბიძის შენიშვნა: „ქართული საფილოსოფიო საქმიანობის მემკვიდრეობაში არისტოტელის ლოგიკური მოძღვრებათა დამასკელისეული დამუშავების გადმოღება ერთი ძირითადი ღირებულებათაგანი იყო, რომლითაც, როგორც თანამედროვენი (მე-11-12 სს. მიჯნა), ისე მომდევნო ქართული საფილოსოფიო თაობა სარგებლობდა“[8].

საკმარისია აღვნიშნოთ, რომ დამასკელის „დიალექტიკა“, როგორც დასაწყისი ქართული ფილოსოფიური და ლოგიკური ტერმინოლოგიის დადგენა-შემუშავებისა, აქტუალურ გამოხმაურებას პოულობს ანტონ კათალიკოსის, იოანე ბატონიშვილისა და სულხან-საბა ორბელიანის ლიტერატურულ-მეცნიერულ მოღვაწეობაში.

ამ წიგნის პოპულარობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ რაღაც სულ მცირე ხნის, 30-ოდე წლის მანძილზე, იგი ორჯერ ითარგმნა ბერძნულიდან ქართულად.

პირველად „დიალექტიკა“ თარგმნა ეფრემ მცირემ მე-11 საუკუნის 90-იან წლებში[9]. მან „დიალექტიკასთან“ ერთად თარგმნა „გარდამოცემაც“. ეფრემის თარგმანში ორივე ნაწილს ეწოდება: „გარდამოცემაჲ უცილობელი მართლმადიდებელთა სარწმუნოებისაჲ“; თხზულებას მან თან დაურთო საკუთარი ვრცელი წინასიტყვაობა და თავთა საძიებელი. მეორეჯერ „დიალექტიკა“ მე-12 საუკუნეში თარგმნა არსენ ვაჩესძემ, რომელიც ქართულ მწერლობაში იყალთოელის სახელით არის ცნობილი, და შეიტანა იგი თავის ცნობილ კრებულში, რომელსაც „დოგმატიკონი“ ეწოდება. „დიალექტიკის“ გარდა ამავე კრებულში შეტანილია „გარდამოცემაც“[10].

როგორც ვხედავთ, „დიალექტიკა“ ქართულად უთარგმნიათ მე-11 ს., ე. ი. ერთი საუკუნით ადრე, ვიდრე ის ითარგმნებოდა ლათინურად და ცნობილი გახ-

---

[8] შ. ნუცუბიძე, ქართული ფილოსოფიის ისტორია, ტ. 1, 1956, გვ. 338.

[9] И. Джавахишвили, Материалы для истории грузинской патристической литературы, XВ, т. I, გვ. 115.

[10] კ. კეკელიძე, ძვ. ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ. I, 1960, გვ. 259, 297.

კ. კეკელიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 278, 281, 297. არსენ იყალთოელის თარგმანზე ირას ამბობს ივ. ჯავახიშვილი

დებოდა დასავლეთ ევროპისათვის. აქვე შევნიშნავთ, რომ დამასკელის შრომათაგან მრავალი უკვე მე-10 ს-მდე იყო თარგმნილი ქართულად[11]. ეს ფაქტი თავისთავად მეტყველებს ქართული ფილოსოფიური აზროვნების განვითარების მაღალ დონეზე. ამ თვალსაზრისით ნიშანდობლივია ნ. მარისეული შეფასება ამ დროის ქართველ ფილოსოფოსთა მოღვაწეობისა[12].

საინტერესოა ფაქტი „დიალექტიკის“ ორჯერ თარგმნისა. ეფრემ მცირისა და არსენ იყალთოელის თარგმანებს სულ 30-ოდე წელი აშორებთ ერთმანეთს. რით შეიძლება აიხსნას ის გარემოება, რომ „დიალექტიკას“ თარგმნის ორი, ერთმანეთის თანამედროვე მწერალი, რომელთა ფილოსოფიურ-მეცნიერული ერუდიცია და სამწერლო საქმიანობა ეჭვს არ ბადებს მათ თარგმანთა მაღალ ლიტერატურულ ღირებულებაში. მით უმეტეს, რომ, როგორც ამას კ. კეკელიძე აღნიშნავს[13], არსენ იყალთოელმა არა თუ იცოდა ეფრემის თარგმანის არსებობა, არამედ მონაწილეობაც მიუღია მის თარგმანში. ამის შესახებ ცნობას თვითონ ეფრემი გვაწვდის „წყაროჲ ცოდნისაჲს“ თარგმანის ანდერძნამაგში[14].

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი, რომლის მიხედვითაც „დიალექტიკის“ ორჯერ თარგმნის მიზეზი მაშინდელი საქართველოს იდეოლოგიურ წინააღმდეგობათა სფეროში უნდა ვეძიოთ.

კ. კეკელიძე ამაში ხედავს ფილოსოფიაში პლატონიზმსა და არისტოტელიზმს შორის გაჩაღებული ბრძოლის ანარეკლს. იდეოლოგიური უთანხმოების გამო რომელიმე ამ მიმართულების წარმომადგენლები ვერ იწყნარებდნენ მოწინააღმდეგე ბანაკის მწერლის ლიტერატურულ საქმიანობას. არისტოტელიზმის პოზიციებზე მდგარ არსენ იყალთოელს არ აკმაყოფილებს ნეოპლატონიკოს ეფრემის თარგმანი და ხელმეორედ თარგმნის მას[15].

შ. ნუცუბიძის აზრით, აქ თავი ჩნიხა პროგრესული (ეფრემ მცირისა) და რეაქციული (არსენ იყალთოელის) ბანაკების განსხვავებულმა პოზიციებმა ფილოსოფიისა და თეოლოგიის ურთიერთმიმართების შესახებ. კონსერვატორი არსენ იყალთოელი არ იწყნარებდა ეფრემ მცირის პროგრესულ შეხედულებას ფილოსოფიისა და თეოლოგიის სწორი ურთიერთების შესახებ. ი. დამასკელის ეფრემისეულ შედარებით თავისუფალ თარგმანს, და დოგმატიკური მოძღვრების ინტერესებიდან გამომდინარემ ხელმეორედ თარგმნა იგი[16].

არსებობს სხვა გარემოებებიც, რომელთაც, შესაძლოა. განაპირობეს „დიალექტიკის“ ორჯერ თარგმნა. ეს არის მთარგმნელობით მეთოდს შორის განსხვავება და რედაქციული სხვაობა, რაც არსებობს ამ ორი თარგმანისათვის ამოსავალ ბერძნულ დედნებში[17].

---

[11] И. Джавахишвили, Материалы для истории грузинской патристической литературы, XВ, т. I, გვ. 6—29; კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. 1, 1951, გვ. 178.

[12] Н. Марр, Иоанн Петрицский, грузинский неоплатоник XI—XII века. გვ. 113.

[13] კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, გვ. 281.

[14] A—24, 137 v.

[15] კ. კეკელიძე, ძვ. ქართული მწერლობის ისტორია, ტ. 1, 1951, გვ. 277.

[16] შ. ნუცუბიძე, ქართული ფილოსოფიის ისტორია, ტ. II, 1958, გვ. 150—152.

[17] კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბილისი, 1960, გვ.297.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვლად მოგვეპოვება, ხოლო ეფრემისეული თარგმანი რამდენიმე ხელნაწერშიღა დასტურდება[18].

ამრიგად, „წყაროჲ ცოდნისაჲს“ ფართო გავრცელება ჰქონია ქართულ მწერლობაში.

დამასკელის შრომების გამოცემისა და მისი მემკვიდრეობის ფილოლოგიური კვლევისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება დამასკელის თხზულებათა ქართული თარგმანების შესწავლას. მაგალითად, „დიალექტიკის“ ქართული თარგმანების კვლევას, მათ შორის არსებული რედაქციული მიმართებების დადგენას, შეუძლია გარკვეული სიცხადე შეიტანოს ბერძნულ ხელნაწერებში რედაქციული თვალსაზრისით არსებულ მრავალფეროვნებაში. „წყაროჲ ცოდნისაჲს“ ქართული თარგმანების შესწავლა ქართული ლიტერატურის მკვლევართა მიერ მით უფრო საჭიროა და აუცილებელი, რომ არც ბიზანტიური ლიტერატურის მკვლევრები (ბეკი, ბარდენჰევერი, კრუმბახერი), არც დამასკელზე მოგროფიული შრომის ავტორები (ერმონი, ლანგენი და სხვა), არც სხვა მეცნიერნი არ იხსენიებენ ქართულ თარგმანებს, მაშინ როცა ქართული თარგმანები ქრონოლოგიურად გვერდით უდგას მათ მიერ დასახელებულ არაბულ, ლათინურ და ძვ. სლავურ თარგმანებს. უფრო მეტიც, ეფრემ მცირის თარგმანი ერთი საუკუნით წინ უსწრებს ლათინურ თარგმანს.

იოანე დამასკელის „დიალექტიკის“, ისე როგორც მთლიანად „წყაროჲ ცოდნისაჲს“ ქართული თარგმანების, მათ შორის არსებული რედაქციული მიმართებისა და მათი სტრუქტურული მხარის მოკლე მიმოხილვას იძლევა ს. გორგაძე[19].

მკვლევარმა თავის მოკლე მიმოხილვას დაუთორთ 3 დამატება, სადაც გამოაქვეყნა: ეფრემ მცირის მიერ შედგენილი ზანდუკი და შესავალი მთელი „წყაროჲ ცოდნისაჲსთვის“, ეპისტოლე კოზმა მაიუმელს ეფრემ მცირისეული თარგმანით და ივივე ეპისტოლე კოზმა მაიუმელისადმი არსენ იყალთოელის თარგმანით.

გარდა ამისა, მკვლევარს გამოსაცემად გამზადებული ჰქონია „დიალექტიკის“ არსენისეული და ეფრემისეული თარგმანები. ტექსტის დადგენისათვის რამდენიმე ხელნაწერი შეუჯერებია ურთიერთს, ზოგან დართული აქვს საკუთარი ტექსტოლოგიური დაკვირვებანი. ამჟამად ს. გორგაძის ეს შრომა ხელნაწერის სახით დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტში: Q—1185.

---

[18] „დიალექტიკის“ არსენისეული თარგმანი გვხვდება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის შემდეგ ფონდებში: S ფონდის №№ 145, 162, 358, 361, 1132, 1185, 1463, 1581, 2397, 2562, 2574, 3652; A ფონდის №№ 66, 250, 1151, 1440; H ფონდის №№ 97, 147, 149; Q ფონდის №№ 255, 1185. ხოლო ეფრემისეული თარგმანი გვხვდება შემდეგ ხელნაწერებში: S-1358, A-24, A-406; Q-1184.

ამათგან ქრონოლოგიურად უძველესია: S-1463—XII-XIII სს. ეს ხელნაწერი წარმოადგენს არსენ იყალთოელის ცნობილ „დოგმატიკონს,“ S-2562—XIII ს.; A-24—XII ს. S-2574—XII ს.

ჩვენთვის საინტერესო არსენ იყალთოელის თარგმანის ტექსტის დადგენისათვის ჩვენ შევარჩიეთ 3 ხელნაწერი: S-1463, S-2562, და S-2574; შედარებისათვის ვიყენებდით A-24, რომელშიც ეფრემისეული თარგმანია დაცული. ყველა ამ ხელნაწერში, გარდა S-2562-ისა, „დიალექტიკასთან“ ერთად წარმოდგენილია „გარდამოცემაც“.

[19] ს. გ ო რ გ ა ძ ე, იოანე დამასკელის მთავარი თხზულება „*Πηγὴ γνώσεως*-“ ქართულ მწერლობაში: „მიმოხილველი,“ 1, 1926; მ ი ს ი ვ ე, ფილოსოფიის მთავარი დარგები ქართულ მწერლობაში „ჩვენი მეცნიერება,“ 1923, № 2—3, 4—5.

უფრო ადრე ეფრემ მცირისეული ზანდუკი და შესავალი სიტყვა გამოქვეყნებული ჰქონდათ თ. ჟორდანიას თავისი „ქრონიკების“ I ტომში[20] და ე. თაყაიშვილს აღწერილობის I ტომში[21].

მაგრამ, მიუხედავად ყოველივე ამისა, მთლიანად „წყაროჲ ცოდნისაჲს“ და კერძოდ, „დიალექტიკის“ ქართულ თარგმანთა ფილოლოგიური თუ ფილოსოფიური შესწავლის საკითხი ჯერ-ჯერობით ღიად არის დარჩენილი.

§ 3. ქართული თარგმანების რედაქციები

ყველაზე არსებითი საკითხი, რომელიც წამოიჭრება არსენ იყალთოელისეული „დიალექტიკის“ კვლევისას, არის მისი რედაქციული მიმართების გარკვევა ბერძნულ ორიგინალთან. ამ საკითხის დადგენისათვის უეჭველად გამოგვადგება ეფრემისეული თარგმანის რედაქციული რაობისა და მისი ბერძნულ ტექსტთან მიმართების გარკვევაც. ამდენად, გზადაგზა შედარებისათვის მივმართავთ ეფრემისეულ თარგმანსაც.

ქართული თარგმანების ბერძნულ ორიგინალთან რედაქციული მიმართების დადგენა მნიშვნელოვანი და საყურადღებოა იმ მხრივ, რომ, როგორც ზემოთ მივუთითეთ, იგი პასუხს გაგვაცემინებს კითხვაზე: ხომ არ განაპირობა რედაქციულმა მიმართებამ „დიალექტიკის“ ორჯერ თარგმნა სულ მოკლე ხნის მანძილზე. რედაქციული მიმართების გარკვევისათვის საჭიროა ქართული თარგმანების ბერძნულ დედანთან შედარება, ერთი მხრივ, და ერთმეორესთან შედარება, მეორე მხრივ. მაგრამ აქ გარკვეულ სიძნელეს ვაწყდებით, რადგან ჩვენთვის ხელმისაწვდომი არაა იმ ბერძნული რედაქციების შემცველი ტექსტები, რომლებიც საფუძვლად უდევთ არსენსა და ეფრემს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბერძნული ხელნაწერთა სხვადასხვა აღწერილობით[22] არ დასტურდება ქართული თარგმანის წყარო. რადგანაც უშუალოდ პირველწყარო ხელმისაწვდომი არაა, შედარებისათვის ვიყენებთ გ. მინის ცნობილ გამოცემას. თუმცა, როგორც შემდგომ ვნახავთ, მინის ბერძნული ტექსტიც სხვა რედაქციისაა.

„დიალექტიკა“ ცნობილია ვრცელი და მოკლე რედაქციებით, რომლებიც, როგორც ვარაუდობენ, თვითონ ი. დამასკელისაგან მომდინარეობენ[23].

---

[20] თ. ჟორდანია. ქრონიკები, ტ. I, გვ. 215—219.

[21] ე. თაყაიშვილი, ქართველთა შორის წ/ა. გამავრცელებელი საზოგადოების ხელნაწერთა აღწერილობა, წ. I, გვ. 710—717.

[22] P. Lambros, Catalogue of the Greck Manuscripts on Maunt Athos, t. I-II Cambridge, 1895.

Παπαδόπουλος—Κεραμεύς, Ἱεροσολυμιτικὴ Βιβλιοθήκη, т. III, IV, 1899. Систематическое описание рукописей Московской синодальной (патриаршей) библиотеки Арх. Владимира, М., 1894.

В. Бенешевич, Описание греческих рукописей монастыря св. Екатерины на Синае, т. I, III, СПб., 1911.

Е. Гранстрем, Каталог греческих рукописей ленинградских хранилищ. „Виз. Вр.“ XVI—1960 г., XVIII—1961 г., XIX—1961 г., XXIII—1963 г. Inventaire des Manuscrits Grecs du British Museum par. M. Richard, I (Fond sloan, Egerton, Cottonian et Stowe), Paris, 1952.

[23] O. Bardenhewer, Geschichte··· b. 5, 1962, გვ. 56—58; K. Krumbacher, Geschichte···გვ 68. Сагарда, Полное собрание твор. св. Иоанна Дамаскина, т. I, 1913, გვ. 48.

ქ. კრუმბახერი ეყრდნობა დამასკელის ბიოგრაფის, იოანე იერუსალიმელის, ცნობას, რომლის მიხედვით დამასკელმა პალესტინაში, საბას მონასტერში ყოფნისას ხელმეორედ გადასინჯა თავისი ნაწარმოებები. მკვლევრის დასკვნით, სწორედ ამის შედეგი უნდა იყოს ცალკეული ნაწყვეტების ორმაგი რედაქციით არსებობა. მაშასადამე, „დიალექტიკის“ ორი რედაქციაც შეიძლება ამ ფაქტით აიხსნას.

შემჩნეულია, რომ ბერძნული ხელნაწერები მნიშვნელოვან სხვაობას ავლენენ „დიალექტიკის“ თავთა რაოდენობის, განლაგებისა და თავებში ტექსტის გადმოცემის მხრივ. R. Ceiller-ის ცნობით, პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის 5 ხელნაწერში „დიალექტიკა“ 65 თავითაა წარმოდგენილი, დანარჩენი—50 თავით[24].

ერთმანეთისაგან განსხვავებული სურათი დასტურდება ბერძნულ ხელნაწერთა სხვადასხვა აღწერილობებშიც. პ. ლამბროსის აღწერილობის ჩვენებით „დიალექტიკა“ დაცულია 4 ხელნაწერში და ყველგან თავების სხვადასხვა რაოდენობაა წარმოდგენილი (№ 710—68 თავია, № 782—ვრცელი რედაქციაა, № 3747—55 თავია, № 4500—70 თავია)[25]. მოსკოვის სინოდალური ბიბლიოთეკის აღწერილობაში „დიალექტიკა“ ოთხ ხელნაწერშია აღნუსხული (№№ 202, 203 და 413—68 თავია, №443—66 თავია)[26]. ა. პაპადოპულო-კერამევსს აღწერილი აქვს № 64 ხელნაწერი, სადაც „დიალექტიკა“ 55 თავით გვხვდება და №83 ხელნაწერი, სადაც 68 თავია[27]. ე. გრანსტრემის მიერ შედგენილი ბერძნული ხელნაწერების აღწერილობის მიხედვით „დიალექტიკა“ გვხვდება № 210 ხელნაწერში და მოიცავს 50 თავს[28]. გ. მინისეულ ნაბეჭდ გამოცემაში მოკლე რედაქციისაა 52 თავი, ხოლო ვრცელი რედაქცია 68 თავს მოიცავს[29].

როგორც ვხედავთ, ბერძნულ ხელნაწერებში ვრცელი და მოკლე რედაქციები საოცრად ჭრელ სურათს იძლევიან თავთა რაოდენობის მხრივ, ასეთივე ნაირფეროვნებაა თავთა განლაგებაშიც.

დამასკელის თხზულებათა ბერძნულად გამომცემლის, მინის ვარაუდით, დამასკელს „დიალექტიკა“ პირველად ვრცელი სახით უნდა ჰქონოდა წარმოდგენილი და შემდეგ, მის მიერვე ან რომელიმე თანამედროვის მიერ, მოკლე რედაქციამდე იქნა დაყვანილი. საინტერესოა, რომ ზოგიერთი ბერძნული ხელნაწერი მხოლოდ მოკლე რედაქციას შეიცავს, ზოგი—მხოლოდ ვრცელს. მინი ასახელებს ერთ ისეთ ხელნაწერსაც, სადაც ვრცელი და მოკლე რედაქციები ერთად გვხვდება[30].

მინის გამოცემა, რომელიც ვრცელ რედაქციას ეყრდნობა, მოიცავს მოკლე რედაქციის თავებსაც. მინს ცალკე აქვს მოცემული ვრცელი „დიალექტიკის“ სარჩევი და ცალკე მოკლე „დიალექტიკისა“. მოკლე „დიალექტიკის“ სარჩევი წყდება მე-15 თავზე და იქვე ლათინურად ახის კომენტარი: დანარჩენი თავე-

---

[24] ვიმოწმებთ Ш. Акинян-ის ზრომის მიხედვით, Հայհանճէս Ժամասաց և նրա առեղծագործութիւնների հայերէն թարգմանութիւները, Վ.Ա, 1947, № 4.

[25] P. Lambros, Catalogue of the Greck Manuscrits on Maunt Athos.

[26] Систематическое описание . . . Арх. Владимира.

[27] *Α. Παπαδόπουλος—Κεραμεύς, Ἱεροσολυμιτικὴ Βιβλιοθήκη*, τ. III.

[28] Е. Гранстрем, BB, XVI—XXIII.

[29] G. Migne, Patrologiae Cursus Completus, series Graeca. t. 94, გვ. 527.

[30] Migne, PG, t. 94, გვ. 520—521.

ბის რიგი ისეთივეა, როგორც პირველ სარჩევში (ე. ი. ვრცელი რედაქციის სარჩევში, ჰ. რ.)[31]. ვრცელი რედაქცია მოიცავს 68 თავს, ხოლო მოკლე რედაქცია, რომელსაც მინის სარჩევის მიხედვით ვასახელებთ, 52 თავს.

„დიალექტიკის“ არსენისეული ქართული თარგმანის მინის ბერძნულ გამოცემასთან შედარება ასეთ სურათს იძლევა: თავთა რაოდენობის მხრივ არსენის თარგმანი გაცილებით ახლოს არის მოკლე რედაქციასთან, ვიდრე ვრცელთან. მინის მოკლე რედაქციის 52 თავიდან არსენის თარგმანში მხოლოდ 49 თავი გვაქვს. მას არა აქვს მინის მოკლე რედაქციის 49, 51 და 52 თავები. არსენის თარგმანი თავთა განლაგების მხრივაც მიჰყვება მინის ჯამოცემაში მოცემულ მოკლე „დიალექტიკის“ სარჩევს.

ს. გორგაძეს სამართლიანად აქვს აღნიშნული, რომ არსენის თარგმანი მოკლე რედაქციას ეყრდნობა, ოღონდ განსხვავებულს მინის გამოცემის რედაქციისაგან[32]. ქართული თარგმანის ბერძნულთან ტექსტობრივი შეჯერებით ირკვევა, რომ არსენისეულ თარგმანს აშკარად სხვა რედაქცია უდევს საფუძვლად, მინის გამოცემის მოკლე რედაქციისაგან განსხვავებული. მაგრამ რომელი? მინის ტექსტზე უხვად დართულ კომენტარებში მოცემულია მრავალი ხელნაწერისა და გამოცემის ვარიანტული წაკითხვა. ბერძნული ვარიანტები ისეთ ჭრელ სურათს იძლევა, რომ ქართულისათვის ამოსავლად სავარაუდებელი რედაქციის გამოყოფა ზუსტად არ ხერხდება.

ტექსტობრივი დამთხვევა ზოგიერთ ბერძნულ ვარიანტთან გვაფიქრებინებს, რომ ქართული თარგმანის ორიგინალს შეიძლება რომელიმე მათგანი წარმოადგენდეს. სქოლიოში მითითებულ ვარიანტებთან ქართული ტექსტის შედარების შედეგად ამოსავალ წყაროდ სავარაუდებელ ბერძნულ ხელნაწერთა რიცხვი მიახლოებით დავიდა სამ ხელნაწერამდე. ამჟამად ეს საკითხი მხოლოდ ვარაუდის სახით არის გამოთქმული და მისი გადაჭრა ცალკე კვლევას მოითხოვს. საჭიროა ქართული თარგმანის თვით ამ ხელნაწერებთან შედარება.

ეფრემისეული თარგმანიც მოკლე რედაქციას ეყრდნობა. ოღონდ, როგორც შენიშნავს ს. გორგაძე, განსხვავებულს არსენის თარგმანის დედნისაგან[33]. თავთა რაოდენობის მხრივ ეფრემის თარგმანი უფრო ახლოა მინის მოკლე რედაქციასთან, ვიდრე არსენისა. ეფრემთან 53 თავი გვაქვს, ხოლო არსენთან, როგორც აღვნიშნეთ, 49.

ს. გორგაძეს გამოთქმული აქვს მოსაზრება, რომ ეფრემის თარგმანი ორ ისეთ თავს შეიცავს, რომელიც არ არის მინის ნაბეჭდ გამოცემაში, რომ ეფრემს დედნად ისეთი ბერძნული რედაქცია ჰქონია, რომელსაც მეცნიერება დღემდე არ იცნობს[34].

ესენია 34-ე თავი — „თჳსებისათჳს არსებისა და მოძღურებისა“ და ბოლო „ყაცად არსებისა და შემთხუევითისა“. ამათგან პირველი თავი ჩვენ გვაქვს არსენისეულ თარგმანშიც, ოღონდ სხვა სახელწოდებით და სხვა ადგილას. არსენ-

---

[31] **Migne**, PG, t. 94, გვ. 527—528.

[32] ს. გორგაძე, ფილოსოფიის მთავარი დარგები ქართულ მწერლობაში, „ჩვენი მეცნიერება“, 1923, № 2—3.

[33] იქვე.

[34] იქვე.

თან ეს არის 23-ე თავი და ჰქვია: „მერმეცა არსებისათჳს“. ამ თავის მინის გაჩოცების ვარიანტულ წაკითხვებთან შედარებამ გაარკვია, რომ იგი ჰქონია ზოგ ბერძნულ ხელნაწერს, ოღონდ იქ არსენისა და ეფრემის თარგმანების მსგავსად ცალკე თავად კი არ ყოფილა გამოყოფილი, არამედ წინა თავის—„არსებისათჳს“—გაგრძელებას წარმოადგენს.

საინტერესო მოვლენა შეიმჩნევა ეფრემის თარგმანში. ეფრემისეული ტექსტი მოკლე რედაქციას წარმოადგენს. მას 53 თავი გააჩნია. მაგრამ, ბოლო სამი თავი ნუმერაციით არა აქვს აღნიშნული მთარგმნელს არც ზანდუკში და არც ტექსტში; ზანდუკში იმ ადგილას, სადაც ეს თავები იწყება, ე. ი. 50 თავის შემდეგ, შენიშნულია: „ხოლო ამათ შეუდგან ურიცხუნი თავნი“[35] და ჩამოთვლის მხოლოდ 3 მათგანს. ეს თავებია: 51—„განსაზღვრებისათჳს ფილოსოფოსობისათა ერთი“, 52—„გუამოვნებითისა შეერთებისათჳს ერთი“, 53—„არსებისათჳს და შემთხუევისა ერთი“. შემდეგ იწყება წინასიტყვაობა[36]. „ესე ერგასისნი თავნი რიცხუედნი, მათ თანა ნართაულით თავებითურთ, გარეშეთა წერგნთა და საფილოსოფოსოჲსა სწავლულებისაგანი არიან“. მიუხედავად იმისა, რომ ჩამოთვლილია კიდევ 3 თავი, მთარგმნელი მაინც ხაზგასმით ამბობს „ერგასისნი თავნი“ ანუ 50 თავი. 53 თავიდან ყურადღება გამახვილებულია მხოლოდ 50 თავზე. ეს „ნართაული“ თავები, 53-ის გარდა, არის მინის მოკლე რედაქციაში, ოღონდ ეფრემთან ამ თავებში შემოდის ის ტექსტიც, რაც მინთან სხვა დამოუკიდებელ თავებად არის წარმოდგენილი. ესენია: „Ποικίλοι ὅροι.“ —„სხვადასხვა განსაზღვრებანი“ და „Περὶ τῶν τεσσάρων διαλεκτικῶν μεθόδων“ — „ოთხი დიალექტიკური მეთოდის შესახებ“. რატომ მიაჩნია ეს თავები ეფრემს „ნართაულად“? რატომ არის მისთვის ძირითადი 50 თავი? ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ იგი იცნობს ისეთ ბერძნულ ორიგინალსაც, სადაც „დიალექტიკის“ მოკლე რედაქცია 50 თავით არის წარმოდგენილი, ე. ი. დაახლოებით ისეთი სახის რედაქცია, როგორიც არსენისეულ თარგმანს უდევს საფუძვლად! ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკაში დაცული ერთი ბერძნული ხელნაწერის ჩვენება[37]. ამ ხელნაწერშიც „დიალექტიკის“ მოკლე რედაქციაა წარმოდგენილი. შედგება იგი 50 თავისაგან, მსგავსად ეფრემისეული რედაქციისა, ოღონდ თავთა საძიებლის შედარებიდან ირკვევა, რომ იგი ეფრემის თარგმანისაგან განსხვავებულ რედაქციას წარმოადგენს. მით უმეტეს განსხვავდება იგი არსენის თარგმანისაგან. თავთა რაოდენობისა და განლაგების მხრივ იგი მიჰყვება მინის მოკლე რედაქციის სარჩევს. ამ მხრივ ხელნაწერი ნაკლებად საინტერესოა. მაგრამ არის ერთი გარემოება, რომელიც იპყრობს ყურადღებას: 50 თავის შემდეგ, იქაც, როგორც ეფრემის თარგმანში, უნუმერაციოდ ჩამოთვლილია 3 თავი, ოღონდ ეფრემის თარგმანი და დასახელებული ბერძნული ხელნაწერი უნუმერაციოდ მოყვანილი თავებით ერთმანეთს არ ემთხვევიან.

---

[35] A-24, 1 r.

[36] იქვე.

[37] Е. Гранстрем, Каталог греч. рукописей, ВВ, XX, 1961, გვ. 206.

ეფრემთან ეს თავებია:

51. განსაზღვრებისათჳს ფილოსოფოსობისათა ერთი.

52. გუამოვნებითისა შეერთებისათჳს ერთი.

53. არსებისათჳს და შემთხუევისა ერთი.

ბერძნულ ხელნაწერში:

51. Περὶ ἑνώσεως.

52. Ὁρίσμοι δὲ τῆς φιλοσοφίας.

53. Ἔτι περὶ καθ' ὑπόστασιν ἑνώσεως.

მათ ერთმანეთისაგან განსხვავებთ ეფრემის 53-ე თავი და ბერძნულის 51-ე თავი. ბერძნულ ხელნაწერში, მინის გამოცემის მსგავსად, არაა ეფრემის 53-ე თავი, ხოლო ბერძნული ხელნაწერის 51-ე თავი არის ეფრემთან, ოღონდ გაერთიანებულია წინა, 50-ე თავთან.

მიუხედავად ამ სხვაობისა, მათ ურთიერთ სიახლოვე ემჩნევათ იმით, რომ ორივეგან ეს თავები არაა შესული თავთა საერთო სათვალავში. მაშ, ეს ფაქტი თვითონ ბერძნული ხელნაწერებისთვის ყოფილა დამახასიათებელი. რით შეიძლება ამ გარემოების ახსნა? რატომ არაა ეს თავები ძირითად სარჩევში შეტანილი? ჩვენ სხვა ახსნა ამ ფაქტისა არ მოგვეპოვება, გარდა შემდეგისა: ადრეულ ბერძნულ ხელნაწერებში არსებულა მიდრეკილება, „დიალექტიკის“ მოკლე რედაქცია უფრო შეემოკლებინათ, ანუ დაეცვანათ 50 თავამდე, ან თავიდანვე არსებობდა მოკლე რედაქციის სხვადასხვა სახეობა—შედარებით ვრცელი და რამდენიმე თავით შემოკლებული. მათ შორის განსხვავებული თავების საფუძველზე ზოგმა ბერძნულმა ხელნაწერმა ისინი უნომროდ და უსათაუროდ შეიტანა ტექსტში.

ამის საფუძველზე ვვარაუდობთ: არსებობდა მოკლე „დიალექტიკის“ ისეთი სახეობა, რომელიც შედგებოდა 50 თავისაგან და არ გაიჩნდა ის ბოლო თავები, რომლებიც არის მინის გამოცემაში, ეფრემის თარგმანსა და ლენინგრადის ბერძნულ ხელნაწერში, ე. ი. არსებობდა ისეთი რედაქცია, როგორიც არის არსენ იაყლოელის თარგმანი.

არსენისეული და ეფრემისეული თარგმანების ტექსტობრივი შედარებიდან ირკვევა, რომ ეფრემს არსენის თარგმანისაგან განსხვავებით მოეპოვება ორი თავი, ესენია უნუმერაციოდ, ტექსტის ბოლოს მოყვანილი „ნართაული“ თავები: 51-ე: „განსაზღვრებისათჳს ფილოსოფოსობისათა ერთი“ და 53-ე: „არსებისათჳს და შემთხუევისა ერთი“. უნუმერაციოდ დასახელებულ თავთაგან უკანასკნელი, 52-ე თავი—„გუამოვნებითისა შეერთებისათჳს ერთი“ სახელწოდებით ემთხვევა არსენისეულ 49-ე თავს, მაგრამ ეფრემთან ამავე თავში შემოდის ზედმეტი მოცულობის ტექსტი, რაც მინის გამოცემაში ცალკე თავად არის წარმოდგენილი: „Περὶ ἑνώσεως“, ხოლო არსენთან იგი საერთოდ არ დასტურდება.

ორი ბოლო განსხვავებული თავის გარდა, არსენისა და ეფრემის თარგმანები ერთმანეთს შორდებიან თავების შიგნით ტექსტის მოცულობის მხრივაც. რამდენიმე ადგილის გარდა, ეფრემის თარგმანი შედარებით ვრცელია, ვიდრე არსენისეული ტექსტი. უფრო მეტად თავების დასაწყისსა და ბოლოში არსენის თარგმანს აკლია ფრაზები მინის ბერძნულ ტექსტთან შედარებით, ეფრემისეულ თარგმანში კი ეს ადგილები ჩვეულებრივ დასტურდება. ის ადგილები, რაც არსენის თარგმანს აკლია ეფრემისეულ ტექსტთან შედარებით, არ არის აზრობ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რივად რაიმე პრინციპული მნიშვნელობის მატარებელი; ისე ჩანს, რომ ეფრემთან შედარებით გრცელი მსჯელობა გვაქვს განყენებულ ლოგიკურ ცნებებზე, ხოლო არსენის თარგმანი უფრო კონკრეტულია, ანდა—არსენისეული რედაქცია უფრო შემოკლებული სახეობაა მოკლე „დიალექტიკისა“, ვიდრე ეფრემისეული.

შემდეგ, არსენისა და ეფრემის თარგმანები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან თავების მიმდევრობითაც და თავების შედგენილობითაც. ზოგან არსენის ერთი თავი ორ თავად არის გამოყოფილი ეფრემთან და პირიქით, არსენის ორი დამოუკიდებელი თავი ეფრემთან ერთ თავშია გაერთიანებული.

ამრიგად, როგორც ეს ზევითაც იყო აღნიშნული, არსენისეულსა და ეფრემის თარგმანებს შორის არსებული სხვაობა აიხსნება იმ გარემოებით, რომ მათ ბერძნულის სხვადასხვა რედაქცია უდევთ საფუძვლად, სხვადასხვა მოკლე რედაქცია. არსენს უფრო შემოკლებული სახეობა აქვს ბერძნული დედნისა, ვიდრე ეფრემს. შესაბამისადვე, ქართულ თარგმანებს შორის არსებული რედაქციული სხვაობის საკითხი ლოგიკურად უკავშირდება „დიალექტიკის“ ორჯერ თარგმნის მომენტს, ანუ არსენ იყალთოელის მიერ „დიალექტიკის“ მეორეჯერ თარგმნა ძირითადად გაპირობებული უნდა იყოს იმით, რომ არსენს ხელთ ჰქონდა „დიალექტიკის“ ისეთი მოკლე რედაქციის შემცველი ბერძნული დედანი, რომელიც განსხვავდებოდა ეფრემისეული რედაქციისაგან. ეფრემისეულ რედაქციას არსენმა ეს რედაქცია არჩია და ამდენად, საჭიროდ ჩათვალა მისი მეორეჯერ თარგმნა.

ქართულ თარგმანებთან დაკავშირებით არსებობს პროფ. მ. გოგიბერიძის მოსაზრება, თითქოს არსენისეული ტექსტი თვითონ არის მთარგმნელის მიერ შემოკლებული თარგმნის პროცესში და რომ მოკლე ვერსიის არსებობას ბერძნული დედანი არ განაპირობებს. „ქართველ მთარგმნელს დამასკელის შრომიდან ამოუღია ყველაფერი, რაც კი მცირეოდენ თეორეტიული და ზოგადფილოსოფიური მნიშვნელობისა კი იყო იქ, ყოველივე, რაც კი შორიდან ანტიკურ დიალექტიკას და ონტოლოგიას მოგვაგონებდა და ხელუხლებლად დაუტოვებია მხოლოდ და მხოლოდ მშრალი, ფორმალ-ლოგიკური მასალა“[38]. „ქართული თარგმანი არსებითად განსხვავდება დღეს ცნობილი ბერძნული მოკლე რედაქციისაგან, უფლება გვაქვს ვიფიქროთ, რომ ეს შემოკლება, თუ ამოკრება ქართველი მთარგმნელის საქმეა“[39].

შეჯერება არსენისეული თარგმანისა ბერძნულ ტექსტთან, ერთი მხრივ, და ეფრემის თარგმანთან, მეორე მხრივ, ამ მოსაზრებას მხარს არ უჭერს. ვლინდება ასეთი სურათი:

1. მართალია, ქართული თარგმანი განსხვავდება დღეს ცნობილი ბერძნული მოკლე რედაქციისაგან, ანუ მინის გამოცემის მოკლე რედაქციისაგან, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ არსენისთვის რომელიმე სხვა მოკლე რედაქცია არ იყოს დასაყრდენი. როგორც ამაზე ზემოთ გვქონდა საუბარი, თვით ბერძნულ ხელნაწერებშია თავთა მეტ-ნაკლები რაოდენობა რედაქციების მიგნით და არსენ იყალთოელის ქართული თარგმანი რომ 49 თავს შეიცავს, ეს არ ნიშნავს იმას, რომ შემოკლება თვითონ მთარგმნელს უწარმოებია. ამავე მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს სომხურ ხელნაწერებში წარმოდგენილი ვითარება.

[38] ი. ჰეტრიწი, შრომები, ტ. 1, გვ. LXXX.
[39] იქვე, გვ. LXXXI.

ნ. აკინიანის ცნობით, ზოგ ხელნაწერში 45 თავია, ზოგში კი 39. მაგალითად, იერუსალიმის № 898 ხელნაწერში სათაურად წერებულა:

„არსებისათვის, მყოფისა და შემთხუევითისა, თარგმნილი ბერძნული წიგნიდან სომხურად ბაგრატ მამიკონიანის მიერ... წიგნი ესე გაყოფილია ორმოცდახუთ ნაწილად“[40].

როგორც ჩანს, სომეხ მთარგმნელს, ბაგრატ მამიკონიანს, უსარგებლია რომელიღაც ისეთი ბერძნული ნუსხით, რომელშიც „დიალექტიკა“ 45 თავით არის წარმოდგენილი.

როგორც ვხედავთ, არსებულა ისეთი მოკლე რედაქცია „დიალექტიკისა“, რომელშიც თავთა რაოდენობა არსენის თარგმანთან შედარებით ნაკლებია.

2. არსენისა და ეფრემის ქართული თარგმანების რედაქციული რაობის დადგენისა და ლენინგრადის ბერძნულ ხელნაწერთან შედარების შედეგად, ჩვენ გამოვთქვით ვარაუდი, რომ უნდა არსებულიყო ბერძნულ ორიგინალში ისეთი შემოკლებული რედაქცია „დიალექტიკისა“, როგორითაც სარგებლობს არსენ იყალთოელი. პროფ. მ. გოგიბერიძის შეხედულებით არსენმა შემოკლა „დიალექტიკა“ ყოველგვარი „ზოგადფილოსოფიური მნიშვნელობის“ ადგილების ხარჯზე. ასთად, ალბათ, იგულისხმება „დიალექტიკის“ ბოლო თავები. მაგრამ ის გარემოება, რომ ეფრემის ტექსტსა და ლენინგრადის ხელნაწერში ეს თავები არაა შესული თავების საერთო დანომვრაში, რომ მათ ეფრემი „ნართაულ“ თავებს უწოდებს, გვაფიქრებინებს, რომ ბერძნულადვე ცნობილი იყო ისეთი დედანი, სადაც ბოლო თავები არ იყო. ეს გარემოებაც გვაძლევს უფლებას, განვაცხადოთ, რომ ამ თავებით „დიალექტიკის“ შემოკლება არსენს არ უწარმოებია.

3. შემდეგ, ვითვალისწინებთ რა არსენ იყალთოელის ლიტერატურული საქმიანობის პრინციპებს, მის მთარგმნელობით მეთოდს, ჩვენ დაუშვებლად მივგვაჩნია, თითქოს მას ნებისმიერად შეემოკლებინოს დამასკელის ეს თხზულება. აკი თვითონვე აცხადებს თავის მთარგმნელობით პრინციპზე: „არცა რაჲ ბერძულისაგან დამიგდია და არცა რაჲ ზეპირითა დამირთავს“. არსენის მთელი მთარგმნელობითი საქმიანობა ამგვარ ხასიათს ატარებს და ამიტომ შეუძლებელია, თითქოს მას შეემოკლებინოს მთლიანად თხზულება იდეურ არსთან დაკავშირებული ადგილებით.

თუ პროფ. მ. გოგიბერიძის შენიშვნა თავების გამოტოვებას არ გულისხმობს, არამედ საერთოდ ტექსტის შემოკლებას, შევნიშნავთ, რომ თვით ტექსტში თავების შიგნით ასეთი რამ არ დასტურდება. მოკლე რედაქციის **ტექსტთან** შეჯერება სრულიადაც ვერ ავლენს რაიმე მსოფლმხედველობრივ ანუ „თეორეტიული და ზოგადფილოსოფიური მნიშვნელობის“ მქონე ტექსტის ნაკლებობას არსენ იყალთოელთან. მართალია, არსენის თარგმანი უფრო შემოკლებული ჩანს გარკვეული სიტყვებითა და ფრაზებით, ვიდრე ეფრემის თარგმანი ან მინის მოკლე რედაქცია, მაგრამ ეს შემოკლებანი სტილისტური ხასიათისაა, აზრი უფრო ლაკონურადაა გადმოცემული. ბოლოს და ბოლოს არსენ იყალთოელის მიზანს, ეფრემის შემდეგ ხელმეორედ ეთარგმნა დამასკელის თხზულება, სხვა ფაქტორებთან ერთად, შეადგენდა სწორედ ის, რომ ეფრემისაგან განსხვავებით ზედმიწევნით სიზუსტითა და გულმოდგინებით გადმოეღო იგი და არა „თეორეტიული და ზოგადფილოსოფიური მნიშვნელობის“ მქონე ადგილები გამოტოვებინა.

[40] **ვიმოწმებთ** ნ. აკინიანის შრომის მიხედვით.

ამრიგად დავასკვნით: არსენ იყალთოელს და ეფრემს ორი, ერთმანეთისაგან განსხვავებული, მოკლე რედაქცია აქვთ გამოყენებული, რომლებიც განსხვავდებიან მ ი ნ ი ს გამოცემის მოკლე რედაქციისაგან.

მართალია, არსენ იყალთოელისეულის თარგმანის ტექსტი უახლოვდება სჭოლიოებში მითითებულ სხვადასხვა ბერძნულ ხელნაწერთა ვარიანტულ ჩვენებებს, მაგრამ მთლიანად არც ერთ მათგანს არ თანხვდება. ასევე განსხვავდება იგი „დიალექტიკის“ იმ რედაქციებისაგან, რომლებიც აღნუსხულია ჩვენ მიერ მოძიებულ ბერძნულ ხელნაწერთა სხვადასხვა აღწერილობებში.

ამრიგად, ჩვენს წინაშე დგება მნიშვნელოვანი და საყურადღებო საკითხი: სრულიად დასაშვებია, რომ არსენის ქართულმა თარგმანმა შემოგვინახა „დიალექტიკის“ მოკლე რედაქციის შემცველი ისეთი ტექსტი, რომელიც ორიგინალით, ე. ი. ბერძნული ხელნაწერებით, დღესდღეობით ცნობილი არ არის. თუ ეს ვარაუდი გამართლდება, მაშინ მით უფრო მნიშვნელოვანი იქნება იყალთოელისეული ქართული თარგმანის ლიტერატურული ღირებულება და იგი უსათუოდ შესაბამის ადგილს დაიკავებს ბიზანტიური ლიტერატურის ისტორიაშიც. ეს გარემოება გარკვეული პასუხი იქნება ი. ლანგენის, დამასკელზე მონოგრაფიული შრომის ავტორის, ვარაუდზე, რომ აღმოსავლეთი მალავს მრავალ ხელნაწერს, რომელთა დაძებნა და შესწავლა აუცილებელია ბიზანტიური ლიტერატურის მკვლევართა მხრივ[41].

ქართული მწერლობის ისტორიაში „დიალექტიკის“ ლიტერატურული რაობის კვლევა აუცილებლად აყენებს საკითხს ქართულ თარგმანებთან სათანადო მიმართებით გათვალისწინებულ და შესწავლილ იქნეს სომხური თარგმანებიც.

§ 4. „დ ი ა ლ ე ქ ტ ი კ ა“ ს ო მ ხ უ რ ე ნ ა ზ ე

სომეხ-ქართველთა ფილოსოფიურ ურთიერთობას თავისი ხანგრძლივი ისტორია აქვს. ორივე ამ ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში იდეოლოგიურ მიმართულებათა ცვლილების მიხედვით ფილოსოფიური ურთიერთობაც გარკვეულ სახეს ღებულობდა. განსაკუთრებული მნიშვნელობა ამ ურთიერთობაში ენიჭება მთარგმნელობით საქმიანობას. ორივე ერის კულტურული დონე განაპირობებდა ასეთი საქმიანობის ორმხრივ წარმართვას. ფილოსოფიურ ნაწარმოებთა ქართულიდან სომხურად თარგმნას მე-12 საუკუნეში განსაკუთრებით ინტენსიურად მიჰყვეს ხელი.

უფრო ადრეულ საუკუნეებში ასეთი ურთიერთობა ორიოდე ძეგლის თარგმნით განისაზღვრებოდა. თუ როგორი ლიტერატურული ურთიერთობა არსებობდა ქართველთა და სომეხთა შორის გარკვეულ პერიოდებში, როგორ სახეს ატარებდა ეს ურთიერთობა, როგორი ძალება წარმართავდა მას გარკვეული პოლიტიკურ-ეკონომიური მდგომარეობის შესაბამისად, ამის შესახებ მონოგრაფიული შრომა ეკუთვნის პროფ. ილ. აბულაძეს[42]. ამ შრომაში ავტორი აღნიშნავს, რომ XI-XIII სს-ში ინტენსიური სახე მიეცა როგორც დოგმატიკურ-პოლემიკური, ისე საღვთისმეტყველო-ფილოსოფიური ნაწარმოებების ქართულიდან სომხურად თარგმნას. ეს გამოწვეული იყო იმ ძვრებით იდეოლოგიურ სფე-

[41] Ioseph Langen, Iohannes von Damaskus, Gotha, 1879, გვ. 25.

[42] ილ. აბულაძე, ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX—X სს., თბილისი, 1944.

როში, რომლებიც თავს იჩენდა სომხურ დიოფიზიტურ და მონოფიზიტურ წრეებს შორის არსებულ ბრძოლაში.

მონოფიზიტური ქრისტოლოგიის მატარებელ ანტიქალკედონისტ სომხურ ნაციონალურ ეკლესიას გადაჭრით უპირისპირდებოდნენ დიოფიზიტური ქრისტოლოგიის მქონე ქალკედონისტი სომხები, როგორც სომხეთის ტერიტორიაზე, ისე მის გარეთაც, კერძოდ საქართველოში. ამ შემთხვევაში ისინი ქალკედონისტური რწმენის მქონე ქართულ ეკლესიასთან ერთად იყვნენ[43]. ცხადია, თავიანთი იდეოლოგიური მრწამსის, დიოფიზიტურ დებულებათა დაცვამ განაპირობა სომხების თარგმნა ქართულიდან სომხურად, რომლებიც განმტკიცებად მათ იდეოლოგიურ საფუძველს მონოფიზიტებთან ბრძოლაში. უეჭველია, ამ საქმეში ყველაზე მეტად ისეთი ფილოსოფიური ნაწარმოებები გამოადგებოდათ, რომლებიც თეორიულად დაასაბუთებდნენ და გაამართლებდნენ მათ დიოფიზიტურ დოგმებს. ამით აიხსნება ასეთ ნაწარმოებთა თარგმნის ინტენსიურობა მე-12 ს-ში, როცა ქართული მწერლობა თავისი აყვავებისა და აღმავლობის გზაზე იდგა. მსგავსი მთარგმნელობითი საქმიანობა ამ საუკუნეში ცალმხრივი ჩანს. ამ მოვლენას პროფ. ილ. აბულაძე შემდეგი გარემოებით ხსნის: „ამ ხანის სომხური მწერლობა, საიდანაც ქართული მაინც უმთავრესად უცხო მიმდინარეობის ძეგლებს იღებდა, ამ დროს რაიმე თვალსაჩინოს და ქართული მწერლობისთვის უცნობს არას იღებს. ამასთან ერთად ქართული მწერლობა იმ წყაროებთან, განსაკუთრებით ბერძნულთან, რომლითაც სომხური საზრდოობდა, XI ს-დან საბოლოოდ უშუალო დამოკიდებულებას ამყარებს და „საკუთარ შვილს“ ეძახობინებს „ბერძენისა შვილის შვილსა, ნუუკუე და არა უეჭუელსა“[44].

სამეცნიერო ლიტერატურაში აღიარებულია, რომ პირველი ფილოსოფიური ნაწარმოები, რომელიც ითარგმნა ქართულიდან სომხურად, ეს იყო ნეოპლატონიკოს პროკლე დიადოხოსის „კაჟშირნი ღვთისმეტყველებითნი“ იოანე პეტრიწის თარგმანითა და კომენტარებით. ეს ნაწარმოები ითარგმნა 1248 წ. სიმეონის, პხლძაჰანქის მონასტრის ბერის მიერ[45]. ამავე სიმეონ პხლძაჰანქელმა მე-13 საუკუნეში თარგმნა დამასკელის „დიალექტიკა“ და „გარდამოცემაჲ“ ე. ი. „წყაროჲ ცოდნისაჲ“ 1 და მე-3 ნაწილი[46].

სომხურად არსებობს „დიალექტიკის“ სხვა თარგმანიც, რომელიც შესრულებულია ბაგრატ მამიკონიანის მიერ უშუალოდ ბერძნული ორიგინალიდან[47]. როგორც ფიქრობენ, ეს თარგმანი შესრულებულია მე-11 საუკუნეში, ე. ი. იგი არსებობდა სიმეონის თარგმანამდე. დაწვრილებითი ცნობები ამ თარგმანის რაობის, მთარგმნელის ვინაობისა და იმ სომხურ ხელნაწერთა შესახებ, სადაც

---

[43] Н. Марр, Аркаун, монгольское название христиан в связи с вопросом об армянах-халкедонитах, СПб., 1905.

[44] ილ. აბულაძე, ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX—X სს.' გვ. 018.

[45] ილ. აბულაძე, რუსთაველის ხანის ქართული ფილოსოფიური მწერლობის კიდევ ერთი ძეგლის თარგმანი ძველ სომხურზე. „ენიმკის მოამბე“, III, 1938, გვ. 111.

[46] ილ. აბულაძე, იგივე, გვ. 112.

[47] მატენადარანის № 3132 ხელნაწერის ანდერძნამაგი.

ეს თარგმანი გვხვდება, იხილეთ ნ. აკინიანის ნაშრომში[48].

სიმეონი, პრძანჰანქის მონასტერში მოღვაწე ქალკედონიტი ბერი, ფრიად განათლებული პირი ყოფილა, კარგად განსწავლული ქართულ მწიგნობრობაში, ეროვნებით სომეხი, იგი სათანადოდ ფლობდა ქართულ ენას, თვალყურს ადევნებდა ქართულ და სომხურ ლიტერატურულ და ფილოსოფიურ ცხოვრებას და ინტენსიურ თარგმნელობით საქმიანობას ეწეოდა. როგორც დიოფიზიტური იდეოლოგიის მატარებელმა, მან სომხეთის დიოფიზიტი წრეებისათვის, გარდა „წყაროჲ ცოდნისაჲსა“, ქართულიდან თარგმნა: პროკლე დიადოხოსის „ქავშირნი ღვთისმეტყველებითნი“, იოანე სინელის „კლემაქსი“ და სხვ.[49].

დამასკელის „დიალექტიკა“ სომეხმა თარგმნა არსენ იყალთოელის თარგმანის მიხედვით. ამ საკითხზე სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია *მოსაზრება როგორც ქართველ მეცნიერთა, ისე სომეხ მკვლევართა მიერ*[50].

სომხურ-ქართული ტექსტობრივი მასალის შედარება და ამ მხრივ საკითხის კვლევა არ ყოფილა ამ მეცნიერთა მიზანი. წინასწარი ცნობები აქ მოცემულია ზოგიერთი ტექსტობრივი მონაცემების მიხედვით. ამ მხრივ ჩვენი ნაშრომი წარმოადგენს „დიალექტიკის“ არსენ იყალთოელისეული თარგმანის სომხურ თარგმანთან მიმართებით სრული ტექსტუალური შესწავლის პირველ ცდას.

სომხური თარგმანების შესწავლის მიზნით ჩვენ გავეცანით ერევნის მატენადარანის იმ ხელნაწერებს, სადაც „დიალექტიკის“ ტექსტია დაცული. სიმეონ პრძანჰანქელის ქართულიდან შესრულებული თარგმანი დაცულია №№ 63, 101, 102, 103, 116, 5789, 5859 ხელნაწერებში. სომხური ტექსტების შეჯერებისთვის შევარჩიეთ №63 (მე-15 ს.) ხელნაწერი, № 116 (მე-16 ს.) და № 5789 (მე-17 ს.). ყველა ხელნაწერს გააჩნია ანდერძნამაგი ქართულიდან მთარგმნელობაზე. მაგ. № 63 ხელნაწერში გვ. 110 სწერია: „დასასრული შრომათა იოანე დამასკელისა, მასსურად წოდებულისა, მოკლედ თქმული მისი მადლით: გარდმოცემა, თარგმნილი სიმეონის მიერ ქართული ენიდან სომხურ ენაზე“.

სომხურ ხელნაწერებში „დიალექტიკის“ ტექსტთან ერთად თარგმნილია „გარდმოცემაც“, ე. ი. „წყაროჲ ცოდნისაჲ“ ის ნაწილები, რაც თარგმნილი იყო ქართულ მწერლობაში. სომხური რომ ქართულიდან არის ნათარგმნი, იქიდანაც ჩანს, რომ მე-2 ნაწილი „მწვალებელთათვის“, რომელიც თარგმნილი არ იყო ქართულად, არ ჩანს სომხურშიც.

შემდეგ, № 101 ხელნაწერში, რომელიც 1740 წ-ით არის დათარიღებული, 3ᲒᲠ-ზე საერთო სათაურად ვკითხულობთ: „ამრიგად, თხზულება ესე განიყოფების ორ წიგნად და ზანდუკი მათი თითოეულ წიგნს მოეპოვება“. ასეთივე სათაურია №5789 ხელნაწერში (XVII ს.) 3Ⴢ-ზე. ან ეს დასათაურება იმ ორიგინალშივე იყო, საიდანაც ეს ხელნაწერები გადაიწერეს მე-17, მე-18 სს-ში, ან გადამწერებს ეკუთვნის. ორივე შემთხვევაში ერთია ნათელი: დამასკელის „წყაროჲ ცოდნისაჲ“ ორ წიგნად, ორ ნაწილად არის აღქმული. ეს შეიძლება მხოლოდ ქართულიდან თარგმნით აიხსნას.

ზოგიერთ ხელნაწერს (№№ 63, 103—1729 წ., №116, № 5495—1696 წ.). ახლავს დანართი სტატიები, რომელთაგან ზოგი არ ეკუთვნის დამასკელს, მაგ-

[48] Մ. Ակինեան, Յովհաննէս Դամասկացի և նրա առեղծվածութիւնների հայերէն բարգմանութիւնները. Հև, 1947, № 4.

[49] ილ. აბულაძე, რუსთაველის ხანის ქართულად ნათარგმნი ძველი სომხური მწერლობის ძეგლები, „ენიმკის მოამბე“, II, 1938; ნ. აკინიანი, იგივე.

[50] ილ. აბულაძე, დასახ. ნაშრომები: ნ. აკინიანი, დასახ. ნაშრომი.

რამ სომეხი მთარგმნელი დამასკელს მიაკუთვნებს. ზოგან სწერია: *«ნიսրին Յովհաննէ՚ւմ ասեմ»* („ისევ იოანე დამასკელისა“). იქ. აბულაძის მოსაზრებით, სომხური „დიალექტიკა“ დანართი სტატიებითურთ არსენ ვაჩნაძის „დოგმატიკონიდან“ არის თარგმნილი, რადგან სწორედ „დოგმატიკოწინა“ ეს სტატიები და იმ რიგით, როგორითაც ისინი გვხვდებიან სომხურში[51]. ვინაიდან სტატიები დამასკელის თხზულებას მისდევს ქართულში, სომეხმა მთარგმნელმა ისინი შეჭანიურად დამასკელს მიაწერა. რომ ქართულია ამოსავალი, ამაზე № 103 ხელნაწერის მინაწერი მეტყველებს: „სიტყვები, რომლებიც შემდგომ მოსდევენ და მიეწერება იმავე იოანე დამასკელის სახელს, არა მგონია, რომ მისი იყოს, მაგრამ მისსავე სიტყვიდან გადმოვიღე, როგორც ვთვეო“. (გვ. 97).

გვიანი პერიოდის გადამწერმა საეჭვოდ მიიჩნია ამ სტატიების დამასკელისთვის მიკუთვნება, მაგრამ ინერციით დატოვა, რადგან მისთვის ამოსავალ დედანში ასე ყოფილა. „დიალექტიკის“ თავთა მიმდევრობით სომხური ზუსტად ემთხვევა ქართულს.

ყოველივე ეს, რომ არაფერი ვთქვათ თვით ტექსტობრივი შეჯერებით მიღებულ დასკვნებზე, აშკარას ხდის იმ ფაქტს, რომ სომხური „დიალექტიკა“ ქართულიდან არის ნათარგმნი, რომ სომხურისთვის ამოსავალია „დიალექტიკის“ არსენ იყალთოელისეული ტექსტი.

რა სურათია ვარიანტების თვალსაზრისით სომხურში?

ტექსტის აგებულების მიხედვით სომხური ვარიანტები განსხვავდებიან როგორც ქართული ვარიანტებისაგან, ისე ერთმანეთისაგან. „დიალექტიკისა“ და „ვარდამოცემის“ ზანდუკების, ტექსტის, კოზმა მაიუმელისადმი მიძღვნილი ეპისტოლისა და დანართი სტატიების თანმიმდევრობა სხვადასხვაა A ლიტერით აღნიშნულ № 116 ხელნაწერში, B ლიტერით აღნიშნულ № 63-სა და C ლიტერით აღნიშნულ № 5789 ხელნაწერში.

აგებულების მიხედვით ქართულ ორიგინალთან ახლო მიმართებაში ჩანს ყველაზე ადრინდელი B ვარიანტი. მაგრამ ძირითადი ვარიანტებისათვის შესადარებელ ტექსტად ავიღეთ XVI ს. № 116 ხელნაწერი, რომელსაც A ლიტერით აღვნიშნავთ, და აი რატომ:

1) A ვარიანტი ყველაზე ადრინდელი ნუსხიდან არის გადაწერილი, 2) იგი ყველაზე ახლოა ქართულ ორიგინალთან.

A ვარიანტი აშკარად გადაწერილი ჩანს სხვა, ადრინდელი ნუსხიდან, რომელიც განსხვავდება B ვარიანტისაგანაც და C ვარიანტისაგანაც. რომ იგი ადრინდელი ნუსხიდან არის გადაწერილი, ამაზე მიუთითებს მთელი რიგი ტექსტობრივი მონაცემები. დავასახელებთ ისეთ ორთოგრაფიულ ლაფსუსებს, რაც A ვარიანტს გაეჩინა და რაც მხოლოდ გადაწერის პროცესშია დაშვებული.

მე-2 თავში—„ნათესავისაოჳს ნათესავობისა და სახისა სახობისა“ სწერია: *«իակ նիւթէ ոչիւ կոչի». «նիւթ»* ’თუ’ კავშირი ორთოგრაფიული ლაფსუსია. ქართულ ორიგინალსა და სომხურის სხვა ვარიანტებშიც აქ საკუთარი სახელი, „სეით“ — *«Սէթ»* სწერია: *«իակ Սէթ և ոչիւ կոչի»*. ჩანს, *«նիւթ»* აირია *«Սէթ»* სახელში.

შემდეგ თავში „განთჳსებულისათჳს“, A ვარიანტში გვაქვს: *«որպէս և էլ այն ասեմ»*. *«էլ այն»* სრულ უაზრობას გვაძლევს. სხვა ვარიანტებ-

[51] იხ. აბულაძე, რუსთველის ხანის ქართულიდან ნათარგმნი ძველი სომხური მწერლობის ძეგლები. ენიმკი, III, გვ. 125—128.

ში ამ ადგილას გვაქვს: *«იოანე არ ე ყოვნ ითხოვნელი»*, რაც წარმოადგენს ქართულის „ვითარ—იგი არს ბერჭალ-ბრტყელობაჲ“-ს მართებულ თარგმანს.

გარდა ამ ორთოგრაფიული ხასიათის ლაფსუსებისა, A ვარიანტში შეიმჩნევა რამდენიმე „non sens“-ი, რაც მხოლოდ გადაწერის მომენტით აიხსნება. რომელიმე სიტყვა სრულიად უაზროდ გამოიყენება კონტექსტში. მაგ.: პირველ თავში სწერია: *«იჳ ქრისტჱ არ ოჲ ყოველ ე ანთაჩაჲ ფიყოფოფრიჳ ჱ»* — „არა სხჳა შორის მქონებელი ყოფისაჲ, არსებაჲ არს“. *«ანთაჩაჲ»* „non sens“-ია წინადადებაში.

თავში „შემთხუევითისათჳს“ გვაქვს: *«ქრისტჱ ა (ქრისტჱ ა) ფარჭალ ანყალი ქრისტ (բացա ქრისტ)»*. ორჯერ *«ქრისტჱ ა»*-ის გამეორება იმაზე მეტყველებს, რომ ტექსტი გადაწერილია, ადგილ-ადგილ გასწორებულია და ამ გადაწერისა და გასწორების პროცესში ასეთი ბუნდოვანება გაიპარა.

პირველ თავში „მყოფისათჳს, არსებისა და შემთხუევითისა“, სწერია: *«Ⴓაალჱ ა ფიჳ ანჳნ ა ფაითარიაჲს ჱ ჩოფ ფჱითჩანჳნ»*. ამის შესაბამისად ქართულში არის: „ეგრეთვე სულიცა და ცნობაჲ“. ამრიგად, სომხურში სრულიად უადგილოდ იხმარება სიტყვა *«ფაითარიაჲს»*, რაც ნიშნავს ’შემთხუევით-ს‘.

საყურადღებოა, რომ A ვარიანტში მთელი ტექსტის მანძილზე გვხვდება გასწორებული ადგილები. ტექსტი დაწერილია შავი მელნით და ამ ძირითადი ტექსტის თავზე წითელი მელნით გასწორებულია სიტყვები, ზოგჯერ მთელი ფრაზა. ზოგ შემთხვევაში ის, რაც გაასწორეს, ე. ი. შავი მელნით დაწერილი, წაშლილია, ზოგან კი დატოვებულია. ტექსტის პირველ თავებში გასწორება წითელი მელნით ხდება ძირითადი ტექსტის თავზე, შემდეგ და შემდეგ კი უკვე იმავე შავი მელნით თვითონ ძირითად ტექსტში არის გასწორებული. განასწორები ან ფრჩხილებშია ჩასმული, ან ფრჩხილებში არ არის და ერთ გაბმულ ტექსტად გრძელდება. ასე რომ, ხშირად შეიძჩნევა ერთი და იმავე ადგილის ტავტოლოგიური წაკითხვა. ის ტექსტი, რომელსაც ასწორებენ, გაცილებით მეტ სიახლოვეს იჩენს ქართულთან, ვიდრე B და C ვარიანტები. მთელი ტექსტის მანძილზე თვალნათლივ ჩანს A ვარიანტის აშკარად გამოხატული სიახლოვე ქართულ ორიგინალთან, რომელიც ენობრივ მოვლენებშიც ვლინდება და ლექსიკურ მასალაშიაც. საილუსტრაციოდ მოგვაქვს სამი ნიმუში გრამატიკული წყობიდან, ტერმინოლოგიიდან და ლექსიკიდან.

ა. ქართულის ირიბ ბრუნვაში დასმული მე-3 პირის ჩვენებით ნაცვალსახელს A ვარიანტი ისევ ჩვენებით ნაცვლასახელით თარგმნის, BC კი—უკუქცევითი ნაცვალსახელით.

„არა აქუნდეს მისგან განყოფილი სახენი“, 41v

A — *«იჳ ოչ ითჩ ჲ ჩამაჯ (ქრისტჱ) բարժանալ ითჩაფა»*,

BC — *«იჳ ოչ ითჩ ქრისტჱნჯ բարժանալ ითჩაფა»*.

ბ. ფილოსოფიური ტერმინის *„ἡ κατ᾽γορία“*, *„κατηγορεῖται“* — „შესმენა“, „შეისმენების“ სემასიოლოგიურ მნიშვნელობას A ვარიანტი უკავშირებს „სმენას“ და თარგმნის *«էութ»*, *«էսխ»*-დ, რაც სწორედ ’სმენას‘, ’слышать‘-ს ნიშნავს სომხურში. BC ვარიანტები კი ამ შემთხვევაში ხმარობენ სომხურ ფილოსოფიურ ტერმინოლოგიაში დამკვიდრებულ მართებულ *«ատրոգութիւն»*, *«ատրոգիկ»* ტერმინებს.

გ. ბერძნული *„ἡ κύων φωνῆ“* შეცდომით არის ქართულში თარგმნილი „სახლი ძაღლისაჲ“. ასევე შეცდომითაა იგი სომხურ A ვარიანტშიც *«անուն*

ჯანი», ხოლო BC ვარიანტებში, ისევე როგორც ეფრემისეულსა და ბაგრატ მამიკონიანის თარგმანებში არის მართებული *«ძალი ჯანი»*—„ვნება ძალღისაჲ“.

მაშასადამე, A ვარიანტის შემცველი ტექსტი ქართულ ორიგინალთან უფრო ახლოა.

ტექსტში გვხვდება შესწორებები. რა სახისაა ეს შესწორებანი?

1. გასწორებულია ის სიტყვა, რომლის ხმარება ქართულის ბრმა თარგმნის გამო გაუმართლებელია.

„განშორებადი — შემთხუევითი“, 43r, *«ნასაჯარალი (անջատական)»*,

„ნაცვლობით შემასმენლად ითქუმიან“ 43v., *«փոխադրական լուր ասին (առորդին)»* A.

სომხური სინამდვილისათვის მართებულია *«առորդին»*, *«լուր ասին»* ქართულის კალკაა.

„ჰ ქრფო“ — „შესახედავი“ — *«տեսանելիքն (կերպարան)»* A, *«կերպարան»* C.

2. გასწორებულია ის სიტყვა, რომელიც ქართულის სინონიმური მნიშვნელობის გამო კონტექსტისათვის შეუსაბამო გაგებით არის თარგმნილი.

„მყისთანად მყოფობაჲ“, *«փութ ընդ փութին (ի միասին) լինել»*.

„მყისთანად“ ქართულში ორი მნიშვნელობით იხმარება: 1. მსწრაფლ, мгновенно. 2. ერთად, вместе. სომეხმა თარგმნა ჯერ მსწრაფლ-ის მნიშვნელობით, მაგრამ შემდეგ გაასწორა კონტექსტისათვის მართებული *«ի միասին»* გაგებით. მომდევნო ფრაზაშიც მეორდება იგივე სურათი: „მყისთანად ბუნებითა არს“ — *«(ի միասին) բնութիւն է»*. ფრჩხილებში ჩასმა ამ სიტყვისა გულისხმობს, რომ ალბათ აქაც იხმარებოდა შეუსაბამო *«փութ ընդ փութ»* — ‚მსწრაფლ‘, მაგრამ გადამწერმა იგი გამოტოვა, ხოლო ტავტოლოგიურად ნახმარი *„ի միասին“* ფრჩხილებში ჩასმული გაეპარა.

3. გასწორებულია ტერმინები, რომელთა ხმარებას A ვარიანტში შედარებითი არასისტემურობა ახასიათებს და ხშირად მცდარად იხმარება:

ὁ ὡμωνύμως — „სახელმოდგამი“, 43 r, *յարանուն (համանուն)* — A, *‘համանուն* — BC.

მართებულია *համանուն*-ით თარგმნა. სხვა ადგილას იგივე „სახელმოდგამს“ A რედაქცია *«փոդանուն»*-ით თარგმნის და იმავე *«փոդանուն»*-ს ხმაროს „სახელნართაულის“ გადმოსაცემად.

მსგავსი არასამყარე ტერმინთა ხმარებაში A რედაქციას საერთოდ ახასიათებს.

4. გასწორებულია ფრაზა, რომელიც A რედაქციაში ქართული ტექსტის თარგმანია და განსხვავდება ბერძნული ორიგინალისაგან:

„τὴς διαφορᾶ οὐσίας πρὸς τὰ συμβεβηκότα“

„რაჲ განყოფილებაჲ მისი შემთხუევითთა მიმართ“, 46v

«զինչ բաժանմունք (տարբերութիւն զոյացութեան) նմա» — A

«զինչ տարբերութիւն զոյացութեան» — BC.

BC ვარიანტი ბერძნულთან არის ახლო, ხოლო A რედაქცია ქართულის თარგმნის და შემდეგ არის ფრაზა ფრჩხილებში ჩამატებული, ე. ი. გასწორებულია.

ჩამოთვლილ შესწორებათა შედეგად ტექსტში, და ეს შეიმჩნევა განსაკუთრებით ხოლო თავებში, მრავალგან გვხვდება ტექსტის სწორი აზროვანი გამართულობისათვის სრულიად მიუღებელი ტავტოლოგიები. მოვიყვანთ რამდენიმე ნიმუშს:

1. „ხოლო რომელნიმე მცნობელობისაებრ და ცნობილისა“, 49 r

ეროვნული ბიბლიოთეკა

«ჩაჩ ითანდ ხელმ ჩანთანჯიის და ჯანთიცგანჯა»: იგივე ჯათიჭე ჯათხელეა.

ბერძნულში ამ ადგილას სწერია: „Τὰ δὲ κατὰ τὸ κρίνον καὶ κρινόμενον“ (გვ. 629). სომეხი მთარგმნელი სიტყვა-სიტყვით თარგმნის ქართულს და ეღებულობთ: *«ჯანთანჯიე და ჯანთიცგანჯა»*, მაგრამ გვიანი დროის გადამწერი ხვდება, რომ არასენისეული თარგმანი აქ მთლად გამართული არაა და გასწორების მიზნით მეორეჯერ იმეორებს *«ჯათიჭე ჯათხელეა»*. საიდან მოაქეს მას ეს სიტყვები? ამ შემთხვევაში ორი ვარაუდი შეიძლება დავუშვათ: იგი ან ეფრემის თარგმანში იხედება, სადაც ჟეთხება „მსაჯულისა და დაშჯილისათჳს (21 v) ან ბაგრატ მამიკონიანთან, სადაც გვაქეს *«ჟი ჩაიჭ ჲ ჯათჩ»*.

2. „ἡ πρὸς ἄλληλα ἕνωσις“ — „ურთიერთას შეერთებაჲ“, 53 v — *«ჲთ ჩჩიანი ჲ ენიც ჩჩიანი ჩჩაიეიჩჩიჩ»*.

«Ჲთ ჩჩიანი» და *«ენიც ჩჩიანი»* ტავტოლოგებია. ორივე ქართული „ურთიერთას-ის“ სემასიოლოგიური კორელატებია.

3. „ὑπὸ τὸ συνεχὲς ποσὸν ἀνάγεται:“,

„ესე შერწყმებითად რაოდენობად აღიყვანების“, 48 v

«ლი ჯარისკან ქანსაკიჩჩის ჲ თთ ჯათხაკჩთან ჲ ქანჩისთჩჩის ქხეიჩჩის» — A, *«ჲ ჯარისკან ქანსაკიჩჩის ჲ ჯათხაკჩთან ჩჩის თთანც ეიკთთჩჩის ქხეიჩჩის»* — C.

B ვარიანტში მე-2 წინადადება არ მეორდება.

4. „გუამოვნისა და უგუამოჲასათჳს“, 39 v

«ქათი ჭაკანი ჲ ანჭკათანი, ქათი ითიკათანი ჲ ანჭითკათანი» — AB, *«ქათი ითიკათანი ჲ ანჭითკათანი, ჭაკანი ჲ ანჭკათანი»* — C.

უკანასკნელ ორ მაგალითში ქართულის სათანადო ფრაზები ორჯერ მეორდება სომხურში. მსგავსი ტავტოლოგიები გაბარულია გასწორების პროცესში.

აღნიშნული გასწორებები, სინონიმები და ფრაზეოლოგიური ტავტოლოგიები მეტად საყურადღებო ფაქტია ჩვენს ტექსტში ვარიანტულ მიმართებათა გასარკვევად.

რა სურათია ამ მხრივ სომხურის B და C ვარიანტებში? B და C ვარიანტები უფრო ხშირად იმეორებენ გასწორებულ ტექსტს. მაგ.:

„ნათესაჲ“, 41 v — *«ჩიჭ (ჩჩი)»* — A, *«ჩჩი»* BC.

„გუამი“, 44 r — *«ჩჩი (ჩჩჩიი)»* — A, *«ჩჩჩიი»* — BC.

„სულიერად და უსულოდ“, 42 r — *«ქანჩჩიიიჭ (ჲ ენჯჩიიჭ) ჲ ქანჭჩ (ქანჯჩიჩ)»* — A, *«ჲ ენჯჩიიჭ ჲ ქანჯჩიჩ»* — BC.

„ἡ δὲ ἀντικειμένη κυρίως, ὡς ἐφερμήνει ῥῆξις“.

„ხოლო წინააღმდგომი — საკუთრად, ვითარცა სიმჴურვალე და სიგრილე“, 52 v

«ქათ ჯაკათაჩჭ ჩჩ ითთჭჩ, ითჭჩ ჯჭჩჩთჩჩის ყჭეთჩჩის» — A

„ „ „ „ „ , *«ითჭჩ ჯჭჩჩთჩჩის ყჭეთჩჩის»* — C

„ „ „ „ „ , *«ითჭჩ ჯჭჩჩთჩჩის ჭჭეთჩჩის»* — B.

ამ მაგალითში, ქართულსა და სომხურის A ნუსხაში არ ჩანს დაპირისპირება: 'სიმხურვალეს — სიგრილეს', რაც არის ბერძნულში. სომხურის BC ვარიანტები კი ამგვარად ასწორებენ.

მაგრამ, იშვიათად B და C ვარიანტებშიც არ შეიმჩნევა ერთი გარკვეული ტენდენცია. ისინი ხან გასწორებულს მისდევენ, ხან იმეორებენ იმას, რის გას-

წორებაც ხდება A ვარიანტში. ერთი ცხადია, სომხურის სამივე ვარიანტში არის გასწორებები. A-ში ეს აშკარად და თვალნათლივ ჩანს, ხოლო B და C-ში კი შეიმჩნევა კვალი ასეთი გასწორებებისა. მაგ.: ერთ ადგილას, A და C-ში სრულიად უადგილოდ იხმარება ფრაზა *«ადგ მასგოსქსნგ ե մասգոսքիւնք»*, რაც სომხურში ნიშნავს ცოდნას, სწავლას. ამ სიტყვებს B ვარიანტი სხვაგან ხმარობს, რომ უფრო ნათელი გახდეს სურათი, მოვიტანთ ქართულ ტექსტს, სათანადო სომხური თარგმანით:

„ჯერ არს უკუე, რაჲთა გარეშემცველია და გარეშემცველი არსება იყვნენ, რამეთუ უკეთუ ერთი ვიდრემე არსებაჲ იყოს, ხოლო მეორე შემთხუევითი, ვითარცა მიწთომიელი და მიწთომილობაჲ, არღარა ქონებისა მიმართ აღიყვანებიან“—51 r.

«Եւ պարտ է, որպէս զի պարագրող և պարագրեալն գոլութիւն նիւթոյն (ադգ մասգոսքիւնք և մասգոսքիւնք — AC), զի եթէ մին գոլութիւնն նիւթոյն և միւսն պատահումն, որպէս և (մասգոսքիւնք — B),ոչ լսելս և (մասգոսքիւնք իրրն — C), գնանդիպեալ և գնանդիպումն ոչ այնուհետ և առ անձն վերարկուին».

ფრჩხილებში ჩასმული ფრაზები ცალკეული ვარიანტების ჩვენებაა. მორდება ყოველთვის *«մասգոսքիւնք և մասգոսքիւնք»*, ალბათ ქართული „მიწთომიელი და მიწთომილობაჲ“-ს გადმოსაცემად, მაგრამ ქართულს ეგეგე სიტყვები სომხურში თარგმნილია *«գնանդիպեալ և գնանդիպումն»* ერთეულებით. მაშ, *«մասգոսքիւնք և մասգոսքիւնք»* შემდეგი დროის გასწორებაა, რადგან „ცოდნის“, „სწავლის“ სემანტიკით ის უფრო შეეხამება სომხურ სინამდვილეს, ვიდრე ქართულის ბრმა თარგმანი *«գնանդիպեալ և գնանդիպումն»*. მაგრამ საქმე იმაშია, რომ უფრო მართებული სინონიმური ცალები სრულიად უადგილოდ და უაზროდ მოიხმარა იმ კონტექსტში, სადაც იხმარება. აქედან იმის დასკვნა შეიძლება, რომ A, B და C ვარიანტები გადმოწერილია ადრინდელი ნუსხიდან, სადაც ხდებოდა გასწორებები, მაგრამ ერთმანეთში აურიეს განასწორებიც და გასწორებულიც და ამიტომ მივიღეთ ტექსტის ასეთი გაუმართობა. მსგავსი ბუნდოვანი ადგილები ტექსტში სხვაგანაც გვხვდება.

საბოლოოდ დავასკვნით:

სომხურის ვარიანტებში ერთგვარი სურათი არაა წარმოდგენილი. ამ ვარიანტების შეცველი ნუსხები გვიანი პერიოდისაა და აშკარაა, რომ უფრო ადრინდელი ნუსხებიდანაა გადაწერილი. B და C ვარიანტებს დაცული აქვთ უკვე რედაქტირებული ტექსტი, ხოლო A ვარიანტში სახეზეა ასეთი რედაქტირების პროცესი. A ვარიანტში მთელი ტექსტის მანძილზე ვხედავთ ასეთ შესწორებებს. A ვარიანტს დაახლოებით დაცული აქვს ის ადრინდელი სახე, როგორითაც ის გამოვიდა სიმეონ პტლძახანელის ხელიდან, რადგან A ვარიანტის ტექსტი გასაოცარ სიახლოვეს იჩენს ქართულ ორიგინალთან.

შეიძლება დაახლოებით ასე წარმოვიდგინოთ სომხურ ვარიანტთა ურთიერთმომართების საკითხი: მე-13 ს. პირველ ნახევარში სიმეონის მიერ „დიალექტიკა“ ითარგმნა ქართულიდან სომხურად. ჩვენ ხელთ გვაქვს მე-15 ს. ნუსხა B ვარიანტის სახით, რომელიც უკვე შესწორებულ-რედაქტირებული სახითაა წარმოდგენილი. შეიძლება ეს რედაქტირება თვითონ ამ ვარიანტის გადამწერს მიეწეროს, ან შესაძლოა იგი უფრო ადრეულ ნუსხას გაჰხდეა და B ვარიანტი

მხოლოდ გადაწერილია. შემდეგ გვაქვს, მართალია, ერთი საუკუნით გვიანდელი (მე-16 ს.) ვარიანტის შემცველი ნუსხა, მაგრამ ქართულიდან ნათარგმნი ტექსტი ყველაზე ადრეული სახით აქ არის დაცული. აქ სახეზეა თვითონ რედაქტირების პროცესი. C ვარიანტი ყველაზე გვიანდელია და ყველაზე სრულყოფილად მას აქვს შენარჩუნებული უკვე რედაქტირებული სახეობა. A ვარიანტში დადასტურებული შესწორებანი საინტერესო ხასიათს ატარებენ. კერძოდ, შესაძლებლობისდაგვარად სწორდება ის ადგილები, რომლებიც ქართულ ორიგინალზე ზედმიწევნით ახლო დამოკიდებულების გამო ქართულის კალკას წარმოადგენს. გასწორებანი ეხება ლექსიკას, უმთავრესად ფილოსოფიურ ტერმინოლოგიას. ტექსტის გასწორება ხდება სომხური ფილოსოფიური აზროვნების პრაქტიკაში მიღებული ტერმინოლოგიის მიხედვით.

ДРЕВНЕЙШИЕ ТИПЫ ЖИЛЫХ ДОМОВ ЗАПАДНОЙ И ВОСТОЧНОЙ ГРУЗИИ

В. С. ГАГОШИДЗЕ

(Представлено инст. истории груз. искусства АН Гр. ССР).

В период развернутого социалистического строительства проектировщиками широко используются прогрессивные традиции народного жилища, поэтому изучение древнейших типов жилищ, исследование условий, в каких жили наши предки, представляет большой интерес не только с исторической стороны, но имеет и большое познавательное значение.

На основании непосредственного ознакомления с некоторыми сохранившимися до нашего времени жилыми домами и по литературным источникам, рассматриваем мало изученный, древнейший тип жилого дома Западной Грузии «Катха сахли», устанавливая эволюционную взаимосвязь с колхидским домом «Дарбази» и «Ода сахли».

Катха сахли — древнейший тип жилого дома, сохранившийся до настоящего времени в Западной Грузии, в Амболаурском и в некоторых других районах (I и II Тола, Хванчкара, Чорджо и в других селах).

На таблицах 1 и 2 показан жилой дом «Катха сахли» (I Тола Амболаурского района), принадлежащий колхознице Нино Цхвиравашвили.

Здание в плане — прямоугольное, состоит из трех частей: средняя — большая комната, к ней примыкает с одной стороны меньшая, узкая комната, а, с другой стороны, — балкон «аивани». Посередине основной комнаты имеется полукруглое место для костра — очаг (по грузински «керия»).

Вокруг полукруглой части, обнесенной каменными плитами, имеется деревянный пол, а от прямой же части его начинается утрамбованный земляной пол — сохане (სოხანე).

В средней комнате имеются две двухстворчатые полукруглые двери, расположенные на боковых частях дома. Обе двери и керия размещаются на одной линии.

Над «керией» висит прямоугольное деревянное приспособление — «какибера» (კაკიბერა), или «кача» (კაჩა). Весной крестьяне на «какибера» вешают для копчения свинину. В средней ее части над очагом, висит железная цепь с крюком на конце «саквабе» (საქვაბე), для подвешивания котла.

Дым от костра уходит в отверстие «саквамури» (საკვამური), проделанное в средней части крыши. Отверстие прямоугольное, расположенно с одной стороны конкового бруса (таблица 4а) и перекрыто кровлей. В подобных типах домов отверстия бывают также с двух сторон конкового бруса.

«Керия» — главная часть Катха сахли и поэтому сам дом часто называют «домом с огнем в середине», по-грузински — «шуа цецхлиани сахли».

«Керия», как пишет Г. Читая[1] являлся символом вечности, а культ огня в грузинских и закавказских племенах имел большое значение». Поэтому понятно дошедшее до нас с древних времен грузинское выражение: «шен дагепсос керия», пусть погаснет твой очаг, считавшееся самым страшным проклятием.

Со стороны земляного пола в комнате, по всей ее ширине, устроено спальное место — кушетка, «тахта», с четырьмя стойками, перекрытая тесом для защиты от копоти (само помещение потолка не имеет).

На другой стороне комнаты устроен шкаф «буджери (ბუჯერი) для хранения посуды. Около двери в полу имеется четырехугольное отверстие — люк, размером 1.0×1,0 м для спуска в подвал.

Подвальное помещение состоит из двух частей. Подвал, находящийся под основной комнатой дома, так называемая «палати», служит для проживания зимой. Стены его выложены бутовым камнем. Свет проникает через окно (щель), выделанную в каменном цоколе, Для отопления и приготовления пищи в палати имеется камин с дымовым отверстием, соединенным с очагом дома. Из этой части подвала имеется вход в другую часть, расположенную под аивани, в которой размещается скот. Эта часть подвала по-грузински называется «босели» (ბოსელი). Последний снаружи имеет главный вход.

Средняя комната, считается не только композиционным центром дома, но одновременно является и местом пребывания семьи, отдыха и сна. К ней, как было указано выше, примыкает вторая, меньшая комната с деревянным полом и потолком. Это — приемная комната для гостей, она называется «цинкари» (წინკარი).

Третья часть дома — «айвани» — «чардахи» (ჩარდახი) — летняя спальная комната.

На аивани с обеих сторон раньше вели пандусы — наклонные плоскости «сарбени» (სარბენი), а в настоящее время с одной стороны устраивается деревянная лестница. Пол аивани, на 60 см выше пола основного помещения. Эта высота зависит от крутизны рельефа, поскольку под аивани всегда располагается «босели» для скота.

«Палати» для проживания зимой имеется не во всех домах.

«Катха сахли» имеет следующую конструкцию: от нижнего брусчатого пояса: уложенному по всему периметру здания, поднимается дощатая стена. Доски в углах соединяются способом врубки с остатком «килики» (ქილიე). Для увеличения дощатых или бревенчатых стен их соединяют между собою специальными брусьями «бокви» (ბოყვი), имеющими с обеих сторон по всей длине пазы.

После укладки нескольких рядов широких досок на шипах, стены завершаются брусчатым поясом «сарткели» (სარტყელი). Для устройства дверей ниже пояса ставят дверные бокви, на которые с одной стороны, без пазов, навешиваются двери, а с другой, в специальные пазы, входят стенные доски.

В доме имеется три пояса: нижний — фундаментальный, промежуточный и верхний. На верхний пояс опираются, значительно свешива-

[1] Г. Читая, Мотив древо жизни в Лазском орнаменте. Известия Института языка, истории и материальной культуры им. академика Н. Я. Марра, АН ГССР, Тбилиси. 1941, стр. 310 (на грузинском языке).

ясь, стропильные ноги «какви» (ქაქვი), другим концом они лежат на коньковом прогоне «сатаве» (სათავე).

11. ამ განმარტებას ადასტურებს ლ. ზ. ბუდაგოვი. Сравнительн. словарь турецко-татарских наречий, ტ. II (სპბ., 1871), გვ. 54. სადაც აღნიშნულია „კაზაკ“-ის სხვა მნიშვნელობათა შორის „ვოლნი“, „ბრადჟაგა“, „რაზბოინიკ“; აგრეთვე „კაზაკი“—როგორც ყირგიზების თავისსახელი. უკრაინის აღმნიშვნელი სახელი და სხვ. იხ. აგრეთვე „ქართ. ენის განმარტებითი ლექსიკონი“, ტ. VII, s. v. ყაზახი (და მისგან ნაწარმოები სიტყვები).

12. ეს განმარტება რუსულში ხმარებული „კაზაკ“-ისა კარგად უდგება სათანადო ლექსიკონებში და სხვა მასალებში მოცემულ ცნობებს. სპეციალური კვლევა მხოლოდ მნიშვნელობათა სხვაობას გაზრდიდა. ასე, ისტორიულად დადასტურებულია რუს. კაზაკი „სლუგას“, „დაქირავებული რაბოტნიკის“[10] ან კიდევ „მოფრირალე ვაქაცის“ მნიშვნელობითაც[11].

13. ეს მითითება კლაპროთზე[12] ი. ჯავახიშვილს დაუსტებული აქვს ნაშრომში „ქართველი ერის ისტორიის შესავალი“, წ. 1[13], გვ. 271-272; ჩვენი ისტორიკოსი სარგებლობდა კლაპროთის ფრანგული თარგმანით—Voyage au mont Caucase et en Géorgie, I—II, Paris, 823. აღნიშნულ წყაროებში ნაგულისხმევია კონსტანტინე პორფიროგენეტის De administrando imperio, X-ს., რომლის შესამოწმებლად ახლა იხ. ს. ყაუხჩიშვილი, Georgica. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. IV, ნაკვ. 2, გვ. 224 და 232; თ., 1952.

14. ჩერქეზების (ადიღეს) სახელად რომ ოსებში წინათ „ყაზახი“ ყოფილა ხმარებაში, ეს ი. ჯავახიშვილს აღნიშნული აქვს სხვა შრომაშიც: „ქართულ-

---

[4] გ. შ ა რ ა შ ი ძ ე, გურული ლექსიკონი, გვ. 73. ქართველურ ენათა ლექსიკა. 1. გურული, ზემოიმერული და ლეჩხუმური ლექსიკონები. თ., 1938. კ ა ძ ა ხ ი—გლეხი (ს. ქ ო ჭ ა ტ ი, გურული კილო (ტფ., 1936), გვ. 228.

[5] გ. შ ა რ ა შ ი ძ ე, გურული ლექსიკონი, გვ. 34.

[6] იქვე.

[7] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, კიკოლაი, ჩიკოლაი და კუდაბრიკა, გვ. 43 (რჩეული, I, თ., 1947).

[8] დ. კ ლ დ ი ა შ ვ ი ლ ი, ქაშუშაძის გაკირვება, გვ. 248, 285, 289, 290 და სხვ. (თხზულ., ტ. I, თ., 1952).

[9] ი. ყ ი ფ შ ი ძ ე, მეგრ.—რუს. ლექსიკონი, გვ. 354 (ბისი Грамматика мингр.—Материалы по языкознанию, Спб., 1914).

[10] А. Г. Преображенский, Этимол. словарь русского языка (მ., 1958), გვ. 281—282.

[11] Толков. словарь русск. яз. Д. Ушакова (მ., 1935), s. v.

[12] გერმანელი მეცნიერი კლაპროთი ჩვენს დედაწში შემთხვევით ფრანგად არის რეკომენდებული. შდრ.: ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართ. და კავკას. ენების..., გვ. 25.

[13] ზუსტი სათაური: ქართველი ერის ისტორიის შესავალი, წ. I. საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, გ. ჩ ი ტ ა ი ა ს რედაქციით, თ., 1950.

და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა (თ., 1937), გვ. 16, სადაც ციტაციის წესით დასახელებულია Güldenstädt-ის (XVIII ს.) სათანადო ცნობა. ამას დავსძინოთ ავტორიტეტული ცნობაც, რომ თანამედროვე ოსურში Kaesaeg აღნიშნავს „ყაბარდოელებს“, ამ სალხსა და მის მიწა-წყალს (ვ. ი. აბაევი, Историко-этимологический словарь осетинского языка, I, გვ. 588; მ.—ლ., 1958).

კლაპროთის ცნობა, რომ ოსებთან ერთად მეგრელებიც ჩერქეზებს ყაბახ-ჭაშაკის (ფრ. ტექსტში: Kazakh და Kessek) ახელით იცნობდნენ, იხ. ი. ჯავახიშვილის „ქრთველი ერის ისტორიის შესავალი“, წ. 1, გვ. 271-272. (აქ მოხსენებულია ძველ მეგრელთათვის ცნობილი „ყაშაკ-მეფე“). იხ. აგრეთვე კლაპროთის დასახელებული შრომის ტ. I, თ. IV, გვ. 57.

15. კლაპროთის ეს დებულება ტექსტში სიტყვასიტყვით ასე იკითხება: „Il parait que ceux-ci (sc. აზოვის ყაზახები) se sont mêlés davantage avec leurs voisins les Tcherkesses, puisque, depuis ce temps, les mots Tcherkesse et Cosaque sont devenus synonymes“ (გვ. 60).

16. ი. ჯავახიშვილის ამ ნათქვამს ნ. მარის შესახებ ადასტურებს შემდეგიც: ავარული ენის ერთი ფონეტიკური თავისებურების—სრულხმოვანების ცხადსაყოფელად ნ. მარი მიმართავს ასეთ მაგალითსაც (ამთვწერთ ტექსტუალურად): „qazaq ვო. qazq ეთნ. и соц. термин: *хазх* (*хазах*), *крестьянин*“[14]. ესე იგი: ავარულში „ხაზახ“-ი (შდრ. ყაზახი) ეთნიკური ცნებაცაა და სოციალურიც, ამდენადვე „ხაზახ“-ს შეესატყვისება გლეხ“-ი. მკითხველი იგულისხმებს, რომ ჩვენს მეცნიერს არაერთგზის სოციალური ცნება ტომობრივიდან გამოუყვანია[15].

17. კაშაგნი: ამათ შესახებ ზუსტი ცნობა ი. ჯავახიშვილს მოჰყავს ზემოთ დასახელებულ შრომაში (ქართ. ერის ისტორიის შესავ., გვ. 273), სადაც გამოყენებული აქვს ამ ტომობრივი სახელის საინტერესო ფორმა „ქაშოგნი“ (შდრ. რუს. წყაროების „კასოგი“). ფორმა „ქაშაგნი“ იხ. ბასილი, ცხორება მეფეთა-მეფისა თამარისი (XIII ს.), გვ. 35, გამოც. ი. ჯავახიშვილისა, თ., 1944.

18. ცალკე უნდა აღინიშნოს XVIII ს-ის საბუთებში („საქართველოს სიძველენი“, III, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტფ., 1910) ჩვენგან შემჩნეული შემთხვევები „ყაზახის“ გამოყენებისა. ირაკლი II-ის მიერ 1750-1760 წწ. გაცემულ „კახეთის ბაეების გარიგების“ ტექსტში იხსენიებიან „ცხენიანი ყაზახი“, რომელსაც შეეძლო კახეთს „საქონელი მოეტანა“ („ცხენიანმა ყაზახმა თუ საქონელი მოიტანოს“, გვ. 135), და სათანადო შემთხვევაში გამოყვანილი „ქვეითი ყაზახი“ (გვ. 136). საფიქრელია, რომ მოცემულ მაგალითში „ყაზახი“ უნდა ნიშნავდეს დღევანდელი აზერბაიჯანის კაზახის რაიონის, იმდროინდელი ყაზახის (გეოგრ.) ბინადარს, ყაზახ-„თათარს“. ეს „თათრები“ ყვენენ ის „ყაზახნი“-ც, რომელნიც თეიმურაზ I-ის დროს, „არჩილიანის“ მიხ-

---

[14] Н. Я. Марр, Непочатый источник истории Кавказского мира. (Из третьей лингвистической поездки в Дагестан, 24 дек.-12 янв.), Известия Академии Наук, 1917, გვ. 324.

[15] მაგალითი იხ. ნ. Марр, К истории передвижения яфетических народов с юга на север Кавказа, Известия Академии наук, 1916, გვ. 1406.

ედვით, კახეთს უტევდნენ, როსტომ მეფის ლაშქრის მონაწილენი, და რომელთა ასეთი ეთნიკური ვინაობა სწორად შენიშნა თავის ალაგას ნ. ბერძენიშვილმა[16].

19. რუს. **ხრისტიანინის** ასეთი სემასიოლოგიური განვითარების შესახებ იხ. А. Г. Преображенский, Этимологический словарь русского языка (მ., 1958), გვ. 384.

20. ძველი რუსეთის „მუჟების" (мужи) შესახებ იხ. Б. Д. Греков, Крестьяне на Руси (მ.-ლ., 1946, გვ. 77, 87; შდრ. Г. Е. Кочин, Материалы для терминологического словаря древней России (მ.-ლ., 1937), გვ. 196 შდგ...; გვ. 198 (мужики).

---

[16] არჩილიანი, ტ. II. გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა (ა. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით; თ., 1937), ხანა 1007. I: „...ხისაყს მოუხდენ ყაზახნი", და სამისო ლექსიკონი, ნ. ბერძენიშვილის შედგენილი, გვ. 199 (ყაზახი). აღნიშნული ომი (1648 წ.) იხ. ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, გამოც. ზ. ჭიჭინაძისა, თ., 1913, გვ. 75.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საინგერესო გამოკვლევა[1]

პ. ბენდიანიშვილი, გრ. მარგიანი

საქართველოს ბურჟუაზიის წარმოშობისა და ზრდა-განვითარების საკითხები დღემდე ნაკლებადაა შესწავლილი. თ. ბერიაშვილს მიზნად დაუსახავს თბილისის მოსახლეობის ერთი ნაწილის „მოქალაქეთა“ სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის შესწავლისა და ამ ფენის ევოლუციის გაშუქების საფუძველზე ეჩვენებინა ბურჟუაზიული კლასის ფორმირების პროცესი.

ნაშრომის შესაბამში მოცემულია საკითხის გარშემო არსებული ლიტერატურის მიმოხილვა. მიმოხილვაში დასახელებული ნაშრომები სარეცენზიო წერილის სათანადო ადგილებზეცაა გამოყენებული. მაგრამ ცხადად ჩანს, რომ გამოკვლევა ძირითადად დამყარებულია გამოქვეყნებულ დოკუმენტებსა და ავტორის მიერ საბჭოთა კავშირის არქივებში გამოვლენილ პირველ წყაროებზე.

ნაშრომში ნათქვამია, რომ საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ ქართველი ხალხის ცხოვრებაში ახალი ხანა დაიწყო. პოლიტიკური დამოუკიდებლობის დაკარგვის ფასად საქართველომ მშვიდობიანი ცხოვრების საშუალება მოიპოვა და პროგრესული განვითარების გზაზე მტკიცედ გამოვიდა. ფეოდალური წყობილების წიაღში თანდათან ჩაისახა და განვითარდა კაპიტალისტური საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციის კონტურები. საქართველოს კაპიტალისტური განვითარების ტემპები ძირითადად კი,—ნათქვამია გამოკვლევაში,—ქ. თბილისი წარმოადგენდა. XIX ს-ის რეფორმამდელ ხანაში დიდი ცვლილებები ხდებოდა ქალაქის ეკონომიკასა და მოსახლეობის სოციალურ შედგენილობაში. ძველი წოდებები (თავადაზნაურობა, გლეხობა, ხელოსნები) განიცდიდნენ დაშლა-დიფერენციაციის პროცესს, ხოლო ახლად ჩასახული სოციალური ფენები (ბურჟუაზია, მუშები) კი ზრდა-ფორმირების პროცესს. ბურჟუაზიის რიგებს აკსებდნენ თავადაზნაურები, „მოქალაქეები“ და ხელოსნები, მუშების კონტინგენტს კი ძირითადად ქმნიდნენ გაპროლეტარებული გლეხები და ხელოსნები.

ნაშრომის პირველ თავში გაშუქებულია „მოქალაქეთა“ წოდების წარმოშობის წინაპირობები და მისი ფორმირების პროცესი.

ავტორი მართებულად მიუთითებს, რომ XIII-XVI საუკუნეების გაუთავებელი საგარეო და შინა ომების წყალობით დაკნინებულ ვაჭარ-ხელოსანთა ფენას ძალა არ შესწევდა დამოუკიდებელი სოციალურ-პოლიტიკური პროგრამით გამოსულიყო. ამ ფენის ეკონომიურად აღზევებულთა იდეალს პრივილეგიურ წოდებაში გადასვლა წარმოადგენდა. მაგრამ, იმის გამო, რომ თავადობისა და აზ-

---

[1] თ. ბერიაშვილი, რეფორმამდელი ხანის საქართველოს ქალაქების სოციალური ფენები, თბილისი, 1964 წ.

ნაურობის მიღებას მხოლოდ ერთეულები ახერხებდნენ და აზნაურებთან უფლებრივად გათანაბრებული დიდგვაჭრებიც მცირერიცხოვანი იყვნენ, ვაჭარ-ხელოსანთა ფენაში წარმოიშვა მისწრაფება ქალაქელთა საერთო მასიდან განსაკუთრებული წოდების სახით გამოყოფისა.

კონკრეტული მასალის შესწავლის საფუძველზე ნაშრომში გამოტანილია დასკვნა, რომ ქალაქის არათავადაზნაურული მოსახლეობიდან პრივილეგიური ზედაფენის გამოყოფა „მოქალაქეთა“ წოდების სახით მიმდინარეობდა XVII-XVIII საუკუნეებში, ავტორის დაკვირვებით, ცნება „მოქალაქის“ შინაარსი XVII ს-ის პირველ ნახევარში ჯერ კიდევ ფართო იყო, იგი თითქმის ყველა ქალაქელს მოიცავდა. მოქალაქის წოდება თანდათან იქცეოდა ვაჭარ-ხელოსანთა ზედაფენის პრივილეგიად. საკანონმდებლო ძეგლებისა და დოკუმენტური მასალის მართებული ანალიზის შედეგად ავტორი, ჩვენი აზრით, სწორად ასკვნის, რომ მოქალაქეთა პრივილეგიური წოდების სოციალურ-პოლიტიკური და იურიდიული ფორმირება მთავრდება XVIII საუკუნეში. ეკონომიურად აღზევებულმა ვაჭარ-ხელოსნებმა თავისი საზოგადოება შექმნეს და დაუპირისპირდნენ ქალაქთა დანარჩენ მასას. მათ თანდათან მოიპოვეს პირადი თავისუფლება, პრივილეგიები ვაჭრობა-ხელოსნობაში და აზნაურული უპირატესობა სამართლის წარმოების სფეროში.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ მოქალაქის წოდება იყო არა მემკვიდრეობითი, არამედ პირად პრივილეგიას წარმოადგენდა. თ. ბერიაშვილი არ ეთანხმება ამას და, ჩვენი აზრით, დამაჯერებლად ასაბუთებს, რომ მოქალაქის წოდება და პრივილეგიები მემკვიდრეობით გადადიოდა. მათი ერთი ნაწილი ახერხებდა ყმა-მამულის შესყიდვას და სოციალურად თითქმის მთლიანად თავადაზნაურობას ემსგავსებოდა.

ნაშრომში ხაზგასმითაა აღნიშნული მოქალაქეთა მნიშვნელოვანი როლი საერთოდ ქვეყნის და განსაკუთრებით თბილისის პოლიტიკურ ცხოვრებაში. მეფის ხელისუფლება ფეოდალთა პარტიკულარისტული მისწრაფებების აღკვეთისათვის წარმოებულ ბრძოლაში იყენებდა მოქალაქეებს და კარგი სამსახურის სანაცვლოდ დიდ თანამდებობებს და ზოგჯერ ყმა-მამულსაც უწყალობებდა მათ. მოქალაქეთა წრიდან ინიშნებოდნენ თბილისის ხელისუფალნი—მელიქი, მამასახლისი, ნაცვალი და სხვ.

წიგნის მეორე თავში გაშუქებულია თბილისის მოქალაქეთა მიერ რუსეთის მთავრობისათვის წაყენებული მოთხოვნების ხასიათი და საკითხის შესასწავლად გამოყოფილი კომისიების საქმიანობა.

ავტორი მიუთითებს, რომ ვაჭარ-ხელოსნები საქართველოს სამეფო ხელისუფლებისაგან მოითხოვდნენ მშვიდობის დაცვას და ნორმალური პირობების შექმნას სავაჭრო-სამრეწველო საქმიანობისათვის, მაგრამ შექმნილ კონკრეტულ ისტორიულ პირობებში საქართველოს დამოუკიდებელმა სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო წესრიგი და მშვიდობა. ამით იყო, ავტორის განცხადებით, გაპირობებული ის გარემოება, რომ ვაჭრებს პროტესტი არ გამოუთქვამთ ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების გამო, ისინი რუსეთის ბსოლუტურ მონარქიას უკავშირებდნენ თავიანთი იმედების განხორციელებას. ცარიზმმა მოსპო სამეფო-სამთავროები, შინაგანი ბაჟები, ალაგმა ფეოდალთა თვითნებობა და ქვეყანა თავისი ბატონობის ქვეშ პოლიტიკურად გააერთიანა. მაგრამ ძველის გაუქმება და ახალი წესრიგის შემოღება, ნათქვამია ნაშრომში, მიმდინარეობდა საზოგადოებრივ ძალთა ჭიდილში. ცარიზმის ღონისძიებანი ზოგჯერ ლახავდა მოქალაქეების

და თავადაზნაურობის ინტერესებსაც კი. ნაშრომში გაანალიზებულია პრეტენზიები მოქალაქეთა, რომელნიც რუსეთის მთავრობისაგან მოითხოვდნენ მათი ძველი პრივილეგიების აღიარებას და საკანონმდებლო წესით განმტკიცებას. მოქალაქეთა საზოგადოების მიერ წამოყენებულ მოთხოვნათა უმეტესობაზე, აცხადებს ავტორი, კნორინგმა პასუხის გაცემაც კი ვერ მოასწრო, რადგან იმ დროს მათთვის უცნობი იყო თბილისის „მოქალაქეთა“ სოციალურ-პოლიტიკური ბუნება.

თბილისის პირველხარისხოვანი მოქალაქეები, რომლებიც უფლებრივად აზნაურებთან იყვნენ გათანაბრებული, ქართული კანონებით დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში ფიზიკურად არ ისჯებოდნენ. რუსეთის მთავრობამ ანგარიში გაუწია ადგილობრივ ტრადიციას და XIX ს. 10-იან წლებში მიიღო დადგენილება თბილისის პირველხარისხოვანი მოქალაქეების ფიზიკური სასჯელისაგან გათავისუფლების შესახებ. მაგრამ არ აღმოჩნდა მოქალაქეთა სიები, რამაც გარკვეული სიძნელეები შექმნა მართლმსაჯულებაში. ასეთ ვითარებაში, გადმოგვცემს ავტორი, მთავრობამ ყურადღება თხოვნა-განცხადებები და მოქალაქეთა წოდების ხასიათის გასარკვევად. აგრეთვე, მათი კონტინგენტის დასადგენად 1814 წ. შექმნა სპეციალური კომისია. XIX ს-ის 50-იან წლებამდე ხუთი ასეთი კომისია შეიქმნა. წიგნში მოცემულია კომისიების მუშაობის შედეგად დაგროვილი მასალის ანალიზი, რომლის საფუძველზე ავტორი დაასკვნის, რომ კომისიების საქმიანობას მოქალაქეთათვის სასურველი შედეგი არ მოჰყოლია, რომ მათი ძველი პრივილეგიები აღიარებული და საკანონმდებლო წესით არ ყოფილა განმტკიცებული.

იმის გამო, რომ მოქალაქეთა საკითხის გადაწყვეტა ასე დიდხანს გაჭიანურდა, პირველხარისხოვანმა მოქალაქეებმა თხოვნით მიმართეს მეფის ნაცვალ ვორონცოვს. ეშუამდგომლა უმაღლეს მთავრობაში მათთვის რუსეთში არსებული მემკვიდრეობით საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭების თაობაზე. ნაშრომში დეტალურად არის განხილული საკითხის მთელი ისტორია. ახლად შექმნილ კომისიას მიზნად დაუსახეს იმის გარკვევა, თუ თბილისის მოქალაქეთაგან ვინ იყო ღირსი მემკვიდრეობით საპატიო მოქალაქის წოდებისა. კომისიამ არასაშარისად ჩათვალა უკვე დაგროვილი მასალა საკითხის გადასაწყვეტად და მიზანშეწონილად მიიჩნია თბილისის მოქალაქეთა ხარისხების გარჩევისათვის ისინი ჩაერიცხა გილდიებში, რის შემდეგ ყოველი მოქალაქე და ყოველი ვაჭარი შესაფერისი პრივილეგიით ისარგებლებდა. ყველაზე ღირსეულთ, კომისიის აზრით, შეიძლება მინიჭებოდა მემკვიდრეობით საპატიო მოქალაქის წოდება. თვით ვორონცოვი უმაღლეს მთავრობას სწერდა, რომ უმჯობესია თბილისის პირველხარისხოვანი მოქალაქეები გადავიყვანოთ მემკვიდრეობით საპატიო მოქალაქეთა წოდებაში, ვიდრე შევქმნათ განსაკუთრებული პრივილეგიური წოდება 79 ოჯახისაგან.

ნაშრომიდან ჩანს, რომ ვორონცოვის შუამდგომლობას მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ მოჰყვა დადებითი შედეგი. 1861 წ. 21 აპრილს ბრძანებით 79 ოჯახი ჩარიცხულ იქნა მემკვიდრეობით საპატიო მოქალაქის წოდებაში. 1864 წლამდე სულ ეს პატივი მიიღო თბილისში მოქალაქეთა 255 ოჯახმა.

ნაშრომის მესამე თავში შესწავლილია მოქალაქეთა საქმიანობა, მათი ქონებრივი მდგომარეობა და სოციალური დიფერენციაცია, ამ ფენის რაოდენობა და დინამიკა, მოქალაქეთა ბრძოლა თავის საზოგადოებრივ-პოლიტიკური უფლებების გაუარესება-განმტკიცებისათვის.

ნაშრომში მოტანილი მასალიდან კარგად ჩანს, რომ მოქალაქეთა საქმიანობის უმთავრესი ასპარეზი ვაჭრობა-მრეწველობა იყო, მცირე ნაწილი მოხელეობაც მსახურობდა სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებებში. XVIII ს-ის დასასრულისათვის ვაჭარ-მოქალაქეთა რაოდენობა 394 შეადგენდა, ხელოსანთა —125, მოხელეთა—37. XIX ს-ის პირველ ნახევარში მოქალაქეთა რიცხვი საერთოდ იზრდება და თანაც მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდება მათ ქონებრივ და სოციალურ მდგომარეობაში.

სხვადასხვა წლების სტატისტიკური ცნობების შედარება-ანალიზის საფუძველზე ავტორი ასკვნის, რომ XIX საუკ. პირველ ნახევარში: 1. მცირდებოდა ვაჭარ-ხელოსან მოქალაქეთა რაოდენობა, რაც ძირითადად გამოწვეული იყო ვაჭრობა-მრეწველობის უმცირესობის ხელში კონცენტრაციით და სოციალური დიფერენციაციის გაღრმავებით; 2. იზრდებოდა მევაჭრეთა რაოდენობა, რადგან პროცენტის სიდიდის გამო ფულადი კაპიტალის დაბანდება სავახშო ოპერაციებში უფრო ხელსაყრელი იყო, ვიდრე შედარებით სარისკო ვაჭრობის წარმობა; 3. მოქალაქეთა შორის ჩნდებოდნენ ნოქრები და დღიური მუშებიც კი, რაც ამ წოდების სოციალური დიფერენციაციის ერთ-ერთ გამოხატულებას წრმოადგენდა.

წიგნში საინტერესო მასალაა მოტანილი ვაჭარ-მოქალაქეების ფართო სავაჭრო ოპერაციებზე და მათ მიერ დაგროვილი ფულადი კაპიტალის შესახებ. იქვე მოტანილია ცნობები ვაჭარ-მოქალაქეთა ერთი ნაწილის მიერ ფულადი კაპიტალის სამრეწველო სფეროში დაბანდების საილუსტრაციოდ.

კაპიტალიზმის განვითარების კვალდაკვალ თბილისის მოსახლეობა თანდათან იზრდებოდა. ნაშრომში მოტანილი მასალიდან ჩანს, რომ მოქალაქეთა წოდების ზრდის ტემპი მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა საერთოდ ქალაქის მოსახლეობის ზრდის ტემპს. ეს ბუნებრივიცაა, აცხადებს ავტორი, რადგან მოქალაქეობა ძირითადად შეძლებულ ვაჭარ-ხელოსანთა მონოპოლიას წარმოადგენდა. ქალაქის მოსახლეობა კი უმთავრესად სოფლიდან მოსული გაპროლეტარებული გლეხების ხარჯზე იზრდებოდა.

ანტიფეოდალური ტენდენციები ყოველთვის უფრო ძლიერი იყო ქალაქებში და მათ შორის თბილისშიც. XIX ს-ის პირველ ნახევარში სწრაფად იზრდებოდა მოქალაქეთა და საერთოდ თავისუფალ ქალაქელთა რაოდენობა. ნაშრომში მოტანილი მასალა ცხადყოფს, რომ თბილისის მოსახლეობა თანდათან თავისუფლდებოდა ბატონყმობისაგან. 1835 წ. მოსახლეობის თავისუფალი ნაწილი შეადგენდა 34%-ს, 1963 წელს კი—49%-ს.

ვაჭრობა-მრეწველობის, კაპიტალიზმის განვითარების პირობებში ქალაქის მოსახლეობის ზედაფენა თანდათან მეტ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ უფლებებს მოითხოვდა. წიგნში კარგად არის შესწავლილი ეს საკითხიც. დახასიათებულია 1840 წლის და 1866 წლის დებულებათა საფუძველზე შექმნილი თბილისის საზოგადოებრივი მმართველობის საქმიანობა.

1870 წლის საერთო საიმპერიო საქალაქო დებულება, ნათქვამია ნაშრომში, კიდევ ერთ ნაბიჯს წარმოადგენდა ბურჟუაზიისადმი დათმობების გზაზე. ახალი დებულება, ითვალისწინებდა რა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიურ წყობაში მომხდარ ცვლილებებს, ანგარიშს არ უწევდა მოსახლეობის ძველ წოდებრივ დაყოფას და საარჩევნო თანრიგებს აყალიბებდა ქალაქის მცხოვრებთა ეკონომიური კატეგორიების შესაბამისად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვლევა-ძიების შედეგები კონცენტრირებულია ნაშრომის ბოლოს. ძირითადი დასკვნა, რომელიც ავტორს გამოტანილი აქვს კონკრეტული მასალის ანალიზისა და საკითხის მთელი ისტორიის შესწავლის საფუძველზე, ასეთია: „მოქალაქეთა ფენა ჯერ კიდევ ფეოდალიზმის წიაღში წარმოიშვა, მაგრამ მისი ზრდა-განვითარება განპირობებული იყო ვაჭრობა-მრეწველობის აღმავლობით, კაპიტალისტური ურთიერთობის ჩასახვა-განვითარებით. მართალია, მოქალაქეების სუბიექტურ მიზანშესწრაფვას აზნაურული პრივილეგიების მოპოვება წარმოადგენდა, მაგრამ ობიექტური განვითარების ძალა არსებითად იწვევდა მოქალაქეთა და საერთოდ ვაჭარ-მრეწველთა ბურჟუაზიულ კლასად ფორმირებას. XIX ს-ის მეორე ნახევარში, მას შემდეგ, რაც ბურჟუაზიულმა რეფორმებმა თვით თავადაზნაურულ პრივილეგიებსაც რამდენადმე დაუკარგეს მნიშვნელობა, მოქალაქეებმა ხელი აიღეს ძველი წოდებრივი პრივილეგიების ძიებაზე. მოქალაქეთა წარმომადგენლები, მათი ეკონომიური მდგომარეობის შესაბამისად. შეერწყნენ კაპიტალისტური საზოგადოების სხვადასხვა კლასებს (მსხვილი თუ წვრილი ბურჟუაზია, პროლეტარიატი)“ (გვ. 120-121).

ნაშრომის მიმართ გვაქვს ორიოდე შენიშვნაც.

ავტორი დამაჯერებლად განსაზღვრავს თბილისის „მოქალაქეთა“ პრივილეგიური წოდების სოციალურ-ეკონომიურ შინაარსს და თანაც რამდენიმე ადგილას ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ანალოგიური წოდება რუსეთში არ არსებობდაო. მაგრამ, ჩვენი აზრით, წიგნში არა საკმარისად არის ნაჩვენები ის თავისებურებანი, რომელნიც თბილისის„ მოქალაქეთა“ საზოგადოებას განასხვავებდა რუსეთის ქალაქების „გრაჟდანებ“-საგან. საჭირო იყო ავტორს აღენიშნა, რომ რუსეთსა და საქართველოში განსხვავებული ტრადიციები და კანონები მოქმედებდა. XVII-XVIII სს. საქართველოს სამეფო ხელისუფლებას, რომელსაც ხშირად ოპოზიციაში ედგა ძირძველი თავადობა, დამსახურებული მდაბიორები თავადთა წოდებაში გადაჰყავდა და თანაც არ ზღუდავდა ეკონომიურად აღზევებულ ვაჭარ-მრეწველთა მიერ ყმა-მამულის შესყიდვას. ვახტანგის კანონების თანახმად დიდვაჭრები გათანაბრებული იყვნენ აზნაურებთან და თვით მოქალაქეთა წოდებაში მოხვედრილნიც ზოგიერთი აზნაურული პრივილეგიებით სარგებლობდნენ. რუსეთის აბსოლუტურ მონარქიას კი დაუშვებლად მიაჩნდა „წმინდა სისხლის“ თავადაზნაურობის დანაგვიანება დაბალი ფენებიდან გამოსული პირებით. ვაჭრებს და საერთოდ ქალაქელებს დასახლებული მამულების ყიდვის უფლებაც აკრძალული ჰქონდათ. ისინი იღებდნენ გარკვეულ პრივილეგიებს მხოლოდ თავიანთი პროფესიული საქმიანობის სფეროში—ვაჭრობა-მრეწველობაში. რუსეთის „გრაჟდანებს“ არ ჰქონდათ მინებებული აზნაურული უპირატესობანი. რუსეთის მთავრობის პოლიტიკის და ობიექტური ეკონომიური განვითარების შედეგად XIX საუკუნეში მოხდა ქართველი „მოქალაქეების“ და რუსი „გრაჟდანების“ სოციალური უნიფიკაცია, მათი გათქვეფა ახლად ჩამოყალიბებულ კლასებში.

ნაშრომში გარკვევით არის ნათქვამი, რომ მოქალაქენი სოციალურად თავისუფალ ფენას შეადგენდნენ და ისინი მხოლოდ მეფეს, როგორც სახელმწიფო მეთაურს, ექვემდებარებოდნენო. მაგრამ ავტორი დასაშვებად მიიჩნევს, რომ მეფეს ეს თავისუფალი ადამიანები ებოძებინა ეკლესიისათვის და კერძო პირებისთვისაც კი. წყაროებში, მართლაც, არიან დასახელებული „საეკლესიო მოქალაქეები“ და არც თვით საეკლესიოდ გამოცხადებულნი უარყოფდნენ ამ ვერსიას. მაგრამ იმის გამო, რომ ამ პირებს ეკლესიისათვის მცირეოდენი სანთლის

მირთმევა ევალებოდათ მხოლოდ და ძირითად გადასახადს კი სახელმწიფოს მეთაურს აძლევდნენ. მათი ეკლესიისადმი კუთვნილება ჩვენ ფორმალურად გვეჩვენება. ისინი ფაქტიურად სამეფო მოქალაქენი იყვნენ და ვალდებულება-პრივილეგიებით ამ კატეგორიაში თავსდებოდნენ.

აღნიშნული მცირე ლაფსუსი, რა თქმა უნდა, არ ამცირებს ნაშრომის მეცნიერულ ღირებულებას. თ. ბერიაშვილის ორიგინალურ გამოკვლევაში თითქმის ამომწურავი სისრულითაა შესწავლილი „მოქალაქეთა“ წოდების სოციალურ-ეკონომიური არსი და ამ ფენის ევოლუციის შედეგად ბურჟუაზიული კლასის ფორმირების პროგრესი. წიგნს ინტერესით გაეცნობა ჩვენი ისტორიის მოყვარე ფართო მკითხველი საზოგადოება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოგიერთი შენიშვნა პროფმოძრაობის ისტორიის შესწავლის თაობაზე საქართველოში

მ. ნათმელაძე

ამა თუ იმ ორგანიზაციის წარმოშობა, საერთოდ, გამოხატავს საზოგადოებას გარკვეული ჯგუფის შემჭიდროების ტენდენციას. ამავე დროს იმასაც აღასტურებს, რომ აღმოცენებულ ორგანიზაციას ძირითადად უკვე შემუშავებული აქვს განსაზღვრული საზოგადოებრივი მიზანი. მუშათა პირველი ორგანიზაციული გაერთიანებანი პროფესიების მიხედვით, რომელიც წარმოიშვა მიმდინარე საუკუნის დამდეგს მშრომელთა რევოლუციური მოძრაობის გაძლიერების პერიოდში სწორედ, მუშათა კლასის შემჭიდროება-დარაზმვის ტენდენციას აღნიშნავდა, ამასთან იმის მანიშნებელიც იყო, რომ მუშათა კლასი ისახავდა თავის საზოგადოებრივ მიზანს.

მუშათა პროფესიული კავშირები თავისი შექმნის პირველ ეტაპზე გამოდიოდნენ კაპიტალისტ-დამჭირავებელთა თვითნებობისაგან მუშათა ინტერესების დამცველად. მაგრამ შემდგომ ამ ბრძოლამ ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით თვითმპყრობელური რეჟიმის წინააღმდეგ ორგანიზებული და მიზანდასახული ხასიათი მიიღო. პროფესიული კავშირები, რომელთა მთელი ისტორია განუყრელადაა დაკავშირებული ბოლშევიკური პარტიის ისტორიასთან, წარმოადგენდნენ პარტიის დამხმარე ძალას მშრომელთა განთავისუფლებისთვის ბრძოლაში.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ სოციალისტური ეკონომიკის მშენებლობის ახალ ამოცანებთან დაკავშირებით შეიცვალა პროფკავშირების ორგანიზაციული სტრუქტურა და მისი საქმიანობის შინაარსიც.

„იმ ღიდებულ გადატრიალებასთან დაკავშირებით, რომელიც მოხდა ისტორიაში, როდესაც პროლეტარიატმა ხელთ აიღო სახელმწიფო ძალაუფლება, პროფესიული კავშირები უდიდეს გარდატეხას განიცდიან მთელ თავიანთ მოღვაწეობაში. ისინი ახალი საზოგადოების მთავარი შემქმნელნი ხდებიან, რადგან ამ საზოგადოების შემქმნელნი მხოლოდ მრავალმილიონიანი მასები შეიძლება იყვნენ“.

ვ. ი. ლენინი განსაზღვრავდა რა პროფკავშირების როლს სოციალისტურ სახელმწიფოში, ამბობდა, რომ ისინი უნდა წარმოადგენდნენ მეურნეობის გაძღოლის, მართვა-გამგეობის სკოლას.

ამიტომ ბუნებრივია, რომ პროფმოძრაობის ისტორიის, როგორც ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვებისა და კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის მშრომელთა ფართო მასების თავდადებული შრომისა და ბრძოლის მდიდარი გამოცდილების ამსახველი ისტორიის მეცნიერული შესწავლა-განზოგა-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 27, გვ. 537.

დება წარმოადგენს საბჭოთა ისტორიული მეცნიერების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას.

პროფკავშირების მიერ განვლილი ისტორიული გზისათვის თვალის გადევნება შეუძლებელია ყოკელმხრივი და ღრმა შესწავლის გარეშე იმ სოციალურ-ეკონომიური ურთიერთობისა, რომელზედაც დაფუძნებულია მშრომელთა ეს საზოგადოებრივი ორგანიზაცია. პროფმოძრაობის ისტორიის შექმნა გულისხმობს საბჭოთა საზოგადოების განვითარების ძირითადი მომენტების ღრმად შესწავლას. საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიური პოლიტიკის განხორციელების ფონზე საბჭოთა საზოგადოების განვითარების ძირითად კანონზომიერებათა შესაბამისად პროფკავშირების სამეურნეო და ორგანიზაციული განმტკიცების პროცესის ჩვენებას.

ჩვენი ქვეყნის პროფმოძრაობის ისტორიის შექმნისათვის დიდი მეცნიერული და პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს ნაციონალური რესპუბლიკების პროფკავშირების ისტორიის შესწავლას, რადგან მხოლოდ ამ გზით შეიძლება შეიქმნას საბჭოთა კავშირის პროფმოძრაობის მთლიანი და სრულყოფილი ისტორია.

პროფკავშირების ისტორიის მეცნიერული შესწავლის მთავარი მიზანი და დანიშნულება მდგომარეობს იმაში, რომ სწორად აისახოს მშრომელთა ამ ორგანიზაციის როლი სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებაში, ხოლო შემდგომ სოციალიზმის აგებისა და კომუნისტური მშენებლობის ამოცანების გადაწყვეტისათვის საერთო სახალხო ბრძოლაში. აღნელობაში, ამასთან ნაჩვენები იქნას მისი, როგორც მასობრივი ორგანიზაციის, ზრდა-განმტკიცების პროცესი.

თუ ოამდენად მკაფიოდ და დამაჯერებლად ჩანს ამ თემატიკისადმი მიძღვნილ ნაშრომებში, ფაქტობრივი მასალის ანალიზის საფუძველზე, პროფკავშირების მონაწილეობა საბჭოთა საზოგადოების მშენებლობაში მისი ისტორიის მთელ სიგრძეზე, ან ცალკეულ ეტაპზე, მიეკუთვნებათ ამ ნაშრომებს სათანადო ადგილი პროფმოძრაობის ისტორიოგრაფიაში.

საქართველოს პროფკავშირების ისტორიის გარშემო არც თუ ისე მდიდარ ლიტერატურა მოგვეპოვება, ხოლო ის, რაც გაგვაჩნია, ჩვენი აზრით, შეიძლება შემდეგი კლასიფიკაციით წარმოვიდგინოთ:

პირველ ჯგუფს განეკუთვნება გამოქვეყნებული დოკუმენტური მასალები. საცნობარო ხასიათის ლიტერატურა, რესპუბლიკის პროფკავშირების ყრილობებისა და კონფერენციების ანგარიშები, რომელნიც განიხილებიან როგორც პირველწყაროები.

მეორე ჯგუფს შეიძლება მივაკუთვნოთ ხელმძღვანელ პროფკავშირულ მუშაკთა სტატიები და ნარკვევები. ასეთი ნარკვევები, ჩვენი აზრით, ზოგადად შეიძლება განხილულ იქნან, როგორც წყაროს ხასიათის მატარებელი შრომები, რომელთა ნაწილს გარკვეული ისტორიოგრაფიული მნიშვნელობა აქვს.

დაბოლოს, ცალკე შეიძლება გამოიყოს საბჭოთა ისტორიკოსების სპეციალური ნაშრომები პროფმოძრაობის კონკრეტულ საკითხებზე.

შევეცდებით, ასეთი თანამიმდევრობით მოკლედ წარმოვადგინოთ პროფმოძრაობის ისტორიის შესწავლის თანამედროვე მდგომარეობა საქართველოში.

მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ ხანს ქართველ საბჭოთა ისტორიკოსთა ინტერესი პროფმოძრაობის შესწავლისადმი მნიშვნელოვნად გაფართოვდა, დღემდე მაინც არ დაწერილა სპეციალური მონოგრაფია მოცემულ საკითხზე. სანამ ეხება განმზოგადებულ ნაშრომებს, რომელნიც უნდა მოიცავდნენ თემის ყველა ძირითად საკითხს და ქრონოლოგიურად მთელ პერიოდს პროფკავშირების წარმოშობიდან დღემდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სრულყოფილი მონოგრაფიების შექმნას საქართველოში პროფმოძრაობის ისტორიის საკითხებზე დიდად აფერხებს გამოქვეყნებული ოფიციალური დოკუმენტური მასალებისა და საცნობარო ლიტერატურის სიმცირე. არსებობს მხოლოდ ორიოდე ანგარიში რესპუბლიკის პროფკავშირების მოღვაწეობის შესახებ, რომლებიც გამოცემულია უმთავრესად საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში. მხედველობაში გვაქვს „საქართველოს პროფკავშირები 1923-1924 წლებში“ „მასალები პროფმოძრაობისა საქართველოში (1922 წლის მარტ-ივლისი)“ და სხვ. შემდგომ წლებში დოკუმენტური მასალების გამოქვეყნებას საერთოდ, მათ შორის პროფკავშირების საქმიანობის შესახებაც, თითქმის სრულიად არ ექცეოდა ყურადღება. სწორედ ეს გარემოება ქმნის მნიშვნელოვან დაბრკოლებას მეცნიერული კვლევის გაშლისათვის ამ მიმართულებით. დოკუმენტებისა და მასალების სისტემატური და თანმიმდევრული პუბლიკაცია შექმნიდა აუცილებელ წყაროთმცოდნეობით ბაზას საქართველოში პროფმოძრაობის ისტორიის კონკრეტული საკითხების შესწავლისათვის.

ჩვენ მიზნად არ ვისახავთ პროფმოძრაობაზე არსებული ლიტერატურის დაწვრილებით ანალიზს. როდესაც ამა თუ იმ საკითხის ისტორიოგრაფიას ვეხებით იგულისხმება დავახასიათოთ გამოკვლევის ბაზა, დავინახოთ რა ახალ მასალას ვმყარება მოცემული შრომა სხვა ნაშრომისაგან განსხვავებით, ანდა როგორია ზოგჯერ ერდაიმავე მასალის ავტორისეული ინტერპრეტაცია. მაგრამ სპეციალურ გამოკვლევათა სიმცირის გამო ჩვენ არა გვაქვს შესაძლებლობა ამ ნაშრომთა შედარებითი ანალიზისა. ამიტომ ამჯერად შემოვიფარგლებით იმით, რომ მოცემული თემისადმი მიძღვნილ ყველაზე მნიშვნელოვან ნარკვევთ მივცეთ ზოგადი შეფასება ისტორიოგრაფიული მნიშვნელობის თვალსაზრისით.

ჩვენ ხელთ გვაქვს რამდენიმე ნაშრომი, საქართველოს პროფმოძრაობის რომელიმე საკითხს ან მისი ისტორიის ცალკეულ პერიოდს რომ აშუქებს. ისინი დაწერილია ხელმძღვანელ პარტიულ და პროფკავშირულ მოღვაწეთა მიერ. ასე მაგ., ბ. მაჩაიძემ 1931 წელს გამოსცა ბროშურა „საქართველოს პროფკავშირები 10 წლის თავზე“. იგი წარმოადგენს გარკვეულ ისტორიულ მონაკვეთში საქართველოს პროფკავშირების მუშაობის თანმიმდევრული გადმოცემის პირველ ცდას. როგორც ბროშურის წინასიტყვაობიდან ჩანს, ეს ნაშრომი საფუძვლად უნდა დასდებოდა კრებულის—„საქართველოს პროფმოძრაობის 10 წელი“—მომზადებას პუბლიკაციისათვის, სამწუხაროდ ასეთი კრებული არ დაბეჭდილა.

არც თუ ისე დიდი მოცულობის ამ ბროშურაში, რომელიც საკმაოდ ფართო ფაქტობრივ მასალას ემყარება, მოცემულია საქართველოს პროფმოძრაობის დახასიათება რევოლუციამდელ პერიოდში. ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს პროფკავშირების საქმიანობას საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში, იმოწმებს მასალებს პროფკავშირების რიცხვის ზრდის, ქალთა და მოზარდთა მონაწილეობის შესახებ პროფკავშირებში და სხვ. და ამ მონაცემებს უდარებს რევოლუციამდელი, განსაკუთრებით მენშევიკების ბატონობის წლების შესატყვის მონაცემებს. ცალკეული მონაცემების ასეთი დაპირისპირება შესაძლებლობას იძლევა ნიშანდობლივად წარმოვიდგინოთ სურათი იმ დიდი მუშაობისა, რომელსაც საქართველოს პროფკავშირები ეწეოდნენ სოციალისტურ მშენებლობაში მშრომელთა ჩაბმისათვის.

მაგრამ ამასთანავე უნდა შევნიშნოთ, რომ ბ. მაჩაიძის დასახელებულ ბროშურას, მის მთელ რიგ დადებით მხარეთა მიუხედავად, ვერ მივიჩნევთ საქართა-

ველის პროფკავშირების ისტორიის მეცნიერულ გადმოცემად. მართალია, მასში დამოწმებული ცნობები 1930 წლისათვის რესპუბლიკის მრეწველობის განვითარების, მუშათა კლასის შემადგენლობაში ცვლილებების, პროფკავშირების ზრდის შესახებ ინტერესმოკლებული არ არის, მაგრამ იგი არ ემყარება პროფკავშირების როლის ზრდის პროცესის მეცნიერულ ანალიზს.

ბ. მაჩაიძემ გამოსცა მეორე ნაშრომი — „პირით წარმოებისაკენ“, რომელიც წარმოადგენს თბილისის პარტიულ კონფერენციაზე წაკითხულ მოხსენებას სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის პერიოდში საქართველოს პროფკავშირების ამოცანების შესახებ. ამდენად იგი მარტოოდენ პირველ წყაროს მნიშვნელობით უნდა იქნას აღნიშნულ-შეფასებული.

ბ. მაჩაიძეს ეკუთვნის აგრეთვე ნაშრომი „საქართველოს პროფკავშირები 1905 წელს“, რომელსაც ქვემოთ შევეხებით.

საქართველოს პროფკავშირების ისტორიის საკითხებისადმი მიძღვნილია გ. სტურუას რამდენიმე სანტერესო ნაშრომი („საქართველოს პროფკავშირების გარდაქმნა“, თბ., 1934 წ. „პროფკავშირების ამოცანები სტახანოვურ მოძრაობასთან დაკავშირებით“, თბ., 1936 წ. და სხვ.), რომელნიც ასახავენ პროფკავშირების ისტორიის ცალკეულ პერიოდებს. მათში აღძრულია საქართველოს პროფკავშირების ისტორიის არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი. გ. სტურუას შრომებში დახასიათებულია პროფმოძრაობა საქართველოში 1917 წლის რევოლუციამდე, პროფმოძრაობა მენშევიკური ხელისუფლების ბატონობის წლებში. აღნიშნულ ნაშრომებში განსაკუთრებული ადგილი აქვს დათმობილი პროფკავშირების ისტორიის უკვე საბჭოთა ხანაში, კერძოდ, განხილულია პროფმოძრაობასთან დაკავშირებული ისეთი საკითხები, როგორიცაა მუშათა კლასის პოლიტიკური და შრომითი აქტივობის ზრდა, პროფკავშირების ბრძოლა მუშათა გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის დარგში, სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნისათვის, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის ამაღლებისათვის, პროფკავშირების კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობა და სხვ.

პროფკავშირების ისტორიის შესახებ გ. სტურუას ნაშრომების მთავარი ღირსება იმაში მდგომარეობს, რომ მათში მოცემულია ფაქტობრივი მასალა -ღებული საკითხის ისტორიოგრაფიისათვის. იგი კრიტიკულად იხილავს ბ. მაჩაიძის ნაშრომს—„საქართველოს პროფკავშირები 1905 წელს“. მიუთითებს ავტორის მცდარ კონცეფციაზე. რომლის მიხედვით საქართველოში პროფკავშირების წარმოშობა მიეკუთვნება გასული საუკუნის 70-80-იან წლებს. გ. სტურუა მიუთითებს, რომ მუშათა ნახევრადხელოსნური და ნახევრადკუსტარული ორგანიზაციები სრულიად არ ჰგავდნენ იმ მებრძოლ პროფკავშირებს, რომლებიც წარმოიშვნენ პარტიის ხელმძღვანელობით 1905 წელს საგაფიცო ბრძოლების ქარცეცხლში. ბ. მაჩაიძის ხსენებული კონცეფციის მიმართ ეს კრიტიკული შენიშვნა უდაოდ ანგარიშგასაწევი და გასაზიარებელია.

პროფკავშირების შექმნისა და მოღვაწეობის თეორიული და ტაქტიკური დებულებანი მოცემულია ვ. ი. ლენინის მიერ. ზოგიერთი მემარჯვენე ოპორტუნისტი 20-იანი წლების ბოლოს შეეცადა წამოეყენებინა „საყუთარი“ თეორიები პროფკავშირების „ნეიტრალობის“ და სხვათა შესახებ. მაგრამ კომუნისტურმა პარტიამ გადაჭრით დაგმო პროფკავშირების როლის დამცირების ასეთი მტრული ცდები. ამ გარემოებამ თავისი ასახვა ჰპოვა პროფმოძრაობის საკითხზე ამ პერიოდში შექმნილ ლიტერატურაში. ამიტომ საყურადღებოა გ. სტურუას კრიტიკული შენიშვნები **პროფკავშირებზე პარტიის ხელმძღვანელი** როლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესახებ პროფმოძრაობის ისტორიკოსების (მემარჯვენე-ოპორტუნისტთა წრიდან) მცდარ შეხედულებათა გამო.

გ. სტურუას ნაშრომებს შეუძლიათ დახმარება გაუწიონ მოცემული პრობლემით დაინტერესებულ მკვლევართ.

პირველი გამოკვლევა საქართველოს პროფკავშირების ისტორიის საკითხებზე ეკუთვნის ისტ. მეცნ. კანდ. ს. ბერიძეს, რომლმაც გამოაქვეყნა რამდენიმე ნაშრომი. კერძოდ, „პროფკავშირების თბილისის ცენტრალური საბჭო“ (მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის შრომები, 1948 წ.), „პროფკავშირული მოძრაობის წარმოშობა და განვითარება საქართველოში 1905-1907 წლებში“. (იხ. სტატიების კრებული—„1905-1907 წლების რევოლუცია საქართველოში“). აღნიშნულ ნაშრომებში განზოგადებულია მდიდარი ფაქტობრივი მასალა და მოცემულია მეცნიერულად დასაბუთებული ავტორისეული დასკვნები. ნაჩვენებია საქართველოს პროფმოძრაობის წარმოშობა-განვითარების პროცესის ერთიანობა საერთო სარუსეთო პროფმოძრაობასთან.

პროფკავშირების ისტორიის შესწავლის საკითხს ეხება პროფ. ი. კაჭარავა მონოგრაფიაში „ქართული ისტორიოგრაფიის საკითხები“, სადაც მოცემულია ანოტირებული გადათვლა (თუმცა არასრული) საქართველოს პროფკავშირებისადმი მიძღვნილი შედარებით მნიშვნელოვანი სტატიებისა და ნარკვევებისა. პროფმოძრაობის ისტორიის შესწავლის თანამედროვე მდგომარეობის დახასიათებისას ავტორი მართებულად მიუთითებს ამ საკითხისადმი დიდ მეცნიერულ ინტერესზე და, ამრიგად, საქართველოს პროფკავშირების ისტორიის შესწავლის დარგში მუშაობის გაშლის აუცილებლობაზე.

ჩვენთვის საინტერესო საკითხზე დასახელებულ სპეციალურ ნაშრომებთან ერთად არსებობს ნარკვევები უფრო განსხვავებული ხასიათისაა რომელიც დაიწერა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის 40 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებულებისათვის. ასე მაგალითად, კრებულში „საბჭოთა საქართველოს 40 წელი“, რომელიც მომზადდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის თანამშრომელთა, ცენტრალური ლიტერატურის სამმართველოს მუშაკთა, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეთა, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ მუშაკთა და ქართველ ჟურნალისტთა მონაწილეობით, მოცემულია საქართველოს პროფკავშირების ისტორიის მოკლე მიმოხილვა მათი წარმოშობის დღიდან 1961 წლამდე. მაგრამ იგი (სულ 30 თაბახის მოცულობით) ასახავს პროფმოძრაობის ისტორიის მხოლოდ ზოგიერთ მომენტს, ატარებს სქემატურ ხასიათს და არ წარმოადგენს მეცნიერული დონებულების ნარკვევს 40 წლის მანძილზე საქართველოს პროფკავშირების საქმიანობის შესახებ. თუმცა აქვე ისიც უნდა დავძინოთ, რომ ასეთი მიმოხილვითი ხასიათის ნარკვევებს მაინც გარკვეული მნიშვნელობა აქვთ, რაც იმაში გამოიხატება, რომ მათი ნაკლული ცნობები განზოგადების გარეშეც, ხაზს უსვამს სოციალისტური რევოლუციისათვის, განსაკუთრებით კი ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის მშრომელთა ბრძოლაში პროფკავშირების როლის მეცნიერული შესწავლის აუცილებლობასა და აქტუალობას.

საბჭოთა საზოგადოების ისტორიის ძირითად პრობლემებთან ერთად დიდი მნიშვნელობა ენიჭება პროფკავშირების-მშრომელთა მასობრივი ორგანიზაციების მრავალმხრივი სამეურნეო და კულტურული მოღვაწეობის მეცნიერულ

შესწავლა-განზოგადებას. ქართველ ისტორიკოსთა კოლექტივმა (მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტი), პარტიის ახალი პროგრამის შუქზე, რესპუბლიკის პროფმოძრაობის ისტორიის შესწავლაში არსებული ხარვეზების გათვალისწინებით სერიოზული ყურადღება მუშაობა ჩაატარა საქართველოს პროფკავშირების ისტორიის ნარკვევების მოსამზადებლად.

ნარკვევების ვრცელი დახასიათებისაგან ამჯერად თავს შევიკავებთ, აღვნიშნავთ მხოლოდ ზოგიერთ ძირითად საკითხს, რომელზეც გამახვილებულია ყურადღება დასახელებულ ნაშრომში.

კერძოდ, ნარკვევებში ნაჩვენებია პირველი პროფესიული კავშირების შექმნა საქართველოში და მათი აქტიური მონაწილეობა რევოლუციურ მოძრაობაში ბოლშევიკების ხელმძღვანელობით რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში, კრიზისი პროფმოძრაობაში და საქართველოს ბოლშევიკების ბრძოლა მისი დაძლევისათვის 1907-1910 წლების რეაქციის პერიოდში, პროფკავშირების გამოცოცხლება ახალი რევოლუციური აღმავლობისა და იმპერიალისტური ომის პერიოდში, მუშათა კლასის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ბრძოლა მრრომელთა ფართო მასებთან პარტიის კავშირის განმტკიცების. კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა დაუფლების, მასების დასარაზმებად ახალი რევოლუციური შემართებისათვის. ნარკვევში დიდი ადგილი აქვს დათმობილი მენშევიკების ბატონობის წლებში პროფკავშირების საქმიანობის დახასიათებას, ძათ ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლებისთვის.

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შედეგად საზოგადოებრივი ცხოვრების ახალმა ვითარებამ ძირეულად შეცვალა პროფმოძრაობის შინაარსი. სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში საქართველოში შეიქმნა საწარმოო პრინციპებზე აგებული დარგობრივი პროფკავშირები. გარდაიქმნა პროფკავშირების მუშაობა ახალ ეკონომიურ პოლიტიკასთან დაკავშირებით. საქართველოს პროფკავშირები გაერთიანდნენ ამიერკავკასიისა და მთელი საბჭოთა კავშირის პროფმოძრაობაში.

ნარკვევებში ნაჩვენებია რესპუბლიკის პროფკავშირების მონაწილეობა სოციალიზმის ეკონომიური საძირკვლის მშენებლობისათვის ბრძოლაში, მეორე და მესამე ხუთწლიანი გეგმების შესრულებაში, პროფკავშირების როლი სოციალისტური შეჯიბრების ახალი ფორმების დანერგვისა და სტახანოვური მოძრაობის განვითარებაში, ცვლილებანი საქართველოს პროფკავშირების ორგანიზაციულ სტრუქტურაში. ამასთან ნაჩვენებია შეცდომები და ნაკლოვანებანი პროფკავშირებისათვის ხელმძღვანელობაში. დასახელებულ ნაშრომში სათანადო ადგილი აქვს დათმობილი საქართველოს პროფკავშირების დახასიათებას დიდი სამამულო ომისა და ომისშემდგომ სახალხო მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობისა და კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის ეტაპზე.

საქართველოს პროფკავშირების ისტორიის ნარკვევების გამოქვეყნება მნიშვნელოვნად შეავსებს ქართული საბჭოთა ისტორიული მეცნიერების ამ უბანზე არსებულ ხარვეზს.

პროფმოძრაობის ისტორიის შესწავლის პრობლემასთან დაკავშირებით ისმის საკითხი პროფკავშირების ისტორიის პერიოდიზაციისა. ჩვენი აზრით, უკვე შომწიფდა ზუსტი პერიოდიზაციის განსაზღვრა-დადგენის პრაქტიკულად გადაწყვეტის აუცილებლობა.

დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ დასაბამი მისცა ჩვენი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვეყნის პროფმოძრაობის ისტორიის ახალ ეპოქას. ძირეულად შეიცვალა პროფკავშირების როლი ქვეყნის პოლიტიკურ, სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებაში. ეს ცვლილებანი მჭიდროდ არის დაკავშირებული დიად სოციალისტურ გარდაქმნებთან, სოციალისტური ეკონომიკის, საბჭოთა მეცნიერებისა და კულტურის განვითარებასთან. ამიტომ პროფკავშირების ისტორიის პერიოდიზაციას საფუძვლად უნდა დაედოს საბჭოთა საზოგადოების განვითარების საერთო ისტორიული პერიოდიზაცია. გასაგებია, ჩვენ არ ვაყენებთ საკითხს საბჭოთა საზოგადოების საერთო ისტორიული პერიოდიზაციისაგან მკვეთრად განსხვავებული რაიმე ახალი პერიოდიზაციის შემუშავების შესახებ. მაგრამ ჩვენ გვინდა მხოლოდ იმას გავუსვათ ხაზი, რომ იქნება საჭიროა დაფიქრება პროფმოძრაობის ისტორიის სპეციალურ პერიოდიზაციაზე, რომელშიც გათვალისწინებული იქნება აღებული პრობლემის საერთო სპეციფიკა, გამახვილდება ყურადღება საბჭოთა კავშირის ისტორიული განვითარების ყოველ მოცემულ ეტაპზე სოციალისტური და კომუნისტური მშენებლობის კონკრეტული ამოცანების შესაბამისად ქვეყნის ეკონომიურ და კულტურულ ცხოვრებაში პროფკავშირების როლის ცვლილებების პროცესის ყველა მხარის განზოგადებაზე. ასეთი პერიოდიზაცია გააადვილებს პროფმოძრაობის ისტორიის ცალკეული პერიოდებისა და ეტაპების სპეციალურ შესწავლას როგორც მთლიანად საბჭოთა კავშირში, ისე ნაციონალურ რესპუბლიკაში.

პროფესიული კავშირები საქართველოში წარმოშობისთანავე მჭიდროდ დაუკავშირდნენ რუსეთის პროფმოძრაობას, ხოლო საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ კი იგი საბჭოთა კავშირის პრფმოძრაობის ერთერთი შემადგენელი და განუყოფელი ნაწილი გახდა. ამიტომ მისი განვითარების პროცესი ინდენტურია მთელი კავშირის პროფმოძრაობის განვითარებისა, მაგრამ ეს არ გამორიცხავს საქართველოში. აგრეთვე სხვა ნაციონალურ რესპუბლიკებშიც. პროფმოძრაობის დამახასიათებელ თავისებურებათა წარმოჩენას. პროფმოძრაობაში ზოგიერთი თავისებურება გამოწვია მაგალითად, პროფკავშირების რესპუბლიკური საბჭოების ლიკვიდაციამ 1937 წელს, რომელმაც არა თუ შეუწყო ხელი პროფკავშირების მუშაობის გაუმჯობესებას, არამედ გამოიწვია მათი ერთგვარი დაქსაქსვა, ურთიერთ შორის კავშირის შესუსტება. ეს გარემოება სერიოზულ სიძნელეებს ქმნის პროფკავშირების მრავალმხრივი საქმიანობის შესასწავლად ამ პერიოდში.

მაგრამ თუ საბჭოთამდელი საქართველოს პროფმოძრაობის ზრდისა და განვითარების პროცესში უფრო თვალსაჩინოა ზოგიერთი თავისებურებანი, საბჭოთა ხანაში ამ თავისებურებათა მიგნება უფრო რთულია. სწორედ ეს გარემოება გვაქვს მხედველობაში პროფმოძრაობის პერიოდიზაციის საკითხის წამოწევისას.

პროფკავშირების ისტორიის შემდგომი კვლევის გაშლისათვის როგორც მთლიანად საბჭოთა კავშირში, ასევე ნაციონალურ რესპუბლიკებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება სამეცნიერო მუშაობის კოორდინაციისა და მეცნიერეული ინფორმაციის გაუმჯობესება-გაფართოებას. მეცნიერული კოორდინაცია ხელს შეუწყობდა პროფმოძრაობის ისტორიის შესწავლის მეთოდოლოგიის შემუშავებას, დოკუმენტებისა და მასალების პუბლიკაციას პროფკავშირების მოღვაწეობის შესახებ. ჩვენ ძლიერ ცოტა რამ ვიცით პროფკავშირულ თემატიკაზე საინ-

ფორმაციო ბიულეტენებისა და საერთოდ მოკავშირე რესპუბლიკებში პროფმოძრაობაზე გამოცემული ნაშრომების შესახებ.

პროფკავშირების ისტორიაში თავსდება მუშათა კლასისა და მშრომელთა ფართო მასების შრომისა და ბრძოლის მდიდარი გამოცდილება, რომლის განზოგადება წარმოადგენს აუცილებელ წანამძღვარს მუშათა კლასის ახალ თაოსნობათა, შრომის კომუნისტური მეთოდების წარმოშობა-განვითარების ასახსნელად თანამედროვე ეტაპზე. ამაში მდგომარეობს პროფმოძრაობის ისტორიის შესწავლის დიდი მეცნიერული და პოლიტიკური მნიშვნელობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შ ი ნ ა ა რ ს ი

ს. ჭარეთელი, დიალექტიკური ლოგიკის ცნებისათვის 3

ვ. მეიშვარიანი, მიზეზობრიობისა და აღბათობის ურთიერთობისათვის ფიზიკაში . 26

ე. თოფურიძე, კროზეს ესთეტიკის კრიტიკისათვის 42

ს. მიქელოვი, ბრძოლა სახალხო მეურნეობის ელექტროფიკაციისათვის საბჭოთა საქართველოში (1921—1941 წწ.) 58

ა. ჩანტლაძე, საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობა სოციალიზმის ეკონომიკის მშენებლობის პერიოდში 87

გ. კოვკოვი, პარტიული ორგანიზაციების მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა ფაშიზმის მიერ ოკუპირებულ რაიონებში 102

ვ. ჯიჯეიშვილი, ჰიაურის მუშათა რევოლუციური მოძრაობის ისტორიიდან (1901—1921 წწ.) 114

ა. შიშკინა-ახალაძე, ბოლშევიკები ირკუტსკის გუბერნიის პარტიზანული მოძრაობის სათავეში 138

ე. უთურაშვილი, საზიარო მეურნეობის სისტემა აღმოსავლეთ საქართველოს მევენახეობაში (1864—1917 წწ.) 161

ვ. ქიქოძე, ეკპრობა XVIII საუკუნის I მეოთხედის ქართლის სამეფოში 181

ვ. ჩიქოვანი, ნართული ეპოსის შედგენილობის და გავრცელების ზოგიერთი საკითხი 200

ა. ონიანი, ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის საკითხისათვის ქართველურ ენებში 223

ი. მაისურაძე, „ბერ“ ძირი ქართულ სახელ-გვარებში 237

ალ. ჭინჭარაული, „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკიდან 244

მ. ქავთარია, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის ერთი წყაროს შესახებ . . 249

ჯ. რაფავა, იოანე დამასკელის „დიალექტიკის“ ქართულ-სომხური ვერსიები . . 257

ვ. გაგოშიძე, დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს საცხოვრებელი სახლების უძველესი ტიპები 279

ქ რ ო ნ ი კ ა

ვ. დონდუა, ივანე ჯავახიშვილის ერთი უცნობი წერილი 293

კ რ ი ტ ი კ ა და ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა

ა. გენდინიშვილი, გრ. მარგიანი, საინტერესო გამოკვლევა 300

ვ. ნათმელაძე, ზოგიერთი შენიშვნა პროფმოძრაობის ისტორიის შესწავლის თაობაზე საქართველოში 306

СОДЕРЖАНИЕ

С. Церетели, К понятию диалектической логики 3

В. Мейпариани, О взаимосвязи причинности и вероятности в физике . . . 26

Е. Топуридзе, К критике эстетики Кроче 42

С. Микелов, Борьба за электрификацию народного хозяйства Советской Грузии (1921 — 1941 гг.) 58

А. Чантладзе, Коммунальное хозяйство Грузинской ССР в период строительства социалистической экономики 87

Г. Комков, Массово-политическая работа партийных организаций в районах, подвергшихся фашистской оккупации 102

М. Джиджейшвили, Из истории революционного движения чиатурских рабочих (1901—1921 гг.) 114

А. Шишкина-Ахаладзе, Большевики во главе партизанского движения в Иркутской губернии 138

И. Утурашвили, Система издольного хозяйства в виноградарстве Восточной Грузии (1864 — 1917 гг.) 161

М. Кикодзе, Торговля Картлийского царства в I четверти XVIII в. 181

М. Чиковани, Некоторые вопросы сюжетного состава и распространения нартского эпоса 200

А. Онианн, Относительно категории инклюзива-эксклюзива в картвельских языках 223

И. Майсурадзе, Корень „ბერ“ в грузинских именах и фамилиях 237

Ал. Чинчараули, Из лексики поэмы Ш. Руставели «Вепхисткаосани» 244

М. Кавтария, Об одном из источников словаря Сулхан-Саба Орбелиани . . 249

Г. Рапава, Грузинско-армянские версии «Диалектики» Иоанна Дамаскина . . 257

В. Гагошидзе, Древнейшие типы жилых домов в Западной и Восточной Грузии 279

Публикация

В. Дондуа, Одно неизвестное письмо Ивана Джавахишвили 293

Критика и библиография

А. Бендианишвили, Г. Маргиани, Интересное исследование 300

М. Натмеладзе, Некоторые замечания относительно изучения в Грузии истории профдвижения 306

О КОНКУРСЕ НА СОИСКАНИЕ ПРЕМИИ

им. Н. Г. ЧЕРНЫШЕВСКОГО

Секция общественных наук Президиума АН СССР объявляет конкурс на соискание премии имени Н. Г. Чернышевского в размере 2.000 руб. присуждаемой советским ученым за научные труды в области общественных наук.

Премия присуждается за отдельную выдающуюся научную работу, а также за серию научных работ по единой тематике.

Право выдвижения кандидатов на соискание премии предоставлено:

а) научным учреждениям СССР и союзных республик, высшим учебным заведениям;

б) действительным членам и членам-корреспондентам Академии наук СССР и академий наук союзных республик;

в) научным советам по проблемам науки.

При выдвижении кандидата на соискание премии необходимо представить в Академию наук СССР (Москва, В-71, Ленинский проспект 14) с надписью «На соискание премии имени Н. Г. Чернышевского»:

а) опубликованную научную работу (серию работ) — в 3 экз.;

б) мотивированное представление, включающее научную характеристику работы, ее значения для развития науки и народного хозяйства, а также сведения об основных научных работах автора;

в) сведения об авторе: фамилия, имя, отчество, год рождения, ученая степень и звание, занимаемая должность, служебный и домашний адреса и телефоны:

Работы, ранее удостоенные Ленинских премий, Государственных премий, а также премий Академии наук СССР или отраслевых академий и других ведомств, на конкурс не принимаются.

Срок представления работ — 1 июня 1965 года.

Справки по телефону: В 4-98-85.

რედაქციის მისამართი, ძერჟინსკის ქ. № 8
ტელეფონი: 9-03-52

შეკვ. 36 უე 02083 ტირაჟი 1500

ხელმოწერილია დასაბეჭდად 16.4.1965; ქაღალდის ზომა 70×1/16;
ნაბეჭდი თაბახი 28.25; საღრიცხვო-საგამომცემლო ფურცელი 26.08;
ფასი 1 მან.

გამომცემლობა „მეცნიერების“ სტამბა, თბილისი, გ. ტაბიძის ქ. № 3/5
Типография Издательства «Мецниереба», Тбилиси, ул. Г. Табидзе 3/5